

114  
1963/5



# მეათედი



4

1 9 6 3



# მნათობი

საქართველოს მწერთა კავშირის მხატვრული და საზოგადოებრივ-კულტურული ჟურნალი

წელიწადი მე-40

№ 4

აპრილი, 1963 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

9459

36 14

## შ ი ნ ა ა რ ს ი

დენინის დროით წინ — შემოქმედების იდეური და მხატვრული სრულყოფისაკენ . . . . .	3
ზურა ბერულავა — ლენინი, ლექსი . . . . .	11
ალექსანდრე სოლუენიცინი — ივან დენისოვიჩის ერთი დღე. მოთხრობა. თარგმანი რევაზ თვარაძისა . . . . .	12
შალვა ამისულაშვილი — ჩვენი მესაჭე, ლექსი . . . . .	45
თეიმურაზ ჭანგულაშვილი — ლექსები . . . . .	46
ლალო მრეღლაშვილი — ყაზახი, რომანი, გაგრძელება . . . . .	48
ზურა გაგუა — დილა, ლექსი . . . . .	65
ქონ სტეინბეგი — ზამთარი ჩვენი მღელვარებისა, რომანი, გაგრძელება, თარგმანი ინგლისურიდან ვახტანგ ქეღვიძისა . . . . .	66
<b>კრიტიკა</b>	
მიხეილ ჭანიშვილი — დიდი სახალხო პოეტი . . . . .	79
გიორგი ხუბაშვილი — ძიებისა და მიგნების გზებით . . . . .	88
რამაზ კობიძე — ხასიათები პოლიკარზე კაკაბაძის შემოქმედებაში . . . . .	97
ალექსანდრე გომიაშვილი — ბასილ მელიქიშვილი . . . . .	108
ზევიდ გამსახურდია — რობერტ ფროსტი . . . . .	113

### რუსთაველურული

პაველ ინგოროვია — რუსთაველიანს ეპილოგი, გაგრძელება . . . . .	119
--	-----

(იხ. მეორე გვ.)



წიგნების მიმოხილვა



აღ. სანადირაძე — ახალი სათავგადასავლო მოთხოვნა	185
გურამ ბათიაშვილი — ოთარ ჩიჯავაძის „ჯან ვალონის რეისი“	186
დ. ქუმისიშვილი — მოთხოვნები ლიტერატურულ აღმოჩენებზე	190
ფილიპე ბერაძე — მარგალიტების მადიებელი	190
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრაგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,  
 ე. მაღრაძე, ბ. უღენტია, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,  
 ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 4/IV—63. ქალაქის ზომა 70 × 108. ანწყობის ზომა 7 1/4 × 1 1/2.  
 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12, პირობით ფორმათა რაოდენობა 16, უფ 07191  
 ტირაჟი 6500 შეკვეთა 683.

საქ. კვ ცი-ის გამოცემლობა, სტამბა № 1, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография № 1 Издательства ЦК КП Грузии,  
 Тбилиси, ул. Ленина, № 14.

## ღენინის დროებით წინ-შემოქმედების იდეური და მხატვრული სრულყოფისაკენ

მიმდინარე წლის 22 აპრილს შესრულდა კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებლის ვლადიმერ ილიას ძე ღენინის დაბადების 93-ე წლისთავი. როგორც ყოველთვის, ისე ახლაც საბჭოთა ქვეყნის მთელი საზოგადოებრიობა მტკიცედ იცავს ტრადიციას: ამ დიდი თარიღის შესრულების დღეს თვალს გადაავლებს განვლილ გზას, ღენინის უკუდავი მოძღვრების შექმნე არკვევს და ამოწმებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეკონომიკასა და კულტურაში მიმდინარე პროცესებს, სახავს ღონისძიებებს ყოველი შენიშნული ნაკლის გამოსწორებისათვის, სამეურნეო-კულტურული მშენებლობისა და იდეოლოგიური მუშაობის განუხრელი წარმართვისათვის ღენინის მიერ ნაჩვენები გზით. რა თქმა უნდა, ამ მხრივ არც საბჭოთა მხატვრული ინტელიგენცია წარმოადგენს გამონაკლისს. მასაც თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნდა და მიაჩნია, ღენინის ესთეტიკური მრწამსის თვალსაზრისით განიზილოს და შეაფასოს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მდგომარეობა, განჭვრიტოს მისი განვითარების პერსპექტივები, მიიღოს ზომები ყოველგვარი ისეთი მავნე ტენდენციის აღსაკვეთად, რომელიც აფერხებს საბჭოთა მხატვრული შემოქმედების წინსვლასა და განმტკიცებას მარქსისტულ-ღენინური მოძღვრების საფუძვლებზე.

ღენინის ესთეტიკური პრინციპებისადმი ურყევ ერთგულებას მოწმობს ის ერთსულოვანი პოზიცია, რომელიც საბ-

ჭოთა მხატვრულმა ინტელიგენციამ დიკავა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების გარშემო ახლახან გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს.

უკვე სამ თვეზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყნის და მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დგას საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების შემდგომი განვითარების, მათი იდეური და მხატვრული სრულყოფის საკითხები, რომელთა გარკვევასა და გაშუქებას მიეძღვნა სამი თათბირი უმაღლეს დონეზე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრები და საუბრები მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

როგორც ცნობილია, ამ დიდი მსჯელობისა და აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლის საბაზი შეიქმნა გასული წლის დასასრულს მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოსკოვში, მანეჟის დიდ დარბაზში, უფრო ზუსტად, — ამ გამოფენაზე წარმოდგენილი რამდენიმე აბსტრაქტული, აზრისა და შინაარსისაგან დაცლილი სურათი თუ ქანდაკება, რომელთა სიმახინჯე და უსუსურობა არ იძლევა არავითარ საფუძველს მათ ხელოვნების ნაწარმოები ვუწოდოთ.

კომუნისტური პარტია და მისი ხელმძღვანელობა, რომელიც მუდამ სათით მზრუნველობას იჩენდა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი, მათი იდეურობისათვის, ზალხურობისა და მალამმხატვრულობისათვის, რა თქმა უნდა, ახლაც არ შეიძლებოდა გულგრილი დარჩენილიყო ამ გასაოცარი და



აღმაშფოთებელი ანომალიისადმი ჩვენი ქვეყნის მხატვრულ ცხოვრებაში, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებზე აღმოცენებულ და განმტკიცებულ, იდეური შინაარსისა და ფორმის მხრივ ჯანსაღ საბჭოთა ხელოვნებაში.

თვით ის ფაქტი, რომ გამოფენაზე გამოტანილი იქნა არამარტო უკანასკნელ ხანებში, არამედ ორმოცი წლის წინათ შექმნილი უაზრო და უსახო აბსტრაქტული ნაწარმოებები, მოწმობს იმას, რომ, საქმე გვაქვს ახალგაზრდობის მეტად მცირერიცხოვანი ჯგუფის იდეურ-მორალური დაავადების სიმპტომების ჩანასახთან, რომელსაც ასაზრდოებს კაპიტალისტური გარემოცვა, საბჭოთა გმირული სინამდვილისაგან განაპირება, ის ყოვლად მცდარი და ყალბი შეხედულება, თითქოს ჩვენს დროში შეიძლებოდეს ურთიერთთან შეურიგებელი მრწამსის — კაპიტალისტური და სოციალისტური იდეოლოგიის მშვიდობიანი თანაარსებობა.

და რომ ეს ჩანასახი მოარულ, გადაძვლებ სენად არ ქცეულიყო ახალგაზრდობაში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ, რომელიც ფიზიკად აღევნებს თვალყურს და წარმართავს საბჭოთა მხატვრული კულტურის განვითარებას, საჭიროდ და აუცილებლად დაინახა დიდი და სერიოზული საუბარი ყველა თაობის საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

ეს თათბირები, რომლებიც არ შემოფარგულან ვხას ამცდარი ახალგაზრდების შემოქმედების კრიტიკით, მაღალ იდეურ-პრინციპულ დონეზე აიყვანა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვამ, ლ. თ. ილიჩოვის გამოსვლამ, რომლებმაც სრული სიცხადე და სინათლე შეიტანეს საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების დღევანდელ ვითარებაში, მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, თეატრისა და კინოს მოღვაწეთა უახლოესი შემოქმედებითი ამოცანების გარკვევაში. როგორც პარტიის ხელმძღვანელის და მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის, ისე სკკპ

ცენტრალური კომიტეტის უმცირესი ილიჩოვის სიტყვა ემყარებოდა ილიჩოვის ცნობილ დებულებას, რომ ლიტერატურა, ხელოვნება უნდა იყოს საყოველთაო-სახალხო საქმის განუყოფელი ნაწილი, რომ მათ ღრმად უნდა ქონდეთ ფესვები გამდგარი ხალხის ცხოვრებაში, რომ ორივე უნდა ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს, ზრდიდეს მასებს საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლის სულისკვეთებით, შექონდეს და ნერგავდეს ხალხის შეგნებაში დემოკრატიზმის, სოციალიზმის, ჰუმანიზმის ძლევამოსილ იდეებს, რაზმავდეს მასებს მუდგარი და შეუპოვარი ბრძოლისათვის ამ იდეების განსახორციელებლად. ამ დიდი ისტორიული მისიის შესრულებას მხატვრული ლიტერატურა და ხელოვნება შესძლებს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთი და მეორეც იქნება მასებისათვის გასაგები, მისაწვდომი, ადამიანთა გონებისა და გულის აღმგზნები და ამაღლევებელი, მათი მიზნებისა და მისწრაფებების გამომხატველი.

იდეურ-მორალური აღზრდისა და წრთობისათვის გამიზნულ, დიდი შემოქმედებითი შრომისათვის მასების დამპრაზმველ, კომუნისტური მრწამსით და იდეალებით გამსჭვალულ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებს მოითხოვს მხატვრული სიტყვის, ფუნჯის, მუსიკის, თეატრის და კინოს ყოველი ოსტატისაგან კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაში ჩაბმული ჩვენი ქვეყანა, მისი ხელმძღვანელი და მეთაური კომუნისტური პარტია.

ის, ვინც უგულვებელყოფს ამ მოთხოვნას, ის, ვინც ქმნის ნაწარმოებს დახავსებული ბურჟუაზიული დეკადენტური ესთეტიკის რეცეპტების მიხედვით, არა თუ ეხმარება საბჭოთა ხალხის დიდი ისტორიული მისიის შესრულებას — კომუნიზმის მშენებლობას, არამედ პირიქით, ხელს უშლის, ფეხებში ებღანდება კომუნიზმის მშენებლებს, აწვდის რა საარსებო სულიერი საზრდოს

ნაცვლად, რაღაც სუროგატს, და ამით ამკლავებს უმადურობას მშრომელი ადამიანისადმი, რომლის გარჯის ნაყოფით იგი იკვებება და არსებობს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ნათლად და საფუძვლიანად გაარკვია მიზეზები, რომლებიც განაპირობებს ანტიბალხური ანტირეალისტური ტენდენციების გაღვივებას მწერალთა და ხელოვანთა მცირერიცხოვან ჯგუფში. ამ მიზეზებს შორის ერთი მთავართაგანია საბჭოთა სინამდვილისაგან მოწყვეტა, კომუნისტების მშენებელი ადამიანების შრომისა და ცხოვრებისაგან განზე დგომა, პასიური დამოკიდებულება საბჭოთა ხალხის გრანდიოზული შემოქმედებითი მუშაობისადმი, გულგრილობა სოციალისტური ეკონომიკის და კულტურის სფეროებში მოაოებელი ისტორიული გამარჯვებებისადმი, ერთი სიტყვით, სრული გამოთიშვა მილიონების შრომითი პათოსისაგან, დავიწყება იმ დიდი ისტორიული ბრძოლებისა, რომლებიც გოლიათმა საბჭოთა ხალხმა გადაიხადა სოციალიზმის დასამკვიდრებლად და მის დასაცავად შინაური მტრებისაგან, ფაშისტებისაგან, ყოველი ჭურის იმპერიალისტებისაგან. სწორედ ამ კარჩაკეტილი, განზე გამდგარი ადამიანების განწყობილებები და მიდრეკილებები ქმნიან ნიადაგს, რომელშიც ფესს იკიდებენ და ხარობენ სარეველა მცენარეები, დეკადენტურ-აბსტრაქტული ხელოვნების შხამიანი და ბოროტი ყვავილები.

რა თქმა უნდა, ხელოვანთა ეს ჯგუფი მცირერიცხოვანია, მაგრამ მათი მანკერი შემოქმედებითი პრაქტიკისათვის სიჩუმით გვერდის ავლა იქნებოდა მათი წახალისება, ვაზიარება იმ მავნე თეორიისა, რომელსაც შესაძლებლობად მაჩინია კომუნისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიის მშვიდობიანი თანაარსებობა. ამიტომ საესებო ბუნებრივი და გასაგებია ის სიმკაცრე, რომელიც ამ პატარა ჯგუფის შემოქმედებითი პრაქტიკისა და თეორიული პოზიციებისადმი გამოიჩინეს ნ. ს. ხრუშჩოვ-

მა და ლ. თ. ილიჩოვმა, მწერალთა და ხელოვანთა უდიდესმა უმრავლესობამ, მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

კომუნისტური პარტიის იდეოლოგიასთან, სოციალისტური რეალიზმის მეთოდთან, მხატვრული შემოქმედების ხალხურობისა და პარტიულობის პრინციპთან შეუთავსებლად აღიარა პარტიის ხელმძღვანელობამ, მწერალთა და ხელოვანთა უმრავლესობამ მცდარი პრაქტიკა ზოგიერთი ლიტერატორისა, რომელიც ამკლავებს მავნე ტენდენციას დაინახოს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში მეტწილად უარყოფითი და ჩრდილოვანი მხარეები, სათანადოდ არ დააფასოს და ზოგჯერ უარყოს კიდევ საბჭოთა ხალხის გრანდიოზული მონაპოვარი სახალხო მეურნეობისა და კულტურის მშენებლობაში, იმ საბაბით, რომ პიროვნების კულტის ბატონობის წლებში უხეშად ირღვეოდა რევოლუციური კანონიერება და ხშირი იყო აშკარა ბოროტებანი, ხალხისათვის, კომუნისტისათვის თავდადებულ მოღვაწეთა დევნა და შევიწროება.

საბჭოთა ქვეყნის დღევანდელი სინამდვილისადმი, მისი ახლო წარსულისადმი ნეგატიური დამოკიდებულების სენით დაავადებულნი არიან მეტწილად ისინი, ვინც ჩვენს სინამდვილეს გარეშე მეთვალყურის პოზიციებიდან უყურებს. ასეთს შემოქმედს, როგორც ეს ხაზგასმით აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, არ შეუძლია დაინახოს და წარმოსახოს ცხოვრების მართალი სურათი. ასეც ხდება, რომ ხელოვნების ზოგიერთი წარმომადგენელი მსჯელობს მარტო სანაგვე ორმოების სუნის მიხედვით, ხედავს ადამიანებს განგებ დამახინჯებულად, თითხნის თავის სურათებს შავნელი საღებავებით, რომლებსაც მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ შეუქმნან ადამიანებს გულგატეხილობის, დარდის და უსამწველობის განწყობილება; ხატავს სინამდვილეს მის შესახებ წინასწარ აკვირებული, დამახინჯებული, სუბიექტ-

ვისტურა შეხედულებით, გამოგონილი, გამოფიტული სქემებით.

ასეთი მხატვრული პროდუქცია, რომელიც საბჭოთა სინამდვილიდან კი არ არის შექმნილი, არამედ დანაგვიანებული ტენის ნაყოფია, მხოლოდ წამლავს ატმოსფეროს და ღირსია მხოლოდ იმისა, რომ სანაგვე ორმოებში გადაიყაროს.

ჩვენი ხალხი საჭიროებს და მოითხოვს მხოლოდ მებრძოლ რევოლუციურ ხელოვნებასა და ლიტერატურას, რომლებიც მკაფიოდ მხატვრული სურათებით წარმოსახავენ კომუნისმის მშენებლობის დიად და გმირულ დროს, სიმართლით გვიჩვენებენ ახალი კომუნისტური ურთიერთობის დამკვიდრებას ჩვენს ცხოვრებაში. სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების გენერალური ხაზიდან შორს დგას ყველა ის მხატვარი, რომელსაც არ ძალუძს დაინახოს ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში დადებითი; ხელოვანი, რომელსაც არ ახარებს ეს დადებითი, რაც ჩვენს სინამდვილეს წარმოადგენს, მთელი არსებით მხარს არ უჭერს მას. გვერდს უვლის უარყოფით მოვლენებს, ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის ახლის წარმოშობას ცხოვრებაში.

„საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ იმათ, — თქვა ნ. ს. ზრუშკოვმა, — ვისაც სჩვევია „შემლამაზებელის“ იარაღი მიაკრას მწერლებსა და ხელოვნების მოღვაწეებს, რომლებიც ასახავენ ჩვენი ცხოვრების დადებით მხარეებს“...

ლიტერატურის და ხელოვნების მოღვაწეებმა უფრო ღრმად უნდა შეისწავლონ ცხოვრების მოვლენები და უფრო სწორად გააშუქონ ისინი თავიანთ ნაწარმოებში, თვითთელი თავისი იარაღით უნდა ემსახურობოდეს ხალხს, ჩვენს საერთო საქმეს.

მთელი სიცხადით იქნა მხილებული და სასტიკად გაკრიტიკებული პარტიის ხელმძღვანელთა მიერ ახალგაზრდობის მკირე ნაწილში ფეხმოკიდებული მანვე შეხედულება, თითქოს საბჭოთა სინამდვილეში შეიძლებოდეს და დასაშვები იყოს თაობათა — მამათა და შეილთა დაპირისპირება და აშკარა

ბრძოლაც მათ შორის. ეს დრომოკმეული დოგმატური შეხედულება შეძლებოდა მკედრებით აღმდგარიყო იმ ადამიანთა წრეში, ვინც ჩვენს სინამდვილეს არ იცნობს, ვინც მას გარეშე მეთვალყურის პოზიციებიდან უყურებს დევრ ხედავს, რომ ჩვენს საზოგადოებაში, სადაც უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობები გამსჭვალული არიან ერთი იდეებით, კომუნისტური იდეალებით და ერთსულოვნად იბრძვიან ამ იდეების ხორცშესხმისათვის. იმ საზოგადოებაში, სადაც ორათეულ წელზე მეტია დამკვიდრდა ხალხის პოლიტიკურ-მორალური ერთიანობა, გამოიციხულია თაობათა დაპირისპირება, მამათა და შეილთა ბრძოლა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოებისათვის.

ასევე მკაცრად იქნა 7-8 მარტის თათბირზე გაკრიტიკებული ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ზოგიერთი ახალგაზრდა მწერლის ის დებულება, თითქოს მხოლოდ ახალგაზრდა ლიტერატორებს; მარტო იმის გამო, რომ ისინი ახალგაზრდები არიან, შეუძლიათ გამოხატონ ახალგაზრდობის განწყობილებები და მისწრაფებანი. ამ თვალსაზრისზე მდგარ პირებს შემავიწყებელი პასუხი გასცა ნ. ს. ზრუშკოვმა, როცა განაცხადა: „ამხ. როედენსტევსკის გამოსვლაში გამოსჭვიოდა, თითქოს მხოლოდ ახალგაზრდა ლიტერატორთა ჯგუფი გამოთქვამდეს მთელი ჩვენი ახალგაზრდობის განწყობილებებს, რომ ისინი არიან ახალგაზრდობის დამრიგებელნი. ეს სრულებით არ არის ასე. ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა პარტიამ აღზარდა, იგი პარტიას მიეყვება, პარტია მიაჩნია მას თავის აღმზარდელად და ბელადად... სოციალისტური საზოგადოების ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. იგი გამოხატავს მთელი საბჭოთა ხალხის ნებას, და ხალხის ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლა შეადგენს მისი მოღვაწეობის მიზანს... როგორც დირიჟორი ორკესტრში

თეალყურს ადვენებს იმას, რომ ყველა ინსტრუმენტი მწყობრად და შეხმატებულილულად ქდერდეს, ასევე პარტია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველა საბჭოთა ადამიანის ღონისძიებებს წარმართავს... ერთიანი მიზნის მისაღწევად...“

იგივე აზრი მკაფიოდ და სხარტად გამოთქვა ამხ. ლ. თ. ილიჩოვმა შემდეგი ფორმულით: „ჩვენ გვყავდა, გვყავს და გვეყოლება ხალხის, საბჭოთა ახალ-ვაზრდობის მხოლოდ ერთი სულეიერი ბელადი — ჩვენი დიადი კომუნისტური პარტია“.

გამახვილა რა ყურადღება ლიტერატორთა და ხელოვანთა ერთ ნაწილში შემჩნეულ მანე ტენდენციებზე და მათი დაძლევის აუცილებელ საჭიროებაზე, ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, ასევე ლ. თ. ილიჩოვმაც, მაღალი შეფასება მისცა შთიანად საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მონაპოვარს.

— სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურამ და ხელოვნებამ, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, მხატვრული შემოქმედების დიდ სიმაღლეებს მიაღწია, აქვს მდიდარი რევოლუციური ტრადიციები და სახელგანთქმულია მთელ მსოფლიოში. ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში შექმნილია შესანიშნავი ნაწარმოებები, დიდი სულეიერი ფასეულობანი, რომლებითაც სამართლიანად ამყობენ ჩვენი ქვეყნის ხალხები... საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების თეალსაჩინო წარმომადგენელთა შემოქმედება, მათი დიდი დამსახურება ხალხის წინაშე — საშობლოსადმი ხელოვნის სამსახურის შთამავონებელი მავალითია.

როგორც თათბირზე გამართულ აზრთა გაცვლ-გამოცვლისას ორატორები აღნიშნავდნენ, ამ მაღალ და იდეურ მხატვრულ დონეს, დიდ სახელს, საყოველთაო სახალხო აღიარებას საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ მიაღწია კომუნისტური პარტიის ბრძნული იდეური ხელმძღვანელობით, მისი სათუთი, გულისხმიერი მზრუნველობით. ამიტომ იქნა ერთხმად გაყრტიკებული

და უარყოფილი ის მანე აზრი, თითქოს ჩვენს სინამდვილეში შეიქმნა ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობა კომუნისტური პარტიისაგან და მოუკიდებლად. ყოველი სახის შემოქმედების მიმართ პარტიის ხელმძღვანელობა იყო, არის და მუდამ იქნება საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი იდეური წინსვლისა და მხატვრული სრულყოფის უტყუარი საწინადარი.

ჩვენს ეპოქაში — მწვავე იდეური ბრძოლის ეპოქაში, გონებისათვის, ადამიანთა ხელახალი აღზრდისათვის ბრძოლის ეპოქაში ლიტერატურისა და ხელოვნების საბჭოთა მოღვაწეები — ადამიანის სულის მკედლები, როგორც მათ უწოდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, კვლავაც მოიმარჯვებენ თავის ძლიერ იარაღს ადამიანთა ფსიქოლოგიის ხელახლა გამოსაქედად, კომუნისტური სულისკვეთებით მასების აღსაზრდელად, მათ დასარაზმავად ლენინის ძლევა მოსილი პარტიის გარშემო, რომელიც მეთაურობს და წარმართავს მილიონების ენერგიას ყველაზე ჰუმანიური და სამართლიანი საზოგადოების — კომუნისტების დასამყარებლად.

• • •

26-დან 28 მარტამდე გრძელდებოდა სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მე-4 პლენუმი, რომელიც მიემდენა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეური და მხატვრული ამალლების საკითხებს. პლენუმზე გაიმართა მგზნებარე, პრინციპიული, მწერალთა და ხელოვანთა მუშაობისადმი დიდი მომთხოვნელობით გამსჭვალული საუბარი იმაზე, რაც დღეს აღელვებს არა მარტო მხატვრული სიტყვის ოსტატებს, არამედ მთელს ჩვენს საზოგადოებრიობას, მთელ საბჭოთა ხალხს. აღსანიშნავია, რომ ყველა ორატორი თავის სიტყვის შესავალ ნაწილშივე ლაპარაკობდა მრავალმილიონიანი საბჭოთა მკითხველის ღრმად დაინტერესებაზე ლიტერატურულ-მხატვრულ ცხოვრება-





ში მიმდინარე ამბებითა და პროცესებით. პარტიისა და ხალხის ესოდენ გულსხმიერი ყურადღება მწერლებისა და მხატვრების მოღვაწეობისადმი, — ამბობდნენ პლენუმზე გამოსული მწერლები, — იწვევს სიამაყისა და იმავე დროს დიდი პასუხისმგებლობის გრძობას. საბჭოთა ლიტერატურას ძალას აძლევს მკიდრო კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, კომუნისტური პარტიის იდეებთან. მისი მიზანია იყოს აქტიური თანამეგობარი პარტიისა ახალ, კომუნისტურ საფუძვლებზე ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. იმისათვის, რომ საბჭოთა ლიტერატურის დიდი ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში განუწყვეტლად იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს, — ამბობდნენ პლენუმის მონაწილეები, — საჭიროა სათუთად ვუფრთხილდებოდეთ და ვამრავლებდეთ მის რევოლუციურ ტრადიციებს, ვიცავდეთ მისი იდეურ-ესთეტიკური პრინციპების სიწმინდეს, ვამაღლებდეთ ოსტატობას.

— მსოფლმხედველობა, — თქვა ამ პლენუმზე ნ. ტიხონოვმა, — დღეს განსაკუთრებულ როლს ასრულებს ახალგაზრდა მწერლის ხასიათისა და ყოფაქცევის ჩამოყალიბებაში. მსოფლმხედველობა შემოქმედების წარმმართველია, იგი პოეტის შინაგანი მზეა, მისი სხივისნობა იგრძნობა ყოველ ლექსში, თვით ეპოთეტების შერჩევაც კი არ ხდება უმისოდ. მსოფლმხედველობის გაურკვეველობა და ბუნდოვანება არის სათავე ყოველგვარი შეცდომისა, სტილისტური იქნება ეს, იდეური თუ თემატური, ახალგაზრდობის მსოფლმხედველობრივი, იდეური აღზრდის საკითხები მუდამ ლიტერატურული საზოგადოებრიობის ცენტრში უნდა იდგეს.

საბჭოთა მწერლობა და ხელოვნება მტკიცედ დგანან კომუნისტური პარტიულობის პოზიციებზე. მიუხედავად ამისა, ცალკეული მხატვრისა და ლიტერატორის შემოქმედებაში უკანასკნელ ხანს თავი იჩინა არაჩანსადმა ტენდენციამ — იდეურმა დაბნეულობამ, ყალ-

ბად გაგებულმა ჰუმანიზმმა, სოციალზოგჯერ აშკარა მისწრაფებამ მსოფლიო შემოქმედებითი პრაქტიკითა და ცალკეული გამოსვლებით აამონ როგორც შინაურებს, ისე გარეულებს. პლენუმზე მკაცრად გააკრიტიკეს ის მწერლები, რომლებიც ასეთ ტენდენციებს ამკლავებდნენ — ილია ერენბურგი, ვიქტორ ნეკრასოვი, ახალგაზრდა მწერლები — ევ. ვეტუშენკო, ა. ვოზნესენსკი, ვ. აქსიონოვი და სხვები.

პარტია მოითხოვს: საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშავეს ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდეს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ორი სამყაროს — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მწვეკე იდეოლოგიური ბრძოლის ვითარებაში. იყო ასეთ პირობებში ჰეგემონი მხატვარი — ნიშნავს იმას, რომ თავს გრძნობდნენ მეგრძოლად და შენს ნიჰსა და ძალღონეს უქვემდებარებდნენ ბრძოლას სახალხო ინტერესებისათვის. სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოების თანაარსებობა ოდნავაც არ ნიშნავს კაპიტალიზმისა და კომუნისმის იდეოლოგიის მშვიდობიან თანაარსებობას. პირიქით, სწორედ ეს თანაარსებობა მოითხოვს საბჭოთა მწერლებისა და ხელოვნების მუშავეებისაგან მუდმივ და მუდგარ თანამიმდევრულ ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, რა ფორმებშიაც არ უნდა გამოვლინდეს იგი. ყოველი საბჭოთა მწერლის მოქალაქეობრივი და მხატვრული მოვალეობაა მთელი თავისი ძალები მოახმაროს ხალხისა და პარტიის საქმეს და დაუცხრომლად იზრუნოს თავისი შემოქმედების სწორი იდეურ მიმართულებაზე.

მე-4 პლენუმზე ორატორები შეეხნენ თანამედროვე პროზის, პოეზიის, დრამატურგიის, კინოხელოვნების მთავარი გმირის პრობლემას. ისინი გულსტკივილით აღნიშნავენ, რომ ბევრ მხატვრულ წიგნში, პიესაში, კინოფილმში წამყვანი ადგილი უჭირავს არა მოქალაქეობრივი მოვალეობისა და მაღალი



ზნეობის ადამიანს, არა საერთო სახალხო საქმისათვის თავდადებულ პიროვნებას, არამედ სულიერად მოუწყობელ, მერყევ, გზაბნეულ ნიჰილისტს. ასეთი ბერსონაის გამოჩენას ჩვენს ხელოვნებასა და ლიტერატურაში ხელი შეუწყობს იმ გარემოებამ, რომ ზოგიერთი ლიტერატორი იმის მაგივრად, რომ ღრმად სწავლობდეს საბჭოთა ცხოვრებას და მის მოწინავე ადამიანებს, მზა-მზარეული გმირები გადმოიყავს დასავლეთის მწერალთა ნაწარმოებებიდან და ხელოვნურად ნერგავს მათ საბჭოთა ნიადაგზე. ასეთი ნაწარმოები ისევე დაშორებული საბჭოთა ცხოვრებისეულ სიმართლეს, როგორც სოციალისტური და კაპიტალისტური სინამდვილე ერთმეორეს. სერიოზული მოთხოვნა წარუდგინეს პლენუმზე ლიტერატურულ-მხატვრულ კრიტიკას, რომელსაც უსაყვედურეს ის, რომ მან ერთგვარი არე-დარევა და ბუნდოვანება შეიტანა სოციალისტური რეალიზმის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გარკვევაში და ამით არა ერთ მწერალს გადაახვევინა მხატვრული ძიებების სწორი გზიდან.

პლენუმის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი გახდა ახალგაზრდა ლიტერატურული ცვლის შემოქმედება. ახალგაზრდა მწერლებისა და მხატვრების მოქალაქეობრივი და პროფესიული აღზრდის საკითხებზე ილაპარაკა თითქმის ყველა ორატორმა. ისინი კმაყოფილებს გრძნობით აღნიშნავდნენ, რომ უკანასკნელ წლებში შემჩნეულია ნიჭიერი ახალგაზრდების მასიური მოსვლა. არაერთმა მათგანმა შექმნა საინტერესო, ცოცხალი აზრითა და მოწინავე იდეებით გამსჭვალული ნაწარმოებები. გამოცდილი ოსტატების მხარდამხარ ახალგაზრდა მწერლები აქტიურად იბრძვიან ჩვენი საზოგადოების სულიერი სიმდიდრის შექმნისა და გამრავლებისათვის. მით უფრო შეუწყნარებელია ის, რომ ზოგიერთი მათგანის მუშაობაში თავს იჩენს არა ჯანსაღი ტენ-

დენცია. ლიტერატურული ახალგაზრდობის ცალკეულმა წარმომადგენელმა თავი ახალი ჰემოარიტების აღმოჩენად წარმოიდგინა, შეეცადა უარყო-საბჭოთა ლიტერატურის წინანდელი გამოცდილება. ასეთმა პოზიციამ ისინი ბუნებრივად დააყენა უნაყოფო ძიების, ლიტერატურული მოდებისადმი მიმბაძველობის გზაზე. ყოველივე ამას ზედდაერთო საბჭოთა მწერლისათვის სრულიად უცხო თვისება — ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინაშე ჭედის მოხრა, ნისწრაფება დააკმაყოფილოს ჩამორჩენილ მკითხველთა მესჩანური გემოვნება, შედიდურობა, სენსაციური სახელის მოპოვების სურვილი.

პლენუმმა განიხილა სხვა მტკივნეული საკითხებიც, რომელთა გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის. პლენუმმა ცხადყო მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი ძალების მჭიდრო დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მათი ერთგულება პარტიულობისა და ხალხურობის ღვინური პრინციპებისადმი.

\*\*\*

7-8 მარტს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრამ კრემლში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის აშ. ლ. ილიჩოვის მოხსენებამ, განსაკუთრებით კი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელისა და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმად შინაარსიანმა სიტყვამ, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის, კერძოდ, ლენინური ესთეტიკური მოძღვრების შემოქმედებითი განვითარების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, მხურვალე გამოძახილი კპოეა საქართველოს მხატვრულ ინტელიგენციაში. ახალი ენერგია შემატა მას, დარაზმა იგო



შთავიწყებული შემოქმედებითი მუშაობისათვის ახალი, ღრმად იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად, ჩვენი გმირული ეპოქის — კომუნისტების გაშლილი მშენებლობის ეპოქის მოწინავე ადამიანების სახეების აღსაბუქდავად მხატვრულ ქმნილებებში.

ლეიტმოტივი იმ დღი და შინაარსიანი საუბრისა, რომელიც გაიშალა 23 მარტს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მოწვეულ საქართველოს მხატვრული ინტელიგენციის წარმომადგენელთა თათბირზე, იყო საკითხი ხალხს წინაშე მხატვრული კულტურის მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. სწორედ ამაზე გაამახვილა თათბირის მონაწილეთა ყურადღება სკკპ ცკ. პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქ. კპ. ცკ პირველმა მდივანმა ვ. პ. მეჯანაძემ თავის მოხსენებაში „ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის“. ის ფაქტი, რომ ჩვენს რესპუბლიკაზედაც ვრცელდება ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები „ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში შეიქმნა შესანიშნავი ნაწარმოებები, მაღალი სულიერი ფასეულობანი, რომლითაც სამართლიანად ამაყობენ ჩვენი ქვეყნის ხალხები“, — დიდად აღაფრთოვანებს ჩვენს მხატვრულ ინტელიგენციას, მაგრამ არავითარ საბაბს არ აძლევს მას იმისათვის, რომ თვითკმაყოფილებას მიეცეს, არ გააძლიეროს პასუხისმგებლობა და შემოქმედებითი აქტიუობა ახალ ღრმად იდეურ და მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად, იმ მნიშვნელოვან ნაკლთა დასაძლევად, რომლებიც ამუხრუჭებს ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობას. თათბირს მაღალი ტრიბუნიდან სიტყვით გამოსული ქართველი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრიზა და კინოს მუშაკები ზახვასმით აღნიშნავენ და მოითხოვენ იმ უარყო-

ფითი მოვლენებს დაძლევის რომლებიც ქართულ მხატვრულ შემოქმედებას ჩამორჩენის საფრთხის წინაშე აყენებენ. ეს არის — მწერალთა და ხელოვანთა ერთი ნაწილის გატაცება არაარსებითი, წერილმანი და უმნიშვნელო თემებით, ზოგიერთ შემოქმედის პრიმიტიული მხატვრული აზროვნება, ცხოვრების ემპირიულ-ნატურალისტური აღთქმა და იდეურად გაუაზრებელი ასახვა, ცდები ერთმანეთს დაუპირისპირონ ხელოვანთა და მწერალთა უფროსი და უმცროსი თაობები, ჯეროვნად არ დაათვსონ და ზოგჯერ უარყოფ კიდევ პიროვნების კულტის წლებში შექმნილი მხატვრული ღირებულებანი, გამოაცხადონ ახალგაზრდობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების ერთადერთ წამყვან ინტელექტუალურ ძალად, ცდები გაუგებარი, ძნელად მისაწვდომი გამოსახვითი ხერხების გამოყენებით ერთგვარი ბიძგი მისცენ ანტირეალისტური, ანტიხალხური მიმდინარეობების აღორძინებას ქართულ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში მანამდე, ვიდრე ეს მცდარი შეხედულებანი და მცდარი შემოქმედებითი პრაქტიკა დაძლეული არ იქნება, ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება ვერ განვითარდება ისეთი ტემპით, როგორც ამას პარტია და ხალხი მოითხოვს. ამ ნაკლოვანებათაგან თავდაღწევის ერთადერთი გზა კი არის — უფრო მეტი ორგანული და საქმიანი კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, აქტიური მონაწილეობა დიდ სახალხო საქმეებში, უფრო მეტი განმსჯელობა კომუნისტის მშენებელი გმირი ხალხის ინტერესებით, ლენინის პარტიის იდეალებით, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით. აქეთვე მოგვიწოდებდა ყოველთვის ლენინი, პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტი, აქეთვე მოგვიწოდებს ნ. ს. ხრუშჩოვი ადრე და მ მარტს წარმოთქმული სიტყვებით.

ხუჯა ბეჰარავა

ლ ე ნ ი ნ ი

ამ ქვეყნად გაჩნდა, ვით გაზაფხული,  
ადამიანთა დიდი მსახური,  
ადამიანთა ზედზე მზრუნველი,  
ხალხის შვილი და სარდალი ხალხის,  
და მაღლიერი საუკუნენი  
არ დაპყარგავენ მის დიად ძახილს.

არა ვით ღმერთს და არა ვით წმინდანს,—  
საქმით უძლიველს და გულით მდიდარს,  
როგორც მეგობარს და როგორც ვაჟკაცს,  
მას იგონებენ მილიონები,  
ზეიმის ჟამს და სიძნელის ჟამსაც  
მასთან არიან ფიქრით, გონებით.

არა კერპი და არა ქურუმი,  
სიმაღლის ღრუბლით თავდახურული,—  
ის თვალწინ გვიდგას, როგორც სიმაღლედ  
და ხორცშესხმული უბრალოება!  
ვახსენებთ: თვალში შუქი იმატებს  
და ემატება გულს სათნოება.

ყოველი ხალხის იცოდა ენა  
და ყოველ ხალხთან მიჰქონდა რწმენა,  
თავისუფლება, ბედნიერება,  
ათასეული წლების გადაღმაც.  
მან აამაღლა ქვეყნიერება,  
ქვეყნიერებამ ის აამაღლა!



## პეპსინგა სოკენიანი

### ივან ღენისოვიჩის ერთი ღე

დილის ხუთ საათზე, როგორც ყოველთვის, ადგომის ზარი დარეკეს — შტაბის ბარაკთან ჩამოკიდებულ რელსს ჩაქუჩი შემოპკრეს. ზარის ხმამ ძლიერ გამოაჯანა ორი თითის სისქეზე ყინულ-მოღებულ მინებში და მალევე მიჩუმდა: ციოდა და ზედამხედველს ბევრა ოჯავის თავი არ ჰქონდა.

მიწყდა ზარის ხმა, სარკმელს იქით კი ისევე ბნელოდა. როგორც ღამლამობით, როცა შუხოვი პარასს მიაკითხავდა ხოლმე. მხოლოდ სამი ყვითელი ფანარი გამოკრთოდა სარკმელში — ორი ზონაში და ერთი ბანაკის შიგნით ანთებული.

რატომღაც არავინ ჩანდა ბარაკის კარის გამღები, არც იმის ხმა ისმოდა, რომ მორიგეები შემოსულიყვნენ პარასის გასატანად.

შუხოვი არასოდეს აგვიანებდა ადგომას, დილის ზარს უმალ აპყვებოდა ხოლმე. სამუშაოზე გაყვანამდე საათნახევარი მინც რჩებოდა საკუთარი, მოსაცლელი დრო, ხოლო ვინც ბანაკის ცხოვრებას იცნობს, ისიც კარგად იცის, რომ ამ დროის განმავლობაში ყოველთვის შეიძლება ცოტა რამის შვნა: შეიძლება ვინმეს ძველი სარჩულიდან სახელთათმანე შალითა შეუყერო, რომელიმე მდიდარ პატიმარს მშრალი თქქურები საწოლშივე მიაწოდო, რათა ფეხშიშველას აღარ მოუხდეს ტანტალი და ფეხსამოსის გროვიდან სათავისოს შერჩევა; ისიც შეიძლება, საწყობებს ჩამოუარო, ვისაც რა დასკირდება — მოემსახურო, ოთახი გამოუგავო ან რამე მიურბენინო; ან კიდევ სასადილოში შეხვიდე, მაგიდებზე დარჩენილი ჭამები მოაგრო-

ვო და ჭურჭლის სარეცხ ოთახში შეუტანო. ორ-სამ ლუკმას არც იქ დაიშურებენ. ოლონდ სასადილოში ბევრი მეტოქე გამოგინდება და გასაქანს არ მოგცემენ. უმთავრესი კი მინც ისაა, რომ, თუ ჭამში რამეს წააწყდი ჩარჩენილს, გული ვერ გაგიძლებს, ჭამების ლოკვას მიპყოფ ზელს. ხოლო შუხოვს კარგად ახსოვს თავისი პირველი ბრიგადირის ეზოშიმინის სიტყვები. ბანაკის ბებერი მგელი იყო ეზოშიმინი, ცხრაას ორმოცდასამში პატიმრობის თორმეტი წელი შესრულებოდა უკვე და ერთხელ, მოტიტელებულ ნაჯაფში ცეცხლის პირას რომ ისხდნენ, თავის ცვლას — ფრონტიდან ახალჩამოყვანილებს ასე დაარბავა ჭკუა:

— აქ, ბიჭებო, ტაივის კანონებია. მაგრამ ხალხი აქაც ახერხებს ცხოვრებას. ბანაკში ის იღუპება, ვინც ჭამების ლოკვას იწყებს, ვინც სანიტარწლის იმედითაა და ვინც ნათლიასთან — ოპერწმუნებულთან დაძვრება, რომ ხალხს უბოზოს.

ოპერწმუნებულის ამბავი, რაღა თქმა უნდა, ცოტათი გადაამეტა. იმათ კი იციან საკუთარი ტყავის გადარჩენა, ოლონდ სხვისი სისხლის ხარჯზე.

შუხოვი ზარის ჩამორეკვისთანავე დგებოდა მუდამ, მაგრამ დღეს წელი ვერ აიტანა. წუხანდელს აქეთ ვერ გრძნობდა თავს კარგად, აერყოლებდა თუ სახსრებში ამტვრევდა. ვერც ღამით გათბა. ძილში ხან ის ეჩვენებოდა — ნამდვილად ავადმყოფობა მომერიოაო, ხანაც ცოტათი შვეებას იგრძნობდა თითქოს. გულით არ უნდოდა გათენებულიყო.

მაგრამ დილამ მაინც მოატანა.

ვერ გათბა. ან რა გაათბობდა. ფანჯარას ყინულის ქერქი შემოჰკვრია, კედლებზეც, პირაპირისა და ჭერის გასწვრივ, ჰირხლი ობობას ქსელივით მოდებულა.

შუხოვი არ დგებოდა. იწვა ვაგონის ზედა საწოლზე, თავზე საბანი და ბუშლატი წიხურა, ფეხები სათბურის ამოკეცილ სახელოში ჰქონდა წაყოფილი. ვერ ხედავდა, მაგრამ ხმაურზე ატყობდა, რა ხდებოდა ბარაკში და მისი ბრიგადის სამყოფელ კუთხეში. აი, მორიგებებმა დერეფანში მძიმე ნაბიჯებით ჩაატარეს ერთი რვავედროიანი პარაშა. ვითომ — ინვალიდები არიან, იოლ საშტუოს ვაკეთებინებთო! კარგი ბიჭი ხარ და ისე წაიღო პარაშა, არაფერი გადმოვლევარო. აი, 75-ე ბრიგადაში საშრობიდან თექვრების შეკვრა შემოაგდეს. აი, ჩვეენსაშიაც (თექვრების შრობა დღეს ჩვენც გვეწევდა). ბრიგადირი და მისი თანაშემწე ხმის გაუღებლად იცვამენ, საწოლები კი ჭრიალებს. ახლა ბრიგადირის თანაშემწე პურის საჭრელს მიაშურებს, ბრიგადირი — შტაბის ბარაკს — საგეგმო-საწარმოო ნაწილს.

ოღონდ საგეგმო-საწარმოოში კვლავინდებურად განმწესებლებს კი არ მიადგება, — შუხოვს გაახსენდა: დღეს მათი ბედი წყდება — 104-ე ბრიგადას უპირებენ სახელოსნოს მშენებლობიდან გადაამსერონ ახალ ობიექტზე — „სოცქალაქში“. ის სოცქალაქი ერთი მოტყაული და თოვლით გადანაპქრული ველია. ვიდრე სხვა რამე საქმეს შეუდგებოდნენ, იმ ველზე ორმოები უნდა ამოთხარონ, ზოძიები დაასვან და ისევ სათავისოდ ეკლიანი მავთულები გადაჰქონონ — გაქცევით რომ ველარსად გაიქცენ. მერე მშენებლობის დაწყებაც შეიძლება.

ნაღდი ამბავია — იმ ველზე ბარე ერთ თვეს ძვლებს ვერსად გაითბობ კაცი — ვადხურული არაფერი მოიძებნება. ცეცხლსაც ვერ დაანთებ — ცეცხლს ხომ უნდა შეუკეთო რამე! მიდექი და არქე ბოძები.

ბრიგადირი შეფიქრინებულა, საქ-

მის მოსაგვარებლად მიდის. ~~თარგმანსა~~ ერთად სხვა რომელიმე დედამსწრისა უნდა გაქედოს. რასაკვირველია, ხელცარიელს კაციშვილი ყურს არ ათხოვებს. უფროს განმწესებელს ნახევარ კილო ლორს აახლებს. იქნება ერთი კილოც მიართვას.

უღით არაფერი დაშავდება. ხომ არ ესინჯა სანიტრაწილში ერთი დღით საბუშოლიდან განთავისუფლებულიყო? მთელი სხეული მოეშალა და ესაა.

ისიც საკითხავია — დღეს რომელი ზედამხედველი მორიგეობს?

გაახსენდა: ივანი მორიგეობს, ხმელხმელი, აწოწილი, შავთვალა სერფანტი. ერთი შეხედვით ნამდვილი საფრთხობელაა, მაგრამ ახლოს რომ გაიციწეს, ყველა ზედამხედველზე დამყოლი გამოდგა: არც კარცერში სვამს ვინმეს, არც უფროსებთან შიათრევის. ასე რომ ცოტა ხანს შეიძლება იწვეს კაცი, ჯერ მეტხრე ბარაკი წავიდეს სასადილოში.

ვაგონა შეინძრა და აქანავდა. ორნი ერთად დგებოდნენ: ზემოთ — შუხოვის მეზობელი ბაბტისტი ალიოშკა, ქვემოთ — ბუნიოვსკი, მეორე რანგის კაპიტანყოფილი.

ბებერმა მორიგებებმა ორივე პარაშა გაიტანეს და ახლა იმაზე წაიკიდნენ. მდულარზე რომელი წასულიყო. დედაცაყებოვით მიაცივდნენ და ლანძღეს ერთმანეთი. მე-20 ბრიგადაში რომ ელემტროშემდულებელია, იმან უღრიალა:

— ეი, ქაჯებო! — და ნაბდის ჩექმა გაუქანა. — შეგარიგებთ მე თქვენ!

თექვრა ბოძს მოხვდა და ყრუ ხმა გაიღო. დაჩუმდნენ მოჩხუბარნი.

მეზობელი ბრიგადის კუთხიდან ბრიგადირის თანაშემწის ჩუმი ხმა აღწევდა:

— ვასილ ფედორჩი! სასურსათოში ისევ იმამაძღლეს: ცხრაასგრაშიანი ნაჭერი ოთხი იყო და სამი შექნილა, რომელს დავაკლო?

ეს ხმადაბლა თქვა ბრიგადირის თანაშემწემ, მაგრამ, რაღა თქმა უნდა,

მთელმა იმ ბრიგადამ გაიგონა და გაიტრუნა: საღამოს ვიღაცას ჩამოაჭრიან.

შუხოვი კი ისევ იწვა ნახერხის დატკეპნილ ლეიბზე. აჯობებდა, ორში ერთი მომხდარიყო — ან სიცხეს აეწია, ან ტანში ტეხვას გაეცლო. თორემ აღარც ერთი იყო და აღარც მეორე.

ვიღრე ბაპტისტი ჩურჩულით ლოცულობდა, გარედან ბუნიოვსკი შემობრუნდა და თითქოს თავისთვის თქვა ნიშნის მოგებით:

— აბა, დაუღეპით, წითელფლოტელებო! ნაღდი ოცდაათი გრადუსია!

მაშინ შუხოვმა გული დააჭერა — სინტნაფილში უნდა წავიდყო.

და იმავე წამს ვიღაცის უფლებამოსილმა ხელმა სათბური და საბანი ერთად გადახადა. შუხოვმა სახიდან ბუშლატი გადაიძრო, წამოიწია. მის ქვემოთ თათარი იდგა. ხმელ-ხმელი ზედამხედველის თავი ვაგონკის ზედა თაროს უსწორდებოდა.

ესე იგი, რიგვარეშე ყოფილა მორიგედ და მოპარვია.

— ში-რეას ორმოცდაათობმეტი! — ამოიკითხა თათარმა შავ ბუშლატს მიკერებულ თეთრ ნაჭერზე. — სამი დღის კარცერი სამუშაოზე გაუყვანით!

და ვაისმა თუ არა მისი თავისებური ყრუ ხმა, უცხად აწრიალდა მთელი ჩაბნელებული ბარაკი, სადაც ნათურები სანახევროდ არც კი ენთო, სადაც ორასი კაცი იწვა ბალნიჩოებით გამოვსებული ორმოცდაათ ვაგონკაზე. ვინც მანამდე არ ამღვარიყო, ახლა საჩქაროდ ჩაცმას შეუდგა.

— რისი გულისთვის, მოქალაქე უფროსო? — ხმა მოისაწყლა შუხოვმა.

სამუშაოზე რაკი გაყავხართ, უკვე სანახევროდ აღარცაა კარცერი: ცხელ კერძსაც მიიღებ და დაფიქრების დროც არ გექნება. ნამდვილი კარცერი მაშინაა, როცა სამუშაოზე გაუყვანლად ისჯები.

— ზარის ხმაზე არ მდებარეობთ წამოკომენდატურაში, — მანტანტ განუქარტა თათარმა, რადგან მასაც, შუხოვსაც და სხვებსაც კარგად ესმოდათ, რატომ ითქვა კარცერი.

თათრის უბაღნო, მოთელილ სახეზე არაფერი გამოხატულა. მეორე მცონარას მოსაძებნად შეტრიალდა ზედამხედველი. მაგრამ უკვე ყველანი ჩაცმას შესდგომოდნენ — ვინ ნახევრად ბნელში და ვინ ნათურის ქვეშ, ვინ ვაგონკის პირველ სართულზე და ვინ მეორეზე — ზოგი ფეხებს უყრიდა და ბამბულ, მარცხენა მუხლისთავთან ნომერდაკერებულ შარვალში, ზოგს უკვე ჩაეცვა და გასასვლელისკენ მიიქაროდა, რათა გარეთ დაეცადა, ვიდრე თათარი იქაურობას გაეცლებოდა.

სხვა რამის გამო, დამსახურებისამებრ რომ მიესაჯათ შუხოვისთვის კარცერი, გული ასერიგად აღარ დასწყდებოდა, საწყენი ის იყო, ნიადაგ პირველთავანი დგებოდა დილდილობით. მაგრამ იყოდა, თათარს თავისას ვერ გადაათქმევიანებდა. ამიტომ უფრო პირის მოსაწმენდად ქუქუქუნობდა და ამასობაში ტანზე იცვამდა. დაბამბული შარვალის ამოიკრა (მარცხენა მუხლისთავს ზემოთ ამ შარვალსაც ჰქონდა მიკერებული ძველისძველი ქუქუქიანი ნაჭერი, რომელზეც შავი, უკვე ფერგადასული საღებავით ეწერა ნომერი შჩ-854), სათბური ჩაიცვა (სათბურს ორი ნომერი ჰქონდა მიკერებული — ერთი წინ და ერთიც უკან, ზურგზე), ძირს შექუჩულ გროვაში თავისი თექურა ჩექმები ამოარჩია, ქული დაიხურა (ქუდსაც ისეთივე ნომრიანი ნაჭერი ეკერა) და თათარს გაჰყვა.

მთელი 104-ე ბრიგადა ხედავდა. როგორ მიჰყავდათ შუხოვი, მაგრამ ხმა არავის გაუღია: რის მაქნისი იყო რაიმეს თქმა, ან რა უნდა ეთქვათ? ბრიგადირს შეეძლო ცოტათი წასაჩრლებოდ, მაგრამ იქ არსად იყო. შუხოვმაც არავის არაფერი უთხრა, თათრის განა-



წყენებას მოერიდა. საუზმეს შეუნახავენ, ამდენს მოიფიქრებენ.

ასე გავიდნენ ორივენი.

ნისლიანმა ყინვამ სუნთქვა შეუქრა. შორეული კუთხის კოშკურებიდან ორი დიდი პროექტორი ჯვარდინად ეცემოდა ბანაკის არეს. ზონაშიც და შიგნითაც იმდენი ნათურა ენთო, ვარსკვლავები აღარ იხილვებოდა.

თექურების თოვლზე პრაქტულით მიმორბოდნენ ტუსალები — ვინ ჩემისკენ, ვინ საწყობისკენ, ზოგი ამანათების საწყობში მიიჩქაროდა, ზოგიც — ინდივიდუალურ სამზარეულოში ბურღულის ჩასაბარებლად. თავი ყველას მზრებში ჩაერგო, ბუშლატებში მჭიდროდ გახვეულიყვნენ. და ყოველი მათგანი სიცივეს აეტანა — იმდენად ყინვა არ აწუხებდათ, რამდენადაც იმის ფიქრო, რომ მთელი დღე ასეთ ყინვაში უნდა ყოფილიყვნენ. თავის ძველ მაზარაში გახვეული თათარი კი დინჯად მილაჯებდა, თითქოს სულაც არ იყო შემცივებული.

ჩაუარეს ბანაკის შიდაციხეს შემოვლებულ ხის მესერს, ჩაუარეს ეკლიან მავთულს, რომლითაც პურის საცხოზი პატიმრებისგან იყო დაცული; ჩაუარეს შტაბის ბარაკის კუთხეს, სადაც მსხვილ მავთულზე ერთიანად პირხლოდებული რელსი ეყიდა; ჩაუარეს ბოძს, სადაც ასევე დაპირხლოული თერმომეტრი ეკიდა მყუდროში, რათა სინდიყი ერთობ დაბლა არ ჩამოვარდნილიყო. შუხოვმა მოიმედე თვალი შეავლო თერმომეტრის რძესავით თეთრ მილს: ორმოცდაერთი გრადუსი რომ ეჩვენებინა, სამუშაოდ აღარ გარეკავდნენ. მაგრამ დღეს ორმოცამდეც ვერ დასულიყო.

შტაბის ბარაკში, ზედამხედველთა ოთახში შევიდნენ. როგორც შუხოვმაც იაზრა ვზადავზა, იქ ცხადი შეიქნა, რომ მისთვის კარცერი არ მიუსჯიათ — ზედამხედველთა ოთახში იატაკი იყო მოსარეცხი და მეტი არაფერი. თათარმა

გამოუცხადა — დანაშაული მტკაეტეფულოაო, და იატაკის მორეცხვა შეეძინა.

ზედამხედველთა ოთახში იატაკის მორეცხვა ევალებოდა სპეციალურ პატიმარს — შტაბის ბარაკის მორიგეს, რომელიც ბანაკს გარეთ არ გაჰყავდათ. მაგრამ მას შტაბის ბარაკში უკვე დიდი ხანი ჰქონდა მოთეული, მაიორის კაბინეტშიც შეეძლო შესვლა, რეჟიმის უფროსთანაც და ოპერთანაც. მათ ემსახურებოდა, ზოგჯერ ისეთ რამესაც მოპკრავდა ყურს, რაც ზედამხედველებმაც არ იცოდნენ, ამიტომ ეს ერთი ხანია აზრად მოუვიდა — აღარ შემშვენის უბრალო ზედამხედველებს იატაკი ვურეცხო. ამათაც ერთხელ უხმეს, მეორედ, მერე მიზეზს მიხვდნენ და ამ საქმეზე მუშა ხალხის მოდენას მიჰყვეს ხელი.

საზედამხედველოში ღუმელი დღეღუნებდა. ბინძური გინასტურების ამარა ორი ზედამხედველი შაშს თამაშობდა, მესამეს ქამარშემოკერილი ტყაპუქისა და თექურების გაუხდელად მისძინებოდა ვიწრო სკამლოგინზე. კუთხეში ვედრო იდგა, შიგ ჩვარი იყო ჩაგდებული.

შუხოვმა გაიხარა და გამომშვიდობებისას თათარს უთხრა:

— მაღლობთ, მოქალაქე უფროსო! აწი აღარასოდეს დაგავიანებ ადგომას.

კანონი აქ მარტივია: სამუშაოს მორჩები და წახვალ. ახლა, რაკი სამუშაო მისცეს, შუხოვს თითქოს აღარც ამტვრევედა ტანში. ვედრო აიღო და უხელთათმანომ (სიჩქარეში ბალიშქვეშ დარჩენოდა) ქისკენ გასწია.

საგეგმო-საწარმოო ნაწილში ნამყოფი რამდენიმე ბრიგადირი ბოძთან შეჯგუფულიყო. მათგან უფრო ახალგაზრდა, საბჭოთა კავშირის ყოფილი გმირი, ბოძზე ამჭვრალიყო და თერმომეტრს პირხლს აცლიდა.

— შენ ოღონდ იქით ისუნთქე, თორემ აიწევეს.

— აიწევეს არა... ნასუნთქი არ მოქმედებს ამაზე.

შუხოვის ბრიგადირი ტიურინი მათ



შორის არ ჩანდა. შუხოვემა ვედრო და-  
დგა, ხელები სახელოებში შემალა და  
ცნობისწადილმორეული შეჩერდა.

ბოშზე ამძვარალმა ხრინწიანი ხმით  
თქვა:

— ოცდაშვიდნახევარია ეს დაღუპუ-  
ლი.

ერთხელაც დახედა თერმომეტრს  
გულის დასაჯერებლად და ჩამოხტა.

— მოშლილია, ძმაო, ურევს ხოლმე.  
— თქვა ვილაყამ. — სწორ თერმო-  
მეტრს აქ დაგიკიდებენ?

ბრიგადირები წავიდ-წამოვიდნენ.  
შუხოვეი ჰისკენ გაიქცა. ყურებიანი ქუ-  
დი ნიკაპთან არ შეეკრა და ყინვა უქე-  
რდა.

ჰის გვიმს სქელი ყინული შემოკე-  
როდა, ისე რომ ვედრო ძლივს გაეტი-  
ათოკი მარგილივით გაშეშებულყო.

ყინვამ ლამის წააცალა ხელები. ორ-  
თქლადენილი ვედრო საზედამხედველო-  
ში შეარბენინა და ხელები შიგ ჩაჰყო.  
სითბო იგრძნო.

თათარი აღარსად ჩანდა, ოღონდ  
სამის ნაცვლად ოთხი ზედამხედველი  
დაუხვდა მანც. შაშის თამაშსა და ძი-  
ლზე ხელი აეღოთ და დაობდნენ — იან-  
ვარში ბურღულს რამდენ-რამდენს და-  
გვირიგებენო (ახალშენში პროდუქტე-  
ბის ნაკლებობა იყო და ზედამხედვე-  
ლებს, თუმცა ბარათები კარგა ხნის გაუ-  
ქმებულნი იყო, ცოტ-ცოტა რაღაც ფას-  
დაკლებით ეძლეოდათ).

— კარი მიხურე, შე დამბალო, გვი-  
ბერავს! — გამოიხედა ერთ-ერთმა.

არ ივარგებდა, ამ დილაუთენიასვე  
რომ დასველებოდა ნაბდის ჩექმები. არ-  
ადა, ბარაკშიაც რომ მიბრუნებულყო.  
გამოსაცვლელი არაფერი მოეძებებო-  
და. აქ ჯდომის რვა წლის მანძილზე ფე-  
ხსაცმლის მიღების მრავალნაირი წესი  
გაიცნო შუხოვემა: ზოგჯერ სულაც უთე-  
ქურებოდ უხდებოდათ გამოხამთრება;  
ხან ყელიან ფეხსაცმელს თვალთაც  
არ შეახედებდნენ, მარტო ჭალამნებს  
აძლეოდნენ და რეზინის ფეხსაცმელს.

ამ ბოლო ხანებში ფეხსაცმლის საქმე  
ვითომ ცოტათი გამრქეთდა: შუხოვემა  
ოქტომბერში მიიღო (იმითომ მიიღო,  
რომ ბრიგადირის თანაშემწესთან ერთ-  
თად საწყობში შეეკრა) ზორბა, მაგარ-  
ცხვირიანი ფეხსაცმელი. ფეხი შიგ ისე  
გემრიელად ეჯდა, ორი თბილი ფეხსა-  
ხვევის ადგილი კიდევ რჩებოდა. ერთი  
პირობა მაყაროვით იარა, სულ ქუსლებს  
დააბაკუნებდა. დეკემბერში კიდევ თე-  
ქურებმა მოუსწრო და აშენდა კაცი.  
მერე ვილაც ოხერმა ბულალტერიაში  
უფროსს უჩურჩულა: თექურები მიღე-  
ბით მიიღონ, მაგრამ ფეხსაცმელი უკან-  
ვე ჩავვაბარონო. ვითომ — რა წესი  
იქნება, პატიმარს ორი წყვილი ერთად  
რომ ჰქონდესო! შუხოვეს არჩევანმა მო-  
უწია: ამ მთელი ზამთარი იმ ტყავის ფე-  
ხსაცმელში უნდა გაეტარებინა, ან თე-  
ქურებს დასჯერებოდა, თოვლქყაშიაც  
იმით ევლო და ფეხსაცმელი დაებრუ-  
ნებინა. მერე რანაირად უვლიდა, სო-  
ლიდოლით არბილებდა! ახალთახალი  
ფეხსაცმელი იყო! რვა წლის განმავლო-  
ბაში გული ისე არაფერზე დასწყვეტია,  
როგორც იმ ფეხსაცმელზე. ერთ გრო-  
ვად მოაქუჩეს, გაზაფხულზე ვინა  
მიგასუნინებს!

ახლა შუხოვემა ასე ამჯობინა: თექუ-  
რებიდან მარჯვედ ამოძვრა, ჩექმები  
კუთხეში დატოვა, ფეხსახვევებიც შიგ  
ჩააგდო (იატაკზე კოვზმა მოიღო წკრი-  
ალი. ხომ ისე ჩქარა გამოეწყო საკარცე-  
როდ, კოვზი მანც არ დავიწყებია!),  
ფეხშიშველმა ჩეარი მოიმარჯვა და  
წყალი ზედამხედველთა თექურებისკენ  
მიუშვა.

— ნელა, შე ქეციანო! — იყვირა  
ერთმა და ფეხები სკამზე შემოაწყო.

— ბრინჯიო? ბრინჯი სხვა ნორმით  
მოგედის, ბრინჯს ნუ უყურებ შენ!

— რაა, შე გამოთაყვანებულო, ამ-  
დენი წყალი? იატაკს ასე ვინ რეცხავს?

— ისე ვერ მოირეცხება, მოქალაქე  
უფროსო! ჰუჰუი გაჯდომია..



— ის მინც არ გინახავს როდისმე, შენი დედაცაი როგორ რეცხავდა იატაკს, ლორო?

შუხოვი წელში გაიმართა. ხელში ჩვარი ეჭირა და ჩვარს წყალი ჩამოსწორწურებდა. ალაღად გაიღიმა და ნაკლული კბილები გამოაჩინა. კბილები უსტ-ემში დასძვრა სურავანდისგან, ორმოცდასამში, როცა ისე იყო მიჯანდაგებული, სისხა გასდიოდა, გასავათებული კეჭი საჭმელს არაფერს იკარებდა. ახლა იმ დროიდან მარტო ჩლიფინილა შემორჩა.

— ჩემი დედაცაი, მოქალაქე უფროსო, ორმოცდაერთში დამატოვებინეს. აღარც მაგონდება, ქალად როგორი ქალი იყო.

— აი, ასე რეცხავენ ესენი... არაფრის გაკეთება არ იციან და ხელის განძრევაც არ უნდათ... მაგათ რომ ეძლევათ, იმ პურის საღირალიც არ არიან. ნეხვი უნდა აკამო მაგათ.

— ან რა ფეხებად უნდა ყოველდღე მორეცხვა? ნესტი დგას ისედაც. გამიგონე, რვაას ორმოცდაათობნეტო, შენ ასე ჰქენი — ცოტა წაუსვ-წამოუსვი, სისველე რომ იყოს, იმდენი, და დაიკარგე აქედან.

— ბრინჯიო! შენ ბრინჯს და ბურღულს ნუკი აურევე!

შუხოვი მარჯვედ იყო.

მუშაობა ჯობივითაა — ორი ბოლო აქვს: თუ მართლა კაცისთვის მუშაობ, ხარისხიანად უნდა აკეთო, თუ შტერებისთვის — თვალში ნაცრის შეყრაც კმარა.

სხვანაირად დიდი ხანია ყველას სული ამოსძვრებოდა.

შუხოვმა იატაკს მოუსვა, რომ მშრალი არსად დარჩენილიყო, გაუწურავი ჩვარი ღუმელს ღვან მიავლო. თექვრები ჩაიკვია და სასაღაროსაკენ გასწია.

სანიტანაში შევლაც უნდა მოესწრო, ტანში ისევ ამტრევედა. ისიც საფიქრებელი იყო, სასაღაროს წინ შედამხედველებს არ გადაპყროდა: ბანა-

კის უფროსის ფიცხელი ბრძანებით გამოცემული — ბრიგადებს ჩამორჩეხილნი დაეჭირათ და კარცერში ჩაესვათ.

სასაღაროს წინ — საკვირველი ამბავია — ხალხი არ ირეოდა, რიგი არ იდგა. შებრძანდი!

შინით აბანოსაკით ორთქლი იდგა — კარებიდან შემოსული ყინვისა და ბალანდის ორთქლი. ბრიგადები მაგიდებს შემოსხდომოდნენ ან გასასვლელებში გაქედლიყვენენ და ადგილის დაცლას ელოდებოდნენ. ყოველი ბრიგადიდან ორი-სამი კაცი სივიწროვეში ყვირილით გზას მიიკვლევდა. ხის სინებით ბალანდა და ფაფა მიჰქონდათ და მაგიდებზე დასადგმელ ადგილს ეძებდნენ. მინც არაფერი ეყურება ამ ჩერჩეტს. ესეც შენ, სინი მოგაფეთეს! თავისუფალი ხელით კისერში მოჩანთე, მოჩანთე მაგას! სწორია! ნუ გაჩერებულხარ გასასვლელებში და თვალებს ნუ აცეცებ — სად რა ატლიყო.

ეგერ. მაგიდასთან, ყმაწვილი კაცი ჯერ ჰამას არ შესდგომია — პირჯვარს იწერს. ეტყობა, დასაველეთ უკრაინელია, თანაც არიფი.

აბა, რუსებს ისიც აღარ ახსოვთ, რომელი ხელით უნდა პირჯვარს გადაწერა.

სასაღაროში ცივა. ქუდმოუხდელად ჰამენ, მაგრამ არ ჩქარობენ. შავი კომბოსტოს ფოთლებში გულმოადგინედ ეძებენ წვრილი თევზის ნახარშს და ძელებს მაგიდაზევე აფურთხებენ. როცა ძელები ბლომად დაგროვდება, ახალი ბრიგადის მოსვლისას ვინმე ხელს წამოუსვამს და ძირს გადაუძახებს. მერე იატაკზე გააქვს იმ ძელებს ლიწინლიწინი.

ძელების პირდაპირ იატაკზე გადმოფურთხება უწესობად ითვლება.

შუა ბარაკს ორ რიგად მიუყვებოდნენ სვეტები იყო თუ საბიჯებო, და ერთ ასეთ სვეტთან შუხოვის ბრიგადის წევრი ფეტიჟოვი იჯდა, მის საუბრებს დაარაჯობდა. ბრიგადაში ერთი უკანასკნელი



თავანი იყო ფეტუკოვი, შუბოვზე უარესი. გარეგნულად მთელი ბრიგადა ერთნაირია, ყველას შავი ბუმლატი აცვია და ზედაც ნოჰერი აქვს მიკერებული. მაგრამ შეგნით ყველა თანაშორი როდია — საფებურებივით მისდევენ ერთიმეორეს. ბუინოვსკი შენს ჯამს დარაჯად არ დაუდგება, და არც შუბოვი მოჰკიდებს ზელს ყოველნაირ საქმეს, ზოგიერთ რამეს კიდევ ითაკილებს.

ფეტუკოვმა შენიშნა შუბოვი, ამოიოხრა და ადგილი დაუთმო.

— სულ გაცივდა. უკვე შექმას ვაძირებდი, ვიფიქრე — კარცერშია-მეთქი. თქვა და აღარ დაუცდია. იცოდა — შუბოვი არაფერს დაუტოვებდა, ორივე ჯამს მოასუფთავებდა.

შუბოვმა თქუტირიდან კოვზი დააძრო. ძვირად უღირდა ეს კოვზი, მის მოუშორებლად მოიარა მთელი ჩრდილოეთი. თავად ჩამოასახა ალუმინის მავთულისაგან. ზედ ტვიფარიც კქონდა: „უსტ-იგმა, 1944“.

მერე გადაპარსული თავიდან ქუდი მოიხადა, — რაც უნდა სიცივე ყოფილიყო, თავისთავს ნებას არასოდეს მოსცემდა ქუდმოუხდელს ექამა, — გაცივებულ ბალანდას მოუტრია და სწრაფად შეამოწმა, თუ რა მოხვედრილიყო მის ჯამში. ასე, საშუალოდ ეწილადებიანთ. არც სავსე ქებაიდან დაუსხამთ, მაგრამ არც ნაძირალა მიუციათ. ფეტუკოვს ისიც ეყოფა, რომ დარაჯობაში მისი ჯამიდან კარტოფილი ამოუცანცლავს.

ბალანდას ის მინც აქვს კარგი, რომ ცხელია ხოლმე, მაგრამ ახლა შუბოვს სულ გაცივებულა შეხვდა. მინც ნელა, გულდასმით შეუდგა ქამას. სასადილოში თავზე სახლი რომ გენგრეოდეს, მინც არ უნდა ანქარდე. თუ ძილს არ ჩავგდებთ, პატიმარი საკუთარი თავისთვის დილით საუზმეზე ათ წუთს, სადილად ხუთ წუთს და ეახშმადაც ხუთიოდე წუთს ცხოვრობს მხოლოდ.

ღლეები-ღლეებს მისდევდა, მაგრამ ბალანდა არ იცვლებოდა, ოღონდ საკით-

ხავი იყო — რომელ ბოსტნეულს მოიმარაგებდნენ საზამთროდ. შარშან დამწინლებული სტაფილო მოზიღეს მხოლოდ და სექტემბრიდან ივნისამდე სტაფილოიანი ბალანდა კეთდებოდა. წელს შავი კომბოსტოა მოტანილი. ყველაზე მაძლრად პატიმარი ივნისშია: ყოველგვარი ბოსტნეული თავდება და ბურღულით ცვლიან. ყველაზე უარესია ივლისი — კინჰარს ხარშავენ.

იმ წვრილი თევზისა მეტწილად ძვლები ხვდებოდა. ხორცი ჩახარშულა, ჩანქლეულა, თავსა და კუდსლა შერჩენია. თევზის ხერხემაღზე შუბოვს არც ხორცის ნამცეცი შეუტრჩენია და არც ქერცული. მინც ღებავდა, ძვლებს წუწნიდა და მერე მაგიდაზე აფურთხებდა. რანაირი თევზიც უნდა ყოფილიყო, ყველაფერს ჰამდა შუბოვი: ლაყუნებსაც, კუდსაც. თვალებსაც ჰამდა, თუ თავის ადგილზე იყო შერჩენილი. მაგრამ თუ ჩახარშებოდა და ჯამში ცალკე დაცურავდა თევზის ღიდრონი თვალები, მაშინ პირს არ აკარებდა. ამის გამო სხვები დასციროდნენ.

ღლეს ეკონომია გააკეთა შუბოვმა: ბარაკში არ შეუვლია და თავისი უღუფა არ მიუღია. ამიტომ ახლა უბუროდ ჰამდა. მერე მარტო პურს მიადგება, ასე უფრო მაძლრსიცაა.

მეორე თავად მაგარას ფაფა გაეკეთებინათ. ცივი ფაფა ისე გასქელებულიყო, შუბოვი ნაჭერ-ნაჭერ იღებდა ჯამიდან. მაგარას ცივს კი არა, ცხელსაც არა აქვს არც გემო და არც ნაყოფიერება: ბალახია და მეტი არაფერი, ოღონდ მოყვითალო. ფეტვის ბურღულს ჩამოჰგავს. ვიდაცას აზრად მოუვიდა ბურღულის მაკერობა გაეწვეინებინა. ამბობენ, ჩინელებისგან გადმოიღესო. მოხარშული საშამს გრამს იწონის და მორჩა: ფაფა თუ არაა, მინც ფაფად საღდება.

შუბოვმა კოვზი გალოკა, თქუტრაში თავის ადგილას ჩაიდვა, ქუდი დაიხურა და სანიტანწილისკენ გასწია.

ბანაკის ნათურებით ვარსკვლავებშიმქრალი ზეცა ისევ ბნელს მოეცვა. ორი-

პროექტორი ისევე ისე ფართო ნაკადვებად ეფინებოდა ზონას. ამ განსაკუთრებულ ბანაკს რომ აშენებდნენ, დაცვას ჯერ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი უამრავი საფრონტო მანათობელი მამხალა. სინათლის ჩაქრობისთანავე აისროდნენ ბანაკის თავზე თეთრ, მწვანე, წითელ მამხალეებს, ნამდვილი ომი გეგონებოდა. მერე მოეშვენ მამხალეების სროლას. ძვირი თუ უჯდებოდათ.

ისეთივე ღამე იყო, როგორც წამოდგომისას, მაგრამ ნაცადი თვალი სხვადასხვა წვრილმანი ნიშნის მიხედვით ადვილად შეამჩნევდა, რომ მალე სამუშაოზე გაყვანის ზარს ჩამოკრავდნენ. ჩოლოხას თანაშემწე (სასადილოს მორიგე — ჩოლოხამ თანაშემწეც გაიჩინა) გაემართა შექქვსე — ინვალიდთა ბარაკის საუბრეზე დასაძახებლად. ინვალიდები ბანაკს გარეთ არ გაჰყვებოდათ. კულტურულ-სააღმწერლო ნაწილისკენ წაჩანჩაღდა მოხუცი წვეროსანი მხატვარი. ფუნჯზე და საღებავზე წაფიდა, ნორების საწერად. ამქარებულმა თათარმა განიერი ნაბიჯებით გადაქრა საწყობიო ხაზი შტაბის ბარაკის მხარეს. საერთოდ, გარეთ ზალბი შეთხელდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყველანი შეუქმულან და თბებიან უკანასკნელ ტყბულ წუთებში.

შუბოვი მარდად დაემალა თათარს ბარაკის კუთხის უკან: მეორედ რომ გადაპროდა, ისევე მოხედებოდა. საერთოდ, მუდამ ფხიზლად უნდა იყო კაცი. უნდა შეეცადო, რომელიმე ზედამხედველმა მარტო არასდროს ჩაგველოს, მხოლოდ ჯგუფში მიმავალს გზდაედეს. იქნებ კაცს ეძებს სამუშაოზე გასაგზავნად? იქნებ გულის წაყვირ აწუხებს და ვერაფერზე ამოუყრია? ხომ წაიკითხეს ბარაკ-ბარაკ ბრძანება — ზედამხედველთან შეხვედრისას ხუთ ნაბიჯზე უნდა მოიხადო ქელი და, რომ ჩაუვლი, ორი ნაბიჯის მერე შეგიძლია დაიხურო. ზოგი ზედამხედველია, ბრძანებით მოდის, ფეხებზე ჰკიდია შენი ქელი, მაგრამ ისეთებიც არიან, დიდად

სიამოვნებთ ეს ამბავი. რამდენიმე წელიწადი კარცერში ამ ქელის გამო! უკან მოცდა სკობს ნამდვილად.

თათარმა ჩაიარა და ის იყო შუბოვი სანიტნაწილისკენ აბირებდა გაქცევას, რომ გაახსენდა: ამ დღით დათქმული ჰქონდა შეხვედრა მეშვიდე ბარაკულ გრძელ ლატეილთან, — ორი ჰქონდა შინაური თუთუნი უნდა ეყიდა მისგან. შუბოვი კი საქმეებს გადაჰყვდა და გულიდან გადაუვარდა ეს ამბავი. გრძელმა ლატეილმა ამანათი წუხელ მიიღო, ზეალ ის თუთუნი, შესაძლოა, აღარც ექნეს და უცადე მერე მთელი თვე ახალ ამანათს. კარგი თუთუნი ჩამოუღდის ლატეილს — ზომიერად მაგარი და სურნელოვანი, მოწაბლისფრო.

გული დასწყდა შუბოვს, შეყოვნდა — მეშვიდე ბარაკისკენ ხომ არ გაუფხვიოო. მაგრამ სანიტნაწილი აქვე იყო და მისკენ გაიქცეულდა. ფეხქვეშ თოვლი ჰრამუნებდა.

სანიტნაწილის დერეფანი კვლავინდებურად ისე ქათქათებდა, კაცს იატაკზე ფეხის დაღვმა შეეგშინებოდა. კვლავ ბიცი თეთრად პრიალებდა, ავეჯიც თეთრი იღვა.

ყველა კაბინეტის კარი დაკეტული დაუხვდა. ექიმები ჯერ ლოგინიდანაც არ იქნებოდნენ ამდგარი. სამორიგეოში ფერშალი აღმოჩნდა — ქაბუკი კოლია ვდოვუშკინი, სპეტაკი ხალათით მოსილი სუფთა მაგიდის მისჯლომოდა და რალაცას წერდა.

მეტი არაფერი იყო.

შუბოვმა ქელი მოუხადა, ისევე, როგორც უფროსების წინაშე აყუთებდა. პატიმართა ჩვეულებაა — სადაც არ მართებთ, იქ ჩაიქციტონ. შუბოვმაც უმალ შენიშნა, რომ ნიკოლაი სწორ-სწორ ბუკარებს ავლებდა ქალაღზე, თანაც ყოველ ბუკარს ზუსტად ერთიმეორის ქვეშ მთავრული ასოებით იწყებდა. რასაკვირველია, შუბოვი მამინევი მიხვდა, რომ ეს სამსახურის სამუშაო კი არა, წასაიძისქნებელი საქმე იყო. მაგრამ ეს ამბავი მას არ ეციოთებოდა.

— იცი, ნიკოლაი სემიონიჩ... მე, მგონი... ავად უნდა ვიყო... — ხათრიანად ჩაილაპარაკა შუხოვმა.

ვლოვუშკინმა დიდრონი, მშვიდი თვალები მოსწყვიტა სამუშაოს. მას თეთრი ჩაჩი ეხურა, თეთრი ხალათი ეცვა და არც ნომერი უჩანდა საღმე.

— მერე რაღა ასე გვიან მოხვედი? წუხელის ვერ მომაკითხე? ხომ იცი, დილაობით მიღება არაა? განთავისუფლებულთა სია უკვე საგვეგმო-საწარმო-შია.

შუხოვმა იცოდა ეს ყოველივე. ისიც იცოდა, რომ განთავისუფლება არც საღამოთია უფრო იოლი საქმე.

— ხომ იცი, კოლია... ეს დაღუპული სილამოსე, როცა საჭიროა, მაშინ არ აგტკივდება...

— რა ეს? მაინც რა გტკივა?

— კაცმა რომ თქვას, თითქოს არც არაფერი მტკივა, მაგრამ ვერ ვარ კარგად.

შუხოვი იმათგანი არ იყო, ვინც სანიტარულს აეცილება ხოლმე. ეს იცოდა ვლოვუშკინმა. მაგრამ მას უფლება ჰქონდა დილაობით ორი კაცი გაეთავისუფლებინა: ეს ორი კაცი მან უკვე გაათავისუფლა. მაგიდაზე, მომწვანო ფერდაკრული მინის ქვეშ ჩაწერილი იყო ის ორი კაცი და მათ ქვემოთ ხაზი იყო გავლებული.

— აღრევე უნდა შეგეწუხებინა თავი. რაღა ზედ სამუშაოზე გაყვანის წინ მომაკითხე? აჰა!

ვლოვუშკინმა მინის ქილიდან თერმომეტრი ამოიღო, ხსნარი შეაწმინდა და შუხოვს გაუწოდა.

შუხოვი კედელთან ჩამოჯდა სკამ-ლოგინზე, ზედ კიდეში ჩამოჯდა, თავს ძლივს იმაგრებდა, რომ სკამლოგინთან ერთად არ აყირაგებულყო. ასეთი უხერხული ადგილი განზრახ კი არ შეურჩევია. უნებურად დადასტურა — სანიტარულში ყოფნა მეუცხოება და აქ მხოლოდ მცირე სათხოვარმა მომიყვანაო.

ვლოვუშკინმა წერა განაგრძო.

სანიტარული ბანაკის ცენტრში ყველაზე მიყრუებულ კვანძში მოთავსებული. არავითარი ხმა აქამდე არ აღწევდა. კედლის საათიც კი არ წიწყივებდა. პატიმრებს საათის ტარება ეკრძალებათ, მათ მაგივრად დროს უფროსები ანგარიშობენ. თავველებიც კი არსად ფხაქუნობდნენ, საგანგებოდ მოყვანილმა კატამ მუსრი გაავლო, თუკი საღმე თავი მოიძვევებოდა.

საუცხოო რამე იყო ასეთ დაწკრილებულ ოთახში, ასეთ სიწყინარესა და სინათლეში ხუთი წუთის უქმად გატარება. შუხოვმა ყველა კედელი მოათვალიერა, მაგრამ ზედ ვერაფერი აღმოაჩინა. მერე თავის სათბურს დახედა — შეკრძნე ნომერი გატრეცილა, უნდა გააახსლებინოს, თორემ ჩაველებენ. თავისუფალი ხელით წვერიც მოისინჯა — გვარიანად წამოზრდილა, იმ აბანოს მერე ეზრდება, ათი დღე იქნება უკვე. რას უშლის. ერთ სამ დღეში ისევ აბანავენ და მაშინ გაიპარსავს. რად უნდა სპარიკმახეროს რიგში მოცდენა, ვის აწონებს თავს?

მერე, ვლოვუშკინის ქათქათა ჩაჩის ქვეშაში, შუხოვს გაახსენდა სანიტარული მდინარე ლოვატის პირას. გაახსენდა, როგორ მივიდა იქ უბადიანებელი და — სულელი მისი თავი! — საკუთარი ნებით დაუბრუნდა ნაწილს. ბარე ზუთ დღეს კი შეეძლო წოლილიყო.

ახლა ოცნებობს: ნეტავი ერთი-ორი კვირით ავად გახადა, ოღონდ ისე, რომ სასიკვდილო არ იყოს და არც ოპერაცია დასჭირდეს. მხოლოდ საავადმყოფოში დააწვინონ. მგონი, სამ კვირასაც იწვებოდა გაუნძრევლად. რა უშავს, ცარიელ ბუღიონზე ამყოფონ.

მაგრამ შუხოვს გაახსენდა — ახლა საავადმყოფოშიაც არ დაგაცლიან წოლას. რომელიღაც ეტაპს ახალი ეჭიმი ჩამოჰყალიბა — სტეპან გრიგორიჩი, ერთი დამთხვეული ვიდაცა. თავადაც სულ წრიალებს და არც ავადმყოფებს აძლევს მოსვენებას, ვისაც სიარული

შეუძლია, ყველას სამუშაოზე მიერეკება: საავადმყოფოს ეზოში მესერს აკეთებინებს, კვლებს აყვანილებს, კლუბებისთვის მიწას აზიდვინებს, ზამთრობით კიდევ თოვლს ახევეტინებს. ავადმყოფობის პირველი წამალი მუშაობაა.

ნამეტანი გარჯა ცხენსაც მოკლავს. ეს უნდა ესმოდეს კაცს. ერთი კედლის ამოყვანაზე დაეტყავებინა ხელები! ჰკუთხე მოვიდოდა.

ვლოფუშკინი საწერს არ ეშვებოდა. მართლა წასაიძისაქნებელ საქმეს იყო მიძღვარი, ოღონდ შუხოვს ამ საქმისა არაფერი გაეგებოდა. იქნა კოლია და იწერდა გუშინდელ შეთხზულ ლექსს, შებირებული იყო — დღეს სტეპან გრაგორიჩისთვის უნდა ეჩვენებინა, სწორედ იმ ექიმისთვის, შრომიითი თერაპიის დამცველად რომ მოველინა ბანაკს.

ასეთი ამბები მხოლოდ ბანაკში თუ მოხდება: სტეპან გრიგორიჩმა ურჩია ვლოფუშკინს — თავი ფერშლად გამოაცხადო, მერე აიყვანა კიდევ ფერშლად. ვლოფუშკინიც მიდგა და გავარჯიშდა ვენის შიგნით ნემსების კეთებაში. სავარჯიშოდ ჰყავდა უბირი პატრინები, რომლებიც ვერაფრით წარმოიღგენდნენ, რომ ფერშალი შეიძლება მართლა ფერშალი არც კი იყოს. ისე კოლია ლიტერატურის ფაქულტეტის სტუდენტი გახლდათ, მეორე კურსზე დაპატრინებული. სტეპან გრიგორიჩს ეწადა, კოლიას ციხეში დაეწერა ის, რის დაწერაც თავისუფლებაში არ დასცალდა.

შემოყინულ ორმაგ მინებში ზარის ხმამ ძლივს გამოაჯანა. შუხოვმა ამოიხორბა და წამოდგა. ტანში ისევ ამტვრევდა, მაგრამ, ეტყობა, დღეს ათესკას ვერ მოახერხებდა. ვლოფუშკინმა თერმომეტრი ჩამოართვა და დახედა.

— ხომ ხედავ, არც აქეთაა და არც იქით, ოცდაჩვიდმეტი და ორია. ოცდათვრამეტი რომ ყოფილიყო, ვერაფერი იტყოდა რამეს. არ შემიძლია შენი განთავისუფლება. შენი ნებით დარჩი, თუ გინდა. ექიმი შეგამოწმებთ და ავად-

მყოფებს ის გაათავისუფლებს, კარგად მყოფებს კიდევ უარს მოახსენებს. შეიდა ციხეში ვაგზავნის. სჯობია წახვიდე სამუშაოდ.

შუხოვმა არაფერი უბასუხა, თავიც არ დაუქნევია, ჭული ჩამოიფხატა და გამოვიდა.

მაძღარს მშვიერიც მაძღარი ეგონაო. ყინვა უპერდა. ნისლიანი ყინვა შემოევწნო და ხელებს დააწყებინა: ყინვა ოცდაშვიდ გრადუსს აღწევდა, შუხოვს ოცდაჩვიდმეტი ჰქონდა. ახლა მთელი საქმე ის იყო, ვინ ვის აჯობებდა.

ბარაკისკენ გაუჩქარა შუხოვმა. სამწკრივო ხაზი ცარიელი ჰყო და ბანაკიც გამოცარიელებულს ჰგავდა. ის ხანმოკლე წუთი იდგა, როცა იმელი ალარაფრისაა, მაგრამ თავს იტყვილებენ — არა, არ გავციყვანენო სამუშაოზე. ბაღრაგა თბილ ყაზარებში ჩამსხდარა, ძილმორეულებს თავები შამხანებზე ჩამოუდღვიათ. იმათაც არაფრად ეპრიანებათ ასეთ ყინვაში კომკურებზე ფეხების ბაჯენი. გუშაგები მთავარ საგუშაგოზე ლუმელს უკეთებენ. საზედამხედველოში ზედამხედველი ჩხრეკის წინ უკანასკნელ პაპიროსს ექაჩებიათ. პატრონებს მთელი თავისი ავლადილება უკვე ტანზე შემოუბლარდნიათ, ყველა თოკი შემოუჭერიათ, სახე რომ არ გაეყინოთ, ნიკაიდან დაწყებული თვალბამდე ჩვრები შემოუხვევიათ, ჩექმებგაუხდელად საწოლებზე მიგდებულან და თვალდახუჭულნი გატრუნულან. ვიდრე ბრიგადირი დაიძახებდეს: „ადე-ექ!“

მთელ მეცხრე ბარაკთან ერთად 104-ე ბრიგადაც თვლემდა. მხოლოდ ბრიგადირის თანამშემწეს პავლოს ფანქარი აედო. ტურებს აცმაცუნებდა და რალაცას ანგარიშობდა. ზედა საწოლზე კი შუხოვის მეზობელი, დაბანილ-დასუფთავებული ბაპტისტი ალიოშკა კითხულობდა უბის წიგნაკს, რომელშიც ნახევარი სახარება ჰქონდა გადაწერილი.

შუხოვი სწრაფად შემოიჭრა ბარაკში, მაგრამ ჩქამიც არ გაუღია, ბრიგადირის თანამშემწის საწოლს მიაშურა.

პავლომ თავი ასწია.

— არ ჩავაჯინეს, ივან დენისიზი? ცოცხალი ხართ?

დასავლეთ უკრაინელი იყო პავლო და იქაურად უქცევდა.

მაგიდიდან შუბოვის ულუფა აიღო და გაუწოდა. პურის ნაჭერზე შაქრის ფხვნილი წამობორცვილიყო.

ძალიან ჩქარობდა შუბოვი, მაგრამ მაინც როგორც რიგი და წესი იყო, ისე შეეპასუხა (მრავალდირის თანაშემწე უფროსად გეკუთვნის, მასზე მეტიც კია დამოკიდებული, ვიდრე ბანაის უფროსზე). ისე ჩქარობდა, პურზე დაყრილი შაქრის ფხვნილი ტუჩებში მოიქცია. ენითაც ალოკა, თან ფიცხლად თავის საწოლზე აძვრა და სწორება დაუწყო. ოღონდ პურის ნაჭერს თვალი კარგად შეავლო და ხელში აწონ-დაწონა — გამოვა თუ არაო კუთვნილი ხუთას ორმოცდაათი გრამი? ციხეებსა და ბარაკებში ერთი და ორი ათასი არ მიუღია ამგვარი ულუფა შუბოვს, და, თემცა სასწორით არც ერთი არ შეუმოწმებია, როგორც მოკრძალებულ კაცს — არც ყვირილი და ჭოჭის მიცემა გაუხედავს, მაგრამ ყველა პატიმრის მსგავსად შუბოვიც დიდი ხანია მიმხედარი იყო, რომ ნამუსიანად მწონავს პურის საბურღელში არ გაქვლებოდა. ყოველ ულუფას აკლია, ოღონდ რამდენი აკლია, ბევრი? ამიტომაც, რომ ყოველდღე უყურებ და თავს იმიედებ — იქნებ დღეს არც ისე მოუტყუებიათ? იქნებ ჩემსას არც არაფერი დააკლეს?

— ოცამდე გრამი დაუვლიათ, — დაასკვნა შუბოვმა და პური ორად გატეხა. ერთი ნახევარი უბეში ჩაიდვა, სათბურს ქვეშ, სადაც საგანგებო გულჯიბე ჰქონდა დაკრებული (ფაბრიკაში პატიმრის სათბურებს უფიბოს კერავენ). მეორე, საუბმეზე დაზოგილი ნახევარი უნდოდა აქვე შეეკვამა, მაგრამ სიჩქარეში თქვლუფას კამა არ ეთქმის, უქმად დაიკარგება და ვერ დაგანაყრებს. განჯინაში შენახვა დააპირა, მაგრამ ესეც გადაიფიქრა: მოაგონდა, რომ მორიგეები უკვე ორჯერ სცემეს ქურდობისთვის.

დიდია მათი ბარაკი, გვერდულულუქოსა-ვითაა.

გინჯლონიქსა

ამიტომ პური ხელიდან არ გაუშვია, ისე გაიძრო თექურები, იმდენი იმარჯვა, ფეხსახვევებიც და კოვზიც შიგვე ჩატოვა, ფეხშიშველი საწოლზე აძვრა, ლეიბში ხერელი გააფართოვა, და იქ, ნახერხში შემალა თავისი ულუფის ნახევარი. ქუდი მოიხადა, იქიდან ნემსი და ძაფი ამოაძვრინა (ესენიც ღრმად ჰქონდა ჩამალული, რადგან ჩხრეკის დროს ქუდებსაც სინჯავენ. ერთხელ ზედაშხედველს ნემსი ეჩხვლიტა და გულმოსულმა შუბოვს კინაღამ თავი გაუტეხა). ამონემსა, ამონემსა და ხერენა დაფარა. ამასობაში შაქარი ჩაუღნა პირში. შუბოვი უკიდურესად დაძაბული იყო — აი, საცაა აღრიალდება კარებში განმწესებელი. მისი თითები მარჯვედ მოძრაობდა, ხოლო აზრი საქმეს წინ უსწრებდა და მოსახდენს ვარაუდობდა.

ბაპტისტი სახარებას კითხულობდა, ოღონდ მარტო თავისთვის კი არა, სიტყვების გარჩევა შეიძლებოდა (იქნებ განზრახ შერებოდა ასე, შუბოვს რომ გაეგონა — ბაპტისტებს უყვართ აგიტაციის გაწევა):

— „ნუშვა ვის თქვენგანა ევენების, ვითარცა კაცის მკვლელსა, გინა მპარავსა, გინა ძვირის მოქმედსა, გინა ვითარცა უცხოისა განმგესა. ხოლო უკეთ ვითარცა ქრისტიანესა, ნუ ჰრაცხვენინ, არამედ აღიდებდინ ღმერთსა ამთნაწილითა“.

ერთ რამეში მართლა ყოჩაღია ალოშკა: ამ თავის წიგნაკს კედლის ხერულში ისე მარჯვედ მალავს, ჭერჯერობით ვერც ერთი ჩხრეკის დროს ვერ უშოვნეს.

შუბოვმა ისევე სწრაფად ბუშლაც კადონზე ჩამოაჭიდა, ლეიბქემოდან ხელთათმანები გამოაძრო, ერთი წყვილი დახეული ფეხსახვევი, თოკი და ჩვირი გამოაყოლა, ნახერხიანი ლეიბი შეასწორა, საბანი მრგვლად შემოკეცა, ბალიში თავის ადგილას მიაგდო, მერე ძირს ჩამოვიდა და ფეხზე ჩაიკმას შეუღ-

გა. ჯერ ახალი, კარგი ფეხსახვევები და-  
ხვია, მერე ზემოდან — ძველები.

ამასობაში ბრიგადირიც წამოდგა და  
დაიძახა:

— ასმეთხე, მორჩი ლამისთევას, გა-  
მოდით!

და ერთბაშად მთელი ბრიგადა —  
თელემდა ვინმე თუ არ თვლემდა —  
წამომართა და მთქნარებ-მთქნარებით  
გასასვლელისკენ წაჩაქჩაქდა. ბრიგადირი  
ცხრამეტი წელიწადი ზის, სამუშაო-  
ზე ერთი წუთითაც ადრე არ გაიყვანს  
ხალხს. რაკი თქვა — გამოდიო, — ღრო  
ყოფილა. და ვიდრე ბრიგადელები მძიმე  
ნაბიჯებით, ხმის გაუღებლად მიჰყე-  
ბოდნენ ჯერ ღერფეანში, მერე წინკარსა  
და კართანში, ხოლო მეოცის ბრიგა-  
დირმა ტიურინის მიბაძევით თვითონაც  
დაიძახა — გამოდიო, — შეხოვმა მო-  
ასწრო თექურების ჩაცმა, სათბურზე  
ბუშლატის მოგდება და წელზე თოკის  
მჭიდროდ შემოჭერა (თუ ვინმეს ტყავის  
ქამარი ჰქონდა. ჩამოართვეს, — გან-  
საკუთრებულ ბანაკში ქამარი აკრძალუ-  
ლია).

ასე მოასწრო ყველაფერი და წინკარ-  
ში თავის ჩამორჩენილ ბრიგადელებსაც  
დაეწია — მათი ნომრებიანი ზურგები  
ის იყო კარებში გადიოდა. რაც კი მო-  
ეძევებოდათ, ყველაფერი ტანთ ჩაცვით  
და ასე დამსხვილებულნი დაწალიკებით  
მიჩანჩალებდნენ სამწკრივო ხაზისკენ.  
მძიმედ მიბიჯებდნენ და მიკრატუნებ-  
დნენ.

ჯერ ისევ ბნელოდა, თუმცა აღმოსა-  
ვლეთით ცა უკვე მომწვანოდ შეფერა-  
ლიყო. და აღმოსავლეთიდანვე უბერა-  
და სუსხიანი ნიავი.

აი, ამ წუთზე უმწარესი არც ერთი  
არაა — დილით რომ სამუშაოზე გადა-  
ხარ. მშვიერი გადიხარ მთელი დღით ამ  
სიბნელეში, ყინვაში. ენა ჩავივარდება,  
დალაპარაკების თავიც აღარ გექნება.

სამწკრივო ხაზთან თვითაც აღარ გექნება.  
სებელი დაფაცურობდა.

— აბა, ტიურინ, რამდენ ხანს უნდა  
გაცადოთ, ისევ მოზოზინობ?

უმცროსი განმწესებლისა შეხოვს თუ

ემინია, თორემ ტიურინს არა, ტყუილ-  
უბრალოდ ხმაც არ გაუცია, მისი  
ჩუმად მიაღაწებს. უკან ბრიგადის მი-  
ღვეს თოვლში: ჭრა-ჭრუ, ჭრა-ჭრუ.

ხოლო ის ერთა კილო ლორი, რო-  
გორც ჩანს, აახლა, იმიტომ რომ 104-ე  
ისევ თავის მწკრივში ჩადგა, ეს მეზო-  
ბელ ბრიგადეზე ეტყობა. სოცქალაქში  
ვინმე უფრო ღარიბს და შტერს უკრა-  
ვენ თავს. პო-პო, რას გაყინავს დღეა  
იქაურობას: ოცდაშვიდი და ზედაც ქა-  
რის ჭროლა, არც თავშესაფარია სადმე  
და არც გასათბობელი!

ბრიგადირს ლორი ბლომად სჭირდე-  
ბა. საეგემო-საწარმოოშიც უნდა მიართ-  
ვას, საკუთარ კუჭზეც უნდა იფიქროს.  
თავად ამანათებს არ ღებულობს, მაგრამ  
უცხიმოდ კი არ ზის ვინც მიიღებს  
ბრიგადის, მამინვე ძღვენს აახლებს.

სხვაგვარად არავის გაეძღება.

უფროსი განმწესებელი დაფაზე აღ-  
ნიშნავს:

— ტიურინ, დღეს შენებიდან ერთი  
ავადაა, ოცდასამი გამოდის, არა?

— ოცდასამი, — ემოწმება ტიურინი.

ვინ აკლიათ? პანტელეევი აკლიათ.  
მერედა ვითომ ავადაა?

და ბრიგადის იმავე წამს ჩურჩულმა  
დაუბრინა: ის ძალღისშვილი პანტელეე-  
ვი ისევ ბანაკში დაჩა. არც ავადაა და  
არც არაფერი, ოპერმა დატოვა. ისევ  
უბოხებს ვინმეზე.

დღისით დაუბრკოლებლად გამოუძა-  
ხებენ, თუ გინდა სამ საათსაც გააჩერე-  
ბენ თავისთან, ვერც ვერაუენ ნახავს და  
ვერც შეიტყობს.

ისე კი სანიტარაფილის ხაზით ტოვე-  
ბენ...

მთელი სამწკრივო ხაზი გადაშევებუ-  
ლი იყო ბუშლატებით და მის გასწვრივ  
ბრიგადები ნელნელა მიიწვედნენ წინ.  
შუბოუს გაახსენდა, რომ სათბურზე ნომ-  
რის განახლება უნდოდა, ხაზი გადაჭრა  
და იქით მიამურა, სადაც მხატვრის წინ  
ორი-სამი პატიმარი რიგში ჩამდგარი-  
ყო. შუბოვიც მათთან დადგა. პატიმრის-  
თვის ნომერი უბედურებაა და მეტი  
არაფერი; ზედამხედველი შორიდანვე



გიცნობს ნომრით, ბაღრაგაც ჩაგიწერს, ხოლო თუ დროულად არ გააახლებინე მხატვარს, კარცერში ჩავსვამენ — ნომერზე რატომ არ ზრუნავო.

სამი მხატვარია ბანაკში. უფროსები-სთვის სურათებს ხატავენ უფასოდ. გარდა ამისა, სამუშაოზე ხალხის გაყვანას ესწრაფებიან ნომრების საწერად. დღეს ჭადარაწვერიანი მოხუცი გამოსულა. როცა ვინმეს ქედზე ნომერს აწერს ფუნჯით, თითქოს ხუცესი მირონს აცხებდეს.

წაუსე-წამოუსევამს ფუნჯს და ხელებზე იოროქლავს. თხელი ნაჭისოვი ხელთათმანი აცვია, ხელი ეყინება, ციფრები ველარ გამოყავს.

მხატვარმა განუახლა სათბურზე „შჩ-854“. შუბოვს ბუმბლაც აღარ შეუჯრავს — ჩხრეკის ადგილამდე შორს აღარ იყო. თოკით ხელში დაეწია თავის ბრიგადას. დაეწია და უმაღ შენიშნა: მისივე ბრიგადის წევრი ცეზარი ეწეოდა, თანაც ჩიბუბს კი არა, — სიგარეტს. ეს იმას ნიშნავდა, შუბოვსაც შეეძლო ეხეირა. მაგრამ შუბოვს პირდაპირ არ უთხოვია, ცეზარს ამოუღვა და გვერდულად გაჰყურებდა.

თითქოს სხვაგან იყურებოდა გულგრილად, მაგრამ ხედავდა, ყოველი ნაფახის შემდეგ (ცეზარი ხელა ეწეოდა, დაფიქრებული) როგორ ინაცვლებდა ადგილს წითელი ფერფლის რგოლი, სიგარეტს ამოკლებდა და მუნდშტუკისკენ მიცოცავდა.

ფეტიუკოვიც მოიჭრწა და ცეზარს პირში მიანერდა თვალანთებელი.

შუბოვს აღარც თამბაქო ჰქონდა და საღამომდე აღარც საღმე ეგულებოდა მისი შოენა. ერთიანად დაიძაბა ნაწევის მომლოდინე: სიგარეტის ეს ნარჩენი ახლა, მგონი, თავისუფლებასზე ძვირად უღირდა, მაგრამ ისე როგორ წახდებოდა, ფეტიუკოვივით პირში შესჩერებოდა.

ყველა ერის ნარევიცა ცეზარი: ვერ გაიგებ — ბერძენია, ბოშა თუ ებრაელი. ჯერ ისევ ახალგაზრდაა. კინოფილმს

იღებდა, მაგრამ ისე ჩანდა, რომ მთავრება არ დაცალდა. მავი, მშვიდი ულვაშები აქვს. აქ იმიტომ არ მოპარეს, რომ საქმეში, ბარათზე ასეა გადაღებული.

— ცეზარ მარკოვიჩი! — ველარ გაუძლო ფეტიუკოვმა. — ერთხელ მომაქაჩინეთ, რა!

სიხარბისა და ნდომისაგან სახე უთრთოდა.

...ცეზარმა შავ თვალბზე სანახევროდ ჩამოფარებული ქუთუთოებამართა და ფეტიუკოვს შეხედა. ჩიბუხის ხმარებას სწორედ იმიტომ მოუხშირა, რომ წვევის დროს ხელი არ შეეშალათ, მოქაჩევა არ ეთხოვათ. გაჟვეტილი აზრი ენანებოდა, თამბაქო კი არა. იმიტომ ეწეოდა, რომ ძლიერი აზრი აღედგრა და რამეს ჩასწვდომოდა. მაგრამ, როგორც კი სიგარეტს მოუკიდებდა, რამდენიმე წვეთ თვალში ერთხად გამოკრთებოდა: „ღამიტოვე!“

ცეზარი შუბოვს მიუბრუნდა: — გამოპართვი, ივან დენისიჩი და ქარვის მოკლე მუნდშტუკს ცერით გამოაძრო ნაწევი.

შუბოვი შეტოვდა (კიდევ ასე ელოდა — ცეზარი თვითონვე შემოთავაზებდა), ცალი ხელით სასწრაფოდ ართნევედა სიგარეტის ნარჩენს, მეორეს კი ქვეშ მოაყოლებდა, რომ არ დაეარდნოდა. არ წყენდა, რომ ცეზარს გული არ მიუღლიდა მუნდშტუკით დაეტოვებინა ნაწევი (ზოგს სუფთა აქვს პირი და ზოგს ტურტლიანი), თითებიც ლამის პაპიროსის ცეცხლში ჩასწვოდა, მაგრამ არ ეწეოდა, ისე ჰქონდა გახეხეშებული. მთავარი ის იყო, ფარჩაგ ფეტიუკოვს დაუქოჰვა და ახლა ბოლს მანამდე ეჭანებოდა, ვიდრე ცეცხლმა ტურები არ დაუწევა. მ-მ-მ-მ! ბოლმა მშვიდ სხეულს დაუარა, ფეხებსაც მისწვდა და თავსაც.

ის იყო ეს ნეტარება ტანში ჩაუღვარა, რომ გუგუნად გაისმია:

— ქვედა პერანგებს ართმევენს..

ასე მიდის პატიმრის მთელი ცხოვრება, შუბოვი შეეჩვია: სულ დადარაჟე-

ბული უნდა იყო, რომ ყელში არავინ გწვდეს.

პერანგები რატომ? პერანგები ხომ თავად უფროსმა დაარიგა?!. არა, რაღაც სხვა ამბავია...

მათ წინ კიდევ ორ ბრიგადას უნდა გაეცლო ჩხრეკა. მთელმა ასმეოთხემ დაინახა: რეჟიმის უფროსი ლეიტენანტი ვოლკოვოვი მოიჭრა და ზედამხედველებს რაღაც შეუყვია. და ზედამხედველები, მანამდე რომ სასხვათაშორისოდ სინჯავდნენ, ახლა მგლებივით დაერივნ პატომრებს, ხოლო მათმა ზემდეგმა დაიძახა:

— პერანგები შეიხსენი-იო!

ამბობენ, პატომრებსა და ზედამხედველებს კი არა, ვოლკოვოვისა ბანაჯის უფროსსაც ეშინიაო. მართლა მგელს ჰგავს ვოლკოვოვი. ჩამავებულა, აწოწილი. მოჭრებულა და სწრაფად მიმოჭრის ხოლმე ბანაჯში. უეცრად ბარაკის კუთხიდან გამოტყვრება: „აქ რას შექუჩებულხართ?“ ვერსად გაქცევი. აღრე მათრახსაც ატარებდა, მკლავის სიმსო დაწველ მათრახს, ტყავისას. ამბობენ, ციხეში იმ მათრახით სცემდაო პატომრებს. ან კიდევ, ტუსალები სალამოს შემოწმებისას ბარაკთან თავს რომ მოიყრიდნენ, უყნიდან წამოეპარებოდა და კისერში გადაუტყრდა: „მჭკრი-ვი რატომ არ დგახარ, შე დამპალო?“ დამღერტულევივით დაიფანტებოდნენ შეჭვლულნი, მათრახდაკრული კისერში ხელს წაივლებდა, სისხლს უჩუმრად მიიწმენდდა კიდევ ციხეში არ გამგზავნოსო.

ამ ბოლო ხანებში რაღაც უმთრახოდ დადის.

როცა ყინავდა, უბრალო ჩხრეკაზე დილით მაინც არ იჩენდნენ დიდ სიმკაცრეს: პატიმარი ბუშლატს შეიხსნიდა და კალთებს გასწევდა. ასე მიდიოდნენ ხუთ-ხუთნი და მათ შესახვედრად ხუთი ზედამხედველი იდგა. თოკშემოჭერილ სათბურზე ხელს მოუფათურებდნენ, მარჯვენა მუხლზე ერთადერთ ნებადართულ ჯიბეს მოუსინჯავდნენ ხელთათმა-

ნების გაუხდელად და, თუკი რეჟიმის წესები მოხდებოდათ ხელში, იმ წესების მიხედვით კი არ ამოართმევდნენ, ხარმაცად შეეკითხებოდნენ — ეს რა არისო.

დილით რა უნდა უპოვნო პატიმარს? დანა? დანები ბანაჯიდან კი არ გააქეთ. აქეთ შემოაპარებენ ხოლმე. დილით ის უნდა შემოაწმო, საქმელს ხომ არ მიიყოლებს, ასე სამ კილომდე, მერე გაქცევა რომ შეეძლოს. დრო იყო, ამ პურის — სადილად წაღებული ორასგრამიანი ნაჭრისა ისე ეშინოდათ, ბრძანება გააცეს: ყოველმა ბრიგადამ ხის ჩემოდანი გაიკეთოს და ბრიგადის კუთვნილი პური იმ ჩემოდნით ზიდოსო, ბანაჯიდან გასვლისას ყოველ პატიმარს ჩამოართვასო პურის ნაჭერი. კაცი ვერ გაიგებს, რის გამოჩინვას ფიქრობდნენ ამ ამბით. ეტყობა, უფრო ხალხის გაწვალება უნდოდათ: ერთი საზრუნავი გემატებოდა — მოკბეჩიდი იმ შენს ულუფას, დაიძახსოვრებდი, ჩემოდანში შეინახავდი, ნაჭრები კი მაინც ყველა ერთმანეთს ჰგავდა, ერთი პურისა იყო; წახვიდოდი და მთელი გზა ფიქრი გაწვალებდა — ჩემს ნაჭერს ხომ არ შემოიკლავსო. მერე ამის გამო ერთმანეთს წაეკიდებოდით და ზოგჯერ საქმე ჩხუბითაც გათავდებოდა. ოღონდ ერთხელ სამხრევლო ზონიდან სამნი გაიქცნენ მანქანით და ერთი ისეთი პურის ჩემოდანიც თან წაიძღვანეს. მამინე ჰკუას მოეგენ უფროსები და ის ჩემოდნები ხელიერთბირად დაჩხეს — ისევ ყველამ თავთავისი პური ატაროსო.

დილით კიდევ ისაა შესამოწმებელი, პატიმარის ტანსაცმელქვეშ სამოქალაქო ხომ არავის ჩაუტყვამს. მაგრამ სამოქალაქო ნივთები ხომ უკვე დიდი ხანია ერთიანად ჩამოართვეს და ისიც უთხრეს — ვადის გასვლამდე აღარ დაგიბრუნებთო. ხოლო პატიმრობის ვადა ამ ბანაჯში ჯერ არავის გასვლია.

ისიც შესამოწმებელია — წერილები ხომ არ მიაქვს თან, რათა ვინმე ახატს გადასცეს და გააგზავნიოს? ოღონდ

წერილის ძებნაში ყველა ცალცალკე რომ ჩხრიკო, საღილაშდე არ გათავდებდა ეს წილაღობილა.

მაგრამ ვოლკოვოიმ რაღაცის ძებნა ბრძანა და ზედამხედველებმა მყისვე წაიბრეს ხელთათმანები; სათბურებს და პერანგებს ახსნევიებენ (იქ ინახავდა ყოველი პატიმარი ბარაკიდან წამოყოლილ სითბოს) და ეძებენ, ამოწმებენ — წესდება ხომ არავინ დაარღვია, ზედმეტი ხომ არაფერი ჩაიყვია. პატიმრისთვის დაწესებულია ორი პერანგი — ქვედა და ზედა. დანარჩენი გახადეთ! ასე ვადასცეს პატიმრებმა მწკრივიდან მწკრივის ვოლკოვოის ბრძანება. იმ ბრიგადების ბედი, აღრე რომ ჩაიარეს! ზოგი უკვე ჭიშკარსაც გასცილებია. დანარჩენებმა გული უნდა გაიღღონ და, ვისაც ზედმეტი რამე აცვია, ამ ყინვაშივე უნდა გაიხადოს!

ასე მიჰყვენ, მაგრამ საქმე აერდაერიათ: ჭიშკართან გასასვლელი დაცარიელდა, ბადრაგა საგუშაგოდან ღრიალს მოჰყვა — მიდი! გამოუშვი! და ვოლკოვოიმ ასმეოთხეს რისხვა წყალობად შეუცვალა: ჩაიწერეთ, ვისაც რა აქვს ზედმეტი, საღამოს თვითონვე ჩააბარონ საწყობს და განმარტებითი ბარათიც დაურთონ — რატომ დაგვიშალაო.

შუბოვს კი ყველაფერი სახელმწიფო აცვია, ამა, ნახე — სულ ეგაა! მაგრამ ცეზარის თიეთიის პერანგი ჩაუწერეს, ბუნიოვსკის — რაღაც ჟილეტი. ბუნიოვსკი ავარდა და დავარდა. თავის ნაღმოსხმებასა შეჩვეული, ბანაკში ჯერ სამი თვეც არ შესრულებია:

— თქვენ უფლება არა გაქვთ, ხალხს ყინვაში ტანზე გაახდევინოთ! თქვენ სისხლის სამართლის კოდექსის მეცხრე მუხლი არ იცით!..

იციან, იციან. ეს შენ არ იცი, ძმობილო, ჯერჯერობით.

— თქვენ საბჭოთა ადამიანები არა ხართ! — მისციებია კაპიტანი. — კომუნისტები არა ხართ!

კოდექსის ამბავი ვოლკოვოიმ როგორც იყო მოითმინა, მაგრამ ამაზე საავდრო ღრუბელივით მოიქუფრა:

— ათი დღე სასტრუქი კარცერო! ხოლო ზემდეგს ხმადაზლა ვადატულა-პარაკა:

— საღამოს გააფორმე.

დილდილობით არ უყვართ კარცერში ჩასმა: მუშახელი აკლდებათ. დღისით ოფლი მოიღინოს, საღამოს უკრავენ თავს.

ციხეც აქვეა, ხაზის მარცხენა მხარეს — ქვის შენობაა, ორფრთიანი. მეორე მხარე შემოდგომაზე მიაშენეს — ერთში ველარ ეტეოდნენ დასჯილი. თერამეტსაკინიანი ციხეა და საკნები კიდე დატბურულია თითო კაცისთვის. მთელი ბანაკი ხითაა ნაგები, მხოლოდ ციხეა ქვისა.

სიცივემ პერანგქვეშ შეატანა, ახლა ველარ გამოდენი. სულ ტუყილებრად იფუთუნებოდნენ პატიმრები. ამ ზურგის ტეხვამაც გული გაუწერია შუბოვს. ახლა სააეადმყოფოს საწოლზე მიაგდო და დაამინა! მეტი არაფერი უნდა. ოღონდ საბანი მისცა მძიმე.

დგანან ჭიშკართან პატიმრები, იკრავენ და იბნევენ ტანსაცმელს, გარედან კი ბადრაგა მოსძახის:

— მიდი! გამოუშვი!

აქეთ განმწესებელი ჯიკაობს:

— მიდი! მიდი!

პირველი ჭიშკარი. ზონისწინა არე. მეორე ჭიშკარი. საგუშაგოსთან ორმხრივი მოაჯირია.

— დადექ! — ყვირის გუშაგი. — ცხვრის ფარასავით ნუ მოდიხართ! ხუთხუთი მოეწყეთ!

უკვე თენდებოდა. საგუშაგოს იქით ცეცხლი ქრებოდა. სამუშაოზე გაყვანის წინ ბადრაგა მუდამ ცეცხლს ანთებს ხოლმე — კიდეც თბებიან და პატიმრებსაც უკეთ ითვლიან.

ერთი გუშაგი ხმაშალა ითვლის:

— პირველი! მეორე! მესამე!

ხუთუფლები გამოეყოფიან და ცალცალკე მიაბიჯებენ, ისე რომ, გინდა უკნიდან შეგიხედია, გინდა წინიდან: ხუთი თავია, ხუთი ზურგი, ათი ფეხი.

მეორე გუშაგი — მეკონტროლე, მომდევნო მოაჯირთან ხმის გაუღებლად

დგას და ამოწმებს — სწორადაა დათვლილი თუ არა.

ლეიტენანტიც დგას და თვალს ადევნებს.

ეს ბანაქის ხალხია.

აღამიანი ოქროზე ძვირად ფასობს. მეთულს გადაღმა ერთი კაცოც რომ დაგაყლდეს, თავად მოგიწევს მისი ადგილის დაჭერა.

ისევ შენივთდა ბრიგადა.

ახლა ბადრაგას სერჟანტი ითვლის: — პირველი მეორე! მესამე!

ისევ გამოეყოფიან ხუთ-ხუთნი და შიბიჭებენ.

გადაღმა მხრიდან გუშაგთა უფროსის შოადგილევ ამოწმებს კიდევ-

და კიდევ ლეიტენანტი.

ეს მცველთა რაზმია.

შეცდომა არასგზით არ შეიძლება. ერთ ზედმეტ კაცზეც რომ მოუწერო ხელი, თავად მოგიწევს მისი შეცვლა.

მცველები კი, ღმერთმა მოგცეს, იმდენია!

თბოელექტროცენტრალის კოლონას ნახევარკალად შემოერთყვენ, ავტომატები მოიმარჯვენს, ზედ სახეში გაღერებენ. მეძალეებიც აქ არიან რუხი ნაგაზებითურთ. ერთმა ნაგაზმა კბილები დაკრიჭა, თითქოს დასცინისო პატიმრებს. მცველებს მოკლე ქურქები აცვიათ, მხოლოდ ექვსი მათგანია ტყაპუშში. ტყაპუჭი ყველას არა აქვს, ვისაც კომპურაზე უწევს ასვლა, ის იცვამს.

მცველებმა ბრიგადები შერწყეს და თბოელექტროცენტრალის კოლონა ერთხელ კიდევ გადათვალეს ხუთეულეზად.

— მზის ამოსვლის ხანს ყველაზე მაგარი ყინვა იცის! — განმარტავს ბუინოესკი. — იმიტომ რომ ეს არის ღამის სიცივის უკანასკნელი წერტილი.

საერთოდ, კაპიტანს უყვარს, როცა რაიმეს განმარტავს. რომელი წელი გინდა თქვი და რომელი დღე, — ხელად გამოგივთვლის, როგორი მთვარეა — ახალი თუ ძველი.

თვალსა და ხელს შუა მისავათდა კაპიტანი, ლოყები ჩაუცვივდა. მაინც მხნედა.

ბანაქს გადაღმა ნიავე უბერავდნენ შუხოვის მრავალ კირგამოვდნენ

საც კი მაგრად კბენდა. ყინვა. მიხვდა შუხოვი, რომ თბოელექტროცენტრალამდე ეს პირქარი არ ჩადგებოდა და გადაწყვიტა სახეზე ჩეარი შემოეხვია. როგორც მრავალ სხვა პატიმარს, მასაც მუდამ თან დაჰქონდა პირქარის დროს ასაფარებელი ჩეარი, რომელსაც ორი გრძელი ზორტი ჰქონდა მიკერებული. პატიმრებმა დაასკვნეს, რომ ასეთი ჩერები ცოტოტას შევლოდათ. შუხოვმა თვალებამდე აიხვია სახე, ზორტები ყურებქვეშ გაიტარა და კეფაზე შეიბნია. მერე კეფა ქუდის გადანაკეციით დაიფარა და ბუშლატის საყელო აიწია. ქუდის წინა გადანაკეცი შუბლზე ჩამოიფხატა. ასე რომ თვალებილა დარჩა დაუფარავე. ბუშლატზეც თოკი მაგრად შემოიჭირა. ახლა ყველაფერი მოგვარდა, ოღონდ ხელთათმანები ვერა აქვს სანაქებო და ხელები უკვე გაეთოშა. ხელების ხეხვას და ერთმანეთზე ტყაპუნს მოჰყვა. რადგან იცოდა — მთელი გზის გავლა ზურგზე ხელებზე მოწყობილს მოუწევდა.

რაზმის უფროსმა პატიმრებს სანადაგო და მობეზრებული „ლოცვა“ წაუკითხა:

— ყურადღება. პატიმრებო! მსელელობის დროს მკაცრი წესრიგი უნდა დაიცვათ! არ უნდა ჩამორჩეთ, ფეხი არ აჩქაროთ, ხუთეულიდან ხუთეულში არ გადახვიდეთ, არ ილაპარაკოთ. თვალების აქეთ-იქით ცეცება არ დაიწყეთ, ხელები მხოლოდ ზურგზე გქონდეთ და წყობილი მარცხნივ გადადგამთ ნაბიჯს თუ მარჯვნივ. გაქცევად გეთვლება და მცველები გაუფრთხილებლად ცეცხლს გაგზნებენ! მეწინავე, ნაბიჯით იარ!

ორი წინა მცველი გზას გაუდგა. კოლონაც შეირბა და მხრების ქანაობით დაიძრა. კოლონის მარჯვნივ და მარცხნივ ოცოც ნაბიჯზე, ერთმანეთისგან ათათი ნაბიჯის მიყოლებით მიემართებოდნენ ავტომატმომარჯვებული მცველები.

ერთი კვირა იქნებოდა, აღარ დაეთო-

ვა. გზა გატეკნილი იყო, დაწეული. ბანაკს თავი დაუარეს და ნიავემა გეზად წამოიღებრა სახეში. ზურგზე ხელებზე მოწყობილნი, თავჩაქინდრულნი მიამიჯებდნენ, როგორც დასაფლავებაზე მომავალთ სჩვევიათ. მიდიხარ და შენს წინ ორი-სამი წყვილი ფეხისა და დატეკნილი ნაკვალევის მეტს ვარაფერს ხედავ. დროდადრო რომელიმე მცველი დაიძახებს: „ო-ორმოცდარვა! ხელები უკან!“ „ბ-ხუთას ორო! ფეხი ააჩქარე!“ მერე იმათაც მოუკლეს ძახილს: ქარი სახეში სცემთ და თვალს კარგად ვეღარ აყოლებენ კოლონას. მაგათ ჩერებით ახვევაც ეკრძალებათ. ვერაფერიშვილი სამსახური აქვთ...

როცა უფრო თბილა, პატიმრები გაწეწვეტილად მისაუბრობენ — რამდენიც უნდა უყვირო, არ დაგიდევენ. მაგრამ დღეს ყველანი მობუზულან, ყოველი მათგანი წინმავალის ზურგს უკან იჯექება. ყველანი თავთავის საფიქრალს მისცემიან.

პატიმრისა ფიქრიც არ არის ლაღი. იმას უბრუნდება ნიადაგ, იმას ჩაკირკოტებს: ლეიბში ვადამალულ პურს ხომ ვერ მიიღებენ? საღამოს სანიტინაწილი გამათავისუფლებს თუ არა? ჩააჯენენ თუ არ ჩააჯენენ კაპიტანს? ცეხარმა როგორღა მოახერხა თბილი საცელის ხელზე მიღება? ალბათ პირადი ნივთების საწყობში შეკერა ვინმე, აბა როგორ?

იმის გამო, რომ უპუროდ ისაუხმა და თანაც ყველაფერი გაციებული შეჰკამა, შუხოვი მაძლრად ვერ იყო. სტომაქს რომ არ შეეწუხებინა და საკმელი არ მოეთხოვა, ბანაკზე ფიქრს დაეხსნა, იმის ფიქრი დაიწყო, რომ მალე შინაურებისთვის ბარათი უნდა მიეწერა.

კოლონამ ჩაუარა პატიმრების მიერ აგებულ ხის დასამუშავებელ სახელოსნოს, საცხოვრებელ კვარტალს (ბარაკები პატიმრებმა ააშენეს). მაგრამ ახლა შიგ თავისუფალი ხალხი ცხოვრობს, ახალ კლუბს (ესეც პატიმრების ნახელავია, საძირკელიდან დაწყებული და კედლის მოხატულობით ვათავებული, ხოლო კინოს სანახავად მოქალაქეები

დადიან), ჩაუარა და ტრეპკუნდუმიც გადაიდა, აღმოსავლეთით მოწყობულ ქარხანა შეწითლებულ ცისკიდურს გაუპირისპირდა. თოვლს დაეფარა თვალსაწიერი. უდაბურ ტრამალებზე ერთი ხეც არსად იდგა.

ახალი, ორმოცდათერთმეტი წელი დაიწყო და ამ წელს შუხოვს ორი წერილის უფლება ჰქონდა. უკანასკნელი ბარათი ივლისში გაგზავნა და პასუხი ოქტომბერში მიიღო. უსტ-იუმში სხვაგვარი წესი იყო, ვინდაც ყოველ თვე მიგეწერა. ოღონდ ესაა, წერილში რა უნდა მისწერო? ამიტომ მაშინაც ახლანდელზე ხშირად არ სწერდა შინაურებს.

ორმოცდაერთი წლის ოცდასამ ივნისს წამოვიდა შინიდან შუხოვი. კვირას ნაწირვესს ხალხი პოლომნიდან დაბრუნდა და — ომიო. პოლომნაში ფოსტას შეუტყვია, ტემგენიოვოში კი ომამდე რადიო არაგვის ჰქონია. აბა ახლა ყოველ ქოხში რადიოს ხახია თურმე გაყვანილი.

ახლა წერილის მიწერა იმას ემგვენება, უძირო მორევში კენჭების სროლა რომ დაიწყო. რაც დაიხთქება, იმოსას ველარაფერს შეიტყობ. იმას ხომ არ მისწერ — ამა და ამ ბრიგადაში ვმუშაობ და ანდრეი პროკოფიევიჩ ტიუჩინიაო ჩემი ბრიგადირი. ახლა ლატვიელ კოლგასთან მეტი აქვს სალაპარაკო, ვიდრე შინაურებთან.

ისინიც წელიწადში ორჯერ მოიწერებთან და ვერაფერს გაუგებ იმათ ცხოვრებას. კოლექტივის თავმჯდომარე ახალიო. ყოველ წელს ახალი არაა? კოლმეურნეობა გაამსხვილესო. ადრეც გაუმსხვილებიათ და მერე ისევ დაუქუცმაცებიათ. კიდევ ის, რომ, ვინც შრომადღეების ნორმას არ ასრულებს, ბოსტნები თხუთმეტ მეასედზე დაუყვანეს, ზოგს კი სულაც ჩამოაჭრეს, სახლვარი სახლთან გაუტარესო.

ერთი რამ ვერაფრით გაუგია შუხოვს: ცოლი სწერს, რაც ომი დამთავრდა, კოლმეურნეობას ერთი სული არ შემატებიაო. ბიჭები და ქალიშვილები, ვინც როგორ მოახერხებს, ყველანი ან ქარხნის მუშები ხდებიან, ან ტორფის

საბალოებზე მიდიანო. გლეხკაცების ნა-  
ბევარი ომიდან აღარ დაბრუნებულა,  
ვინც ჩამოაღწია, ისინიც კოლმეურნეო-  
ბას არაფრად ავდებენ, შინ ცხოვრო-  
ბენ, მაგრამ სამუშაოს გარე-გარე ეძე-  
ბენ თურმე. კაცებიდან კოლმეურნეო-  
ბას ორიღა შერჩენია: ბრიგადირი ზახარ  
ვასილიჩი და ოთხმოცს გადაბიჯებული  
ხურო ტიხონი, რომელსაც ამ ცოტა  
ხნის წინათ ცოლი შეურთავს და შვი-  
ლებიც გაუჩენია უკვე. ხოლო კოლმე-  
ურნეობა იმ დედაკაცების ამარააო,  
ჭერ კიდევ ოცდაათ წელს რომ დაი-  
წყეს მუშაობა.

აი ეს ვერ გაუგია შუხოვს: შინ ცხოვ-  
რობენ და გარე-გარე მუშაობენო. ერთ-  
პიროვნულ ცხოვრებასაც მოსწრებია  
შუხოვი და საკოლმეურნეოსაც, მაგრამ  
იმას ვერაფრით შეეგუება, რომ გლე-  
ხიკაცი საკუთარ სოფელში ხელს არ  
ანჩრევდეს. ვითომ ხელობაზე სიარული  
დაიწყეს? მერე თიბეთ ვინღა თიბავს?

შენსობას რომ იყო, იმ ხელობას დი-  
დი ხანია აღარავინ მისდევსო, უპასუხა  
ცოლმა. მათი კუთხე ხუროებით რომ  
იყო ქებული, ახლა თურმე აღარც სა-  
ხუროოდ დადიან სადმე, აღარც ვაზის  
კალათებს წნავენ. — ეგენი აღარავის  
სჭირდებაო. ოღონდ ახალი ხელობა გაჩ-  
ნდაო, სახალისო საქმე — ხალიჩების  
მოხატვა. ვილაცას ჭარიდან ტრაფარე-  
ტები ჩამოუტანია და მას აქეთ მიჰყო-  
ლიან და მიჰყოლიან, ამ საქმის ოსტა-  
ტები — მღებავები გამრავლებულან.  
არსად ირიცხებიან თურმე, არც მუშაო-  
ბენ სადმე, ოღონდ თიბვის ღროს და  
მოსავლის აღებისას ერთ თვეს კოლმე-  
ურნეობას წაებმარებიან, სამაგიეროდ  
კოლმეურნეობიდან თერთმეტ თვეზე  
ცნობას იღებენ — ესა და ეს კოლმე-  
ურენ განთავისუფლებულია თავისი სა-  
ქმეების მოსაგვარებლად და მასზე გა-  
დასახადის ნარჩენები არ ირიცხებაო.  
მიდი-მოდიან თურმე მთელ ქვეყანაზე,  
ღროის მოსაგებად თვითმფრინავითაც  
კი მგზავრობენ ხოლმე, ათასებს ზეტა-  
ვენ და სულ იმ ხალიჩების ხატვაში  
არიან. ხუთი თუმანი ღირებულა თითო  
ხალიჩის მოხატვა ძველ ზეწარზე, რო-

მელიც კი არ დაენანებათ და გაჩრქვულნი  
ნენ. თითქოს საათი უნდა, მეტი უნდა  
არაო იმ ხალიჩას. მის ცოლსაც დიდი  
იმედი ჰქონია — ჩამოვა ივანი და ასე-  
თივე მხატვარი გახდებაო. მაშინ სილა-  
რიბესაც თავს დავაღწევთ, თორემ ლა-  
მის სული ამომძვრესო. შეილებსაც  
ტექნიკურში მივაბარებთ და ძველი დამ-  
პალი ქოხის ნაცვლად ახალს ჩავდამ-  
თო. ყველა მღებავს ახალი სახლი აუ-  
შენებია თავისთვის, რკინიგზის ახლოს  
წინანდებურად ხუთი ათასი სახლი კი  
აღარ დგას — ოცდახუთით.

ის იყო, მაშინ ცოლს მისწერა —  
მხატვარი როგორ უნდა გავხდე, როცა  
ჩემს დღეში არაფერი დამიხატავსო?  
ან როგორია ის ჭადო ხალიჩები, ზედ  
რა ახატაო? ცოლმა უპასუხა — მარ-  
ტო რეგენი ვერ შეძლებსო იმ ხალი-  
ჩის მოხატვას: დაადევი ტრაფარეტი და  
უსვი ფუნჯი ნახერტებზე, მეტი არა-  
ფერიო. სამნაირი ხალიჩა ყოფილა: ერ-  
თი „ტროიკა“ — ლამაზად დარჩებული  
ცხენები ჰუსარის ოფიცერს მიაქროლე-  
ბენ, მეორე „ირემი“, მესამე კი სპარ-  
სული ყაიდისა. სხვა რამე ნახატი არ  
ყოფილა, მაგრამ ხალხი ამისაც მადლი-  
ერია და ხელიდან სტაცებენ თურმე.  
იმიტომ, რომ ნამდვილი ხალიჩა ხუთი  
თუმანი კი არა — ათასები ღირსო.

ერთი თვალი მაინც მოეკრა შუხოვს  
იმ ხალიჩებისთვის!..

ბანაეცხა და ცხებებში გადაეჩვია  
შუხოვი იმის ვარაუდს, სახვლიოდ რა  
იქნებოდა და საგაისოდ რა, ან ოჯახი  
რით უნდა შეენახა. მის ნაცვლად უფ-  
როსები ფიქრობენ ყველაფერზე. თი-  
თქოს უფრო იოლიცა ასე ცხოვრება.  
ორი ზამთარი და ორი ზაფხული კიდევ  
უწყეს ჭლომა. საფიქრალი არ გაუჩინეს  
იმ ხალიჩებმა!..

იოლი, ზეგვიანი შემოსავალი კი ჩანს.  
ისიც საწყენია. შენებურებს რომ ჩა-  
მორჩე... მაგრამ გული არ უზამდა შუ-  
ხოვს იმ საქმისთვის ხელი მოეკიდებინა.  
საიმისოდ დაურიადალი უნდა იყო, ვი-  
ლაცის თავის მოქონვა უნდა შეგეძლოს.  
შუხოვი კი ორმოცი წელია დადის ამ  
ქვეყანაზე, კბილები სანახევროდ აღარ

შერჩა, ლამის გამელოტდეს კაცი, და არც არავისთვის შეუძლებელია, არც თავად აუღია როლისმე. და ბანაკშიაც ვერ შეერჩევა ამ ამბავს.

იოლად ხელში მოგდებულ ფულს არც ბარაქა აქვს და არც იმას გაფიქრებინებს — აი, გავისარჩე და ფული ვიშოვნეო. მართლაც ამბობდნენ ბერიკაცები — ქარის მოტანილს ქარი წაიღებსო. ვერ ისევ შემძლე აქვს მარჯვენა შეხოვს, არ უღალატებს. ნუთუ ვერც დურგლის სამუშაოს იშოვნის, როცა გაათავისუფლებენ, ვერც მეღუმელისას და ვერც მეთუნეებისას?

მხოლოდ, როგორც უფლებდაყრილი, თუ არც არსად მიიღეს, არც შინ დაბრუნების ნება დართეს, მაშინ შეიძლება ხალიჩებსაც მოჰკიდოს ხელი.

ამასობაში კოლონა ფართოდ გაშლილი ობიექტის საგუშავგოს შიდა და შეჩერდა. მანამდე კი, ზონის კუთხესთან მისვლისთანავე, ორი ტყაპუქიანი მცველი გამოეყო და შორეული კოშკურებისკენ გაემართა. ვიდრე გუშავნი ყველა კოშკურაზე არ ავლენ, შიგნით არავის შეუშვებენ, მხარზე ავტომატგადაგდებულმა უფროსმა საგუშავგოსკენ გააწია. საგუშავგოდან კი ბოლი ბოლქვა-ბოლქვა ამოდის შეუჩერებლად: ახატი დაბაჯი იქ მთელ ღამეს ათევს, ფიცრები არ ცემენტი რომ არავინ გაზიდოს.

მავთულანნი ჭიშკრის, მთელი სამშენებლო ზონის და მეორე მხარეს გადაჭიმული მავთულის გადაღმა დიდი, შეწამული მზე ამოდის ნისლში. შეხოვის გვერდით მდგარი ალიოშა მზეს უშკრეტს და უხარის, პირზე ღიმილი გადაჰფენია. ლოყები ჩაცვენილი აქვს, თავისი ულუფით ცხოვრობს, სხვას ვერაფერს შოულობს — რაღა ახარებს? კვირადღეობით სხვა ბაპტისტებს მოძებნის ხოლმე და ეჭურჩულებს. აინუნშიაც არ აგდებენ, ბანაკში რომ არიან.

სახეზე აკრული ჩვარი გზაში ნასუნთქით ერთიანად დასველებულა, ალაგ-ალაგ ყინვაც მოსდებია, ყინულის ქერქით შექნილა. შეხოვმა სახიდან ყელზე ჩამოიგდო და ქარს ზურგი შეაქცია. მაინცდამაინც არსად გასჯდომია:

სიცივე, ოღონდ ცუდ ჩედნაშენებმა ხელები გაეთოშა და მისცნენა ჭეხის თითები გაუშეშდა: მარცხენა ჩეჭმა დანაწევავი, ორჯერ დაკერებული აცვია.

წელშიც და ზურგშიც მხრებამდე ტუხავს და ამტვრევს. როგორღა უნდა იმუშაოს?

მიიხედა და ბრიგადირს წააწყდა. უკანა ხუთეულში რომ მოდიოდა. მხარბეჭიანი კაცია ბრიგადირი, ფართოსანი. წარბშეკრული დამდგარა.

ბანაკში ბრიგადირი ყველაფერია: კარგი ბრიგადირი მეორე სიცოცხლე განუქებს, ცუდი — სამარეში ჩაგაწვენს. ტიურინს ვერ კიდევ უსტიყმში იცნობდა შეხოვი, ოღონდ იქ სხვა ბრიგადამი მუშაობდა. როცა უსტიყმის საერთო ბანაკიდან ორმოცდამეოთხრამეტე მუხლიანები საკატორლო ბანაკში გამოამწესეს, აქ ტიურინმა აიყვანა შეხოვი. ბანაკის უფროსთან, საგვეგმო-საწარმოო ნაწილთან, სამუშაოთა მწარმოებელთან თუ ინჟინრებთან შეხოვს არაფერი ესაქმება: ყველგან მისი ბრიგადირი გაუმავრდება. მკერდი მავარი აქვს ბრიგადირს. სამავიეროდ წარბს შეატაკებს თუ თითით მოგანიშნებს რამეს. — გავარდი და აკეთე საქმე. ვინც გინდა, ის გააცურე ბანაკში, ოღონდ ანდრეი პროკოფიევიჩის ნურასოდეს მოატყუებ და ცოცხალი დარჩები.

ძალიან უნდა შეხოვს შეეკითხოს ბრიგადირს — იქვე ვიმუშავებთ, სადაც გუშინ ვიყავით, თუ სხვაგან გადავიწველებითო. უნდა, მავრამ მისი მაღალი აზრის გაფანტვისა ეკრძალება. ეს-ესაა სოცქალაქს გადაარჩინა ბრიგადა, ახლა ალბათ პროცენტებზე ფიქრობს, იმათზეა დამოკიდებული მომდევნო ხუთი დღის ულუფა.

ბრიგადირის ნაყვავილარი სახე აქვს. დამდგარა ქარის საპირისპიროდ და წარბსაც არ იხრის, სახის კანი მუხის ქერქით გახლმობია.

პატიმრები ხელებს ატყაპუნებენ, ბაკუნობენ. მუსტავი ქარი უბერავს. ექვსივე კოშკურაზე უკვე ასულან გუშავე-

ბი, ჭერ მანძი არ უშვებენ ზონაში, ფრთხილობენ.

ესეც ასე! გუშაგთა უფროსი და მე-კონტროლე სადარაჯოდან გამოვიდნენ. ჰემორის ორსავე მხარეს გაჩერდნენ და ჰემიკარიც გაიღო.

— ხუთეულზედა მოეწყეეთ! პირრეული! შეორე!

თითქოს პარადზე ყოფილიყვნენ პატრიმები, ისე დაიძრნენ, ლამის სამწყობრო ნაბიჯი აიღეს. როგორმე შეაღწიონ ზონაში და იქ იციან თავისი საქმე.

სადარაჯოს იქით კანტორის ჯიხურებია, კანტორასთან სამუშაოთა მწარმოებელი დამდგარა, ბრიგადირებს უყრის თავს. ათისთავიც იქით მიდის, ჩათლახი, თვითონ პატიმარია, მაგრამ სხვებს მანძი უძაღლებს ცხოვრებას.

რვა საათია, ცხრის ხუთი წუთი (ესეაა ენერგომატარებელმა დაიყვირა). უფროსებს იმის ეშინიათ, პატრიმებმა დრო არ დაკარგონ, ცეცხლზე მისაფიცებლად არსად წავიდ-წამოვიდნენ. მაგრამ პატიმრის დღეს რა ჩამოლევს, დრო ყველაფრისთვის ეყოფათ. ზონაში შესულნი ნაფოტ-ნაფოტ აგროვებენ ცეცხლის შესაკეთებელს და სოროებში მიძვრებიან.

ტიურინმა თანამემწე პავლო კანტორაში გაიყოლა. ცეზარმაც იქით შეუხვია. მდიდარია ცეზარი, თვეში ორ-ორჯერ ამანათი მოსდის. ვისაც საჭირო იყო, ყველას ათობლა და მნორმავის თანამემწედ მოეწყო კანტორაში.

დანარჩენმა ასმეოთხემ მაშინვე უგანა და აითესა.

ბურუსში წითელმა მშემ გამოხედა მოცარელებულ ზონას: სად ასაწყობი სახლის ფარები მიუნამქრია, სად კედლის ამოყვანა დაუწყიათ და საძირკველზევე მიუტოვებიათ, სად ექსკავატორის გატეხილი სახელური მიუგდიათ, სად — ციციები, რკინის ხარახურა, სად თხრილები უკეთებიათ, ორქოები უთხრიათ. გადახურულში ავტოსარემონტო სახელოსნოებია, ბორცვზე კი თბოელექტროცენტრალია დაწყებულ და მეორე სართულამდე აყვანილი.

ყველანი მიიმაღ-მოიმაღნენ და დაიწყეს ლოდ კოშკურებზე დგას ეჭვნი გუშაგთა და კანტორასთანაა დიდი ფუსფუსი. აი, ესაა საჩვენო წუთი! ამბობენ, უფროს-სამუშაოთა მწარმოებელი სულ იმის ძახილშია — ყოველ ბრიგადას განწესება წინა საღამოს უნდა ვაძლიოო, მაგრამ ჭერჭერობით საქმისათვის თავი ვერაფრით მოუბამთ. იმიტომ რომ საღამოდან დილაამდე ყველაფერი თავდაყირა შექნებათ ხოლმე.

საჩვენო წუთთა-მეთქი! ვიდრე უფროსები თავიანთ საქმეს გააკრევევენ, თავი შეაფარე, სადაც კი უფრო თბილა, ჩამოჯექი, სული მოითქვი, მერცე გეყოფა წელში გაწყვეტა. კარგი იქნება, ლუმელთან რომ მოხედებოდე, — ფეხსახვევს პირს შეუცვლიდი და ცოტას შეათბობდი კიდეც. მაშინ ფეხები მიუღღეს თბილად გექნება, უღუმელოდაც არაფერი გიშვს.

ასმეოთხე ბრიგადა შეეფარა ავტოსარემონტოების დიდ დარბაზს, სადაც შემოდგომაზევე ჩასვეს მინები და სადაც კმ-ე ბრიგადა ბეტონის ფილებს ასხამს. ზოგი ფილა ყალიბში დევს, სხვები აუყუდებიათ. იქით არმატურაა ბადებში. ჭერი მაღალია და იატაკიც მიწისაა, აქ სითბოს რა გააჩერებს! მაგრამ მანძი ათბობენ ამ დარბაზს, ნახშირს არ ზოგავენ: იმისთვის კი არა, პატრიმებმა სული მოიბრუნონო, იმისთვის, რომ ფილები უკეთ გამაგრდეს, თერმომეტრიც კი ჰკილია და კვირადღესაც. თუ ბანაკი რაიმე მიზეზის გამო სამუშაოდ არ გამოიყვანეს, აზატი მუშა უკეთებს ლუმელს.

ოცდამეთვრამეტე, რასაკვირველია, გარეშეთაგან ლუმელს არავის აკარებს. თავად შემოსხლომიან და ფეხსახვევებს იშრობენ. ეგ არაფერი, ჩვენ კუთხეშიც კარგად მოვუყუდებთ.

დაბამბული, უკვე ათას ადგილას ნაჯდომი შარკლით ხის ყალიბის კიდეზე ჩამოჯდა შუბოვი, ზურგი კედელს მიაყრდნო. და როცა გადაიხარა, ბუშლატი და სათბური დაეჭიმა და მკერდის მარცხენა მხარეს, ზედ გულთან რაღაც მარგარი მიეჭირა. გულის ჯიბეში ჩადებუ-



ლი პურის ყუა იყო, დილანდელი თან წამოდებული ულუფის ნახევარი. სამუშაოდ წამოსვლისას მუდამ ამდენი მოკჭონდა და სადილობამდე პირს არ აკარებდა. ოღონდ სხვა დროს იმ ერთ ნახევარს საუზმზე კამდა ხოლმე, დღეს კი არ შეუჭამია. და მიხვდა შუხოვი, ვერაფერიც ვერ გამოუზოგია: ახლა სითბოში საღერდელი აეშალა და იმ პურის შეჭმა მოუწდა. სადილამდე ხუთი საათია, რა გააძლებინებს.

ხერგი რომ ტეხავდა, ახლა ფეხებზე გადაუვიდა და მრუსავდა. ეჰ, ერთი ღუმელთან დააჩინა და!..

შუხოვმა ხელთათმანები მუხლებზე დაიწყო, ბუშლატი შეისხნა, თოშმოდებული ჩეარი ყელიდან ჩამოიგდო, მიკე-მოკეცა და ჯიბეში ჩაიდვა. მერე თვით ნაჭერში გახვეული პური ამოაძვრინა, ნაჭერი დაიფინა, ერთი ნამცეციც რომ არსად გადაეკარდნოდა, და ცოტ-ცოტაობით კბეჩა და ღეჭვა დაიწყო. ის პური ორ ჩასაცემელქვეშ ატარა, საკუთარი სითბოთი ათბობდა, და ამიტომ სულაც არ დამშრალიყო.

ბანაკეში შუხოვს არაერთხელ გახსენებია, როგორ კამდნენ ძველად სოფელში: კარტოფილს ტაფობით შეექცეოდნენ, ფაფას — ქვაბობით, მანამდე კიდევ ხორცს — დიდდიდ ნაჭრობით. ბანაკეში მიხვდა შუხოვი, რომ არ იქცეოდნენ სწორად. საკმელი ისე უნდა სჭამო, იმის მეტზე არაფერზე ფიქრობდე. აი, ასე, ახლა რომ იღებ პირში პატარპატარა ლუქებს და ენითაც ურეე, ლუქებითაც იწუწნი, და ისეთი სურნელოვანი გეჩვენება ეს შავი, ცოში პური. რას კვამს შუხოვი რვა წელიწადია, უკვე მეცხრე დაიწყო? არაფერს! ხომ მაინც უღვას სული?

ასე ელოლიავებოდა შუხოვი თავის ორას-გრამს. მის გვერდით კი მთელ 104-ეს მოკალათებინა.

ორი ესტონელი ორ ღვირძლ ძმასავით მიმჭადარიყო ბეტონის დაბალ ფილაზე და ერთი მუნდშტუკით რიგრიგობით ეწეოდა სიგარეტის ნახევარს. ორივე ბობრი იყო, ორივე მაღალი და ხმელ-ხმელი, ორივე გრძელცხვირა და

დიდთვალება. ისე იყვნენ, <sup>დაკონსულტი</sup> მიწეპებულნი, თითქოს უერთმანეთოდ ჰყერი არ ეყოფოდათ სასუნთქად. ბრიგადირი ერთიმეორეს არასოდეს აშორებდა. საკმელსაც სწორად იყოფდნენ და ძილითაც ერთად ეძინათ ვაგონის ზედა საწოლებზე. და როცა კოლონაში იღვნენ, ან სამუშაოზე გაყვანას ელოდნენ, ან ლოგინში წვებოდნენ, — სულ მუსაიფობდნენ დაბალ ხმაზე, დინჯად. ისე ძმები სულაც არ ყოფილან და მხოლოდ აქ, ასეოთხეში გაიცნეს ერთიმეორე. ერთზე ამბობდნენ — მეთვე-ზეაო, ზღვისპირეთის მკვიდრი. მეორე გასაბჭოების წლებში უსასაკო ყოფილა და მშობლებს შვეიციაში წაუყვანიათ. მერე, რომ წამოზრდილა, სხვის უკითხავად ესტონეთში დაბრუნებულა ინსტიტუტის დასამთავრებლად.

ხომ ამბობენ, ეროვნება არაფერს ნიშნავს. ყოველ ერს ჰყავსო უკეთურები. რამდენი ესტონელი ნახა შუხოვმა, მაგრამ ცუდი არც ერთი არ გამომდგარა.

ყველანი ჩამომსხდარიყვნენ — ეინ ფილებზე, ვინ ყალიბზე და ვინ კიდევ პირდაპირ მიწაზე. დილაადრიაანად ენა არავეს უბრუნდება სალაპარაკოდ, ყველანი თავთავის საფიქრალს მისცემიან და სხედან უჩუმრად. წუბაკ ფეტუკოვს სადღაც-სადღაც ნაშვებები შეუგროვებია (თუკი მოიხელთა, საფურთხებლიდანაც არ შეიზიზღებს ამოდებისას), ახლა მუხლებზე ხსნის, დაუწვავ თუთუნს ჭალალდის ნაყუნზე აგროვებს. ფეტუკოვს შინ სამი შვილი დარჩენია, მაგრამ ჩააჩინეს თუ არა, სამივემ იუარა მისი შვილობა; ცოლი კიდევ გათხოვილა. ასე რომ შეწვენას არავისგან მოელის. ბიუნოვსკიმ უყურა, უყურა და შეუღრინა:

— რას მოგიხვეტია ევ ოხრობა? ათაშანი გიმოგაყრის ტუჩებზე! დაეხსენი! მეორე რანგის კაპიტანი ბრძანების გაცემასაა დაჩვეული, ყველას ისე ელაპარაკება, თითქოს განაკარგულეზას აძლევდეს.

მაგრამ ფეტუკოვი არაფრით არაა ბუინოვსკიზე დამოკიდებული — ამანა-

თები არც კაპიტანს მოსდის. სანახევროდ უკბილო პირით შუღლიანად გაიცინა და უთხრა:

— მოითმინე, კაპიტანო, რვა წელს რომ იჯდები, შენც დაიწყებ ნამწვავების გროვებას. შენზე უკადრი ხალხიც მოსულა ბანაკში.

ფეტიუკოვი თავის საზომით ზომავს, თორემ კაპიტანმა იქნება კიდევ გაუძლოს...

— რაო, რაო? — ვერ გაიგონა ყურნაკლულმა სენკა კლევშინმა. ეგონა, იმაზე ლაპარაკობენ, ამ დილას რომ ბუინოვსკი ჩავარდაო. — არ უნდა გეშუხურა! — თავი მწუხარედ გადააქნია. — ისე მოგვარდებოდა ყველაფერი.

სენკა კლევშინი ჩუმი, საწყალი კაცია. ცალი ყური ორმოცდერთშივე გასკდომია. მერე ტყვედ ჩავარდნილა, გამოქცეულა, დაუპერიათ და ბუხენვალდში უკრავთ მისთვის თავი. იქ სიკვდილის რაღაც სასწაულით გადაარჩენია, ახლაც უდრტვინველად იხდის სასჯელს. ვინც ბრეჟას არ მოიშლის, დაიღუპებაო, იცის ხოლმე თქმა.

ნამდვილად ასეა. გორჩენია მოიდრიკო, თორემ, თუ გამაღიანდი, წელში გადაგტეხავენ.

ალექსეის სახე ხელებში ჩაუმალავს, ჩუმადაა. ლოცულობს.

გაათავა შუხოვმა პური, ოღონდ ქერქის ერთი მომრგვალებული ნაჭერი დაიტოვა. იმიტომ რომ ვერც ერთი კოვზით ისე პირწმინდად ვერ მოასუფთავენ ჯამს, როგორც პურის ქერქით. ეს ნაჭერი ისევ თეთრ ჩვარში გაახვია, სათბურის შიდა ჭიბეში ჩაიდვა, შეიბნია და მოემზადა — ახლა გაგზავნონ სამუშაოზე. ისე კი აჯობებდა არ აჩქარებულაყვენს.

ოცდამეთვრამეტე ბრიგადის ხალხი წამოიშართა და დაიფანტა: ვინ დუღაბის საკეთებელს მიაშურა, ვინ არმატურას, ვინ კიდევ წყალზე წავიდა.

მაგრამ არც ტურინი აკითხავდა თავის ბრიგადას, არც მისი თანამემწე პავლო და, თუმცა ჭერ ოციოდე წუთს თუ გაეგლო, რაც ასმეოთხე უქმად იქდა, მაგრამ ზამთრის სამუშაო დღე, შე-

მოკლებული, ექვს საათამდე შებოდა. ასე რომ ყველას დიდ ზედხერებად მიანდა ამსიგრძე დასვენება, თითქოს აღარც კი რჩებოდა ბევრი დრო საღამომდე.

— ეპ, ქარბუქი აღარ ყოფილა დიდი ხანია! — ოხრავს დეჟაჟა, ნაპატივები კილგასი. — ზამთარი გადის და ერთი ქარბუქიც არ ყოფილა! ეს რა ზამთარია?!

— ჰო... ქარბუქი... ქარბუქი... — ოვრითვე პასუხობს ბრიგადა.

აქ რომ ქარბუქი ამოეარდებდა, არამც თუ სამუშაოზე არ გაყავთ პატიმრები, ბარაკიდან გამოშვებისაც ეშინიათ: ბარაკიდან სასაბილომდე ბაწარი თუ არ გაქიშე, გზასაც ვერ გაიგნებ. ჩაიყინება თოვლში პატიმარი და გათავდა. რომ გაიქცეს? იყო შემთხვევები. ქარბუქის დროს წვრილ-წვრილად აყრის თოვლს, მაგრამ ისეთ ნაძქერებად იზვინება, იტყვი — დაუპრესიათო. სწორედ მავთლის თავზე გადავლებულ ამგვარ ნაძქერებს მიპყვებოდნენ გაქცეულნი. თუმცა შორს ვერც ერთი ვერ წავიდა.

კაცმა რომ თქვას, ქარბუქს ხეირი არაფერი მოჰყვება: სხედან პატიმრები ჩამწყვდეულში, ნახშირი დროულად ვეღარ მოაქვთ, ქარმოძალებულ ბარაკში სითბო აღარ ჩერდება; ვეღარც ფქვილს აწვდიან ბანაკს — უპუროდ რჩებიან; გაიხედავ და სამზარეულოშიც ვერაფრისთვის მოუბამთ თავი. და რამდენიც უნდა უბეროს ქარბუქმა, სამი დღე იქნება თუ მთელი კვირა, — იმ დღეებს გამოსასვლელ დღეებად უთვლიან და იმდენ კვირადღეს ზედხერებად სამუშაოდ მიერეკებიან.

ხომ ასეა, მაგრამ მაინც უყვართ პატიმრებს ქარბუქი და სულ მის ნატვრაში არიან. როგორც კი ცოტა იმძლავრებს ქარი, ცას შეაჩერდებიან: მასალა როგორმე, მასალაო!

ვითომ — თოვლიო.

იმიტომ რომ ქარახვეტი ნამდვილ ქარბუქად არასდროს არ იქცევა.

რომელიდაცა გაძვრა და 38-ე ბრიგადის ლუმელს მიეფიცა, მაგრამ მაშინვე გამოამსურეს იქიდან.

ამასობაში ტიურინიც შემოვიდა. მოლტშული იყო. ბრიგადელებმა იაზრეს: რაღაც უნდა დაეწყოთ, თანაც სასწრაფოდ.

— ასეუ, — მიმოიხედა ტიურინმა.

— ყველა აქაა, ასმეოთხე?

იქითხა, ოღონდ არ შეუფოქმებია, არც გადაუთვლია, რადგან ტიურინს ვერაინ წაუვიდოდა სადმე. ფიცხლად შეუდგა სამუშაოზე ხალხის გამწესებას. ორი ესტონელი, კლემშინი და გობჩიკო გააგზავნა — აქვე ახლოს დულაბის დიდი ყუთია, თბოელექტროცენტრალში წაიღეთო. ამით ცხადი შეიქნა, რომ ბრიგადა დაუმთავრებელ, გასულ შემოდგომაზე მიტოვებულ თბოელექტროცენტრალში გადავიდოდა სამუშაოდ. კიდევ ორი იქით გაუშვა, სადაც პავლო ხელსაწყობებს ღებულობდა. ოთხს დაავალა თოვლი ეწმინდათ თბოელექტროცენტრალთან, სამანქანო დარბაზის შესასვლელთან, სამანქანო დარბაზშიც და კიბეებზეც. კიდევ ორს უბრძანა იმ დარბაზში ღემელი დაენთოთ, ნახშირიც შეეკეთებინათ და ფიცრებიც აეწიათ სადმე და დაეჩხხათ. ერთს ცემენტი უნდა ეზიდა მარხილით, ორს წყალი, სხვა ორს — სილა, ერთს კიდევ ის სილა თოვლისგან გაეწმინდა და ძაყინით დაეფშენა. ეს ყველაფერი რომ მოათავა, დაუსაქმებელი დარჩნენ შუხოვი და კილგასი — ბრიგადის საუკეთესო ოსტატები. ბრიგადირმა ისინი გაიხმო და უთხრა:

— აი რა გითხრათ, ყმაწვილებო (ხნით მათზე უფროსი არ იყო, მაგრამ ამგვარი ჩვეულება ჰქონდა — „ყმაწვილებო“). ნასადილევს მეორე სართულზე წიდაბლოკებით კედლების აყვანას შეუდგებით, შემოდგომაზე მეექვსე ბრიგადამ რომ მიატოვა, იმ ადგილას. ახლა სამანქანო დარბაზია გასათბობი. სამი დიდი ფანჯარაა. რამეთი უნდა დაგმანოთ. ხალხს კიდევ მოგაზმართ, ოღონდ მოისაზრეთ, რით შეიძლება დაგმანვა. სამანქანო დარბაზში დულაბიც უნდა ვაკეთოთ და ძვლებიც იქ უნდა გავითბოთ, თუ ვერ გავათბეთ ის

დარბაზი, ძალეებივეთ კომუნიკაციების სული, გამიგეთ?

იქნებ კიდევ ეთქვა რამე, მაგრამ გობჩიკო მოიბრინა, გოჭივით დაბრუნულმა თექვსმეტი წლის ყმაწვილმა, და შესჩივლა — სხვა ბრიგადა სადულაბე ყუთს არ გვატანს, გვეჩხუბებდინო. და ტიურინმაც იქით გაუტია.

შუხოვმა და კილგასმა ერთიმეორეს გადახედეს. უკვე ბევრჯერ იყვნენ ერთად ნამუშევარი და ერთიმეორეს პატივს სცემდნენ, როგორც კარგ ხუროს და კარგ კალატოსს. ადვილი საქმე არ იყო ამ ცარიელა თოვლში ფანჯრების დასაგმანი მასალის შოვნა. მაგრამ კილგასმა თქვა:

— ვანია! ასაწყობი სახლები რომ არის, ერთი ადგილი მეგულება, ტოლის დიდი გრაგნილი დევს. მე თვითონ დაემალე. წავიდეთ?

კილგასი ლატვიელია, მაგრამ მშობლიურ ენასავით იცის რუსული, — მათ მეზობლად სტაროვერული სოფელი ყოფილა, ბავშვობიდანვე უსწავლია. სულ ორი წელია, რაც ბანაკშია, მაგრამ უკვე ყველაფრის აზრზეა. ვერაფერში აჭმევილობანი ჰქვია კილგასს, შუხოვი ვანიას ეძახის.

გადაწყვიტეს ტოლზე წასვლა. ოღონდ მანამდე შუხოვმა ავტოსარემონტო კორპუსის მშენებლობაზე შეიბრინა თავისი ქაფჩის წამოსაღებად. ქაფჩა კალატოზისთვის დიდი რამეა, მით უფრო, თუ მსუბუქად სახმარიაა. მაგრამ ყოველ ობიექტზე ამგვარი წესია დადგენილი: ხელსაწყოს დილით ღებულობ და საღამოთი აბარებ. და სახვალიოდ როგორ იარაღს იშოვნო, ეს უკვე იღბალზეა დამოკიდებული. მაგრამ შუხოვმა ერთხელ მეინსტრუმენტს აჭაშა და საუკეთესო ქაფჩა შეიჩინა. ახლა ყოველ საღამოს მალავს იმ ქაფჩას, დილით კი, საკალატოზო სამუშაომ თუ მოუწია, მიაკითხავს ხოლმე. რაღა თქმა უნდა, ასმეოთხისთვის დღეს სოცქალაქში რომ ეკრათ თავი, შუხოვი ისევ უქაფჩოდ დარჩებოდა. ახლა კი პატარა ქვა გადააბრუნა, ნახვრეტში თითები შეტყო და ამოაძვრინა.



შუხოვი და კილგასი ავტოსარემონტოდან გამოვიდნენ და ასაწყობი სახლებისკენ გაემართენ. ხშირ ორთქლად ამოდიოდა მათი ნასუნთქი. მზემ უკვე აიწია, მაგრამ უსხივებოდ ანათებდა, მის აქეთ-იქით კი ნისლი თითქოს სვეტებად ამართულიყო.

— სვეტები ხომ არაა? — მიანიშნა შუხოვმა.

— სვეტები რას გვიშლის, — ჩაეცივნა კილგასს, — შენ ისა სთქვი, სვეტიდან სვეტზე ეკლიანი მავთული არ გადაჭიმონ.

კილგასი სიტყვას არ იტყვის, რომ არ იხუმროს. სამაგიეროდ მთელ ბრიგადას უყვარს. ბანაკში მყოფი სხვა ლატვიელები ხომ როგორ პატივს სცემენ! ერთი კია, ნორმალურად იკვებება კილგასი, თვეში ორ-ორ ამანათს ღებულობს, ისეა დაბარაწული, თითქოს ბანაკში არც ყოფილიყოს. რატომ არ იხუმრებს, რა!

უშველებელია მათი ობიექტის ზონა, როდის-როდის გახვალ ბოლოში. გზად 82-ე ბრიგადის ბიჭებს გადაეყარენ. ისევ რომოების თხრაზე დაუყენებიათ. ორმოები პატარ-პატარა უნდა: ორმოცდაათი ორმოცდაათზე და სიღრმეც ორმოცდაათი. მაგრამ აქაური მიწა ხაფხულშიაა ქვესაფეთხა, ახლა კი ყინვისგანაც დამზრალია. მიდი და თხარე, თუ ბიჭი ხარ! დასცხებენ წერაქვს — იქვე ირეკლავს, ნაბერწყლები სცვივა, მიწა კი არც იჩიჩნება. დადგომიან ბიჭები თავთავიანთ ორმოებს თავზე, ახლო-მახლო ისეთი არაფერია, გათბობა შეიძლება ბოდვს, სამუშაო ადგილიდან მოშორების უფლება კი არა აქვთ. მიიხედ-მოიხედავენ და ისევ წერაქვს წამოავლებენ ხელს. იმის ამარა არიან დარჩენილი, იმან უნდა გაათბოს.

მათ შორის ერთი ნაცნობი ვიატკელი დინახა შუხოვმა და რჩევა მისცა:

— ყოველი ორმოს თავზე ცეცხლი უნდა დაგენთოთ, მიწისმთხრელებო, ცოტათი გალღებოდა მიწა.

— ნებას არ გვრთავენ, — ამოიხვნეშა ვიატკელმა, — შეშას არ გვაძლევენ.

— უნდა მოიძიოთ.

კილგასმა მხოლოდ გადააფურცლა — ერთი მითხარი, ვანია, როსებს რომ ჭკუა ჰქონოდათ, ხალხს ასეთ ყინვაში წერაქვების საბლაცუნოდ დააყენებდნენ?

კიდეე რამდენჯერმე გაურკვეველად შეიკურთხა კილგასმა და დადუმდა. ყინვაში ბევრს ვერ ილაპარაკებ. ასე იარეს და იმ ადგილს მიაღვინე, სადაც ასაწყობი სახლების ფარები იყო თოვლქვეშ ჩაფლული.

უყვარს შუხოვს კილგასთან მუშაობა. მხოლოდ ერთი აქვს კილგასს ცუდი, რომ არ ეწევა და მის ამანათებში თამბაქო არ არის ზოლმე.

მართლაც დაკვირვებული კაცია კილგასი: ერთი ფიცარი გადაწივს, მეორე და ქვეშ ტოლის გრაგნილი დაუხვდათ. ამოიღეს. ახლა საქმე ისაა, როგორ წაიღონ? კოშკურებიდან რომ დინახავენ, ეგ არაფერი: გუშაგებს მხოლოდ იმის დარღი აქვთ, არსაით გაიქცენ პარტიზმები, თორემ სამუშაო ზონის შიგნით თუნდაც ყველა ფარი დაუნაფოტებიათ, არას ინაღვლებენ. ბანაკის ზედამხედველი რომ შემოეყარათ, ეგვეც არაფერი: თვითონაც იმის ფიქრშია, თავის ქონებას რა შემატოს. მუშებსაც ფეხებზე ჰკიდიათ ეს ასაწყობი სახლები. ბრიგადირებსაც. მხოლოდ სამუშაოთა მწარმოებელი ზრუნავს ამ სახლებზე, ისა და პარტიზართაგან რომ ათისთავია, და კიდეე აყლაცუნდა შკურო-პატენკო. მხოლოდ იმისთვის უწერენ ნარდად, რომ ასაწყობ სახლებს დარაჯობს პარტიზართაგან. აი, ეს შკუროპატენკო სწორედ ყველაზე საშიში, შეიძლება ჩაეღოს ამ მოტრიალებულ ველზე.

— იცი რა გითხრა, ვანია, ასე წაღება არ იქნება, — მოისაზრა შუხოვმა. — მოდი, მივიყუდოთ, ხელი მოვხვიოთ და ზედ გადაფარებულებმა მსუბუქად ვიაროთ. შორიდან ვერ გაარჩევენ.

კარგად მოისაზრა შუხოვმა. გრაგნილი ძნელი ხელმოსავლება. ამიტომ ხელში კი არ აიღეს, ორთაშუა მოიქციეს, თითქოს მესამე კაცი ყოფილიყოს, მკიდროდ მიეკრენ და გასწიეს,

გარეშე თვალი იმას თუ დაინახავს, რომ ერთმანეთს აკრული ორი კაცი მიაბიჯებს.

— სულ ერთია, მერე სამუშაოთა მწარმოებელი დაინახავს ფანჯრებზე ატოლს და მიხვდება, — თქვა შუხოვმა.

— მერე ჩვენ რა შუაში ვართ? — გაიოცა კილგასმა. — მოვედით თბოელექტროცენტრალში და ასევე დაგვიხუდა, ხომ აღარ ჩამოგვლეჯდით-თქო, ვეტყვი.

ესეც მართალია.

თითები ისე გაუშვსდა ცუდ ხელთათმანში, ვეღარც კი გრძნობს. მარცხენა ჩექმა კი ჭერჭერობით მაგრადაა. მთავარია თექურები. ხელები მუშაობის დროსაც გაუთბება.

უკვლავ თოვლში იარეს. ხელსაწყოების ფარდულიდან მარხილის ნაკვალევი მიუყვებოდა თბოელექტროცენტრალისკენ. ეტყობა, ცემენტი გაუტარებიათ.

თბოელექტროცენტრალი ბორცვზე დგას. მის გადაღმა ზონაც თაედება. დიდი ხანია აღარავინ ყოფილა აქ, ყველა მისადგომი თოვლს გადაუგლეხია. მით უფრო მკვეთრად აჩნია მარხილის ღრმა ნაკვალევი — ჩვენებს ჩაუვლიათ. უკვე მიმდგარან და ნიჩბებით სამანქანო გზას წმენდენ თბოელექტროცენტრალთან.

უკეთესი იქნებოდა, აშწე რომ მუშაობდეს. მაგრამ მოტორი გადაშწვარა და მას მერე, მგონი, აღარც შეუყეთებიათ. ესე იგი მეორე სართულზე ისევ საკუთარი ზურგიით უნდა თრიქონ ყველაფერი.

ორ თვეს რუხი ჩონჩხივით იდგა თოვლში ჩათლული თბოელექტროცენტრალი. მაგრამ, აი, მოვიდა 104-ე ნეტა სული მაინც რაში უდგიათ? — გამოცარიელებულ მუტლებზე ბრეზენტის ქამრები შემოთქურიათ; ყინვა ხეთქავს ყველაფერს; არც თბილი ოთახია სადმე და არც ცეცხლის პინწყალი. და მაინც — 104-ე მოვიდა და სიცოცხლე ისევ დამკვიდრდა.

სამანქანო დარბაზის შესასვლელთან დულაბის ყუთი გაჭედილა. ძველი

იყო ის ყუთი, არც ვგონებ შუხოვს, მთელს თუ მოათრევდნენ აქამდე. მარცხენა მხარე ერთი შეიკურთხა, როგორც რიგი და წესია, მაგრამ მასაც რა ექნა — დამნაშავე არავინ იყო. ამასობაში კილგასმა და შუხოვმაც მოაწიეს ტოლიანად. გაიხარა ბრიგადირმა და მაშინვე დასაქმა ხალხი: შუხოვს დღემდისთვის მილი უნდა მოეგრო, რათა ჩქარა გაეჩაღებინათ, კილგასს ორი ესტონელი უნდა დაეხმარებინა და ყუთი შეეკეთებინა, ზოლო სენკა კლევშინს ნაჯახი აეღო და ტოლის დასაქრავი გრძელ-გრძელი ლარტყები დაეჭრა, რადგან ტოლი ორჯერ უფრო ვიწრო გამოდგა ფანჯარაზე. თამასები სადღა უნდა იშოვნონ? სამუშაოთა მწარმოებელი გასათბობი ოთახისთვის ფიცრებს ხომ არ გამოუწერს! მიმოიხედა ბრიგადირმა. სხვებმაც მიმოიხედეს. მეტი გზა არაა, მეორე სართულზე მიდგმულ კიბეს მოაჯირად დაყოლებული ორიოდ ფიცარი უნდა ააძრონ. თვალმარჯვედ იარე და კისერს აღარ მოიტეხ. აბა რა ექნათ?

კაცი იფიქრებს, რატომ უნდა წყდებოდეს წელში პატიმარი ათ წელიწადს? არ მინდაო, თქვას და მორჩა. როგორმე დღე გაიყვანოს და მერე ღამე მისია. მაგრამ ასე არ გამოვა. ამისთვისაა მოგონილი ბრიგადა. თან ისეთი ბრიგადა კი არა, როგორც ვარეთაა, სადაც ივან ივანის ცალკე ეძლევა ხელფასი, პეტრ პეტროვიჩს კიდევ ცალკე. ბანაკში ბრიგადა ისეა მოწყობილი, უფროსებმა კი არ უნდა ამუშაონ პატიმრები, პატიმრებმა უნდა აიძულონ ერთიმეორე. აქ ასეა: ან ყველანი დამატებით მიიღებთ, ან არა და ყველას სულიც გააძრობიათ. შენ არ მუშაობ, ჩათლახო, და შენი გულისთვის მე უნდა ვიმშობილო? მიდი, მიდი, ხელი გაანძრიე!

მით უმეტეს, თუ ისეთ ყოფაში მოხვდი, როგორშიც ახლა, ბევრს ვერ ინებებებ. გინდა თუ არ გინდა, გაინძერი, საკუთარ ტყავში გამოძვერი. თუ ორ საათში გასათბობი ოთახი არ გავიკეთებ, ყველას მოგვეხაზება.

პავლოს ხელსაწყოები უკვე მოუტა-

ნია, მიღეჭით და დანიანელები. რამდენიმე საკვამური მილიცაა. მართალია, თუნუქის საჭრელი არაფერი იშოვნება, მაგრამ საზენკლო ჩაქუჩია ერთი და ნაჯახი. როგორმე იოლად გავალთ.\*

შუხოვე ხელებს ერთმანეთს უტყაბუნებს და საკვამურ მილებს აერთებს; ისევ უტყაბუნებს და ისევ აერთებს (ქუფია იქვე ახლოს გადაშალა. მისიანები არიან ბრიგადაში, მაგრამ შეიძლება შეუცვალონ. იმავე კილგასმა).

თითქოს ცოცხით გამოეხვეტოთ ყველა აზრი მისი თავიდან. აღარაფერს აღარ იგონებდა და არც არაფრის გამოზრუნავდა, იმასლა ფიქრობდა — თუნუქის მილები როგორ ვაკოწიწო და თავი ისე როგორ გავაყოფინო, არ აბოლდესო. გოპნიკი მავთულის საძებნელად გავზავნა — ფანჯარასთან მილის დამაგრება მოუხდებოდა.

კუთხეში კიდევ არის ერთი მომცრო, აგურის საკვამურიანი ლუმელი. რკინის ქურა უყენია. გაახურებენ და ზედ სილას აშრობენ. ის ლუმელი უკვე დაუგუხგუხებიათ, ახლა მეორე რანგის კაპიტანი და ფეტიუკოვი სილას ეზიდებიან და ზედ აყრიან. სილის თრაქვას დიდი ჭკუა არ სჭირდება. ამიტომ ბრიგადირი ამ სამუშაოს ყოფილ თანამდებობის ხალხს აკეთებინებს. წუპაკი ფეტრუკოვი რომელიღაც კანტორაში დიდი კაცი ყოფილა. მანქანით დაქრიალებდა თურმე.

პირველ ხანებში ფეტიუკოვი დანავერასაც უპირებდა კაპიტანს, წაეყოფოლონინა. მაგრამ კაპიტანმა ერთი მოჩანთა კბილებში და ამაზე მორიდდნენ.

ის იყო ბიჭები სილიან ლუმელს მიაწყდნენ მისაფიცებლად, ბრიგადირმა გააფრთხილა:

— მოგაფეთებთ ახლა რომელიღაცას! ჯერ საქმე!

დაშინებულმა ძაღლმაო... მხეცურად ყინავს, მაგრამ ბრიგადირი უფრო გულმხეცია... ისევ სამუშაოს მიეტანენ ბიჭები.

ბრიგადირი პავლოს ეუბნება ჩუმაღ:

— შენ აქ დარჩი, თვალი მაგრად გე

ჭირს. მე საპროცენტოს დასაბურავად ვარ წასასვლელი.

პროცენტებზე მეტია დამოკიდებული, ვიდრე თავად მუშაობაზე. ჭკვიანი ბრიგადირი პროცენტებს აწევება. პროცენტები გვაკმევს პურს. რაც არ გავეთებულა, დამტკიცე — გაკეთებულა თქო; რაშიც ცოტას გიხდიან, ისე გაჩარხე — მეტი მოგკენ. დიდი გამჭრიახობა მართებს ბრიგადირს. ბლატიც უნდა ჰქონდეს მწორმავებთან. ისინიც უნდა მოთაფლოს.

ისე, კაცმა რომ თქვას, ვის სჭირდება ამდენი პროცენტები? ბანაკს სჭირდება. ამ პროცენტებითაა, რომ მშენებლობიდან ათასებს ქაჩავს ზედმეტად და თავის ლეიტენანტებს პრემიებს რომ უწერს. იმ შენს ვოლკოვოს უწერს მათრახის ქნევისთვის და შენც საღამოს ორას გრამ პურს კიდევ გარგუნებს. სიცოცხლედ გიღირს ის ორასი გრამი.

ორი ვედრო წყალი მოიტანეს. წყალს გზაში ყინული გადაპკროდა. პავლომ დაასვენა — გარედან ზიღდა არც ღირს. აქვე თოვლს გავადანბთო. ვედროები ლუმელზე შემოდგეს.

გოპნიკმა ალუმინის ახალთახალი მავთული ზოათრია, ის მავთული, ელექტროსები სადენებს რომ ჭიმავენ, შეჭოვს ეუბნება:

— ზვან ღენისიჩ, კარგი საკოვზე მათელია. მასწავლით კოვზის ჩამოსხმას?

უყვრს ეს ცულლუტი გოპნიკი ივანს (საკუთარი ვაჟი უწოლოვანი მოუცვდა, შინ ორი შეღერებული ქალიშვილი უზის). ბენდერელებისთვის ტყეში რძე დაჰქონდა თურმე, იმიტომ ჩაუჭენიათ გოპნიკი. დიდს რომ მისცემდნენ, იმდენი მიუსაჯეს. ისე — მოსიყვარულე ბოჩოლაა, ყველას ელაციცება. კი შებერტყილიცაა: თავის ამანათებს მართოდმართო თოხლავს, ზოგჯერ დამდამობითაც ილუკმება.

სულ ერთია, ყველას მინც ვერ გააძლებ და.

საკოვზე მავთული ჩამოჭრეს. კუთხეში გადაშალეს. ორი ფიცარი კიბესავით ააყულდა შუხოვმა და გოპნიკი ავზავნა

მილის ჩამოსაქედებლად. გოპიკი ცეცხვით მარჯვედ აცოცდა, ლურსმანი მიაჭედა, მათული ჩამოაცვა და მილქვეშ ამოატარა. შუბოვმა არ დაიხარა, მილს მუხლი მალა ააშვერინა: დღეს უქარო ამინდია, მაგრამ ხვალ შეიძლება ამოვარდეს და ბოლი არ უნდა შემოაბრუნოს ღუმელში. უნდა გესმოდეს, რომ ამ ღუმელს ისევე შენთვის იზახადებ.

სენკა კლეეშინს გრძელ-გრძელი ლარტყები დაუჭრია. ესენიც გოპიკს მიაჭედებინეს. დაძვრება ეს ეშმაკის ფეხი და ჩამოსახის ზემოდან.

მზემ წამოიწია, ნისლი გაფანტა და აღისფრად აციაგდა დარბაზში. ამასობაში ნაპარაკი შეშით ღუმელიც დაანთეს. გაიხარა ხალხმა.

— იანვარში დათვი მზეს თბობილობდაო, — თქვა შუბოვმა.

კილგასი სადღუღაბე ყუთის შეკვრას მორჩა, ერთიც შემოუქაყუნა ნაჯახი და დაიძახა:

— გესმის, პავლო, ამ სამუშაოში ბრიგადირისგან ასი მანეთი მერგება, ნაკლებს ხელს არ მოგვიდებ, იცოდე!

პავლო იცინის:

— ას გრამს მიიღებ.

— პროკურორი დაგიმატებს! — გაიძახის ზემოდან გოპიკი.

— ნუ იზამთ, ნუ იზამთ! — იყვირა შუბოვმა. (ტოლს ბრუნდედ დაუპირეს გაჭრა).

უჩვენა, როგორც უნდა დაეჭრაო.

თუნუქის ღუმელს ბევრნი მიეტანენ. პავლომ გამორეკა. კილგასს სხეები მიამშველა და უბრძანა დუღაბის ზემოთ საზიდად ვარცლი გაეკეთებინათ. სილის მზიდავებს ერთი-ორი კაცი მიუმატა. ზემოთაც ავზავნა თოვლისგან ფიცარნაგების და თვით კედლის გასაწმენდად. და კიდევ ერთს დაავალა შემთბარი სილა ქურბოდან სადღუღაბე ყუთში ჩაეყარა.

გარეთ მოტორის თუბოუხი გაისმა — წილა ბლოკების მოზიდვა დაუწყიათ, მანქანა მოდის თოვლში. ახლა იქ გავარდა პავლო, ხელების ქნევით უჩვენებდა, სადაც უნდა დაეცალათ მანქანა.

ერთი პირი ტოლი უჩვენებდა მეორეც. ტოლი რას დაგზნებდა? ქაღალდი ქაღალდია. მაგრამ მაინც თითქოს გამთლიანდა კედელი. დარბაზშიც უფრო ჩამობნელდა. მიტომა, რომ ღუმელს შუქი მოემატა.

აღიოშამ ნახშირი მოიტანა. ზოგი უყვირის — ჩაყარე, ზოგი — არ ჩაყარო! სანამ შეშა, ცოტას გავებებითო! დადგა და აღარ იცის, ვის გაუგონოს.

ფეტუყოვი ღუმელთან მოკალათებულა და თექურებს ზედ ცეცხლზე უფიცებებს ის გამოტვივინებული. კაპიტანმა ქჩიოში ხელი წაავლო და ისევე წაათრია:

— სილა საზიდავი, შე დამბალო!

მეორე რანგის კაპიტანი ბანაკის სამუშაოს საზღვაოსგან არ არჩევს: ეტყვიან — გააკეთეო, მიდგება და აკეთებს. ამ ბოლო ხანს ძალიან ჩამოიბერტყა კაპიტანი, მაგრამ უღელს მაინც ეწევა.

დიღხანს მოუნდნენ თუ ცოტა ხანს, სამივე ფანჯარა ამოგმანეს ტოლით. ახლა სინათლე კარებშილა შემოდის. სიცხვეც იქიდანაა. პავლომ ბრძანა კარის ზედა ნაწილიც აეჭედებინათ, ისე რომ თავმოხრილ კაცს შემოსვლა შეძლებოდა. ააქედეს.

ამასობაში სამი გზობა მოზიდეს წიდა-ბლოკები. ახლა საქმე ისაა, უამწეოდ როგორ აიტანონ მეორე სართულზე?

— კალატოზებო, წამრდით, ვნახთო! — მიუხზო პავლომ.

საპატიო საქმეა. შუბოვი და კილგასი პავლოს აპყვენ. კიბე ისედაც ვიწრო იყო და სენკამ მოაჯირიც მოაცილა; კედელს აკრულმა უნდა იარო, რომ არ გადავარდებ. კიდევ ისაა ცუდი, რომ საფეხურებს თოვლი მიჰყინვია, მოუმრგვალებია, ფეხის მოკიდება ჭირს. როგორ უნდა ათრიონ დუღაბი?

გახედეს, სადაც კედელი იყო ამოსყვანი. აქ უკვე ნიჩბიანები მოსულან და თოვლს წმენდენ. საჭირო შეიქნება ძველ ნაშენებს ყინული ნაჯახით აამტერიონ და ცოცხით გადახვეტონ.

მოათვალიერეს, საიდან შეიძლებოდა

წიდა-ბლოკების მიწოდება. ძირს ჩაიხედეს. გადაწყვიტეს: კიბეზე თრევას აწობებს ქვემოთ ოთხი კაცი გამწვარი წიდა-ბლოკების აი, იმ ფიცარანამდღე მისაწოდებლად, იქ კიდევ ორი სხვა დააყენონ და ორიც ზედა სართულზე. მაინც უფრო ჩქარა წავა საქმე.

ზემოთ ქარი ძლიერი არაა, მაგრამ მაინც უბერავს. არც მუშაობის დროს მოგეშვება. ოღონდ დაწყებულ კედელს რომ ამოეფარები, არა უშავს, ცოტათი დაგთბება.

შუხოვეა ცას ასედა და გაშტერდა: ცა მოკრიალებულა, მზე საშუადღეოზე ასულა. საკვირველი ამბავია: მუშაობისას ვერაფერს გაიგებ, როგორ ვადის დრო. რამდენჯერ დაკვირვებია შუხოვე: ბანაკში დღეები ისე გაიჭროლებს, თვალს ვერ მოატან, ზოლო ვადისას ზის ვადას მაინც არაფერი აკლდება, ერთ ადგილზეა მუდამ.

ისევ დაბლა ჩავიდნენ. იქ ყველანი უკვე ღუმელს შემოსხდომოდნენ, მხოლოდ კაპიტანი და ფეტოუკოვი ეზიდებოდნენ სილას. გული მოუვიდა პავლოს, რვა კაცი ერთად გაყარა წიდა-ბლოკებზე, ორს უბრძანა ყუთში ცემენტი ჩაეყარათ და სილაში მშრალად აერიათ, ერთი წყალზე გაგზავნა, მეორე—ნახშირზე. კილგასმა თავის ჯგუფს მიმართა:

— აბა, ბიჭებო, მოვითავოთ ბარემ! — მეც ამით მივეხმარები, — შუხოვე იქით ეხეწება პავლოს — დამსაქმეო.

— მიხეხარე, — თავს აქნევს პავლო. ბაკი მოიტანეს სადღუბზე წყლის გასათბობად. ვილაცას უთქვამს — უკვე თორმეტი საათიაო.

— ნამდვილად იქნება, — დადასტურა შუხოვემა. — მზე უკვე საშუადღეოზეა.

— საშუადღეოზე თუა, თორმეტი კი არა, პირველი ყოფილა, — გამოეხმაურა კაპიტანი.

— ვითომ რატომ? — გაოცდა შუხოვი. — ჩვენმა მამებმააც ასე იცოდნენ

და პაპებმააც: ყველაზე მაღლა მზე სულ დაილობისას დგას.

— პაპებმა კი იცოდნენ! — მოუტრა კაპიტანყოფილმა. — მას შემდეგ დეარტი გამოვიდა და მზე ყველაზე მაღლა პირველ საათზე დგას.

— ვისი დეარტი?

— საბჭოთა ხელისუფლების.

კაპიტანი ისევ სილაზე წავიდა, თუცა შუხოვი მაინც არ აპირებდა შეკამათებას. ვითომ მზეც ამით დეარტებს ემორჩილება?

კიდევ თაღეს და აჯაყუნეს. ოთხი ვარცლი გამოაკოპიტეს.

კმარა, ჩამოეჭდეთ და გავთბეთ ცოტა, — მიმართა პავლომ კალატოზებს. — ნასადილეც თქვენც კედლის ამოყვანაზე იმუშავეთ, სენკა, დაქვით!

და ვალმოხდილები ღუმელს მიუსხდნენ. სულ ერთია, სადილობამდღე კედლის ამოყვანას ველარ დაიწყებენ, ღუმლის ახლავე დამზადება კი არ ღირს, მაინც გაიყინება.

ნახშირი ნელნელა გავარვარდა, ახლა ხვევანად იცხუნება. მაგრამ სითბოს ცეცხლის პირას თუ იგრძნობ, დანარჩენი დარბაზი ისევ ისე გაყინულია.

ხელთათმანები წაიბრეს, ღუმელზე ხელებს აფიცებენ ოთხივენი.

მაგრამ ფეხი, თუ ზედ რამე გაცვია, ცეცხლს არ უნდა გააყარო. უნდა იცოდე ეს ამბავი. თუ ფეხსაცმელებში ხარ, ტყავი ერთიანად დაგისკდება; თექურებს კიდევ ოხმივარი აუვა, ნესტი გაუჭდება და არც ფეხს მიემატება სითბო. თუ გაბრძოლები და უფრო ახლოს მიიტანე ცეცხლთან, სულაც დაგეწვება თექურები. ასე გახვრეტილი ჩექმით ივლი გაზაფხულამდღე, ახლებს არაფერს მოგართმევს.

— შუხოვს რა უქირს! — კილგასმა დაიწყო. — შუხოვს ცალი ფეხი უკვე საკუთარ სახლში უდგას.

— აგე, ის შიშველი ფეხი, — მოაძახა ვილაცამ. გაიცინეს (შუხოვს მარცხენა დამწვარი თექურა გაუხდია და ფეხსახვევს ითბობს).



— შუხოვს ვადა გაუღის.

თავად კილგასს ოცდახუთი აქვს. ერთი პირობა იღბლიანი დრო იყო: ყველას თანაბრად კრეჭდნენ — ათათს აძლევდნენ. ორმოცდაცხრიდან კი დრო შეიცვალა — ყველას განუჩრეველად ოცდახუთს აკრავენ. ათ წელიწადს კიდევ გაძლებს კაცი ცოცხალი, მაგრამ აბა მიდი და ოცდახუთს გაუძელი!

შუხოვს თან სიამოვნებს, ყველანი მასზე რომ უფითებენ — მაგას ვადა გაუღისო, მაგრამ თავად მაინცდამაინც არ სჯერა ეს ამბავი. ომის დროს ვისაც ვადა გაუვიდა, ყველანი განსაკუთრებულ განკარგულებამდე დატოვეს, ორმოცდაექვს წლამდე. კაცს სამი წელი რომ ჰქონდა მისჯილი, ხუთ წელს ზედმეტად ჯლომა მოუწია. კანონს საითაც გინდა, იქით გამოაბამ უფრს. ათ წელს მოათავებ და გეტყვიან — აბა კიდევ ათიო. ან თავისუფალ ვადასახლებამში დაგტოვენ.

მაგრამ ზოგჯერ რომ დაუფიქრდები, ვული გადაგიქანდება: მაინც ხომ ვადას სასჯელის ვადა, საცაა მიიწურება... ღმერთო! ნუთუ ეღირსება თავის ფეხით ბანაკიდან გასვლას?

ოღონდ ამგვარი რამეების ხმამალლა თქმა ბანაკის ძველ მკვიდრს არ შეევეჩის. და შუხოვი კილგასს მიუბრუნდა:

— შენ შენს ოცდახუთს ნუ ანგარიშობ. ოცდახუთს მოგიწევს თუ არ მოგიწევს, ეგ ჯერ არავინ იცის. მე რვა წელიწადი ნაღდი შევასრულე.

ასეთ დღეში ცხოვრობ კაცი. იმის დროც აღარ გრჩება, რომ დაუფიქრდე: როგორ ჩავსვს? ან როგორ ვახვალ აქედან?

საქმის მიხედვით ისეა მიჩნეული, რომ შუხოვი სამშობლოს დალატისთვის ჩასვს. თვითონაც ამგვარი ჩვენება მისცა — მართალია, ტყვედ იმიტომ ჩავბარდი, რომ სამშობლოს დალატი მქონდა გულში, იქიდან კი იმიტომ დავბრუნდი, რომ გერმანელთა დაზვერვის დავალება შემესრულებინათ. რა დავალება იყო ის დავალება, ვერც თვითონ

შუხოვმა მოიგონა და გვსცა გამოამძიებელმა. იმიტომ აიღეს და ახევე დატოვეს — დავალებათ.

შუხოვმა უბრალოდ იანგარიშა: თუ ხელს არ მოაწერ, სულ ერთია, არ გაცოცხლებენ, მოაწერ და ცოტა ხანს მაინც იბოვინებ ამ ქვეყანაზე. აიღო და მოაწერა.

სინამდვილეში საქმე ასე იყო: ორ მოცდაროი წლის თებერვალში ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მთელი მათი არმია ალყაში მოექცა. თვითმფრინავები საქმელს არაფერს უყრიდნენ და არც იყო სადმე ის თვითმფრინავები. ისე წახდნენ, დახოცილ ცხენებს ჩლიქებს ათლიდნენ, წყალში ალბობდნენ და ჰამდნენ. აღარც ვაზნები ჰქონდათ. ტყე-ტყე მოზორიალეებს გერმანელები უსაფრდებოდნენ და ატყვევებდნენ. ერთ ასეთ ჯგუფში შუხოვიც მოხვდა. ორ-სამ დღეს ტყვედ იყო იმავე ტყეში, მერე ხუთნი ერთად გამოიქცნენ. ტყეებსა და ჰაობებში იფხოტიალეს, რაღაც სასწაულით ისევ თავისიანებთან მოხვდნენ. ოღონდ ორი მათგანი მეავტომატემ ადგილზევე დააწვინა, მესამე ბევრგან იყო დაქრილი და გზადაგზა სისხლიდან დაიკალა. ორთაღა გამოაღწიეს. ჰკუა რომ ჰქონოდათ, იტყოდნენ — ტყეში დავებებებოდითო, და ხმასაც არავინ ვასცემდა. იმათ კი აიღეს და განაცხადეს — ტყეობიდან გამოვიპარეთო. ტყეობიდან? თქვენი დედა ასე და ისე! ხუთნი რომ ყოფილიყვნენ, იქნებ ჩვენებანი შეეწამებინათ, იქნებ კიდევ დაეჯერებინათ მათი. მაგრამ ორს არ დაუჯერეს: შეთქმულან ეს წყეულები, ვითომ გამოვიქცეთო.

სენკა კლევშინს ჩაესმა — ტყეობიდან გამოქცევაზე ლაპარაკობენო, და ხმამალლა თქვა:

— ტყეობიდან სამჯერ ვარ გამოქცეული. სამივეჯერ დამიჭირეს.

სენკა მეტწილად დუმს: სხვათა ნათქვამი არ ეყურება და იმიტომ საუბარშიც არ ერევა ხოლმე. სენკას ამბავი მარტო ის იციან, რომ ბუხენვალში

მკდარა, იქ საიდუმლო ორგანიზაციის წევრი ყოფილა, ზონაში იარაღი უზიდავს აჯანყების მოსაწყობად. კიდევ ის, რომ გერმანელებს ზურგზე გაკრული ხელებით ჩამოუკიდიათ და ჯოხებით უცემიათ.

— შენ რომ იჯექი რვა წელიწადს, რომელ ბანაკებში იჯექი? — კილგასი ეუბნება შუხოვს. — საერთოში იჯექი. ქალებთან ერთად ბრძანდებოდით, ნომრებს არ ატარებდით. აბა საკატორლოში გაძელი რვა წელიწადს! ჯერ არავის გაუძლია.

— ქალებთან? — მორებთან ვიყავით, ქალებთან კი არა...

ცეცხლს თვალი გაუღწორა შუხოვმა და გაახსენდა ჩრდილოეთში გატარებული შვიდი წელიწადი, მოაგონდა, როგორ ათრევდა და აცურებდა სამ წელიწადს ტარის მორებს და საშპალე მორებს. ისიც გაახსენდა, ასევე რომ ისხდნენ ცეცხლის გარშემო, ოღონდ ღამით, დღისით კი არა. ბანაკის უფროსს წესად ჰქონდა შემოღებული: იმ ბრიგადას, რომელიც დღის ნორმას ვერ შეასრულებდა, ღამითაც უნდა ემუშავა.

ნაშუალამევეს თუ მიღწევდნენ ბანაკამდე და დილით ისევ ტყისკენ მიერეკებოდნენ.

— ა-არა, ძმაო... აქ უფრო წყნარად ვართ მე მგონი, — წაიჩლიფინა მან. — აქ საშპელი განაღდებული გაქვს. შეასრულე თუ ვერ შეასრულე — მიბრუნდი შენთვის ზონაში. ზედმეტი ასი გრამის იმედიც არ გეკარგება. აქ კაცს გაძლება. განსაკუთრებულია და იყოს განსაკუთრებული. ნომრები რა, გვიშავებენ რამეს? ნომრები ადვილი სატარებელია.

— წყნარად ვართო?! — ფეტიუკოვი ასისინდა (შესვენებამ მოატანა და ყველანი ღუმელს შემოხვევიან). — ხალხს ლოგინში კრიან ყელს! წყნარად ვართო!..

— ხალხს კი არა — ბოზებს! — პავლომ თითი შემართა, ფეტიუკოვს ემუქრება.

მართალი კია, რაღაც სიახლე (დღეწეული) ბანაკში. ორი ნაღდი მოენე (საწიკრმაქს) ვე მისაღეს ადგომის დროს. მერე ერთი უბრალო ტუსალიც მიაყოლეს — ალბათ ადგილი შეეშალათ. ერთი მოენე კიდევ გაიქცა, უფროსებს შეაფარა თავი და იქ ციხეში გადამაღეს. საყვირველია... საერთო ბანაკებში ამგვარი რამ არ მომხდარა. არც აქ ხდებოდა დღემდე...

უცებ ენერგომატარებლის საყვირი აგუგუნდა. მაშინვე მთელი ძალით კი არ აგუგუნებულა. ჯერ რაღაც ხრინწიანი ხმა გამოსცა, თითქოს ყელი ჩაიწმინდაო.

შუადღე დამდგარა! სადილის შესვენება!

ეკ, დაავიანეს! აღრევე უნდა მისულიყვენ სასადილოში, რიგი დაეკავებინა. თერთმეტი ბრიგადაა ობიექტზე. სასადილო კი ორის მეტს ვერ იტევს.

ბრიგადური ჯერაც არსად ჩანს. პავლომ იქ მყოფთ თვალი მოავლო და გადაწყვიტა:

— შუხოვ, გოპნიკ, გამოყვევით! კილგას, როგორც კი გოპნიკს გამოვგზავნი, ბრიგადა წამოიყვანე!

მათი ადგილები ღუმელთან მაშინვე დაიკავეს, შემოხვევენ იმ ღუმელს, თითქოს ქალი ყოფილიყოს, ყველანი მოსახვევნად ეტანებიან.

— მორჩი ღამისთევას! — ყვირიან ბიჭები. — მოეწითო!

თან ერთმანეთს უყურებენ — ვინ მოწევსო. მაგრამ მოწევით არავინ წევს, ან თამბაქო არ მოეძევებათ, ან ინახვენ, გამოჩენა არ უნდათ.

პავლო და შუხოვი გარეთ გამოვიდნენ. გოპნიკიც უკან მოკუნტრულობს.

— დამთბარა, — უმაღ შეატყო შუხოვმა. — თვრამეტ გრადუსზე მეტი არ იქნება. კარგი სამუშაო ამინდია.

წიდა-ბლოკებს გახედეს — ბიჭებს დეცარნაგზე ბლომად დაუხვავებიათ, ნაწილი მეორე სართულზეც ყრია უკვე. შნესაც ახედა შუხოვმა, დეკრეტის თაობაზე კაპიტანის ნათქვამი შეამოწმა.

გაწლილზე მაინც იკბინება ქარი — არ დაგვიწყდეს, იანვარიო.

წარმოების სამხარეულო ერთი პატარა ხუხულაა, ღუმელის ირგვლივ ყავრით შეკოლიკებული და დაქანგულ თუნუქშემოვლებული. ეს ხუხულა შიგნით ორადაა გატიხრული — იქით სამხარეულოა, აქეთ — სასადილო. იატაკი არც სამხარეულოში დაუგიათ და არც სასადილოში. თავის დროზე მიწა ფეხით რომ დატყვენეს, ისევე ოღროჩოდრო დარჩენილა. სამხარეულო ერთი ოთხკუთხედი ღუმელია და შიგ ქვაბია ჩატანებული.

სამხარეულოში ორნი მუშაობენ — მხარეული და სანიისტრუქტორი. დილით, ბანაკიდან გამოსვლისას მხარეული ბურღულს ჩაიბარებს. თითოზე ალბათ, ასე, ორმოცდაათი გრამი მოუწევს, ბრიგადაზე — ერთი კილო, მთელ ობიექტზე კი ფუთზე ცოტათი ნაკლები გამოდის. იმ ბურღულიანი ტომრის სამკილომეტრზე თრაქციით მხარეული თავს არ შეიწყუბებს — ხელის ბიჭს წამოაღებინებს. თავად წელის მოწყვეტას ის ურჩევნია, იმ ხელის ბიჭს ზედმეტი პორცია მისცეს მუშების ხარჯზე. წყალია მოსატანი, შუშაა მოსაზიდი თუ ღუმელი გასახურებელი — არც ამ საქმეს გადააკვდება მხარეული, ამასაც მუშა ხალხი და ჯანდაგები აკეთებენ. მათაც უწილაღებს თითო პორციას, სხვისი რა ენაღვლება. ისიც დაწესებულია — პატიმრები სასადილოდან არსად გავიდნენ, აქვე ჭამონო. ჯამებიც ბანაკიდან უნდა ათრიონ (ობიექტზე არ დაიტოვება, ახატები ათაქვენ). ამიტომ ორმოცდაათამდე ჯამი თან მოაქვთ, აქვე მცყოლებით რეცხავენ და შიგ ისევ საქმელს ასხავენ (ჯამების წამომღებსაც ერთი პორცია ზედმეტი ეძლევა). სასადილოდან ჯამები რომ არ გაიყოლონ, ამასაც თვალის სტირდება, ერთ ხელის ბიჭს საამისოდ აყენებენ კარებში. მაგრამ ამან რაც უნდა უღარაჯოს, მაინც გააქვთ — ღმერთმა იცის, მოღარაჯეს

იყაბულებენ, თუ ჩუმად აკრებენ, ასე რომ ვინმე უნდა გაგზავნოს მშპ-ის ობიექტის შემოსავლელად, რათა ქუქყიანი ჯამები შეაგროვოს და ისევ სამხარეულოში მოზიდოს. ერთსაც პორცია უნდა და მეორესაც.

თავად მხარეული მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ბურღულსა და მარილს ქვაბში გადაუძახებს და მერე ცხიმის განაწილებას შეუდგება — ნაწილს ქვაბში მიუშვებს, ნაწილს თავისთვის იტოვებს (ყარგი ცხიმი პატიმრებამდე ვერ აღწევს, ცუდი კი ერთიანად ქვაბში მიდის. ამიტომ პატიმრებს ის ურჩევნიათ, საწყობმა ცუდი ცხიმი გასცეს). ჰო, მხარეული კიდევ ფაფას ურევს, როცა მოიცლის. ხოლო სანიისტრუქტორი ამასაც არ აკეთებს: ზის თავისთვის და თვალს ადევნებს. ფაფა რომ გამოხადდება, სანიისტრუქტორს მიერთმევა — ჭამოს, რამდენიც უნდა. კიდევ შეგეტყვევა ამ დროს მორჩივ ბრიგადირიც გამოცხადდება, — მორჩივ ბრიგადირი ყოველ დღე იცვლება, — ამან ვითომ უნდა გასინჯოს და შეამოწმოს, შეიძლება თუ არა ამ ფაფით მუშა ხალხის დაპურება. მორჩივ ბრიგადირს ორმაგი პორცია ეძლევა.

ამასობაში სადილობაც მოატანს. ბრიგადირები რიგში ჩადგებიან და მხარეული მათ ჯამებს აწვდის საარკმელში. იმ ჯამების ფსკერი ფაფითაა დაფარული და რამდენია შიგ შენი კუთვნილი ბურღული — ამას ვერც იკითხავ და ვერც შეამოწმებ. იკითხავ და ბურთს ჩაგზირიან პირში.

მოტიტვლებულ ტრამალზე ქარი გასწვდის. ქარი ზაფხულობით ხორშაკია და ზამთრობით სუსხიანი. იმ ტრამალზე არასოდეს გახარებულა რამე და მით უმეტეს ოთხ მავთულს შუა არაფრისგან არაფერია. პური ხარობს მხოლოდ პურის საჭრელში, შვრია — პროდუქტების საწყობში. და გინდაც წელში გაწყდენ მუშაობით, გინდაც მეცლით იხოხო, მიწას საზრდელს ვერაფერს გამოსძალავ, იმაზე მეტს ვერ მიიღებ, რა-



საც უფროსები გამოგიწერენ. იმასაც ვერ მიიღებ მზარეულის და ხელის ბიჭების შემყურე. აქაც იპარავენ, ზონაშიაც იპარავენ, მანამდე კიდევ საწყობში იპარავენ. და ვინც იპარავს, ისინი წერაქვს არ ურტყამენ მიწას. შენ კი ურტყი და რასაც გაიღევენ, იმას დასაქვრდი. მიიღე და მოეცალე სარკმელს. ვინც ვის მოიხელთებს, იმას ატყავებს.

პავლო, შუხოვი და გოპჩიკი სასადილოში შევიდნენ. აქ ერთიმეორეს აზის ხალხი. ზურგებს იჭით არც მომცრო მაგიდები ჩანს და აღარც სკამები. უმეტესობა დამღვარი კაშა. 82-ე ბრიგადამ, რომელიც ნაშუადღევამდე ყინვაში ორმოებს თხრიდა, საყვირისთანავე პირველმა დაიკავა ადგილები. ახლა ეგენი ნასადილევსაც არ დაიძრებიან — სხვაგან სად უნდა გათბენ? სხვები მიმდგარან და ავინებენ, მაგრამ ისინი ყურსაც არ იბერტყავენ — ყინვაში ყოფნას ყველაფერი ურჩევნიათ.

პავლომ და შუხოვმა მუჭლუგუნებით გაიკვლიეს გზა. კარგ დროს მოსულან: ერთი ბრიგადა სადილს ღებულობს და რიგს ერთიღა ელოდება. იმათი ბრიგადარის თანაშემწეები მიხდგომიან სარკმელს. ესე იგი დანარჩენები ჩვენს შემდეგ იქნებიან.

— ჯამები! ჯამები! — გამოსძახის სარკმელში მზარეული და აქეთ-იქიდან უკვე აჩეჩებენ ჯამებს; შუხოვიც აგროვებს და აწვდის — ზედმეტი ულუფის იმედით კი არა, საქმის დასაჩქარებლად.

ტიხარს იჭით ხელის ბიჭები ჯამებს რეცხავენ. ესეც ფაფის ხათრით კეთდება.

პავლოს წინ მდგარი ბრიგადირის თანაშემწე მიღებს შეუღდა და პავლომ თავებს ზემოთ გადასძახა:

— გოპჩიკი!  
— აქა ვარ! — ისმის კარებში. თიკონივით წვრილი, კიკინა ხმა აქვს გოპჩიკს.

— ბრიგადას დაუძახე.  
გავარდა გოპჩიკი.

მთავარი ისაა, დღეს კარგი უღელბითა, ყველაზე უფროსად შერისი ფაფა. იშვიათად ამხადებენ ხოლმე. მეტწილად მაგარას იძლევიან დღეში ორჯერ, ან კიდევ ფქვილის ნახარსს.

რამდენი შერია შეუქმევია შუხოვის ცხენებისთვის — რას იფიქრებდა, როდისმე ერთი მუტა შერია შექმნებოდა სანატრელი!

— ჯამები, ჯამები! — გამოსძახიან სარკმელში.

104-ის რივიც დგება. წინა ბრიგადირის თანაშემწემ თავის ჯამში ორმაგი ულუფა — „საბრიგადირო“ მიიღო და სარკმელს მოსცილდა.

ესეც მუშა ხალხის ხარჯზე ხდება და დამშლელი არავენია. ყოველ ბრიგადირს ასეთი პორცია ეძლევა. მერე მისი ნებაა — უნდა თავად შექაშს და უნდა თანაშემწეს დაუთმობს. ტიურინი პავლოს აძლევს ხოლმე.

შუხოვი საქმეს შეუდგა: მაგიდიდან ორი ჯანდაგი წამოაგდო, ერთ პატიმარს მშურად სთხოვა — ადექო, და მაგიდის კიდე მოასუფთავა. ამ ადგილას ერთიმეორეზე მიდგმული თორმეტი ჯამი უნდა დაეტოვოს, ამ თორმეტს მეორე სართულად ექვსი ჯამი დაედგება და იმათ ზემოთ — კიდევ ორი. ახლა პავლოს ჯამები უნდა გამოართვას, მასთან ერთად ითვალოს და თან თვალი ექცროს — ვინმე გარეშემ ჯამი არ ააცალოს, ან იდაყვი არ გააკრას და არ გადმოაყიარავოს. აქვე, გვერდზე, სკამებს შუა ხალხი მიჭვრი-მოძვრება, სადილობს. თვალი უნდა ადევნოს: რომ ჯამენ, თავისას ჯამენ? თუ ჩვენსაში ჩამოჰყვეს ცხვირი?

— ორი! ოთხი! ექვსი! — ითვლის სარკმელს იჭით მზარეული. ერთბაშად ორორს აწვდის ორ ხელში. ასე ურჩევნია, თითო-თითო რომ ითვალოს, შეიძლება ანგარიში აეროოს.

— ორი, ოთხი, ექვსი, — ჩუმი ხმით იმეორებს სარკმელში პავლო. იმეორებს და შუხოვს ორორ თასს აწვდის,

შუხოვი კი მაგიდაზე ამწკრივებს. შუხოვი ხმამალა არაფერს იმეორებს, მაგრამ მათზე უფრო გულდასმით ითვლას.

— რვა, ათი.

რატომ არ მოჰყავს გოჭიყს ბრიგადა?

— თორმეტი, თოთხმეტი... — თვლა გრძელდება.

მაგრამ სამხარეულოში ჯამები შემოაკლდათ. პავლოს თავისა და მხრის იქით ხედავს შუხოვი: მხარეულის ორპა ხელმა ორი ჯამი დახლზე შემოდგა და თითქოს შეფიქრიანებული გაშეშდა. ეტყობა, მხარეულმა თავი მიიბრუნა და კურკლის მრეცხავენს ლანძღავს. ამასობაში აქედან ცარიელი ჯამების გროვა მიაჩენეს. მხარეულმა დახლზე დადგმულ ჯამებს ხელი უშვა და ცარიელების უკან გადაწოდებას შეუდგა.

შუხოვმა თავისა ჯამები მაგიდაზე მიატოვა, გრძელ სკამს ვადალაჯა, ორივე ჯამი დაითრია და, თითქოს მხარეულის კი არა — პავლოს გასაგონად, არც ისე ხმამალა გაიმეორა:

— თოთხმეტი.

— ხელი! სად მიგაქვს? — აღრიალდა მხარეული.

— ჩვენი, ჩვენი, — გამოესარჩლა პავლო.

— თქვენი რომაა, ანგარიშს ნუ მირევთ!

— თოთხმეტი, — მხრები აიჩეჩა პავლომ. თავად იმას არ იხამდა, რომ მხარეულისთვის ჯამები აეწია, როგორც ბრიგადირის თანაშემწეს ავტორიტეტი უნდა შეენახა, მაგრამ ამჯერად შუხოვის შემდეგ გაიმეორა; საქმე საქმეზე რომ მიმდგარიყო, მასვე გადმოაბრალებდა.

— „თოთხმეტი“ უკვე ვთქვი! — ჯერობის მხარეული.

— მე რა, რომ თქვი? თქვი და არ მოგიცია, ხელი შეაჩერე! — აყვირდა

შუხოვი. — მიდი, დათვალო რა გჯერა? აგერ, მაგიდაზემაც (ყველა!) მხარეული

შუხოვი მხარეულს უყვიროდა, მაგრამ თან ისიც შეამჩნია — ორი ესტონელი მათკენ გზას მოიკვლევდა. უმალ ორივე ჯამი იმათ შეაჩენა. ისიც მოასწრო, რომ მაგიდასთან მიბრუნებულყო, მოასწრო შეემოწმებინა, რომ ყველაფერი ადგილზე იყო. მეზობლებმა ვერაფრის აწევა ვერ მოახერხეს, თუმცა თავისუფლად კი შეეძლოთ.

სარკმელში მხარეულის წითელი სიფათი გამოჩნდა.

— სადაა ჯამები? — მკაცრად იკითხა მან.

— აპა ჯამები! — უყვიროდა შუხოვი. — ერთი ჩამოდექი, ჩემო ძმაო! — ხელი ჰკრა ვიდაცას. — აი ორი! — მეორე სართულის ორი ჯამი ზევით ასწია. — ეგერ კიდევ ოთხ-ოთხი სამწკრივად! დათვალო!

— ვითომ ბრიგადა არ მოსულა? — უნდობლად იჭკრიტებოდა მხარეული სარკმლის ვიწრო არეში. სარკმელი კი სწორედ იმითმ იყო ვიწრო, სასადილოს მხრიდან ქვაბში ვერავის ჩაეჭყიტა — შიგ რამდენი დაჩაო.

— არა, ბრიგადა ჯერ არ მოსულა, — თავი გადააქნია პავლომ.

— თუ არ მოსულა და ჯამებს რაღა ეშმაკად აცდენთ? — გაცოფდა მხარეული.

— ეგერ, ეგერ ბრიგადა! — იყვირა შუხოვმა.

და ამ დროს ყველამ ვაიგონა, როგორ ბობოქრობდა კარებში ბუნიოვსკი, თითქოს კაპიტანის ბოგურაზე მდგარიყო:

— რას შექუჩებულხართ? მოათავეთ ჰამა და გამოეტიეთ! სხვებსაც აცალეთ! მხარეულმა ერთივე ჩაიბურტყუნა, წელში გაიმართა და სარკმელში ისევ გამოჩნდა მისი ხელები.

თარგმანი რედაქტორისა

## შალვა ამისიაშვილი

### ჩვენი მესაჭე

ვ. ი. ლენინის ხსოვნას

არ გამიწყრება, ვიცი, პარტია,  
თუ დღეს ყრილობის ახალ სასახლეს  
მე შევადარებ კოსმოსურ ხომალდს.  
რომელიც ახლა მიჰქრის ორბიტზე.  
ჩანს, ცხოვრებაშიც ყოფილა თურმე  
არა ნაკლები სივრცე კოსმოსის,  
თორემ პარტია ამ პლანეტაზე  
არ იქნებოდა ჩვენი მესაჭე...  
პირდაპირ ვეტყვი ჭაბუკ გაგარინს,  
მასთან მის ძმასაც გერმანე ტიტოვს,  
რომ ამ ცხოვრების მესაჭეობა  
ათი ათასჯერ უფრო ძნელია...  
ეს როდი ნიშნავს მათ დამცირებას,  
მტვრად იქცეს მათი აუგის მთქმელი!  
მაგრამ ხომ ვიცი, ყველა გმირობია  
შთამგონებელი არის პარტია...  
ლაღად გაწვედილი ლენინის ხელი  
ჰგავს უზარმაზარ კომპასის ისარს, —  
და კომპარტია საჭესთან მდგარი  
თამამად მიჰქრის ახალ ორბიტზე.  
მიჰქრის და მიჰყავს მთელი პლანეტა  
მზე-კომუნისმის ვრცელ სამყაროში.  
სალამი კრემლის დიად კურანტებს, —  
მგზავრულს ამბობენ მძლავრი  
გუგუნით!  
მგზავრულს ამბობენ მძლავრი  
გუგუნით,  
ჩვენც მთელი გულით ვეხმიანებით,  
და შეწამული ბაირადები  
თავს იალქნებად დაგვეფრიალებენ!..

თეიმურაზ ჯანაშვილი

შარხანდელი ზაფხულის ჩანაწერები

თაფლს ეზიდებიან თუთავი

საგარეჯოში ბლები მოლუელა,  
 თაფლს ეზიდებიან თუთები,  
 ყოველ ხეს შეეხარი ღიმილმორეული  
 და ვესათუთები.  
 მზის თვალში ჩასმულან,  
 დღის ძაფზე ასხმულან  
 მწიფე თუთასავით საკენკი წუთები,  
 გათქვირულ მარცვლებით —  
 პაწია კასრებით  
 თაფლს ეზიდებიან მიწიდან თუთები.  
 დამაყრის ნამის

წვეთებს ციცივებს,  
 ფოთლების ტვერიდან მეძახის  
 — ჭიტა!

ყველაზე მაღალ ტოტზე ეიჭივებს  
 ჩემი ბაეშობა — მშიერი ჩიტი.  
 ხეზე ასულა და ვედარ ჩამოსულა,  
 — მოგშველები პატარა ბიჭო!  
 ჩამოდი, დაგცხება, დიდი მზე  
 მოცურავს,  
 ჩამოდი, გაქმევე თაფლიან ფიჭას.  
 არ ჩამოგიტყდეს ტოტი უცარად,  
 ვშიშობ, ჩამოდი, გაფიცებ  
 სიცოცხლეს!..  
 ...ჩემს მზიას, ჩემს შვილს მისი ხმა  
 თუ ესმა.

და მისაშველებლად კენწრისკენ  
 მიცოცაეს.  
 მაგრამ ვინ დაგიდევს კენწრებს და  
 სიცხეებს,  
 რომლის ლადარზეც კენჭიც  
 გალღვება,  
 იწყებენ თამაშს და სიმღერას  
 იწყებენ  
 ჩემი შვილი და ჩემი ბალღობა.  
 ყურს არ უგდებენ ჩემს შიშს და  
 ჩემს ძახილს,  
 ტოტიდან ტოტზე კისკასით დახტიან.  
 ...გულმკერდს უღელავენ ბალი და  
 ვენახი

გაზაფხულს —  
 მზის რაშინს  
 და სხივებლახტიანს  
 ყოველ ხეს ცხელი ხელით რომ  
 სინჯავს,  
 მოჰყავს სიმწიფე — მეწველი  
 ძროხა,  
 ჩაცუტქებული იენისი დინჯად,  
 წინ უდევს ბალი — პალიტრა ლურჯი,  
 უელავს თვალი მწვანე და ჭროლა  
 და სხივებისგან შეკრული ფუნჯით  
 ვაშლებს მუქწითლად უღებავს  
 ლოყას.

მაგ მთებში სიგრილე იქნება

მაგ მთებში, ალბათ,  
 იქნება სიგრილე,  
 მაშ ეს ბარათი რატომ მწვავს  
 თითებს...  
 და ისევ ვხედავ გვირილის  
 გვირგვინებს  
 სიყმაწვილიდან შენთვის რომ ვზიდე.

განა სახელი ვიცოდი მე შენი,  
 განა მენახა შენი თვალები,  
 ოცნებას — ღვინოს ესვამდი  
 პეშვებით  
 და დაედიოდი მე ნამთერალევი.  
 მეხატებოდი გიშრისთვალემა,  
 ხან ოქროსთმემა მეხატებოდი,



ვეხეტებოდი, მზის მხურვალეზად  
და წვიმის სუნთქვად მენატრებოდი.  
და მოუთმენლად გზებს გაეცქეროდი,  
ყველგან გეძებდი, მუდამ გელოდი,  
შენით ვმღეროდი,

შენით ვსუნთქავდი  
როგორც მზით, როგორც ტყით და  
მდელოთი.

...მაგ მთებში, ალბათ, იქნება  
სიგრილე

და დილა ლოკავს ნაწვიმარ რტოებს,  
მე კი ისევ მწვავს სიცხე იგივე,  
საჩრდილობელი ველარსად ვბოვე,  
ვწრიალებ, ველარ ვჩერდები მე შინ,  
შენსკენ მოვილტვი, მთებში რომ

ბრწყინავ,  
მზეო, მოსულო იანვრის თვეში,  
ლამაზ აპრილში მოსულო წვიმავ-  
მოვდივარ, მაგ ხის ჩრდილში

დამიცა,  
გადმოვირბინო მთები, მინდვრები...  
შენა ხარ ჩემი ღრუბლიანი ცა,

გვალვიან დარში გამიწვიმდებოდა  
მოვდივარ, მომღვეს შუქს და  
და სიყვარულის ეღერენ ბუკები,  
შენა, ხარ ჩემი მოწმენდილი ცა,  
აედრიან დარში გამიშუქდები.  
მაგ მთებში, ალბათ,

იქნება სიგრილე...  
და ცისარტყელა მთებზე დახრილა  
უცხო ფერების ციმციმით,

კანკალით, —  
ვარსკვლავთ სათიბში მზე თუ  
დადლილა

და ზეცის თაღზე დაჰკიდა  
ნამგალი...  
მოდი, დავიწინავ მაგ შეიღფერ

გვირგვინებს,  
მშფოთვარ ღამეებს ლექსით რომ  
გიოთევ-

მაგ მთებში, ალბათ, იქნება სიგრილე,  
მამ ეს ბარათი რატომ მწვავს  
თითებს?!





## ღამო მკვლევარი

### ყ ა ბ ა ხ ი \*

ერმანა ჩუმად უმზერდა თავმჯდომარის ცხვირქვეშ ცხენის ნალივით ჩამოკიდულ უღალ უღვაშებს და იცდიდა. მერე ფანქარი ჯიბეში ჩაიღო და წამოდგა.

— საით აპირებ?

— წავალ, განცხადების დაწერას მოვრჩები ბარემ.

— დაჯექი, ჯერ მე სიტყვა არ დამიმთავრებია. განცხადებაზე რამ გაგამაძაცა დღეს? შენ მაგ კრებაობის თამაშს მოეშვი და საქმე აკეთე. ზომ ზედაც, არავინ მოდის კრებაზე, ეხლაც მაშინდელივით ჩაგეშლება.

— ეხლა აღარ ჩამეშლება, ძია ნიკო, ბიჭებმა თქვეს, ყველანი მოვალთო.

— აბა, შეილო, ნეტა თბა იყოს, ტყუპი მაიგოს. მაგრამ შენ იმათ ვერანაირი საყენით ვერ მოიტყუილებ. მაგას შენ თავი დაანებე და ყური დამიგდე.

კარებზე დააკაუნეს. ცოტა ხანს შეიცადეს, კიდევ დააკაუნეს და რაკი შიგნიდან არაყინ ხმა არ გასცა, მერე შემოაღეს კიდევაც.

თავმჯდომარემ წარბი შეიკრა და მერე ნელ-ნელა გაშალა.

— შეიძლება, ძია ნიკო?

— ოჰო, რა ამბავია, ნუცავ, რა გაგჭირვებია იგეთი. მოდი, მოდი, ნუ გეშინიან, ჭავს არსად წამოდები, — სკამის ზურგს მიაწევა თავმჯდომარე, ხელეში მაგიდის კიდზე დააწყო და კარში განხირულს მიაჩერდა.

ნუცამ უკანვე, ღია კარში გაჰყო თავი და ვილაცას შეეპატიჟა.

— მოდი, ქალო.

— ოჰო, დღეუგაციაა? — გაიკვირვა ნიკომ და ფეხზე წამოდგა, როცა კაბინეტში შემოსული ნინო დაინახა. — მობრძანდით, ქალბატონო მასწავლებლო, დაბრძანდით. რაშია საქმე, რა გაგჭირვებიათ, რა გვეტყვით ახალს?

შემოსულნი მაგიდას მიუახლოვდნენ. ერმანა წამოდგა და სკამი დაუთმო ნინოს.

— მართლაც დღეუგაცია ვართ, ძია ნიკო, — იღიმებოდა ნუცა და ცდილობდა ისე გვეცინა, რომ ხმელ ყბებზე ნაოქები არ გასჩენოდა, — აი, მოვედით, რომ დახმარება შემოგთავაზოთ. თითონ დირექტორმა გამოგვეგზავნა თქვენთან.

— დახმარებაო? — გაოცდა თავმჯდომარე. — მე ჩემს კაბინეტში მხოლოდ თხოვნას მივეჩვიე და ეს რა ანგელოზმა ჩაგაგონათ დახმარება?

— რატომ, ძია ნიკო, განა პირველად ვეხმარებით კოლმეურნეობას?

— არა, მაგრამ შინც საოცარია. დირექტორს მე ვთხოვე ხოლმე და ის ეხლა პირიქით თითონ მიწედის ხელს.

— განა კლუბისთვის ქვიშა თქვენს უნებართვოდ არ გავაცხადეთ? — იღიმებოდა ნინო.

— გაცხადეთ და აკი გამოვიყენეთ კიდევ. მაგაზე დიდი მადლობა.

— გამოვიყენეთ, მაგრამ იმისთვის არა, რისთვისაც იყო დანიშნული.

— თუ, შეილო, თქვენ საჩუქარს მამლევთ, მაშასადამე, მე მეკუთვნის ის ჩუქების შემდეგ, ხოლო, რაც მე მეკუთვნის, იმას გინდა აღმა ვეუზამ თავსა და გინდა დაღმა.

— თქვენ მართალი ხართ, ძია ნიკო, მაგრამ ახლა მტკიცედ გადავწყვიტეთ,



კლუბისთვის გავაცხაოთ ქვიშა და, არა მარტო ქვიშა, არამედ ქვაც შევაგროვოთ.

— აბა, შვილო, ნუცავ, მაღლობის მეტი რა მეთქმის. რაღაც ეგრე მოგიწადინებიათ, გააცხავეთ და შეაგროვეთ. მე კი თუნდ სახარებაზე დავიფიცავ; რომ ყველაფერს მაგას მხოლოდ კლუბისთვის გამოვიყენებ. შენ კი, ნინო, არ მეგონა, თუ კოლმეურნეობის საქმეს გულთან ეგრე ახლო მიიტანდი.

— რატომ, ძია ნიკო?

— რა ვიცი, შვილო, შენმა მაზღმა მთელი ახალგაზრდობა გადაშირიდა, გააქსუა, გააგვიდა და მივიკირს, შენ როგორ გამოვიშვია ჩვენს დასახმარებლად.

— ახლა მე თითონ ვზრდი ბავშვებს, ძია ნიკო და ჩემს ყოველგვარ ქვევანზე მევე ვაგებ პასუხს. ან რატომ ფიქრობთ ჩემს მაზღზე ასე?

— წინათ არა ეფიქრობდი, შვილო, მაგრამ, რაც ზულიანობა დაიწყო, ხალხის ცემატყეპას მიპყო ხელი და ტაციობა სხვისი ქონებისა, მერე ეთქვი, რომ ხელიდან წასულა-მეთქი.

— განა სცემა ვისმეს მართლა? — შეცბუნდა ქალი.

— მარტო ჭალისპირს კი არა, მთელ თელავს ეხლა ეგლა აქვს სალაპარაკოდ.

— ნუთუ მართლა? — უკვე შეწუხდა ნინო.

თავმჯდომარემ ხელები ჯიბეებში ჩაშალა, გასცდა თავის მაგიდას და ერთი ორი ბოლთა დაარტყა სტუმრების წინ. მერე შეჩერდა და უღვამები გაძიწორა.

— აი, შვილო, რას გეტყვი: შენ იმ შენ მაზღს უთხარი, კოლმეურნეობის კუთვნილი ქონება კოლმეურნეობასვე დაუბრუნოს, თუ უნდა, რომ უსიამოვნებას ამ გადაეყაროს. შენ ხომ იცი, თქვენს ოჯახს მე როგორ პატივს ვცემ. საწყალი გიორგი პირველად ჩემთან მოვიდა და ჩემთან მუშაობდა ომში წასვლამდის. კარგი ვაჟაკი იყო. ამ ეხლანდელ დამთხვეულ ვეტქიმის კი არა ჰგავდა. მახსოვს, ამ ცაცხვის ქვეშ ერთ ახალნახუნ კვიცას ნალავდნენ და ოთხი კა-

ცი ვერც კი იჭერდა. გიორგიმ ჩემთვის ყველანი გარეჯა განზე, თითონსავე ფეხებშუა ხელები გაუტარა ცხენს, იქითა ფეხებზე წაელო, თავი მუცელზე მიაბჯინა და ეს ამოდენა ცხოველი ერთი მოქნევით დასცა მიწაზე. მოიცა, შვილო, მოიცა, ამისთვის კი არ გაიხსენე, ნუ ტირი, აბა აქ სატირელი რა არი. ომი უსისხლოდ არ იქნება და მგელი უკბილოდ. კარგი იყო არ დაგვეკარგნა, მაგრამ რას ვიზამთ. აგე, ვეფხვივით ბიჭი გეზრდება. მართალია, ვერაინ აგვინაზღაურებს დანაკარგს ამ ქვეყანაზე, მაგრამ მაინც დიდი იმედია შენთვისა და ოჯახისთვის. კარგი, ჰო, შვილო, მე სამაგისოდ კი არ ვითხარ.

— ზოდიში, ძია ნიკო, — გონზე მოეგო ქალი, — სულ არ მინდა, რომ ჩემი მწუხარებით ვინმეს გუნება წაუფხდინო. ზოგჯერ ვერ ვიტან ხოლმე მის მკედრად ხსენებას, რადგან ის ჩემთვის არ დაკარგულა. ყოველ დღე ველი თითქმის, რომ სადაც არი, კარი გაიღება და შემოაბიჯებს.

— იმედი, შვილო, კარგი რამ არი კაცისთვის, ეგ რომ არ იყოს, აღარ ეღირებოდა ცხოვრება დედამიწაზე. არასოდეს არ უნდა დაკარგოს კაცმა იმედი. აგე, ვარდუაანთ იოსება ხომ გახსოვს, ომის წინა წელსვე დაიკარგა. ომიც დამთავრდა, მაგრამ მერეღა გამოჩნდა ცოცხალი და სალ-სალამათი... შენს მაზღს კი უთხარი, ერთხელ კიდევ მოვიდეს ჩემთან. უთხარი, საქმე აქვს-თქო და არ დაიხაროს. ისიც უთხარი, რომ იმ გაბრწილ მაწაწალებს თავი დაანებოს. რა მაგის საქმეა ბიჭ-ბუჭების დევნა? ერთი რომ შეხედო, მერე თვალის მოწყვეტა დაგინანება. შენ დაგიჯერებს, ნინო, შენ უკვირანი ქალი ხარ. თორემ იმათ ვინ ჩივის, ეს კოლმეურნეობაში შექმნილ-დაბადებულლებიც გადაუბირებია და, — მე რა გამომეპარება? — ნიკომ მიიხედა და ერმანა რომ გარეთ გასული დაიგულა, ხმას დაუწია, — მიმდგარან და ბერბევაზე კლდესა ჰღრუტნიან ძალაყინებით სადინამიტედ. უნდათ, რომ წარაფებში ამა-

ვალი ბილიკი გზად აქციონ, ზედ ბულ-დოზერი გაატარონ, ის წარაფები პირ-წმინდად აიღონ და მიწაც მოასწორონ სასტადიონედ. რაც ილუას ნაფეტვარში გუნება წყუბლდინე, მას შემდეგ ეს მო-უსაზრებათ. განა მე რამეს გამოშპარე-ბენ ეგენი? უთხარი, ტყუილად ნუ იმს-ხარავებს თავს, სანამ მე მაგათ ყველას კოლექტივის ნაკვეთებში არ დაეინახავ ერთორ წელიწადს ქრისტიანულად მო-მუშავეებს, მანამდე გულშიაც არ გაივ-ლონ სასტადიონე მიწის მიცემა.

ერთ ხანს კიდევ გაიარ-გამოიარა თავ-მჯდომარემ და მერე ისევ გაიკვირვა.

— მაინც რამ მოაფიქრა მაგ ბაქაჯღა-ნას ქვიშის ცხავება? ავი მემდუროდა იმ წინანდელი ქვიშის გამო?

— ამ წინაზე რომ კინო მოიტანეს...

— იჯექი, შვილო, იჯექი, — ისევ დასვა წამომდგარი ნუცა თავმჯდომარემ, გაბრუნდა და თითონაც დაჯდა.

— ამ მიწაზე რომ კინო მოიტანეს საბჭოში, ძია ნიკო, მაშინ ჩვენი დირექ-ტორიც ესწრებოდა. ძლივს გამოესწრო გარეთ, კინალამ დამხრჩვალეყო შიგ სიციხის ბუღისაგან და შეხუთული ჰაე-რისაგან. მას აქეთ სულ იმას იძახის, რომ მარტო ქვეშა კი არა, ქვეც უნდა მოვკ-რიფოთ და მერე მშენებლობის დროს კალატოზებსაც უნდა მივებმაროთ.

— ეგ ძალიან ჰკვიანური მოუფიქრე-ბია, როდის აქეთ დაბრძენდა?

— სიბრძნე დიდი განცდებისა და ჭირ-ვარამის ნახვის შემდეგ მოდის — ილიმებოდა თავისი უბადლო ღიმილით ნინო, — ეტყობა, იმ საღამომ უქმად არ ჩაიარა.

ნიკო ჩააფიქრა ქალის ნათქვამმა და არც ის გამოშპრავია მის მახვილ თვალს, როგორ უქვეროდა მას გოდერძის რძა-ლი. შუბლი შეიკრა და ჭრუტა თვალები დაწუქრა.

„ოჰო! — გაიკვირვა თავისთვის თავმჯ-დომარემ, — ნუთუ ეს ქალი იმაზე ჰკვიან-ნი და გაბედულია, ვიდრე ჩანს? მაგრამ ნათქვამია, „ხარი-ხართან დაბაიო“... იქ-ნებ არავითარი სხვა აზრი არა აქვს ნათ-

ქვამს? არაა! თვალებზე ეტყობა, შუბს წვერი პირდაპირ ჩემყენა, ჰქონდა განათ-ლებული ქალი და არც იგეთი გულუბ-რყვილო, როგორც შეიძლება ბეგრს ეგონოს. ფრთხილად, ნიკო, რაც არ უნ-და იყოს, მასწავლებლებთანა გაქვს საქ-მე“.

და გადასწყვიტა გულახდილი ყოფი-ლიყო.

— იმ საღამომ იქნებ მარტო თქვენს დირექტორს არ ასწავლა ჰქუა. მაგრამ აი, რა მინდა გაგაგებინოთ, შვილო, ში-ნაურები ხართ, დასამალ-დასაფარი რა არი. ხალხი სხვა სამუშაოდან ვერ მომი-წყვეტია, თორემ განა სოფელს კარგი კლუბი ზიანს მოუტანს? არც თუ ფულა-დი რეპურსების საქმე გვაქვს კარგად. ათასი რამეა წინასწარ გასაკეთებელი, სანამ კლუბის აშენებას დავიწყებდეთ. და მაგასაც რომ თავი დავანებოთ, განა შრომადღეებზე არ უნდა გავანაწილოთ რამე? გავანაწილებ და კლუბისთვის არ დარჩება, კლუბისთვის დავტოვო და ხალხს რაღა მიეცე? არ მიეცე და ვილა გამოგივა მერე სამუშაოდ? აი, ხომ ხე-დავ, როგორ არი, ერთმანეთზე წაწყობი-ლი. მამასადამე, აქ არა მარტო ხალხია საქირო, არამედ სახსარიც.

ქალები დააფიქრა საქმის სიმწელემ და სიმართლემ. მხოლოდ ნინომ აიღო თავი მცირე ხნის შემდეგ და განაცხადა.

— მე ერთ აზრს ვიტყვოდი, ძია ნიკო, და თუ ჰქუაში დაგიჯდებათ, ნუ დამიმა-ლავთ და პირდაპირ მითხარით.

— აბა, თქვი, შვილო.

— მხოლოდ კალატოზები, საჩარჩოე-ბი და კირ-ცემენტი რომ მოგთხოვოთ წელს, მოგვამარაგებთ? დანარჩენს ჩვენ გკისრულობთ.

თავმჯდომარე დააფიქრა პირდაპირ დაყენებულმა კითხვამ და ერთბაშად არ უპასუხა.

— მაინც, ვინ თქვენ კისრულობთ? თუ მასწავლებლებსა და მოწაფეებს გუ-ლისხმობ, მაგათ მხოლოდ კვირა დღეს შეუძლიათ მოხმარება, დანარჩენ დღე-ებში ხალხი როგორ გავაცდინო? აი,

შევერთდით, შეილო და ყველაფერი უბან-უბან არი დაფანტული წვრილ-წვრილად. თავმოყრა უნდა ყველაფერს: გომურს, საღორეს, საქათმეს, საშრობს, ბეღელს თუ საწყობს. ეხლა კალატოზის გაცდენა შეიძლება?

— თუ არ გავაცდენთ?

— როგორ არ გავაცდენთ, შეილო, ბალღებს სკოლაში სიარულს ხომ არ აუკრძალავთ და ლოდებს აზიდვინებთ? ან სკოლას ხომ არ დაკეტავენ?

— თუ არ გავაცდენთ? — ქალი მტკიცედ უსწორებდა თვალს.

ნიკო ჩააფიქრა ამ დაეინებამ. ერთ ხანს იჭდა გაჩუმებული და თვალმოუწორებლად უცქეროდა ცისფერი მინის გრაფინზე ოსტატურად ამოჭრილ წვრილფოთოლა უცნობ ყვავილს, მერე წარბები აზიდა და ფრთხილადა თქვა.

— თუ არ გამიცდენთ, მაშინ სხვა ამბავია. მაგრამ ხალხს სად იშოვით?

— ეს უკვე ჩვენი საქმე იყო.

— კარგი, — დაყოვნებითა და რალაც უნდომლად დაეთანხმა თავმჯდომარე. — თქვენ ოღონდ ხალხი არ გამიცდინოთ და, თუ გინდა, ფინანსური ოსები დაიჭირავეთ.

ქალები წამოდგნენ, ბოდიში მოიხადეს შეწყუბებისათვის და კაბინეტიდან გავიდნენ.

ძია ნიკო გაოცებული უცქეროდა გახურულ კარს და ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუ შეაღებოს რამდენ ხანს დასჭირდა შეგონება, რათა თავისი რძალი დაეთანხმებინა კანტორაში კოლმეურნეობის თავმჯდომარის სანახავად წმასჯლეულად. არც თუ ის მოსვლია აზრად, რომ სკოლის დირექტორი ამ ამბის ბაიბურშიც არ იყო.

3

რევაზმა რეზინის მილი თავით წყლის მილს წამოაცვა და ბოლო ცხენის ურემზე დადებულ ვეება კასრის პირში ჩაყო. ურემზე ადგილი გაასაშუალა, ღერძის პირდაპირ ქლებშუა დადგა ზეწარზე

და იდაყვებით კასრს გადაეყრდნენ. ჩამყურებდა რეზინის ბოლოს და ყურს უგდებდა კასრის ვეება, გაუმაძღარ მუცელში როგორი ჩხრიალი გაჰქონდა განუწყვეტელ ნაკადად ჩამავალ წყალს.

გახურებულმა საღებებმა ოფლიანი ხელისგული დასწევს. საშუაღღებოზე წამოსულ მზეს ხეც გაეხურებინა და ბრიგადირმა ჩრდილს შეფარება ამკობინა.

ძირს ჩამოვიდა, ურემს წინიდან მოუარა, მოთენთილ და ქვექვირჩამოგდებულ ცხემს ჩამოყრილ ყურებზე მოუთათუნა ხელი და ნაღვლიან თვალბში ჩახედა.

ცხენი უეცრად გასწორდა, კისერი ამართა, ყური ცქეცია და თვალები დააბრიალა. განიერი მკერდის კუნთები გლუვი, მზნინავი ბეწვით დაფარული ტყავის ქვეშ გაქვავებული გუნდებივით დაეტყო და მალალი, ძარღვიანი ფეხები მოუწყენრად შეატოკა.

— ამა, ამა, დამთხვეულო! წამოგიარეს? როდის უნდა დაჰკვიანდე? დაიცა, გაგაცილი ღმერთსა და მიეჩვევი.

შუბლზე ჩამოყრილ, გვერდზე გაწეულ ქოჩორას მიეტანა, მაგრამ ცხენმა ამჯერად იუცხოვა და არ გაიკარა. სწრაფად აკრა თავი ზევით, დილურსა და ბრიალა თვალებით ბორბლად გახედა. მოკლედ გაიწყრილა სადავის რგოლმა და მოისმა როგორი ხრატუნით ვაღეკა ლაგმის რკინა მსხვილი, მაგარი კბილებით.

რევაზმა გაიციინა, „დაგაჰკვიანდე-ებ“, წამიღერა და წყაროს პირას მდგარი კაკლისაქენ გასწია.

ცხენმა დალურსული ყურები წინ წამოსწია, მერე გაასწორა, მალალ ლამაზ კისერზე თავი ნელ-ნელა მოაბრუნა და აღმაცერი მზერით გააცილა კაკლის ჩრდილამდე ბრიგადირი.

რევაზი გრძელი აუზის თავში მუხლივით მოღრგვილ, მიწის გარეთ გამოჩრილ ფესვზე ჩამოჯდა და უცქეროდა მზეზე შავად აბზინებულ რეზინს, რომელმაც თანაბრად და შეუწყვეტლად ოდნავ ქანაობდა შიგ გამავალი წყლისგან.

და რუხი კასრი ჰკავდა ურემზე გულში დაგდებულ დევის ბავშვის მუცელს, რომელიც კიბლარით — რეზინის მილით იწოვდა მაკოცხლებელ წვეს დედის სხეულიდან.

იჭდა რევაზი აკეცილ მარჯვენა ფეხის მუხლზე იდაყვიამოდებული და ყურს უგდებდა სიცარიელიდან ყრუდ მომავალ ჩხრიალს. მერე თვალი მოსწყვიტა რეზინს და ბერხევას გაღმა მძიმედ გაიხედა.

სიცხისაგან გავარჯარებული რიყის გაღმა ბაღს ძემის მაღალი ღობე შემოვლებოდა. იქ, ეაშლებისა და მსხლების ხეივანში ბებერი წაბლი ისე მოჩანდა, როგორც გულივერი ლილიპუტების ჯამათში. ბაღის მწვანე კედელს იქით მაღალი სახლის ნაცრისფერი კედელი იმზირებოდა. კედელზე, წაბლის ქვედა ტოტების გასწვრივ ფანჯარა ყუნწამდე გაფრიალებინათ, ხოლო ფანჯარაზე თეთრი, თხელი ფარდა დაშვებულიყო. ოთახიდან ფანჯრისაკენ მოძრავ პერს ფარდის ბოლო გადმოეგდო და იალქანივით გაებერა. იგი დროდადრო შეთამაშვებოდა და ბოლოს ზავზე წასულთა დროშის კალთასავით ატყლავუნებდა.

გამოჩნდა ვიღაცის ხელი, ეს დროშა შიგნით შეათრია და რაფას იქით დაუშვა.

მას შემდეგ ფანჯარასთან მყუდროება დადგა.

კარგა ხნის შემდეგ ბრიგადირმა მზერა ბერხევას გაღმიდან გამოღმა გადმოიტანა და თითქოს ახლა დაინახაო, მიაჩერდა რეზინის იმ ადგილს, საიდანაც ჩუმი შხივილით ასხამდა წყლის წვრილი ნაკადი. ნაკადს მიწაზე მტკერი მოელოკა, კენჭები გამოეჩინა და პატარა, ოღნავ მღვრიე გუბე დაეყენებინა.

„როდის გაფუჭდა, რომ მცოდნოდა, ტილოს დავახვევდი,“ — გაიფიქრა და ახლა აუზს გადახედა.

აუზს წყალი მოკლებოდა და საცხებით დამლორებულიყო. ჩაღისფრად ბრწყინავდა წყალი იმ ადგილას, სადაც მზე დაკუთრებდა. კარგად მოჩანდა გაუ-

წმენდავი, კენჭებიანი ფანჯარი და მწვანე ხაზსმოკიდებული კედლები. ნოტიო ის ადგილი, რომელიც კაკალს ჩრდილში მოექციენა, მექ-ლურჯად იდგა და თვალს ფსკერამდე არ უშვებდა. მაღლა, წყლის ზედაპირზე პატარა ბაყაყი გართხმულიყო უმოძრაოდ. ოთხივე ფეხი განიერად გაეპარქყნა და შუბლზე გადმომსხდარი მწვანე, ცივი თვალებით ბრიყვულად უცქეროდა ფესვზე ჩამოჭდარს. ბაყაყს ზურგზე რუხი-ნაცრისფერი დაპკრავდა და დროდადრო ემჩნეოდა როგორ უფეთქავდა წყლიდან ოღნავ აწეული მოთეთრო ყელი.

რევაზი გაამხიარულა ბაყაყის გაყინულმა შტერულმა ცქერამ. კენჭი აიღო და ესროლა. კენჭი ახლოს დაეცა მიზანთან, თითონ ფსკერისკენ წავიდა ხოლო ზედაპირზე წყლის რგოლები დატოვა.

ბაყაყს ამ ხუმრობაზე ყურიც არ გაუხდურტია. მხოლოდ წყლის რგოლებმა აატივტივეს და ნაფოტეით ქანაობა დააწყებინეს.

მეხუთე „ტყვიამ“ მიაღწია მიზანს და ოღნავ გასაგონი „კაკავანი“ მოისმა ურცხვად მაკეერალის ზურგიდან. მაშინ კი იკადრა ყიყინამ და ფსკერისაკენ წავიდა „ბრასით“.

შარაზე გაიარა რამდენიმე მანქანამ და შაბიამისფერი ასფალტზე რუხ-მოყვითალო მტერის მქრქალი, ძლიერ მქრქალი ხვეული აუშვა.

ოღნავ მონაბერ ნიავს რიყიდან მზის ხვატის ცხელი სუნთქვა მოჰქონდა.

ყნოსვას სწვდებოდა სველი მიწისა და მტერის უსიამოვნო მწკლარტე სუნი.

უფროდაუფრო ყრუდ ჩხრიალებდა კასრში წყალი. ისმოდა, როგორ მხევაკავდა ძლიერ ცხენი საკუთარ გვერდებსა და ურმის ხელნებს.

ხიღზე სატყირთო მანქანამ გამოიჭროლა და წყალზე მომავალ ქალს ახლოს ჩაუხარა. შოფერს შავქოჩრინი თავი გამოეყო კაბანიდან და იღრიტებოდა. ქალი ხიღის მოაჯირს მიაწყდა, სურა მკერდზე

მიიხუტა და მანქანას შეშინებული თვალი გააყოლა.

გაფითრებული წამოვარდა რევავი. ქალს დააცქერდა და მერე მიუქარით გახედა საბჭოს შენობას, რომლის იქით მანქანა მიეფარა.

— რატომ გადმოდინხარ ხიდზე, როცა მანქანა მოდის? დაცადე, გაგცდეს და მერე გადადი. ხომ ხედავ, როგორი ვიწროა და გაგანიერებაზე მხოლოდ ესლა დაიწყეს ფიქრი, — ეუბნებოდა ახლოს მოსულ ქალს და გადაბმულ წარბებს კმუზნიდა რევავი.

თამარმა სურა მიღთან ახლოს აუზის პირზე ჩამოვდა.

— გვერდზე გავიწიე, მაგრამ თითონ ჩამიარა განგებ, ახლოს.

— ამ შეუადრისას რა მოგარბენიებდა წყალზე? მამიდაშენი ვეღარ წამოვიდა? ქვაზე რომ კვერცხი დადო, შეიწვება. შენ კი აგიღია თავი და მორბინხარ.

ქალი მორჩილად შეპყურებდა ქვევიდან აუზის კიდეზე მდგარსა და დაბნეული და შიშნაქავი ღიმილი არ შორდებოდა სახიდან.

— ფანჯრიდან დაგინახე და იმიტომ წამოვედი.

— დიდი ხანია, რაც სიგრილე შენზე ცუდად მოქმედებს?

ქალი ვერ მიხვდა.

— რაზე მეკითხები?

— რატომ გუშინწინ არ მოხვედი წაბლქვეშ?

ქალმა თავი ჩაღუნა და საჩვენებელი თითით დაუწყო ხაზვა სურახზე წერნაქით გამოყვანილ წითელ ყვავილებს.

— არ შემეძლო, რევავ.

— ცუდად იყავი?

ქალი დუმდა და სურას თვალს არ აშორებდა.

— პირველ საათამდე გიცადე.

ქალმა თავი აიღო და დიდი ნაღვლიანი თვალები ვედრებით შეანათა.

— შენ ნუ გეწყინება, რევავ... შენ ნუ გეწყინება. მე სხვა დროსაც ვეღარ მოვალ. მე... აღარ შემიძლია იქ მოსვლა, რევავ.

აუზზე მდგარი შეერთა, სხვაზე ხერვალემ აპკრა და თითქოს მდგარი ქატი მუხლები მოუდუნდაო, ნელ-ნელა ჩაიმუხლა და ცემენტით გადალუბილი აუზის კიდეზე ჩამოჯდა.

— რა თქვი, აღარ მოვალ წაბლქვეშო?... მართალს ამბობ, თამარ?

— მართალს. მამაჩემმა აპკირძალა შენთან შეხვედრა. — ქალი თავს ვერ იმაკრებდა, ხმას ტირილი ეძალეზოდა და კობტა ტუჩების კუთხეებში, ნაოჭი, ოღნავ შესამჩნევი ნაოჭი უკრთოდა. — იმან ყველაფერი იცის, რევავ, ყველაფერი იცის, საიდან, მაგრამ ყველაფერი იცის. საშინლად ნაწყენია შენზე, საშინლად. ჯერ მოჭრა უნდოდა წაბლისა, მერე გადაიფიქრა. ფეხს აღარ მადგმევიწებს ბაღში მზის ჩასვლის შემდეგ. გუშინ მამიდაჩემს უყვიროდა. არასოდეს ხეამაღალი სიტყვა არ უთქვამს, გუშინ კი უყვიროდა.

— ეგრევე... რევავმა თავისუფლად ამოისუნთქა, — აი, თურმე რა ყოფილა. როგორ გამოგტეხა, მე ხომ შემშირდი, რომ დრომდის არ იტყარი? რატომ უთხარი?

— არ მითქვამს, რევავ, მე არ მითქვამს. არ ვიცი, საიდან გაიგო, მე კი არ მითქვამს.

— იქნება მამიდაშენმა ილაქლაქა? გზაზე ცალყურაანთ მართა გამოჩნდა და წყლისკენ შემოუხვია. თამარი აწრიალდა.

მოდიოდა მართა, მსუბუქად მოჰქონდა ახოვანი ტანი და სავსე თეძოებს მოათამაშებდა. გახსნილი კაბის გულისპირიდან თეთრი მკერდი მოუჩანდა, ხოლო მზემოკიდებული სახე ღია-ყავისფრად უბრწყინავდა. შვინდის წყებლისაგან დაწნული ვეებერთელა კალათა ძირს დადგა და ბრიგადირს შეუტია.

— რას გაშტერებულხარ, ბიჭო, და ჩამოგიყრია ყურები? ეს წყალი მართო შენი კი არ არი, აჯანბინე ამ გოგოსაც და გაუშვი. ცხენს მზეზე სწავე, ურემს კი წყალში აბანავებ?

რევავმა ახლა დაინახა, რომ კასრი

გავსებულოყო. პირზე გადმოდიოდა წყალი, ზედ ევლებოდა კასრის გასივებულ მუცელს, მერე ურემზე იღვრებოდა და იქიდან ქვეშ მიწაზე გააქონდა ჩხრიალი.

იგი აუჩქარებლად მიუახლოვდა და მილს რეზინი დინჯად წააძრო.

— ამ წუთში გაივსო, რა მოხდა მერე, კვდები წყურვილით?

— შენ არხეინად იყავ, მე უდაბნო-შიაც გავუძლეხ სიცხეს, ამ ბაღს აავსებინე და გაუშვი შინ. აავსე, შვილო, შენ რო მავას უყურო, საღამომდის აქ გაკრულაღებს.

— არა, ჯერ თქვენ მიიროთვით, მე მერე ავავსებ.

მართამ შეხედა გოგოს და მსუქანი, ზორციანი ტუჩებით გაიღიმა. დაიხარა მილთან, ცალი ხელით გახსნილი გულისპირი დაიჭირა და ცალითაც ცივი წყალი შეისხა სახეზე. მერე შუბლიდან ნიკაბამდე წუნწკლები პეშვით ჩამოიწურა და მილს დაეწაფა.

— იფ! ცხონებაა პირდაპირ, — ამბობდა დარწყულებული ჭოპელას რძალი და კვლავ სახეზე ისხამდა წყალს. მერე გოგოს შეავლო თვალი და გრილი ხელისგული მკერდშიაც ჩაიყო.

თამარმა დაბნეულად შეუდგა სურამილს. დიდხანს რეცხავდა, ქვეშ-ქვეშ გააყურებდა გამოჩენილი გულშემატკივრის მსხვილ ფეხებს და ბოლოს, რა-კი დაატყო, რომ ეს ფეხები დაძვრას არ ამირებდნენ, სურა გამორეცხილად ჩათვალა, აავსო და სახლისაკენ გასწია.

რევაზი უწადინოდ ახვევდა შავ რგოლად რეზინს და თან ფარულად წყაროდან წასულს გააყურებდა.

მართამ ქალს თვალი გააყოლა და მერე ბრიგადირს უცქირა დიდხანს და დაკვირვებით.

— რევაზ!

ბრიგადირმა რეზინის სალტე ქალზე გადაავლო, მორგვზე ავიდა და კასრს საცობი გაუყეთა.

ქალს მარცხენა ხელით დონიჯი შემოედგა, მარჯვენათი ყელკისერს იგ-

რილებდა და თან ურემთან მრავალხმიანს უცქერდა.

— რევაზ, დაყრუვდი?

რევაზი ჩამოხტა ურმიდან და ქალს მკვახედ შეხედა.

— რა იყო, გული ხომ არ მიგდის?

ცალყურაანთ ქერივმა გაიღიმა და ჩაყოფილი ხელი მკერდში შეაჩერა.

— გულის წამსვლელი ვინც არი, ეგ მე და შენ ვიცოდეთ, მაგრამ ერთი ეს მითხარი, რა დავიშავე, რომ ჩემზე საჩივრებსა სწერ და რაიკომში ჰგზავნი ჩემი ქმარი შენზე აღრე იყო ჯარში, შენზე მეტი იომა და შინაც არ მობრუნებულა. დაიგულე უკაცო ოჯახი და მოიწადინე ზედ შედგომა? სოფელს სახანეთოთა ჰყავდი, კარგი ბიჭიო, შრომისმოყვარე, პატიოსანი. შენ კი ჩუმი კელა ყოფილხარ. შეგძლებია, მიზეზი არ მოგცენ და უჯინო კი.

რევაზმა ცხენს ავშარაში ხელი ჩაჰკიდა და წყლისკენ შეაბრუნა. ცხენმა თავი ასწია, თვალები დაქაჩა და უკან-უკან დაიხზია. გულის გამაწვერილებლად აღრაჰუნდა ქვაზე ერთ ადგილას მოღრეკილი თელის რკინა.

— ტრრრრ, გაჩერდი დამთხვეულო, თორემ დაგამტრევე ცხვირ-პირს. ჰა, აბა არ გაიწიო ერთი გვერდზე და არ მიუშვა ცხენი წყალთან.

მართა გვერდზე გადადგა და ფეხის გაკვრით კალათაც იქით მიაცურა.

— რალა მილთან ასმევე? აგე, საქონლის აუზი, სავსეა, იქ დაალევიანე. მავას-ლა აკლია წასამურდლად აქაურობა.

ბრიგადირმა თასმის ხელი შეუშვა და უკან გამობრუნდა.

— ნეტა ზოგიერთი დედაკაცი იყოს ცხენზე სუფთა.

მართამ ტანზე იჭენეულად დაიხედა და ძლივს შეამჩნია მარცხენა ძუძუს ქვემოთ მუქ-ყავისფრად მიმხმარი რაღაც. მივიდა აუზთან, დაიხარა და პეშვი წყალში ჩაყო.

ცხენმა თავი ასწია, ყრუდ ჩაიხეხინა, ყურები დაცქვიტა და ავი თვალი შეავლო აუზთან დახრილს. რბილ დრუ-

ნისა და ქვიქვირზე წყალი ჩამოსდიოდა. ლაგამს მუქარით ლეკვავდა.

— გამოდი აქეთ, თორემ კომბოსტოსაგვით მოგაქვამს თავსა.

— რაღა აქ მოიყვანე? მიიყვანდი საქონლის აუზთან.

— საქონლის აუზთან შენ მიდი, მანდ წყალს ნუ შერდლავ, ტალახი იქ მოიცილი.

— ეს ტალახი არ არი. მსხლის ქერქი მომცხებია.

— სულერთია, იქ მოიცილე, ცხენს ნუ უშუქუყიანებ წყალს.

ქობელას რძალი უკან გამობრუნდა. იმ ადგილს, სადაც კაბა დასვროდა, დიდი, რუხ-მოლურჯო ლაქა მოუჩანდა.

— დასწყევლა ღმერთმა, როდის მომეცხო?

— როცა ბაზარში იდექი და მსხალსა ჰყიდი, — რევაზმა კალათას მოაცილა თვალი და ქალს ჭიჭურ შეხედა თვალებში.

— ნეტა რას მიჰქარამ, რა მსხალს ვყიდი?

— მე კი არ ვიშლი, მსხალი შენია და თუ გინდა ძაღლსა და ღორს აკმევ, მაგრამ დრო უნდა იცოდე.

— შენ რომელი ჩემი დამშლელი ხარ? მსხალსა ჰყიდი. რა მსხალს ვყიდი? — ვერ გაიგე, რომ ერთ დამეს გააციეს ბიჭ-ბუტებმა? დილით ჩაველი ვენახშია და პირ-კატა მეცა, წამლად რო ვდომნოდა, ერთ ცალს ვერ დაინახავდი ზედა.

— ზედ არ ესა, მაგრამ... — რევაზი დამკინავად იღიმებოდა, — შენი მამამთილი თითონ ამბობდა, შენ რაღად მალავ?

ქვრივი წელში გასწორდა და ამაყად მოიღუშა.

— მერე შენ რა გინდა? შენი ხომ არაფერი წამილია სახლიდან? ჩემი მონაგარი გავყიდე, შენ რას იძიებ?

— შენი გაჰყიდე, თუ მამამთილისა?

— ჩემი და ჩემი მამამთილისა ვინ გაყო?

— ორმა თავმჯდომარემ დაეკრთა ზონარგაყრილმა დაეთარმა. გამტყნარებული დასწვდა კალათს მართა და ცალი ხელითაც კეფაზე გუნჯლად დახვეული თმები შეისწორა.

— შენ მაინც არ შეგფეროდა სხვისი ადგილ-მამულის შემურება.

— მე არავისი არაფერი მშურს, მართა. არც მანამდის ვიღებდი რამეზე ხმას. არ ვიღებდი და როგორც უნდოდა ორიოდე კაცს, სოფელში იგრე ჭრიდა და კერავდა. მე შენი არაფერი მშურს და შენც ნუ შეწევდები იმაზე მეტს, რის დამუშავებასაც ვერ შეძლებ. ზოგს ალხანა, ზოგს ჩაღხანა არ გამოევა. ხომ არ დაავიწყდა, ძია ნიკო თავმჯდომარეობამდე რა იყო? დედის მუცლიდან ყველა შიშველები დავიბადეთ... და თანასწორნი.

ქობელას რძალმა კალათის ყური მკლავზე წამოიკცა და გაბრუნდა. გზის პირიდან მოიხედა და შემრიგებლურად დაარია.

— შენ შენი შარვალი გაიმაგრე და სხვისას მოეშვი. რა შენი საქმეა სხვის კიღობანში ყურება?

ცხენს წყურვილი მოეკლა, თავი აეღო და წყნარად იდგა წყაროს ცემენტის ჩარდახს თავმუფთარებულში. სიამოვნებდა საგრილეში ყოფნა. სადავის მოწევანზე მხოლოდ უბრალოდ, ცნობისმოყვარედ მოიხედა და მიბრუნებულმა ისევ ცივ კედელს მიაბჯინა ხავერდოვანი რბილი ცხვირი.

— ჰა, გაგიტკმა? დროა წავიდეთ, თორემ, რაკი აგრილდება, სხვა საქმე გვიცდის.

— დაიცა, რევაზ! — ხიღზე თამარი მორბოდა სურის ქნევით, — ცოტა ხანს დაიცა.

რევაზმა მოიხედა და წყაროსთან მოვარდნილ ქალს შეუწყრა.

— რა დაგარბენინებს ამ სიცხეში?

— წავიდა? — სულს ძლივს ითქვამდა გოგო.

— წავიდა. შენ რად დარბიხარ ამ შეუადღის გულზე?



— მამიდა არ მიშვებდა. შევეხვეწი, ერთსაც მოვიტან-მეთქი. არაო, ესეც საკმარია ჯერო, მერე წადიო. არ მიშვებდა, გამოვექეცი, უკან გამომყვია, ძლივს გავაბრუნე, ეხლავე მოვალ-მეთქი. რევან, თინა მამიდას არაფერი უთქვამს. მე ვიცი, რომ არაფერი უთქვამს. არც მე მითქვამს რამე. მამას გეფიცები, არ უთქვამს. თითონ გაიგო. არ ვიცი, საიდან გაიგო, მაგრამ გაიგო. ძალიან გაბრაზებულია, დიდი ხანია, ასე გაბრაზებული არ მინახავს. შენზეა გაბრაზებული. მოიცა, რევან, მე ყველაფერი ვიცი. არ გამტყუნებ, მაგრამ რატომ არ დაცადე, დაციდიდი, იქნებ, თითონვე დახმარებოდა საწყალ საბედს ძალის, იქნებ თითონვე დაებრუნებინა ის ვენახი. შენ რატომ გაინჩიერე შუაში? აი, რევან, ხომ ხედავ, შენდა უნებურად როგორ ევახები მამაჩემს. არა, შენდაუნებურად კი არა, მოურიდებლად. არა, შენ ისე არ გაიგო, თითქოს გამტყუნებდე. არ გამტყუნებ, მე შენ არ გამტყუნებ, მაგრამ ხომ იცი, იმისი ხასიათი, იცი, მაგრამ აი, ხომ ხედავ... ოჰ, დედო, ჩემო დედილო.

რევანზე გადმოხტა ურმის კოფოდან, სადავე ქალზე გადააგდო, ხელნას ზურგით მიეყუდა და თავჩაქინდრულ გოგოს თვალუბზე მიფარებული ხელები ფრთხილად აალებინა.

— ქალებს გული ყელთან ნუ გაბიათ. გეგონება, თითის წვერებში სისხლის მაგიერ ცრემლი გედგეთ. წუთიც არ უნდა: მიიბჯნით თვალუბზე და წყაროსავით წამოვა. რა გატირებს? რაც მოხდა, მოხდა. და რაც მოხდა, — დიდი არაფერია. ვიცნობ მამაშენს, ნუ გეშინია, ციხე ერთი წიხლის კვრით არ დაიქცევა. საჭირო იყო ეგრე შექნა და ვქენი. მე არა ვნანობ. რომ დამჭირდეს, ხელმეორედ ვიზამ მაგასვე. შენ კი ნუ სტირი, სატირალი ღმერთმა ნურც მოგცეს. ჯერ ცოცხლები ვართ მეცა და მამაშენიც. თუ ძალიან გაგიჭირვებს საქმეს, ჩემთან წავიყვან. თუ გინდა დღესვე წავიყვან. მართალია, ჯერ არ ვაპირებდი,

სახლის აშენება მინდოდა. მამაშენს მაქვს, მხოლოდ მინდოდა კოლმეტყურნების საქმეს მოვრჩენოდი. მაგრამ არა უშავს, რა ეუყოთ, რომ ძველია, სამაგიეროდ შიგ მე და შენ ვიქნებით. მთავარი ის კი არ არი, რაში ცხოვრობ, მთავარი ის არი, შიგ ვინ ცხოვრობს. მერე უფრო აღვიღად ავაშენებდი. ჰერამთან მინდა ავაშენო. მშენებლობაში შენ მომეხმარებო. ხომ მომეხმარებო? როცა გაოფლიანებული დასასვენებლად გრილოში დავეჯდები, შენ მოხვალ და ცივ წყალს მომიტან. არა, წყალს კი არა, ღვინოს, ცივ ღვინოს. სახლქვეშ მარანი იქნება, ქვევრებს ჩავყრი მიწაში. ცივი ღვინოს იცის ქვევრმა და გემოსაც კარგს ინარჩუნებს. ცივი ღვინო ზაფხულში აგრილებს კიდევ და მუშაობის ხალისსაც აღვივებს. მგელივითა ხარ მამინ კაცი და გგონია, ბერხევის კლდეს მოგლეჯავ და გვინდა. ერთად ავაშენებთ, ერთად ვიქნებით და პურსაც ერთად ვჭამთ. კერძს შენ გააკეთებ. არა, კერძს შენ არ გააკეთებინებ, იგეთი გემრიელი იქნება შენი გაკეთებული საქმელი, რომ ალბათ, ერთ წელიწადში ნამოგენს ერთ თვეში გამოეუყვან წირვას, იგეთი გემრიელი იქნება... ვენახსა და ბაღს შუა მინდა ავაშენო. აიგნის წინ ვაზის სახე-იენებს ჩავყრი. ვენახიდან აიგნამდის ეზო ხეივნებქვეშ იქნება მოქცეული. ხეივანი მაღალი იქნება, რომ ურემს არ დაუშალოს ეზოში შემოსვლა. დღე და ღამეს გავასწორებ. ყველაფერი ბევრი გვექნება. მერე, შეიძლება, მანქანაც ვიყიდოთ, მსუბუქი მანქანა. კვირაობით დავისვენებთ. თელავში ავალოთ. თეატრსაც ვნახავთ, კინოსაც დავესწრებით. მერე: შეიძლება...

ქალს ცრემლიანი თვალეზი გაბრწყინებოდა და სიამოვნებით უგდებდა ყურს მხურვალე სიტყვების უწყვეტ ნაკადს, რომელიც თავლის ჩქერივით იღვრებოდა ეზოში შესული ბიჭის გულუბვი ენიდან. მაგრამ არც ისე დიდხანს გაგრძელებულა მათობელა ღვინის ძალის გავლენა. ქალმა ხელში ხელი სტაცა ბრიგადირს და შეაჩერა.

— რევაზ, რევაზ. შენ ისევ გავიწყდება მამაჩემი. ისევ გავიწყდება. მე ხომ ისლა შემომბრჩა და მე იმას ერთადერთი ვყავარ? განა დაგავიწყდა, იმ დღეს რა გითხარი? აი, მანქანა გაყიდა, რომ სახლი მოათავოს მთლიანად. მერე და რისთვის, მერე და ვისთვის? რად უნდა მართონელა კაცს იმოდენა სახლი? ან მე როგორ მივატოვებ მამაჩემს? აბა, შენ თითონ იფიქრე, რევაზ, განა შემძლია, რომ მივატოვო? ცოლი კი ახალგაზრდობაშიც არ შეირთო, ჩემს გოგოს დედინაცვალს არ დავეუსვამ სახლშიო. არ შეირთო და ახლა შეირთავს? ან ჩვენ რატომ უნდა ვიწვავოთ სახლზე, როცა სახლი მზამზარეული გვექნება? მაშინვე ჩვენთან იქნება, ერთად ვიქნებით. ყველანი ერთად ვიქნებით. დედა შენი და მამიდა ბაღსა და ვენახს მოუვლიან, მე სახლს მოვუვლი, შენ და მამაჩემი კოლმეურნეობას მიხედავთ. თუ თინა-მამიდა არ გენდომება ჩვენთან ერთად, მშვენიერი სახლი აქვს ფშაველში და წაევა თავის სახლში. შენ, ოღონდ შენ როგორმე შეეგუე მამაჩემსა და ისევ შეიყვარა თავი. განა რა არის, რევაზ, არა ღირს ჩემად ეს ყველაფერი? ხომ გახსოვს, ერთ დროს როგორ უყვარდი, სულ შენს ქებაში იყო, პატივსა გცემდა, ბრიგადირად დაგნიშნა, საუკეთესო ვენახები ჩაგაბარა. ახლა რატომ აირიენით, ახლა რაღა გაქვს გასაყოფი, ახლა რაღა ჩემი ღმერთი გიწყრებათ ორივეს? რევაზ, რა გემართებათ?!

— აბა, აბა! ტირილი აღარ. რა საჭიროა? აი, ენით მშვენიერად ვლაპარაკობთ. ცრემლები კი მაშინ, როცა ენა აღრაფრის მაქნისი იქნება... კარგი, ეგრე იყოს. მე დავეუჭერებ მამაშენსა და გადავალ შემინდგერობის ბრიგადაში. აღრაფერს ვიტყვი, მაგრამ ეს იცოდეს: იმ ჰექტარნახევარ ვენახს, რომელსაც პირადად მე ვაკეთებ, არავის დავეთმობ. მევე გავაკეთებ და შემინდგერობასაც მივხედავ. აბა, დავანახებებ, თუ კაცი გულითა და მონდომებით ითავებს საქმეს, რა შეუძლია. სახლი კი ყველას საკუთა-

რი უნდა ჰქონდეს. სხვისი საყუარებელი რა მჭირს და არც მამაშენისა. მამაშენის სახლი სახლი გამოვა ჩვენი. მართალია გაგიძნელებდა ძველის მიტოვება, მაგრამ შეეგუებო და შეგიყვარდება.

— შენთან, რევაზ, თუ გინდა უღრან ტყეში, კლდზე, გამოქვაბულში ვიცხოვრებ, მაგრამ მამას რა ვუყო, როგორ დავტოვებ?

— მაშ მე უნდა გამოეთხოვედ შენზე და არა შენ ჩემზე? — იცინოდა ბიჭი. — არა, თამარ, ყვესაც კი აქვს საკუთარი ბუდე და ჩვენ ხომ აღამიანები ვართ.

— რევაზ, შენი ჰირიმი, დამიჯერე, გამიგონე. ასე უფრო კარგი იქნება. მამაჩემსაც დაუჯერე. ისევ შეგიყვარებს და ყველაფერი კარგად იქნება. ეხლა წავალ, რევაზ, თორემ შეიძლება კიდევ ვინმე მოვიდეს და, თუ გაიგო მამაჩემმა, რომ შენ გელაპარაკებოდი დღეს აქ, არ ვიცი რას იზამს. — ქალი სურას აესებდა და თან ისევ ურემზე ასულ ბიჭს შეჰყურებდა: — რა ვქნა, რა ვქნა, აღარ ვიცი.

რევაზი კოფოზე გასწორდა, მოქიმილი სადავე ცხენს გავაზე ოდნავ მოარტყა და თან სახლში მიმავალ ქალს გასძახა:

— კარგი, ვეცდები გაეუგონო და დავუჯერო კიდევ. შენ კი აი, რა უნდა ვქნა: როგორც კი დაცხება, სახლიდან ფეხი აღარ გამოდგა გარეთ. ან ბაღში ხის ჩრდილიდან არ გამოხვიდე და სადმე როგორმე დამენახე ხოლმე.

ცხენმა სადავის მორტყმა იუცხოვია, ურემი მოიტაცა და შარაზე გაქენდა.

4

შარაზე თივით დატვირთული ურემი გამოჩნდა და ნაწყაროვალის აუზზე ჩამოსხდარი მოხუცები ააქოთქოთა.

ზურია მხელი მოიჩრდილა გაცვენილ წარბებზე და დიდხანს გასცქეროდა ტაბაკით მიმავალ კამეჩებს.

— მარჯვედ უმუშავენით. ჰაი, გიდი, სიჭეილე! ეხლა მთაში ძილი ერთ რამედა ღირს.

— გოდერძის საქმე ჩააბარე და ან

შეკამს, ან შეეკმეინება, — ურმისკენა ქნა პირი აბრიადაც.

— ძილი კი, გავიხარინ, კარგი იცის მთაბა, — დაეთანხმა ზურისა მყვირალა გაბრუა. — მეცა ვყოფილვარ სიჭილეში პირიმზისაზედა. იქ ერთი რცხილა დგა შუა ყალთალზე, ბებერი რცხილა. ქოხი იქ გვედგა ხოლმე. პო, ბიჭო, რა ძილი იცოდა იმ რცხილამა! ქვეშ ბლომად თივას გავიშლიდით, დაეწვებოდით და მადლიდანაც თივას დაეხურავდით. ბალახში ათასი ჭურის ყვავილი ურევია და იგეთი სუნი ასდიოდა იმ თივასა, რომა, როგორც კაი ძველი ღვინო ეგრე ათრობდა კაცსა. ჭერ თავი არც კი გქონდა მიდებული საწოლზე, რომ უკვე გვეძინა.

— თივას რომ ძილი შეეძლოს, ზამთარში საქონელს ბაგიდან თავს ვერ ააწევივებდი, — ჩაიქირქილა ეფრემამ. —

— ეე, ეფრემ, შენ მარტო თიხაში თუ დაიძინებ ტკბილად, — გადაჰხედა მეზობელს ლურჯანამ.

— მართალია, თიხამ იცის მაგარი ძილი. იგეთი, რომა შიგ ჩაწოლილი და შემრე გამოღვიძებული აღარავის უნახავს, — სავულისგულოდ სტენიდა ჩიბუსს ილუა.

— მე ეგეთ ძილზე არ ვამბობ, — იწყინა გაბრუამ, — აბა, ლურჯანასა ჰკითხე, თუ ტყუილია.

— თივა იყოს, თორემ განა მინდორში ვერ დაიძინებ? — ჯოხით მიწის პირზე დაკრულ კენჭს გვერდებს უჩიჩქინიდა შეაშვიაბათ საბა.

— ეჰ, მთა მანც სხვა არი ზაფხულში, — არ დაეთანხმა ლურჯანა, — საღამოთი ადრე როდის დაეწოლილვართ, გაბრო, ჭერ ზღაპრები ცეცხლის პირასა და შემრე ძილი. ღამე ხომ კარგია, მაგრამ დილა უკეთესი. გამოვძვრებოდით დილით ქოხიდან, ჩავიდოდით წყალზე, დაეიბანდით პირსა და იგეთ ჭანზე დაედგებოდით, რომ საუზმემდე შეიღარვა სვეს გავიტანდით ხოლმე.

— რას დაგასვენებდათ გოდერძი, გო-

ნი რო გავიძვებოდით ტახტებზე, კაი ბიჭი იყავ და ნუ მიჰყვებოდით.

— გოდერძი რა შუაშია, — გაიკვირვა გაბრუამ, — ჩვენ თითონ მოვიდოდით მუშაობის ხოშზე.

— რატომ წელს აღარ წახვედი, გაბრო, გეტყობა, აივანზეც კარგა იძინებ ზაფხულობით შინა.

გაბრუამ იწყინა და მოიქეშა.

— კარგა ხანია, რაც აქეთ-იქით წაწალის ყაველი გამივიდა.

— აბა, ეფრემასა ვკითხოთ, თუ გავივრდა.

— შენ, დათი, ჩემზე ნუ გაბრმავდება თვალეები. ჩემი ხნისა რო მოიყრები, მაშინ მელაპარაკე.

— ათი წელი მაინც არი, რაც ეგრე მეუბნები, — ჩუმად იცინოდა დაბალ დათია. და შარშან ნათლიმცემლობას გავხდი შენი ხნისა.

— გოდერძი რამდენი წლით არი შენზე უფროსი, — გაბრაზდა ზურია, — რატო იმან არ აითრია ფეხი? ვერა ჰხედავ, რო ეფრემა აღარა სჭრის ჭურჭელს? ხალხი კი არა გეყოფნის.

— შენ ვინა ვკითხავს ჩემს წასვლა-წამოსვლას! — ახლა კი აყვირდა გაბრუა, — როდის მოგადექი კარზე, ცოლ-შვილი შიშვლით მეხოცება მეთქი? ეფრემას ჭურჭელი, ეფრემას ჭურჭელი! — რა ყელში გავეჩხირათ ეფრემას ჭურჭელი? გამომივიდა მეორე გოდერძი! კარგა ხანია, რაც სამოც წელს გადავცდი და კანონით მინიმუმე აღარ მეხება. რას ჩამომკიდებიახართ? გინდა გამოვალ და გინდა არა.

— მაშ სხვები რალად ეიკლავთ თავსა, — კენჭი ამოთხარა და ჯოხის წვერით შარაზე ისროლა საბამ.

— გიყ თივის ნებაა, — წაიბურტყუნა და მოახლოებულ ურემს გახედა გაბრუამ.

მეურმე აუზის ნანგრევზე ჩამომსხდართ მიესალმა, ურემი გააჩერა და ძირს ჩამოხტა. ნაბდის ქუდის ყალამოდან სწორკუთხედად დაეცილი გაზეთის ქაღალდი ამოიღო და მოახია. ახ-



ლოს მივიდა, ილუას წინ ჩაცუცქდა და მონახვეი ისე მოკეცა, რომ საჩვენებელი თითი შიგ მოაყოლა.

— გადამახვეინე, ძია ილო, თორემ გავთავდი კაცი. პაპიროსი გამითავდა და, რაც ქორაფის წყაროს გამოცვლი, არც ვინმე შემხვედრია და არც მომიწვევია.

— შენ გერჩივნა, ურემი აქ კი არა, ახალ წყაროსთან დაგეყენებინა. ეს რამდენი ხანია, რაც დაშრა, — წელზე იფათურებდა ხელს ილუა, სადაც ჩვეულებრივ თამბაქოს ქისას იკიდებდა ხოლმე. ბოლოს, როგორც იყო, გაუხსნა ქისას მოპრუწული პირი და მწიკვით ამოიღო შინაური თამბაქო.

— რაზე მეუბნები, ძია ილო, მაგას? მეურმემ პაპიროსი გაახვია, ქალაღის ნაწიბურს ნერწყვიანი ენა ერთორჯერ გააყოლა აქეთ-იქით და მერე ხარბად მოიგდო პირში.

ილუამ ჩიბუხი მიუმარჯვა მოსაკიდებლად და თავის ქნევით ანიშნა.

— სუნე არ მოგდის? რატო არა ჰნახავ, იქნება ღერძს ცეცხლიც უკიდია.

მეურმემ ბარაქიანად დაჰკრა ნაფაზი და ხელი ჩაიქნია.

— მეც არა ვთქვი, რამეს ამბობს. საპონი გამითავდა. ქორაფის წყაროსთან გავსინჯე სასაპონე, ბევრი ვურიე შიგ ჩხირი, მაგრამ ვერაფერი მოვფხიკე. არა უშავს, გომურამდის მივალწვეინებ.

— ბევრია გასათბი კიდევ, ნიკავ? — დაინტერესდა წყლოგიე.

— ჯერ სადა ხარ, რა დიდი ხანია, რაც თბეა დაიწყეს. დედა ვუტირე, ბალახია იგეთი, რომა, შიგ შესულს მუხლებზევით დაგიწყებს ცემას. აგვისტოს ბოლომდის მოუნდებიან, თუ კარგად იმუშავებს.

— აგვისტოს ბოლომდის? — გაიოცა ლურჯანამ და დაფიქრდა. — მაშ წელს მაგარი ბალახი მოსულა.

— ბალახია, რომ ქება არ უნდა.

— მოუნდებიან კიდევ, სათბად ხალხი ცოტა წავიდა, — ჩიფჩიფებდა ზურია.

— როდის აპირებ უკან გაბრუნდნა, ნიკავ?

— ამაღამ მინდორში გავრეკავ კამეჩებს, მაგრად დავაძლებ და მერე სანამ ცისკარი ამოვა, თორღვას ციხის ტბას გავტეხი.

— უნდა წამოვიდე. ერთი, წელსაც უნდა წამოვიდე. წასვლისას გამაგებინე. იგრე არ წახვიდე, არ გამაგებინო.

— ადელია, — ზედიზედ სცემდა ნაფაზს ნიკა და დროდადრო პაპიროსის თავზე მიწვეარ ფერფლს უბერავდა.

ზურია წარამარა ბერავდა გაცრეცილი ცხვირის ნესტოებს და ძიძოსი, შავბალახასა და სამყურას სუნით გაყდნთილ პაერს ასმევდა მოღუნებულ ფილტვებს.

სალამოს, სიმრუმეში, მალღიდან ლატანგადაჭირებული ურემი ისე მოჩანდა, როგორც შუაგაყოფილ რუხ თმებიანი გოლიათის თავი.

ნიკამ ერთი პაპიროსი გაათავა და ისევ დაეღრიჯა ილუას:

— ამას გზაში მოვწევ, ძია ილო.

თამბაქოს პატრონმა ორიოდჯერ მოსულა ყალიონი, გვერდზე გააწიბა, უგემურად შეხედა თავის წინ ჩაცუცქულსა და ქისისაკენ უწვადინოდ წაიღო ხელი.

— მეუთი იყოს, გინდაც ბერდანკის ტყვია...

— ნუ გენანება, ძია ილო, მერე მე მექნება კიდევ.

მეურმე წამოდგა და გახეული პაპიროსი ქუდის ყალამოში ჩაიდო. მივიდა, ურემს ღერძქვეშ შეხედა, მერე ირგვლივ შემოუარა. კამეჩებს საქორჩესა და ყურის ძირებზე მოუთათუნა ხელი და ურმის ყელი რამდენიმეჯერ ასწიდასწია ხელში: თავმძიმე ან თავმსუბუქი ხომ არ არიო. აპურები მოსინჯა, სახრე მოიმარჯვა და ურმის ყელს შეახტა.

— დაიცა, ბიჭო, ბარემ მეც წამოვალ, გავეშაადები დილისთვის, — ვედარ მოითმინა ლურჯანამ და წამოდგა.

— მოდი, მხარს მოგცემ და მალა აღი შინამდის მიგიყვან.

— შენ ხომ არ წამოხვალ, გაბრო? — გადმოსძახა უკვე თივაზე კურდღელივით დაუცქვლელმა მთიბავმა.

გაბრუამ უთავაზოდ მიიბრუნა პირი გვერდზე და ხმა არ გასცა.

სახრემ გაიტყლაშუნა, ასფალტზე გაიჩნაკუნა მოფამფალეზულმა ნალმა და კვლავ გულის გამაწვრილებლად აქრი-აღლა გაუსაპნავეი ღერძი.

— ბინდია ჭერაც არ წავიდოდა, ერთი-ორი ყაირი მიარტყმევინე მაგ ნალზე, ცოდოა კამეჩი, ბიჭო! — გასძახა წყლივით მათურა.

— ვიცი, ძია ვიო, დბერი-პო, შე გამჩენძალო!

— ძილისაგან არი გასიებული და კიდევ მთაში მიდის დასაძინებლად, — მოქუფრული თვალით გაპხედა გაბრუამ წასულ ურემს.

— მეძებარმა კურდღელი რომ მოგიბრუნოს, ისიც კარგია. ეგ მარტო ძილის-თვიან არ წავა იქა.

— თუ ეგრე გული გწყდება, შენ რატო არ წახვედი, აბრი?

— მე თუ გინდა, ნამგალი მომეცი, ან თონზე მიმიშვი. ცელი არასოდეს მჭერია ხელში. განა კარგია-შეთქი, არა მჭერია და რა ვქნა.

— ან დათია რატო არ მიდის?

— ჩემი ავთანდილი იქ არი, გაბრო. სამოც წელს კი მეც გადაცდენილი ვარ. მინიმუმში გამომუშავებული მაქვს და ეს წელი ჭერაც არ დამთავრებულა. სად არიან შენი ბიჭები, რატომ ისინი არ წავიდნენ?

— ახლა ჩემი ბიჭები კიდევ. აქაც საჭიროა ხალხი. ამოდენა ვენახებს მოვლა არ უნდა?

— მართალია, იმოდენა ვენახებს მოვლა უნდა. მაგრამ ეგ ვენახები რომ კოლექტივისა არ არი? კოლექტივში როდისღა უნდა იმუშაო?

— შენ, დათი, დიდი ხანია, რაც ჩემს ვენახებზე თვალეები გეჩანხება და, აგე, გაგხიარდეს, ბიჭებსაცა და მეც ჩამოგვაქრეს.

— სამართალს რა ვეფხვანა? — თორემ ეგ ცოტა ადრე უნდა მომხდარიყო.

— ეხლაც რევაზას უნდა ვუმადლოდეთ, თორემ ვინ იცოდა, რომ მეტ-მეტეტი ჰქონდა ხალხსა?

— შენ, ვიო, სულ მინდორში გდისხარ და რა უნდა გენახნა, სოფელში რა ხდება. განა არ იცოდა ხალხმა? იცოდა, მაგრამ თავი არავის ემეტებოდა ხმის ამოსაღებად.

— აგე, ამოიღო ხმა და ხომ დააწინაურეს; შემინდვრეობის ბრიგადაში გადაიყვანეს წუხელ გამგეობაზე.

ზურია გაოცდა.

— შემინდვრეობაში? რევაზა გადაიყვანეს შემინდვრეობაში? როდის, კაცო.

— წუხელაო, ვერ გაიგე?

ზურიას თლაში შემოათავადა ჩხირი და გაბრაზებით ისროლა გვერდზე...

— კაი დაწინაურებაა, შენმა შზემ, თუ ეგრე ნაპატივეები ვენახები, ნაოფლარი და ნაშრომი მზამხარეულად სხვას ჩაუვადეს ხელში. დღე და დამე შიგ იყო და როგორც კრუხი საბუღარს ეგრე დასტრიალებდა თავზე. ვითომ იქ უფრო მსუბუქია შრომა?

— შრომა სუყველგან მძიმეა, თუ კარგად იმუშავებ. შემინდვრეობაში კი ჩავარდნილები ვართ და რევაზა ყოჩაღიაო... ყოჩაღია, ინფორმაციების წერაში, — დაუმატა გაბრუამ და გვერდზე გაიწია, რათა ახალმოსულისათვის ადგილი დაეთმო.

ტოპრაკა დამხვედურთ მიესალმა და იქვე დაეყრდნო ჯოხზე, სანამ მისთვის ადგილს გამოქებნიდნენ.

აქამდე უბრად მჯდარ თომას გაეხარდა ძმაცაცის მოსვლა, გვერდზე გაიწია და წყლივით და თავის შუა ჩასვა.

— სად ხარ, ვიგავ, რატო აღარსად ჩანხარ, კაცო, უშენოდ ავიდეთ ყანა და ლამის რთველიც უშენოდ დაეწყოთ.

— ეეჰ, ილო, აღარც მუხლი მერჩის და აღარც თვალი. დამიგდო სიბერემა და ეზოდან ველარ გამოვდივარ. ძნელი ყოფილა ეს წყუული, ძნელი. გეჯას გეჯისაგან ველარ ვარჩევ, სკა სკის გვერდ-



ზე ვეღარ მომიძებნია, ფუტყარსა და ფუტყარის ნაყარს ვილა დაეძებს. არ მეგონა, თუ ეგრე აღრე მამერეოდა.

— რაღა აღრეა, შე დალოცვილო, ასი წლისა მაინც იქნება.

— ვერა, ეფრემ, ჯერ ვერა, ოთხ-მოცდათვრამეტში გადავდექი ლეინობის თვეში. თვალი კი იგეთი მქონდა, ალაზნის გამოღმიდან ალაზნის გაღმა დავინახავდი, ფუტყარი სამყურაზე რამდენი ფეხით იჭდა. ღმერთმა აცხონოს, ტიტკომ იცოდა: „თვალი შენი მამცა და მკლავი გოდერძისაო“. — ტოპრაკამ მიიხედ-მოიხედა, — აქ ხო არ არი გოდერძი, განა არ ეხსომება.

— გოდერძი მთაშია, გიგავ, ბალახის სათიბად. აკი ვითხარი, იმდღეს რომ მოვიკთხე.

— შენ მითხარი? ეჭვებუქვე! რა წყეული ყოფილა ეს ტიალი სიბერე! აბა, უყურე. როდის მითხარი, თომავ?

— ვითხარი, მაშ, ოთარამ რო კურდღელი ჩამოიტანა ტყიდან. მწვადად რომ ვასხამდით ჩვენი ჰერმის ქვეშ.

— ის თქვენი ოთარი მუდამ საბჭოსთანა გდია ბიჭბუჭებში და ტყეს როდისღა უვლის? ბაჩიანთ გიგლა ჩიოდა: აღარც ძილს მაცლიან და აღარც მოსვენებასო, — ილიმებოდა ეფრემი.

— რაკი მტყევეა, ალბათ, უვლის კიდევაც.

— რას არ უვლის? ჰიტ, ეგ მამაძალი ეგა! იმდღეს ავედი თელიანს ზემოთა და ეზოს კარებისთვინ ორი-სამი ხარხა არ მომაჭრევინა. საითაც წაველი, ეშმაკივით წინ დამიხედა.

— ეხლა ეზოს კარებს ხარიხებს ვილა უკეთებს, ვიო? ჰიშკარი გაუკეთე ახლებურად.

— ჰიშკარს უფრო მეტი ხე-ტყე უნდა, მემრე ვინ მოგცემს? ბარკალი არ გამატანა და ფეშხვა მოვთხოვო?

— ტყე ოთარასი კი არ არი, სახელმწიფოსია. თუ მოჭრა და სხვას გაატანა, რაღა დაიცვას? მაინცა მპარავენო ამბობს. იმდენს იზამენ, რო ღამეც დაუწყებს ყარაულობას. გახსოვს, თომავ, წინათ ამ დროს რამოდენა მოდიოდა

ხოლმე ბერხევა? ეხლა იმის ნახვევით აღარ მოწანწყარებს. ზემო სარწყავად მიუგდებენ, ქვემო უზნამდის ძლივს ჩადის. გატილდა ტყეები, ძალმა და ღორმა აიკლო და სინესტეს ვეღარ ინახავს. ახალი სახლი, ახალი სახლიო და ცრუვი და მანე — ყველა ტყეს ეტაკა. მემრე გამოზშირონ მაინცა. მიპდგებიან და საცა მოეწონებათ, პირალებითა კაფავენ. გახედავ და ნააზოვარი გეგონება. ბერხევა კი მაშინდელის ნახვევარიც არ მოდის.

— გვალვაა, გიგავ, გვალვა. მიწა იგრა დამსკლარი, როგორც კენჭმეყოლი ჰურტელი. რამდენი ხანია, წვიმა არ მოსულა.

— მართალია, კარგა ხანია არ უწვიმია, ეფრემ. ძალიან გაუჭირდა ბოსტანს, ღამის არი კიტრი და პამიდორი გადახმეს.

— კიტრს ვინა ჩივის, თუ ამ ერთ კვირაში არ იწვიმა, სიმინდები ხელიდან წავა, — ახალ კენჭს მიაღდა საბა და ახლა იმას დაუწყო ჩიჩქნა.

— ვენახებსაც ძალიან უჭირს. თუ აგვისტოც იგრე წავიდა, მარცვალს წვენი არ ჩაუდგება და არც მოსავალს ექნება ბარაქა, — წუხდა ვენახზე შეყვარებულ ზურია.

— გვალვა ყველაფრის მანეა, კაცს ნამუსს უგვალავს, სიზარმაცისკენ ეწევა და გრილოს მეტ სიტკბოს აძლევს.

გაბრუამ ავი თვალი შეავლო აბრიას, მაგრამ, რაკი პირადად არ დაუსახლეობია, ისევ გაყუჩება ამჟობინა.

— ჩემი უმცროსი ბიჭი დამხმარედ არი ტრაქტორებზე. წუხელ საღამოთი ამოვიდა მინდვრიდანა და ამბობდა: ერთ მტკაველზე ვხნავთ და მიწას სისველე არ ეტყობაო. სახნისი ღამის გატეხოს, ძლივსა სჭრისო.

— მაშ უკვე დაიწყებს ხენა?

— დაიწყებს, მაშა.

— სულ რამდენი ბიჭი გყავს, დათი?

— სამი ხო მამიკედა და რამდენიღა უნდა მყვანდეს, რვაღა დახანხალობს საცოდავად.

მოხუცები სიცილისაგან აბიზინდნენ.

— რას გიკვირთ, წინათ თქვენსმეტ თვრამეტი ყოლიათ და ცხრა ძმა ხერხეულიძე ზომ გახსოვთ? უნდა მომრავლდეთ, თორემ ამ ომმა ბევრი გვაზარალა.

— კიდევ ზო არ აპირებ, დათი? — იკითხა ტობრაკამ.

— რატორა, თუ დედაკაცი უარს არ იტყვის.

— გრცხვენოდეს, ბებერო, — შეუწყრა თომა, — რალა დროს შენი შვილია.

— გაუშვი, შენ რა გინდა? კაცს როცა მეტი საქმე არა აქვს, მა რა უნდა ქნას?

დათიამ გაიცინა და გაბრუის ცერად გახედა.

— ვინც ბიჭია, ფლავსა ჭამს.

სოფლის ორღობიდან ნახირი ამოვიდა და შარაზე ბლაგილით გაიშალა. ცურ-მოპირთავებული ძროხები ფეხაჩქარებით ძებნიდნენ პატრონების კიშკრებსა და შორიდანვე აგებინებდნენ სავსე ჟიჟინს მიტანას შინ დარჩენილ შვილებს. ასფალტზე ატეხილ ჩლიქების ტკაპატკუპში ისმოდა მანქანის საყვირის ხმა. რათა არხეინად მიმავალ საქონელში გზა გაეკვლია.

ცაზე რიგრიგობით ენთებოდნენ ვარსკვლავები და თალხი სამოსელი ეცემოდა თანდათან შემოგარენს. სახლებს აივანებზე და ფანჯრებში ზედიზედ ფეთქდებოდნენ ნათურები და დღის სიცხისაგან გათანგული სოფელი ზმორებით იღებდა ღამის სიგრილეს. სადღაც ვიდაცის წკრიალა ხმა მღეროდა და საბჭოს ეზოს სძრავდა ძალოვანი ხარხარი.

— ვაი, საწყალი გიგლას ბრალი, — თანაგრძნობით ამოიოხრა გაბრუამ.

— ახალგაზრდობა მა რისია, თუ არ იმზიარულეხს? — მოიწონა დათიამ.

— ნეტა, დათი, ან შენი სახლი რო იყოს საბჭოსთან და ან საბჭო იყოს შენ სახლთან, მაშინ რას იტყოდ? — იკითხა წყლიგიყმა.

— არაფერს. თქვენ ფილტვებსა და კუჭნაწლავს ვენაცვალე, ბიჭებო! უფრო მაგრად მიღით-მეთქი.

— ააა! — მაშინ ეგორე ალაღი იტყოდა.

— მა რა ქნან? — მოუბრუნდა წყლიგივს ილუა. — წინათ კლუბის ეზოში იყვენ ხოლმე და არ დააყენეს. ნაცარტუტად უქციეს ის კლუბი, აღარც ახალი ააშენეს და მა სად წაყიდნენ? მთელი დღის ნაწვალეზმა ზო უნდა დაისვენონ?

— დაისვენონ, თორემ ქედს იცხელევენ. ღამის არი, გააგიკონ საწყალი ნიკო. ნასყიდას ზომ მალღადაც არ აგდებენ.

— ნიკოს შუბლი მაგარი აქვს, ეგრე ადვილად არ გაგიყდება, — ჩაიცინა ტობრაკამ.

— ჯერ იყო ი რაღაც ბურთის ჩუსტები და მოკლე ხალათ-შარვალი გაიტაცეს, ეხლა მისდგომიან და წარადებზე ასასვლელი ბილიკი დაუნგრევიათ. მე გუთნებებს გუთნეული გამზადებული ჰყვანდათ სახნავათა. სულ იმ თქვენი ჩასაბერის ბრალია.

— პაპა ენაცვალოს იმას, საფერავის მადღმა, ჭკვიანი მყავს ჩემი შაქრია. გზას ვაკეთებთ, ბულდოზერი უნდა ავიტანოთ, წარადები ვაგჯავოთ და მოედანი ვაგავეთოთ სათამაშოდო.

— იმ თქვენ ნაფეტვარში ზო გააყეთეს და ახლა იქ ავიდნენ.

— იქ მანქანები ჩაზიდეს. გარაქი უნდა ააშენონ.

— სამკედლო ზომ ააშენეს და გარაქილა აკლიათ, ვისა სცალიან ეხლა გარაქისათვის?

— რატო, დღეს მასწავლებლები და მოწაფეები მთელი დღე ქეებს აგროვებდნენ ბერხევაში და ქვიშას აცხავებდნენ.

— ეგ ახალი კლუბისთვის უნდათო, — მეორე კენჭიც ამოთხარა საბამ.

— განა ის, სამკედლოსათვის წაღებული ქვიშა ახალი კლუბისთვის არ უხდოდათ? — ჩაიცინა ტობრაკამ. — ეშმაკის ლაჩებიდან არი ნიკო გამამძვრალი. მაგას გარაქისთვის გამოიყენებს.

— მე ეგ მიკვირს, ის იმოდენა კაცი რას აპყოლია ამ ცინგლიანებს. პაპა



შრომელი ჰყავს, ღმერთმა აცხონოს, მაგის მამაც მუშა-კაცი იყო, მაგის უფროსი ძმა ხომ გახსოვთ, საქონელს იგრე უვლიდა, როგორც ჩვენი ექიმი ავად-მყოფს. მაგას რაღა მოუვიდა. ვაგიფდი?

— ეგ ისევენებს, აბრი, — გამოეჭომა-გა თომა. — მეგრე წავა ქალაქში და მეცნიერი იქნება, ჩვენი სახელია ისევ.

— ეხლა, სიტყვაზედა, იმოდენა ქვას ამ წელიწადში გაზიდამენ იმ წარაფებოდან? — ეჭვობდა ეფრემი. — ცხონებულმა ტიტოკომ რაც იმ ღიჭიანს ქვემოთ მიწებში ქვა მოგვაკრეფინა, სულ იმ წარაფებში დაგვავრეინა. ის ჭაგები და ქვის ღორღი იგრეა ერთმანეთში ჩაწულ-ჩადღუღებული, რომ ჰიაყელას გაუქირდება შიგ გაძრომა.

— ხელით კი არ აპირებენ, ეფრემ, ბუღლოზერი უნდა მოვიტანოთო, აბა, მამ გზას რისთვის აკეთებენ?

— არა, თუ ბუღლოზერს მიიტანენ და გასწმენდამენ იქაურობას, მაშინ იქ იმოდენა ადგილია, სამი-ოთხი სათამაშო მოედანი გამოვა.

— თუ მართლა გაწმინდეს, ერთი ხუთი ჰექტარი მაინც მიემატება იქაურობას და სახნავებს აღარც სართაულები ექნება.

— გუშინწინ დილით აგრონომი ასულა დასათვალღერებლად წარაფებში, ცოტა ხნის შემდეგ კი მავათ დინამიტებით აუფეთქებიათ ბილიკი. საღამომდის იქ დარჩენილა ის საწყალი გოგო.

— ეგ ტყუილი ვინ ჩავაცვა, გაბრო? საღამომდის რუსუდანი იქ გაჩერდებოდა? როგორც კი კლდეზე ვადმომდგარა, ავარდნილა ჩემი შაქრია და ჩამოსვლაში უშველნია. ბერხევასი რომ ჩამოსულა, მთრახით გადაუხდია მადლობა. სანამ შერერეს მასიამოვნებდა, რო გამოეკუნდი, რიყიანი ასფალტი მეგონაო.

— ერთ ვეკაცს უდრის, ჩემმა მზემ, — იცინოდა თომა, — მამა არა ჰყვანდა ეგრე მავარი და თითონ ეგ რა გამოვიდა?

— ერთი მალე მაინც მოამრავლოს ის

დატოტელია თუ რაღაც ჯანდასჯის შრომადღეს ბარაქა დაედოს.

— რატო არა თხოვდება, რალას უყურებს, მარტო თავთავ-სიმინდზე ხომ არ არი მიგდებული ცხოვრება?

— ხაქროს არ მიპყვება და სხვები იმის შინით ვერაფერს უბედავენ.

— არც მაინცდამაინც თითონ მაგას ამოსდის ვისზედმე მზე და მთვარე.

— ქალაქში ეყოლება ვინმე.

— არა მგონია, რამდენი ხანია, იქ არ წასულა და არც აქ მოსულა ვინმე. ეგ უყვარდეს ვინმეს და ერთ დღეს მაინც გასძლოს უმაგისოდ?

— ო, რა გოგოა, ეგრე კარგი საიდან რას გამოვა ადამიანის შვილი, გზაზე ან კანტორაში რო შემომხედება, აღარ მინდა, რომ თვალი მოვაშორო.

— ბაჯალღოა. რა გინდა, ძამო, კოლექტივის საქმესაც უძღვება და ის მამისეული ბაღი და სახლ-კარიც არ გაანოორწყულა, — ქებით გულს იფხანდა თომა.

— შემდეგ რა გულკეთილი, იმ საწყალ საბედას მთელი ზამთარი მაგან გადაატანა.

— ჰოპელას თავისი მამისეული ხალათ-შარვალი მისცა.

— მართლა, ჰოპელაზე ამბობენ: ვენახში ღამე თავისი მსხლის ქვეშ ანგულოზები უნახავს, საცეცხლურებით ცეკვავდნენო. დილით კი ერთი მსხალიც აღარა ჰმნია ზედა.

— მთვრალი იქნებოდა.

— მოეჩვენებოდნენ.

— ჰიტ, მაგის დედა კი ვატრე, ტყუის ჰოპელა, მსხალი ჩუმად დაკრთევს და მაგისი რძალი გოდრებითა და კალათით ეზიდებოდა ბაზარში.

— ეგ იმასაც ამბობდა: ეშმაკი მყავ აყოლილი, ამ წინაზე ყლორტიანთან გამოიმხტაო.

— ტყუის, ვის დააჭერებს, ეშმაკი კაცის მოგონილია.

— აბა, ტოპრაკსა ჰკითხე, თუ მოგონილია, — მუხლებშუა ბარაქიანად ჩაიპურჰყა ილუამ და ხელახლა შეუდგა ჩი-



ბუხის გატენას. — როგორ იყო, ახმეტადან მომავალს რო შემოგებთა ურემზე, ხორხელზე დაგიბრუნა კამეჩები და შეინდიანის კლდეზე გაგიყვანა, ტობრაკ.

— პოი, მაგისი სახსენებელი კი გაქრა. საჩალის ბოგირთან დამეწია, ამოვიდა ურემზე და მეუბნება: „შენ მაინც გეძინება, გიგავ, კოფოზე მე დაეჯდები სახრე მამეციო“. ძილმა თავი წამართო და დამეზარა მეკითხნა საიდან მიცნობდა. მივეცი სახრე და მე ურემზე წამოვწეკი. წყლის შხუილი შემომესმა და გამომღვიძა. იმ წინა დღეებში მთაში წვიმდა და აღიდებული მოდიოდა ალაზანი. წამოვხტი და, რასა ვხედავ, ზედ კლდეზე მიჰყავს ურემი ამ ჩემს „ნაცნობს“. ქამარზე ხანჯალი მოვიჩხრიკე და ვუთხარი: „აბა, მანდ დამიცა ცოტა ხანს — მეტქი“. სახრე დაადლო, გადახტა ურმიდან და მიწამ უყო პირი.

— თქვენს ყრილობას გაუმარჯოს, რაო, რას გატყუებთ ტობრაკა.

ეფრემა წამოდგა და შეეპატიყა.

— მოდი, დაჯექი, ნიკო.

— დაჯე, დაჯე, ეფრემ, დრო არა მაქვს, თორემ ვისარგებლებდი შენი თავაზიანობით, — ჯიბეებში ხელები ჩაეწყყო და ფეხები განზე გაედგა თავმჯდომარეს.

მოხუცებმა სალამი დაუბრუნეს და აქეთ-იქით მიიწ-მოიწიეს.

ეფრემამ ერთ ხანს იყურყურტა, მაგრამ რაკი დაატყო, არ აპირებდნენ მისი ადგილის დაკაეებას, ისევ თითონ ჩამუხლა.

— გაბრუა აქ არი?

— აქა ვარ. რა არი?

— შენი დედაკაცი გეძებდა წელან. ამ ბოლო დროს რალაც ვერა სძლებს უშენოდ.

— ჰი, ჰი, ჰი! — ჩაიხიბითა დათიამ.

— იქამდინ როგორ დაგებრდები, რო დედაკაცი თითონ მიჩინებდეს.

გაბრუას სიცილისთვის ყურადღება

არ მიუქცევია. უწადინოდ წამოდგა და თავმჯდომარეს გაჰყვებდა.

ტობრაკამ ჯოხის წვერით მიწა ანიჭნა, თავი რამდენჯერმე დამცინავად ჩაიჭნია და მიმავალს მიაწვდინა:

— აბა, დაიცა, ნიკო.

თავმჯდომარე მობრუნდა.

— რაო, ტობრაკ, დაგრჩა კიდევ რამე სათქმელი?

— ინდოეთში ერთი კაკალია, ჩვენებური კი არა, დიდი, მსხვილი, უზარმაზარი კაკალი, მიადგება შიმშილისაგან გაძვალტყავებული თავვი, გამოუღებს ნახვრეტს, შეძვრება შიგა და გასუქდება.

იღვა, ნიკო და ელოდა ამბის დასასრულს, მაგრამ ტობრაკას თეთრი წვერი ჩამოედო ჯოხის თავზე და ჯიუტად დუმდა.

ბოლოს თავმჯდომარემ განზე გადგმული მარჯვენა ფეხი აათამაშა მუხლში და უთხრა.

— ტობრაკ, შენ ქაქუცა გახსოვს?

ტობრაკამ თავი აიღო და გაუქვირდა: რამ გახსენა ქაქუცაო. მაინც განგებობსად შეეკითხა:

— რომელი ქაქუცა?

— ქაქუცა, ჩოლოყაშვილი, ოცდაოთხში ხევსურეთი რომ ააჯანყა. სიბით ნაშენი სახლები ჩვენებს მიაღწეწინა, თითონ კი გაერიდა და საფრანგეთში გაიქცა... მე მაშინ იქ ვიყავი, წითელ არმიის ვმსახურობდი და მახსოვს, ხევსურები როგორ აგინებდნენ: „შენი დედა აგრე და იგრე, ქაქუცაო! ამ საქმეს თავი კი; გაუკეთე და ბოლო კი ვერაო“... შენ შარშანწინაც მითხარი ეგ არაკი. მაშინაც ეგრე გაჩერდი როგორც დღესა და ბოლო არ მოგიყოლებია.

ტობრაკამ კმაყოფილად ჩაიციწა, წვერი ისევ ჯოხის თავზე ჩამოდო და ლეკვალეკვით მიუგო:

— როგორც მაშინ, ეხლაც იგრე წადი და, როცა დრო მოვა, ბოლოსაც გეტყვი!

სამა ბაგა

დ ი ლ ა

ხმაგაქმნდელი დგანან თელები,  
ჭარი არ აკრთობს მთელეშარე ნაძვებს.  
ლურჯია სივრცე და ანტენები  
ნელა ირწევა ქალაქის თავზე.

შოულოდნელი კრიალი კარის  
ძილს უფრთხობს

ტკბილად ჩათვლემილ მტრედებს.  
ფოთლები სველი და ოდნავ მტკნარი.  
ღამურებივით ეკვრიან კედლებს.

პერი დილის გრილია ისე,  
როგორც ხიდისქვეშ მდინარის  
წყალი,  
და ავტობუსი თალიან ხიდზე  
გადაჰქრის თითო-ორილა მგზავრით.

დიდი ძეგლები თვალწინ გადაშლილ  
ქუჩებს გასცქერენ და ამაყ ჭადრებს,  
და უკვირთ — როგორ გაჩნდნენ  
ქალაქში,  
სადაც არასდროს ყოფილან აღრე.

ხეებს კი ყოფნით სინათლე მცირე  
და როცა ციდან იფრქვევა სიფბო, —  
თავიანთ თავს და თავიანთ ჩრდილებს  
ცოცხალ ძეგლებად უდგამენ თითქოს

და, აბა, უცებ აღმოხდა, — უცებ! —  
მზე და სხივებით დააცხრა მიწას;  
ზედ დაეღვარა სართულებს, ქუჩებს  
და ლურჯი ფერი ოქროსფრად იქცა.

არა ხმაურით და არა ზათქით  
არამედ უხმოდ

საგანი ყველა  
კვლავ დაუბრუნა თავთავის ადგილს  
მზემ, როგორც კაცის მზრუნველმა  
ხელმა.

მატარებლებმა, რაც ჰქონდათ ძალა,  
მოაკვივლეს და ხმები უმაღვე  
გაერცელდა — თითქოს საყვარელ  
ქალაქს  
აღფრთოვანება ვერ დაუშალეს.

ამ დილის ცოცხალ ბგერებს და  
ფერებს  
ვერ წაშლის ყამი დიდიხნის მერეც  
და დამიბრუნებს პირვანდელ ხალისს,  
და გადაპიშლის წარსულის  
ფურცლებს,  
როგორც სურათი საყვარელ ქალის—  
მტვერწყარულ წიგნში ნაპოვნი უცებ.



ჯონ სპინგუი

## გამთარი ჩვენი მღვდვარებისა\*

თავი მათა

ტემპლტონის აეროდრომი ორმოც მილზე მდებარეობს ნიუბეიტაუნიდან, რეაქტიული თვითმფრინავი ხუთიოდე წუთში გაივლის ამ მანძილს. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მრავლდება რეაქტიული თვითმფრინავები, თავს დაგვებუიან სიკვდილის მთესავი კოლოების გუნდები. ნეტა მეც ჩემი ალენის მსგავსად შემეძლოს ამ თვითმფრინავებით აღფრთოვანება, ან შეყვარება მაინც. სხვა რამ დანიშნულებაც რომ ჰქონდეთ, იქნებ მეც შემძლებოდა, მაგრამ იმათი ერთადერთი ამოცანა ხოცვა და ქლეტაა, ეს კი ყელში ამოივიდა. მე ვერ შევეჩვიე, ალენი კი ახერხებს მათ დანახვას, არა იქ, საიდანაც ხმა მოდის, არამედ უფრო შორს. ისეთი გრუნხონით გადალახავენ ხოლმე ხმის ბარიერს, რომ მუდამ შიში მიპყრობს, სათბობი ქვაბი ხომ არ გასკდამეთქი. ღამით რომ გადაიფრენენ, სიზმრებში შემომეჭრებიან და, დაფეთებით გამოღვიძებულს, მოშლილობის გრძნობა მომიცავს, თითქოს სულს წყლული გასჩენოდეს.

გათენებისას მთელმა გუნდმა გადაიქროლა და ფეხზე წამომაგდო, კანკალმა ამიტანა. ალბათ, გერმანული 88 მილიმეტრიანი თოფი დამასიზმრეს, რომელიც ფრონტზე ყველას მოგვწონდა და თან შიშით გვაკანკალებდა ხოლმე.

ვწეკი, სიმწრის ოფლით გაღვარული, და განთიადის ბინდბუნდში ავიხმა

უწყებელი თითისტარის ბზრიალივით მესმოდა შორიდან მათი თანდათანობით მინელბული გუგუნო. ალბათ, მთელს ქვეყანაზე ყველას ასე უსიამოვნოდ დაუფლის სხეულში ეს ვრუანტელი, არა სულში, არამედ სწორედ სხეულში, კანქვეშ. იმდენად თვითმფრინავი კი არ იწვევს ამ შიშს, რამდენადაც ის, რისთვისაც ეს თვითმფრინავია მოწოდებული.

როცა მდგომარეობა თუ ამოცანა მეტისმეტად გართულდება, ადამიანს თავდაცვის უნარი უჩნდება — სულაც არ იფიქროს ამაზე. მაგრამ ეს ფიქრი ქვეცნობიერებაში შეიჭრება ხოლმე ღრმად და იქ დაბუდებულ მრავალ სხვა ფიქრში აირევა; ასე წარმოიშობა სულიერი მღვდვარება და უკმაყოფილება, დანაშაულის ვრძნობა და იმის ძლიერი ინსტინქტი, რომ მანამ ყველაფერი გათავებულა, რამეს მაინც წაავლო ხელი, სულერთია რაც უნდა იყოს. იქნებ ფსიქონალიტიკოსთა მთელი არმია კომპლექსებს კი არ ებრძვის, არამედ იმ საომარ პოტენციალს, რაც ერთ დღეს შეიძლება სოკოების მსგავს ღრუბლებად მოედოს ცას. ვისაც კი ვხედავ, თითქმის სუყველა განერვიულებული და აფორიაქებული მეჩვენება, ცოტათი ავზნებულ-ატაცებულის, როგორც სახალწლო სუფრაზე შემთვრალი ხალხი. ძველი ძმობა და მეგობრობა დავიწყებამს მიეცი და მეზობლის ცოლს დაუწყებამს.

ჩემს საკუთარს გადავხედე. ეძინა, მაგრამ ჩვეული ღიმილი არ ეფინა სახეზე. ტუჩები თითქოს ჩამოშვებოდა და

\* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

დაბუკული წამწამების ირგვლივ მოღლილობის ხაზები გასჩენოდა. ალბათ ავადა, ავადმყოფობის დროს მოსდის ასე. მანამ კარგადაა, ღმერთმა ყველას მისცეს ამისთანა ცოლი, ხშირად არც ავადმყოფობს. მაგრამ როცა ავად გახდება, მტრისას!

ისევ იფეთქა რეაქტიული თვითმფრინავების ახალმა გუნდმა. ვინ იცის, ნახევარი მილიონი წელი დასჭირდა ადამიანს, მანამ ცეცხლს შეეჩვეოდა, ამ ცეცხლზე გაიღებოდა უფრო მძვინვარე ძალას კი, იძულებული გავხდით, სულ თხუთმეტობედ წელიწადში შეეჩვეოდით. ნეტა როდესმე თუ მოვახერხებთ ამ ძალის დამორჩილებასა და მოშინაურებას? თუ აზროვნების კანონები საგანთა და ნივთთა კანონების მსგავსია, მაშინ სულშიაც თუ ხდება ნეტა ატომის ხლეჩა? ნუთუ მეც ეს მომდის? ჩვენ, საერთოდ?

ერთი ამბავი მაგონდება, პაპიდა დებორამ შინამო დიდი ხნის წინათ. წარსული საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ჩემი წინაპარი კამელიტი ყოფილა. პაპიდა დებორა მაშინ პატარა ბავშვი იყო, მაგრამ მაინც მშვენიერად ახსოვდა, როგორ ელოდნენ ქვეყნის აღსასრულს. მის მშობლებს ყველაფერი დაერიგებინათ, რაც კი რამ ებადათ, ყველაფერი, გარდა ზეწრებისა. დანიშნულ დღეს შეხვიეს თურმე ეს ზეწრები და მთებში გაიხიზნენ, რათა ქვეყნის აღსასრულს იქ შეხვედროდნენ. ზეწრებში გახვეული ასობით ადამიანი ლოცულობდა და გალობდა. ღამე რომ ჩამოწვა, კიდევ უფრო უმატეს სიმღერას, და ცეკვასაც მოჰყენენ, ხოლო როცა დრო მოახლოვდა, ცას ვარსკვლავი მოწყდა, და თურმე საშინელი კივილი მორთეს. ახლაც კი ყურში მიდგას იმათი კნავილიო; მგლებივით ყმუოდნენ, პიენებივით ჩხაოდნენო, იტყოდა ხოლმე პაპიდაჩემი, თუმცა თავის დღეში არ გაეგონა პიენის ხმა. დადგა ის საოცარი წუთიც. სუდარებში გახვეულმა ქალებმა, კაცებმა და ბავშვებმა სუნთქვა

შეიკრეს. აღსასრულის წუთი კმაცდნენ ნელა მიდიოდა. ბავშვები სულ დაბლა ჩდნენ სახეზე. მაგრამ ეს წუთიც გავიდა, ისე რომ არაფერი მომხდარა. ხალხი მოტყუებული დარჩა — აღთქმულ აღსასრულს ვეღარ ეღირსა. დილით მთებიდან ჩამოიბურწნენ და სოფელს მოედევნენ — გაჩუქებული ტანსაცმლისა თუ ჭურჭლეულის, ხარებისა თუ სახედრების უკანვე დაბრუნება სცადეს. მახსოვს, როგორ შეცოდებოდნენ, წარმოვიდგინე რა დღეში იქნებოდნენ.

ეს ამბავი, ალბათ, რეაქტიულმა თვითმფრინავებმა გამახსენეს — აურაცხელი ენერჯით, დროით, დაზოგილი ფულით შექმნილმა სიკვდილის მთესმა მანქანამ. ნეტა ჩვენც მოტყუებულად ჩავთვლით თავს, თუ არასოდეს არ დაგვიჭირდა მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება? რაკეტებს, იცოცხლე, ვუშვებთ ჰაერში, მაგრამ ბოლმისა, უკმაყოფილებისა და მღვლეარებისათვის ვერაფერი მოგვიხერხებია.

- ჩემმა მერიმ თვალი გაახილა.
- ითენ, — მითხრა მან, — რა ხმამალა ფიქრობ?! არ ვიცი, რაზე ფიქრობ, მაგრამ ხმამალა კი გამოგდის. ნულარ ფიქრობ, ითენ.
- მინდოდა მერჩია, შენც ნულარ დალევ-მეთქი, მაგრამ საცოდავი მომეჩვენა. ხშირად ვერ მოვხომავ ხოლმე და უდროო დროს ვიხუმრებ, მაგრამ ახლა თავი შევიკავე.
- თავი გტკივა?
- ჰო.
- მუცელიც?
- ჰო.
- ყველაფერი?
- ყველაფერი.
- რამეს მოგიმზადებ.
- საფლავი მომიმზადებ.
- დღეს ნუ ადგები.
- არ შემიძლია. ბავშვები სკოლაში უნდა გავისტუმრო.
- მე გავისტუმრებ.
- შენ ხომ სამსახურში უნდა წახვიდე.

— ყველაფერს მოვასწრებ, ნუ გეშინია.

ერთი წუთის შემდეგ მიიხრა.

— ითენ, მგონია, მართლა ვერ ავღგეძალიან ცუდად ვარ.

— ექიმი გამოვიძახო?

— არა.

— მარტოკას ვერ დაგტოვებ. ელენი ვერ დარჩება?

— აჰ! გამოცდა აქვს.

— მარჯი იანგ-ჰანტისთვის ხომ არ დამერეკა.

— ტელეფონი გამორთული აქვს. ცელის მგონი.

— მე თვითონ მივალ და ვთხოვ.

— ხომ მოგვკლა, ასე ადრე რომ გააღვიძო.

— დავწერ და კარებში შევუცურებ.

— არა, არ გინდა.

— რა მოხდა მერე.

— არა, არა, არ გინდა. ნუ მიხვალ.

— მარტოკა ხომ ვერ დაგტოვებ?

— სასაცილო კია, მაგრამ უკვე მოვჯობინდი. ალბათ იმიტომ, რომ დაგიყვირე. მართლა გეუბნები, — თქვა მან და თავისი სიტყვები რომ დაედასტურებინა, ადგა და ხალათი მოისხა. მართლაც უკეთ ჩანდა.

— საოცარი ქალი ხარ, ჩემო საყვარელო.

პარსეის დროს სახე გავიკაწრე და სასაუბროდ რომ ჩავედი, განაქერზე ტუალეტის ქაღალდის ნაგლეჯი მქონდა დაწებებული.

მორფი აღარ დამინახავს პარმალზე თავისი განუყრელი კბილის საჩიჩქნით, როცა მის სახლს ჩავუარე. გამეზარდა. ვერიდებოდი მის ნახვას. მაინც ავაჩქარე ფეხი, არ დამეწიოს-მეთქი.

განის კარი რომ გავადე, ზღურბლზე ბანკის ყავისფერი კონვერტი დავინახე. დაბეჭდილი იყო. სქელი ქაღალდისაგან აკეთებენ ბანკის კონვერტებს, ვერც კი გახევე. ჯიბის დანა ამოვიღე და გავჭერი. ზუთკენტიანი სასკოლო ცალხაზიანი რეველის სამი ფურცელი იღო შიგ, რბი-

ლი ფანქრით მკრთალად დაწვეული. ანდერძი: „მე, სავსებში ჩანს, სულ დასალად მოაზროვნე...“ შემდეგ: „ვითვალისწინებ რა...“ მერე ხელწერილი — „ვალდებული ვარ გადაეუხადო...“ ორივე ქაღალდი ხელმოწერილი იყო — გარკვევით და ფაქიზად. „ძვირფასო ით, აჰა, რაც შენ გსურდა“.

სახის კანი თითქოს კიბორჩხალის ჯავ-შანივით გამიმაგრდა, მძიმედ მივეუგდე კარი, როგორც აკლამის კარებს დაკეტავენ ხოლმე. პირველი ორი ფურცელი გულმოდგინედ დავაკეცე და საფულეში ჩავედი, მესამე კი... დავკუმპუნე, უნიტასში ჩავეუძახე და წყალი ჩამოვუშვი. კარგა ხანს ატრიალა წყალმა ქაღალდი, მერე კი ჩასტენა და წაიღო.

ფეხსადგილიდან რომ გამოვედი, შევნიშნე, რომ განის კარი შეღებული იყო. არადა, მახსოვდა, კარგად დავკეტე. კარისკენ გავემართე, მაგრამ უცებ ფხაკენი შემომესმა. ავიხედე — ეს ობერი კარს სულ ზემოთა თაროზე შემძვარა და ცდილობს თათი კედელზე ჩამოკიდებულ ლორს გამოსდოს. ცოცხს დავტაცე ხელი და ძლივძლივობით გავაგდე გარეთ. გვერდზე რომ ჩამიარა, მოვუქინე, მაგრამ ავაცილე და ცოცხის ტარი კარებზე მივამტვრიე.

ქადაგება არ წამიკითხავს იმ დღეს კონსერვის ქილებისათვის, ტექსტი ვერ შევარჩიე. სამაგიეროდ შლანგი გამოვიტანე და დუქნის წინ ტროტუარა და არხიც ჩავრეცხე. მერე მთელი დუქანი დავაკრიალე — ჩამტვერილ-ჩაბინძურებულ კუნძულებსაც კი მივწვდი. ვსუფთავებდი და თან ჩემთვის ვღრბინებდი.

„აგერ შესცვალა იორკის მზემ

მბრწყინავ ზაფხულად.

ზამთარი ჩენი, უთანხმობა-მღელეკარებისა.“\*

ვიცი, რომ სიმღერა არ არის ეს, მაგრამ მე მაინც ვმღეროდი.

\* შექსპირი, რიჩარდ III.

ნაწილი მეორე

საქართველო  
შინაგარეო ურთიერთობები

თანხ მეთერთმედი

ნიუ-ბეიტაუნს მშვენიერი მდებარეობა აქვს. მის, ერთ დროს ვრცლად გადაჭიმულ, ნავსადგურს ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარებისაგან ხმელეთის გასწვრივ გაწოლილი კუნძული იცავს. ქალაქის ნაპირებში უბეგებია შეჭრილი, რომლებიც ზღვის მოქცევის დროს წყლით ივსებიან. ქუჩებში ხალხის სიმრავლეს ვერ იგრძნობთ და დიდი ქალაქის ფუსფუსიც უცხოა ნიუ-ბეიტაუნისათვის. იმ დიდ სახლებს გარდა, რომლებიც ერთ დროს ვეშაპებზე მონადირეებს ეკუთვნოდათ, საცხოვრებელი ბინები პატარები აქვთ, თუმცა კოხტა და ლაზათიანი, მშვენიერ ხეებში ჩამჯდარი. აქ ნახავთ ათასნაირი ჭიშის ბერძუხებს, ნეკერჩხალს, თელას, კაკალს, ალაგალაგ ჩინარსაც, მაგრამ ძველი ქუჩების გაყოლებზე დიდი ხნის წინათ დარგულ თელებს თუ არ ჩავთვლით, მაინც მუხა სჭარბობს. ისეთი მუხნარი იყო თურმე ამ ადგილებში გადაჭიმული, რომ ადგილობრივ გემთმშენებლებს შორს წასვლა არ სჭირდებოდათ — პლანშირის, კოლის, კილსონისა თუ ანძების მასალა იქვე ჰქონდათ.

ხალხს, საზოგადოებას გარკვეული პერიოდები აქვს კარგადმყოფობისა თუ ავადმყოფობის, იმედისა თუ სასოწარკვეთილების, თვით სიკვამლისა და სიბერისაც. იყო დრო, ნიუ-ბეიტაუნი ვეშაპის ქონით მთელ დასავლეთ სამყაროა ანათებდა. ოქსფორდელი და კემბრიჯელი სტუდენტები ამერიკიდან მიწოდებული ქონის შუქზე მეცადინეობდნენ. მერე პენსილვანიაში ნავთის შადრევნებმა ამოხეთქა და იაფმა სითხემ, რასაც ნახშირის ზეთი შეარქვეს, ვეშაპის ქონი სულ განდევნა, ზღვის მონადირეებს საქმე გამოუღია. სნება და სასოწარკვეთილება დააწვა ნიუ-ბეიტაუნს — მას

შემდეგ ველარც კი გამართულა წელში. მეზობელმა ქალაქებმა სხვა საქმე გაიჩინეს და მაგრადაც გაუტეეს, ნიუ-ბეიტაუნი კი, რომლის საარსებო ძალა მთლიანად ვეშაპებით ნადირობასა და ქონის წარმოებაზე იყო დაფუძნებული, გაოგნების მორევეში ჩაიფლო. ნიუ-იორკიდან დაძრულმა ხალხის ნაკადმა გველივით იცოცა და ნიუ-ბეიტაუნი გვერდზე დასტოვა, თავის მოგონებებს დაუტოვა. და, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ნიუ-ბეიტაუნელები თავს იმშვიდებდნენ, ასე სჯობსო. საზოგადოლოდ ჩამოსულთა ღრიალცელისაგან დაზღვეულები იყვნენ, ნეონის რეკლამები თვალებს არ უჭრებულდათ, ტურისტების ფულები აქეთ-იქით არ იზნეოდა და ტურისტთა წგუფები კარუსელივით არ ირეოდა. რამდენი ახალი სახლი წამოჭიმეს უბეების ნაპირას! მაგრამ გველივით დაძრული ხალხის ნაკადი კვლავ დაცოცავდა ირგვლივ და ყველა გრძნობდა, რომ, ადრე თუ გვიან, ნიუ-ბეიტაუნიც შეიმდგაფუნდებოდა. ამის მოლოდინში ნიუ-ბეიტაუნელებს თან ერთი სული ჰქონდათ, და თან ეშინოდათ კიდევ. მეზობელი ქალაქები მდიდრდებოდნენ, ტურისტების ფულით ივსებოდნენ, დუღდნენ და გადმოდიოდნენ, ახალ გამდიდრებულთა დიდებული სახლებით ელვარებდნენ. ოლდ-ბეიტაუნიც მხატვრობა, კერამიკა და მამათამაგლობა ჰყვავდა. ლესბოსიანულთა ტატყა ფეხებიანი ნაშიერები შინაყეთებ ნოხებსა ქსოვდნენ და წერილმან ინტრიგებს ხლართავდნენ. ნიუ-ბეიტაუნი წარსულს მისტიროდა, სვიაზე ლაპარაკობდა და მოუთმენლად მოელოდა ზღვის კალმახის გამოჩენას.

უბეებში ლელს გაედგა ფეხი და იხვი დაბუდებულიყო — თავიანთი ჭუჭულუბის ფლოტილია გამოჰყავდათ. ონდატრები გაფაციცებით თხრიდნენ ორმოებს და დილაობით წყალში დასხმარტალობდნენ. ზღვის ქორები თითქოს უძრავად

ეკლენე ცაში, თევზებს უთვალთვალე-  
დნენ და, როგორც კი შენიშნავდნენ,  
შურდულივით დააცხრებოდნენ; თოლი-  
ები მოლუსკების ნიყარებს აიტაცებდ-  
ნენ, აიჭრებოდნენ მალა, სულ მალა,  
იქიდან გადმოაგდებდნენ, დაამსხვრე-  
დნენ და შეექცეოდნენ. ზოგჯერ წავი  
გაცურდებოდა წყალზე. კურდღლები  
ბალ-ბოსტნებს დაეროდნენ; ნაცრის-  
ფერი ციყვები ქალაქის ქუჩებში გამოძ-  
ვრებოდნენ და წვრილი ტალღებივით  
მოძრაობდნენ. ხობბები ფრთებს ატყ-  
ლაშენებდნენ და ყიოდნენ, ცისფერი  
ყანჩები ნაპირთან ახლოს გარინდებო-  
დნენ, თხელ წყალში, და ფეხებგამო-  
მულ რაპირებივით შეიმართებოდნენ;  
ღამამობით წყლის ბუღების კივილი  
ისმოდა, თითქოს ცოდვებით დამძიმებუ-  
ლი სული კენესისო.

გაზაფხული გვიან მოდის ნიუ-ბეიტ-  
უნში, ასევე ზაფხულიც. მაგრამ როცა  
მოვა, თან მოაქვს ნაზი, ველური და თა-  
ვისებური ხმაური, სურნელი და განც-  
დები. იენისის დამდევს, როცა ყვავი-  
ლებისა და ფოთლების სამყარო გაიშ-  
ლება, გუშინდელი მზისჩაყვლა დღევან-  
დელს აღარა ჰგავს. საღამოობით მწყრე-  
ბი მოჰყვებიან თავიანთ ქვირით-ქვირი-  
თის მღერას, ზოლო, როცა სიზნელე ჩა-  
მოწყება, თხაწველიების წუწუნე ისმის.  
შეფოთილი მუხები გაიბერებიან და  
თავიანთი ყვავილების მტევნებს ბალახ-  
ზე აფრქვევენ. მეზობლების ძაღლები  
ერთად შექუჩდებიან და, ბედნაერებით  
აიტაცებულნი. ტყისაყენ გაინავარდ-  
ბენ, ზოგჯერ მთელი კვირა იქა რჩებიან.

იენისში ინსტიტუტით აღტაცებული მა-  
მაცაი ბალახსა თიბავს, მიწაში მარც-  
ვალს აგდებს და უღმობელ ბრძოლას  
უცხადებს თხუნელას, კურდღლებს,  
ჰიანძველას, ზოქოს, ფრინველს... ყვე-  
ლას, ვინაც კი მისი ბოსტნის განადგუ-  
რება მოუწადინებია. ქალი ვარდის და-  
ხუშუქებულ ფურცელს შეკუყრებს და  
ნეტარებამორეული, ხშირხშირად ამო-  
იხზრებს ხოლმე, კანი მასაც ვარდის

ფურცელივით უნაზდება, ხოლო თვა-  
ლები მტკრიანას მიუგავს.

იენისი მხიარული თვეა. სამოდ თბი-  
ლი, წვიმიანი და ხმაურიანი, ყველაფე-  
რი იზრდება და ახლდება — ტკბილიც  
და მწარეც, მაცოცხლებელიცა და დამ-  
ლუბველიც. გოგონები ტანზე ამოსხ-  
ლტილ შარვლებს ჩაიცვამენ, ერთმა-  
ნეთს ხელს გადახვევენ და მთავარ ქუ-  
ჩაზე გამოეფინებიან, პაწია რადიომიმ-  
ლებები ბეჭებზე მოუგლიათ და სასიყვარ-  
ულო სიმღერებს უგდებენ ყურს. სის-  
ხლადუღებული ბიჭები კი ტანჯერის  
სააფთიაქო მაღაზიაში ტაბურეტებზე  
შემომსხდარან და თივის ღერით მუწუ-  
კების გამჩენ სითხეს წრუპავენ. გოგო-  
ნებს ვაცებივით გადახედავენ ხოლმე და  
აგდებულად ხუმრობენ, თუმცა სხეულ-  
ში მათაც საამო ერუანტელი უვლით.

იენისში საქმის კაცი „ელ სიუსა“ ან  
„მთავარ ანძაში“ შეივლის ლუდის დასა-  
ლევად, მაგრამ ვისკიზეც არ იტყვის  
უარს, და ამ შუადღისას კარგა მაგრად  
გამოიბრუტება. ჯერ ისევ შუადღეა, მაგ-  
რამ ეგერ მტკერში ამოგანგლილ მანქა-  
ნებსაც შენიშნავ — ჩემად მიცოცავენ  
მილ სტრიტის განაპირას კენტად მდგარ,  
ერთ უზადარუკ სახლისკენ, რომლის  
დარაბები დღენიადაც გამოკეტილია. აქ  
აღისი, ქალაქის კახა, იენისის მზით აღ-  
გზნებულ კაცებს ღებულობს და მათ-  
თან ერთად საშუადღეო პრობლემებსა  
წყვეტს. ზვირთსაქცევს გადაღმა კი  
ღუზაჩაშვებული ნავები მთელი დღე  
ირყვიან და გახალისებული მამაკაცები  
და ქალები ზღვას სარჩოთა სთხოვენ.

იენისი რემონტებისა და შენების, გე-  
გმებისა და პროექტების თვეა. იშვი-  
თად, რომ კაცს ცემენტის ბლოკები და  
სხვა მასალები არ შეჰქონდეს სახლში,  
და ძველი კონვერტების მეორე მხარეს  
ტაჯმაჰალისნაირი შენობებს არა ხატე-  
დეს. ზღვის ნაპირას ასობით პატარა-პა-  
ტარა ნავს ნახავ, პირქვე ჩაუშვით და,  
ახალშეღებილები, მზეზე ელვარებენ,  
პატრონები კი წელში ამაყად გამართუ-  
ლან და ღიმილით შესცქერაან თავიანთ

ნამუშევარს. სკოლას ჯერ კიდევ მაგრად უჭირავს დაუოკებელი ბავშვები, მაგრამ თვის ბოლოს, როცა გამოცდები კარს მოადგება, ჯანყი თანდათანობით მძვინვარდება და მთელს ქალაქს, უეცრად, გაცილებს ეპიდემია მოედება — საშინელი სენი, რომელიც არდადეგებს დაწყებისთანავე გაქრება ხოლმე.

იენისში ზაფხულის ბედნიერი მარცვალი ღვივდება. „ოთხი ივლისი სად გვატაროთ?... დროა, საზაფხულო აგარაკზე ვიფიქროთ“. იენისი დაფარული პოტენცილის დედაა, იხვები არხეინად დაცურავენ, წყალში ჩასაფრებულ კუთა ქარავანს არც კი ებუებიან, სალათს სიმწვანე ებარება, პამიდორი ტანს იყრის და მსხვილდება, მანამ მახრა მის გადაჭრას მოასწრებდეს, ოჯახის უფროსებს სილა და მზებზე გარუჯვა ელანდებათ და კოლოების სიმფონიებით გაურუებული გრძელი, განაწამები დამეები კი აჭიწყებდათ. „წელს კი ნამდვილად უნდა დაისვენო. მეყო, რაც შარშან გადავიქანცე. მორჩა, წელს მაინც არ გადავაქცევინებ ბავშვებს იმ ორკვირიან შვებულებას ჯოჯოხეთად. მთელი წელიწადი თავი არ ამიღია. ეს ორი კვირა მაინც იყოს ჩემი. მთელი წელიწადი თავი არ ამიღია“. დასვენების გეგმები მულე მოგონებებს აქარწყლებენ და ამქვეყნიური ცხოვრება სანატრელი ხდება.

დიდხანს ეძინა ნიუ-ბეიტაუნს. ხალხი, რომელიც მას მართავდა, — პოლიტიკის, ზნეობის, ეკონომიკის თელსაზრისით, — იმდენხანს შერჩა ამ მართვა-გამგეობას, რომ მათი შემოღებული კანონები სამარადქამოდ დამკვიდრდა. მერი, მუნიციპალიტეტი. მოსამართლეები, პოლიციელები შეუცვლილები იყვნენ. მერი უსარგებლო იარაღ-მოწყობილებასა ჰყიდდა ქალაქს, მსაჯულე-ბმა გააუქმეს მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმა და იმდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, აღარც კი ახსოვდათ, რომ ამით კანონს ეწინააღმდეგებოდნენ. ნორმალური ხალხი იყო და

ამიტომ თავიანთ მოქმედებაში ვერაფერ უწესოს ვერა ხედავდნენ. მანები ყველანი წესიერები მხოლოდ მათი მეზობლები არიან უწესონი.

მზით გაბრწყინებულ დღეს ზაფხულის სუნთქვა მოჰქონდა. უკვე გამოჩნდნენ ადრეული მოაგარაკენი, უშვილძირო ხალხი, რომლებიც სკოლის დამთავრებას არ უცდიან, ადრე დაიძრებიან ხოლმე. ქუჩაში გამოგრიალდა საბმურ გამობმული მანქანები, საბმურებზე პატარა ნავეები და მოტორები ეწყობთ. დუქანში შედიოდნენ და სულ ერთსა და იგივე საქონელს ყიდულობდნენ — გაღამდნარი ყველი, ანტრეკოტი, კრეკრი და სარდინის კონსერვები; თვალდახუჭულიც რომ ყოფილიყო ითენი, ამ საქონლის მიხედვითაც შეატყობდა, ვინ იყვნენ მისი მუშტრები.

ჯოი მორთი ყელის გასაგრელებლად შევიდა — წესად ჰქონდა, როგორც კი დათბებოდა, ყოველ ნაშუადღევს შეივლიდა ხოლმე. ბოთლიანი ხელი მაკივრისკენ გაიშვირა და თქვა:

— დროა, ეს სატურატორიც აამუშაო.

— მაშინ ოთხი ხელი უნდა გამოვიხა, ან, მუხუდოს პარკივით, ორ ნოქრად გავიყო. ნუ გავიწყდება, ჩემო ჯოი, რომ მე ამ დუქნის პატრონი არა ვარ.

— უნდა იყო!

— გინდა, კიდევ გიამბო სამეფო გვარის დაცემის ამბავი?

— ბევრჯერ გიამბნა. დავთარში კრედიტსა და დებიტს ვერ არჩევიდ ერთმანეთისაგან. იძულებული გახდი ორმაგი ბუღალტერიის მთელი სირთულე დაგეძლია. მაგრამ ხომ დასძლიე!

— მერე რა ხეირი დამაყარა?

— ეს დუქანი რომ შენი საყუთრება იყოს, დიდ ფულს გააყუთებდი.

— საქმეც ეგ არის!

— გვერდზე რომ გახსნა საყუთარი მალაზია, მთელი მუშტრები შენსკენ წამოვა.

— რატომ გგონია?

— მუშტარი მუდამ ნაცნობს ეტანება.



ფირმის რეპუტაცია მეტი კი არაფერია. და კარგადაც კრის.

— ეტყობა ყოველთვის არა კრის. ადრეც ხომ მიცნობდნენ, მაგრამ მაინც გაეკოტრდი.

— ეგ სულ სხვა საქმეა. შენ საქონლის შესყიდვა არ იცოდი და ამან გიყო.

— იქნებ არც ახლა ვიცი.

— ახლა იცი. შენ თვითონ ვერ ამჩნევ, როგორ ისწავლე. მაგრამ გაეკოტრებული კაცის გულგატეხილობა მაინც შეგრაჩა. ნუ იზამ მაგას, მისტერ ჰოუ-ლი. ასე არ ვარგა, ითენ.

— მადლობელი ვარ.

— მე შენი სიკეთე მინდა. მარულო როდის აპირებს იტალიაში?

— არ უთქვამს. ჯოი, ერთი ეს მითხარი... ძალიან მდიდარია? თუმცა ნუ მეტყვი. ვიცი, რომ კლიენტების საიდუმლოს გამხელა არ შეიძლება.

— მეგობრის ხათრით, კანონის დარღვევა შეიძლება, ითენ. მის საქმეებს ყველას არ ვიცნობ, მაგრამ ჩვენი ანგარიშის მიხედვით, დიდი სიმდიდრის პატრონია. თანაც, რა საქმე გინდა, რომ ფული არ ჰქონდეს დაბანდებული! აქეთ უძრავი ქონება, იქით თავისუფალი მამულები, საზღვაო აგარაკებიო, და იმდენი საგირავნო ფურცელი, რომ ხელს ვერ შემოაწვდენ.

— შენ საიდან იცი?

— ჩვენთან ინახავს სეიფს. ერთ-ერთ უმდიდრეს მენაბრედ ითვლება. ერთი გასაღები მე მაქვს, მეორე — მას. რალა დაგიფიცო, და ზოგჯერ ჩავიჭყიტები ხოლმე. ცნობისმოყვარე კაცი ვარ.

— ისე, ხომ პატიოსანი გზით?... ერთი სიტყვით, ამდენს რომ წერენ, ნარკოტიკებით ვაჭრობაო, ყალბაბანდობაო... ამისთანა რამეებში ხომ არ არის გარეული?

— რა მოგახსენო. ჩვენ ხომ არ გვეტყვის მაგას! ხან გააქვს ფული, ხან ისევ შემოაქვს. არ ვიცი, კიდევ რომელ ბანკში აქვს. ხომ ნახე, თანხა არ დამისახელებია.

— ეგ არც მიკითხავს.

— ლუდს ვერ დასალევენ?

— ლუდს აქ დასალევენ არა ვხსნი. მაგრამ შენ დაგისხამ ქალაქის ჰიკაში.

— არ მინდა კანონი დაგარღვევინო.

— მოგვლია! — ითენმა თუნუქის კოლოფი გახვრიტა, რომელშიაც ლუდი ესხა, — თუ ვინმე შემოვიდეს, დამალე.

— მადლობელი ვარ, შენზე ხშირად ვფიქრობ, ითენ.

— რატომ?

— იქნებ იმიტომ, რომ არამკითხე ვარ. მარცხი სულიერ მდგომარეობაზე მოქმედებს ხოლმე. იმ ორმოებსა ჰგავს, ჰიანჭველეების ლომი რომ თხრის სილაში. სულ ქვემოთ და ქვემოთ მიცურავ. ერთი მაგრად უნდა გაიწიო და ამოხტე. უსათუოდ უნდა ამოხტე, იო. როცა ამოხვალ, მიხვდები, რომ წარმატებაც მოქმედებს სულიერ მდგომარეობაზე.

— ეგეც ორმოა?

— ორმოა, მაგრამ უკეთესი.

— ვთქვათ, ერთი ამოხტა იმ ორმოდან, მეორე კი ჩავარდა?

— ერთი ღმერთი ხედავს, როგორ ცვივიან ხოლმე ბელურები, მაგრამ ვითომც არაფერიო.

— ნეტა გამაგებინა, რას შირჩევ

— მე თვითონ არ ვიცი. ჩემს თავს ვუშველიდი, რომ ვიცოდე. ბანკის მოლარე თავის დღეში ვერ გახდება პრეზიდენტი. ცოტა ფული თუ უწყავის კაცს, შეიძლება გახდეს. მე თუ მკითხავ, როგორც კი რამე გამოჩნდება, მაშინვე უნდა წაავლო ხელი. მეტად იქნებ აღარც გამოჩნდეს.

— ნამდვილი ფილოსოფოსი ხარ, ჯოი, ფინანსისტი ფილოსოფოსი.

— ნავთს ნულარ გადასხამ! რაც არ გაქვს, სულ ის გელანდება, კაცი მარტო რომ დარჩება, მაშინ მიეცემა ხოლმე ფიქრს. ხალხის უმრავლესობა, მთელი ოთხმოცდაათი პროცენტი, წარსულით სულდგმულობს, შეიდი პროცენტი — აწმყოთი, და მხოლოდ იმ სამ პროცენტსა დარჩა მომავალი. სეტჩელ პეიჯმა თქვა ყველაზე ბრძნულად: „უკან“

ნუ მოიხედავ! ვინ იცის, ვინმე მოგდევნოს!..“ ეპ, წავედი. მისტერ ბეიკერი ხვალ ნიუიორკში აპირებს რამდენიმე დღით. ქვეყნის საქმე აქვს.

— რა საქმე?

— მე საიდან მეცოდინება! მაგრამ ფოსტას ვარჩევ ხოლმე. სულ ოლბანიდან მოსდის წერილები.

— პოლიტიკის?

— მე ისე ვარჩევ, კი არ ვკითხულობ. სულ ასე დამშვიდებით ხარ?

— სამიდან ოთხამდე კი. ათ წუთში მოაწყდება ხალხი.

— უყურე შენ! ხომ ხედავ, დაკვირვებისხარ. სანაძლეოს ჩამოვალ, რომ მანამ ვაკოტრდებოდი, ეგ არ იცოდი. ნახვამდის. ხელი უნდა გაანძრო, ისე ვერაფერს ვახზებდი.

ხუთიდან ექვსამდე ვაპრობა ისევ გახურდა. მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა ცაში. ქუჩებში კვლავ მზის სინათლე იღვრებოდა, როცა ითენმა ხილის ზონჩები ღუქანში შეალავა, ქუჩის კარები დაეკრა და მწვანე ფარდები ჩამოუშვა. მერე სიას ჩახედა და შინ წასაღები სანოვაგე დიდ ჩანთაში ჩააწყო. წინსაფარი მოიხსნა, პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, დახლს შემოაჯდა და თაროებზე თავის სამწყსოს ახედა.

— ქადაგება არ გვექნება, — თქვა მან, — ოღონდ სეტჩელ პეიჯის სიტყვებს ნუ დაივიწყებთ. ეტყობა, მეც უნდა შევიგნო ეს სიბრძნე — უკან აღარ უნდა მივიხედო.

საფულიდან ცალხაზიანი რვეულის ფურცლები ამოიღო და გასანთლული ქაღალდის კონვერტში ჩასდო, მერე მაცივრის თეთრი კარი გააღო, სრიალა კონვერტი კომპრესორის უკან ჩაავდო და კარი კვლავ მიხურა.

სალაროს ქვემოთ, თაროდან მტვრიანი და გაცვეთილი მანპეტენის ტელეფონის წიგნი გამოიღო; ასო „შ“ — შეერთებული შტატები. იუსტიციის დეპარტამენტი... თითი ქვემოთ ჩააცურა, დაწესებულებათა დასახელების გრძელ სვეტს ჩაჰყვია... იმიგრაციისა და ნატურალი-

ზაციის სამსახური 20—BA 7—0300, ლამის სამ. შაბ. კვ. უქ. 00L6—5888  
მერე ხმამაღლა წარმოთქვა.

— 0L6—5888... 0L6—5888, უნდა დარეკო, როცა დღე გავა, — და კონსერვებს მიმართა, ოღონდ იქითკენ არ გაუხედავს, — წესიერად და პირდაპირ თუ გაკეთდა ყველაფერი, არავის არაფერი დაუშავდება.

ითენი განის კარიდან გამოვიდა და მაღაზია დაეკეტა. ხელში სანოვაგის ჩანთა ეჭირა. ქუჩა გადასჭრა და „მთავარი ანძის“ სასტუმროსა და რესტორანს გაუპირდაპირა. რესტორანიდან კოკტეილის მოყვარულთა ღრიანცელი გამოდიოდა, პატარა ვესტიბიულში კი, საცა ტელეფონის ჯიხური იდგა, არავინ არ ჩანდა, პორტიეც კი სადღაც გასულიყო. მინის კარი მიხურა, ჩანთა ძირს დასდო, ხურდა ფული ამოყარა, ათცენტისანი მოძებნა, მონეტის კრილში ჩაუშვა და აკრიფა.

— კომუტატორი გისმენთ.

— ოჰ, კომუტატორი ხართ... ნიუ-იორკი მინდოდა.

— დარეკეთ.

და მან დარეკა.

სანოვაგით დატვირთული ითენი შინ დაბრუნდა. რა კარგია, ასე გვიან რომ ღამდება! გაზონები ისე წამოზრდილიყო და გაშლილიყო, რომ უნებურად ფეხი ედებოდა. მერი გემრიელად ჩაკოცნა.

— ფისუნია, — უთხრა მან, — გაზონები სულ გადარეულა. რა იქნება ალენი რომ ვავგზავნოთ და გადაკრიჭოს.

— გამოცდები რომ აქვს! ხომ იცი რა ღროა, დღეს-ხვალ არდადეგები დაეწყებათ.

— იმ ოთახში რა ჰყვიტინია?

— ხმას იყენებს, გამოსაშვებ სადამოხე უნდა გამოვიდეს.

— მაშ, მე თვითონ უნდა წავიდე და გაგკრიჭო.

— რას იზამ, გენაცვალე. ხომ იცი, რა დღეში არიან.

— ჰო, ნელ-ნელა ვხვდები, რა დღე-შიაი არიან.

— ცუდ გუნებაზე ხარ? ბევრი იმუ-შავე?

— რა ვიცი. არა, არც ისე. მაგრამ დილას აქეთ მუხლი არ მომიხრია. არც გაზონებში მანქანის ჩხაკუნი მხიბლავს მაინცდამაინც.

— მოტო-საკრეუკი უნდა ვიწვოვოთ, ჯონსონებს რომ აქეთ — დაჯდები და კრეჭავ.

— არც მებაღე გვაწყენდა... კიდეც ერთი დამხმარე ბიჭი რომ მიფუჩინოთ, მთლად კარგი იქნება. პაპაჩემისა არ იყოს. დაჯდები და კრეჭავ! დასაჯდომად რომ იყოს საქმე, ალენიც გაკრეჭავდა.

— რას ჩააცვიდი, თოთხმეტი წლის ბიჭია. მაგ ხნის ბავშვები...

— ნეტა ვინ მოიგონა ის სისულელე, ბავშვები ჩვენი სიხარულიაო!

— ნამდვილად ცუდ გუნებაზე ხარ.

— ვითომ? ჰო, მართალი ხარ. ამ ჭყვიტინმა კი ლამის გამაგიყოს.

— ვარჯიშობს ბავშვი.

— ერთხელ აკი მითხარი.

— შენს უგუნებობას სხვაზე ნუ გად-მონათხევე.

— ვეცდები. თუმცა ახი იქნებოდა. ითენი სასტუმრო ოთახში გავიდა, ალენს ენაზე სასტვენნი დაეჭირა და რა-ღაც გაურკვეველ სიტყვებს ჭყვიტი-ნებდა.

— რა მოგივიდა?

— ალენმა სასტვენნი ხელის გულზე გა-დმოაფურთხა

— შენ რომ პიკისი მომიტანე, იმას ვვარჯიშობ.

— პიკისი უკვე შეჭამე?

— არა. არ მიყვარს. უნდა ვივარჯი-შო, მამა.

— ერთი წუთი მოიცადე, — ითენი სკამზე ჩამოჯდა, — მომავალზე რას ფიქრობ?

— ჰა?

— მომავალზე! სკოლაში ასეთ რა-

მეებს არ გეუბნებიან? მრავალნი შენს ხელთაა.

— ოთახში ელენი შეიძურწა და ტახტ-ზე კატასავით მოიყუნტა. მერე გესლია-ნი სიცილით თქვა:

— ტელევიზიაში აპირებს.

— ერთი ბიჭია, ცამეტი წლის არც კი იქნება, ტელევიტორინაში ასოცდა-ათათასი დოლარი მოიგო.

— მერე გამოირკვა, რომ ყველაფე-რი ყალთაბანდურად იყო მოწყობილი, — შენიშნა ელენმა.

— ასოცდაათათასი კი შერჩა და!... ითენმა წყნარად მიმართა:

— ეგ რომ უსინდისობაა, სულაც არ გაწუხებს?

— ამდენი ფული თუკი მოიგო!

— ესე იგი, არ მიგაჩნია უსინდისო-ბად?

— ყველა ასე არ აკეთებს!

— იმისთანა ხალხის ამბავი თუ გა-გიგონია, ვერცხლის ლანგარზე რომ სთავაზობენ თავს ყველას, მაგრამ კაცი-შვილს არ ეპიტნავენა? საბოლოოდ აღ-არც სინდისი აქეთ, არც ფული.

— ეგ რისკის საქმეა... დევზელს რომ ჭრიან, ვისკენაც მეტი იფშენება, მოგებულებს ის არის.

— მაშ დავფშენაზეა საქმე? — თოხრა ითენმა, — შენც დავფშენილივით ხარ, გასწორდი! დავაგვიწყდა, რომ არსებობს სიტყვა „სერ“?

— ბიჭი ერთბაშად შეცბა, გახედა, ხომ არ ხუმრობსო, და, განაწყენებული, გა-სწორდა.

— არა, სერ, — თქვა მან.

— სკოლაში როგორა გაქვს საქმე?

— მე მგონი, კარგად.

— შენ თხზულების დაწერას აპი-რებდი, ამერიკა როგორ მიყვარსო. მაგ-რამ რაკი ახლა დანგრევა გადაგიწყვე-ტია ამერიკისა, წერაზე ალბათ ხელს აიღებდი.

— დანგრევა რას ნიშნავს... სერ?

— აბა, შეიძლება, უპატოსნო კაცს პატოსნად უყვარდეს თავისი ქვეყანა?

— კარგი, მამა, ყველა ასე არ არის!



— კარგია, მერე?

— მშვენიერად გრძნობენ თავს. მე დავამთავრე ჩემი თხზულება.

— მაჩვენე, წავიკითხავ.

— უკვე გავაგზავნე.

— ასლი გექნება.

— არა მაქვს.

— რომ დაიკარგოს?

— ეგ აღარ მიფიქრია, მამა, ბავშვები სულ ბანაკებში მიდიან, მეც მიინდა.

— მაგის ფული ვინ მოგვცა. მეორეც, ყველა ბავშვი რას წავა — ზოგიერთი მიდის.

— ეპ, ფული მოგვცა... — ხელებზე დაიხედა და ნერწყვი გადაყლაპა.

ელენს თვალი მოეპურტა და ძმას მიშტერებოდა.

ითენიც გულმოდგინედ აკვირდებოდა შვილს.

— მაგას მოვახერხებთ.

— რას, სერ?

— ამ ზაფხულს ღუქანში წაგამუშავებ.

— წამუშავება რას ქვია?

— ესე იგი, რაზე გამუშავებ? საქონელს შემოიიტან, თაროებზე დაალაგებ, იატაკს დაგვი, და ფხას თუ გამოიჩენ, მუშტრებდაც მოემსახურებ.

— მე ბანაკში წასვლა მინდა.

— შენ ასიათასი დოლარის მოგებაც ვინდა.

— იქნებ მივიღო კიდევ ჯილდო იმ თხზულებაში. ვაშინგტონში მაინც წავალ. სკოლის შემდეგ კარგია გასეირნება.

— აღენი არსებობს ზრდილობის, პატიოსნების, ქცევის უცვლელი წესები. დროა, შეეჩვიო და ანგარიში გაუწიო. წელს მე შენ გამუშავებ.

ბიკმა მამას ახედა.

— ვერ წამუშავებ.

— რაო?

— უწლოვანების მუშაობა აკრძალულია. საგანგებო ნებართვასაც კი ვერ აიღებ, მანამ თექვსმეტისა შეგსრულდებოდე. კანონი ვინდა დამარღვევინო?

— შენ როგორ გგონია, ბავშვები

რომ მშობლებს ეხმარებიან — მონებელი და ბოროტმოქმედები არიან? მონებელი და ბოროტმოქმედები არიან? მონებელი და ბოროტმოქმედები არიან?

აშკარად და დაუფარავად იყოდა ითენმა გაბრაზება, როგორც სიყვარული. აღენმა თვალი აარიდა.

— მე ეგ არ მითქვამს, სერ.

— მადლობა ღმერთს. ვერც იტყვი. პოულების და აღენების ოცი თაობისა უნდა გრცხვენოდეს. ისინი პატიოსანი ხალხი იყო. როდესმე იქნებ შენც გახდე ღირსეული.

— დაახ, სერ. არ შეიძლება, ახლა ჩემს ოთახში ჩავიდე?

— ჩადი.

აღენი დინჯად დაეშვა კიბეზე. ვავიდა თუ არა ბიჭი ოთახიდან, ელენმა პრობლეზრით აასხმარტალა ფეხები. მაგრამ ხელადვე გაჩერდა და, ახალგაზრდა ლედივით, დარბაისლურად გაისწორა კაბა.

— შე პენრი კლეის სიტყვები წავიკითხე. რა ენა ჰქონია!

— ძალიან, ძალიან კარგი ენა ჰქონდა.

— გახსოვს?

— არც ისე. დიდ ხნის წინ წამიკითხავს.

— დიდებულა.

— მე კი მგონია, რომ მოსწავლეების საქმე არ არის.

— ნამდვილად დიდებულა.

ითენმა მთელი გრძელი დღის დაქანცულობა დასძლია და წამოდგა.

სამზარეულოში თვალბდაწითლებული და გაბრაზებული მერი დახვდა.

— ყველაფერი გავიგონე, — უთხრა მენ, — რას ჩააცივდი, დაფიქრდი მაინც. ჯერ სულ პატარაა.

— ახლავე თუ არ დავიწყე, მერე გვიანდა იქნება, ჩემო საყვარელო.

— რაღა „საყვარელო“, მტარვალვით დაერიე ბავშვებს.

— მტარვალვით! ო, ღმერთო ჩემო!

— მოერიე პატარა ბავშვს?!

— მოუხდება. მგონი, მოუხდა კიდევ.

— არ ვიცი, რა ქუთაზე ხარ. მატლივით გასრისე საწყალი ბავშვი.

— არა, გენაცვალე. მე ცხოვრება

მინდა დავანახე, თორემ ძალიან ყალბად უყურებს ყველაფერს.

— შენ რა იცი ცხოვრებისა, რომ სხვას ასწავლო?!

ოთენმა ცოლს ჩაუარა და კარებისკენ გაემართა.

— სად მიდიხარ?

— გაზონებს გაეკრეჭავ.

— აკი დაღლილი ვარო!

— ჰო... ახლა აღარა ვარ. — მერის გახედა, რომელიც სასტუმრო ოთახის კარებში იდგა. — აღამიანის გამოცნობა ძნელია, — თქვა და მაშინვე გაუცინა ცოლს.

მერის ბალიდან შემოესმა სასხლავი მანქანის ტაკუნის.

ხმაური თანდათან მოუახლოვდა კარებს და შეწყდა.

— მერი, მერი, — ამოსძახა ოთენმა, — იცი, როგორ მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო! — და ისევ მაგრად ატაკუნდა სასხლავი მანქანა.

#### თავი მეთორმეტი

მარჯი იანგ-პანტი მომხიბლავი ქალი იყო — ნაკითხი, ჭკვიანი, ისეთი ჭკვიანი, რომ მშვენიერად იცოდა, როდის და როგორ შეენიღბა თავისი ჭკუა. არც ერთმა ქორწინებამ არ გაუმართლა, ქმრებმა არ გაუმართლეს; ერთი ძაბუნი გამოადგა, მეორე — კიდევ უფრო უარესი ძაბუნი, და მოკვდა კიდევ. სასიყვარულო ისტორიებშიაც არ გაუღიწია ბედმა. ამ ისტორიებს თვითონვე აკონიწივდა, შერყეულ მდგომარეობას ტელეფონების ხშირი რეკით, წერილებით, მოკითხვის ბარათებითა და საგულდაგულოდ შემზადებული შემთხვევითი შეხვედრებით ამავრებდა. ავადმყოფებისათვის შინ დამზადებული სუბიმიჰონდა და დამზადების დღეებიც არ გამოეპარებოდა. ამით ხალხს თავს შეახსენებდა ხოლმე.

მთელს ნიუ-ბეიტაუნში მეორე ქალს ვერ ნახავდით, რომ მასავით შინებოლეს ღიბის წამოზრდისა, სახეც ყველაზე უფრო მას უბზინავდა და უპრია-

ლებდა, კბილებიც სხვებზე უფრო უელავდა და იმასაც უფრო მოეწონებოდა — ღაბაბი არ ჩამომეზარდოსო. შემოსავლის უდიდესი ნაწილი თმაზე, ფრჩხილებზე, მასაზე, კრემებსა და ნელსაცხებლებზე მისდიოდა. ქალები ხშირად იტყოდნენ ხოლმე — ბებიაჩემის ხნისაა, მაგრამ არ ეტყობათ.

როცა მისი მკერდის სიმკვრივეს ვედარც კრემებმა უშველეს, ვერც მასაჟმა და ვერც ვარჯიშმა, ადგა და რალაც საბურველი გაუკეთა — მომალლოდაც დააღენა და გამომწვევდაც. მის მორთვეთ-მოკაზმვას სულ უფრო და უფრო მეტი დრო სჭირდებოდა. თმა ისე უბრწყინავდა და უპრიალებდა, თანაც ისე კლულებად ედგა, რომ სატელევიზიო რეკლამასაც კი უშურდებოდა. საყვარელთან რომ იყო — სიცილიც შეენოდა. ცეკვაც, თამაშიც, და ისე მოხდენილად გახვევდა მამაკაცს წვრილად ნაქსოვ, მაგრამ მკვრივ ბადეში, ვინ იფიქრებდა ამას ცივი გულის კარნახით უკვე მერამდენედ სჩადისო. კი ხანი რომ გავიდოდა და ფულიც კარგა ბლომად დაიხარკებოდა, — თან მიზანშეწონილადაც თუ ჩათვლიდა, — ლოგინში ჩაუგორდებოდა ხოლმე. მერე კი თავიდან დაიწყებოდა ახალი სასიყვარულო თავგადასავლის შეკოწიწება. ადრე იქნებოდა თუ გვიან, ეს საზიარო ლოგინი ხაფანგად უნდა ქცეულიყო და კეთილდღეობა და უზრუნველი ცხოვრება მოეტანა. მაგრამ ნანატრი ნადავლი მუდამ ხსტებოდა ხაფანგის მტკიცედ შეპართულ ყბებიდან. ზოგი ცოლშვილიანი გამოდგებოდა, ზოგი ძაბუნი, ზოგი ბეტისმეტად ფრთხილი, და, რაც დრო ვადიოდა, სულ უარესი და უარესი... მარჯი კი ყველაზე კარგად გრძნობდა, რომ მისი დრო სწრაფად მიჰქროდა. კარტიც ვერაფერ სანუგეშოს ეუბნებოდა.

მარჯი ზევრ მამაკაცს იცნობდა, უმრავლესობა მათგანი თავს დამნაშავედ გრძნობდა, პატივმოყვარეობისა თუ განწირულების ჭია ღრღინდა; ასე რომ



პარაზიტების პროფესიონალ მხოცავე-  
ბის მსგავსად, მარჯისაც თანდათანობით  
განუვითარდა ზიზღი თავის მსხვერპლის  
შიშართ. რაკი ერთხელ აუღებდა ალღოს  
იმათ სიმხდალესა და პატივმოყვარეო-  
ბას, აღვილად გააცურებდა ხოლმე.  
თვითონვე ისულელებდნენ თავს და ისე  
ადვილად წამოვეგებოდნენ ანკესზე; გა-  
მარჯების სიამაყეს ვეღარც კი გრძნობ-  
და მარჯი, ზიზღნარევი სიბრაღელით  
უფრო განიშხველებოდა. ესენი მისი  
მეგობრები და თანამზრახველები იყე-  
ნენ; ისე იბრალებდა მათ, რომ არც კი  
აღრძობიანებდა, თქვენი მეგობარი ვა-  
რო. ეველაზე საუკეთესოს იმათ აძლე-  
და, რადგან ისინი სხვას არაფერს მო-  
ითხოვდნენ მისგან. მათთან ურთიერ-  
ობას საიდუმლოდ ინახავდა, რადგან  
გულის სიღრმეში თვითონაც არ იყო  
კმაყოფილი თავის თავისა. ერთი იმათ-  
განი; დენი ტყელონი იყო, მეორე —  
აღფიო მარულო, მესამე — პოლიციე-  
ლი სტონუოლ ჯეკსონ სმითი, და  
სხვებიც. ესენი მარჯის ენდობოდნენ,  
მარჯი -- მათ. და მათი საიდუმლო არ-  
სებობა ის სინდისის დამამშვიდებელი  
გარემოება იყო, რისი წყალობითაც  
ქალს მოსვენება და თავისთავთან გან-  
მარტობება შეეძლო. ეს მეგობრები გუ-  
ლახილად და უშიშრად ელაპარაკე-  
ბოდნენ, რადგან იგი მათთვის ანდერსენ-  
ის ჰას წარმოადგენდა — გულისყუ-  
რით მომსმენს. კეთილსა და მღუშარეს.  
ადამიანთა უმრავლესობას დაფარული  
მანკიერება აქვს, მარჯი იანგ-ჰანტი  
იდუმალ სათნოებას ფარავდა. ალბათ,  
სწორედ ამის წყალობით მან სხვებზე  
გაცილებით მეტი იცოდა ნიუ-ბეიტაუ-  
ნისა და თვით უესექს კოუნტის ამბები;  
მაგრამ ბოროტად როდი სარგებლობდა  
ამ ცოდნით, რადგან სულაც არ უნდო-  
და (არც ნიექლო) იქიდან რაიმე გამოო-  
ჩიოა მიეღო. სხვა შემთხვევებში კი,  
იცოცხლეთ, არ იკლებდა სარგებლობას.  
ითენ აღენ ჰოულის მფარველობის  
ამბავი შემთხვევით დაიწყო, რაკი სხვა  
არაფერი ჰქონდა საქმე. ნაწილობრივ

მართალიც იყო ითენი, როცა თქვითო-  
და, ალბათ თავისი ქალური ძალებით  
მოკდა სურს ჩემზეო. მარჯისთან სულ  
გეშოდა და გასამხნეებლად მოსულ  
დანიელთანებულ მამაკაცთა უმრავლ-  
სობას უძლურება სტანჯავდა, სექსუა-  
ლური ტრავმისაგან ვეღარ გათავისუფ-  
ლებულიყვნენ და ამას მთელი მათი  
ცხოვრება მოეწამლა. ამათთან ურთი-  
ერთობა უფრო ადვილი იყო — ცოტა-  
ოლეჩი წალაქუცება, გამხნეება და ეს  
ხალხი უკვე მზად იყო მათრახმომარჯ-  
ვებელი ცოლების წინააღმდეგ საბრ-  
ძოლველად. ჯეო მერი ჰოული მოსწონ-  
და გულწრფელად და უანგაროდ, მე-  
რის საშუალებით კი, თანდათანობით,  
ითენსაც გაეცნო, რომელსაც სულ სხვა  
ტრავმა სტანჯავდა, სოციალ-ეკონომიუ-  
რი ბორკილი, რამაც ძალაც წაართვა და  
რწმენაც დაუკარგა. რაკი საქმეც არა-  
ფერი ჰქონდა, არაფერ უუვარდა, შვილე-  
ბი არ აწუებდა, ქალი დაინტერესდა,  
ამ გულგატეხილ კაცს რამე შეეძას თუ  
მოვეგრი, ცხოვრების აზრს თუ გავუ-  
ჩენო. ეს თამაში იყო, ერთგვარი თავ-  
სატეხი, გამოცდა, ამოცანა, რისი გა-  
დაწყვეტაც მან არა სათნოების გამო  
დაისახა ნიზნად, არამედ ცნობისმოყ-  
ვარეობისა და უსაქმურობის გამო. მის  
ნაცნობ მამაკაცთაგან, ითენი ყველაზე  
მალდა იდგა. ამ კაცს თუ რამე მიზანს  
დაუსახავდა ცხოვრებაში, ეს მისი სა-  
კუთარი ძალის დადასტურებაც იქნე-  
ბოდა, რაც მარჯისათვის მეტად მნიშე-  
ნელოვან საკითხს წარმოადგენდა.

მარჯი ალბათ ერთადერთი იყო, რო-  
მელიც თვალნათლივ ხედავდა ითენის  
არსებანი მომხდარი ცვლილებების  
მთელ სიღრმეს, და ამის შეგნებამ ქა-  
ლი დააფრთხო, რადგან იფიქრა — ეს  
სულ ჩემი საქმეაო. თავს ქეჩოზე ლო-  
ვის დაფარი წამოეზარდა. ქალი ხედავ-  
და, როგორ უმაგრდებოდა ითენს კუნ-  
აები ტანსაცმელს ქვეშ, გრძნობდა რო-  
გორ თანდათანობით ჩაუდგა თვალეში  
შეუბრალებლობა. ალბათ, ასეთივე  
გრძნობა ჰქონდა კეთილ აინშტაინსაც,

როცა მისი ნალოლიავეები აზრი, მატერიალის არსის შესახებ, ცეცხლის ალად მოედო პიროსიმას.

მერი ჰოული ძალიანაც უყვარდა მარჯის, მაგრამ მის მიმართ არც სიმპათიას გრძობდა და არც შებრალებას. უბედურებას ადვილად ინელემს ხოლმე ქალი, მით უმეტეს, როცა ეს უბედურება სხვა ქალს დაატყდება თავს.

ზედ ძველ ნავსადგურთან, ერთ პატარა, კოპწია სახლში, რომელიც გავერანებულ ბაღში იდგა, მარჯი ტულეტის სარკეს მისჯდომოდა და გულმოდგინედ სინჯავდა თავის იარაღებს; კრემის, პუდრის, ქუთუთოების საღებავებისა და შავად გათხიანილი წამწამების ქვეშ მისი თვალები ხედავდა შენიღბულ ნაოკებს, გახეხებულ კანს. წლები ისე მოსჭარებოდნენ, როგორც ტალღები მოადგება ხოლმე ხმელეთს ზღვის მოქცევის დროს და წყნარ ამინდშიაც კი გამეტებით ეხეთქება კლდოვან ნაპირს. სიმწიფეს, შუა ხნის ასაკს, თავდასაცავი იარაღების თავისებური არსენალი აქვს, მაგრამ ეს განსაკუთრებულ წრთვნასა და ტექნიკას მოითხოვს, მარჯის კი ჯერ არა ჰქონია ათვისებული ასეთი ტექნიკა. ჩქარა უნდა შეითვისოს ეს, მანამ ახალგაზრდობისა და მგზნებარების დეკორაციები დაინგრეოდეს

და გაშიშვლებულს, საცუდუდუდუ სასაცილოს დასტოვებდეს მისი წარმატება იმაზე იყო დაფუძნებული, რომ ერთის წუთითაც, სავსებით მარტო მყოფსაც კი თავი დაძაბულად ეჭირა, არ მოეშვებოდა. ახლა, შესამოწმებლად, ტუჩები ცოტა ხნით თავის ნებაზე მიუშვა და არც ქუთუთოები დაუჭიმავს, მუდამ შეღერებული ყელიც მოადუნა... და ხელადვე შენიშნა თოკის წანაჭერივით ნაკვალევი. სარკეში ერთბაშად დააწვა ოცი წელი, და იმის შეგრძნებაზე, თუ რა მოელოდა, ცივმა ქრუნტელმა დაუარა. დიდხანს კი დააყოვნა ამ წუთის მოსვლა. ქალს თავისი ვიტრინა სჭირდება, რომელშიაც ის თანდათანობით უნდა ბერდებოდეს, თავი!-ებური განათება და ბუტაფორია, შავი ხაეერდი, დამშვიდებულად გაჭადრაგება და დასრულება, ხითხითი და თვალთმაქცობა, ბავშვები, სიყვარული, მზრუნველობა, გართობა, დარბაისელი და შემწყნარებელი ქმარი, ან არა და კიდევ უფრო დარბაისლური ნაანდერძევი ჭული ბანკში. მარტოხელად დაბერებული ქალი უსარგებლო ჩვირია და მეტი არაფერი.

თარგმანი ინგლისურიდან  
ვახტანგ ვალიძისა.

(გაგრძელება იქნება)

მიხეილ ჭანიშვილი

## ღირი სახალხო პოეტი

(დემიან ბედნის დაბადების 80 წლისთავის გამო)

იშვიათია პოეტი, რომელიც თავისი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებით, მთელი შემოქმედებითი პრაქტიკით ხალხთან, ძველი სამყაროს დამხობისა და ახალ საწყისებზე ცხოვრების გარდაქმნისათვის მებრძოლ მასებთან ისე მჭიდროდ და ორგანულად იყო დაკავშირებული, როგორც დემიან ბედნი.

თუ გამოვრიცხავთ დემიან ბედნის იდეურად მცდარ ორიოდ ნაწარმოებს და მის პირველ ლიტერატურულ ნაბიჯებს, რომლებიც ხალხოსნური სულისკვეთებით და მისწრაფებებით არის აღბეჭდილი, მის შემოქმედებითს ცხოვრებაში ვერ აღმოაჩენთ ვერც ერთ მომენტს, რომელიც მოწმობდეს პოეტის იდეურ-პოლიტიკურ გათიშულობას კომუნისტურ პარტიასთან და მის რევოლუციურ მოღვაწეობასთან.

დაწყებული 1911 წლიდან, რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების და რევოლუციური მოძრაობის ყოველ ეტაპზე, დემიან ბედნი თავისი პოეტური სიტყვით ასახავს მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის გრანდიოზული ბრძოლების პერსპექტივებს, ერთგულად და თავდადებით ემსახურება მუშებისა და მშრომელი მასების კლასობრივ გათვითცნობიერებას, მათ იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას კომუნისტური სულისკვეთე-

ბით, მათ დარაზმვას ლენინის ძლევაშეილი პარტიის გარშემო.

ამიტომ არ წარმოადგენს ძნელ ამოცანას დემიან ბედნის შემოქმედების მიხედვით — მისი ეპიკური და ლირიკული ნაწარმოებების მიხედვით ცოცხლად აღვადგინოთ მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილების დანგრევისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და შენარჩუნებისათვის, სოციალისტურ საფუძვლებზე ცხოვრების გარდაქმნისათვის წარმოებული ბრძოლების ვრცელი პანორამა, ფაშისტური დამონების საფრთხისაგან საბჭოთა ქვეყნის და მთელი კაცობრიობის გადარჩენისათვის გარდახდილი ომის ეპოპეა.

ამრიგად, დემიანის შემოქმედება, რომელიც თავის დროზე მასების იდეურ-პოლიტიკური და მორალურ-ესთეტიკური აღზრდის დაუშრეტელ წყაროსა და აქტიური რევოლუციური მოქმედებისათვის მილიონების შთამაგონებელ ძალას წარმოადგენდა, დღესაც რჩება პოეზიის ხალხურობის, ბოლშევიკური იდეურობის ერთ-ერთ სწორუბოვარ ნიმუშად, რომელზედაც იზრდებოდა და მომავალშიაც აღიზრდება პოეტური სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატთა მთელი თაობები.

ეს შთამაგონებელი და დამრავლებელი ძალა დემიან ბედნის შემოქმედებას



შესძინა ხალხთან, მუშათა კლასთან სიახლოვემ, მის წინამძღოლთან — კომუნისტურ პარტიასთან განუწყვეტელმა ერთიანობამ, მუდმივმა აქტიურმა მონაწილეობამ მუშათა კლასის დიად ისტორიულ საქმეში ერთი მხრივ და მეორეს მხრივ — ხალხურ საწყისებზე და რუსული კლასიკური მწერლობის, უწინარეს ყოვლისა, ნეკრასოვის ლიტერატურულ ტრადიციებზე აღმოცენებულმა მხატვრულმა აზროვნებამ.

იმ პერიოდს, ვიდრე დემიან ბედნი თავისებურ მხატვრულ მანერასა და პოეტურ სტილს გამოიმუშავებდა, წინ უსწრებდა პოეტური მოწაფეობისა და გაცნობიერებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციების ძიების წლები (1908—1911).

სამწერლო სარბიელზე დ. ბედნი ვამოვიდა, როგორც გვიანდელი ხალხოსნური პოეზიის მიმდევარი. მის პირველ ლექსებში ელერდა მგზნებარე, თუმცა პოლიტიკურად არც ისე გამორკვეული პროტესტი რეაქციისა და მონარქიის წინააღმდეგ, რწმენა სახალხო რევოლუციის შორეულ გამარჯვებაში, მაგრამ არ ჩანდა დღევანდელი დღის პერსპექტივა, არც ჩანდა გზა, რომელიც რევოლუციას გამარჯვებამდე მიიყვანდა.

დემიან ბედნი, როგორც დიდი შემოქმედი, როგორც აღმაშავი კლასის სულისკვეთების გამომატველი, მისი იდეების და იდეალების მომღერალი, იწყება 1911 წლიდან, იმ დღიდან, როცა ბოლშევიკურ გაზეთ „ხევზდაში“ გამოქვეყნდა მისი ლექსი „სონეტი“.

ბოლშევიკურ პრესაში სისტემატურმა თანამშრომლობამ საგრძნობლად დააჩქარა დ. ბედნის იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული თვითგამორკვევის პროცესი, ჯერ გაზეთმა „ხევზდაში“, ხოლო შემდეგ „პრაედამ“ შეაჩვია პოეტი ყოველდღიურ სისტემატურ მუშაობას საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ თემებზე, სტიმული მისცა პოეტს გამოემუშავებია საკუთარი მხატვრული ენა, შეებნა და ეპოვნა პოეტური გამომსახ-

ველობის ახალი ფორმები და საშუალებები. ამ ძიების ნაყოფს არ დაუტკბიანებია: 1911 წელს დაწერილი ლექსი „ხმალი და ნაჯახი“ ღირსშესანიშნავი ნაწარმოები იყო თავისი იდეური შინაარსითაც (იგი მოუწოდებდა ხალხს ხელში აეღო ნაჯახი თავიდანაურთულ-ბურჟუაზიული წესწყობილების დასამხოვად) და თავის ფორმითაც (ეს იყო დემიან ბედნის პირველი იგავ-არაკი). ამ ნაწარმოების დაწერის შემდეგ, გამოქვეყნებული დემიან ბედნის მხატვრული ქმნილებები წარმოადგენდნენ სოციალური სატირის ამავე ხაზის გაგრძელებას, იგავ-არაკის განახლებული ენარის გაღრმავებასა და გაძლიერებას.

სწორედ ბოლშევიკურ გაზეთებში დაბეჭდილი ლექსებით წარსდგა დემიან ბედნის მკითხველი მასების წინაშე, როგორც პროლეტარული იდეოლოგიის პოეტი და სატირიკოსი, რომელიც დღიდან დღე, ლექსიდან ლექსამდე თავის შემოქმედებას სწმენდდა ლიბერალურ ხალხოსნური პოეზიის ნაშთებისაგან. ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზევე დემიანმა გამოავლინა თავისი შეურიგებელი მტრული დამოკიდებულება ყოველი სახის ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურისადმი და შეურყვევლი ერთგულება რუსული პოეზიის მოქალაქეობრივი ტრადიციებისადმი.

დემიან ბედნიმ, 1912 წლიდან უკვე ბოლშევიკური პარტიის წევრმა, ყოველდღიური გაზეთის „პრაედამ“ პირველსავე ნომერში (1912 წ. 22 აპრილს) გამოაქვეყნა ლექსი, რომელიც გამოხატავდა რევოლუციური აღმავლობის დაწყებით მუშებს შორის აღძრულ მხნე განწყობილებას:

ტანჯით ავსებულ ჩვენს ფიალაში  
შეზავებულა სისხლი და ოფლი,  
მაგრამ ძალა არ მოგვდუნებია,  
იგი იზრდება, იგი იზრდება.

„პრაედის“ ფურცლებზე, ვიდრე მას აკრძალავდნენ, ე. ი. 1914 წლის ივლი-



სამდე დეჩანმა მოათავსა 300-ზე მეტი ლექსი, სადაც პოეტი ნიღაბს ხდის ბურჟუაზიული წყობილების მანკიერებას, თვითმპყრობელური მთავრობის და მისი მესვეურების ანტიხალხურ, მტრულ მოქმედებას; ბოლშევიკური პოზიციიდან აშუქებდა და შეფასებას აძლევდა მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ბურჟუაზიულ მოღვაწეებს — მონარქისტებს, კადეტ-ორატორებს, მენშევიკურ საქმოსნებს და ა. შ. გაზეთმა „პრავდამ“ გზა გაუხსნა დემიან ბედნის ფართო მკითხველი მასებისაკენ, გაუღვივა მახვილი პოლიტიკური ალღო, სწორი იდეური გზით წარმართა მისი შემოქმედებითი განვითარება.

ლენინური გაზეთის ეს ღვაწლი პოეტის იდეურ-მხატვრული სრულყოფის საქმეში დემიანმა შემდეგი სიტყვებით გამოხატა „პრავდისადმი“ მიძღვნილ ლექსში:

პაბუჯურ ძალთა ფეოქვა, დუღილო,  
ჩემთა იმედთა გამოხატულო,  
შეუპოვარი ბრძოლით შობილნი  
ჩემი პირველი წარმატებანი,

სულველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებას  
დღემდე ამშვენებს და აღამაზებს,  
სწორედ შენთან და შენ საქმეებთან  
არის გადაწულ-გადახალართული.

1913 წელს გამოვიდა „ზევზდასა“ და „პრავდამი“ დაბეჭდილი დემიანისეული იგავების კრებული, რომელმაც თავისი მაღალი იდეურობით, პოლიტიკური სიმახვილითა და მხატვრული თავისებურებით ვ. ი. ლენინის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ვ. ი. ლენინი და მისი უახლოესი თანამებრძოლნი იყვნენ დემიანის იდეური მასწავლებლები, რომლებიც, თვით პოეტის აღიარებით, წარმართავდნენ მის პოეტურ შემოქმედებას.

ჩემი იგავის ისრის ვასროლას  
ხელმძღვანელობდა ხშირად ლენინი, —

წერდა დემიან ბედნი ამ ~~ქარხის~~ ~~ღმინული~~ ~~ცაველ~~ ~~დაწერილ~~ ერთ ლექსში ~~ჩემს~~ ~~საქმეებში~~ აკი შემთხვევით როდი იქცა წამყვან მხატვრულ ქანრად დემიან ბედნის შემოქმედებაში. პოეზიის ეს სახეობა, იდეურად მეტად ტევადი და ამასთან უაღრესად ხალხურ-დემოკრატიული, პოეტს საშუალებას აძლევდა და ხელსაყრელ შესაძლებლობას უქმნიდა შეპარვით გამოეთქვა რევოლუციური იდეები, რაც შეიძლება, უკეთ და მოხერხებულად გადაეწყვიტა ის პოლიტიკური და მხატვრული ამოცანები, რომლებსაც პროლეტარული პოეტის წინაშე აყენებდა რევოლუციის წინანდროინდელი ცხოვრება. თავისი დროის პოლიტიკური მოთხოვნილებების შესაბამისად დემიან ბედნი მოახდინა ამ უძველესი ქანრის რეფორმა, უფრო ზუსტად. — დემიან ბედნი რევოლუციური სატირის ტრადიციების გაძლიერებისა და გაღრმავების საფუძვლებზე შექმნა ახალი ტიპის იგავ-არაკი. იგავ-არაკისათვის დამახასიათებელ ალგორითულ სახეებს პოეტმა მისცა გარკვეული პოლიტიკური დახასიათება, ხოლო იგავ-არაკის დიდაქტიკური დაბოლოება შესცვალა აქტუალური პოლიტიკური ღოზუნგით. არაკის პირობითი სიუჟეტი ყოველდღიური საჭირბოროტო აზრებით განმსჭვალა, გამოიყენა რა გადაკრული სიტყვების მთელი სისტემა. იგავ-არაკის ქანრის ასეთი განახლება დემიან ბედნის უქარხანა იმ პოლიტიკური იდეების შენიღბვის საჭიროებამ, რომლებიც საცენზურო პირობების გამო არ შეიძლებოდა შეუფარავად, აშკარად გამოთქმულიყო.

დემიან ბედნის იგავ-არაკებს ერთგვარ სიახლეს ანიჭებენ და მასში გარკვეულ როლს ასრულებენ მიმდინარე საგაზეთო ქრონიკებიდან ამოღებული ეპიგრაფები. რომელთა დანიშნულება იყო მოეხდინა უმთავრესად იგავის შინაარსის პოლიტიკური კონკრეტიზაცია, ან პირიქით, თავიდან აეცდინა ცენზურის თავდასხმები.

იგავ-არაკებზე მუშაობის პროცესში დაიწმინდა და დაიხვეწა დემიანის პოეტური ენა, რომელიც ვახდა უფრო ბასრი, სხარტი და ლაკონური. მოკლე ექსპოზიცია, სიუჟეტის სწრაფი, დინამიკური ვანეითარება, მძაფრი დიალოგი და პერსონაჟთა მახვილი დახასიათება, — ყველა ამ თვისების გამო დემიანის იგავ-არაკი შეიქმნა ძალზე გამომსახველი და შთამბეჭდავი.

სამი წლის განუწყვეტელი მუშაობა ბოლშევიკური პრესის რედაქციებში საკმაო აღმოჩნდა იმისათვის, რომ დემიან ბედნი იდებურად და პოლიტიკურად მომზადებული შეხვედროდა პირველ მსოფლიო ომს და სწორი პოზიცია დაეკავებინა მის მიმართ. დემიანის პოეზიის მთავარ ამოცანად ამ პერიოდში იქცა ომის დამპყრობლურ-მტაცებლური, იმპერიალისტური ხასიათის გამოძღვანება, მხილება კაპიტალის მაგნატებისა, რომლებიც საყოველთაოდ სახალხო უბედურებას თავიანთი გამდიდრების წყაროდ იყენებდნენ. სხვათაშორის, პირველი მსოფლიო ომის წლებში დაწერილი ერთ-ერთი იგავი დემიანისა ამხილებს მეფის მთავრობის დიდმპყრობლურ პოლიტიკას, მის ვერაგულ-მუხანათურ დამოკიდებულებას სამშობლოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი პოლონელების მიმართ, ხოლო სატირულ ლექსში „ბატალისტები“ მწვავედ არიან გამათრახებული ის ბურჟუაზიული მწერლები, რომლებიც მხარს უჭერენ და გატაცებით უმღერდნენ მტაცებლურ ომს.

ამავე პერიოდში დემიანმა თარგმნა და ცალკე კრებულად გამოსცა ეზოპეს იგავები, რომელსაც ჩვენი დროის პოლიტიკური ელერადობა და მწვავე აქტუალობა მიანიჭა. მაგალითად, დემიან ბედნიმ ეზოპეს იგავი „ღმერთების ქორწინება“ რამდენადმე შესცვალა იმ მიზნით, რომ გაეტარებია ეს იღვა: იმპერიალისტური ომის მრისხანე ღმერთი და მტაცებლობისა და აღვირახსნილო-

ბის ქალღმერთი ურათქრინოსს: მმდენად განუყრელად არის შექტლტეტლნი, რომ შეუძლებელია მათი განშორებაო.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის პირველ დღეებშივე განახლდა ბოლშევიკური ლეგალური პერიოდის — ეურნალ-გაზეთების გამოცემა. დემიან ბედნი „პრაედას“ პირველ ნომერშივე გამოქვეყნებული ექსპრომტით მიესალმა მონარქიის დამხობას და მეფის მინისტრების დაპატიმრების ფაქტს. მომდევნო ნომრებში დაიბეჭდა მისივე ფელეტონები „მარყუეები“, „კოალიციური“ და სხვ. რომლებსაც მზის სინათლეზე გამოქქონდათ დროებითი მთავრობის მატყუარობა, ვერაგობა, მის მიერ ხალხის ინტერესების აბუხად აგდება. მაშინდელი რუსეთის მმართველმა წრეებმა ამ ფელეტონების ავტორში უშალვე გამოიციენს მემამულეების და კაპიტალისტების მოსისხლე მტერი და დემიანს სასტიკი დევნა დაუწყეს, მაგრამ პოეტი არავითარი სუფრთხის წინაშე უკან არ იხევს და მზარდი რევოლუციური აღმავლობის ვითარებაში განაგრძობს ყოველდღიური ძალზე ოპერატიულ საგაზეთო მუშაობას. კადეტების, მენშევიკ-შემთანხმებლების, ბურჟუაზიული მილტარისტების, კონტრრევოლუციური შეთქმულების და მისი მესვეურების მხილება, რევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე ბოლშევიკურ პარტიის მიერ გადმოსროლილი ლოზუნგების მდგარი და შეუპოვარი პროპაგანდა, — ასეთია დემიან ბედნის ფელეტონების, ლექსების, პუბლიცისტური გამოსვლების შინაარსი იმ ეტაპზე.

ამჟამად რევოლუციური ბრძოლის ვითარებამ შესცვალა დ. ბედნის მხატვრული ხერხების ხასიათი, პოეტური გამომსახველობის ფორმები. დემიანის შემოქმედებაში იგავ-არაკის, ზღაპრის, საერთოდ, პოეტური ქარაგმის და მინიშნების ადგილი დაიჭირა პირდაპირმა მამხილებელმა სიტყვამ — ფელეტონმა, პამფლეტმა, ეპიგრამამ. სწორედ თებ-



რელის რევოლუციის თვეებში დემიან-მა გამოიმუშავა ახალი სახის ფელეტონი, უფრო სწორად ფორმა სატირული ლექსებისა, რომლებსაც თან ახლდა წინ წამძღვარებული ან შიგ ჩართული დოკუმენტი. ამ ოპერატიულ ეანრს პოეტი ხშირად მიმართავდა თავის შემდგომ სატირიკულ-პუბლიცისტურ მუშაობაში.

იმავე ხანებს ეკუთვნის პოეტის ვრცელი ეპიკური ნაწარმოები, — ლექსად დაწერილი მოთხრობა „მიწისა, თავისუფლებისა და მუშის ხედვის შესახებ“. დემიანის ამ პირველი ეპიკური ნაწარმოების მთავარი გმირია სოფლელი ჭაბუკი, რომელიც, მშობლიურ ქოხიდან ჯარში გაწვეული და იმპერიალისტური ომის ცეცხლში გამოტარებული, დგება დიდი სოციალისტური რევოლუციისათვის მებრძოლ ჯარისკაცთა რიგებში. მოთხრობას მაგისტრალურ ხაზად გასდევს მთავარი პერსონაჟის ვანიას და მისი საცოლოს მამას სიყვარულის ამბავი, რომელიც გადახლართულია ისე დიდი სახალხო ისტორიულ მოვლენების მხატვრულ ჩვენებასთან, როგორც იყო ომი, ჯარის ნაწილების აჯანყება, მეფის მთავრობის დამხობა, რევოლუცია და ა. შ. ამისდა შესაბამისად პოემაში ჩართულია საქიბობოროტო სიმღერები, პაროდები, ფელეტონები. რომლებიც შეიცავენ იმ დროის მნიშვნელოვანი მოვლენების და იმდროინდელი მკითხველისათვის ცნობილი ბურჟუაზიული მოღვაწეების ძალზე მოსწრებულ მწვავე პოლიტიკურ დახასიათებას. ცოცხალი ხალხური ლექსით, ეანრობრივად მეტად თავისებური ფორმით დაწერილი ეს პოემა მთლიანად წარმოადგენს მძაფრ სატირას მონარქიაზე, დროებით მთავრობაზე, ბურჟუაზიულ პოლიტიკურ პარტიებზე და მათ ხელმძღვანელებზე. ამ პოემით შეეგება დემიან ბედნი 1917 წლის 7 ნოემბერს — სოციალისტური რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვების დღეს.

დიდი ოქტომბრის შემდეგ, დემიანი გაორკეცებული ენერჯით განაგრძობს

ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას საბჭოთა პრესაში. ბრძოლა ახალი ხელისუფლების განმტკიცებისათვის, მასების მობილიზაცია და დარაზმვა საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო პოლიტიკური და სამხედრო ამოცანების გადასაწყვეტად — ასეთია იმ ლექსების იდეური მიზანდასახულება, რომლებიც 1917 წლის ნოემბრიდან საბჭოთა გაზეთების ფურცლებზე იბეჭდებოდა და 1918 წელს ცალკე კრებულად გამოიცა „ცეცხლის რკალში“-ს სახელწოდებით. იმავე ხანებში ასი ათასი ცალი ტირაჟით დაიბეჭდა დ. ბედნის „კომუნისტური მარსელიეზა“, რომელიც უცბად გავრცელდა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, განსაკუთრებით, სოფლის ღარიბ მოსახლეობაში და წითელი არმიის მებრძოლებში. წარმოუდგენელია იმაზე მეტი პოპულარობა, რომელიც წილად ხვდა სამოქალაქო ომის წლებში დაწერილ დემიან ბედნის საფრონტო ლექსებს და პოემებს. სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილი მოთხრობის მთავარი პერსონაჟი მიტკა ბეგუნეცი იმდენად საყოველთაოდ ცნობილი გახდა, რომ დეზერტირი ზოგად სახელად იქცა.

ხალხურ მოტივებზე და პანგებზე შექმნილ სიმღერებს და მარშებს იხეობრებდნენ და მღეროდნენ სოფლად და ქალაქად. სამოქალაქო ომის ყოველ უბანზე. თუ რა ძალა ჰქონდა მათ მებრძოლების სულიერ განწყობილებაზე, ამის შესახებ მთავრობებულად ილაპარაკა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიმდინარე წლის 8 მარტს — ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების შეხვედრის დღეს.

— „სამოქალაქო ომის წლებში, როცა საბჭოთა ხალხი, — თქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, — მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში იცავდა მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოს, დემიან ბედნის სიმღერებით მიდი-

ოდნენ ბრძოლაში წითელგვარდიელებიც, წითელარმიელებიც, პარტიზანებიც. ეს სიმღერები გასაგები იყო ყველასათვის, გასაგები იყო თვითთულისათვის, უწიგნური გლეხებისათვისაც კი, რომლებიც წითელი არმიის რიგებში იყვნენ.

იმ დროს ყველაზე პოპულარულ სიმღერაში „როგორ მაცილებდა მშობელი დედა“ აღბეჭდილია ხალხის ფიქრები. პოეტი რევოლუციისათვის მებრძოლთა საბრძოლო მწყობრში იყო და მთელი თავისი უღიდესი ნიჭი მოახმარა ექსპლუატატორთა უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების დიად საქმეს.

დემიან ბედნის ჰქონდა მშრომელი გლეხის სულში ჩაწვდომის გასაოცარი ნიჭი. მხატვრული ოსტატობის რა გავებითა და ძალით დაგვანახვა მან გლეხის სულიერი ორჭოფობა. სამოქალაქო ომის პერიოდის ნაწარმოებებში პოეტმა დამაჩერებლად გვიჩვენა გლეხის ფსიქოლოგია მაშინ მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნით. ერთი მხრივ, გლეხი მეტად კმაყოფილია, რომ ახალმა, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ მისცა მიწა, რომელზეც იგი ოცნებობდა და რომლისთვისაც წარმოებდა მაშინ შეიარაღებული ბრძოლა. მეორე მხრივ, ზოგიერთ გლეხს, რომლებმაც მიწა მიიღეს საბჭოთა ხელისუფლებისაგან, არ ესმოდა, რომ სახალხო ხელისუფლება, რევოლუციის მონაპოვარი იარაღით ხელში უნდა დაეცვა.

დემიან ბედნის ნაწარმოებთა უდიდესი აღმზრდელი მნიშვნელობა ის არის, რომ პოეტი რევოლუციური პოზიციებიდან გულსწყობით გამოხატავს გლეხის მერყეობას და ამასთანავე განუმარტავს მას, რომ ეს მერყეობა დამლუპველია თვით გლეხობის ინტერესებისათვის. პოეტი ეხმარება გლეხს შეიგნოს, რომ მისი ინტერესებისათვის საჭიროა განუყოფელი კავშირი ჰქონდეს მუშათა კლასთან ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

ახლაც, ჩემი თაობის ადამიანები —

განაგრძობს ნ. ს. ხრუშჩოვის „ჩოცა ერთმანეთს ხედებიან“ სახელწოდებით ვითარებაში, კმაყოფილებით იგონებენ თავიანთ წარსულს სამოქალაქო ომის წლებში და მღერაინ დემიან ბედნის სიმღერებს იმიტომ, რომ ეს სიმღერები ახლაც ახლებურად და დროულად ჟღერს. მათი სიმშვენიერე ის არის, რომ მოგვაგონებენ თუმცა ძნელ დროს, მაგრამ კარგ და ლამაზ დროს, იმათთვის სიამოვნო ადგილებს გულს, ვინც უძნელეს პირობებში გვირუხლად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, შრომის ადამიანთა განთავისუფლებისათვის, ხალხისათვის, სოციალიზმისათვის და გამარჯვა ამ ბრძოლაში“.

თუ რა აღმგზნები და შთამაგონებელი ძალა ჰქონდა დემიან ბედნის ლექსებს, ამას მოწმობს კიდევ ერთი ეპიზოდი სამოქალაქო ომიდან. ბელაიაცერკოვთან ჩასაფრებული პეტლურისების წინააღმდეგ იერიშზე გადასული წითელარმიელები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ არტილერიის მხარდაჭერას, შედრკნენ. ამ დროს წითელარმიელთა მწყობრიდან გამოდის ერთი ახალგაზრდა და კითხულობს დემიან ბედნის „კომუნისტურ მარსელიეზას“. კითხულობს რამდენჯერმე, აღფრთოვანებული ჯარისკაცები მაშინვე ჩაებნენ ფიცხელ ბრძოლაში.

დ. ბედნის ნაწარმოებთა ასეთი ემოციური ზემოქმედება, რაც ხაზგასმით აღნიშნა პარტიისა და მთავრობის მეთაურმა, აიხსნება იმითაც, რომ ისინი შექმნილი არიან არა კარჩაკეტილ კაბინეტში, არამედ უშუალოდ ფრონტებზე მიღებული ცოცხალი შთაბეჭდილებებით. ცნობილია, რომ ამ ლექსების ავტორი ხშირად მოგზაურობდა ფრონტიდან ფრონტზე და ცოცხალ აგიტაციას ეწეოდა მეომრებს შორის, ამხნეებდა, საბრძოლო სულისკვეთებას უძლიერებდა მათ. ვაგონში დაიწერა ისეთი დიდად პოპულარული ლექსები, როგორიც არის „პაროდია ვრანგელის მანიფესტ-



ზე“, „ყვანის მისადგომებთან“, „მოტყუებულ ქმებს“ და ბევრი სხვ.

სამოქალაქო ომის მომდევნო წლებში — მშვიდობიან მშენებლობის პერიოდში დ. ბედნის ოდნავ არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა, ქმნიდა რა მეტწილად მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით აღბეჭდილს ლირიკულ ნაწარმოებებს. საბჭოთა პარტიოტის მღელვარებით არის ოქტომბრის 25 წლისთავისათვის დაწერილი პოემა „მთავარი ქუჩა“, რომელიც უმღერის ისტორიის დიდ საბრძოლველ გამოსულ მილიონებს და მათ დაუშრეტელ შემოქმედებით ენერგიას. იმავე ხანებში პარტიულ და საბჭოთა პერიოდიკის ფურცლებზე სისტემატიურად იბეჭდებოდა დემიანის ნაწარმოებები საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, საბჭოთა ადამიანების შრომისა და ყოფის თემებზე, ნაწარმოებები, რომელთა მთავარი იდეური მიზანდასახულობა იყო პირველი სოციალისტური სასელმწიფოს ყოველმხრივი განმტკიცება, შინაური და გარეშე მტრების საპოლოო მოდრეკა და განადგურება, მასების აღზრდა საბჭოთა პარტიოტიზმის სულისკვეთებით, წარსულის გადმონაშთების და რელიგიურ ცრურწმენათა აღმოფხვრა ყოფა-ცხოვრებასა და ადამიანთა ფსიქიკაში. ამ წლებში შექმნილ ნაწარმოებთა, განსაკუთრებით, ლირიკული ფელეტონების მთავარ გმირად პოეტს გამოჰყავს უბრალო, თავმდაბალი საბჭოთა ადამიანი, რომელიც ვაჟაკურად უძლებს ყოველ გვარ სიმნელს და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით ასრულებს თავის პარტიოტულ მოვალეობას, სოციალისტური მშენებლობის რა უბანზეც არ უნდა მუშაობდეს იგი. საბჭოთა ხალხის შრომით გმირობას, სოციალისტურ საფუძვლებზე სახალხო მეურნეობის გარდასაქმნელად გაჩაღებულ შრომას საბჭოთა ადამიანისას უძღვნა დემიანმა მოქალაქეობრივი პათოსითა და მღელვარებით აღბეჭდილი პოემები: „გენერალური ხაზი“, „ტურკინი“, „ტემპები“, „შიაიტან-არბა“

და სხვ. სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მოპოვებული ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებული საბჭოთა პარტიოტის სახეიმო განწყობილებაა გადმოცემული გულწრფელი პათოსით გამსჭვალულ ლექსებში: — „გმირობის სახსოვარი“, „სიცოცხლის ყვავილობა“, „ჩემი პატაკი XVII პარტიოტიზმის“ და სხვ.

1941-1945 წლებში — ფაშისტური ბარბაროსების წინააღმდეგ გაჩაღებულ დიდ სამამულო ომის პერიოდში, დემიან ბედნის ცვლავ ვხვდებით სოციალისტური სამშობლოს შეუპოვარ დამცველთა ავანგარდში. როგორც ყოველთვის, ამ განსაცდელის ქამსაც დემიანმა თავისი კალამი გაუთანაბრა ხიშტს, მოამარჯვა იგი ფაშისტ დამპყრობელთა გასაგმორად. ამ წლებშიც პოეტი დაუცხრომლად მუშაობდა, — წერდა იჯექებს, სიმღერებს, ფელეტონებს, ვალექსულ პოლიტიკურ მიმოხილვებს, რომლებიც ნიღაბს გლეჯდნენ კაცთმოძულე, სისხლის მოყვარე ფაშისტ ქალაქებს, წინასწარმეტყველებდნენ ფაშისტების გარდაუვალ დაღუპვას და საბჭოთა ხალხის სამართლიანი საქმის უეჭველ გამარჯვებას.

ამრიგად, მუშათა რევოლუციური მოძრაობის, საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და შემოქმედების რომელი პერიოდიც არ უნდა ავიღოთ, ყველა ეტაპზე დემიან ბედნის შემოქმედება არის საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში დატრიალებული გრანდიოზული ისტორიული ამბების ცოცხალი, მართალი მატთანე, რომელიც თავისი მკვნებარე რევოლუციური და პარტიოტული სულისკვეთებით დღესაც გვაღელვებს და სიამაყის გრძნობას აღძრავს როგორც ამ ამბების მომსწრე-მონაწილეთა, ისე მომავალ თაობათა გულში...

რა თქმა უნდა, დემიან ბედნის მრავალქანროვანი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს ექნებოდათ მხოლოდ ისტორიულ-დოკუმენტური მნიშვნელობა, რომ ისინი მაღალმხატვრულად და

ღრმა ემოციურა ძალით არ ასახედნენ სინამდვილეს. დემიანი იყო ნოვატორი არა მარტო შინაარსის, არამედ ფორმის მხრივაც. დაეყრდნო რა თავისი დროის გლეხობის და მუშების ცოცხალ სალაპარაკო ენას, სოფლურ და ქალაქურ ფოლკლორს, კლასიკოსთა, პირველ რიგში, ნეკრასოვის, კრილოვის, პუშკინის მდიდარ პოეტურ გამოცდილებას, დ. ბედნიმ შექმნა ახალი ჟანრები, ახალი გამოსახვითი ხერხები, მხატვრული წერის თავისი განუმეორებელი მანერა, ვასაგები და მისაწვდომი მილიონებისათვის. მისი შემოქმედების რეალისტური სტილი და ესთეტიკური მრწამსი პრინციპულად ენათესავება ყველა ქვეყნისა და ყველა დროის დიდ რეალისტთა შემოქმედებას.

როცა ჩვენ ხელახლა ვკითხულობთ მის თეორიულ მოსაზრებებს მხატვრული ლიტერატურის დანიშნულების შესახებ, მის პოლემიკას ანტიხალხური, ანტირეალისტური დეკადენტურ-მოდერნისტული მიმართულებების წარმომადგენლებთან, ვრწმუნდებით, რომ დ. ბედნის არგუმენტები რეალისტური მიმდინარეობის დასაცავად, ლიტერატურისა და ხელოვნების ხალხურობისა და პარტიული იდეურობის, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დასაცავად, ოდნავადაც არ მოძველებულან და ინარჩუნებენ დამარწმუნებელ ძალას ახლაც, დღევანდელ ვითარებაში, როცა კვლავ განახლდა ბრძოლა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეური სიწმინდისათვის, მხატვრული ხარისხისათვის, მათი დაცვისათვის აბსტრაქციონიზმის ყოველგვარი შემოტევისაგან, რომელიც ლამობს არევიდარევა და ქაოსი შეიტანოს კომუნისტური პარტიის ირგვლივ დარაზმულ მწერალთა და ხელოვანთა, უმთავრესად, ახალგაზრდების, შემოქმედებით პრაქტიკაში.

მათაგანგანგისთან ერთად, დემიან ბედნი იყო და არის საბჭოთა საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი პოეზიის ყველაზე თვალსაჩინო, რელიეფური წარმომადგენელი, რომლის შემოქმედებების ქართული იდეურობა იყო მალევე აღიქმული ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნიდან გამომდინარე ლოგიკური დასკვნა, პოეტის მსოფლმხედველობის განუყოფელი ორგანული ნაწილი. ყოველი ჟანრის მისი ნაწარმოები იყო ქმნილება საზოგადოებრივი ბრძოლის აქტიური მონაწილისა და არა ლიტერატორისა, რომელიც ვიწრო ამქრული პროფესიული ინტერესებით შემოზღუდულა და თავის შემოქმედების უკიდურესი სუბიექტური ხასიათით კი არ გამოხატავს მთელი საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებსა და მისწრაფებებს, პირიქით, უპირისპირდება მათ.

ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია მოწმობს, რომ ხალხის ცხოვრებისაგან შემოქმედის პირადი ცხოვრების გამოთიშვას და ხალხის იდეალურად მიმართული პოეტური მრწამსისა და პრაქტიკის დაპირისპირებას ყოველი ცალკეული შემოქმედი მიყავს დეკადენტურ-სიმბოლისტურ და აბსტრაქციონისტულ ნიჰილიზმად. ხოლო ლიტერატურა და ხელოვნება (თუ ცხოვრებისაგან შემოქმედის მოწყვეტა მასობრივ მოვლენად იქცა) — გადაგვარებამდე სრულ დაცემამდე. ამიტომ აღიმალა თავისი ხმა პარტიამ, მთელმა საზოგადოებრიობამ ახალგაზრდა ხელოვანთა და ლიტერატორთა ერთ ნაწილში ფეხმოკიდებულნი ამ მავნე ტენდენციის წინააღმდეგ, ამიტომ გაიხსენა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელმა ასეთი გულისხმიერებითა და სიყვარულით დემიან ბედნის ლიტერატურული დეაწლი, ამიტომ დასახა ამ დიდი სახალხო პოეტის მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება მისაბაძად და სანიმუშოდ.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ დღევანდელმა საბჭოთა პოეტმა ბრძიდ განმეოროს დ. ბედნის წერის მანერა, გამოსახვითი ხერხების მთელი მისა სისტემა, მისი სტილი, რომელიც გამომუშავდა იმდროინდელი მოთხოვნილებისა და საჭიროების მიხედვით. ეს ხომ ეპი-

გონობა იქნებოდა, ეპიგონობა, რომელიც ცხოვრებისაგან, სინამდვილისაგან, პოეტის ჩამორჩენისა და დაშორების მაჩვენებელია. როგორც დავინახეთ. პოეტური ხერხების გამოყენების მხრივ დემიანე არ იღვა ერთ ადგილზე, იგი მუდამ წინ მიდიოდა და ვითარდებოდა, სცვლიდა ქანრებს და გამოსახვით ფორმებს ცხოვრებაში მომდინარე ცვლილებების შესაბამისად, ცვლიდა იმ მოსაზრებით, რომ უფრო ხალხური გამხდარიყო, უფრო გასაგები ყოფილიყო მუდმივი წინსვლის პროცესში მყოფი მასებისათვის.

რა თქმა უნდა, დემიანე ბედნის შემდეგ საბჭოთა ხალხის მატერიალურმა კეთილდღეობამ და სულიერმა ცხოვრებამ ღრმა, რადიკალური ცვლილებები განიცადეს. იდეურად, ინტელექტუალურად, კულტურულად და მორალურად საბჭოთა ხალხი დიდად გაიზარდა და ამაღლდა, დღეს — კომუნისმის გამართული მშენებლობის პერიოდში—საბჭოთა ადამიანების სულიერი მდგომარეობა, მათი განწყობილება და მისწრაფებანი აღარ შეიძლება აისახოს იმ ხერხებით, რომლებსაც მიმართავდა დემიანი საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების, უკვე განვლილ

სხვადასხვა ეტაპებზე. ამიტომ ჩვენ დროის პოეტებისათვის სანიშნავი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს დემიანე ბედნის მხატვრული აზროვნების არა ფორმები, არამედ მეთოდი, მისი შემოქმედების იდეური მიზანდასახულება, ხალხურობა და პარტიულობა. როგორც ცხოვრების კარნახით ეძებდა დემიანი და პოულობდა მხატვრული გამოსახულების ახალ ხერხებს იმისათვის, რომ მეტი სიმართლით და შთამაგონებელი ძალით გამოეხატა თავისი დროის მშრომელი ადამიანების მდგომარეობა, ინტერესები და მისწრაფებანი, ასევე ჩვენი დროის ყველა თაობის საბჭოთა შემოქმედნი მოვალენი არიან ეძებონ და იპოვონ ახალი გამოსახვითი საშუალებები, რომ, რაც შეიძლება ნათლად და უკეთ დაგვანახონ კომუნისმის მშენებელი მოწინავე ადამიანის მდიდარი სულიერი სამყარო და დარაზმონ მილიონები ლენინის დროშის ქვეშ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, გრანდიოზული ისტორიული ამოცანების გადასაწყვეტად. აქეთვე მოუწოდებს ჩვენი დროის მწერლებსა და ხელოვანთ დემიანე ბედნის დიდი ლიტერატურული დეაწლი და მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება.





გიორგი ხუბუაშვილი

ძიებისა და მიზნების გზებით

პირველსავე ვრცელ მოთხრობაში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გვაგრძნობინა .ნ. დუმბაძემ თავისი იუმორის ძალა, მოვლენების ხედვის თავისებურება, იგი არაფერს არ იგონებდა, უშუალოდ ცხოვრებიდან მოჰქონდა მხატვრული მასალა. გუბიას ერთ სოფელში გაცნობილ ადამიანებს ესესხებოდა მხვილ სიტყვას, მათ სახეებს „ნატურიდან“ იბატავდა და მკითხველიც თავიდანვე ენდობოდა. მოთხრობის გმირი — მისივე ბავშვობა და ადრეული სიკვამლე იყო. „ლტერატურული ბებია“ ნამდვილ ბეზიას ჰგავდა. ილიკო და ილარიონიც საღდაც ასევე ეგულებოდა გურიისში.

მოთხრობა ღამილით იწყებოდა და სევდიანი, დრამატიული ფინალით თავდებადა. ზურცელას ეშმაკობანი, ილიკოსა და ილარიონის ხუმრობები, ერთმანეთში ქილიკი, დრო და დრო ომიანობის განწყობილებით მშიმდებოდა. მახვილ სიტყვაზე შეყვარებული ადამიანები ბავშვებივით მგრძნობიარენი ხდებოდნენ, სენტიმენტალიზმადეც კი ეშვებოდნენ და ერთმანეთს საოცრად თბილ, კეთილ გულს უჩვენებდნენ. ამ ადამიანებს უჭირდათ, სულს იბრუნებდნენ მოლესილა ენით, განსაცდელს უძლებდნენ, ცხოვრობდნენ. უყვარდათ, ოცნებობდნენ, წინ იხედებოდნენ. მერე ზურიკო დაეყვაცდა, ცხოვრებასთან პირისპირ მივიდა, სიცოცხლის ფასი გაიგო და გამზრდელ ბებუის სიყვდილოც ნახა. მოთხრობაში იყო ბევრი რამ ბანალურიც, ზერეღაც, თითქოს „მხოლოდ სიცილისთვის“ დაწერილიც. იყო

შეუკერელი სიუჟეტიც, ცალკეული ეპიზოდებიც ერთნაირი „შინაგანი დრამატურგიით“ თითქოს მოსაწყენს ხდიდა ნაწარმოებს. რაღაც ტავტოლოგიურ ელფერს ანიჭებდა ილიკოსა და ილარიონის „მოწყობილ ხრიკებს“. თითქოს ძნელი იყო ქვეტექსტში ჩადებული აზრის ამოცნობაც. ზოგიერთი „ხუმრობაც“ შედმეტად ნატურალისტურ ანეკდოტის ხასიათს ატარებდა და „სერიოზულ ლიტერატურას“ არ გავდა. ეს ყველაფერი იყო, მაგრამ... ფაქტი ფაქტად რჩებოდა: ამ ადამიანებს ხედავდით, ისინი საღდაც თქვენი მახლობელნი ხდებოდნენ და გიყვარდათ... მათ გადამდები სიცილი იცოდნენ და უაღრესად კეთილი გულა ჰქონდათ. თქვენც იცინოდით და საკეთილ იყვებოდით.

როგორ იყო მოთხრობა დაწერილი? ძალზე ჩვეულებრივად. რაიმე სტილით თავისებურებაზე მკვეთრი მინიშნების გარეშე. თითქმის სტიქიურად, როგორც ხალასი ნიჭის ადამიანები წერენ. მაგრამ ჩვეულებრივი, სტიქიური ზშირად პრინციპულს უმეგობრდება ზოლმე. რა დასამალია, ესეც იყო. მოთხრობის გმირების ფსიქოლოგია სიღრმეს არ გულისხმობდა. ისინი მარტივი, მაგრამ გულწრფელი ადამიანები იყვნენ და მეტი არაფერი... აღბათ, ამის ვაშო „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ბევრი არ მიიჩნევდა „სერიოზულ პროზად“. დავით კლდიაშვილის ქვეყანაში საშაროთლიანად მოითხოვდნენ მწერლებსაგან თუნდაც იუმორით დაწერილ ნაწარმოებში, მეტ სიღრმესა და სოციალურ მასშტაბს.



კიდევ უფრო მეტ გაოცებას და ერთგვარ ეჭვს იწვევდა მოთხრობის არქიტექტონიკა, ერთმანეთს ენაცვლებოდა ლირიულობა და „შიშველი ხუმრობა“, სიცილი და ტირილი, სიხარული და სევდა. ცრემლი და სიხარული ცხოვრებაში ერთად არიან, როგორც სიცოცხლე და სიკვდილი. გვეუბნებოდა ავტორი. მოთხრობაც ამ პრინციპზე იყო აგებული. ვინმეს არ ეყრდნობოდა წაერთხული ლიტერატურულ ავტორიტეტებს შორის. მისთვის მთავარი იყო წაკითხულს „ხელი არ შეეშალა“ განცდილის, ნანახის უშუალო აღქმაში. იმავე დროს მან კარგად იცოდა გენიალური სერვანტესიც, რაბლეც, შექსპირიც და... სულ აგერ ილფი და პეტროვის სატირული პროზაც, როგორც ჩანს „ხალხური მასალის“ შერჩევაც და უპრეტენზიო ტრადიციული სტილიც ავტორის შეგნებულ დამოკიდებულებას მეტნაკლებად მაინც გულისხმობდა. მერე მოთხრობის გმირები სცენაზე გაიცოცხლდნენ, პირობით ჩარჩოშიც კარგად იჯდნენ თავი და ადამიანებს დაბაზიდან „ცრემლნარევი სიხარული“ მოყვებოდათ. ახლა ეკრანზეც გადავიდნენ და ვინ იცის, სანამდე იქლიან ილიკო, ილარიონი, ბებია ოლდა და ზურაველა ვაშლოშიძე. ერთმა მოსკოველმა თეატრის მცოდნემ მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლზე ისიც კი დასწერა პრესაში: თუ ვინდათ გაიგოთ რა არის საქართველო, ნახეთ წარმოდგენა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. შეიძლება ეს ერთგვარი ემოციური გადაჭარბებაც იყოს, მაგრამ ერთი რამ ექვევარეშეა: მოთხრობაში, მართლაც, იყო რაღაც მარად ადამიანური, მარად ქართული და იმავე დროს თანამედროვე. ამის უარყოფა არ შეეძლო ყველაზე ჩამოყალიბებულ სკვპტაკოსსაც კი.

ხშირად იტყვიან იმ მოთხრობიდან ამ მოთხრობამდე მწერალს ზრდა ეტყოზაო. რა თქმა უნდა წლებს თავისი მოაქვს და მწერლის ოსტატობასაც ახალ-ახალ გამოცდილებით ამდიდრებს. მაგ-

რამ ტალანტის ცხოვრება არ არის მწვერული წყვერელი ზრდა უმწიფრობიდან წინააღმდეგ. ჯერ ერთი, ყოველ ახალ მასალას ახალი ენერჯია და ოსტატობის გარკვეული მარაგი სჭირდება, მეორეც, ნიჭიერება ძონძებში იშვიათად გვევლინება. იგი „შიშველად“ არ იბადება და თავისი სამოსიც თან ახლავს იმთავითვე. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ შერჩა თავისი ღირსებები „მე ვხედავ მზესთან“ შედარებით. და თუ ანალოგია მაინც ბუნებრივია, ეს იმიტომ, რომ საქმე გვაქვს იმავე ავტორის თითქმის იმავე მასალასთან. „მე ვხედავ მზეს“ იგივე ბიოგრაფიული ფაქტები კვებავს, რაც პირველ მოთხრობას, მაგრამ აქ ნ. დუმბაძის ის თვისებები მოჩანს გაღრმავებულად, რომელიც პირველ მოთხრობაში არ განსაზღვრავდა ნაწარმოების ტონალობას და მხოლოდ შემავალი ელემენტის ფუნქცია გააჩნდა. „მე ვხედავ მზეს“ გმირები თუ ისევ ილიკო და ილარიონი არა, მათი მეზობლები მაინც არიან, მაგრამ ზოგიერთ გარეგნული განმეორების მიუხედავად, აქ ნ. დუმბაძე ბოლომდე არ ჰკავს წინა მოთხრობის ნ. დუმბაძეს.

პირველ მოთხრობაში კომედიურისა და დრამატოვლის სინთეზი რამდენიმე მაინც ტოვებდა მექანიკურად შეერთებული სთაბეჭდილებას. ამ უცნაურ ექლექტიზმს შინაგანი სიმყარე აკლდა, მათ შორის გარკვეული დისპროპორცია არსებობდა. ახალ მოთხრობაში ნ. დუმბაძემ უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა დრამატოვლის კომიკურთან დაწყვილების პრინციპი და მას შემთხვევითობის ელფერი დაუარგა. აქ კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიხატა ავტორისეული პრინციპი, ცრემლისა და სიხარულის ერთად არსებობის შესახებ. ეს არა მარტო აზრობრივი ქვეტექსტი გახდა მთელი ნაწარმოებისა, არამედ მან ცალკეული ეპიზოდების კომპოზიციაც განსაზღვრა. სიცილით დაწყებული მრავალი სცენა მოთხრობისა ხშირად ცრემლით თავდება და ეს გადასვლა

სრულიად საპირისპირო განწყობილებაში ხშირად ძალდაუტანებლად, საოცარი ზომიერებით ხდება. ომის ატმოსფეროს დრამატიულ ელერადობას მისი გმირების ცხოვრებისა და სიცოცხლის ოპტიმიზმი ორგანიზულად ეხამება. უფრო მეტიც, სევდანარჩევი იუმორი მთელს დრამატულ მასალაში ისეა შეჭრილი, რომ შავი ფერი ბაცდება. ქარწყლდება ტრაგიზმის გრძნობა და ადამიანთა მძაფრი ტკივილებით, გაჭირვებით აღსავსე ამბავი მომხიბლავი, ლამაზი და მხიარული ხდება. ცხოვრებაში სიკეთის გვერდით სიყვარულიც დადის და ადამიანთა ყოფას უკუდავი ცხოველმყოფელი სინათლით აცისკროვნებს. ნ. დუმბაძის მიერ მხიარულ ფერებისა და კეთილ თვისებებისათვის ასეთი ფუნქციის მინიჭება მისი მწერლური ბუნების განმსაზღვრელი თავისებურებაა. მაგრამ ხომ არ არის ისე, თითქმის იუმორი, მახვილი სიტყვა ნ. დუმბაძის ამ მოთხრობაში მხოლოდ ტონის, მხიარული ფერის როლს ასრულებდეს და სხვა დანიშნულება არ გააჩნდეს? საღდაც ასეთი მოსაზრება უდავოდ ჩნდება. კომედიური სიტუაციის მიზანი მაინც ხასიათის უარყოფითი თვისებების ისეთი ხატვაა, რომელიც პრინციპში ან თანაგრძნობას, ან აღშფოთებას იწვევს მკითხველში. სასაცილო ყოველთვის არ ნიშნავს უარყოფითს. ჰაინე დონკიოტის კითხვის დროს ტიროდა თურმე, ცხოვრების მანკიერი მხატვრების განქიქებას „მოყვარის პირში ძრახვას“ ეძახდა ილია ჭავჭავაძე. „მე არასოდეს არაფრისთვის დამიციინია“—ო ამბობდა დ. კლდიაშვილი. მაგრამ ერთიც, მეორეც, შესამდე ებრძოდა იმ ატმოსფეროს, სადაც კეთილშობილი გმირობა, სიკეთე მკაცრად ისჯებოდა. დონკიოტის ბრძოლა ბოროტებასთან, მისი უმწეო სიკეთე, სიბრალულის გრძნობას ბადებდა მკითხველში და გარკვეული სოციალური კანონზომიერების წინააღმდეგ განწყობდა მას, ჰუმანიურ ზრახვებს უნერგავდა. ჩეხოვის მწარე ირონია უმთავ-

რესად ცხოვრების მხატვრულ მხატვრულ ანიშვნებას და ნათელს ხორციელდებოდა მეოცნებე მხატვარი ცრემლნარჩევი დომილით ეუბნებოდა თავის თანამედროვე საზოგადოებას: „ცუდად ცხოვრობთ, პატონებო“. ნ. დუმბაძე ერთგვარად გვერდს უვლის ამ დიდი მასწავლებლების გარკვეულ პოზიციას სინამდვილისადმი. მისთვის იუმორი ძირითადად მაზინჯი მოვლენის განქიქებისათვის გაბასრული იარაღი როდია, რასაც იგი შეგნებულად აკეთებდა თავის აღრინდელ ფელეტონებში. იუმორი, მახვილი სიტყვა თვისებაა მისი გმირებისა. მათ არ შეუძლიათ არ იხუმროს. ეს მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა მაშინაც კი, როცა გარემო შეუფერებელია მახვილსიტყვაობისათვის. ამიტომ მოთხრობაში სიცოცხლის იწვევს არა სიტუაციები, არამედ თვით გმირის ბუნებაში იმთავითვე ნაგულისხმევი სიტუაციების მიხედვით. აქ ავტორს არ ჩამორჩებიან მისივე გმირები. ზოგჯერ აქარბებენ კიდევ, ამხედროს მახვილსიტყვაობა სპორტული მიზანი, გასართობად „ენის ქავილი“ კი არ არის, არამედ გარკვეული ცხოვრებისეული ფილოსოფია.

ამ ფილოსოფიის მიხედვით ადამიანმა ყოველთვის, თვით განსაცდელის შემსახვად, უნდა შეინარჩუნოს შინაგანი წონასწორობა და არ დაჰკარგოს მხნეობა. აქვე ნაგულისხმევაა ისიც, რომ გულიანი სიცალი მხოლოდ კეთილსა და მართალ ადამიანებს ძალუძთ.

ნ. დუმბაძის ახალ მოთხრობაში იუმორის ფუნქცია შეგნებულად პოზიტიურია. იგი უარყოფს სატირულ ელემენტს და ამით გარკვეულ პოზიციას იჭერს, როგორც თავისი გმირების, ისე, საერთოდ, სინამდვილისადმი. ნ. დუმბაძეს თითქმის არ ჰყავს „უარყოფითი ტიპი“, ადამიანების მიმართ ზედმეტად შემწყნარებლური პოზიცია უჭირავს. ნ. დუმბაძისათვის ხალხის ცხოვრება სიკეთის გამოვლინებაა. ასე განსაჯეთ, სიმხდალის გამო მოვალეობის თავიდან არიდება, ტყეში დეზერტირად გავარდ-



ნა, ან უფრო მეტიც, შინაგანი გაბორბლებისა თუ შერის გამო ადამიანის სასიცოცხლოდ გამეტება „მე ვხედავ მზეს“ ავტორის ადამიანის ბუნების საწინააღმდეგო მოვლენად მიაჩნია. ამითი თითქმის იხსნება ცხოვრების რთული ფსიქოლოგიურ-სოციალური წინააღმდეგობები და ადამიანთა შორის კონფლიქტებს შემთხვევითი ხასიათი ეძლევა.

მაგრამ სინამდვილე ავტორზე ძლიერია. მისი დათიკო მოქალაქეობრივი მოვალეობის წინაშე შიშმა ცხოველურ ეგოიზმამდე მიიყვანა და კაცის მკვლეელი გახადა. როგორც არ უნდა ეცადოს ნ. დუმბაძემ შეარბილოს დათიკოს დაწინაშეული და მოთხრობის ფინალში იგი ნონანების გზაზე დააყენოს, ბოროტება მაინც დარჩა ბოროტებად, რა თქმა უნდა, ყოველი მკვლელობა არ შეიძლება ჩაითვალოს საერთოდ ბოროტების გამოვლინებად. დაწინაშეულსა და დასჯის თემა ამ მხრივ უთვალავ სიროტულეს შეიცავს და მზა კატეგორიებით ახსნა ადამიანის მოქმედებისა ყოველთვის შეუძლებელი ხდება. ნ. დუმბაძეს სურს თავისი გმირის მოქმედებაში მონახოს ფსიქოლოგიური მიზეზები და სამშობლოს მოვალეობის წინაშეც თავის არიდება სიცოცხლის ინსტიქტს თუ მოჭარბებულ ცხოველურ შიშს მიაწეროს. დათიკომ რომ ასი ხატია გადააზრინოს დახრჩობას, ერთ უბედურ ბეჟანას სიკვდილს ვერ გამოისყიდის, უმანკო სინახლს ვერ ჩამოირეცხავს. ამა ერთი წუთით წარმოადგინეთ პოუგოს უანვალყანი მკვლეელი იმ პასტორისა, რომელმაც მას შანდღუები თავისი ნებით გაატანა და პოლიციის ბოროტებისაგან იხსნა. გენიალური მხატვრები არასოდეს არ მიდიოდნენ ბოროტების მიჩქმალვის გზით და ამიტომაც მათი სიკეთე საზოგადოებრივი მორალის რეზონანსს იძენდა. „არა წინა აღუდგე ბოროტს“ რელიგიური პრინციპებს უკუყენა და ორგანიზებულ საზოგადოებრივ მორალს ძნელად უთავსდება. ბოროტების, როგორც სოციალური ფაქ-

ტის უარყოფა, ანელებს ავტორის ქვეყნულ ევობას, ცხოვრებაში ჩარევებს მშვენიერად შემრიგებლური პოზიციით ცვლის.

ნ. დუმბაძის გმირები უბრალო ადამიანები არიან და ფილოსოფიური კატეგორიებით როდი აზროვნებენ, მაგრამ მათს მოქმედებას გარკვეული აზრობრივი ქვეტექსტიც აქვს. სოსოიაც, ხატიაც, გიგი ბეჟანაც, მამიდაც, კაკანო და ბაბილოც, კოლმეურნე გლეხკაცებიც, სოფლის მასწავლებელიც, ერთი სიტყვით, სოფლის ხალხი ულვევი სიკეთით არის მდიდარი. ეს სიკეთე, როგორც უხილავი ძალა, დვრიტად უღვევს ხალხს ცხოვრებას და მისი სულიერი სილამაზის გამოხატულებად იქცევა. ამავე დროს სიკეთე აბსტრაქტულად არსებულ რეალობაა და მისი გამოვლინების ფორმები მოთხრობაში უაღრესად ყოფით, თითქმის ნატურალისტურ ელფერს ატარებს. სიკეთე ყველაფერზე ძლიერია, მისი ზემოქმედების ძალა აღუმატება თავგრძმა, გაბოროტებულ ადამიანების მოძალებით მიყენებულ ტყვეობებს. აქ ავტორი საოცრად თანმიმდევრულია და, რაც მთავარია, ბუნებრივი, მართალი. ამიტომ მის გმირებს კეთილი თვალაც აქვთ და ცხოვრებას კეთილი ღიმილით შეჰყურებენ. ეს კეთილი ღიმილი არასოდეს გადადის მწარე ირონიაში და თანმიმდევრულად ინარჩუნებს პოეტურ მომზიბლობას. სიკეთე და ღიმილი დაჯგუფებულია ნ. დუმბაძის გმირების ბუნებაში, და ესაა გასაღები, როგორც მათი ხასიათებისა, იმე გარემო მოვლენებთან კავშირისა, მთელი სინამდვილის დანახვისა.

მაგრამ ნ. დუმბაძის ნაწარმოებში სიკეთეს არ აქვს რელიგიური დოქტრინის სახე. იგი თვით ხალხის წიაღში შემუშავებული მორალის განუყოფელი ნაწილია, და მის შექმნაში ნავულისხმევეა ჰუმანური ტრადიციები წარსულსა თუ სულიერი მისწრაფებები დღევანდელი საზოგადოებისა, კაცთმოყვარეობის, ზნეობრივი ამაღლებულობის, საყო-

ველთაო მიზნებით გამსჭვალვის და ეგოცენტრული მიდრეკილებათა დათრგუნვის პრინციპები. ნ. დუმბაძის საყვარელ გმირებს თამამად შეუძლიათ გაიმეორონ ჩვენი პროგრამის წმიდათაწმიდა პრინციპი: ადამიანი ადამიანის მიმართ ძმა, ამხანაგი და მეგობარია, რაც ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების მგლური მორალის საპირისპიროდ: ადამიანი ადამიანის მიმართ მგელია.

ნ. დუმბაძე გვერდს უვლის რაიმე სიუჟეტური სქემის ილუსტრირებას, რომელიმე საზოგადოებრივი აზრის მხატვრულ სამოსელში „გახვევა“ და ყოველთვის ესწრაფვის საყუთარ სიმართლის პოვნას. ამდენად „სიუჟეტური სქემატიზმი“ მის მოთხრობაში შეცვლილია სინამდვილის მასალასთან უშუალო მისვლით. ამაში ჩანს ავტორისეული დამოკიდებულება, მისი გახედულება, ძალდაუტანებელი ტენდენციაც და გულწრფელობაც.

შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი მწერლობა უკანასკნელ წლებში ხელახლა მიუბრუნდა ომის თემას და ახლებურად დაამუშავა იგი. ახალგაზრდა ადამიანებმაც ახალი თვალით შეხედეს თავიანთი ბავშვობისა თუ ადრეული სიუჟეტის დრამატულ დღეებს, ბევრი რამ საინტერესოდ გაიზარეს და ახლებურად წაიკითხეს. ომი ჯერ კიდევ არ გამხდარა „პასიური ისტორია“. ჯერ ერთი, იმ დღეების ტკივილები დღემდე მოჰყვით ადამიანებს. მეორეც, ბევრი რამ იყო უთქმელი, რაც უნდა თქმულიყო მშვიდობიანი დროის ადამიანთა დაღინჯებული გულითა და გონებით. ვარდა ამისა ადამიანებს თავს დასტრიალებს ახალი ომის აზრდელი და ასეთ ატმოსფეროში განვლილი ომის ტრაგიკულ შედეგების ჩვენებას ერთგვარი პროტესტის მნიშვნელობაც ენიჭება. ამიტომ ო. იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“, ა. სულაჯურის „ტალღები ნაპირისკენ მისწრაფიან“ და „მტრედები“, ნ. დუმბაძის ორი მოთხრობა და ბევრი სხვაც თავისებური სიახლით,

სურნელებით ხასიათდება. უმჯობესად დაწერილ ნაწარმოებს შორის უმჯობესად ახლე მარტოოდენ თავისებურ ფსიქოლოგიურ ხედვასა და გულწრფელობაში როდი მდგომარეობს. არც მარტო სტილისა და მანერის თავისებურებაშია აქ საქმე, მთავარი ისაა, რომ ამ ნაწარმოებების ავტორებმა გამოხატეს თავისი დამოკიდებულება ომის, როგორც ურთულესი ისტორიული მოვლენის, მიმართ და ბევრი რამ ახლებურად, საინტერესოდ თქვეს. ამითი გაამდიდრეს და გაამრავალფეროვნეს ის ლიტერატურა, რომელიც მკაცრი დღეების ატმოსფეროში იქმნებოდა და დენთის სუნი ასდიოდა. მაგრამ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ომის თემით შემოსაზღვრავ ერთგვარი ფაქტი გახდა. ომი იძლევა ადამიანთა წინააღმდეგობების, ფსიქოლოგიურად რთული დამოკიდებულებების და რამდენადმე გარკვეული კონფლიქტების დიდძალ მასალას. და მწერლობა, როცა ვერ პოულობს უფრო ძნელად შესამჩნევ სიღრმეებს მშვიდობიან ცხოვრებაში, ხშირად პირს იბრუნებს არცთუ ისე აბლო წარსულისკენ. ამ მხრივ ჩვენს მწერლობაში საერთოდ დაკერძოდ ახალგაზრდა თაობის მხატვრულ პრობლეტიკაში ერთგვარი დიპროპოზიციაც შეინიშნება. მას თითქმის ხშირად არ ყოფნის დღევანდლობის მხატვრული ანალიზისთვის შინაგანი სულიერი ძალა და უმეტესად ერთხელ თქმულის ხელახლა გამოვრებას არ გრძობს. იქნებ ამაში არაფერი იყოს ცუდი, მაგრამ დაკვირვებული თვალი მაინც ამჩნევს თემებისა და განწყობილებების „მოჭადღებულ წრეს“. იქნებ ამიტომ ჩვენი ახალგაზრდა მწერლების თემატიკა ნაწილობრივ შემთხვევით ხასიათს ატარებს და რამდენადმე მოკლებულია იმ შინაგან აქტივობას, რომელიც ცხოვრებასთან უშუალო კონტაქტს ემყარება. სიახლე იმ მასალაშია, რომელთანაც სულიერ კავშირში ყალიბდება ახალგაზრდა მხატვარი. ამიტომ ავტობიოგრაფიული ელემენტების მოტანა



შორეული ბავშვობის თუ ადრეული სი-  
კაბუციის გამოცდილებებიდან ერთის  
მხრივ დღევანდელი ატმოსფეროს მი-  
მართ რამდენადმე მოდუნებული დამო-  
კიდებულებასაც ავლენს. ამ მხრივ  
ჩვენს ახალგაზრდა პროზაიკოსებს ბევ-  
რი რამ აქვთ პრინციპულად საძიებელი  
და დასაძლევია.

იქნებ, ამნაირი თემატიკური განსაზ-  
ღვრულობის შედეგიც იყოს ო. იოსე-  
ლიანის „ვარსკვლავთცვენისა“ და ნ.  
დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ ზოგიერთი  
პასაჟის მსგავსებაც. ერთნაირი თემა,  
გარემო და რამდენადმე მსგავსი დამო-  
კიდებულება მოვლენისადმი ყოველ-  
თვის არ ტოვებს სასურველ შთაბეჭდი-  
ლებას. მინც ეს პარალელიზმი რამდენ-  
ადმე შორეულია და ამ ორი მხატვრის  
ეპემიოტანელი ინდივიდუალობა მსგავს  
მოვლენებს განუმეორებელ ბეჭედს ას-  
ვამს. მდგომარეობა უფრო რთულია,  
როცა თვით მხატვარი მიუბრუნდება  
ერთხელ გავლილ გზას და ბევრ რამე-  
ში გაიმეორებს თავის თავს. ამ მხრივ  
„მე ვხედავ მზეს“ ზოგი რამ თავიდან  
არის დაწერილი თითქოს, რასაც წინა  
მოთხრობაში ესკიზური სახე ჰქონდა.  
დროის, ატმოსფეროს, საერთო განწყო-  
ბილების თანხვედრილობა იწყებს ზო-  
გიერთი ისეთ გაუმართლებელ პარა-  
ლელიზმს, რომლისთვისაც თავი უნდა  
დაეღწია „მე ვხედავ მზეს“ ავტორს.  
ბევრ რამეში გვანან ერთმანეთს ზური-  
კელა ვაშლიომიძე და სოსოია მამალა-  
ძე, წისქვილში თავმეყრილი მოხუცი  
დედაკაცები და ოღლა ბებია. რა რიგ  
ჰგავს ერთმანეთს სკოლის ეპიზოდები!  
თუნდაც მეწისქვილისა და სოსოიას ლა-  
პარაკი პოლიტიკაზე ზუსტად იმეორებს  
ილიკოსა და ილარიონის მსჯელობას  
ისევ და ისევ პოლიტიკაზე.

ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ჩვეულებრივი  
ციები იქნებოდა ადრე დაწერილი ნაწარ-  
მებისა, ცალკეულ დეტალებისა თუ გან-  
წყობილებებისა, რომ არ იგონებოდეს  
განმეორება თვით ნაწარმოების ქვეტექ-  
სტში, მის ფილოსოფიაში. აქ განმეორე-  
ბა ბევრად უფრო პრინციპული მნიშ-  
ვნელობისაა და იოლად მიეტყვება ავ-  
ტორს. მაგრამ ამ ორ მოთხრობას ერთ-  
მანეთისაგან არსებითად ანსხვავებს ერ-  
თი მომენტი: თუ პირველი ძირითად  
იუმორისტულ ინტონაციას ემყარება,  
მეორე დრამატული მომენტებზეა და-  
ფუძნებული და ამდენად ნაწარმოების  
პრობლემატიკა, ხასიათებიც სულ სხვა  
განათებაშია მოქცეული. ზოგიერთი  
ეპიზოდის ფრაგმენტალობის, რამდენ-  
ადმე ამოვარდნილობის მიუხედავად,  
(სამხედროს გაკვეთილი, „ცუცია“), „მე  
ვხედავ მზეს“ ბევრად უფრო შეკრუ-  
ლის, მონოლითურობის შთაბეჭდილ-  
ბას ტოვებს, ვიდრე „მე, ბებია, ილიკო  
და ილარიონი“. აქ როგორც შთან-  
ფიქრს, ისე მოვლენათა შორის სიუჟე-  
ტურ კავშირს მკაფიო მთლიანობა ახა-  
სიათებს. სოსოიას, მამიდას, დათიკო  
ბრიგადირის, რუსი ანატოლის და გივი  
ბეჟანას დამოკიდებულება ნაწარმოებში  
ქმნის მოვლენათა თანმიმდევრულ წყო-  
ბას და ხასიათების დინამიკას. აქ ავტო-  
რი შეგნებულად დგას ტრადიციულ  
სიუჟეტის პოზიციაზე. თუმცა ეპიზო-  
დების ერთგვარი არათანმიმდევრულო-  
ბა, მკითხველს გადართვა შეშავალ, არა  
მთავარ ეპიზოდებზე სიუჟეტურ ბირთვის  
უკარგავს სიმამფრეს და მის დრამატუ-  
რგიაში შეაქვს ერთგვარი დაფანტულო-  
ბა, საბოლოოდ მინც მოთხრობის ამბა-  
ვი შედის ლოგიკურ ფინალში. ამ შემ-  
თხვევაში ცალკეულ ვმირების იუმორი,  
მათი თანდაყოლილი გონებასამხვილობა  
უკვე არ „ეხმარება“ სიუჟეტის აგებას,  
არამედ, როგორც ზემოთ ვთქვით, დრა-  
მატიულ ფაბულაში ნათელი ფერის  
ფუნქციას ჭერდება. ამავე დროს წინა

მოთბრობის გმირებისაგან განსხვავებით „მე ვხედავ მზეში“ დახატული ხასიათები შინაგანი სირთულის, წინააღმდეგობების შემცველნი არიან და პრიმიტიული ერთბაშისადაც როდი განიჩევიან. არა მარტო დათიკო ბრიგადირი, ან ქეთო მასწავლებელი, მათი დრამატიული რომანი, არამედ სოსოიას და ხატიას, ერთი შეხედვით, მელოდრამატული, სენტიმენტალური ურთიერთობა. მრავალი ზუსტად ფიქსირებული ფსიქოლოგიური ნიუანსის შემცველია. თუმცა დათიკო ბრიგადირი ზოგჯერ დიდი ხნით დგარგულია ნაწარმოებში და დამბულ საკვანძო მომენტებამდე ამბავი თითქოს ინერციით არის მიყვანილი, — მაინც ხასიათის შინაგანი ბუნება ცხადი ხდება. ეს ავტორის ნათელ ხედვის შედეგი და მისი ნიჭის უტყუარი თვისებაა.

სოფეტის აგებისას ნ. დუმბაძე ძნელად აყვება ხოლმე ეფექტურობის ცთუნებას. მისი კომპოზიციაც დროის მსვლელობას ეყრდნობა და დროსა და სივრცეში დაუდევარ გადასვლებს, ნახტომებს, ასოციაციურ დისონანსებს არსად შეხვდება მკაობელი. იგი უმთავრესად „ნატურალური მასალიდან“ გამოდის და თვითონ ცხოვრება ბადებს მხატვრულ ინტერესს მისი გმირების ბედისადმი. და მაინც ნაწარმოებს გააჩნია ემოციურად მნიშვნელოვანი კულმინაციები, სადაც ავტორი ჩვეულებრივი თხრობის რიტმიდან უცებ ამოვარდება და ექსპრესიული ხდება. კრების სცენა, ფოსტალიონის „აღსარება“, ბეჯანას სიკვდილი, დათიკოს მოსვლა წისქვილში და ბოლოს ფინალური ეპიზოდი დამბულულობის მალღ ხარისხში აღიან და ხალხური ცხოვრებისთვის ნიშანდობლივ სიმძაფრეს და დრამატიზმს გადმოსცემენ. თუმცა რამდენადმე მოუშადადებელია ფინალში დათიკოს ხასიათის უეცარი შემოტრიალება და მას აქვია ფსიქოლოგიური დამუშავება, მაინც ბუნებრივად განასკეული კვანძების გახსნა ბოლომდეა მიყვანილი და კეთი-

ლი ხალხის თვალთქვეშა დაგმობილი, ზურგშეშვეული ბოროტება: საბოლოოდ განადგურებული მოჩანს.

როდესაც, ერთი შეხედვით, მკაცრ, ახირებულ მასწავლებელს ხატია სობრამვე შეძრავს, გლეხკაცები რძის ბოთლებს მოიტანენ „სოსოიას რუსისთვის“ ქეთო მასწავლებლის კარზე, გლეხი ბაბილო უცხო ბავშვებს უსასყიდლოდ გაიტანს სიმინდს, ხოლო სოსოია ხელს ჩაკიდებს ბრმა ხატიას და მზისკენ წაიყვანს, არ შეიძლება გულგრილი დარჩე და შინაგანი მღელვარებით არ აღივსო. რა დამამალია, ჩნდება უნებური ცრემლიც თვალზე. ქვეყანაზე მოქმედი ზნეობა, სიკეთე სულის ძვრას იწვევს და ამ გარეგნულად უხეში ადამიანების სულიერ თვისებებს სილამაზის ნათელი ადგას. უფრო მეტიც: თვით გივი ბეჯანაც უცხო კაცის მოსარჩლეობისას იღუპება და მისი სიმღერა სიკვდილის წინ, კორცხოულის გადაღმა სამუდამოდ გადასული მზეს გაცილება საოცრად პოეტური და მართალია. რაკი სიტყვამ მოიტანა, ორიოდე ფრაზას ვიტყვი ბეჯანაზე. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენს ლიტერატურაში უხვად არიან „ბეჯანას წინამორბედნი“. ძნელია ვისმეს დაავიწყდეს ლეო ქიაჩელის ბაჩუა („ტარიელ გოლუა“) ან მისივე ჰაკი აძბა („ჰაკი აძბა“), კ. გამსახურდიას ლუკაია ლაბახუა („მთვარის მოტაცება“) ან კ. ლორთქიფანიძის დახუნდარა („კოლხეთის ცისკარი.“) ეს დაგლაზაკებული ადამიანები ბიოლოგიური თუ სოციალური მიზეზებით ისე არიან მოქცეულნი თავისიანთა ატმოსფეროში, რომ მოულოდნელად აღმოჩნდებიან სულიერი თუ ფიზიკური ქიდილის გზაჯვარდინებზე. ისინი სიცილსაც იწვევენ და თანაგრძნობასაც, თითქოს ზედმეტნი არიან ცხოვრებაში და მაინც უცებ საოცრად საჭირონი აღმოჩნდებიან. დახუნდარას ვამოკლებით, რომლის ბუნებაში შინაგანი სიძაბუნე დეკლასირებული ტიპის ცინიკურ ფილოსოფიასთან არის თანშეზრდილი, — ეს ბაჩუები,

ლაბახუბეც, პაკი ამბები თავიანთი სიბე-  
ჩავის ზღურბლს გადმოსცდებიან ზოლქ  
და კეთილი საქმისთვის გაიღებენ უდი-  
დეს მსხვერპლს. ეს უჩვეულო დაწყე-  
ლება ბუნებრივი სიმახინჯისა და პათო-  
ლოგიურობისა დიდ შინაგან სიკეთეს-  
თან გამოგონილი როდია: ბეჟანას სახეც  
აეყვება გადმონატული ცხოვრებიდან,  
და აქ ახალგაზრდა მწერალი სიზუსტესა  
და ზომიერების გრძნობას ამჟღავნებს.

ნ. დუმბაძის მწერლური ნიჭი და ოს-  
ტატობა „მე ვხედავ მზეს“ დიალოგს,  
პეიზაჟს და ლირიულ გადახვევებს გან-  
საკუთრებული სიცხადით დაეტყო. აქ  
მწერალი მართლაც გაზრდილი მოჩანს.  
მისი გმირის ფიქრებიც მშობლიური  
სოფლის ბედობაზე, შორს მიმავალ  
გზებსა და სუფსის ქალებზე თუ დაუს-  
რულებელ სივრცეებზე ძალდაუტანე-  
ბელ ინტელექტუალობას ამჟღავნებს.  
სოსო მამალაძე ზურციკ ვაშლომიძეზე  
ბევრად უმცროსია, მაგრამ მისი ფიქ-  
რები, სულიერი ინტერესები გაცილე-  
ბით ღრმა, რთული და მრავალმხრივია.  
გარემო, ბუნების სქემატიური, თითქ-  
მის პირობითი დეკორატიული აღქმა  
წინა მოთხრობაში, ახლა უკვე შეიცვალა  
ფერმწერის სერიოზულობით შეა-  
რულებული პეიზაჟურ ნახატებით. გმი-  
რის თვლით დანახული გარემო პოე-  
ტური და მომზიბლავი გახდა, ფონმა  
„გულგრილი დეკორატიულობა“ და-  
სკარგა და ადამიანებზე თუ ცოცხალი,  
მოქმედი გახდა.

„დათვის დელის გაყოლებით იწვა  
უზარმაზარი ქალა, მიწის ორთქლით:  
და ოდის საკვამურებიდან ამოსული  
თეთრი, ქათქათა კვამლით სუნთქავდა,  
ქალას სისხლის დედაძარღვივით მის-  
დევდა სუფსა და ქვევით მიჰქონდა ამ  
ვეებერთელა მიწაზე დაღვრილი ოფლი  
და ცრემლი, რომელიც ყოველი მხრი-  
დან უერთდებოდა მას, გროვდებოდა  
ერთ დიდ მდინარედ, რწყავდა ამ უსას-  
რულო ქვეყანას, ალბობდა ამ მკერდ-  
გადმობრუნებულ ნიადაგს, მერე მიდი-  
ოდა ისევ ქვევით, და გაუთავებელი სი-

ცოცხლის ნაკადად შედიოდა მდინარეში...  
ვუქერდი ჩემი სოფლის გარეშე მი-  
წებებული ერთი მტკაველი ნაკაფიდან,  
რომელიც უზარმაზარ კედლებში ჩატა-  
ნებულ ვიწრო ფანჯარას გაედა, ამ და-  
უსრულებელ სიციცხლეს და ვხედაე-  
დი, რომ ეს ცოცხალი მიწა ჩემს გა-  
სახედზე არ თავდებოდა, რომ იგი იმის  
იქით იწვევებოდა, მერე ისევ, მერე  
ისევ და ასე დაუსრულებლად. მე ვხე-  
დავდი მზეს, რომელიც ოქროს ჭილას-  
ვით ადგა ამ ქვეყანას და ვხედებოდი,  
რომ არავის სისხლი არ ეყოფოდა, ძა-  
ლა არ ეყოფოდა, სიციცხლე არ ეყო-  
ფოდა, რომ ეს მიწა, ზღვა და მდინარე  
დაელია“. (გვ. 29) ასეთი ადგილები  
ბევრია მოთხრობაში. ერთგვარი ტირა-  
დული ტონის მიუხედავად, ამნაირი  
ლირიული გადახვევები ქმნის მუსიკას,  
რომელსაც თავისებური მრავალმხა-  
ნობა, სიმფონიური ქლერადობა ახასია-  
თებს.

აქვე ისიც უნდა ითქვას დაუფარავად,  
რომ საერთოდ სოფლის გარემოს, რო-  
გორც პეიზაჟის, ისე ყოფითი დეტალებ-  
ის ერთგვარი შეზღუდულობის ელფე-  
რიც დასკრავს. სოფლური ცხოვრების  
„კოლორიტული ინვენტარი“, მამა-პა-  
პის ღრთინდელი ნივთების, პროვინცი-  
ისათვის რამდენადმე დამახასიათებელი  
რუტინის არსებობა ზოგჯერ ანელებს  
თანამედროვეობის შთაბეჭდილებას. აქ  
არ შეიძლება „მარად სოფლურის“, მა-  
რად ქართული უცვლელობას მიაწერო  
ყველაფერი. ისე ნურავინ გაგვიგებს,  
თითქოს ავტორს ვთხოვდეთ მაინცა და  
მაინც ტრაქტორის გუგუნით გააყრუოს  
მიდამო თავისი გმირების გარშემო, უბ-  
რალოდ ახსენოს რკინიგზა ან მატარე-  
ბელიო. — არა! აქ სოფლის გარემოს  
მექანიკურ „ტექნიზაციაში“ როდია საქ-  
მე. არც მარტო იმაშია საქმე, რომ თა-  
ნამედროვე მასწავლებელი ქალი ღვთის-  
მშობელს არ შეადარო ან დასწერო  
მზე ოქროს ჭილად ადგა თავს ქვეყანა-  
სო. ყველაფერი ეს შეიძლება შემთხვე-  
ვითად მოჩანდეს. ბევრად უფრო მნი-



შენელოვანი და რამდენადმე სადავო ავტორის შეგნებული პოზიცია ყველაფერის მარტივად დანახვისა. მისი შემწეობით სწრაფვა მხატვრული აზროვნების სინათლისკენ, სისადავისკენ გასაგებია. გამარტივება ხატვის მანერისა, დამინაპიათებელი ერთპლანაობა იწვევს გაუბრალოების საშიშროებას. „ანა აირენინას“ ავტორისთვის პროვინციულ გარემოს არ შეუზღუდავს არც ლევიანის ფილოსოფიური ფიქრები, არც ანას რთული ფსიქოლოგიური ბუნების გახსნა. რა თქმა უნდა, ყველა მასალა ერთნაირად არ საკვიროებს არც თანამედროვე ფერწერის თუ სახვითი ბელოვნების საერთო კულტურის გათვალისწინებას, არც ფსიქოლოგიზმს და ინტელექტუალობას. მაგრამ ერთიც, მეორეც და მესამეც შეიძლება გარკვეული სიცხადით გამოვლინდეს თუნდაც სოფელზე დაწერილ წიგნში და ტრადიციული კილორიტის გვერდით თანამედროვეობის დამახასიათებელი ნიშნებიც თამამად შემოიტანოს მხატვარმა. შემოქმედებას სირთულე უყვარს ოღონდ გასაგები ენით ნათქვამით, წერს ერთ ლექსში ს. ჩიქოვანი. და თუ სირთულე ზოგჯერ ბუნდოვანებას უმეგობრდება, არც განზრახული უბრალოება აღმოჩნდება ხოლმე იშვიათად პრიმიტივის გვერდით.

ამ წიგნში რომ ტყვე გერმანელის გამოჩენის ეპიზოდი არ იყოს, ჩემთვის პირადად ბევრ რამეს დაკარგავდა ნაწარმოები. საქმე ისაა, რომ გერმანელის გამოჩენა უბრალო დეტალი არ არის.

არც მხოლოდ იმისთვისაა, რომ გერმანელი, რომ კიდევ ერთხელ გვიჩვენოს ქეთო მაშიდას ან სოსოიას გულკეთობა და კაცთმოყვარეობა. მიუხედავად იმისა, რომ აქ ძალზე შერბილებულია შეპირებული, მრავალტანჯული ხალხის კანონიერი გულისწყრომა გერმანელი ტყვის მიმართ, ძირითადად შუსტად არის გახსნილი ხალხის რეაქცია დამარცხებული მტრისადმი. ამავე დროს ტყვე გერმანელი აკონკრეტებს, ცხადყოფს იმ უხილავი, შორეული გზების შეგრძნებას, რომელსაც გაჰყვა ხალხი გრანდიოზულ ომში. ამითი თითქოს ზედმეტად ლოკალიზებულმა გარემომ, როგორც გაუმდინარე ტბამ, იპოვა ახალი კალაპოტი და დიდ ცხოვრებას დაუკავშირდა. მანამდე აღწერილი შეცხადების, მოთქმა-გოდების ეპიზოდები მხოლოდ გამოძახილი იყო ისტორიული ამბებისა. ტყვე გერმანელის გამოჩენამ არა მხოლოდ ომის შედეგი გაამცნო, მან გააფართოვა მწერლის ხედვის არე, და პატარა გურული სოფელი ფართო ასპექტში მოაქცია. ლირიკული გმირის კითხვამ: „სად მიდობარ შენ ჩემი სოფლის შარაგზაო და საით მიყავს ჩემი სოფელი?“ პასუხი იპოვა დიდ ცხოვრებასთან ბუნებრივსა და აუცილებელ კავშირში. რეფრენივით აღდგენებული ფრაზა გარკვეულ აზრად ჩამოყალიბდა და პატარა შეკების ცხოვრება დიდ, უსასრულო გზებს შეუერთდა.



რამაზ კობიძე

ხასიათები პოლიკარვმ კაკაბაძის შემოქმედებაში

პოლიკარვმ კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ ქართული საბჭოთა დრამატურგიის შესანიშნავი ნიმუშია. დრამატურგმა კომედიაში პოლიტიკური მედროვისა და ავანტიურისტის ბრწყინვალე სახე შექმნა. ყვარყვარეს, როგორც მხატვრული ტიპის ღირსებებს მუდამ აღიარებდა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა. კომედიისადმი მიძღვნილი გამოკვლევებიც უმთავრესად ამ სახის ანალიზით იფარგლებიან. ამავე დროს ნაკლებადაა შესწავლილი კომედიის ორი პერსონაჟი კაკუტა და ქუჩარა. ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობა ნაკლებად ცდილობდა, ამ ორი სახის სოციალური და ფსიქოლოგიური ბუნება ბოლომდე გაერკვია.

ყველაზე საინტერესო ცდები ამ თვალსაზრისით ს. ჭილაიას და გ. ციციშვილს ეკუთვნის. ს. ჭილაია ამ პერსონაჟებს ლემპენ-პროლეტარებად თვლის, რომელნიც „ძველმა ცხოვრებამ დასცა და მიწასთან გაასწორა“.<sup>1</sup> გ. ციციშვილმა ეს სახეები „პასიური მასის წარმომადგენლებად“<sup>2</sup> მიიჩნია. ორივე ეს განსაზღვრა მართებულია, მაგრამ ამავე დროს ზოგადიც, და კონკრეტუნიციას საჭიროებს.

კაკუტა და ქუჩარა სოციალური მდგომარეობით ლატაკი გლეხები არიან. ამ სოციალური ფენისადმი ინტერესი პ. კაკაბაძემ თავის პირველსავე პიესებში გამოამჟღავნა. ეს პიესები სხვადასხვაგვარნი არიან, როგორც მხატვრუ-

ლი მეთოდის, ისე ავტორის იდეური პოზიციის თვალსაზრისითაც. საერთო კი მათ სწორედ ის აქვთ, რომ მათი პერსონაჟები უმთავრესად სწორედ ლატაკი გლეხები არიან.

დრამატურგის პირველი პიესა „სამი ასული“, რომელსაც მოდერნისტულ-დეკადენტური მიმდინარეობების გავლენის აშკარა კვალი ამჩნევია, სრული უიმედობით ხასიათდება. იგი 1918 წელს, საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროსაა დაწერილი. პიესის გმირები, სამი უქონელი და უპატრონო და, რომელთაც უცნობი ვაჟის გადარჩენა ვერ შეძლეს, ფინალში შეძრწუნებულნი და სასოწარკვეთილნი ეგებებიან ლაშქრის გამოჩენას, უკვე მკვდარი ვაჟის საშველად რომ მოიჩქარის. მეორე პიესა — „სისხლი გათუნების წინ“ პირველი მსოფლიო ომის თემანზეა დაწერილი. იმპერიალისტური ომის ანტიხალხურ ხასიათთან ერთად მასში დრამატურგი გლეხის წვრილმსაკუთრულ, ეგოისტურ ბუნებასაც აკრიტიკებს. სასიკვდილო დაჭრილ, ლატაკი ქართველ გლეხს ანდრეას იმდენი სულგრძელობაც არ აღმოაჩნდება, რომ ნაპოვარი (თუ ნაძარცვი) განძის ნაწილი თავის ამხანაგს, მასავით ლატაკ სესიას შესთავაზოს. შემდეგ პ. კაკაბაძის შემოქმედებაში დიდი ადგილი სწორედ გლეხის ბუნების შეზღუდულობისა და ეგოიზმის მხილებას დაეთმობა.

პიესა „გზაჯვარედინზე“ უბრალო რუსული ოჯახის — დედის, ვაჟისა და ქალიშვილის ისტორიას გამოგვეცემს. რევოლუციონერი ვაჟი ციხეში დასწულვებულა და კვდება. დედა და ქალიშვილი კი თვალნათლივ დაინახვენ, რომ

1. ს. ჭილაია — „მეოცე საუკუნის ქართული წერლობა“, წ. III, 1962 წ., გვ. 242.

2. გ. ციციშვილი — „ქართული საბჭოთა დრამატურგია“, 1962 წ., გვ. 242.

თებერვლის ბურჯუაზიულმა რევოლუციამ მათ არაფერი მისცა და აჯანყებულ ხალხს უერთდებოდა. პიესა რევოლუციური პათოსითაა გამსჭვალული, მაგრამ ავტორმა მასში ისევ დეკადენტური მხატვრული ხერხი (მოჩვენება) გამოიყენა.

1924 წელს პ. კაკაბაძემ ორი პიესა დაწერა. „ძველი დაფები“, ისევ სიმბოლისტური „მარადიული თემების“ სფეროში ტრიალებს. მეორე კი — „ლოსანონის ტუსალები“ — აჯანყებული ხალხის თემაზეა დაწერილი. ესაა პირველი რეალისტური დრამა პ. კაკაბაძის შემოქმედებაში.

მოქმედება მეჩვიდმეტე საუკუნის შუაწლებში ვითარდება, დასავლეთ-ევროპის ერთ სატახტო ქალაქში, რომელსაც მოქმედი პირნი პორტოპოლს უწოდებენ. (ნამდვილად კი აქ პორტუგალიის დედაქალაქი ლისბონი იგულისხმება, სადაც 1755 წელს დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა). ქალაქის საპერობილის ტუსაღთა ერთი ჯგუფი გასაქცევად ემზადება. მათ მეთაურიც ჰყავთ — ვინმე პედრო, რომელიც საერთო პატივისცემით სარგებლობს და, როგორც ივანჩიხა, მოწოდებულია, ბელადის როლი შეასრულოს. ტუსალები უფრო ადრე ჰპოებენ თავისუფლებას, ვიდრე ამას თვითონ მოელოან, ციხის კედლებს მიწისძვრა ანგრევს...

სტიქიური უბედურების კვალდაკვალ ქალაქში საგულისხმო სიტუაცია იქმნება. მოსალოდნელი წარღვნის წინაშე თანაბრად უძლურნი არიან ყოფილი ტუსალებიც, ე. ი. ისინი, ვინც საზოგადოებას განკიცხული და დათრგუნვილი ჰყავდა, და ისინიც, ვინც ძალაუფლებას ფლობდა და ქვეყნის ბატონ-პატრონი იყო. პირველთაც და მეორეთაც გარდაუვალი ფიზიკური განადგურება ემუქრებათ. ამ სიტუაციაზე დაყრდნობით დრამატურგი მკაფიო მხატვრულ დაკვირვებას გეთავაზობს: გაბატონებული კლასი მაშინაც კი არ თმობს თავის პოზიციებს, როცა გარდაუვალი ფიზიკური განადგურების პირზეა მიმდგარი. ასეთია ექსპლოატატორთა მორალი. კლა-

სობრივი ანტაგონიზმი გრძელდება და ძალაშია ყველაფრის მტკიცება.

ყოფილი ტუსალების სახეთა ჩვენებაში, წერის რეალისტურობის თვალსაზრისით, დრამატურგი უეჭველ და მრავალმხრივ საგულისხმო წარმატებას აღწევს. გონებასახვილობითაა აღბეჭდილსკენები, სადაც ქალაქის ქუჩებს მოდებული როსკიბები, ყაჩაღები და ჭიბჭირები, თავისუფლების ქარის ქროლვა რომ იგრძნეს, ნიღაბს ხდიან მაღალი წრეების გარყვნილებას და ამორალიზმს. ამავე დროს დრამატურგი შორსაა ჩავრულთა მიმართ ლიბერალიზმისა და სენტიმენტალიზმისაგან. აჯანყებულ ტუსაღთაგან ბევრი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს ადამიანური მორალისა და ეთიკის ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი. დრამატურგი იმამიც გვაჩვენებს, რომ ტუსაღთა ზნეობრივი დაცემა საზოგადოებრივი პირობებითაა გამოწვეული. ამდენად, ყოფილი ტუსალები უდანაშაულონი არიან და მათი სწრაფვა თავისუფლებისადმი, მათი უნაპირო ზიზღი მტარავალთადმი წმინდა და თანაგრძნობის ღირსია. მით უმეტეს, რომ გაბატონებული კლასი, როგორც ვრწმუნდებით, სრულიადაც არ გამოირჩევა მაღალი ზნეობითა და მორალური სიმტკიცით. მაგრამ აჯანყებულთა ღლოლვას თავისუფლებისადმი სტიქიური ხასიათი აქვს. აჯანყებული ტუსალები პიესის ფინალში მარცხდებიან. ამით ავტორი ისტორიული და სოციალური სიმართლის ერთგული რჩება — არაორგანიზებულ ბრბოს არ ძალუძს ძლევამოსილი რევოლუციის მოხდენა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პიესის ისტორიული ფაქტურა დიდად ჩამორჩება დრამატურგის თანამედროვეობას.

„ლისბონის ტუსალებით“ მთავრდება პირველი, დაწყებითი პერიოდი პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებაში. პირველ პიესებში, „გზაჯვარედინზე“-ს გამოკლებით, ჩვენ ამოვად დავუწყებთ ძეზნას ფართო და ღრმა, პრინციპულ სოციალურ განზოგადოებებს, ეპოქის მთავარი პოლიტიკური ტენდენციების — მეცნიერული სოციალიზმის იდეების



ასახვას, ნამდვილ რევოლუციურ პათოსს. ამ თვალსაზრისით დრამატურგი აშკარა ძიების პროცესში იმყოფება. მას ჯერ არ შეუღმუშავებია გარკვეული და მტკიცე აზრი ადამიანთა საზოგადოების, ხალხთა ისტორიის ნამდვილ მამოძრავებელ ძალებზე.

„ყვარყვარე თუთაბერის“ გამარჯვება კი, წერის რეალისტურ მანერასთან ერთად, იმანაც განაპირობა, რომ დრამატურგმა თავისი პიესების მთავარ გმირებს — უქონელ, გონებაშეზღუდულ და პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელ გლეხკაცებს — ისტორიულად მართალი ადგილი მიუჩინა ქართული ხალხის ცხოვრებაში, ხოლო თვით ამ გლეხკაცის ცხოვრება და ფსიქოლოგია — პირველად თავისი შემოქმედების მანძილზე — სწორი, ნამდვილად რევოლუციური, სოციალური და პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ტენდენციების თვალსაზრისით შეაფასა.

„ყვარყვარე თუთაბერის“ მოქმედება — პირველი მსოფლიო ომის დროს, რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის პირას, პატარა წისკვილში იწყება. უსაქმური, ბედოვლათი ყვარყვარე მეწისქვილეს შეხიზვნია, ნაცარში რაღაც გეგმებს ხაზავს და გადიდკაცებაზე ოცნებობს. სურათი თავდაპირველად უწყინარია, ყოფითი, ერთი შეხედვით, იდილიურიც. რამდენიმე მოხდენილი რეპლიკით დრამატურგი მალე ამკლავნებს ყვარყვარეს ბუნებას, — ვიგებთ, რომ ყვარყვარე ურცხვი და უტიფარია; რომ, როგორც ყოველ უსაქმურ ფანტაზიორს, მასაც დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე. ამასთან, მას არავითარი ეჭვი არ ეპარება, რომ თავისას მიადწევეს და დიდი კაცი გახდება. „დიდი მოიჯარადრე შევექნები, — ეუბნება ყვარყვარე თავის მასპინძელს, — თვალი დაგიბრმავდება, რომ ჩაგივლი და არც შემოგხედავ“.

ესაა დრამატურგის პირველი მწვავე მართაზი მაშინდელი საზოგადოებისადმი, რაკი იმ საზოგადოებაში ყვარყვარესთანებს ფრთების გაშლის მტკიცე იმედი აქვთ. შემდეგ დრამატურგი თანდათან აფართოებს ჩვენს ცოდნას იმ სა-

ზოგადოებრივ სიტუაციაზე, რომელშიც ყვარყვარეს ცხოვრება უხდება. ვიგებთ, რომ აქვე, წისკვილიდან შორიანხლოს, სისხლისმღვრელი ომი წარმოებს; რომ მეწისქვილის ქალიშვილი გულთამზე მოხალისედ, მოწყალების დად წასულა ფრონტზე; და რომ ყვარყვარეს სულაც არ აწუხებს ომის ამბავი, იგი ისევ თავის განდიდებაზე ოცნებობს და მეწისქვილეს უჯავრდება კიდევც, ომის ამბები ჩემთან რატომ მოგაქვსო. ამის შემდეგ წისკვილში ყვარყვარეს სოფელი მეზობლები — კაკუტა და ქუჩარა შემორბიან.

პოლიკარგე კავახაძის ლიტერატურული სტილის მთავარი ნიშანი, — ლაკონიზმი, განსაკუთრებით რელიეფურად ამ ორი პერსონაჟის დახასიათებაში მკლავნდება, კაკუტა და ქუჩარა სულ რამდენიმე წუთს რჩებიან სცენაზე და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვტყობილობთ, რომ ისინი ღატაკი გლეხებია და „სულის ჩასაბრუნებელი ჭადი“ საძებარი აქვთ; რომ მოიჯარადრე — ე. ი. საზოგადოების პრივილეგირებულმა წევრმა, ისინი მოატყუა და მშრალზე დატოვა; რომ გარეთ „თათრის ყუმბარები სულ ხეს და მიწას გლეჯენ“ და „სამუშაოზე ვეღარ გაჩერდები“; რომ მათ ცოტა ეშინიათ თავიანთი მეზობლის — ქედმაღალი და ამპარტავანი ყვარყვარესი. ამავე დროს ჩვენთვის ისიც საცნაური ხდება, რომ კაკუტასა და ქუჩარას ერთმანეთში ცოტა უცნაური მეგობრობა აქვთ, ერთმანეთს ვითომ ყველაფერში ენდობიან და თან ყოველ ნაბიჯზე ამოწმებენ, არ მომატყუოსო. საცნაური ხდება მათი ხასიათების პირადი ნიშნებიც. ქუჩარა ცოტა ყბედი, შედარებით თამამი და მოძრავია, კაკუტა კი — უთქმელი, ხათრიანი და ხელჩაქნული.

ყვარყვარე თუთაბერი, როგორც დავინახეთ, დრამატურგს თავიდანვე სატირულ სახედ ჰყავს გამოყვანილი. კაკუტასა და ქუჩარას კი კავახაძე თბილი იუმორით ეპყრობა. ჩვენს თვალწინ მკვეთრი რელიეფურობით იხატება ორი

ლატაკი, უბედური და გონებანალუნგი გლხეკაცის სახეები. მათთვის საზოგადოებას შიმშილის, დამცირების და წვალების მეტი არაფერი გაუმეტებია. რაკი ჩვენ ამას ვხედავთ და ვხედავთ იმასაც, რომ კაკუტა და ქუჩარა მინც არავითარ პროტესტს არ გამოთქვამენ მათდამი მტრული საზოგადოებრივი წყობისადმი და მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ სადღეისო მჭადი იშოვნონ, ჩვენ წარმოდგენა გვექმნება მათ პოლიტიკურ პასივობასა და გაუთვისებლობიერებლობაზე. ხოლო იმ ტრადიციული მეზობლური ხათრისა და შიშის გრძნობა, რომელსაც ეს ორნი ყვარყვარესადმი განიცდიან, გვაფიქრებინებს, რომ ეს უკანასკნელი მოწოდებულია რაღაც როლი ითამაშოს მათ ცხოვრებაში.

მაღე ირკვევა, რომ საზოგადოება ორ მტრულ ბანაკადაა გაყოფილი. წისკვილში დევნილი ბოლშევიკები — სევასტი და გულთამზე შემორბიან. ჯარში ომისსაწინააღმდეგო ფურცლების გავრცელებისთვის მათ სიკვდილი ელით. სევასტი მოახერხებს და მღვერებს — მეფის ოფიცრებს — თავის მაგიერ ყვარყვარეს შეაჩეჩებს.

ჩვენს კრიტიკაში არაერთხელ გამოთქმული აზრი, რომ, კომედიის სხვა პერსონაჟებთან შედარებით, გულთამზესა და სევასტის სახეები სქემატურია, საფუძველს მოკლებული არ არის. სევასტი და გულთამზე მხოლოდ „სიუჟეტზე მუშაობენ“, ამბებს მიმართულებას აძლევენ, და ცოცხალი ხასიათის კონკრეტული ნიშნები თითქმის არ გააჩნიათ. როგორც დავინახავთ, ეს გარემოება მინც არ ახდენს საგრძნობ გავლენას კომედიის იდეურ-მხატვრულ მიზანდასახულობაზე. თუმცა-და, ისიც უნდა ითქვას, ამ მიზანდასახულობის შესრულებას დიდად შეუწყობდა ხელს სევასტისა და გულთამზეს სახეები უფრო სავსენი რომ ყოფილიყვნენ.

კომედიის პირველი მოქმედების დასასრულს სურათი ნათელი და დასრუ-

ლებულია: ქვეყნად — სისსლისსმწკრელი ომია, საზოგადოება ორ მტრულ ბანაკადაა გაყოფილი — ომის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად — ბოლშევიკებად. პირველი მეორეს სდევნიან. მეორენი თავგანწირვით იბრძვიან საზოგადოების გარდაქმნისათვის. შემთხვევით, არსებული წესწყობილების დამცველებმა უტიფარი ბედოვლათი ვვარყვარე ბოლშევიკ-რევოლუციონერად მიიჩნიეს და დააპატიმრეს. გარდა ამისა, ქვეყნად არსებობენ კაკუტა და ქუჩარა, რომელთაც არსებული საზოგადოების გარდაქმნა სიკეთის მეტს არაფერს მოუტანს. ისინი შიმშილის, ტანჯვისა და უბერსაქეტივობის უკანასკნელ საფეხურზე არიან. მიუხედავად ამისა, კაკუტა და ქუჩარა არავითარ მონაწილეობას არ იღებენ საზოგადოების გარდაქმნისთვის ბრძოლაში, მათ საერთოდ ვერც წარმოუდგენიათ, თუ ასეთი რამ შესაძლებელია. ისინი ხელჩაქნეულნი არიან ცხოვრებაზე და არც ფიქრობენ, რომ შეიძლება არსებობდეს უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის გზები და საშუალებები.

კომედიის სწორი გაგებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პირველი მოქმედების მანძილზე ერთმანეთს არსად არ ხედებიან კაკუტა და ქუჩარა — საზოგადოების ჩაგრული წევრები, რომელთათვისაც არსებული წყობილების შეცვლას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, — და ბოლშევიკები სევასტი და გულთამზე, რომელნიც შეუბოვრად იბრძვიან ამ წყობილების დასამზობად და, მაშასადამე — იმავე კაკუტასა და ქუჩარას კეთილდღეობისათვის. ეს სცენური სიტუაცია ისტორიულ სიმართლეს ეყრდნობა. მოქმედება ხომ თებერვლის რევოლუციის წინა ხანებში წარმოებს და იმ დროს, როგორც ცნობილია, მეფის რუსეთსა და განსაკუთრებით მოქმედ არმიამი არნახულ სიმძაფრეს მიაღწია ბოლშევიკების დევნამ. მონარქიის მცველები, რომელნიც უკვე გრძნობდნენ მოახლოე-

ბულ დაღუპვას, არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ, რათა ბოლშევიკი აგიტატორებისათვის — მონარქიის უპირველესი და შეურიგებელი მტრებისათვის — მასებთან მისასვლელი გზები გადაეკეტათ.

ბოლშევიკები უსასტიკეს დევნას განიცდიდნენ და მოკლებული იყვნენ საშუალებას, თავისი ისტორიული და სოციალური სიმართლე ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების ყველა ჭკუფთან, ყველა წევრთან მიეტანათ. კაკუტას და ქუჩარას სოციალური და ფსიქოლოგიური ბუნების გაგებისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვს სწორედ იმის გათვალისწინებას, რომ ისინი ბოლშევიკური აგიტაციის გავლენის გარეშე არიან დარჩენილნი.

მეორე მოქმედებაში, სწორად გადმოცემული ისტორიული ვითარების ფონზე, ყვარყვარეს ავანტიურისტული და ანტიხალხური ბუნების გაღრმავებასა და შემდგომ მხილებასთან, მონარქიის დამცველთა პოლიტიკური გაკოტრების, ზნეობრივი დაცემულობის და კაცთმოძულეობის გამჟღავნებასთან ერთად, კაკუტას და ქუჩარას სოციალურ ფსიქოლოგიური ბუნების ჩვენებაც ღრმავდება.

ყვარყვარესა და მეფის სატრაპთა ქცევა ამ მოქმედებაში არაერთხელ და ამომწურავადაა გაანალიზებული ჩვენი ლიტერატურათმცოდნეების მიერ. ყვარყვარეს, როგორც „რევოლუციონერს“, ჩამოხრჩობა ელის. მას ყოველნაირად ამცირებენ, აზინებენ და შეურაცხყოფენ შტაბის ოფიცერები. ამ უკანასკნელთა ქცევაში მკაფიოდ ჩანს მონარქისტების შიში და სიძულვილი ბოლშევიკებისადმი. ამ წრეში თვით სიტყვა „ბოლშევიკი“ დამამცირებელ ეპითეტად ითვლება. როცა აღიუტანტი მწერალს გაუჩაგრდება, „ხანდახან ბოლშევიკი კი მგონიხარო“, ეს უკანასკნელი თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს: „მე — ბოლშევიკი?!“ და ატირდება.

ყვარყვარეს შიშის ძრწოლა აქვს

ატეხილი — „ეს რა მდულარეობაა! ცე ფეხი“, „ნამდვილად მასხრავს! დასაქმდა“. მართლაც, თეთრგვარდიელებისაგან ბოლშევიკი დანდობას არ უნდა ელოდეს. მაგრამ მოულოდნელად მეფის ჩამოგდების დებეშა მოდის, — და სიტუაცია რადიკალურად იცვლება. შტაბის ოფიცრები „რევოლუციონერ“ ყვარყვარეს ჩამოხრჩობით რომ ემუქრებოდნენ, ახლა ძრწიან „ხალხისთვის წამებული გამირის“ წინაშე და მას ფეხქვეშ ეგებიან. უტიფარი ყვარყვარე წელში იმართება და ფეხებს რისხვით აბაყუნებს. ეშმაკი მედროვე მიხვდა, რომ დარი და უდგა და სარგებლობის მოპოვებაც შეუძლია. იგი სულაც არ აპირებს ხელსაყრელი მომენტის ხელიდან გაშვებას. უსიცივხლოდ ითვისებს ბოლშევიკების — სევასტისა და გულთამაზეს ნამოღვაწარს, თავს რევოლუციონერად აცხადებს, ხალხისაგან „თავგანწირვის და ფასებას“ ელის და მოითხოვს.

გარედან მოზეიმე ხალხის გუგუნე მოისმის. მალე შტაბში ჯარისკაცები შემოვარდებიან. მათ ყვარყვარე, მართლაც, რევოლუციონერი ჰგონიათ. მხრებზე შეისვამენ, თხოვენ სიტყვა გვითხარო, და ზემით გაჰყავთ ქუჩაში.

ისტორიული სინამდვილე კომედიის იშვიათი სიზუსტითაა გადმოცემული. დრამატურგი იძლევა მართალ ისტორიულ სურათს და კომედიის კიდევ ორ მთავარ პერსონაჟს — კაკუტასა და ქუჩარას უბრუნდება.

კაკუტა და ქუჩარა მაშინ შემოდინს ცეცნაზე, როცა მეფე უკვე ჩამოგდებულია, ყვარყვარეს კი თავი ქვეყნის ბატონ-პატრონად წარმოუდგენია და ზეიმობს. უკვე ის ფაქტი, რომ კაკუტასა და ქუჩარას სოფელი მიუტოვებიათ და ქალაქში ჩამოხეტებულან, მეტად ნიშნეულია. იგი მოასწავებს, რომ კაკუტასა და ქუჩარასაც უგრძნვით განახლების ქარის ქროლეა და აღძრულან, იქნებ, ამ არეულობაში ჩვენც გვეშველოსო. ხოლო შეფასება, რომელსაც ისინი ყვარყვარეს აღზევებს აძლევენ, ნათელ წა-

რმოდგენას გვექმნის მათ პოლიტიკურ სიჩლუნგზე.

ყვარყვარე ჯერ ატყუებს, თავს აცოდებს და უსაყვედურებს მათ, განსაცდელში მიმატოვეთ და გამეჭვებით, ახლა მე, როგორც რევოლუციონერს, ციხე და სახრჩობელა მომელისო. კაკუტასა და ქუჩარას ჯერ ეჭვი ეპარებოთ ყვარყვარეს რევოლუციონერობაში („რომ არ იყავი შენ მაგისტანა კაცი?“). მერე კი იჭრებენ — ყვარყვარეს რევოლუციონერობას! და აღელვებული ქუჩარა ყვარყვარესადმი თანაგრძნობით განმსჭვალულ, და ამავე დროს უკიდურესი გონებრივი სიჩლუნგით აღბეჭდილ ფრზას წარმოთქვამს: „ქუჩარა — (მღელვარედ) — შე საწყალო, ა?... ახლა... რისთვის შეგხედა ეს შენ?“.

ქუჩარას ეცოდება ციხეში მოხვედრილი მეზობელი, მაგრამ მისთვის და კაკუტასთვის ადამიანის ციხეში მოხვედრა რაიმე კანონზომიერი მოვლენა, და მით უმეტეს, ხალხისათვის თავდადებული ბრძოლის შედეგი კი არ არის. არამედ რაღაც მორალური სენია, რომელიც, შეიძლება, ყველას შეეყაროს. და აი, აქი ყვარყვარესაც შეჰყრია!

საყურადღებოა, რომ ვ. ი. ლენინი თავის სიტყვაში სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა პირველ სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1919 წლის 19 მაისს ასე ახასიათებდა უფიცებს და ჩამორჩენილებს: „ავილოთ თუნდაც ჩერნიშევსკი. შევაფასოთ მისი მოღვაწეობა. როგორ შეუძლია შეაფასოს ეს მოღვაწეობა სრულიად უფიცმა და ბნელმა ადამიანმა? ის, ალბათ, იტყვის: „რას იზამ, გაიფუჭა კაცმა ცხოვრება; მოხვდა ციმბირში, ვერაფერს მიაღწია“. აი ნიმუში. როცა ასეთ შეფასებას გავიგონებთ უცნობი ვინმესგან, ვიტყვი: „საუკეთესო შემთხვევაში ასეთ შეფასებას იძლევა სრულიად ბნელი ადამიანი, რომელსაც, შესაძლოა, ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ ის ასე დაბეჭავებულია, რომ არ ესმის ცალკეული რევოლუციონერის მოღვაწეობის მნიშვნელობა რე-

ვოლუციური ამბების სურათის წყვეტთან დაკავშირებით“<sup>1</sup>.

3. კაკაბაძე მსუბუქ იუმორისტულ ფორმებში გვაცნობს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ, სოციალურ და პოლიტიკურ ჰუმანიტებას: ლატაკი და უქონელი გლეხობის პოლიტიკურად გაუთვისებლობიერებელ, გონებაჩლუნგ წარმომადგენლებს, შეიძლება, რაღაც ადამიანური თანაგრძნობის მსგავსი განეცადოთ ციხეში მოხვედრილი რევოლუციონერისადმი, მაგრამ მათ ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ამ რევოლუციონერის მოღვაწეობა თვით მათი, გლეხკაცის ინტერესებისათვის იყო გამიზნული, და რომ იგი შეგნებული და გამიზნული მოქმედება იყო.

თავიანთი პოლიტიკური სიჩლუნგის მეოხებით კაკუტა და ქუჩარა ხელს უწყობენ ყვარყვარეს აღზევებას და ამტკიცებენ მის მდგომარეობას. ისინი მხარში ამოუდგებიან განდიდებულ მედროვესა და ავანტიურისტს, და ვერ მალავენ თავიანთ სიხარულს იმის გამო, რომ ყვარყვარეს განდიდებით, (რაკი ეს უტიფარი მათი მეზობელი და ნაცნობია) მათაც ეშველებათ. კაკუტასა და ქუჩარას ამ იმედებსა და სიხარულში იხატება მათი გონებრივი ავლადიდება და მათი პოლიტიკური გაუნათლებლობა. მათ ამ საქციელში ჩანს გლეხის დამოკიდებულება რევოლუციისადმი, რასაც ვ. ი. ლენინი წერილში — „ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“, ასე ახასიათებდა: „ჩვენს რევოლუციაში გლეხობის მცირე ნაწილი, მართლაც, იბრძოდა და ამ მიზნისაკენ რამოდენიმედ კედევაც ირახმებოდა, და სულ მცირე ნაწილი ჯანყდებოდა, და იარაღს ჰკიდებდა ხელს თავისი მტრების შესამუსრავად. მეფის მსახურთა და მემამულეების დამცველთა გასანადგურებლად. გლეხობის უდიდესი ნაწილი სტიროდა და ლოცუ-

1. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 29, თბილისი, 1952, გვ. 393—394.

ლობდა, რეზონერობდა და ოცნებობდა... თავის შეკავება პოლიტიკაში, პოლიტიკის ტოლსტოისებური უარყოფა, მისდამი ინტერესის უქონლობა და მისი გაუგებლობა იმას შერებოდა, რომ შეგნებულ და რევოლუციურ პროლეტარიატს მოჰყვებოდა უმცირესობა, უმრავლესობა კი ხელში უფარდებოდა იმ უპრინციპო, მლიქვნელ, ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, რომლებიც კადეტების სახელწოდებით ტრუდოვიკების კრებიდან გარბოდნენ სტოლინის დერეფანში, ელიჯინებოდნენ, ევაპრებოდნენ, არიგებდნენ, შერიგებას პირდებოდნენ, — სანამ სალდათის ჩექმის კინწის კვრით არ გააგდეს ისინი“.<sup>1</sup>

კაკუტა და ქუჩარა — ის მხატვრული სახეებია, რომლებშიც უმნიშვნელოვანესი სოციალური და პოლიტიკური მოტივი — გლეხკაცის აპოლიტიკურობა, მისი პოლიტიკური უსუსურობა და უზერხემლობა განხორციელებული.

3. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“ პოლიტიკური აქტუალობის შესაფასებლად ისიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიდი ოქტომბრის რევოლუციის დროინდელი საქართველო უმთავრესად გლეხური ქვეყანა იყო, და აქ მოსახლეობაში რიცხობრივი უპირატესობა — აქედან გამომდინარე ყველა შედეგით — გლეხებს ეპყრათ.

კომედიაში მოქმედების განვითარების კვალდაკვალ იცვლება დრამატურგის დამოკიდებულებაც კაკუტასა და ქუჩარასადმი. ადამიანურ თანაგრძობას, რასაც ავტორი ამ პერსონაჟებისადმი პირველსა და მეორე მოქმედებებში ამვლავნებს, პოლიტიკური სატირისა და საკაკაბაძის მკვეთრი მოტივიც ემატება.

ეს მოტივი განსაკუთრებულ სიმძლავრით ელერს მესამე მოქმედებაში.

სიტუაცია ისევ ისტორიული სიმართლითაა გადმოცემული. საქართველოში დროებითი მთავრობის წარმომადგენლები — მენშევიკები, კადეტები, ესერები ბატონობენ. დრამატურგი მკვეთრ სატირულ ფერებში გვიხატავს ძალუფლების მპყრობელთა ტიპურ წარმომადგენლებს. დროებითი მთავრობის რწმუნებული უსულგულო კარიერისტი, რომელიც პირად კეთილდღეობას ყველაფერზე მაღლა აყენებს. ამასთან, იგი პატივმოყვარეცაა. „დღეს ბაღინჯოც კი სხვაგან არ იჭყლეტს თავს, თუ არ ისტორიის ფურცლებზე, შენ კი ასეთ დროს სულ უსახელოდ იღუპებიო“, — ეუბნება იგი მენშევიკ ტიტე ნატუტარს. ტიტე ნატუტარი კი პოლიტიკური მედავიონის მკვეთრი სახეა. მას ორიოდე წიგნი წაუკითხავს და ხალხზე წარმოდგენა იმ წიგნების მიხედვით შეუმუშავებია. ცხოვრება უმტკიცებს მას, რომ ხალხზე არასწორი წარმოდგენა აქვს, რომ იმ წიგნებში ხალხი მცდარად იყო გამოსახული. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ცხოვრებას დაუჯეროს, ნატუტარი ისევ წაკითხულის ტყვეობაში რჩება; და, რაკი ვერ წარმოუდგენია, რომ წიგნები ცდებოდნენ, ცოცხალ ხალხს გაურბის და წყველაკრულვას უგზავნის. „როგორც პოეტების დახატული ქალი არ არსებობს ბუნებაში, ისე არ არსებობს ხალხი იმ სახით, როგორც ჩვენ პოლიტიკოსები გვასწავლიდნენო“, — სასოწარკვეთილად გაჰკვივის იგი.

ამ „მოღაწეებს“ მხარში უდგას და ეხმარება ყვარყვარე თუთაბერი. ამ დროისათვის იგი „დიდების“ მწვერვალზეა ასული. მას „ჯარი ჰყავს“, რომელიც მას „ენდობა და უჯერის“. რწმუნებულისა და ნატუტარის არ იყოს, ყვარყვარესაც არაფრად ეპიტანავება ხალხის ინტერესები. იგი მხოლოდ თავის განდიდებაზე, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს. და თავისი მიზნების მისაღწევად არავითარ საშუალებას არ

1. ვ. ი. ლენინი ლტერატურის შესახებ, წერილებისა და ნაწევრების კრებული, საქ. სახელგამი, 1945 წ., გვ. 121.



ერიდება. „იმ თქვენს ზარბაზნებს ყელებს სულ არ გავუციობ... სულ დღეღამე ვაგრიალებ, სანამდე... მთელ ხალხს არ დავაჩოქებ... მანამდე ჩემი მოსვენება არ იქნება“. — პირდება იგი რწმუნებულსა და ნატუტარს.

ეს სამეფული ტყუილად არ მიმართავს ზარბაზნებს. შიშვლითა და უუფლებობით გაწამებულ ხალხსა და არმიაში პირდაპირ ელვის სისწრაფით იზრდება ბოლშევიკების გავლენა. დრამატურგი—თავისი ლიტერატურული სტილის მთავარი ნიშნის — ლაკონიზმის ერთგული — რამდენიმე მკვეთრი შტრიხით გვაძენობს ხალხის მრისხანებას, მენშევიკთა „დემოკრატიული სახელმწიფოს“ დრომოჭმულობას და უნიადაგობას. შტაბის მკველი ჯარისკაცები დაურიდებლად უყვირიან „მთავრობას“ — „ფეხზე დგომით ჩამოვწყდით, გამოგვცვალე, თუ რა გგონია, თავისუფლებამ მართო შენთვის დაარტყა ბარიო?!“... ტიტე ნატუტარი უილაჯოდ წუწუნებს — „მე ხალხისთვის რა არ ჩაუიღინე, იმდენი ვუქადავე, რომ ტვინი ამიდულდა, მაგრამ ეს ასთავიანი დევი მაინც გაბოლშევიკდა და ბოლოს, ფარული ბილიკები რომ არ მეპოვა, მზერიდან ტყავს ვერ მოვიტანდიო“... სცენაზე ბოლშევიკი გულთამზე შემოდის და დაურიდებლად ახლის ქვეყნის მესვეურებს — „გამოაცხადეთ, რომ მთავრობა არ არსებობს, და მშრომელი ხალხი, რომელმაც ეს რევოლუცია მოახდინა, შეძლებს მთავრობა შეადგინოს“. მენშევიკები იძულებული არიან გულთამზე დააბათირონ. უკვე ამ აქტში აშკარად იგრძნობა მენშევიკური რეჟიმის განწირულობა. იგრძნობა, რომ ძალაუფლების მპყრობელებს მხოლოდ უხეში ძალის იმედი უნდა ჰქონდეთ. ასეთ ძალას, თავის უკანასკნელ დასაყრდენს, ისინი ავანტიურისტ ყვარყვარე თუთაბერში ხედავენ.

ეს ისტორიული ვითარება საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დახასიათებულია, როგორც სამოქალაქო ომი. იმოწმებს

რა სკვპ ცუთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საქართველოს ფილიალის მასალებს, აკად. გ. ხაჭაპურიძე წერს: „... ქართველი მენშევიკები და მათი მთავრობა არასდროს არ წყვეტენ ლაპარაკს იმის შესახებ, რომ საქართველომ თითქოს აიცილინა სამოქალაქო ომი. ეს საძაგელი სიცრუეა, რომ მოატყუონ ხალხი. სინამდვილეში კი საქართველოს მთავრობის მხრივ კაპიტალისტების და მემამულეების სასარგებლოდ წარმოებდა და წარმოებს ნამდვილი ფორმის სამოქალაქო ომი საქართველოს მშრომელთა მასების წინააღმდეგ, რადგანაც რა არის ბოლშევიზმთან ბრძოლა, რომლითაც ასე ტრიაბობენ მენშევიკები, თუ არადა სამოქალაქო ომი?“.

ასე რომ, „ყვარყვარე თუთაბერის“ მოქმედი პირნი სამოქალაქო ომის, იმ ბრძოლის ვითარებაში იმყოფებიან, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის, მემამულეთა და კაპიტალისტების ინტერესთა დამცველების წინააღმდეგ წარმოებს. და ამ ვითარებაში კომედიის ორი პერსონაჟი, მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული კაცუტა და ქუჩარა ყვარყვარეს აკეიატებიან, და მამასადამე. საკუთარ სოციალურ მტრებს — მემამულეებსა და კაპიტალისტებს ემზრობიან. ისინი მშვენიერად გრძობენ თავს ხალხის მძარცველისა და მოძალადის ყვარყვარეს კალთაში და ფიქრდაც არ მოსდით აჯანყებულ ხალხს მიეზრონ. პირიქით, ისინი ყვარყვარეს იმას უსაყვედურებენ, ლაპარაკი არ გცოდნია და ბოლშევიკები ამით გკობნიანო.

როგორც დასტურდება, კაცუტა და ქუჩარა სოციალურ-პოლიტიკური ილუზიების ტყვეობაში მყოფი გლეხობის ტიპური სახეებია, და თუ პ. კაკაბაძის

1. აკად. გ. ხაჭაპურიძე — „ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“, საქ. მეცნ. აკად. გამომც. 1957 წ. გვ. 235.

კომედიაში შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა ამ ილუზიების გამოწვევებზე. პირველად, სამაგიეროდ, მეტად მკვეთრად იგრაჟობა ამ ილუზიების წარმავლობა, კაცუტასა და ქუჩარას იმედების ეფემერულობა და განწირულობა: ეს ორნი ყვარყვარეს იმედით სულდგმულნი. ყვარყვარე კი, როგორც კომედიის დასაწყისიდანვე ვიცით, შემთხვევითი, მოჩვენებითი გმირია. მან ბოლშევიკების ღვაწლი მიითვისა, და მისი „დიდების შარავანდედი“, რა თქმა უნდა, მაშინვე გაქრება, როგორც კი ძალაუფლებას ბოლშევიკები დაეპატრონებიან და ხალხს ყვარყვარეს შესახებ სიმართლეს ეტყვიან.

მესამე მოქმედების დასასრულს ყვარყვარე ბოლშევიკების მხარეზე გადადის. პოლიტიკურმა შედროვემ დაიწახა მენშევიკების საქმის უიმედობა და გულთამზეს ეხვეწება. „ბოლშევიკურ ლაპარაკში მინდა გაწაფვა, და მომეხმარეო“. ამ ავანტიურისტს შეგნებულნი აქვს, რომ სწორი პოლიტიკური ლოზუნგების ამოფარებით შეუძლია ძალაუფლების შენარჩუნება. ხოლო კაცუტა და ქუჩარა, ყვარყვარეს მისი „გმირული ცხოვრების“ მანძილზე სულ კვალდაკვალ სდევდნენ — სწორედ ახლა სტოვებენ მას და შეშინებულნი ვარბიან. ისინი თავიანთ მფარველს სტოვებენ და ზურგს აქცევენ სწორედ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი—მართალია საკუთარი, ვიწრო ეგოისტური მოტივებით და სრულიად აცხარა იდეური მოსაზრებით—ხალხის, კაცუტასა და ქუჩარასთანების ინტერესებისთვის მებრძოლ პარტიას ემხრობა. თავისი პერსონაჟების ამ უკიდურესი პოლიტიკური სიბეცის აქტს დრამატურგი მისთვის დამახასიათებელი იუმორით გადმოგვცემს.

მეოთხე მოქმედებაში ყვარყვარე ბოლშევიკებს მიტმასნილ შედროვედ გვევლინება. შედროვეს უპატრონოდ დარჩენილი მხარა ხელში ჩაუგდია და პარპაშობს. დრამატურგი არ იშურებს მუქ ფერებს საბოლოოდ გაბრწყინილი

თუთაბერის გამოაშკარავებისათვის. ყვარყვარე უსინდისოდ მარცხვეს ხალხს, უდანაშაულოებით ავებს საპატიმროს. საპრობილში ჩაუგდია თავისი ძველი მასპინძელი, გულთამზეს მამაც, მეწისქვილე, რომელმაც ერთ დროს მშვიდ-მწყურვალ და უბინაო ყვარყვარე შეიფარა. ყვარყვარეს ავაცობა უმალდეს წერტილზე ასული. ამავ დროს ეს ავანტიურისტი პროლეტარიატის და ბოლშევიკების სახელს ეფარება.

აშკარაა, თუ როგორი „ბოლშევიკია“ ყვარყვარე. მისი იმედი არ შეიძლება ჰქონდეთ მშრომელებს. მზარის მოსახლეობის შეგნებულნი ნაწილი ამას ხედავს და ელის, რომ ყვარყვარეს მალე გამოიყვანენ სააშკარაოზე — „მაგის წამალი რევეკომიდან გამოვო“. ამას მხოლოდ კაცუტა და ქუჩარა ვერ გრძნობენ. ისინი ისევ ყვარყვარესთან მოდიან, რათა გამწყრალ მფარველს თავი შეაეცოდონ და გული მოუღებონ, მათ გლეხკაცის საუკუნობრივი ოცნებას ასრულება — მიწის მიღება სწადიათ. მით უმეტეს, რომ კაცუტას ცოლი — „მსავით უპატრონო და ოხერი“ ლირსა უთხოვია და ოჯახს მოჰკიდებია.

მეოთხე მოქმედებაში კაცუტასა და ქუჩარას დიალოგი ყვარყვარესთან ამ გლეხების უკიდურეს პოლიტიკურ სიჩლუნგეს გამოხატავს. ქუჩარა აქ ამბობს თავის ცნობილ ფრაზას, რომლითაც იგი, თავისი ჰკუთით, ბოლშევიკებს ახასიათებს: „ბოლშევიკებს, თურმე, ერთი კალაპოტი მოუტანიათ, ვინც პატარა იმაზე, ვიდრე დადგენილი და ვინც დიდია, იმაზე დამოკლებენ. რაც უნდა იხტუნო, თურმე, იმ კალაპოტს ვერ გაეჭყვიო“. ასეთი წარმოდგენა აქვს ამ გლეხებს ბოლშევიკებზე და, გასაგებია, ამიტომაც სჯერათ ყვარყვარეს „ბოლშევიკობა“. მაგრამ ყვარყვარე მალე გამოაჩენს თავის კლანჭებს. თავის ნამეგობრალებს ურისხდება და სატუსალოში ჩაპყრის. საბოლოოდ, კვამლივით იფანტება კაცუტასა და ქუჩარას ილუ-

ზიები — ყვარყვარეს მეოხებით კეთილი ცხოვრების მოპოების იმედები.

მეოთხე მოქმედებაშია კომედიის ლოგიკური დასასრულიც. სცენაზე ნამდვილი ბოლშევიკები — სევასტი და გულთამაზე შემოდიან, და ხალხის თვალწინ ყვარყვარე საშოკაოზე გამოჰყავთ. კაკუტა და ქუჩარაც ახლა-ღა ხედებიან, თუ როგორ ტყუფდებოდნენ და ბურანიდან გამორკვევას ზეიმობენ. „ააღლია, — მისძახის ქუჩარა „ნაგმი-რალს“, — ხომ ჩავარდი ტაფაში“.

„ყვარყვარე თუთაბერი“ პირველად 1929 წელს, — საქართველოში საბჭოთა ზელისუფლების დამყარების მერვე წლისთავე დაიდგა. კომედიის აქტუალობა მაშინდელმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ვითარებამ განსაზღვრა.

საქართველოში ისევე, როგორც ახალგაზრდა სოციალისტური სახელმწიფოს ყველა სხვა კუთხეში, მწვავე მატერიალური გაპირება სუფევდა. ჯერ არ დაწყებულიყო სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, მდიდრები, — განსაკუთრებით სოფლად, — ისევ მდიდრებად რჩებოდნენ, ღარიბები კი ღარიბებად. სოფლის მოსახლეობის ყველაზე ჩამორჩენილი ნაწილი, ქუჩარასავით რომ ფიქრობდა, „ბოლშევიკებს ერთი კალაპოტი მოუტანიათ, დიდებს იმაზე დაამოკლებენ და პატარას იმაზე გაადიდებენ“, და საკუთარი გონებაშეზღუდულობის, გლეხური უნდობლობის და ინდივიდუალიზმის წყალობით, გულგრილი რჩებოდა ბოლშევიკური პროპაგანდისა და აგიტაციისადმი, ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდა ძველ რეჟიმებსა და ახალ წყობილებას შორის, ხალხში ჯერ კიდევ ცოცხლობდა მენშევიკთა დროის იდეური ნაკვალევი. და ბევრი, ვისაც წინ გახედვას არ შეეძლო, ისევ უკან იხედებოდა.

ჩაგრულთა, უუფლებოთა და ექსპლოატირებულთა მიმართ ღრმა თანაგრძნობით გამსკვალულმა მწერალმა ნათლად დაინახა კომუნისტური პარტიის

იდეათა სიდიადე და გარდასული დროების, დამსხვრეული რეჟიმების ანტიხალხური ბუნების ბრწყინვალე მხატვრული ანალიზი მოგვცა. ყვარყვარე თუთაბერი — ტიპური სახეა პოლიტიკური ავანტიურისტიკისა, რომელიც ისტორიის ზედაპირზე 1917 წლის თებერვალში ამოტევიდა, და ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ჩაგრავდა, შეურაცხყოფდა და ატყუებდა ქართველ მშრომლებს. ამავე დროს, როგორც დავინახეთ, დრამატურგმა კომედიამ პოლიტიკურად უვიცი გლეხების შესანიშნავი სახეებიც დაგვიხატა, იმ გლეხებისა, რომელთაც ყვარყვარესთანების „გპირობა“ იწამეს, და ეს რწმენა დიდხანს შეინარჩუნეს კიდევ. პოლიკარპე კაკაბაძე — გლეხკაცის პოლიტიკური უვიციობის, გლეხკაცის ეგოისტური ბუნების მხატვარი და კრიტიკოსი — ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში უსათუოდ ნოვატორად უნდა ჩაითვალოს.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში პოლიტიკურად უვიცი გლეხკაცების სახეები უფრო გვიანაა შექმნილი და სხვა უფრო გვიანდელი საზოგადოებრივი მოძრაობის — სოფლის სოციალისტური გარდაქმნის დროს განასახიერებენ.

პოლიკარპე კაკაბაძეს არ მიუტოვებია თავისი გმირები ცხოვრების შეუგზავნა. დრამატურგის შემდეგი კომედია — „კოლმეურნის ქორწინება“ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის თემაზეა შექმნილი, ე. ი. ქართველი ხალხის ისტორიის ახალ ეტაპს ეხმაურება. ამ კომედიაში კაკაბაძე „ყვარყვარე თუთაბერის“ პერსონაჟებს უფრო ზუსტად, იმავე სოციალურ ტიპებს, რომლებიც „ყვარყვარე თუთაბერშია“ გამოყვანილი, ახალ საზოგადოებრივ ვითარებაში გვიხატავს.

ხალხის ისტორიის თვალსაზრისით ერთი ნაწარმოებია პ. კაკაბაძის ორი კომედია — „ყვარყვარე თუთაბერი“ და „კოლმეურნის ქორწინება“. მეორე კომედია თავისი იდეურ-მხატვრული კონ-



ცეცხლით არსებითად განსხვავდება პირველისაგან; იგი სხვა საზოგადოებრივი ვითარების პროდუქტს წარმოადგენს, მაგრამ — „კოლმეურნის ქორწინებაში“ — ვითარებიან და ახალ თვისებებს იძენენ სწორედ ის სოციალური ხასიათები და ტიპები, რომლებსაც ჩვენ „ყვარყვარე თუთაბერიდან“ ვიცნობდით.

„ყვარყვარე თუთაბერის“ ორი პერსონაჟის — კაეტასა და ქუჩარას ხასიათების ტიპიურ ნიშნებს — პოლიტიკურ სინულუნგეს, გლეხურ ეგოიზმსა და ინდივიდუალიზმს „კოლმეურნის ქორწინებაში“ ერთი მთავარი პერსონაჟთაგანი — ხახული ატარებს.

ხახული მოწინავე კოლმეურნე ქალის გვირისტინეს მამაა. სოფლის სოციალისტური გარდაქმნა, სოფლის მშრომელთა მიერ შრომის ადამიანური ცხოვრების უფლებების, პოლიტიკური თანასწორობისა და სრულუფლებიანობის მოპოვება ამ ხანდაზმული გლეხკაცის თვალწინ მომხდარა. თვით მისი ქალიშვილი გვირისტინე ახალი ადამიანის განსაზიერებაა — იგი თავდადებით შრომობს საკოლმეურნეო მინდვრებზე და თანასოფელთა საერთო პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, ხახულის არ სჯერა კოლმეურნეობისა. იგი დარწმუნებულია, რომ მის ქალიშვილს „ატყუებენ და ამუშავენ“. როცა მას ატყობინებენ, გვირისტინეს, როგორც მოწინავეს, მოსკოვში სტაჟანოველთა შეკრებაზე ვაგზავნიოთ, წონასწორობას ჰკარგავს და კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს უყვირს: არ გეყოთ, რაც აქ ოფლი გაადენინეთ. გამოვიხსნი მე გვირისტინეს თქვენი ხელიდან! ხახული მთელი თავისი არსებით ახალი ცხოვრების წინააღმდეგია. კოლმეურნეობის ხელმძღვანელებზე მეტად მას ისევ თავისი ნაბატონარის — ახნაურ მანუჩარისა სჯერა, რომლისგანაც აბუჩად აგდებისა და შეურაცხყოფის მეტი არაფერი ახსოვს.

ახალი ცხოვრება ხახულის ცრულ რწმენებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდება. ხახული ბოლოსდაბოლოს, ირწმუნებს კოლმეურნეობას, ზურგს აქცევს თავის ნაბატონარს, ახალი ცხოვრების ფარულში ებმება. მაგრამ კომედიის მსვლელობაში ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენ მერყეობად, როგორი დაძაბული შინაგანი ბრძოლის ფასად უჯდება პოლიტიკურად უსუსურ გლეხკაცს ეს მობრუნება.

პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელია „კოლმეურნის ქორწინების“ მეორე პერსონაჟიც — ნაახნაურალ მანუჩარის ვაჟი ჯიბილო.

ჯიბილოც, ბოლოსდაბოლოს, თავს აღწევს დრომოკმულ ცრურწმენათა ბოროტებას და ახალი საზოგადოებრივი ყოფის გავლენით ცხოვრების ფართო გზაზე გამოდის.

ხახულის, ჯიბილოსა და მისთანების ცხოვრება ჯერ კიდევ იმ პატარა წისქვილში იწყება, „ყვარყვარე თუთაბერის“ პირველ მოქმედებაში რომ ვნახეთ. იქნებ უფრო ადრეც — „ეპიზოდში“, პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე, ამ გმირებმა პოლიკარპე კაკაბაძის თხზულებებში ცხოვრების რთული და დაძაბული გზა გაიარეს: ეწამებოდნენ და იხოცებოდნენ იმპერიალისტური ომის ფრონტებზე, შეხაროდნენ მეფის რეჟიმის დამხობას, ყვარყვარესთან „გმირებს“ აყოლილნი იკვებებოდნენ ფუჭი იმედებით, იწვნიეს მენშევიკური რეჟიმის სიმწარე, ეჭვით უყურებდნენ ბოლშევიკებს. მათ თავიანთი პოლიტიკური სინულუნგე სოფლის სოციალისტური გარდაქმნის — კოლექტივიზაციის ეპოქაშიც შემორჩათ. მაგრამ აქ სოციალისტურმა სინამდვილემ თავისი გაიტანა, და გუშინდელნი უქონელნი, უვიცნი და დათრგუნვილნი ცხოვრების კანონიერ ბატონ-პატრონებად იქცნენ. ამ სოციალური ტიპების ცხოვრების ჩვენებაშია პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგიის ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეც.

პეპსინური მოთხოვნები

ბასილ მელიქიშვილი

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევარში „ქართული მწერლობისა“ და „არიფიონის“ ფურცლებზე უცბად გაიელვა ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის ბასილ მელიქიშვილის სახელმა. მაგრამ მისი შემოქმედებითი ცხოვრება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ორიოდ მოთხრობის გამოქვეყნებაც კი ძლივს მოასწრო, რომ უკურნებელი სენით დაავადებული ქაბუჯი 26 წლისა დაიღუპა. ბასილ მელიქიშვილის გარდაცვალებასთან ერთად შეწყდა მისი „თურმანის“ ბეჭდვა და დავიწყებას მიეცა ადრე გამოქვეყნებული მოთხრობებიც.

ბასილ მელიქიშვილს პირადად ვიცნობდი. იყო საშუალო ტანის, პირხმელი, ჩოფურა ახალგაზრდა. მუდამ ტკბილმოუბარი, მაგრამ კილონაღვლიანი, ავადმყოფობისაგან მხოლოდ თვალეზად ქცეული ბასილი თვალწინ მიდგას ახლაც. რუსთაველის პროსპექტზე, „ზარია ვოსტოკას“ პირდაპირ მთიელთა კულტურული საზოგადოების შენობაში ენახე უკანასკნელად იგი. მასთან ადრინდელი შეხვედრიდან ვიცოდი, რომ თბილისთან ახლოს სოფელ ზირბითში მუშაობდა სკოლის მასწავლებლად და მეტად ცუდ პირობებში ცხოვრობდა: „ხელები გაყინული მაქვს. — არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის, — ასოები რიგზე ველარ გამოყავს, მაგრამ მაინც ვმუშაობ“... „თორელის“ შემდეგ („მეგრდშებოლილ მერცხალს“ იგი „თორელს“ უწოდებდა) დაეწერე ვრცელი მოთხრობა „თურმანი“ და ახლა ჩემი ბიძაშვილის კოლა მელიქიშვილის ნაამბობის მიხედვით ვწერ ახალ მოთხრობას, რომელიც ნახევრად ლეგენდაა,

ნახევრად სინამდვილე, მაგრამ ამ მოთხრობაში მაინც იქნება გამოხატული ჩვენი ხალხის რაინდული სული“.

— რა თემას ეხება ახალი მოთხრობა? — ვკითხე მე.

— ეს არი მოკვეთილი თითის ამბავი.

— ამბობდა იგი. — მოთხრობა გრძელია, თემა — კი მარტივი. მონადირე ხევსური ბადრიია ავადმყოფ ძმადნაფიცის სანახავად მიდის. სნეულებით დამძიმებული ქარჯი უგონოდ წევს და ბორგავს, ხოლო იმისი ლამაზი ცოლი უბედო ბედით ცრემლდამშრალი და კარგულ სიყვარულზე ქვითინებს. ბადრიას გამოჩენა კიდევ უფრო ააფორიაქებს ქალის ადრინდელი სიყვარულის ენებებს და იგი ქალ-ვაჟისათვის საბედისწერო გახდება. სიყმაწვილეში ქალს ბადრი უყვარდა, მარგალიტის ცრემლებით დაწინწკლულ ხელთათმანებს უქსოვდა ვაჟს და ვაჟიც სიყვარულით პასუხობდა თავის ნანდაურს. იამთიდან ქალისათვის ზოხბები ჩამოჰქონდა ბადრის, ქალი ზელებს შემოხვევდა ვაჟაკის კისერს და ჩამოეკიდებოდა ცხენის სამკერდულივითა. უღვთო კანონმა გაჰყარა ერთმანეთს ისინი. ბადრიას ფიცმა დაღუპა ქალი. ფიცმა ქალი ქარჯის არგუნა. ვაჟაკის ფიცი — კი კლდესავით მაგარია და შეურყეველი. ბედდამწვარი ქალი დაკარგულ სიყვარულს დასტირის, როდესაც ძმადნაფიცის სანახავად გამოჩნდება ბადრი. მოულოდნელ შეხვედრით აღზნებული ქალი ვაჟაკისკენ გაიწევს, ხელებს შემოხვევს ვაჟაკის კისერს. ვაჟაკე უნდა ენებას დანებდეს, მაგრამ ამ დროს მთიდან არწივის კვილის გაიგონებს, ვაჟი შეკრთება და



გამოერკვევა. საჩვენებელ თითს მიადებს ქალის მკერდს და უკან მისწევს. ქალი ძირის დაეცემა. როცა გონს მოვა, ბადრი ოთახში აღარ არის. დედამოძთან სისხლი დგას. ბოძს საჩვენებელი თითი ჰკიდია შავი ძაფით შემოქილი. თურმე ბადრიმ წარიკვეთა ქალის შემხები თითი. ფიცით დაიფარა ბიწიერება და ვნება თითს გააყალა.

ასე ვსაუბრობდით მთიელთა კულტ-საზოგადოების დერეფანში... მოკვეთილი თითის ამბავი ჩემთვის დიდხანს გამოცანად დარჩა. მხოლოდ ახლა, როდესაც ბასილ მელიქიშვილის მოთხრობების გამოცემაზე ვმუშაობდი, მის არქივში აღმოჩნდა „მოკვეთილი თითის“ ავტოგრაფი. აქვე სიამოვნებით მიხდა აღენიშნო მწერლის სიყრმის მეგობრების ეგვიპტე ხარაძისა და ქუჩი ძიძიშვილის დიდი ამავი ბასილ მელიქიშვილის შემკვიდრებობის შენახვისათვის. მიხელო ჯავახიშვილთან, გერონტი ქიქოძესთან და კონსტანტინე კიკინაძესთან ერთად, სწორედ მათ დასდეს უკანასკნელი პატივი ბასილს. 1930 წლის 27 აპრილს, სოფელ წვერში ძველი საყდრის ნანგრევებთან, უხმოდ დაიბრუნეს მეგობრებმა უღროოდ დაკარგული ძმობილი და მშობლიურ მიწას მიაბარეს ძვირფასი ნეშტი. გავიდა დრო და გარდაცვალებიდან 30 წლის თავზე კვლავ შეიკრიბნენ მეგობრები მწერლის საფლავთან. მისი ნეშტი წვერიდან პანტიანში გადმოასვენეს. დაკრძალეს ახალ სამარხში და ზედ დაადეს ქართული ვრნიტის ლოდი წარწერით. იმ დღეს გადაწყდა ბასილ მელიქიშვილის მოთხრობების გამოცემაც.

ბასილ მელიქიშვილის მოთხრობებში მეტად ორიგინალურად არის გახსნილი პატაროტიზმის, ჰუმანიზმის, რაინდობის მარად ძველი და მარად ახალი თემები. ამასთან მწერლის ფიქრი დასტრიალებს საქართველოს წარსულს. ლეგენდა „თურმანში“ ღვარძლი მორევია მინდვრებს, წმინდა ხორბალი გამქრალა, თესლი გადაგვარებულა. ხორბლის ზაცვლად ხალხი ღვარძლსა სკამს,

და შთამომავლობა დაღუპვის განაგრძობს განაგრძობს. ხალხის ხსნა შეუძლია მხოლოდ წმინდა, შეურყენელ ხორბლის თესლს, მაგრამ ასეთი თესლი სოფელში არ არის. მაშინ ხალხის ხსნას იკისრებს ახალგაზრდა ჰაბუკი თურმანი. ის კიდევაც მიაგნებს სასურველ თესლს, მოიტანს თავის სოფელში და უნდა დათესონ, მაგრამ წმინდა ხორბლის მთესველად საჭიროა უმწიკვლო ბავშვი, რომელიც თესვას შეეწირება. ერთი შეხედვით, დიდი სახალხო საქმისათვის ბავშვის შეწირვა თითქოს ახალი არ არის. მოთხრობის იდეა თითქოს სადღაც „სურამის ციხეს“ ეხმაურება. მაგრამ ერთი მთავარია: არც ერთი კეთილშობილი საქმე უმსხვერპლოდ არ გაკეთებულა. აქაც ხალხის საკეთილდღეოდ იღუპება ბავშვი, თურმანი და მისი სატრფო.

ბასილ მელიქიშვილის წერის მანერაც მეტად თავისებურია. სიტყვიერი მისალის განლაგებაში, გმირის ხასიათის გახსნაში თუ ბუნების აღწერაში მუდამ ფრთიანი სახეებით მოაზროვნე იგი უფრო პოეტია და მისი მოთხრობების დადებითიც და უარყოფითი მხარეც სწორედ ეს არის. ხელახლა ვკითხულობ მწერლის ნაწერებს და უნებლიედ მაგონდება ხალხში გავრცელებული ერთი შეხედულება. ხშირად ახალგაზრდა შემოქმედზე იტყვიან ხოლმე: „მაკარივით დულს, დაღვინდება და უკეთესი იქნებაო“. ლეინო კარგია, მაგრამ არც მაკარია ნაკლები. ბასილ მელიქიშვილის ნაწერები მარად დულილში მყოფი მაკარია.

ასეთი იყო შემოქმედებამიც და პირად ცხოვრებამიც ბასილ მელიქიშვილი. მისი ბიოგრაფია არც ისე რთულია და მრავალმხრივი. 1904 წლის 2 ნოემბერს სოფელ ზირბითში ყოფილ მოჯამაგირის „მთიული ვანოს“ ოჯახში დაიბადა ბასილი. დედა ადრე გარდაეცვალა. 8 წლის ბავშვი მამამ სასწავლებლად ჩამოიყვანა თბილისში, მიაბარა სასულიერო სემინარიაში, საიდანაც მალე სათავადაზნაურო გიმნაზიაში გადავიდა და

1924 წელს დაამთავრა თბილისის XI ტექნიკუმი. იმავე წელს გარდაცვალდა ოჯახის მარხენალი მამა და ცხოვრების მთელი სიმძიმე ახალგაზრდა ჭაბუკის მხრებს დააწვა. ბავშვობიდანვე ფიზიკურად სუსტი ჭაბუკი უფრო გახდა, დაილია და გაყვითლდა. მალე ტუბერკულოზის აშკარა ნიშნებიც აღმოაჩნდა, და 1929 წლის მიწურულში, როდესაც მისი „მკერდშებოლილი მერცხალი“ ხელიდან ხელში გადადიოდა, უკურნებელი სენით დაავადებული ბასილი ცივ სარეცელზე იწვა და გაკრეცილი ტუჩებით ჩურჩილებდა:

„ბინდისფერია სოფელი,  
უფრო და უფრო ბინდდება.  
ჩა არი წამი სიცოცხლე,  
ჩატივით ვაგვიფრინდება“...

როგორც უკვე აღვნიშნე, უკანასკნელად ბასილ მელიქიშვილი ვნახე 1929 წლის შემოდგომაზე. სოფლის მასწავლებლობიდან გაენთავისუფლებინათ ავადმყოფი ჭაბუკი და მთიელთა კულტურული საზოგადოების შენობაში მოსულიყო ალ. ყაპარულთან, რომელიც მაშინ ამ საზოგადოების თავმჯდომარე და ფოსტატელეგრაფის სახლში ცო-მისარი იყო. არ ვიცი, ამ შეხვედრიდან რაიმე დახმარება მიიღო ბ. მელიქიშვილმა თუ არა. ვიცი მხოლოდ ერთი, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი ყოფნა მთიელთა კულტურულ საზოგადოებაში და, მამასადამე, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაც.

ფეიქრობ, ზედმეტი არ იქნება რამდენიმე სიტყვით გავისხენოთ უკანასკნელი შეხვედრის ამბავი. მით უმეტეს, რომ ამ შეხვედრას ერთგვარი შინაგანი კავშირი აქვს ბ. მელიქიშვილის შემოქმედებასთან.

მაშინ მთიელთა კულტურულ საზოგადოებაში მუშაობდა ვაჟა-ფშაველას უმცროსი ძმა სანდრო რაზიკაშვილი, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით გვეპყრობოდა ახალგაზრდა მწერლებს. ბასილ მელიქიშვილის „მკერდშებოლილი მერცხალი“ ახალი ქართუ-

ლი მწერლობის დიდ მემწვევად მიიჩნდა და არა ერთხელ უთქვამს: „ჩემთვის უბასილი ცოტა კობტაობს, მაგრამ მომავალში შორს წავა... მისი სახით ქართულ მწერლობას ფრიალ თვალსაჩინო ბელეტრისტი ეყოლებოა“. ბასილ მელიქიშვილიც გრძნობდა „რაზიკაანთ სანდროს“ ამ ყურადღებას და თავის მხრივ დიდ პატივს სცემდა მას. მახსოვს იმ დღესაც სანდრო რაზიკაშვილთან ვისხედით და ვისმენდით იმის მშობლიურ დარჩებას, რომ უცბად კარები ფართოდ გაიღო და მასთან შემოვიდა მოხუცი ხევსური. შემოვიდა ზვავივით ფარხმალინი დევკაცი და მძიმე ნაბიჯით პირდაპირ სანდროსაკენ წამოვიდა.

— აბეჩავ, სანდროს ქირიმი! — დაიძახა მან.

ჩვენი, სამივენი ფეხზე წამოვდევით.

— მაგვიხვედ მშვიდობით, უნცრუა! — წაუხევესურულა სანდრომ და სკამი მიაწოდა, — დაბრძანდითო.

— გმადლობთ! — რალაც ზვიადურად განაცხადა, — ვაქაცასა ფარხმალინსა ფეხზე ურჩევნის დგომაი. და დონიწქემოყრილი გაიჯგომა. ცნობის-მოყვარეთა მზერა თითქოს ფორტაპარატის ობიექტივი ყოფილიყოს, ხოლო ხევსური ამ ობიექტივში სურათის გადასაღებად მზირალი, ერთი წუთით გაირინდა, შემდეგ ფორტაპარატის ტაკეტნიც გაიგონა, ხელი-ხელს შემოკრა და დააყოლა: გახლავართ ჭინჭარაული!

საჩვენებელი თითი წარკვეტილი ჰქონდა ხევსურს. მე და ბასილმა ერთმანეთს შევხედეთ.

— საიდან, როდის? რამ ჩამოგადგო ბარადა? — წაუღეკსა სანდრომაც.

— შატლით! — იყო მოკლე პასუხი.

— 3? შატლში ახლა დიდი თოვლია, ალბათ, — ჩაეკითხა სანდრო. — ამ თოვლობისას უბრალო საქმეზე არ გაირჩებოდა უნცრუაი. ხომ მშვიდობით ბრძანდებით თქვენი ცხვარ-ძროხით, ჯალაბობით, საქონ-სამოხით?

— ქალაქს ჩამავსხი ხიზანი. — თქვა ხევსურმა და უზარმაზარი მკლავი ფას-



კუნჯის ფრთხავით აიქნია... ჩვენ მხოლოდ ახლა შევამჩნიეთ იმის ხევისურულ ტალავარს უკან ასევე ხევისურულ ტალავარში გამოწყობილი ქალ-ვაჟი.

— აი, ჩემი ლეკვები! — ახლა უკვე საქმიან კილოზე დაიწყა უნცრუამ. — ძე ლეკვი ძილა — თექვსმეტი წლისაა. ხოლო ხვალი ახალაი — შვიდისა. ყინვიანი გვექონ შატილი, პურსაც ვერ შესაქამ სიყინულითა, შიგ თვირთვილ გადმადის. შავწუხდით, ცხოვრება გაჭირდის. წამავედ ახოზბასა. აი, ჩვენი ფუძის ანგელოსი გუდამაყრის ჩოხში რომ არის დასვენებული, იქა. მთელი მიღეთის ხალხი მოჭარებულყო შავი არავგის ქალაში. უკან-ახოდან ჩამოსულიყვენ ხევისურნი. კარკუჩიდან — მახნიები, მლუთიდან — მთიულნი. სამ დღე და ღამეს ვღრეობდით პირიშეშეა. საღუდე ქვაბების ოხშივარი მთაზე ნისლეზად აღიოდა და ღამის მთევლების საუბარში გაევიგონე ჩემთვის სანატრელი ამბავი. იტყოდნენ: „თბილის-ქალაქში უამარაულმა სკოლები გახსნაო. იქ არის ვაჟს ძმა სანდროი და ვაჟასავით ვაჟებს წიგნს ასწავლიანო“. დავკარი ფეხი და ხიზანი ჩამოვსხი ქალაქში. ნუ მიწყენთ, ერთი უბირი ხევისური გახლავართ. წერაკითხვისა არა ვიცირა, ხმალში — კი დიდი სიამოვნებით! ათი ქალაქელი ვერას დამაკლებს. მე ის შატილონი ვარ, ავსტრიის ფრონტზე სიკვდილი რომ არაფრად მიაჩნდა და... ჩაჩაურ ლიქოკელის თქმისა არ იყოს:

„ბევრ მახე გამოილავის,  
ბევრსაც ვახვილავ კოდეცა —  
ხადა ყინვარზე შევვარდი,  
გავიარე და ვვიბეცა“.

მთიდან ჩამოვარდნილ ზვავივით როზროხებდა მოხუცი ხევისური და ყოველ სიტყვას ზორზისმიერი ბეგრებით აღმოსთქავამდა.

— ახლა რაღა ჩვენი ცხოვრება უქალაქოდ. მამწყინდის შულლობა ქისტებთანაც და ლეკებთანაც. წელიწად წუ-

ხრი აწევს შატილის მწვერვალზე. მანქანულა არწივებიც ბარისკენ ეშურებოდნენ. ქეც, ჩემი ხიზანით მეტეხის ხიდთან — რიყის უბანში დავიდგი ბინა.

უნცრუა ჭინჭარაულმა ორივე მკლავი გაშალა, ერთი ხელით ვაჟს დასწვდა, ხოლო მეორეთი — ქალიშვილს, ორივენი წინ დაიყენა და თითქოს ახალი სურათის გადასაღებად ემზადებო, ადრინდელივით დონჩუშემოყრილი გაიჭვიმა.

გოგონა ტანაყრილი იყო. სკლისფერ სახეს დაჰფენოდა წაბლისფერი თმა, რომელიც შუბლთან შეკრეკილი ჰქონდა (დაახლოებით ისე, ახლა რომ ახალმოდამსმეოლილი ქალაქელი ქალიშვილები ატარებენ), უძირო ტბასავით ლურჯი თვალეები და ამ ტბის გარშემო დაბურული შავი წარბ-წამწამი, ღამაში ცხვირი, თხელი ტუჩები, ტანზე კოხტად შემოტმასნილი ხევისურული ტალავარი, ხევისურული ჭრელი წინდები და პატარა კობუჯები!

ასე დამამახსოვრდა პატარა ძილა ჭინჭარაული. მაგრამ ამ სურათს უნდამიუმატოთ იმისი სულის შინაგანი თრთოლვაც ახლად შედგებულ ქალიშვილში უცხო თვალის შეხედვაც რომ იწვევს და თქვენ თვალწინ წარმოგიდგებათ ბუნების სრული უმანკოება — პატარა თეთრი თვალეებით მოწინწკლულ ქათბში გამოწყობილი ხევისური ქალიშვილი!

თუ მოხუცი ხევისურის ზორზოცმი დროდადრო ჰკრთებოდა, წითლდებოდა და დამფრთხალ შველივით თრთოდა ძილაი, სამაგიეროდ დეკაციის სამკლავეს აკრული შვიდი წლის ბიჭი მამასავით გაჭვიმულიყო. ცხვირმოუბოცელი პატარა ხევისური ბრახიანი თვალეებით იბღვირებოდა, ყველას და ყველაფერს აკვირდებოდა ირგვლივ და უბოდიშოთერეოდა უფროსების საუბარში.

ბასილი სდუმდა. მაგრამ იმისი წყლიანი თვალეები ხარბად იჭერდა ჭინჭარაულის ყოველ მოძრაობას.

— ლეკვი სკოლაში ჩამამიყვანია, —



ხმადაბლა განაცხადა უნცრუამ, — ეგების ჩემი ნაშიერიც ადამიანი დადგეს.

— კარგი არჩევანია, ჩემმა მზემ, — ხეესურს განზრახვა მოუწონა სანდრომ. — მაგრამ რომელი? ქალი თუ ვაჟი? თუ ორივენი?

— არა, მარტო ახალაი!

— ქალიშვილს რაღას უპირებ?

— ქალაი სახლში დარჩების დედოქლასთან.

— მაი, უნცრუაუ, — ახლა სანდრომ აუწია ხმას, — ორი ბავშვი ჩამოვიყვანია. ბარემ ორივე მიაბარე სკოლაში.

— არ იქნების! — მოკლედ მოსჭრა უნცრუამ.

— იქნების! — მტკიცედ განაცხადა სანდრომ და ფეხზე წამოდგა.

— შენ რაღას იტყვი ბიძაის ქალო? — ახლა ბასილი მიუბრუნდა ძილას, — ხომ გინდა სწავლაი?

მაგრამ აქ მოხდა ის, რასაც არავინ არ მოველოდით. შვიდი წლის ბიჭი ახალაი მამის ტალავრიდან გამოვარდა, გაჯგომული მაგიდასთან აღიმართა და მამასავით დაიდუღღუნა:

— დიაცს რად უნდა სწავლაი?!

ბავშვის უგუნურმა სიტყვამ საბოლოოდ დააბნია ქალიშვილი. ძილას თვალეზში ცრემლმა გაიელვა და თავი უფრო დაბლა დახარა. მაგრამ დიდხანს ვერ შეიმავრა ტირილი, მხრები აუცახცახდა, ფეხის წვერებზე შემობრუნდა და ღერუფანში გავარდა დამფრთხალ შველივით.

ხეესურიც შეკრთა. სახე დაედრიჯა. დამქქნარ ლოყაზე დაგორებული ერთადერთი ცრემლი უთითო ხელით აიწმინდა, უხმოდ გამოგვეთხოვა ყველას და ისიც ბავშვიანად კარებში ზგავივით გაავორდა.

წავიდა უნცრუა ჭინჭარაული და თან წაიღო ჩვენი ფიქრებიც.

მალე მთიელთა კულტსაზოგადოების შენობაში ჩამოყალიბდა საღამოს კურსები. ერთხანს ქართულს მეც ვასწავლიდი იმ სკოლაში. წინა მერხზე იჯდა

ძილაი და სუფთა რვეულებზე ფურცლებზე პირველი ასოები გამოქყნდა. იმის წინ უნივერსიტეტის ქუჩაზე ვნახე ჩანთით ხელში. შემდეგ იმის ასავალ-დასავალიც დაეკარგე და ჭინჭარაულებიც დამავიწყდა.

ახლა, როდესაც ბასილ მელიქიშვილის „მოკვეთილი თითის“ ამბავს ვკითხულობ, უნებლიედ მაგონდება უნცრუათავისი ქალ-ვაჟით და მწარედ მედიმება. ნუთუ ჭინჭარაულის თითის ამბავია აღწერილი მოთხრობაში?

ვინ იცის... ვინ იცის...

„მოკვეთილი თითი“ ავტორისეული მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებული ნაწარმოებია. ასევე შეიძლება ითქვას „ჯილაგის“ შესახებ, სადაც ძველი, პატრიარქალური ტრადიციის რღვევის ამბავია აღწერილი. მაგრამ ბასილის შემოქმედების მთავარი თემა მაინც თორელია და თორელის თემის ლეიტმოტივი მიჰყვება ყველა მის ნაწარმოებს.

ბასილ მელიქიშვილის ავადმყოფობა სწრაფად ვითარდებოდა და თითქოს ამიტომ ჭაბუკი წერაშიც ჩქარობდა. სიკვდილის წინაც კი რვეულის ცალკეულ ფურცლებზე გაყინული თითებით „მინიატურების“ უკანასკნელი სტრიქონები გამოჰყავდა. ეს სიჩქარე ერთგვარ გავლენას ახდენდა ნაწარმოების მხატვრულსა და იდეურ მხარეზეც. მაგრამ ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ აღნიშნული მოთხრობები იწერებოდა ჩვენი საუკუნის ოციან წლებში.

ახალი ქართული მწერლობა სამართლიანად ამაყობს ჩვენი ბელეტრისტების სახელებით. მრავალი მათგანი ბასილ მელიქიშვილის თანატოლია. და როდესაც მელიქიშვილის დამსახურებაზე გვხვდება ლაპარაკი, ვწუხვართ, რომ დიდად ნიჭიერმა ახალგაზრდამ სულ რამდენიმე მოთხრობა დაგვიტოვა და ამით ქართული მწერლობის დიდი ტაძრის ქალზე დაანთო საკუთარი სულის პატარა სანთელი.

## ზვიად გამსახურია რობერტ ფროსტი

ახლახან გარდაიცვალა ახალი ამერიკული პოეზიის ერთერთი ფუძემდებელთაგანი, სახელმწიფოვეკილი პოეტი რობერტ ფროსტი. თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ფროსტი დაუცხრომლად იბრძოდა ჭეშმარიტად რეალისტური ხელოვნებისათვის, ჰუმანიზმის მაღალი პრინციპებისათვის, ხოლო თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში მან შეიტანა თავისი წვლილი დღევანდელ მსოფლიოში არსებულ დაპირისპირებულ ბანაკებს შორის ურთულთაგანების დამყარების დიად საქმეში.

პოეტის ბიოგრაფია ძლიერ ხშირად განაპირობებს მისი შემოქმედების ხასიათს. ფროსტის პოეზიაში ნათლად ჩანს ის დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც მან შეიძინა როგორც თავის ქვეყანაში, ისე ინგლისში ცხოვრებისა და მოღვაწეობისას. მის ლექსებში აგრძნობა დაკვირვებულ თვალი გამარჯვებულ ფერმერისა, ძლიერი ფსიქოლოგიური ალლო მასწავლებლისა, სტოიკური სამშვიდღე და მეცნიერული ობიექტურობა ფილოსოფიაში ღრმად განსწავლული კაცისა.

რობერტ ფროსტი დაიბადა 1875 წლის მარტის 26-ს სან-ფრანცისკოში. მამამისი ნიუ ინგლანდელი იყო წარმოშობით, ერთხანს ჟურნალისტურ მუშაობას ეწეოდა სან-ფრანცისკოში. დედამისი შოტლანდიელი ქალი იყო. 1885 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, ფროსტი დედასთან ერთად ლორენსს გადასახლდა (მასაჩუსეტისის შტატი), სადაც სწავლობდა საშუალო სკოლებში. 1892

წელს დარტმუტის კოლეჯში შევიდა, სადაც ერთი წელი დაბუკო.

1897-99 წლებში ფროსტი პარკარდის უნივერსიტეტის სტუდენტია, მაგრამ ახალგაზრდა შემოქმედი ვერ ეგუება აკადემიური დისციპლინის არტახებს და თავს ანებებს სწავლას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომავალმა პოეტმა განცხრომაში როდი გაატარა სიჭაბუკე. იგი ხან საფეიქრო ფაბრიკაში მუშაობდა, ხან მოჭამავირე იყო, ხან გაზეთის გამომშვები. უფრო გვიან, 1905-1911 წლებში ასწავლიდა ინგლისურ ენას პინკერტონის აკადემიაში. ასწავლიდა ფსიქოლოგიას ნიუ ჰემპშირის ნორმალურ სასწავლებელში. პარალელურად სწერდა ლექსებსაც. მაგრამ რედაქციების კარები მისთვის ნიადაგ დახშული იყო.

1912 წელს ფროსტი ინგლისს გადასახლდა ოჯახითურთ. აქ იგი დაუახლოვდა მოწინავე ინგლისელ პოეტებს—ედუარდ ტომასს, უილფრიდ გიბსონს, რუბერტ ბრუკს და სხვებს. აქვე მიიღო ფროსტმა პირველი ლიტერატურული ნათლობა.

რობერტ ფროსტის გამოსვლა სალიტერატურო ასპარეზზე ემთხვევა არნახული აღმავლობის ხანას ამერიკულ პოეზიაში. მეტწილად საუკუნის მიწურულში და მეოცე საუკუნის დასაწყისში აქ ერთგვარი კრიზისი შეიმჩნეოდა პოეზიის სფეროში. 80-იანი წლებისათვის დადუმდა უიტმანის მგზნებარე ჩანგი. საზოგადოებამ ვერ შეამჩნია ემილი დიკინსონის დიდი ტალანტი, რომლიმ შემოქმედებაც შემდგომში საფუძვლად დაედო მთელ მიმდინარეობას ამერიკულ პოეზიაში.

რაც შეეხება ლონგფელოს, ჯეიმს ლოუელის, ე. წ. „ბრამინების“ და ედგარ პოს ტრადიციებს, რომელთა შემოქმედებაც ერთგვარი გაგრძელება იყო ინგლისური „ტბის სკოლისა“ და ვიქტორიანელების (კერძოდ ტენისონის) ტრადიციებისა, მათ ვერაპოვეს რამდენადმე სახელოვანი ადებტები ხსენებულ პერიოდში, რადგანაც მათი პოეზიისათვის დამახასიათებელ კამერულობას, რომანტიზმის დრომოკმულ იდეალებს აღარ შეეძლოთ დიდი რეზონანსის მოხვეჭა ფართო საზოგადოებრიობაში.

მეოცე საუკუნის ათიან წლებში იწყება ის გარდატეხა, რომელსაც ამერიკულ კრიტიკაში „რენესანსის“ დასაწყისს უწოდებენ. და მართლაც ფაქტიურად ამ დროიდან იწყება ამერიკული პოეზიის თვითმყოფადი განვითარება. ამ დროისათვის გამოდიან ასპარეზზე დიდი ამერიკელი პოეტ-რეალისტები: ედვინ არლინგტონი რომბისონი, ედგარ ლი მასტერსი, კარლ სენდბერგი და ვეჩელ ლინდზი, რომელნიც მთელის სიმწვავით სვამენ დიდმნიშვნელოვან სოციალურ საკითხებს, უბრუნდებიან უიტმანისეულ, საერთო-სახალხო გაგებას პოეზიისას. ამ დროისათვის ბრუნდება ევროპიდან ეზრა პაუნდი. მის შემოქმედებაში ძველი და ახალი ევროპული პოეზიის ექსტრაქტს, სტილიზაციის ნაირგვარ ფორმებს უკავშირდება ამერიკული მოდერნიზმის ფილოსოფია. იგი ეიმი ლოუელთან ერთად ჰქმნის იმაქისტების მთელს სკოლას. ამ პერიოდში გამოდის „ალფრედ პრუფროკის სამიჯნურო სიმღერა“ ტომას სტერნს ელიოტისა, რომელიც იმავეთვე უპირისპირდება რომანტიზმის პრინციპებს ნეოკლასიციზმის პოზიციებიდან და გვიანდელ ფრანგ სიმბოლისტებზე და ინგლისელ „პოეტ-მეტაფიზიკოსებზე“ გავლით უბრუნდება პოეზიის დანტესეულ გაგებას, მედიტატიურ სულს პოეზიაში.

რობერტ ფროსტი ამ დროისათვის ინგლისში იმყოფება. მისი პოეტური

პოზიცია კარდინალურად განსხვავდება ზემოხსენებულ პოეტთა პოზიციებისგან. მას ნოვატორობა სწამს მხოლოდ ევოლუციური\* ხასიათისა. მან იცის, რომ მკითხველის ყური თანდათანობით უნდა შეაწვიო ცვლილებებს. ამით აიხსნება მის მიერ კლასიკური სალექსო ფორმების კულტივაცია. უნდა აღინიშნოს, რომ თვით პოეტ-რეალისტთა შორისაც ფროსტი ყველაზე ნაყლებადაა შეპყრობილი ნოვატორობის წყურვილით.

1913 წელს ლონდონში გამოდის მისი პირველი კრებული „ბიჭის სურვილი“, სადაც ჯერ კიდევ ნათლად მოჩანს ფროსტის ორგანული კავშირი ინგლისური პოეზიის ტრადიციებთან. ჩვენი აზრით, უორდსვორტი და ტომას პარდი იყვნენ მისი პირველი მასწავლებლები. უორდსვორტმა უანდერძა მას საოცრად მშვიდი, აუღმერეველი მანერა ბუნების პერეტისა, ცხოვრებისეული მარტივი დეტალებისა და ასეთივე გრძნობების აყვანის უნარი დიდი პოეზიის დონემდე.

ტომას პარდიმ გადაუშალა მას სოფლის ცხოვრების სიმშვენიერე, ასწავლა დანახვა პასტორალურ იდილიებს მიღმა ფარული ტრაგედიებისა. მაგრამ პარდისთვის ისევე როგორც უორდსვორტისათვის, უცხო იყო ის ღრმად სუბიექტური განცდა ბუნების სიმშვენიერისა, როგორც ფროსტს ახასიათებს. იგი არსად არ გვევლინება პასიურ მხატვრად, იგი ბუნებას იშველიებს მხოლოდ და მხოლოდ სულიერი განწყობილების საილუსტრაციოდ. ამავე დროს შესამჩნევია კიდევ ერთი ნიშნეული რამ: ფილოსოფიური აზრის შეწყვილება აღმწერლობით ფაქტორთან. როგორც ჩანს, ფროსტი ამ პერიოდში იუმისა და შოპენჰაუერის სუბიექტურ-იდეალისტური დოქტრინების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამას გვაფიქრებინებს მისი ბრწყინვალე ლექსი „ნოემბრის სტუმარი“, სადაც ფროსტის მტკიცე ნაჭედობასა და განწყობილების სიწრფელესთან ერთად, გვაოცებს დიდი მხატვრუ-

ლი ტაქტი და ზომიერების შეგრძნება საღებავების ხმარებისას. აქ პოეტი გვესაუბრება თავის გრძნობაზე, რომელიც ეწვევა მას ნოემბრის სევდიანი ლანდშაფტის ნახვისას. მაგრამ ეს ლანდშაფტი არაა მწუხარების გრძნობის გარეშე, რომელსაც ამ დროს განიცდის პოეტი და რომლის პრიზმაშიც ხედავს იგი რეალობის ამ მონაკვეთს:

„მისი სიამტკბილე აროდეს შშორდება და  
მეც, უღრტიველი,  
მისი მოსაღბუნე საუბრის სმენისგან აროდეს  
ვიღლები  
და მას უხარია, როდესაც ჩვეუ-ჩვეუდალ  
გატოვებენ ფრინველნი,  
და მას უხარია, როდესაც ფერები — რუხნი,  
საკვირველნი,  
ვერცხლად იქცევიან ირგვლივ შემომდგარი  
ფაფუკი ნისლეათ.  
რამდენი ხანია რაც მე შევიყვარე და რაც  
შევითვისე  
ნოემბრის დღეები, ჩემი, გაძარცული  
ნოემბრის დღეები,  
პირველ მოთოვამდე რომ იზინდებიან  
მღელმარე ტყეები...  
მაგრამ ამოა ვველა დარწმუნება  
ჩემთვის და მისთვისაც,  
რადგან მისი თვალით სხვია ეს ქვეყანა და  
ეს სიერცხეები“.

იგივე შეიძლება ითქვას ლექსებზე „ოქტომბერი“, „იალი“, „მარტონი“ და სხვ.

ფროსტის პოეზია არსებობის იმავე კანონებს ემორჩილება, რომლებსაც ბუნება. ყოველი თვე, ყოველი სეზონი თავისებურად არის ასახული მის ლექსებში. ფროსტის პოეზიაში ცოცხლობს ნიუ ჰემპშირის პირქუში ბუნება.

აღსანიშნავია რომ ამ პერიოდისათვის ფროსტის ენა ჯერ კიდევ არ არის ისეთი სადა და გამჭვირვალე, როგორც შემდგომი პერიოდის ლექსებში. სალაპარა-

კო ინტონაციებს უფრო ექვემდებარება ვხედებით, უფრო ხშირია მტკნარი მსმენლისათვის სტრუქტურები. შეინიშნება ალაგ-ალაგ პოეტიზმების ხმარებაც. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ფროსტი ამ დროისათვის ჯერ კიდევ მყარად იღვა XIX ს. ინგლისური პოეზიის ნიადაგზე.

1915 წელს ფროსტი ბრუნდება სამშობლოში. იგი სახლდება დერიში და აწარმოებს საფერმერო მეურნეობას. იგი უკვე სახელმძღვანელო პოეტია. მას იწვევენ ინგლისური ენის პროფესორად ამპერსტის კოლეჯში. თანდათანობით გამოდის მისი წიგნები „მინდორი მთაში“ (1916), „ახალი ჰემპშირი“ (1923), „დასავლეთისკენ მიმდინარე ნაკადული“ (1923) და სხვა.

შედარებით მეტი სიახლე შეიმჩნევა ამ კრებულებში. უპირველესყოვლისა თვალში გვეცმათ სიახლე თემატიკისა. ლირიკულ ჩანახატებს აქ უკვე სჭარბობს სცენები სოფლის ცხოვრებიდან. ჩვენს წინაშე გამოდის ადამიანები: ფერმერები, მათი ცოლები, მოქამაგირეები, სოფლის ექიმები და სხვა. ჩვენ ვისმენთ მათ ცოცხალ საუბარს, ვეცნობით მათ ვნებათა სამყაროს, მათს ფსიქოლოგიას. გარკვეულ სიმპათიასთან ერთად ავტორს არ შეიძლება არ შეამჩნიოთ ერთგვარი გაღიზიანება, რასაც იწვევს ფერმერთა გონებაშლულულობა და რუტინერობა, სისასტიკე და განურჩევლობა მათზე დაბლა მდგომი ადამიანის ბედისადმი. ამ მხრივ აღსანიშნავია ლექსი „ღობის შეკეთება“, სადაც დახატულია ანტიპატიური სახე ფერმერისა, რომლისთვისაც ცხოვრებაში მთავარ საზომად ქცეულა მიწა, ამ მიწითაა შემოფარგლული მისი გონებრივი პორიზონტი. იგი სტერეოტიპულად იმეორებს ანდაზას: „ქარგ მუხობლებს კარგი ღობე უნდა ჰყოფდეს“. ლექსში „მოქამაგირის სიკვდილი“ ასახულია უბრალო ადამიანის ტრაგედია. აქ გატარებულია აზრი, რომ საკუთრება და მდგომარეობის მხრივ უპირატესობა

\* ტექსტი მოყვანილი ლექსები ავტორის მიერა თარგმნილი.

თვით ძმებს შორისაც იწვევს განხეთქილებას (მოხუცი მოქამაგირის სილასის ძმა ბანკის დირექტორია, მაგრამ სილასი მოქამაგირეობას ამჯობინებს ძმის წინაშე თავის დამცირებას და იღუპება უცხოობაში, იმდენად ძლიერია საკუთარი ღირსების გრძნობა ამ უბრალო ადამიანში).

თუ პირველი პერიოდის ლექსებში განწყობილება იყო წინა პლანზე წამოწეული, შემდგომი პერიოდის ნაწარმოებებში უფრო ბრძნული აზრის დომინირება შეიმჩნევა. ფროსტი ამბობდა: „ლექსი იწყება აღტყინებით, შემდეგ უბრუნდება პირველად იმპულსს, ამყარებს მიმართებას პირველ ფრაზასთან, გაივლის ბედნიერ შემთხვევითობათა წყებას და მთავრდება ცხოვრების კლარიფიკაციით — არა თუ დიდი კლარიფიკაციით... არამედ გაურკვევლობისადმი წუთიერი დაპირისპირებით... იგი პოულობს თავის სახელს თავისსავე მსვლელობაში, მოელის მან რომელიმე ფინალურ ფრაზაში, რომელიც ბრძნული იქნება და თან სევდიანი“. ეს თქმა შეიძლება მივესადავოთ მთელს მის შემოქმედებას. ამიტომაც არის, რომ ემოცია მის ლექსებში ზღაწეობს განგებისად შეფარული სახით და არსად არ აღის წამყვანი ფაქტორის სიმადლემდე. თუ ტომას სტერნზ ელიოტი ცდილობს იპოვოს აზრის ემოციური ექვივალენტი, ფროსტთან შეიმჩნევა საპირისპირო ცდა ემოციის აზროვნული ექვივალენტის პოვნისა. აქაც მის თქმას მოვიშველიებთ: „კარგი ლექსი ჰქვია ისეთ ლექსს, სადაც ემოცია აზრითაა გადმოცემული, ხოლო აზრი სიტყვებით“.

ფროსტი, ისევე როგორც ელიოტი, თავის მიერ შემუშავებული თეორიიდან როდი გამოდის, არამედ საკუთარი შემოქმედების ნიადაგზე აფუძნებს თეორიულ შეხედულებას.

ლექსში „დასაუღეთისკენ მიმდინარე ნაკადული“ ყველაზე უკეთ აირეკლა ფროსტის ფილოსოფიური მსოფლმხედ-

ველობა. აქ იგი გვევლინება უკრულციონისტი დიალექტიკოსად, რომელიც აღიარებს განვითარების უწყვეტლობას.

ძველებრძენი ფილოსოფოსის, თალესის მსგავსად იგი სუბსტრატად წყალს აღიარებს:

„წყალი იყო ჩვენი საწყისი დასაბამიდან, სანამ ჩამე არსებობდა წარმოვდგებოდით“.

შემდგომში განვითარებული დიალექტიკური შეხედულება სამყაროზე, ჰერაკლიტე ეფესელის აზრს ენათესავება. როგორც ცნობილია, ჰერაკლიტე სამყაროს განვითარებას განიხილავდა, როგორც წინააღმდეგობათა მუდმივ კიდის. მის ცნობილ თქმას „ყველაფერი მიმდინარეობს და არ შეიძლება ორგზის შეხედე ერთსა და იმავე მდინარეში“ ემთხვევა ფროსტის მიერ ნაკადულის გამოყენება ყოფიერების სიმბოლური გამოსახვის საშუალებად. ჰერაკლიტე წინააღმდეგობას განიხილავს ერთიანობაში და ამბობს, რომ სიკვდილი არის სიცოცხლე, რომ ჰადესი არის ღიონიე და პირუტყუ. ფროსტთანაც ანალოგიური აზრია გატარებული:

„გადის ჩვენს შორის, ჩვენზე, ჩვენს ქვეშ და ჩვენთან ერთად,

იგია დრო და სიძლიერე, სინათლე, ტონი, ზედა, სიცოცხლე, სიუფარული და ამავე დროს

იგი მსოფლიო წყალვარდნილი არის სიკვდილის,

არაბაობის მომღვანელო, შეუჩერებო,

ანერებს მხოლოდ საკუთარი წინააღმდეგობა, რომელიც უკან ახეივნებს განსაკვირვებლად,

თითქოს სინანულს აღძრავდეს წმიდათაწმიდას“.

ძალაუნებურად გვახსენდება უოლტ უიტმანის ლექსი „ბრუკლინის ხიდზე“, სადაც მდინარე წინსწრაფვის, არსებობის დაუდგრომელი ტემპის განსახიერება:

„— ეს პავლი ჩემთან ერთად მივიდინება  
 შორეთისაკენ  
 დიდის სისწრაფით,  
 სხვები მე უკან მომყვებიან, ჩვენ  
 ერთმანეთზე ვართ  
 გადაწყვეტენ...“

ფროსტის მოჩვენებებითმა სიმშრალემ ზოგიერთი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ფროსტი გამოფიტული, „უხმო“ პოეტია. საკმარისია დაეუკვირდეთ მის შემოქმედებას, რომ მასში ნაცულად მონოტონური, მშრალი პოეტისა დაეინახათ სტოიკური შეგნების მოაზროვნე — პოეტი, რომელმაც იცის, რომ გრძნობების აუოლას პოეზიაში ხშირად პოზიორობისაკენ მივყავართ. ამით აიხსნება მის მიერ ყოველგვარი ყალბი რიტორიკის, მანერულობის უკუდგება, რაშიაც მდგომარეობს ფროსტის თანამედროვეობა. იგი მკითხველთან საუბრისას არასოდეს არ იცულებს ნიღაბს, ასე რომ მკითხველი მუდამ ხედავს მის მშვიდ, ნათელ, ცისფერ თვალებს, მის მაღალ შუბლს, მის წყნარ მიხვრა-მოხვრას. იგი უპირველეს ყოვლისა გულწრფელობით ატყუებებს მკითხველს.

რაც შეეხება ტემპერამენტს, ფროსტი ობტატურად ახერხებს მის შეხვეებას გონებისმიერ „ყინულთან“. გავიხსენოთ მისთვის უაღრესად დამახასიათებელი ლექსი „ცეცხლი და ყინული“. აღსანიშნავია, რომ ამერიკელმა კრიტიკოსმა ლორენს ტომპსონმა თავის წიგნს ფროსტის შესახებ უწოდა „ცეცხლი და ყინული“. მართლაც რომ შესანიშნავად ასახავს ეს დაწყვილება ფროსტის შემოქმედების არსს.

რობერტ ფროსტი, საერთო ჯამში ობტამისტური ბუნების პოეტია. მართალია ეს არ არის უიტმანისებური, ვულგარული ობტამიზმი, მისთვის უცხოა მომავლის ნათელი ილუზიანი, მტკიცე რწმენა ადამიანის ბუნებრივ სიქველესში, მაგრამ ფროსტს სჯერა ადამიანის ძალისა. საუკეთესოდ მოსჩანს ეს რწმენა ლექსში „ჭვიშის დიუნები“:

„ზღვის ტალღები მწიანა და მწიანა  
 ნაპირზე კი, ახალ-ახალ რიგებში  
 იმსხვრევიან ახლები და ძველით  
 ყავისფერი, მშრალი ბორცვი იგება.

ზღვა ხმელეთის კიდეს აფართოებს,  
 საღ ჰევიანი მებადურთა ბაღებში,  
 და ჭვიშაში ჩამარხულად სტოვებს  
 კაცს, რომელიც გადაურჩა დაღრჩობას.

ალბათ, იცნობს ჭვებს და ენძულთ  
 რალებს,  
 მაგრამ კაცის არ სცოდნია ბუნება,  
 თუ კი ფიქრობს, რომ ცვალებას ძალღმ  
 ცხოველმყოფელ აზრთა განადგურება.

კაცმა გემი შეატოვა პირში,  
 შესაძლოა შეატოვოს საბუღებიც,  
 რათა უფრო შეუზღუდველ ფიქრში  
 ყლავ დაწყოს გეგმები განახლების.

ფროსტის ლექსებში პესიმისტური განწყობილება არასოდეს გეცემათ თვალში. მას არასოდეს დაღატობს ტაქტის შეგრძნება პირადი სევდის გაღმოცემისას პოეზიაში. პირიქით, სიყველილ-სიცოცხლის საკირბოროტო საყვითხთა გამო საუბარში მას ერთგვარი ირონიაც ახასიათებს. იგი ამბობს ერთგან: „ღმერთო მომიტევე შენი მისამართით ნასროლი მცირე ოხუნჯობანი, სამაგიეროდ მე მოგიტევე ჩემი მისამართით ნასროლ დიდ ოხუნჯობას“.

ან რამდენი პოეტური ტაქტია მის პატარა ლექსში „გართხმულნი“, სადაც პოეტი ისევ თავის საყვარელ ბუნებას მიმართავს, რათა გვაგრძნობინოს თავისი უნუგეშო მდგომარეობა. იგი მოგვითხრობს, რომ ქარმა და წვიმამ ყვავილები გათელეს, განართხეს მიწაზე და ასე ამთავრებს ლექსს:

„ცოცხლებს — ჭვეშ გართხმულთ მიწის  
 შავი ლები:  
 მე ვიცი, რას გრძნობდნენ მათ  
 ყვავილები“.

არის ტენდენცია ამერიკულ კრიტიკაში ფროსტის უიტმანიანულად გამოცხადებისა (ჯეფრი მური), მაგრამ ეს მტკიცება მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეესაბამება სიმართლეს. მართალია, ფროსტის პოეზია თავისი ხალხურობით, დიდი თემატიური ნაირფეროვნებით შეიძლება დაეუნათესავეთ ამერიკის ამ დიდი ტრიბუნის შემოქმედებას, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ძირეული განსხვავებანიც მათ შორის; კერძოდ, ფროსტის მიერ ურბანისტული თემების იგნორირება, მკაცრი კონტროლი სალექსო სტრიქონისადმი (თვით თავისუფალ ლექსებშიც კი), ემოციის შეფარვა ან მეორე პლანზე გადატანა, განგებობისად გამკრთალებული ფერების ხმარება და სხვა. რაც შეეხება სალაპარაკო ინტონაციებს, ფროსტის მიერ მათი ვირტუოზული მოთავსება კლასიკური ლექსის ჩარჩოებში უფრო მეტად ანათესავებს მას მეორე დიდ ამერიკელ პოეტთან, ედვინ არლინგტონ რობინსონთან.

ფროსტის ბოლო პერიოდის ლექსებში შესამჩნევია მიდრეკილება მკაცრი ლაკონიზმისაკენ: თვითველი სტრიქონი აქ უფრო მძიმდება, ხდება უფრო მრავალსმეცხელი („quantula“<sup>1</sup>, „ნოქტურნები“, „ბათი წისკვილი“). შეიმჩნევა დიდი დახელოვნება აფორის-

ტულ მეტყველებაში, ზრუნავს მთელი აფორიზმის ჩარჩოებში აქცევა ლექსის მთელ ფაბულას და ვლებულობთ, თუ შეიძლება ითქვას, „მიკროფაბულას“ (მაგ. „სიფრთხილე“, „რწმენა“, „პასუხი“ და სხვა). ამავე დროს გვანცვიფრებს ნიუ ჰემპშირელი ფერმერის ერუდიცია მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. მისთვის შემოქმედების მასალაა არა მარტო თვალთ ხილული სამყარო, არამედ მიკროსკოპში და ტელესკოპში დანახული რეალობაც. (ლექსები: „ყურადსაღები წერტილი“, „ციცაბო მთა“). მითოლოგიურ ელემენტებს და ბუკოლიკურ მოტივებს მოდერნიზებული სახით ეხვდებით ამ პერიოდის ლექსებში („ირისე ღამით“, „პოლიტიკური პასტორალი“).

ფროსტის მრავალფეროვანი პოეტური სამყაროს ათვისება საჭიროებს კვლევის უფრო ფართო მასშტაბით გაშლას; ამჯერად ჩვენ მხოლოდ ამ მცირე შენიშვნებზე შევჩერდებით. რაც შეეხება ნამდვილ შეფასებას ფროსტისას, დიდი პოეტი დიდ პირამიდას ჰგავს, რომლის გრანდიოზულობას მხოლოდ მოშორებით დგომისას თუ აღვიქვამთ.

რობერტ ფროსტი უაღრესად საპოეტო ადგილს დაიკავებს XX საუკუნის პარნასზე.



<sup>1</sup> quantula—(ლათ.) რა მცირეა.

პირველი ნომერი

საგარეო ურთიერთობების  
სამსახურის

საგარეო ურთიერთობების  
სამსახურის

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

საგარეო ურთიერთობების

სამსახური

პირველი ნომერი

ჩვენ გავაცანით საქართველოს სახელმწიფოს მთავრობის — ს ა ვ ა ზ ი -  
რ ო ს — მთლიან სიას, სავაზიროს პერსონალურ შედგენილობას სამი საუკუ-  
ნის მანძილზე, მე-12 საუკუნის დასაწყისიდან — მე-14 საუკუნის დასასრუ-  
ლამდე.

ზემოთ წარმოდგენილი ვაზირთა მთლიანი სიის განხილვიდან ირკვევა ერთი  
სრულიად უდავო ფაქტი, რაც გვაძლევს საშუალებას სრულის სიზუსტით და  
ეპემოტურად შევამოწმოთ შოთა რუსთველის ვინაობა.

სახელდობრ, ზემოთ წარმოდგენილი სიის მიხედვით ირკვევა:  
ვაზირნი მე-12—14 საუკუნეთა მანძილზე, როგორც წესი, ინიშნებოდნენ  
დიდი საერისთავოების მეთაურების — ერისთავთ-ერისთავების — წრიდან.  
სულ მე-12—14 საუკუნეთა მანძილზე საისტორიო წყაროებით ცნობილია  
78 ვაზირი.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ვაზირნი მწიგნობართ-უხუცესნი,  
როგორც წესი, სასულიერო პირთაგან ინიშნებოდნენ (9 ვაზირი).

ხოლო დანარჩენნი ვაზირნი, საერო პირნი, სულ 69 ვაზირი, ასე ნაწილ-  
დებიან:

61 ვაზირი არიან ერისთავთ-ერისთავნი, მეთაურნი დიდი საერისთავოებისა,  
ე. ი. იმ 25 მთავარი სამხარეო ერთეულებისა, რომლებსაც ადმინისტრაციულ-  
ლად დაყოფილი იყო სახელმწიფო.

3 ვაზირი არიან თემების ერისთავნი, რომლებიც თავისი რანგით გათანას-

\* გავრცელება. იხ. „მნათობი“ № 3.



წორებულნი იყვნენ ერისთავთ-ერისთავებთან (იხ. ვაზირთა სიაშიქ, 1123, 49). მათ შესახებ ქვემოთ ცალკე ვვექნება საუბარი.

დანარჩენი 5 ვაზირი არ იყო ერისთავთ-ერისთავების წრიდან და მათი დანიშვნა განსაკუთრებულ ვითარებაში მოხდა.

ამ ხუთი ვაზირიდან სამი ვაზირი დანიშნული იყო გარდამავალ ხანაში, დემნას აჯანყების შემდეგ, 1178 წელს; ხოლო ორი ვაზირი იყვნენ გარეშე ძალის, მონგოლთა ყაენების მიერ დაწინაურებულნი პირნი მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში.

ჯერ პირველი სამი ვაზირის შესახებ.

დემნას აჯანყებას, როგორც ცნობილია, ფართო ხასიათი ჰქონდა, შეიძლება ითქვას — მან შეარყია სახელმწიფო. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს თვით მთავრობის წევრებმა; აჯანყებულთა მხარეზე აღმოჩნდა სავაზიროს წევრთა უმრავლესობა, შვიდი ვაზირიდან ხუთი ვაზირი.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ გიორგი III-ემ მოახდინა დიდი ცვლილებანი სახელმწიფო აპარატში და კერძოდ სავაზიროში შეიყვანა სამი ვაზირი არა დიდებულების წრიდან (სახელდობრ: ამირსპასალარი და მანდატურთ-უხუცესი ყუბასარი, მსახურთ-უხუცესი აფრიდონი და მეჭინბეთ-უხუცესი ივანე).

ამან უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია დიდებულთა წრეში. გარდაიცვალა თუ არა გიორგი III (1184 წელს), დიდებულთა წრემ მოითხოვა სახელმწიფო აპარატის შეცვლა და კერძოდ გამოყვანა სავაზიროდან დასახლებული სამი ვაზირისა. თამარის პირველი ისტორიკოსი („ისტორია-აზშმათა“ ავტორი) გადმოგვცემს:

„დიდებულთა ვითმე ხელისუფალთა ყვეს ფიცი ესრეთ, ვითარმედ: „ილარვეგებით ძუელთა ხელისუფალთა და განმგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინაითგან მათგან დაძრკვილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარინნი და მსახურებულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უხმართაგან“!

შეფიცულებმა მიადწიეს მიზანს და ეს სამი ვაზირი სავაზიროდან გამოყვანილ იქმნა. ამ საგანზე ჩვენ ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვვექნება საუბარი.

რაც შეეხება დანარჩენ ორ ვაზირს, რომელთა დანიშვნით დარღვეულ იქმნა მიღებული წესები, ესენი იყვნენ, როგორც აღვნიშნეთ, გარეშე ძალის, მონგოლთა ყაენების მიერ დაწინაურებულნი პირნი მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში, სადღუნ მანკაბერდელი და ხუტლუბულა სადღუნის ჯე, ეგრეთწოდებული „მედროკენი“, გამტარებელნი მონგოლთა ყაენების პოლიტიკისა საქართველოში.

ამრიგად, ჩვენს წინაშე სრულებით ნათელი სურათია: საქართველოს სახელმწიფოს ვაზირნი, როგორც წესი, ინიშნებოდნენ ერისთავთ-ერისთავების წრიდან.

გავიციოთ ამის შემდეგ, სახელდობრ რომელ გვარეულობათაგან ინიშნებოდნენ ვაზირნი.

როგორც მოვიხსენეთ, ერისთავთ-ერისთავების ტიტულს ატარებდა 64 ვაზირი.

ამათ შორის 61 ვაზირი იყვნენ მხარეთა ერისთავთ-ერისთავები (ე. ი. მე-თაურნი იმ 25 სამხარეო ერთეულისა, რომლებზედაც აღმინისტრაციულად დაყოფილი იყო სახელმწიფო);

<sup>1</sup> იხ. ისტორია-აზშანი შარავანდელთან, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30.

ხოლო 3 ვაზირი იყვნენ თემების ერისთავნი, რომლებიც, როგორც გამოირკვევა, რანგით გათანასწორებულნი იყვნენ ერისთავთ-ერისთავებთან. ჯერ პირველი ჯგუფის შესახებ.

მოხსენებული 61 ვაზირი, რომლებიც მხარეთა ერისთავთ-ერისთავები იყვნენ, ეკუთვნიან 15 გვარეულობას. აქედან ჰერეთ-კახეთიდან 4 გვარეულობა: ქართლიდან 3 გვარეულობა; ზემო-ქართლიდან (მესხეთის მხარეებიდან) 3 გვარეულობა; სამხრეთ-ქართლიდან 1 გვარეულობა; ლიხთ-იმერეთიდან 3 გვარეულობა; არარატის სომხეთიდან 1 გვარეულობა.

მოგვეყავს ამ გვარეულობათა სია:

I. კ ა ხ ე თ - ჰ ე რ ე თ ი ს გვარეულობანი.

1. ჰერეთის ბაგრატიონნი, ერისთავთ-ერისთავნი ჰერეთისა და რუსთავისა ხუთი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № № 5, 13, 36, 37, 46).
2. არიშინი, ერისთავთ-ერისთავი რუსთავისა. ერთი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № 6).
3. იოზის-ძე („არიშინისა ადგილსა მჯდომი“), ერისთავთ-ერისთავი რუსთავისა. ერთი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № 29).
4. პანკელი, ერისთავთ-ერისთავი კახეთისა. ერთი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № 38).

II. ქ ა რ თ ლ ი ს გვარეულობანი.

5. აბულეთისძენი, ერისთავთ-ერისთავნი ქართლისა (1125—1145 წ.; 1155/6 წ.). ოთხი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № № 3, 4, 11, 15).
6. ორბელნი, ერისთავთ-ერისთავნი ქართლისა და ორბეთისა (1145—1155 წ.; 1156—1177წ.). სამი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № № 10, 12, 16).
7. სურამელნი, ერისთავთ-ერისთავნი ქართლისა (1178 წ. — XIV ს.). სამი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № № 50, 60, 61).

III. ზ ე მ ო - ქ ა რ თ ლ ი ს (მესხეთის მხარეთა) გვარეულობანი.

8. თორელნი, ერისთავთ-ერისთავნი თორი-ჭავჭავეთისა. ხუთი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № № 17, 27, 34, 47, 48).
9. ციხისჯვარელ-ჭაყელნი: ა. ერისთავთ-ერისთავნი, სამცხის სპასალარი 1191—1268 წ.; ბ. სამცხის მთავარი 1268 — XIV ს. რვა ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № № 39, 52, 58, 59, 69, 70, 71, 72).
10. ფანასკერტელნი, ერისთავთ-ერისთავნი ტაოსი (შავშეთ-კლარჯეთ-ტაოთა). ერთი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № 76).

IV. ს ა მ ხ რ ე თ - ქ ა რ თ ლ ი ს (ქართლის სომხითის) გვარეულობა.

11. მხარგრძელნი. ერისთავთ-ერისთავნი სამხრეთ ქართლის სანაპირო საერისთავოთა (ლორესი, კენისა, გაგისა), შემდეგ არარატის სომხეთის ანისისა და დინის სახლთა.

ათი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № № 26, 32, 33, 40, 43, 44, 45, 55, 56, 57).

V. ლ ი ხ თ- ი მ გ რ ე თ ი ს გვარეულობანი.

12. **დადიანნი**, ერისთავთ-ერისთავნი ოდიშისა.  
ცხრა ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № № 7, 22, 35, 63, 64, 65, 73, 74, 75).
13. **ვარდანისძენი**, ერისთავთ-ერისთავნი. ორი შტო:  
ა. ვ ა რ დ ა ნ ი ს ძ ე ნ ი I, ერისთავთ-ერისთავნი, სვანთ-ერისთავ/ გურიელები.  
ექვსი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № № 8, 30, 66, 67, 77, 78).  
ბ. ვ ა რ დ ა ნ ი ს ძ ე ნ ი II, ერისთავთ-ერისთავნი, სვანთ-ერისთავ/ გაელები (არიშიანთა მემკვიდრენი).  
ორი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № № 14, 28).
14. **კახაბერისძენი**, ერისთავთ-ერისთავნი რაჭისა და თაყვერისა.  
ერთი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № 52).

VI. ა რ ა რ ა ტ ი ს ს ო მ ხ ე თ ი ს გვარეულობა.

15. **ორბელიანი სივნიეთისა**, ერისთავთ-ერისთავი არარატის სომხეთის სივნიეთის სახლისა.  
ერთი ვაზირი (იხ. ვაზირთა სია: № 53).

\*\*\*

**ვაზირნი, — თანხაის პრინტაჟნი,**

გათანასწორებულნი რანგით ერისთავთ-ერისთავებთან.

(შ ე ნ ი შ ე ნ ა)

ამის შემდეგ ჩვენ ცალკე შევხებრდებით სამი ვაზირის ვინაობის საკითხზე, რომელნიც, როგორც შემდეგ გამოირკვევა იყვნენ თემის ერისთავები, რანგის მიხედვით გათანასწორებულნი ერისთავთ-ერისთავებთან; ეს ვაზირნი არიან:

1. **უთულუ-არსლანი** მეტურქულეთ-უზბუცესი 1178—1184/5 წ. (იხ. ვაზირთა სია, № 20).
2. **ჭიაბერი ა)** მეჭინბეთ-უზბუცესი 1178—1184/5 წ.; **ბ) მანდატურთ-უზბუცესი** 1184/5—1204 წ. (იხ. ვაზირთა სია: № 23).
3. **მანაველი** (საბელი მოხსენებული არაა) — მსახურთ-უზბუცესი, მე-13 საუკუნის პირველი ნახევარი (იხ. ვაზირთა სია: № 49).

ჩვენ მოგვიხდება დაწერილებით შევხებრდეთ მათი ვინაობის საკითხზე; ჩვენ გადასატრელი გვაქვს იმდენად რთული და ისეთი დიდი მნიშვნელობის პრობლემა, რომ აქ არ შეიძლება თუნდაც ერთი წერილმანი დარჩეს განუხილველი და შეუშოწმებელი.

ხოლო საკითხის დეტალური განხილვა მით უფრო აუცილებელია, რომ ამ პირთა ვინაობა გაურკვეველად ითვლება, ხოლო ყუთულუ-არსლანის ვინაობის შესახებ სრულიად მცდარი მოსაზრებანი იყო წარმოდგენილი.

\*

**1. უთულუ-არსლანი**

**ვაზირი მეტურქულეთ-უზბუცესი 1178—1184/5 წ.**

ყუთულუ-არსლანი მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა ძველი საქართველოს ისტორიაში. როგორც ცნობილია, უთულუ-არსლანი თამარის წევლობის დისაწყისში მეთაურობდა მოძრაობას პარლამენტური სახის წყობილებას შემოღებისათვის საქართველოში.

ყუთულუ-არსლანის შესახებ მთელი ლიტერატურა შეიქმნა, მაგრამ მისი ვინაობის საკითხი დღემდე სავამთხოდ არის ქვეული, ისიც გაურკვეველად ითვლება, თუ რა წრეს ეკუთვნოდა იგი;



ამ საგანზე ბევრი მცდარი შეხედულება იყო წარმოდგენილი. ამის გამო ჩვენ აქ საკითხს დეტალურად განვიხილავთ მოგვიხდება\*.

ვინ იყო უფლუ-არსლანი?

სასტორიო წყაროების პრეციზული ანალიზიდან ირკვევა, რომ უფლუ-არსლანი ეკუთვნოდა შესხეთის მხარის ცნობილ ისტორიულ გვარეულობას — ჭაყვლთა — ბოცოსძეთა გვარს.

არსებულა ამ გვარის ორი შტო:

- ა. პირველი, ძირითადი შტო: სამცხის მხარისა;
- ბ. მეორე შტო: კოროხის მხარისა (თეზარის-კორიდეთისა).

**1. ჭაყვლნი — ბოცოსძენი.**

**სანცხის შტო.**

ჭაყვლთა — ბოცოსძეთა გვარის ძირითადი თავდაპირველი სამკვიდრო იყო ორი თემი სამცხისა: 1. ბოცო-ხევი (მას ამჟამად ფოცხოვი ეწოდება), რომლის ცენტრი იყო ციხე ყაველი;

2. ჭაყვის თემი, რომლის ცენტრი იყო ვანთქმელი ციხე-სიმაგრე ჭაყვი. ამ ორი სამფლობელოდან წარმოდგება ამ ძველი საგვარეულოს სახელწოდებანი: ჭაყვლნი — ბოცოსძენი.

მე-11 საუკუნეში და მე-12 საუკუნის პირველ ნახევარში ჭაყვლნი — ბოცოსძენი არიან ერისთავნი ჭაყვისა და ბოცო-ხევის (ყველის) თემთა.

ხოლო მე-12 საუკუნის ნახევარში, როდესაც ჩამოყალიბდა სამხარეო ერთეული — სამცხის სასპასალარო (რომელშიაც შევიდა სამცხის, არტანის, კოლას, და კარნიფორ-ბასიონის თემები), სამხარეო ერთეულის სათავეში დაყენებულ იქმნა ჭაყვლ-ბოცოსძეთა გვარის წარმომადგენელი ერისთავთ-ერისთავის და სამცხის სპასალარის ტიტულით.

\* მიუვითთებთ აქ საგნის ლიტერატურას:

- 1. ივანე ჭავჭავაძე, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. 2, გვ. 155—186.
- 2. მოსე ჭანაშვილი, კორიდეთის ოთხთავი და მისი ქართული წარწერები. (კრებული „ძველი საქართველო“, I, გვ. 74—87).
- 3. ს. ჭანაშვილი, შრომები, II, 1952, გვ. 428.
- 4. И. Петрушевский, Городская знать в государстве хулагуидов, СВ, V, 1948, 33-37.
- 5. ა. კაციბე, საქართველო XII საუკუნეში (თსუ შრომები, IX, 1939, გვ. 167).
- 6. ს. შავალათია, თამარ მეფე, 1942, გვ. 15—17.
- 7. С. Эремян, Юрий Боголюбский, Научные труды Эреванского Гос. университета, 1946, XXIII, გვ. 398—399.
- 8. ნ. ბერძენიშვილი და სხვანი, საქართველოს ისტორია, I, 1958.
- 9. გ. სოსელია, უფლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ, სოხუმის პედ. ინსტ. შრომები, X—XI, გვ. 67—99.

საკითხის გადაჭრა გააძნელა ამ ვარაუდებამ, რომ მკვლევარნი უპირატესად ემყარებოდნენ საისტორიო წყაროს „ისტორია-აზნათა“ არა პირველდღიანს, რომელიც წარმოდგენილია მართამ დედოფლის ხელნაწერში, არამედ ტახტანგისეულ რედაქციას, სადაც ტექსტი გადაკეთებულია და გააზრებული სწავლულ კაცთა კომისიის მიერ.

ს. ჭანაშვილი და ნ. ბერძენიშვილი იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ უფლუ-არსლანი დიდებულთა წრის (მისი პროგრესული ნაწილის) წარმომადგენელი იყო, მაგრამ ეს ავტორები ამ სწორ აზრს აღნიშნავენ მხოლოდ ვაკეით და უფლუ-არსლანის ვინაობის საკითხს არ ეხებებიან. საკითხის გადაჭრასთან ახლო იყო მ. ჭანაშვილი, მაგრამ მან ვერ შესძლო მისი დამაყრებლად ამოხსნა, შეცდომები დაეშვა ქრონოლოგიისა და გენეალოგიის საკითხებში, ორი გვარეულობა ერთ გვარეულობად მიიღო და სხვ. მ. ჭანაშვილის შეცდომებს კორიდეთის სახარების წარწერათა წაკითხვაში და მათი თარგმანების განსახლებრაში შეეხო ნ. მარი წერტილი: Грузинские приписки греческого евангелия из Коридии, ИАН, 1911, გვ. 211—240.

თამარის მეფობის დასაწყისში, 1184—1191 წლებში, სამცხის სპასალარისა და ერისთავთ-ერისთავი არის ბოცო I ჯაყელი (=ბოცოსძე).

როგორც ცნობილია, 1191 წელს ბოცო მიემხრო ვიოტი ზოგოლიძისკენ და ამის გამო ბოცოს ჩამოართვეს სამცხის სპასალარობა და ერისთავთ-ერისთავობა, ამას გარდა ჩამოართვეს აგრეთვე ძველი სამკვიდრო ჯაყის თემი, ბოცოს და მის გვარს დაუტოვეს მხოლოდ ბოცო-ბეცი სამცხისა, სადაც ისინი შევიდრბენ მე-13—14 საუკუნეებში. ამის შემდეგ ისინი აღარ იწოდებიან ჯაყელებად (რადგან აღარ ფლობენ ჯაყის თემსა და ჯაყის ციხეს), არამედ აწოდებიან მხოლოდ როგორც ბოცოსძე.

1191 წლიდან, ბოცოს გადაყენების შემდეგ, სამცხის სპასალარობა და ერისთავთ-ერისთავობა გადაეცა სამცხის მეორე დიდი გვარეულობის წარმომადგენელს, უვარუჯარე-ივანე ციხის-ჭვარცილს, რომელსაც, სამცხის სპასალარობასა და ერისთავთ-ერისთავობასთან ერთად გადაეცა აგრეთვე სამკვიდრო სამფლობელოდ ჯაყის თემი და ჯაყის ციხე. ამიტომ ეს ახალი ერისთავთ-ერისთავი სამცხის სამხარეო ერთეულისა თავის ძველ საგვარეულო სახელწოდებას ციხის-ჭვარცილი უმატებს მეორე სახელწოდებას ჯაყელი; ამის შემდეგ სამცხის სპასალარობა ეს გვარი ორმაგ საგვარეულო სახელს ატარებს: ჯაყელ-ციხისჭვარცილი.

ჩვენ ამ აღარ ვნერდებთ ბოცოსძეთა (ძველ ჯაყელ-ბოცოსძეთა) გვარის სამცხის შტოს შემდგომ ისტორიაზე, რადგან ეს არ წარმოადგენს ინტერესს აქ აღწერილი საკითხის ვასაშუქებად.

მოგვიყავს ამ გენეალოგიური ნუსხა ჯაყელ-ბოცოსძეთა გვარის სამცხის შტოსა მე-11 საუკუნიდან 1191 წლამდე (ე. ა. იმ დრომდე, როდესაც მათ ჩამოერთვა სამცხის სპასალარობა).

ა.  
ერისთავნი ჯაყისა და ბოცო-ბეცისა (ყველისა):

1. შურვან I ჯაყელი<sup>1</sup>  
(მოიხსენება 1068 წელს)
2. ბეშქენ I ჯაყელი<sup>2</sup>  
(+1018 წ.)

ბ.  
ერისთავთ-ერისთავნი, სამცხის სპასალარნი:

3. მემნა I ჯაყელი<sup>3</sup>  
(მოიხსენება 1177 წელს)



2. ჯაყელნი — ბოცოსძენი

ჭორბის მხარის (თუხარის-კორიდეთის) შტო.

უძველესი ცნობა ჯაყელ-ბოცოსძეთა გვარის ჭორბის მხარის შტოს შესახებ ეკუთვნის მე-11 საუკუნეს, 1044 წელს, მატიანეში ამ წელს მოიხსენება ხელისუფალი საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ისა ბეშქენ ჯაყელი, თუხარისის (ჭორბის ხეობის) ერისთავი. იგი ბიზანტიის ირი-ენტაციის მოღვაწე ყოფილა: მან მხარა დაეპირა ბიზანტიელთა კანდილატს საქართველოს სამეფო ტახტზე უფლისწულს დემეტრეს, ბაგრატ IV-ის ძმას. მას შემდეგ, რაც დემეტრეს გამეფება ველარ მოხერხდა და დემეტრე ბიზანტიაში დაბრუნდა, დემეტრეს მომხრე თუხარისის ერისთავი ბეშქენ ჯაყელი, როგორც ირქვევა, ბიზანტიის იმპერიას ტერიტორიაზე გადასულა; იგი დამკვიდრებულა ჩრდილო ქანეთში, კორიდეთის თემში, რომელიც ჭორბის ხეობაში, თუ-

<sup>1</sup> ცხოვრება ვიოტი I-ისა და ბაგრატ IV-ისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 310.  
<sup>2</sup> დაიით აღმაშენებელის ისტორიკოსი, ქართლას ცხოვრება, I, გვ. 334.  
<sup>3</sup> სტეფანოს ორბელიანი.  
<sup>4</sup> ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34, 38, 49, 50, 51, 89.  
<sup>5</sup> ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 32.  
<sup>6</sup> იხ. ვიოტი I-ისა და ბაგრატ IV-ის მატიანე, გვ. 298.

ზარისის საერისთავოს მეზობლად მდებარეობდა, და რომელიც ამ დროს, 1044 წელს კორიღეთის საზღვრებში შედიოდა.

შემდგომი ისტორია ჭანეთის მხარისა, როგორც ეს ვარკვეული ვაჟებს გიორგი მერჩულესი, შემდეგია:

1073 წელს ჭანეთი, ჭოროხიდან ვიღრე რკინის-პალომდე (შათ შორის ჭოროხის ნაპირას მდებარე კორიღეთის თემი), შემოერთებულ იქმნა საქართველოსთან. ამ დროიდან, მე-11 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ვიღრე მე-13 საუკუნის დასაწყისამდე ჭანეთი შუდის საქართველოს ფარგლებში. მე-13 საუკუნეში, 1204—1262 წლებს შორის ჭანეთი არის კონდომინიუმში საქართველოს სახელმწიფოსი და ტრაპიზონის იამბელისა (საქართველოს გავლენის უპირატესობით); დამტიურად ჭანეთის მხარე იყო გამტარებელი ქართული გავლენისა ტრაპიზონის სამეფოში). 1282 წელს ჭანეთი უერთდება დასავლეთ საქართველოს; 1297 წელს ჭანეთი შეუერთდა მესხეთის სამთავროს და ამ დროიდან მოყოლებული ჭანეთი განუყოფელი ნაწილია საქართველოსი ვიღრე 1547 წლამდე, როდესაც ჭანეთი დაიპყრო ოსმალებმა<sup>1</sup>.

დაუბრუნდეთ ისევე ჭაყვალ-ზოცოსძეთა გვარის ჭოროხის მხარის შტოს ისტორიას.

ჩრდილო ჭანეთში, კორიღეთის თემში, რომელიც ჭოროხის ხეობაში მდებარეობს (ყოფილი თუხარისის საერისთავოს მეზობლად), მე-11 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიღრე მე-14 საუკუნის პირველ ნახევრამდე მკვიდრობს ერისთავთა გვარეულობა, რომელიც, როგორც ეს დასტურდება ონომასტიკონისა და ყველა სხვა მონაცემების მიხედვით, არის შთამომავლობა თუხარისის (ჭოროხის მხარის) ერისთავის ბეშენ I ჭაყვალისა. კორიღეთის თემის ამ ერისთავთა სია, მე-11 საუკუნიდან ვიღრე მე-14 საუკუნემდე, შესაძლოა აღდგენილ იქნას კორიღეთის ცნობილი სახარების ჩანაწერებიდან (სადაც წარმოდგენილია ერისთავთა ამ გვარეულობის აქტები), რომელსაც ეთანხმება და ავსებს იერუსალიმის ჭეარის მონასტრის ერთი აღაპი.

მოგვეყვას აქ გენეალოგიური ნუსხა ჭაყვალ-ზოცოსძეთა გვარის ჭოროხის მხარის შტოსა მე-11 საუკუნიდან მე-14 საუკუნემდე. ამ ერისთავთა შორის მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში დასახლებულია ყუთლუ-არსლანი.

თუხარისის თემის ერისთავთა:

1. ბეშენ I (მოიხსენება 1044 წელს)<sup>2</sup>.

კორიღეთის თემის ერისთავნი (ერისთავთ-ერისთავნი)

1073 წლიდან — XIV საუკუნის დასაწყისამდე.

2. ბეშენ II, ერისთავთ-ერისთავი (XI—XII ს.)<sup>3</sup>

3. შერვან I (XI—XII ს.)<sup>4</sup>

4. ბეშენ (ბექა) III (XII ს.)<sup>5</sup>

5. შერვან II (XII ს.)<sup>6</sup>

6. ყუთლუ-არსლანი

ერისთავთ-ერისთავი, მეტრეპლეთ-უხუცესი 1178—1184/5 წ.<sup>7</sup>

1 იხ. პ. ინგოროვია, გიორგი მერჩულე, გვ. 277—293.

2 ცხოვრება გიორგი I-ისა და ბავრატ IV-ისა, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 298

3 კორიღეთის სახარების ჩანაწერი: V, IV.

4 იქვე: XIII, III.

5 იქვე: IX, XVI, VI, XIV.

6 იქვე: X, XI, XV, XVII.

7 ისტორია-აზმანი (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30—32); კორიღეთის სახარების ჩანაწერი: XVIII.

7. მანუჩა (XII—XIII ს.)<sup>1</sup>  
 8. ივანი, ამირაზორი 1260—1270 წ.<sup>2</sup>  
 9. ბეშქენ IV, ერისთავთ-ერისთავი (XIII—XIV ს.)<sup>3</sup>  
 10. მურვან III (XIII—XIV ს.)<sup>3</sup>

იმის მიხედვით, რაც ზემოთ იყო დადგენილი, ამრიგად გამოიკვეთება შემდეგა ჩაითვა-  
 ლის შემდეგი:

ჭორიხის ხეობის ერისთავი თუხარის-კორიდეთის თემთა არის შტო **ჩაყელ-ბოცოსძეთა**  
 გვარეულობისა, რომლის ძირითადი სამკვადრო სიმფლობელი სამცხეში იყო: ბოცო-ხევი  
 (ყველის თემი) და 1191 წლამდე — ჟაყოს თემი, საიდანაც შთა შიილეს საგვარეულო სა-  
 ხელწოდებანი: **ჩაყელი—ბოცოსძენი**.

რომ ჭორიხის ხეობის თუხარის-კორიდეთის თემთა ერისთავი გუთუნოდნენ ჟაყელ-  
 ბოცოსძეთა გვარეულობას, ამის შესახებ პირდაპირი ჩვენება მატარებენ: უძველესი წარ-  
 მომადგენელი ამ შტოსა მატარებელი მოხსენებელია როგორც ჩაყელი: **ბეშქენ ჩაყელი, თუხარი-  
 ხის ერისთავი**.

რომ ეს ორი შტო ერთი გვარია, ამას ადასტურებს აგრეთვე თვით ონომასტიკონი, საგვა-  
 რეულო სახელები ჩაყელ-ბოცოსძეთა გვარისა: ბეშქენი და მურვანი. ჭორიხის ხეო-  
 ბის შტოში მე-11 საუკუნიდან ვიდრე მე-14 საუკუნემდე ათი ერისთავიდან ბეშქენისა და მურ-  
 ვანის სახელებს ატარებს შვიდი: მურვანის სახელს — სამი, ბეშქენის სახელს ოთხი.

არის აგრეთვე კიდევ ერთი ჩვენება, საიდანაც დასტურდება, რომ ყუთლუ-არსლანი  
 ჩაყელთა-ბოცოსძეთა გვარეულობას გუთუნოდა.

როგორც ცნობილია, ყუთლუ-არსლანი, როდესაც იგი გამოვიდა თავისი ცნობილი წინა-  
 ცადებები სახელმწიფო მმართველობის შეცვლის შესახებ, მთავრობამ იგი შეიპყრო. ამას მო-  
 ჰყვა ყუთლუ-არსლანის დასის ახალი გამოსვლა მთავრობის წინააღმდეგ. ისტორიკოსი მო-  
 გეიხბოზს: „ეთაჰრა ცნეს ესე ლაშქართა, თანაშემწეთა და თანაშეფიცულთა, შეიყარნეს,  
 დაადგინეს ახალი სიმტყეყე ყუთლუ-არსლანის განუებულობისა, განეშალდნეს ისანისაჲა შე-  
 მომხად“. ყუთლუ-არსლანის დასი და მისი მიმდგომი ლაშქარი ისინი სასახლის შემშისათვის  
 გამწადებულა. ამ დროს, ისტორიკოსის ცნობით, სასახლიდან ყუთლუ-არსლანის დასთან მოსა-  
 ლაპარაკებლად გუგუზაენით — „ორნი საპატრიონ დიოდანნი, რომელი იყო ერთი **ხუაშაქი  
 ცოქალი**, დედა ქართლისა ერისთავთ-ერისთავისა რატისი, და ერთი **კრავა ჩაყელი**, დედა აწ  
 მყოფთა სამთავართი; უბრძანა (მეფემან) ფიცითა მიწოდება და სხვისა არავისი ბრალობა. და  
 მოჰყვეს დიდებულნი (ყუთლუ-არსლანის დასისანა) ბრძანებასა პატრონისასა (მეფისასა),  
 და წინაშე მოსტრულა დავრდომით თაყვანისცეს, აღიდგეს ფიცი პატრონისაგან (მეფისაგან) და  
 მისცეს შთა პირი ერთგულობისა და ნებისყოფლობისა მათისა“.

ამრიგად, ამ ორთა საპატიო დიოდანთა მოლაპარაკების შემდეგ მომხდარა ყუთლუ-არს-  
 ლანის შემორიგება, ორმხრივი ფიცის დადება და ყუთლუ-არსლანის განთავისუფლება.

ხოლო რის გამოა, რომ მოლაპარაკების საწარმოებლად წარგზავნილ ორ დიოდანთა  
 შორის — ერთი იყო ჩაყელთა გვარისა, დიოდანი კრავა ჩაყელი? ცხადია იმის გამო, რომ  
 თვით ვახტრი ყუთლუ-არსლანი იმავე გვარისა იყო, ჩაყელი, და ყუთლუ-არსლანის დასი კრავად  
 ჩაყელის სიტყვასა და დამიჩნებას უფრო ირწმუნებდა.

კორიდეთის თემის ერისთავი, როგორც ირკვევა, თავისი რანგით ერისთავთ-ერისთავებ-  
 თან იუნენ გათანასწორებულნი, ერისთავთ-ერისთავის ტიტულს ატარებდნენ (ასე, წყაროებში,  
 როდესაც კი აღნიშნულია კორიდელ ჩაყელთა სახელისუფლო ზარისხი, ისინი იწოდებოან ახა  
 ერისთავებად, არამედ ერისთავთ-ერისთავებად; იხ. სიაში, — მეორე: ბეშქენ II, და მეცხრე:  
 ბეშქენ IV).

<sup>1</sup> კორიდეთის სახარების ჩანაწერი: I.

<sup>2</sup> კორიდეთის სახარების ჩანაწერი, XXIII, 1; ჟვარის ალაბი (ნ. შარის გამოცემა გვ. XIV).

<sup>3</sup> ჟვარის ალაბი (ნ. შარის გამოცემა, გვ. XIV).

<sup>4</sup> ამრიგად ყუთლუ-არსლანის მიმდგომი დიდებულნი ყოფილან.

<sup>5</sup> იხ. ისტორია-იზმანი შარავანდედთანი ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30—32.

როგორც ჩანს, საერისთავო თანამდებობა კორიდეტის თემისა, რომელიც ჰანაძეების მიერ იმპერიის მოსაზღვრე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა, მნიშვნელოვან პოსტად ითვლებოდა, და ამით აიხსნება, რომ კორიდეტის ერისთავნი რანგით გათანასწორებულნი იყვნენ ერისთავთ-ერისთავებთან. მაგრამ ამას გარდა, ცხადია, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ კორიდეტის ერისთავთ-ერისთავნი ევთენოდენენ ჩაყვლ-ბოცოსძეთა გვარეულობას.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, — მე-12 საუკუნის მეორე ნახევარი არის ჩაყვლ-ბოცოს-ძეთა გვარის აღზევების ხანა. ჩაყვლ-ბოცოსძეთა სამცხის შტო, ამ დროს, როგორც აღვნიშნეთ, იყვნენ ერისთავთ-ერისთავნი და სპასალარნი სამცხის სამხარეო ერთეულისა; ხოლო კორიდეტის შტოს წარმომადგენელი უთოღე-არსლანი, გიორგი III-ის დროს არის ეპილოგი მკვერქ-ლეთ-უბუცესი.

თამარის მეფობის დასაწყისში უთოღე-არსლანი არის შეთადრი დიდებულთა ერთი ფრთისა, პროგნოსტიკული დასისა; ამ დროს ვაყვანა უთოღე-არსლანისა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ისტორიკოსის სიტყვით, როდესაც უთოღე-არსლანმა წარმოადგინა თავისი ცნობილი მოთხოვნები სახელმწიფო მმართველობის შეცვლისა, იგი „განზაღებულთა“ ყოფილა (ცხადია დასის თანამობით) — „თავის თავისა ამირსპალარად“ დადგენისათვის, და სამირსპალარო ქვეყნის — ლორეს სამთავროს მიღებისათვის.

2.

ვაჟიანი მანაველთა გვარეულობიდან:

ამ გვარეულობიდან იყო ორი ეპილოგი:

1. **ჰიაბერი** ა) მეჩინიბუთ-უბუცესი 1178—1184/5 წ.; ბ) შანტატერო-უბუცესი 1184/5—1204 წ.

2. **მანაველი** (სახელი მოხსენებული არაა) — მსახურთ-უბუცესი (1230-იანი წლები). — ეპილოგის ჰიაბერის სამფლობელო იყო მანავეის თემი იერის ხეობისა (წყაროებში მოხსენება „ჰიაბერის ეკლესია“ ორხედ, მანავეის თემის ზონაში. ხედავ, როგორც აღნიშნულია წყაროში, „დავით აღმაშენებელსა ეკლესია საზღვრად ჩაუდგამს“).

თემის ცენტრის მანავეის სახელწოდებიდან მომდინარეობს საგვარეულო ზედწოდება: **მანაველი**.



ჰერეთის სამხარეო ადმინისტრაციული ერთეული, საერისთავო-ერისთავო, ამ საზღვრებში, რომელშიაც იგი მე-12—13 საუკუნეებში არსებობდა, წარმოადგენდა ორი მხარის გაერთიანებას:

1. **აღმოსავლეთი ჰერეთი** (ალანის ვაჟნი მხარე), რომელიც 1117 წლამდე ცალკე სამეფოს წარმოადგენდა;

2. **დასავლეთი ჰერეთი** (ალანის გამოღმა მხარე). იგი თავის მხრივ სამ თემად განიყოფებოდა:

ა. **შიდა-ჰერეთი** ანუ **ზორნაბუჯის თემი**.

ბ. **სუქეთი** (ვეემო კუხეთი) ანუ **ვეეჩინის თემი**.

გ. **შიდა-კუხეთი** ანუ **მანავეის თემი**.

ამ ოთხი ერთეულის მფლობელი გვარეულობანი იყვნენ.

1. **აღმოსავლეთ-ჰერეთისა**: **ჰერეთის ბაგრატიონნი**.

2. **შიდა-ჰერეთისა** (ზორნაბუჯის თემისა): **კოლნეკლისძენნი**.

3. **სუქეთისა** (ვეეჩინის თემისა): **გნოლისთავისძენნი** ანუ **წირქვალდენნი**.

4. **შიდა-კუხეთისა** (მანავეის თემისა): **მანაველნი**.



გვეყნოთ ამის შემდეგ თამარის პირველი ისტორიკოსის ერთ ტექსტს.

თამარის პირველ ისტორიკოსს („ისტორია-ამბოთა“ ავტორს) მოთხრობილი აქვს, რომ 1191 წელს თამარის კარზე მიიღეს სხვადასხვა მხარეების დიდებულთა წარმომადგენელნი, რომელნიც „შეწყალნეს თვითოეულნი თვისთა წესითა“:

„ქუეშოთ [ჰერეთის მხარისა]: [1] წირქვალდენნი ზარტაიუს ძენი, [2] გრაგოლის ძენი, [3] ჰიაბერის ძენი, და [4] მანაველის ძენი,

და თავნი კახეთისანი თორდაის ძენი, შეიწყალნეს თვითოეულნი თვისთა წესითა, რომელნიმე ახლად დალოცვითა, რომელნიმე მომატებოთ;

1 იხ. მცხეთის სიგელი 1492—1499 წლებისა, თ. კორძანია, ქრონიკები, II, გვ. 310.



აგრეთვე ქართლელნი, სომხობარნი, თორელნი, მესხეთელნი და სხვანი<sup>1</sup>.

აქ ჩამოთვლილია აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ქვეყნები, შემდეგის თანრიგით: ჰერეთი, კახეთი, ქართლი, ქართლის სომხეთი, თორი (ყავახეთი), სამცხე (სასპასალარი), ტაო (შავშეთ-კლარჯეთ-ტაონი).

ზემოთ მოვანხილ საიში ჰერეთის დიდებულნი მოხსენებულნი არიან (გარდა ჰირველისა) მამის შვილობით, თუ ვისნი ძენი იყვნენ ისინი, როგორც ეს ზვეულდბრევილი ვიღებულნი იყო: „გრიგოლის ძენი“ — იგულისხმება ჰერეთის ბაგრატიონის გრაგოლ 111-ის ძენი.

„ქიაბერის ძენი“: ქიაბერი — აგრეთვე სახელია, როგორც გრიგოლი; საგვარეულო ზედწოდება — მანაველი.

„მახატელის ძენი“: მახატელი აგრეთვე სახელია; გვარია — კოლონკელისძე (ერთი ამ მახატელის ძეა შორის, საღირ, თანამედროვე თამარისა, ხან მოხსენებდა მამის შვილობით — როგორც საღირ მახატელის ძე, ხან გვარით — საღირ კოლონკელისძე<sup>2</sup>).

ასევე მამის შვილობით არიან მოხსენებულნი „თავნი კახეთისანი თორღაის ძენი“. თორღაი სახელია; საგვარეულო ზედწოდება — ჰანკელი.

მხოლოდ ერთი ამ დიდებულთა შორის მოხსენება როგორც მამის სახელით (ხარტაიქის ძე), ისე საგვარეულო სახელით, სადატობის აღმნიშვნელი ზედწოდებით: წირქუაღელი (ეს არის სახელმწიფოს პირველი ვაზირის — მწიგნობართ-უხუცესის გვარეულობა; უფრო სრული სახეა ამ გვარისა: წირქუაღელი გლონისთავისძე<sup>3</sup>).

ამრიგად, თამარის ისტორიკოსის ამ საიში აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულთა გვარებიდან სახელდება მოხსენებულთა კახეთის ერთი გვარეულობა — „თავნი კახეთისანი თორღაის ძენი“ (=მანაველნი) და ჰერეთის ოთხი გვარეულობა (თავნი ჰერეთისა).

ჰერეთის გვარეულობანი აქ როგორც ენახეთ, შემდეგის თანრიგით არიან ჩამოთვლილნი:

1. წირქუაღელი — გლონისთავისძენი (ხარტაიქის ძენი);
2. ჰერეთის ბაგრატიონნი (გრიგოლის ძენი);
3. მანაველნი (ქიაბერის ძენი);
4. კოლონკელისძენი (მახატელის ძენი).

ეს ოთხი გვარეულობა (თავნი ჰერეთისანი) არიან თავნი იმ ოთხი ტერიტორიული ერთეულისა, რომლებიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი: 2=აღმოსავლეთი ჰერეთი; 1=ვეყინის თემი; 3=მანავეის თემი; 4=ხორნაბუჯის თემი.

სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავნი მე-12—13 საუკუნეში დაქტორად ინიშნებოდნენ ირი გვარეულობიდან — ჰერეთის ბაგრატიონებიდან და კოლონკელისძეებიდან (ჰერეთის ბაგრატიონები, როგორც აღნიშნული გვექონდა, იყვნენ სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობაზე 1117—1145, 1163—1177, და 1190/1 წლიდან მე-14 საუკუნემდე. კოლონკელისძენი იყვნენ ერისთავთ-ერისთავებად 1145—1163 და 1178—1190 წლები).

თამარის ეპოქაში ეს ორი გვარი, — ჰერეთის ბაგრატიონნი (=გრიგოლის ძენი) და კოლონკელისძენი (=მახატელის ძენი) ეწეოდნენ სანაპირო სამხედრო სამსახურს განაპირადეის მხარის საზღვარზე. თამარის შესახებ ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდგარი წერს:

„ქუემო ნაპირის (ჰერეთის) კერძ — გრიგოლის ძენი, და უფროსლა ტბელა [გრიგოლის ძე], და მახატელის ძენი მონაპირობდეს, რომელთა შინითა განძის და ბარ-

<sup>1</sup> იხ. ისტორია-ანმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 55.

<sup>2</sup> იხ. ისტორია-ანმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34, 61; ბასილი ეზოსმოდგარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 130.

<sup>3</sup> იხ. ვიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 408 („ვეყინის ერისთავი წირქუაღელი“), ბასილი ეზოსმოდგარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 122 („გლონისთავის ძე ანტონი, მწიგნობართ-უხუცესი“); მცხეთის სიგელი 1468 წლისა („წირქუაღელი გლონისთავის ძე“), იხ. თ. ყორღანი; ქრონიკები, II, გვ. 289.

რაც შეეხება სახელს „ხარტაიქი“ — იგი არის შეცვლილი სახელი (resp. დაზიანებული დაწერილობა) სახელისა „ტარსაიქი“, რომელიც დამოწმებულია XIII საუკუნის თნომასტიკონში. იხ. კერძოდ ვაზირთა საიში. ტარსაიქი ორბელიანი, ათაბაგი 1284—1289 წ. (ვაზირთა სია № 53).



დავს ურმა შვირბ ვერ აუტვირდებოდა დედასა, და ვერცა თურქნი იორის პირსა და პირსა საძოვარსა აწვენდეს<sup>1</sup>.

1191 წელს, რა დროსაც ვეთენის ზემოთ მოყვანილი სია თამარის პირველი ისტორიკოსისა, სრულიად ჰერეთის ერისთავ-ერისთავნი იყვნენ ჰერეთის ბაგრატიონები. ურადღებას იქცევს ის ვარაუდობა, რომ მოყვანილ სიაში ჰერეთის ბაგრატიონები დასახლებულია არა პირველად. არამედ მეორედ: პირველად დასახლებულია — წირქვალელნი-გნოლისთავისძენი. შემთხვევითია ეს? საფიქრებელია — არა, როგორც მოვისხენეთ, 1191 წელს, როდესაც შედგენილია ეს სია, სახელმწიფოს პირველი ვაზირი შვიგნობართ-უხტეცის იყო ანტონი ჭყონდიდელი, რომელიც წირქვალელ-გნოლისთავისძეთა გვარს ეკუთვნოდა. საფიქრებელია, რომ ამის გამო მისი გვარი მოხსენებული პირველად, ხოლო ჰერეთის ერისთავთ-ერისთავისა მეორედ.

მესამედ დასახლებულია „ჭიაბერის ძენი“ (მანაველთა გვარეულობა). ჭიაბერი ამ დროს ვაზირი (მანდატურთ-უხტეცის) იყო.

მეოთხედ მოხსენებულია კლონკელისძენი (= მახატელის ძენი), ყოფილი ერისთავთ-ერისთავნი ჰერეთისა. მათ დაუთმიათ მესამე ადგილი მანაველთათვის (= ჭიაბერის მეთაურის).

ჩვენ ამით დაეასრულეთ ამ მოკლე ექსკურსს ჰერეთის სამხარეო ერთეულის ამ ოთხი მთავარი გვარეულობის შესახებ. როგორც ირკვევა, ეს ოთხი გვარეულობა რანგით ახლო დგანან ერთმანეთთან. ისინი არიან „თავნი ჰერეთისანი“. პირველია მათ შორის ჰერეთის ბაგრატიონები, რომელთაც (გარდა ცალკეული ხანმოკლე პერიოდებისა) უპურიათ უშაღესია ხელი-სუფლება მხარეში, არიან სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავნი, ხოლო მათ მოსდევს დანარჩენი სამი გვარეულობა თანაბარი რანგისა.

**დაგვრჩენია შევაჯამოთ.**

1. წარმოდგენილი მიმოხილვიდან, ჯერ ერთი, გამოირკვა, რომ მე-12 საუკუნის დასაწყისიდან — ვიდრე მე-14 საუკუნის დასასრულამდე, სამი საუკუნის მანძილზე, საქართველოს სახელმწიფოს ვაზირნი, როგორც წესი, ინიშნებოდნენ საერისთავოთა მეთაურების — ერისთავთ-ერისთავების წრიდან.

სულ ამ სამი საუკუნის მანძილზე — ვაზირები დანიშნულა ერისთავთ-ერისთავების 17 გვარეულობიდან. მათ შორის 15 გვარეულობა არის მხარეთა ერისთავთ-ერისთავნი, რომელთა წრიდან დანიშნულა 61 ვაზირი, ხოლო ორი გვარეულობა არის თემების ერისთავთ-ერისთავები (გათანასწორებულნი რანგით მხარეთა ერისთავთ-ერისთავებთან) რომელთა წრიდან დანიშნულია 3 ვაზირი.

ეს გვარეულობანი, როგორც გამოირკვა, შემდეგია:

**ა. კახეთ-ჰერეთის მხარეთა გვარეულობანი:**

1. ჰერეთის ბაგრატიონნი, ერისთავთ-ერისთავნი ჰერეთის და რუსთავისა.
2. არიშანი, ერისთავთ-ერისთავნი რუსთავისა.
3. იობის-მე (არიშანის მემკვიდრე).
4. მანაველნი, ერისთავთ-ერისთავნი ჰერეთის მხარის მანავის თემისა.
5. პანკელი, ერისთავთ-ერისთავნი კახეთისა.

**ბ. ქართლის გვარეულობანი:**

6. აბულეთისძენი, ერისთავთ-ერისთავნი ქართლისა.
7. ორბელიანი, ერისთავთ-ერისთავნი ქართლისა და ორბეთისა.
8. სურამელი, ერისთავთ-ერისთავნი ქართლისა.

**გ. ზემო-ქართლის, მესხეთის მხარეთა და ჭანეთის გვარეულობანი:**

9. თორღლნი, ერისთავთ-ერისთავნი თორი — ყაჯახეთისა.
10. ჭაველ-ციხისგვარდლნი, ერისთავთ-ერისთავნი სამცხის სასპასალარონი.
11. ჭაველი-კორიდელი, ერისთავთ-ერისთავნი ჩრდილო ჭანეთისა (კორიდეთის თემისა).
12. ფანასკერტლნი, ერისთავთ-ერისთავნი შავშეთ-კლარჯეთ-ტაოთა.

**დ. სამხრეთ ქართლის (ქართლის სომხეთის) გვარეულობა:**

13. მხარგრძელნი, ერისთავთ-ერისთავნი ლორეს მხარეთა.

<sup>1</sup> იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 130.

- ე. ლიხთიმერეთის გვარეულობანი:
14. დადიანი, ერისთავთ-ერისთავნი ოდიშისა.
  15. ვარდანიძენი.
    - ა. ვარდანიძენი I, ერისთავთ-ერისთავნი, სვანთ-ერისთავგურჩილნი.
    - ბ. ვარდანიძენი II (არიშინის მემკვიდრენი), ერისთავთ-ერისთავნი, გაველნი.
  16. კახაბერისძენი, ერისთავთ-ერისთავნი რაჭისა და თაყვერისა.
- ვ. არარატის სომხეთის გვარეულობა:
17. ორბელიანი სვინეთისა, ერისთავთ-ერისთავნი სვინეთის მხარისა.

2. წარმოდგენილი მიმოხილვიდან გამოირკვეა ამავე დროს, რომ რუსთავის საერისთავო ერთი იყო, საერისთავო ჰერეთის რუსთავისა; იგი მე-12 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 1192—3 წლამდე არსებობდა როგორც ცალკე დამოუკიდებელი საერისთავო; ხოლო 1192—3 წელს რუსთავის საერისთავო დაკავშირებულ იქმნა ჰერეთის საერისთავოსთან, შესდგა გაერთიანებული საერისთავო ჰერეთისა და რუსთავისა, რომელიც ასეთი გაერთიანებული სახით არსებობს მე-12 საუკუნის დასასრულიდან (1192—3 წლიდან) ვიდრე XIV საუკუნემდე.

3. რუსთავის მფლობელნი არიან მე-12 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 1192—3 წლამდე რუსთავის ერისთავთ-ერისთავი არიშინი და მისი მემკვიდრენი. ხოლო მე-12 საუკუნის დასასრულიდან (1192—3 წლიდან) ვიდრე XIV საუკუნემდე რუსთავის მფლობელნი არიან ჰერეთის ბაგრატიონნი, ერისთავთ-ერისთავნი ჰერეთისა და რუსთავისა.

4. ჰერეთის რუსთავის მფლობელთაგან დაინიშნა შვიდი ვაზირი. ამთ შორის ოთხი ვაზირი დაინიშნა მე-12 საუკუნის დასაწყისიდან 1192—3 წლამდე, ვიდრე რუსთავის საერისთავო გაერთიანდებოდა ჰერეთის საერისთავოსთან. ხოლო სამი ვაზირი დაინიშნა 1192-3 წლის შემდეგ, მე-12 საუკუნის დასასრულსა და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში (1250 წლამდე), რა დროსაც რუსთავის მფლობელნი არიან ჰერეთის ბაგრატიონნი.


შედივე ეს ვაზირნი არიან მექუტუტ-უხუცესნი. ვაზირის მემკურტუტ-უხუცესის თანამდებობა, როგორც ირკვევა, დაკავშირებულია ჰერეთის რუსთავის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობასთან.

5. იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის მასალებიდან, და კერძოდ ჯვარის სამონასტრო მატანიდან, აღაბთა წიგნიდან დადასტურდა, რომ პოეტი შოთა რუსთველი იყო საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მექუტუტ-უხუცესი.

ჯერ მარტო ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ პოეტი შოთა რუსთველი, საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მემკურტუტ-უხუცესი, ეყუთვნოდა ჰერეთის ბაგრატიონთა გვარეულობას, რომელიც მე-12 საუკუნის დასასრულსა და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში ფლობდნენ რუსთავს, და რომელთა წრიდან. მიღებული წესის თანახმად, „წესისაებრ სახლისა“<sup>1</sup> — ინიშნებოდნენ ვაზირნი მემკურტუტ-უხუცესნი.

<sup>1</sup> რომ ვაზირნი საზოგადოდ იწოდებოდნენ „წესისაებრ სახლისა“, ეს აღნიშნული აქვს მე-12 საუკუნის დასასრულს ძველ-ქართველ ისტორიკოსს, „ისტორია-აზმათა“ ავტორს, ესეც აღნიშნულია მე-14 საუკუნის ქართულ წყაროში, სახელმწიფო „ქარის გარიგება“-ში.

6. ქართული საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ პერეთისა და რუსთავის ერისთავთ-ერისთავნი, ვაზირნი მკურტულეთ-უხუცესნი, XII საუკუნესა და XIII საუკუნის პირველ ნახევარში იყვნენ:



ასეთი ზუსტი დამთხვევა სხვადასხვა გზიდან წარმოებული ძიების შედეგებისა არ სტოვებს ეჭვს, რომ პოეტი შოთა რუსთველი, საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მკურტულეთ-უხუცესი, არის შოთა III პერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი პერეთისა და რუსთავისა (რუსთველი); მას მიუღია ვაზირის მკურტულეთ-უხუცესის თანამდებობა „წესისაებრ სახელისა“. — ყველაფერთან ერთად, მათი ცხოვრების თარიღი სრულის სიზუსტით ემთხვევა ერთიმეორეს.

7. დასასრულ, აქ ჩვენ ერთხელ კიდევ შევჩერდებით საგვარეულო სახელებზე.

**სახელი შოთა არის საგვარეულო სახელი პერეთის ბაგრატიონთა.**

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ძველ-ქართულ ფეოდალურ გვარეულობათა შორის მიღებული იყო საგვარეულო სახელები, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ გვარებში გვხვდება.

ამის საილუსტრაციოდ ჩვენ აქ საგანგებოდ შევჩერდებით იმ დიდ ფეოდალურ გვარებზე, რომელთაგან ინიშნებოდნენ ვაზირნი, და რომელთა სია მოყვანილი გვქონდა ზემოთ.

ასე, მაგალითად:

ა. ოდიშის ერისთავთ-ერისთავთა დადიანთა გვარში საგვარეულო სახელებია: ბედიანი<sup>1</sup>, ცოტნე, ხაფიგ. ეს სახელები, რომლებიც მიღებული იყო დადიანთა გვარში, ჩვენ გვხვდება აგრეთვე იმ ვაზირთა შორისაც, რომელნიც დაინიშნენ დადიანთა გვარიდან: ბედიანი I (იხ. ვაზირთა სიაში № 31); ბედიანი II (ვაზირთა სიაში № 63); ცოტნე (განთქმული გმირი, იხ. ვაზირთა სიაში № 62); ხაფიგ (ვაზირთა სიაში № 64).

ბ. თორელთა გვარში საგვარეულო სახელებია: კახა და გამრეკელი. ეს სახელები, მიღებული თორელთა გვარში, ჩვენ გვხვდება იმ ვაზირთა შორისაც,

<sup>1</sup> ისევე როგორც გვარი „დადიანი“ დაკავშირებულია დადიანთა ძველი რეზიდენციის სახელწოდებასთან — „დადის ციხე“ (რომელიც დადის-წყალზე მდებარეობდა), ასევე სახელწოდება „ბედიანი“ დაკავშირებულია დადიანთა მეორე ძველი რეზიდენციის ციხე-ქალაქის სახელწოდებასთან „ბედიანი“. საისტორიო წყაროებში ოდიშის ერისთავებს ეწოდებათ „დადიანი-ბედიანი“ (იხ. ფაშთა-აღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 153, 180, 195, 215, 229, 243). ამავე დროს დადიანთა გვარში „ბედიანი“ იშპარება როგორც სახელი.

რომლებიც დაინიშნენ თორელთა გვარიდან; სახელდობრ <sup>ხუთივე</sup> ~~ხუთივე~~ <sup>გვარეულები</sup> რომლებიც თორელთა გვარეულობას ეკუთვნიან, ოთხი ატარებს ამ სახელებს: კახა და გამრეკელი; ასე, კახა I (იხ. ვაზირთა სიაში № 14); კახა II (ვაზირთა № 46); გამრეკელი I (ვაზირთა სიაში № 26); გამრეკელი II (ვაზირთა სიაში № 45).

გ. **ჩაყელ-ცინისჯვარელთა** გვარში საგვარეულო სახელია: ყვარყვარე. ეს სახელი, რომელიც მიღებულია ჩაყელ-ცინისჯვარელთა გვარში, გვხვდება იმ ვაზირთა შორისაც, რომელნიც ამ გვარეულობას ეკუთვნიან: ყვარყვარე I (ვაზირთა სიაში № 37), ყვარყვარე II (ვაზირთა სიაში № 67).

დ. **არიშიანთა (არიშისძეთა)** გვარში საგვარეულო სახელია არიშიანი<sup>1</sup> (იხ. ვაზირთა სია, № 6).

ე. **აბულეთისძეთა** გვარში საგვარეულო სახელებია: აბულეთი (იხ. ვაზირთა სიაში № 3), და თირქაში (ვაზირთა სიაში № 11).

ვ. **მხარგრძელთა** გვარში საგვარეულო სახელია: შაპანშა (შანშე)<sup>2</sup>. იხილეთ ვაზირთა შორის: შაპანშა I (ვაზირთა სია № 43), შაპანშა II (ვაზირთა სია № 53).

ზ. **მანაყელთა** გვარში საგვარეულო სახელია კიაბერი (იხ. ვაზირთა სიაში № 22).

ც. **ფანასკერტელთა** გვარში საგვარეულო სახელებია ციცი და ზაზა. იხ. ვაზირთა შორის ზაზა ფანასკერტელი (ვაზირთა სია № 75).

თ. **პანკელნი** (კახეთის ერისთავთ-ერისთავნი), ამ გვარეულობაში საგვარეულო სახელები მთავრდება სიტყვით: „ყმა“ (ე. ი. რაინდი, ვაყკაცი): ოგსე-ყმა (იხ. ვაზირთა სია № 36), ბაკურ-ყმა, ერისთავთ-ერისთავი კახეთისა თამარის ხანაში (იხ. ზემოთ, „მხათობი“ № 3, გვ. 142).

ასეთივე საგვარეულო სახელია ჰერეთის ბაგრატიონთა გვარში სახელი შოთა. სახელმა შოთა ფართო გავრცელება მიიღო რუსთაველის შემდეგ. მისი პოემის ვეფხისტყაოსნის საქვეყნო პოპულარობის გამო, ხოლო ვეფხისტყაოსნის უწინარეს ხანაში სახელი შოთა ჩვენ გვხვდება ფეოდალურ გვარეულობათაგან მხოლოდ ჰერეთის ბაგრატიონთა გვარში. ასე, როგორც აღნიშნული გვქონდა. მე-12—13 საუკუნეებში ამ სახელს ატარებენ:

შოთა (I), ჰერეთის ბაგრატიონი, ძმა და თანამმართველი ჰერეთის უკახასენელი დამოუკიდებელი მეფის ასათ I-ისა (მოიხსენება დავით აღმაშენებლის დროს, 1117 წელს).

შოთა (II), ჰერეთის ბაგრატიონი, მონაწილე დემნას აჯანყებისა 1177 წელს;

შოთა (III), ჰერეთის ბაგრატიონი. ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა და რუსთავეისა (რუსთველი), რომელიც არის იგივე შოთა რუსთველი, ავტორი ვეფხისტყაოსნისა.

ამრიგად საკითხი გარკვეულია.

მაგრამ განავარძოთ ისევ ძიება კიდევ სხვა ახალ საბუთთა და ახალ ცნობათა მოსაპოვებლად, საკითხის ყოველმხრივი შემოწმებისათვის.

<sup>1</sup> საგვარეულო სახელი „არიშიანი“ დაკვირვებელია სამფლობელო რეზიდენციის ციხე-ქალაქის სახელწოდებასთან „არიში“. ამრიგად, ეს საგვარეულო სახელი „არიშიანი“ იმავე ტიპის სახელწოდებას წარმოადგენს, როგორსაც სახელი „ბედიანი“, რომელიც მომდინარეობს სამფლობელო რეზიდენციის ციხე-ქალაქის სახელწოდებიდან ბედიანი (იხ. ზემოთ, გვ. 131, შენიშვნა).

<sup>2</sup> „შაპანშა“ არის ანისის ძველ მეფეთა ტიტული, რომელიც სახელად დამიკვიდრეს მხარგრძელებმა მას შემდეგ, რაც ისინი ანისს ერისთავთ-ერისთავებად დაინიშნენ.

## III, ბ.

**მეფისა, ვაზირთა ერისთავთ-ერისთავთა და სხვა  
ხელისუფალთა გარეგანი პატივის ნიშნები.  
განგება დარბაზობისა.**

იმისათვის, რათა ზედმიწევნით გავერკვეთ ზოგიერთ საკითხებში, რომლებიც ჩვენს წინაშე შემდეგი გამოკვლევის მანძილზე წამოიჭრება, ჩვენ აქ შევჩერდებით კითხვაზე, თუ როგორი იყო მეფისა, ვაზირთა, ერისთავთ-ერისთავთა და სხვა ხელისუფალთა პატივის ზოგიერთი გარეგანი ნიშანი.

**მეფე.** როგორც აღნიშნულია საქართველოს მეფეთა კურთხევის „წესსა და განგებაში“ მეფე იმოსებოდა პორფირით. სამეფო რეგალიები: გვირგვინი და სკიპტრა (იხ. წესი და განგება მეფეთა კურთხევისა. — შეადარეთ ვეფხისტყაოსანში: „სკიპტროსან-პორფიროსანსა შენოდა ცმა პორფირისა“).

აღსანიშნავია, რომ გვირგვინი ორი იყო, ასევე სკიპტრა. ერთი იყო გვირგვინი, რომელსაც მეფეს დაჰხურავდნენ მეფედ კურთხევის დროს. ეს გვირგვინი არ იყო საყოველღეო ხმარებაში, იგი მუდმივად დაცული იყო აფხაზეთში, ბიჭვინთის საკათალიკოზო ტაძარში. მეორე გვირგვინი, რომელსაც იხურავდა მეფე დარბაზობის დროს, თუ სხვა საზეიმო ვითარებაში, დაცული იყო სასახლეში.

ის გარემოება, რომ მეფეთა კურთხევისათვის დანიშნული გვირგვინი დაცული ყოფილა აფხაზეთში, ბიჭვინთის საკათალიკოზო ტაძარში, მოულოდნელს არას შეიცავს. როგორც ცნობილია, არაბობის შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივობა პირველად აფხაზეთში იქმნა აღდგენილი VIII საუკუნის დასასრულს. ამ დიდი ისტორიული აქტის მოსაგონარი იყო ტრადიციით დამკვიდრებული წესი, რომ საქართველოს მეფეთა საკურთხეველი გვირგვინი — აფხაზეთში, ბიჭვინთაში იყო დაცული.

საქართველოს სამეფო სკიპტრა აგრეთვე ორი იყო. მეორე ინახებოდა სასახლეში. ხოლო პირველი, რომელსაც მეფეს გადასცემდნენ ხელთ მეფედ კურთხევის დროს, აგრეთვე დაცული ყოფილა, სამეფო გვირგვინთან ერთად, ბიჭვინთაში — ვიდრე მე-13 საუკუნის დასასრულამდე, 1293 წლამდე.

1293 წელს სკიპტრა გამოტანილ იქმნა ქუთაისში. „ქარის ვარიგება“ ამ განზე შემდეგს გადმოგვცემს:

„ოდეს პირველ ვახტანგ (III) დალოცეს (მეფედ აკურთხეს 1269 წელს ქუთაისში), და მერმე კონსტანტინე (დალოცეს, აკურთხეს მეფედ-აგრეთვე ქუთაისის. 1293 წელს), დაისარჩლნეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იოვანე. ქუთათელმან თქვა: „თუ აწ ორჯერ-სამჯერ ჩემსა საყდარსა შიგან ორნი მეფენი დალოცვილან, და არ შემართლები, გვირგვინი, ანუ სკიპტრა, ჩემ საყდარსა შიგან არ დასდვა“. და მერმე ვაზირთა და ერთობლით ლაშქართა თქვეს თუ: „ქუთათელი უმართლეა“. და სკიპტრა ქუთათელს გაუჩინეს, და მოანება აფხაზეთის კათალიკოზმა, და ქუთათისის ღმრთისმშობლის წინ სამსკველი მოჰედეს და მით ერთობ საპატიო არის“-1.

ამრიგად, მეფეთა საკურთხეველი გვირგვინი ისევ ბიჭვინთაში დარჩენილა, ხოლო სკიპტრა გადმოუტანიათ ქუთაისში, ბაგრატის ტაძარში, და ჩაუსვენებიათ საგანგებოდ მოჭედულ სამსკველში ღმრთისმშობლის ხატის წინ.

დარბაზობის დროს მეფე იჯდა ოქროქედლილ ტახტზე (იხ. „ქართული იმპერია“ ნი: შეიქმნა დარბაზობა და დასხდეს ტახტსა ზედა ოქროქედლისა თვით თამარ, დავით და ძე მათი გიორგი“)<sup>1</sup>.

მეფის ტახტი ასე იყო გაწყობილი: იგი ჯერ გადაგებული იყო დიდი ოქსინოთი (შეად. ვეფხის-ტყაოსანში: „ტარიელ დაჯდა საქდომსა ოქსინო-გარდაგებულსა, სტროფი 1383). ოქსინო — ოქროქსოვილი ნოხია, „ორხოვას“ წესით ნაქსოვი (ამიტომ ოქსინოს აგრეთვე „ორხოვა“ ეწოდებოდა). ოქსინო-გარდაგებულ ტახტზე დაიდებოდა საქდომად „სასთაული“, ანუ რაც იგივეა, „ბალიში“<sup>2</sup>.

როდესაც არა საზეიმო დარბაზობა იყო, არამედ სავაზიროს საქმიანი სხდომა (რომელსაც მხოლოდ მეფე და სავაზიროს წევრები ესწრებოდნენ), ტახტზე გარდაგებდნენ არა დიდ ოქსინოს, არამედ უფრო მომცროს; კარის გარიგებაში მოთხრობილია, თუ როგორ ამზადებს დარბაზს სავაზიროს სხდომის წინ ფარეშთ-უხუცესი: „დაფინოს ორხოვა (=ოქსინო) ფარეშთ-უხუცესმა მომცრო, და ზედ სასთაული (=ბალიში) დადვას, რათა დაჯდეს მეფე“<sup>3</sup>.

როდესაც საქართველოს მეფეს ესტუმრებოდნენ საქართველოს სახელმწიფოს ვასალური და პროტექტორატის ქვეშ მყოფი მეფეები და მთავრები, მათთვის დაიდგმოდა არა ტახტები, არამედ ოქროქედლი „სელები“ (დიდი სკამები).

კარის გარიგებაში და მე-12—14 საუკუნეთა სხვა საისტორიო წყაროებში დაცულია ცნობები დარბაზობის წესისა და განგების შესახებ. საზეიმო დარბაზობის დროს, როგორც აღვნიშნეთ, მეფე იჯდა ოქროქედლილ ტახტზე, რომელიც გარდაგებული იყო დიდი ოქსინოთი და ზედ დადებული „სასთაულით“ (ბალიშით). საზეიმო დარბაზობაზე, როდესაც მას დაესწრებოდნენ საქართველოს პროტექტორატის ქვეშ მყოფი მეფენი, — ტრაპიზონის მეფე, შირვან-შაჰი, შაჰ-არმენი (ხლათის სულტანი) და ოვსთა მეფე, მათთვის დაიდგმოდა არა ტახტები, არამედ, როგორც აღვნიშნულია კარის გარიგებაში, — „მოთხნივე დაისხმიან დიდროანითა სკამითა (=სელებითა), მათ ზედა ოქსინოთა და სასთაულითა“.

(ამასთან მათ დასხამდნენ არა თვით მეფის ახლოს, არამედ კათალიკოზთა ქვემოთ და ვაზირის მწიგნობართ-უხუცესის ზემოთ)<sup>4</sup>.

### ვაზირნი.

ვაზირთათვის განკუთვნილი იყო სავანგებო სამოსელი, რომელსაც „საკამანგი“ ეწოდებოდა.

ვაზირის საქდომი იყო ოქროქედლი „სელი“ (დიდი სკამი) თამარის პირველ ისტორიაში მოთხრობილია, რომ როდესაც „თანადგომითა და ერთნებაობითა შვილთავე სამეფოთა დიდებულთათა“ აირჩიეს ვაზირნი „შთააცვეს ტანსა მათსა სკარამანგი და დასუეს სელებითა ოქრო“

<sup>1</sup> იხ. ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 63.

<sup>2</sup> იხ. კარის გარიგება, გვ. 19. „სასთაული“-სა და „ბალიში“-ს ილენტიკოვის შესახებ შეადარეთ კარის გარიგების ტექსტი და „განგება დარბაზობისა“ (რეკამს იყრთხოს მეფე), თ. კორდახია, ქრონიკები, I, გვ. 45—46.

<sup>3</sup> იხ. კარის გარიგება, გვ. 19.

<sup>4</sup> იხ. იქვე, გვ. 21.



ვედილითა რომელნიმე მარჯუენით მისსა [თამარისა] და რომელნიმე მარჯუენით ცხენითა<sup>1</sup>.

ვაზირთა საჯდომი ასე იყო გაწყობილი: ოქროვედილ სელზე გადაეფინებოდა ნატი (თალათინი) და ზედ დასაჯდომად დაიდებოდა „სასთაული“ (ბალიში).

ამრიგად, ვაზირთა ჯდომის წესი ოდნავ სახეცვლილია მეფის ჯდომის წესთან შედარებით. შეადარეთ:

საქართველოს მეფეთ-მეფე ჯდებოდა ოქროვედილ ტახტზე; ვასალი მეფეები ოქროვედილ სელზე; ვაზირნი აგრეთვე ოქროვედილ სელზე;

შემდეგ: საქართველოს მეფეთ-მეფის ტახტი გადაფენილი იყო დიდი ოქსინოთი (ოქროქსოვილი ნოხით), რომელსაც ზევიდან ედო „სასთაული“ (ბალიში); ვასალი მეფეების ოქროვედილი სელი გადაფენილი იყო ოქსინოთი (უფრო მცირე ზომისა), რომელსაც ზევიდან აგრეთვე ედო სასთაული; ხოლო ვაზირთა ოქროვედილ სელზე გადაფენილი იყო არა ოქსინო, არამედ ნატი. (მოქნილი ტყავი, თალათინი); ხოლო ნატს ზევით ედო „სასთაული“ (ისევე როგორც საქართველოს მეფეთ-მეფისა და ვასალი მეფეების საჯდომებს).

„სასთაული“ განსაკუთრებული პატივის ნიშნად ითვლებოდა, რადგან ეს იყო მეფისა და ვაზირთა პრეროგატივა.

თამარის პირველ ისტორიაში („ისტორია-აზმანში“) ასეა მოთხრობილი ვაზირად დადგენა ვარდან დადიანისა და მარუშთან ვარდანისძისა მათი მოხუცებული მამების, ძველი ვაზირების ადგილებზე:

„მსახურთ-უხუცესობა [უბოძა მეფემან თამარ] ვარდან დადიანსა,

და ჩუხჩარხოზა — მარუშთანსა,

ვიანათგან მათ ორთავე მამანი მომხცოვნებულ იყვნეს,

და დასდვა მამისა პატივი მათისა, და დასხნა „სასთაულითა“,

(—დასხნა სასთაულითა“ ვაზირობა უბოძა)<sup>2</sup>.

იმავე თამარის პირველ ისტორიაში აღნიშნულა ასათ გრიგოლის ძის, პერეთის ბაგრატიონის შესახებ, რომ მან, —

„იაცა არიშიანისა ადგილსა დაჯდომა (ე. ი. გამოითხოვა რუსთავის, ანუ არიშის საერისთავო, რომელიც არიშიანთა ძველი სამფლობელო იყო), — სასთაულითა“ (ე. ი. არიშიანის სავაზირო ხელისუფლებასთან ერთად)<sup>3</sup>.

რომ „სასთაულის“ მიღება ამ შემთხვევაში სწორედ ვაზირის თანამდებობის მიღებას ნიშნავდა, ამას ადასტურებს კერძოდ შემდეგი: საქმე ის არის, რომ მარტო რუსთავის ერისთავთ-ერისთავობის მიღება არ აძლევდა ასათ პერეთის ბაგრატიონს მიეღო მასთან ერთად აგრეთვე „სასთაული“. როგორც წყაროების შესწავლიდან ირკვევა, დიდი ერისთავების, „ერისთავთ-ერისთავების“ პატივის ნიშანი იყო არა „სასთაული“ („ნატი და სასთაული“), არამედ მხოლოდ „ნატი“. ხოლო „ნატის“ დაკარგვა—„დიდი ერისთავობის (ერისთავთ-ერისთავობის) ხარისხიდან ჩამოშორებას უდრიდა. ჩვენ უკვე მოყვანილი გვექნა თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა, რომ „დიდებულთა ხელისუფალთა“—დიდ საერისთავოთა მეთაურებმა ერისთავთ-ერისთავებმა ფიცი დადეს: „ალარ ვეგებით (ალარ ვემორჩილებით) ძველთა ხელისუფალთა და განმგებელთა საქმისათა...“

1 ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 33 (იხ. ზემოთ, „მნათობი“, № 3, გვ. 141).

2 ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34 (იხ. ზემოთ, „მნათობი“, № 3, გვ. 141).

3 იქვე, გვ. 33 (იხ. ზემოთ, „მნათობი“, № 3, გვ. 142).



ვინათგან დამრცვილნი, უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარუთნაჲს ვაძეულებულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუარობაჲს ვაძეულებულნი. — „უნატოდ გაძეული“, ე. ი. ხარისხიდან ჩამომცრობილი, „უპატიოდ და უსახელოდ გასრულნი“.

ჩვენ აქამდე ვეხებოდით საერო ხელისუფალთ, მეფესა, ვაზირებს და ერისთავთ-ერისთავებს, რაც შეეხება სასულიერო პირთ, „ნატი და სასთაული“ მიღებული იყო ვიწროდ შემოფარგლული წრისათვის, სულ შვიდი პირისათვის; ესენი იყვნენ: სრულიად საქართველოს კათალიკოზი, აფხაზეთის (ბიჭვინთის) კათალიკოზი, გელათის მოძღვართ-მოძღვარი (აქადემიის რექტორი) და სამი მთავარეპისკოპოსი, ძველი სამეფოების მღვდელმთავარნი: ქუთათელი, იშხნელი და სომხითის დიდი მიტროპოლიტი (ქუთათელი იყო პირველი მღვდელმთავარი დასავლეთ-საქართველოს ძველი სამეფოსი, მისი ტახტი იყო სამეფოს ძველი დედაქალაქი ქუთათისი; იშხნელი იყო პირველი მღვდელმთავარი ტაო-კლარჯეთისა, რომელიც, როგორც აღნიშნავს „ისტორია-აზმათა“ ავტორი — „ძველთა მეფეთა ტაოელთა დიდებულთა“ ქვეყანა იყო; ხოლო სომხითის დიდი მიტროპოლიტი იყო მღვდელმთავარი ქართლის სომხითის ძველი სამეფოსი<sup>1</sup>).

რაც შეეხებოდა დანარჩენ ეპისკოპოსებს, ისინი ორ წყებად განიყოფებოდნენ. ერთი წყება შეეფარდებოდა პატივის შიხედვით ერისთავთ-ერისთავებს, — მათი პატივის ნიშანი იყო არა „ნატი და სასთაული“ (ბალიში), არამედ „ნატი“. ასე, მაგალითად, ქართლის მთავარეპისკოპოსის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი დაჭდება „ნატითა“. უსასთაულოდ (ისევე როგორც იმავე მხარის საერო ხელისუფალი ქართლის ერისთავთ-ერისთავი დაჭდება „ნატითა“, უსასთაულოდ). ანდა, სამცხის პირველი მღვდელმთავარის მწვერელის შესახებ აღნიშნულია, რომ ისიც დაჭდება „ნატითა“ უსასთაულოდ (ისევე როგორც იმავე ქვეყნის ერისთავთ-ერისთავი სამცხის სპასალარი); ხოლო უბრალო ეპისკოპოსნი დასხდებიან უნატოდ, ისევე როგორც ჩვეულებრივი ერისთავნი<sup>2</sup>.

პატივის მიგების გარეგან გამოსახულებას წარმოადგენდა აგრეთვე განსაკუთრებული ცერემონიალი, მეფის შეხვედრისა ვაზირებთან და სხვა უმაღლეს პირებთან. „კარის გარიგების“ ტექსტის პირველი გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილი ამ ცერემონიალს აღარებდა ლუდოვიკო XIV-ის სამეფო კარის რთულ ცერემონიებს.

საქართველოს მეფე ხედებოდა განსაკუთრებულის ცერემონიალით 12 პირს. ყველაზე მეტ პატივს მეფე მიაგებდა გელათის მოძღვართ-მოძღვარს, აქადემიის რექტორს; შემდეგ ორ კათალიკოზს; ამათ მიჰყვებოდნენ ვაზირნი; შემდეგ სამი მთავარეპისკოპოსი.

ყველა ამ საპატიო პირთ დარბაზში მისაწვევად ეახლებოდა მეფის მიერ წარგზავნილნი სამეფო კარის მაღალნი ხელისუფალნი, ვაზირთა მოადგილეების რანგისა<sup>3</sup>.

**1. მოძღვართ-მოძღვარის (გელათის აქადემიის რექტორის) მიღება მეფის მიერ ასეა აღწერილი კარის გარიგებაში:**

<sup>1</sup> იხ. კარის გარიგება, გვ. 14 და „განგება დარბაზობისა“ (რეაქსი იყრობოს მეფე), თ. უროდანი, ქრონიკები, I, გვ. 45—46.

<sup>2</sup> იხ. „განგება დარბაზობისა“ (რეაქსი იყრობოს მეფე), გვ. 45—46.

<sup>3</sup> იხ. კარის გარიგება, გვ. 13—14.

„მოძღვართ-მოძღვარი ეთაყვანოს მეფესა; მერმე მეფეცა ეთაყვანოს ხელნი სრულად დასხნეს ნატაკსა ზედა, მომრგვალებით ეთაყვანოს გინჯადამრუდებით; მეფე ნოხთა პირსა მოეგებოს და მოესალმოს: „მოახსენე, ბრძანოსო!“<sup>1</sup>.

ამრიგად, პირველად თაყვანს სცემდა მეფეს ნოხის პირას მოსული მოძღვართ-მოძღვარი. მეფე აგრეთვე თაყვანის-ცემით უპასუხებდა, და ნატაკზე (მცირე ნოხზე), რომელიც გადაღენილი იყო ტახტთან დადგმულ მაგიდაზე. ორივე ხელს დასდებდა („მომრგვალებით“ ან „დამრუდებით“). შემდეგ მეფე ადგებოდა ტახტიდან, გაივლიდა ნოხს და მიეგებებოდა ნოხის პირას მდგომარე მოძღვართ-მოძღვარს, და მიმართავდა მის თანმხლებს ვაზირის მოადგილეს (პირველ მწიგნობარს სიტყვებით: „მოახსენე, ბრძანოსო!“

ეს განსაკუთრებული პატივი, რომელსაც გამოხატავდა ოფიციალური მიწების დროს მეფე აკადემიის რექტორის მიმართ, ცხადია მომდინარეობს დავით აღმაშენებლის დროიდან, რომელმაც დააარსა გელათი და რომელმაც, როგორც ვაღმომგვეცემს შემატინე, შექმნა იგი „სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად. მოძღვრად სწავლულებისად, სხუად ათინად“<sup>2</sup>. პატივი, რომელსაც მიაგებდა მეფე აკადემიის რექტორს, ცხადია, გამოსახულება იყო იმ განსაკუთრებული ყურადღებისა, რომელსაც სახელმწიფო იჩენდა განათლების საქმისადმი.

2—3. კათალიკოზნი. „ქარის გარიგება“ გადმოგვეცემს:

„კათალიკოზნი — ეგრეთვე ეთაყვანონ [მეფესა]; და მეფემანცა [ეთაყვანოს], ეგრეთვე ხელნი დასხნეს, დამრუდებითა გინა [მომრგვალებითა]; ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს“<sup>3</sup>.

ამრიგად მეფე ისევე ლეზულობდა კათალიკოზებს, როგორც მოძღვართ-მოძღვარს, მაგრამ პატივი აკადემიის რექტორის მიმართ მაინც მეტი იყო (კათალიკოზთა შესაგებებლად მეფე მხოლოდ ნოხის მესამედს გაივლიდა, მოძღვართ-მოძღვრისათვის კი მთელ ნოხს).

4. ვაზირთა უპირველესი მწიგნობართ-უხუცესი ჰყონდიდელი. „ქარის გარიგება“ გადმოგვეცემს:

„ჰყონდიდელი ეთაყვანოს მეფესა; და მეფე ეთაყვანოს და ნებნი ნახევრამდის დასხნეს დამრუდებით. იგი (ჰყონდიდელი) მეორედ კვლავ ეთაყვანოს; სამი ბიჯი წარმოიაროს მეფემან, აკოცოს“<sup>4</sup>.

5—9. ვაზირნი. პირველი ჯგუფი: ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთ-უხუცესი; მეორე ჯგუფი: მეპურპლეთ-უხუცესი, მსახურთ-უხუცესი.

„ქარის გარიგების“ გადმოცემით, ჯერ ვაზირნი ეთაყვანებიან მეფეს; ამის სპასუხოდ „რა ეთაყვანოს მეფემან, თითონი ნოხსა ზედა დასხნეს; და იგი [ვაზირნი] მეორედ კვლავ ეთაყვანონ; და მეორედ კვლავ ეთაყვანოს მეფემან; მეორედ თაყვანებისათვის — სამთა ვაზირთა უფრო, და ორ ვაზირთა უმდაბლე, — ხელნი აღუყრას“<sup>5</sup>.

ამრიგად, მეფე და ვაზირნი ორგზის ეთაყვანებიან ერთმანეთს. მეორე თაყვანებისათვის მეფე ვადაკოცნის მწიგნობართ-უხუცესს, ხოლო დანარჩენ ვაზირთ „ხელს აღუყრობს“. ეს ორგზისი თაყვანება, ამბორი და „ხელის აღუყრობა“, მეფისა და ვაზირთა სიხალთვის გამოსახულებაა.

10—12. სამი მთავარეპისკოპოსი: „იშხნელი, და მასთან რანვით თანასწორნი — ქუთათელი და სომხეთისა დიდი მიტროპოლიტი.

<sup>1</sup> იხ. ქარის გარიგება, გვ. 13.

<sup>2</sup> იხ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 330—1.

<sup>3</sup> იხ. ქარის გარიგება, გვ. 13.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 14.

მათი მიღების დროს, თავყვანების შემდეგ „ხელნი მეფემან“ <sup>1</sup> „ხელდა დასხნეს. ორი, ან სამი ბიჯი წამოიაროს“.

რაც შეეხება დანარჩენ მთავარეპისკოპოსებსა და ეპისკოპოსებს, მათ შესახებ კარის გარიგებაში აღნიშნულია: „ამ სხვათათვის სწორად ნუ დაიძრვის“.

\*\*\*

#### განხილვა დარბაზისა

გავეცნოთ ამის შემდეგ დარბაზობის ცერემონიალს, როგორც იგი აღწერილია „კარის გარიგებაში“, რომელიც, როგორც მოხსენებული გვექონდა, მე-14 საუკუნის პირველ ნახევარს, გიორგი ბრწყინვალის ხანას ეკუთვნის.

დარბაზობა, როგორც აღნიშნულია „კარის გარიგებაში“, ორი წესით სრულდებოდა, „დიდითა წესითა“ და „უმცროსითა“<sup>1</sup>.

საქართველოს მეფე დიდი დარბაზობის დროს იჭდა ოქროქედილ ტახტზე, რომელიც გაწყობილი იყო „ოქსინოთი და სასათულითა“.

დარბაზობის საპატიო მონაწილენი იყვნენ ოქროქედილ სელებზე (დიდრონ ჯამებზე), მაგიდებთან ანუ „საჯდომებთან“, შემდეგის წესით:

პირველ მაგიდასთან:

1. სრულიად საქართველოს კათალიკოზი;

მეორე მაგიდასთან ორი პირი:

2. მოძღვართ-მოძღვარი გელათისა (რექტორი აკადემიისა); 3. დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოზი.

მესამე მაგიდა დანიშნული იყო ოთხი მეფისათვის, რომლებიც პოლიტიკურად საქართველოს სახელმწიფოსთან იყვნენ დაკავშირებულნი. ეს მეფეები მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი ბრწყინვალის დროს, შემდეგნი იყვნენ:

4. ტრაპიზონის მეფე;

5. შირვან-შაჰი;

6. შაპ-არმენი (სომეხთ მეფე);

7. ოგსთა მეფე<sup>2</sup>.

(ამთ შორის შირვან-შაჰი იყო მეთაური საქართველოს სახელმწიფოს ავტონომიური ქვეყნის შირვანისა; დანარჩენნი საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატს ქვეშ იმყოფებოდნენ).

ამ ოთხი მეფის შესახებ „კარის გარიგებაში“ წერია:

„ამ ოთხთათვის ერთი საჯდომი (ერთ მაგიდასთან ჯდომა) მარჯვენით [მე-ფისა] დაუწერია [„კარის გარიგების“ აღმწერელს აღმწერელსა]. მოძღვართ-მოძღვრისა და აფხაზეთის კათალიკოზის ქვეშეთ და ჭყონდიდელის ზემოთ“.

„ოთხივენი დაისხმიან დიდროანითა სკამითა (ოქროქედილი სელებითა), მათზედა ოქსინოებითა და სასათულითა“<sup>3</sup>.

შემდეგ მაგიდებთან ისხდნენ ოქროქედილ სელებზე, რომლებიც გაწყობილი იყო ნატიითა და სასათულითა:

8. პირველი ვაზირი, ჭყონდიდელი.

<sup>1</sup> იხ. კარის გარიგება, გვ. 2, 12.

<sup>2</sup> იხ. კარის გარიგება, გვ. 12, გამო-აღმწერელი, ქართლის ცხოვრება, 11, 85, 294 (ოგსთა მეფე).

<sup>3</sup> იხ. კარის გარიგება, გვ. 12.



- ჰყონდიდელის გვერდით სამი მთავარეპისკოპოსი: 9. ქუთათელი; 10. იმ-  
ნელი; 11. სომხითისა დიდი მიტროპოლიტი.  
ვაზირნი: 12. ათაბაგი; 13. ამიოსპასალარი; 14. მანდატურთ-უხუცესნი;  
15. მეჭურჭლეთ-უხუცესი; 16. მსახურთ-უხუცესი.

შემდეგ იხსენენ, ნ ა ტ ი თ ა მხოლოდ უსასთაულოდ:  
ერისთავთ-ერისთავნი (მეთაურნი დიდ საერისთაოთა, რომელთა რიცხვი  
სახელმწიფოში 25 იყო) და აგრეთვე მათი რანგის ეპისკოპოსნი.

შემდეგ იხსენენ — უნატოდ:  
ერისთავნი და მათი რანგის ეპისკოპოსნი, „სხუანი ხელისუფალნი და ხე-  
ლოსანი სასახლის დიდებულნი ჩასხდებიან“.  
დანარჩენნი ჯდებოდნენ ან იღგნენ, „რომელიცა აქუნდა წესი ჯდომისა და  
დგომისა“<sup>1</sup>.  
„შორს ჯარი დაიჯრებოდა“<sup>2</sup>.

არაა ინტერესს მოკლებული აქ ცალკე შევჩერდეთ იმ ცერემონიაზე,  
რომლითაც ღებულობდნენ საქართველოს მეფის კარზე საქართველოსთან პო-  
ლიტიკურად დაკავშირებულ მეფეებს სხვადასხვა ეპოქაში და მათ ვინაობაზე.

მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში, გიორგი ბრწყინვალის დროს, როგორც  
მოვიხსენეთ, საქართველოს სახელმწიფოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული  
იყო ოთხი მეფე: ტრაპიზონის მეფე, შირვან-შაჰი, სამხრეთ სომხეთის მეფე  
„შაჰი-არმენი“ და ოვსთა მეფე.

მათი მიღების ცერემონიალი სხვადასხვანაირად ყოფილა აღწერილი სხვა-  
დასხვა კარის გარიგებაში.

ერთს ძველს კარის გარიგებაში (რომლის აზრსაც ეთანხმება ჩვენამდე მო-  
ღწეული კარის გარიგების ავტორი) ასე ყოფილა აღწერილი ამ ოთხა მეფის  
მიღების წესი:

„ამ ოთხთათვის ერთი საჯლოში მარჯვნივ [მეფისა] დაუწერია [ძველი კა-  
რის გარიგების აღმწერელსა], მოძღვართ-მოძღვრისა და აღხაზეთის კათალიკო-  
ზისა ქვეშეთ და ჰყონდიდელისა ზემოთ“. ამ წესს ეთანხმება ჩვენამდე მოღწე-  
ული კარის გარიგების ავტორი; იგი წერს:

„ეს თვით მართალია მუნ მათი; მე ვიცი პატრონისა (საქართველოს მეფისა)  
პრპანებად, რომ ოთხნივე დაისმიან დიდროანიითა სკამითა, მათ ზედა ოქსინოე-  
ბითა და სასთაულითა“<sup>3</sup>.

მაგრამ ყოფილა სხვა კარის გარიგებანი, რომლებშიაც ამ ოთხი მეფის მი-  
ღების წესი სხვანაირად ყოფილა აღწერილი. მოღწეული კარის გარიგების ავ-  
ტორი ამის შესახებ გადმოგვცემს:

„ზოგთა [კარის გარიგების აღმწერელთა] ასრე უწერია, ვითა: ტრაპიზონე-  
ლი და შირვან-შაჰი და სომხეთა მეფე [და ოვსთა მეფე] რა მოვიდნენ, საჯლოში  
არ არის ოთხთავე ერთი“. ჩვენამდე მოღწეული კარის გარიგების ავტორი არ  
ეთანხმება ამას, და იმოწმებს არ ს ე ნ ი ი ყ ა ლ თ ო ე ლ ს, რომელსაც და-  
ვით აღმაშენებელის შესახებ ნათქვამი აქვსო: „ვის ნაქარმაგვეს მეფენი თორ-

1 იხ. კარის გარიგება, გვ. 12. შეად. „განგება დაობაზობისა“ (რამას იყურებოს მეფე),  
თ. გორდანი, ქრონიკები, I, გვ. 45—46; ისტორია-ზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 73.

2 ვეფხისტყაოსანი, სტროფი 723.

3 იხ. კარის გარიგება, გვ. 12.

მეტნი პურად ჩაესხნეს“. კარის გარიგების ავტორს ჩამოთვლილი მუხები იყვნენ ეს თორმეტნი მეფენი, და დასასრულს ამბობს: „ესენი ჩაესხნეს ნაჭარმაგვეს მაგვეს (დავით აღმაშენებელსა), და თორმეტნი დასხდეს, და ოთხნი რად ვერ დაეტოღეს“<sup>1</sup>.

ვინაიდან კარის გარიგების ეს ტექსტი, სადაც ჩამოთვლილია თორმეტი მეფე, რომლებიც დავით აღმაშენებელს ნაჭარმაგვეში გამართულ დარბაზობაზე მიუღია, — დღემდე არ ყოფილა განხილვის საგანი, მოვეყავს აქ კარის გარიგების ეს ტექსტი მთლიანად, და თან შენიშვნებში ვუჩვენებთ, თუ ვინ იყვნენ ეს 12 მეფე.

„მამა არსენი იყალთოელი ამა შაირსა — იტყვის [დავითისათვის აღმაშენებლისა]:

„ვის ნაჭარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად ჩაესხნეს“.

[1—2] „ორნი ოვსთა მეფენი,

[=მოკავშირე ყმადნაფიცო მფლობელი ჩრდილო კავკასიის მხარეთა];

[3] „და კახთა მეფე,

[=აღსართანი, მფლობელი 1104 წელს შემოერთებული „რანთა და კახთა“ სამეფოს];

[4] „და ალვანთა მეფე,

[=მფლობელი 1120 წელს შემოერთებული ყაბალისა, ალვანთა ქვეყნისა];

[5] „წანართა (—აღმოსავლეთ-ჰერეთის) მეფე,

[=ასათ გრიგოლის ძე, ჰერეთის ბაგრატიონი, მეფე 1117 წელს შემოერთებული აღმოსავლეთ-ჰერეთის მხარისა — „წანართისა“];

[6—8] „სამნი ტაოელთა მეფენი,

[=ტაოკლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავალი];

[9] „და სომხთა მეფე,

[=ტაშირის სამეფოს მემკვიდრე];

[10] „და ტრაპიზონელი,

[=გრიგოლ გავრა, მფლობელი ქალღია-ტრაპიზონისა];

[11—12] „და შარვან-შაჰნი,

[=მეფენი 1123 წელს შემოერთებულ შირვანისა და დარუბანდისა];

—ესენი ჩაესხნენ ნაჭარმაგვეს [დარბაზობასა დავით აღმაშენებელსა]. — თორმეტნი დასხდეს“.

ზემოთ მოხსენებულ თორმეტ მეფეთა შორის — შეიძინი არიან მეთაურნი საკუთრივ საქართველოს ძველი სამეფოებისა, რომლებიც დავით აღმაშენებელის დროს საბოლოოდ შემომტკიცებული იყო გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფოში (მე-3 კახთა მეფე აღსართანი; მე-5 აღმოსავლეთ ჰერეთის მეფე, ასათ გრიგოლის ძე, ჰერეთის ბაგრატიონი; მე-6—8 ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონნი; მე-9 ქართლის სომხთის მეფე; აგრეთვე მე-4 ალვანთა მეფე, რომლის სამფლობელო ყაბალა შემოერთებულ იქმნა საქართველოსთან 1120 წელს);

<sup>1</sup> იხ. იქვე, გვ. 12.

<sup>2</sup> იხ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 336, 360.

<sup>3</sup> იხ. იქვე, გვ. 328—329.

<sup>4</sup> იხ. იქვე, გვ. 339.

<sup>5</sup> იხ. იქვე, გვ. 334.

<sup>6</sup> იხ. ბ. ინგოროვეა, ვიორჯი მერჩულე, გვ. 278—280.

<sup>7</sup> იხ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 339, 343—345, 360.

ორი არის საქართველოს სახელმწიფოს ავტონომიური ქვეყნის შიდა (საქუთრივ შირვანის და დარუბანდის) შეფენი;

ხოლო საქართველოს სახელმწიფოს გარეთ მდებარე ქვეყნები, რომლებიც დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდნენ, ორი იყო:

ტრაპიზონი-ქალდია, რომლის სათავეში იღვა გრიგოლ გავრა (მე-10), და ჩრდილო კავკასიის ოვსეთი, რომელიც ორ სამეფოს წარმოადგენდა (1—2).

ასეთი იყო საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია და მასთან პოლიტიკურად დაკავშირებული ქვეყნები დავით აღმაშენებლის დროს, როდესაც, მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედში, პირველად ჩამოყალიბდა საქართველოს ამიერკავკასიის სახელმწიფო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

ხოლო მომდევნო ხანაში, თამარის ეპოქაში, მე-12—13 საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები და მისი გავლენის სფერო ბევრად გაფართოვდა. თამარის ეპოქაში, თამარის და ლაშა გიორგის დროს, როგორც ამის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, შეიქმნა კავკასიის ხალხთა დიდი თანამეგობრობა, რომელშიაც შევიდა, თამარის ეპოქის საისტორიო წყაროს სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი“<sup>1</sup>. სახელდობრ კავკასიის ხალხთა ამ პოლიტიკურ თანამეგობრობაში შედიოდა: საქართველოს ამიერკავკასიის სახელმწიფო (ნიკოფსიიდან დარუბანდამდე) და საქართველოს სახელმწიფოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული ექვსი ქვეყანა; ოთხი ქვეყანა ჩრდილო კავკასიისა: 1. ხუნძეთი-ლეკეთი (დაღისტანი); 2. დურძუკეთი (საჩეჩნო); 3. ოვსეთი; 4. ქაშაგეთი (საჩერქეზო); და ორი ქვეყანა ანატოლიის სანაპიროზე; 5. ტრაპიზონის საციისრო; 6. კარნუ-ქალაქის საამირო.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი მე-12—13 საუკუნის საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ დოქტრინაზე, რომელსაც ვადმოგვეცქის ამ ეპოქის, რუსთველის ეპოქის ისტორიკოსი, რომლის თანახმად, კავკასიის ხალხთა ამ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებაში შემაჯავლი შვიდი ქვეყანა, საქართველოს სახელმწიფო და „ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი“, საქართველოს მიერ იყვნენ „თავისუფლებითსა ცხოვრებასა და მტერთაგან უზრუნველობასა“<sup>2</sup>.

გარდა ზემოთხსენებული კავკასიის ექვსი ქვეყნისა, რომლებიც მე-12—13 საუკუნეებში შედიოდნენ საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ თანამეგობრობაში, საქართველოს სახელმწიფოსთან იმავე ეპოქაში, როგორც აღნიშნული გვქონდა, პოლიტიკურად დაკავშირებული იყო 4 ვასალური მუსულმანური სამეფო-სამთავროები: 1. არანის (ჯანძის) სასულტნო, 2. ნახჭევანის საამირო, 3. შაჰ-არმენთა სასულტნო, 4. ეზნეკის (ერზინჯანის) საამირო, და ამას გარდა გავლენის სფეროები ჩრდილო ირანში (სასულტნოები არდაველისა, შარანდისა, თავრიზისა და მიანესი).

მომდევნო ეპოქაში, მონგოლთა მფლობელობის დამყარების შემდეგ, საქართველოს პოლიტიკური გავლენა საქართველოს სახელმწიფოს გარეთ მდებარე ქვეყნებზე თუმცა დიდად შესუსტდა და საქართველოს ჩამოშორდა პროტექტორატები და ვასალური ქვეყნები, მაგრამ თვით საქართველო ისევ რჩებდა ამიერკავკასიის სახელმწიფოდ შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე (ნიკოფსიიდან

<sup>1</sup> იხ. ისტორია-ახალი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, 33.

<sup>2</sup> იხ. ბასილი ენოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, II, 33.

დარუბანდამდე<sup>1</sup>. მომდევნო ეპოქაში თვით საქართველოს სახელმწიფოს რიტორია არათუ არ შემცირებულა, არამედ გაფართოვდა კიდევ: სახელდობრ, მე-13 საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სახელმწიფოსთან შემოერთებულ იქმნა სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ორი მხარე, რომლებიც წინათ შამარმენტა სასულტნოში შედიოდა: 1. სურმანის ქვეყანა (არაქსის მარჯვენა სანაპირო); 2. ვალაშერტის ქვეყანა, რომელიც მოიცავდა ეფრატის სათავეებს ვიდრე მანასკერტამდე და ხინუსამდე (ჩათვლით), და არაქსის სათავეებს ვიდრე დეგებოინუს მთამდე (კარნუ-ქალაქის აღმოსავლეთით). ეს მხარეები საქართველოს საზღვრებში რჩება მე-13—14 საუკუნეებში<sup>2</sup>.

რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფოს გარეთ მდებარე ქვეყნებს, რომლებიც თამარის ეპოქაში პოლიტიკურად დაკავშირებულნი იყვნენ საქართველოსთან, მომდევნო პერიოდში, მე-13—14 საუკუნეთა საზღვარზე, და მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში (გიორგი ბრწყინვალის ხანაში), პოლიტიკური კავშირი ისევ აღდგენილ იქმნა ტრაპიზონის სამეფოსთან, შამარმენტის სასულტნოსთან და ჩრდილო-ოსეთის ერთ ნაწილთან, ჩრდილო-ოსეთის მთიანეთთან.

რაც შეეხება ჩრდილო კავკასიის დანარჩენ ქვეყნებს, ისინი მე-13 საუკუნის პირველი ნახევრიდან მოექცნენ ჩრდილოეთის — „ოქროს ურდოს“ — მონგოლთა მფლობელობის ქვეშ და პოლიტიკურად ჩამოსცილდნენ საქართველოს სახელმწიფოს. ხოლო ახლო კულტურული კავშირი საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის შორის შემდეგ არ შენელებულა. მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოდან ქრისტიანობა ფართოდ გავრცელდა ლეკეთში (დაღისტანში); ლეკეთი ამის შემდეგ რჩება ქრისტიანულ ქვეყნად მე-14 საუკუნის დასასრულამდე (ვიდრე აქ ისლამი მახვილით არ გაავრცელა თემურლენგმა). ამ დროსვე, მე-13—14 საუკუნეებში, ქართული მწიგნობრობა ვრცელდება დაღისტანში და ქართული ანბანი გამოყენებული იქმნა დაღისტანის მთავარი ხალხის ხუნძიების (ავარელების) ენის დამწერლობისათვის<sup>3</sup>.

1 იხ. ვამთა-აღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 186.

2 იხ. ვამთა-აღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 212—213; იხ. აგრეთვე აღწერა ვალაშერტის საეპისკოპოსოს საზღვრისა — ტექსტში: „სამცხე-საათაბაგოს მღვდელთ-მთავარი“, თ. გორდანი, ქრონიკები, II, გვ. 53—54.

3 იხ. არნ. ჩიქობავა, ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღისტანიდან (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შიამბე, ტ. I, № 4, 1940, გვ. 321—324). ხუნძეთში (ავარიაში), ხუნძახის რაიონში, დათუნში, დღემდე დაცულია თილი ქვით ნაშენი ეკლესია; შამილის მღვიმის პაეი ალი ჭებელის ცნობით დათუნის ეკლესია აგებულია ქართველებმა მეორე 1363 წელს. ზემოთ დასახლებული ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა, რომლის ერთ ნაწილს ქართულად არის ნაწერი, ხოლო მეორე ნაწილი ხუნძურად (ავარულად), წარწერლია ქვის ჯვარზე. ეს ქვის ჯვარი, რომელიც ამჟამად დაღისტანის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტში ინახება, ჩანს ჩამოტანილია დათუნის მოხსენიებული ქართული ეკლესიიდან. წარწერის ტექსტის მიხედვით ეს ეკლესია აგებული უფოლა თეოდორეს და სარკელის (აღგილობრივი ჩრდილო-კავკასიელი წმინდანის) სახელზე.

მეორე ქართული წარწერიდან, რომელიც ქვაზეა ამოჭრილი, და რომელიც ჩამოტანილი იყო დაღისტანიდან (ხუნძახიდან) თბილისში წარსულ საუკუნეში (1879 წელს) და ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ირკვევა, რომ ხუნძახის სანახევში არსებულა მეორე ქართული ეკლესია, აგებული კონსტანტინე-დამიანეთა სახელზე (იხ. ვ. თაყაიშვილი, აშ. II, გვ. 63); ამ მეორე წარწერაში მოიხსენება „უზადად უფალი“, როგორც ჩანს, მთავარი ხუნძეთისა. პალეოგრაფიული ნიშნებით ეს მეორე ქართული წარწერა აგრეთვე ამავე ხანას, XIII—XIV საუკუნეებს ეკუთვნის.

ამ ბოლო დროს ხუნძეთში ისევ აღმოჩნდა ქართული და ქართულ-ხუნძური წარწერები (შესრულებული ქართული დამწერლობით), რომლებიც ამავე XIII—XIV საუკუნეებს ეკუთვნის (იხ. ტ. გუდავა, ქართული და ქართულ-ხუნძური წარწერები დაღისტანიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 30, 1954 წ., გვ. 185—196).

III-დ.

ცვლილებანი სავაზიროს უძღვინილოგაში  
XII—XIV საუკუნეთა განძილჳ.

ამის შემდეგ ჩვენ განვიხილავთ, თუ რა სახის ძირითადი ცვლილებანი მოხდა სავაზიროში მე-12—14 საუკუნეთა მანძილზე, რა პერიოდში რომელ გვარებს ეჭირათ ცალკეული სავაზირო პოსტები, და რასთან იყო დაკავშირებული, ზოგიერთი გვარების აღზევება ან ჩამოშორება.

ეს ჩვენ მოგვცემს საშუალებას კიდევ მეტი სინათლე შევიტანოთ შოთა რუსთველის ვინაობის საკითხის ამოხსნაში.

**პირველი ხანა.**

პირველი ხანა მოიცავს დროს მე-12 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 1145 წლამდე.

პირველი ხანის მანძილზე ვაზირნი ინიშნებიან ერისთავთ-ერისთავების ხუთი გვარეულობიდან; აქედან ერთი ქართლის მხარიდან; ორი ჰერეთ-კახეთიდან; ორი ლიხთ-იმერეთიდან.

ა. ქართლის მხარიდან:

1. აბულეთისძენი, ერისთავთ-ერისთავნი ქართლისა; ამ გვარეულობიდან ინიშნებიან ვაზირნი ამირსპასალარნი (იხ. ვაზირთა სია: № № 3, 4).

ბ. ჰერეთ-კახეთიდან:

2. ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა; ამ გვარეულობიდან ინიშნება ვაზირი მანდატურთ-უხუცესი (იხ. სია: № 5).

3. არიშიანი, ერისთავთ-ერისთავი რუსთავისა; ამ გვარეულობიდან — ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი (იხ. სია: № 6).

გ. ლიხთ-იმერეთიდან:

4. დადიანი, ერისთავთ-ერისთავი ოდიშისა; ამ გვარეულობიდან — ვაზირი მსახურთ-უხუცესი (იხ. სია: № 7).

5. ვარდანისძე (I), ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურჩელი; ამ გვარეულობიდან — ვაზირი ჩუხჩარხი, სპასპეტი მეფისა (იხ. სია: № 8).

**მეორე ხანა 1145—1177 წ.**

საზღვარი პირველ ხანასა და მეორე ხანას შორის არის 1145 წელი, როდესაც მოხდა ამბოხება, მოწყობილი უფლისწულის, დიმიტრი I-ის ვაჟის დავითის მიერ (შემდეგ მეფე დავით IV).

თამარის პირველი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ დავით უფლისწულმა „ლალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის დემეტრესა ამოწყვიტა ამის სამეფოსა დიდებულნი, რომელნიმე ექსორია-ქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა, და რომელნიმე განპატიებითა“<sup>1</sup>.

1145 წლის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ ჩამოშორებულ იქმნა აბულეთისძეთა გვარი. ივანე აბულეთისძე, ქართლის ერისთავთ-ერისთავი და ამირსპასალარი, რომელიც, როგორც ჩანს, მთავარი მონაწილე იყო ამბოხებისა, სიკვდილით დასჯილ იქმნა<sup>2</sup>. აბულეთისძეთა გვარს ჩამოერთვა ერისთავთ-ერისთავობა ქართლისა და მასთან ერთად ამირსპასალარის თანამდებობა.

<sup>1</sup> იხ. ისტორია-აზნანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 18.  
<sup>2</sup> იხ. ვიორგო-ლამას დროინდელი მატანე, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 367.



ამ დროსვე ჩამოცრობილა. დროებით, ჰერეთის ბაგრატიონთა გვარეულობა, რომელსაც, ჩანს, აგრეთვე კავშირი ჰქონია ამბოხებასთან. ჰერეთის ბაგრატიონნი, ამის შემდეგ თუმცა რჩებიან მფლობელებად, თავის ძირითადი სამფლობელოსი — აღმოსავლეთ ჰერეთისა, მაგრამ სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა გადადის დროებით (1163 წლამდე) მეორე მეტოქე გვარზე — კოლონკელიძეებზე. მათ ჩამოერთვათ აგრეთვე ვაზირის (მანდატურთ-უხუცესის) პოსტი.

1145 წლის ამბოხების ჩაქრობის შემდეგ განსაკუთრებით აღზევდა ორბელიანთა გვარი, რომელნიც მანამდე იყვნენ ერისთავთ-ერისთავნი ორბეთის მხარისა და სამხრეთ ქართლის თემთა.

ამ დროს, 1145 წელს, სუმბატ დიდი ორბელიანი დაინიშნა ქართლის ერისთავთ-ერისთავად და მანვე მიიღო ვაზირის მანდატურთ-უხუცესის თანამდებობა. სუმბატის ვაჟი ივანე ორბელიანი დარჩა ორბელიანთა ძველი სამფლობელოს ორბეთისა და სამხრეთ-ქართლის ერისთავთ-ერისთავად და დაინიშნა ვაზირად, ამირსპასალარად.

მდგომარეობა დროებით შეიცვალა ათი წლის შემდეგ, როდესაც 1155 წელს გამეფდა უფლისწული დავითი (—მეფე დავით IV). დავითმა ჩამოართვა ორბელიანთა გვარს ამირსპასალარობა და ქართლის ერისთავთ-ერისთავობა და გადასცა ეს თანამდებობანი თირქაშ ივანეს ძე აბულეთისძეს<sup>1</sup>. მაგრამ დავითს ბევრი ხანი არ უცოცხლია, მან იმეფა სულ ექვსი თვე და 1156 წელს გარდაიცვალა. ორბელიანებს ამის შემდეგ ისევ დაუბრუნეს ყველა პოსტები.

მომდევნო პერიოდში სავაზიროს შედგენილობაში შემდეგი ცვლილებანი მოხდა. 1163 წელს ჰერეთის ბაგრატიონებმა დიდი სამსახური გაუწიეს ქვეყანას იმ მრავალწლიანი ომის დროს, რომელსაც აწარმოებდა საქართველო ანისის დასაცავად მუსულმანთა დიდი კოალიციის წინააღმდეგ (იხ. ამის შესახებ რუსთველიანა); 1163 წელს ჰერეთის ბაგრატიონებს ამ დამსახურებისათვის ქვეყნის წინაშე ისევ მიენიჭათ სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა. ამ დროსვე, როგორც ირკვევა, მათ დაუბრუნეს აგრეთვე ვაზირის მანდატურთ-უხუცესის პოსტი (სუმბატ ორბელიანი, ქართლის ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთ-უხუცესი, ამ დროს უკვე ბერად იყო შემდგარი).

ამავე ხანებში ახალ ხელისუფლებას, მეფე გიორგი III-ეს, შემოურიგებია აგრეთვე დასჯილ აბულეთისძეთა გვარეულობა; ასე, ქირჭიშ აბულეთისძე მოიხსენიება გიორგი III-ის, თანამოსაგრეთა შორის<sup>2</sup>; ხოლო ქავთარ ივანეს ძე აბულეთისძე გიორგი III-ეს შეუყვანია სავაზიროში, მან დაიჭირა სპასპეტის მეჩინიბეთ-უხუცესის პოსტი.

გიორგი III-ემ, სუმბატ ორბელიანის ბერად აღკვეცის შემდეგ, მის შვილს, ლიპარიტს, რომელსაც სპასპეტის ამირახორის პოსტი ეჭირა, უბოძა ქართლის ერისთავთ-ერისთავობა (1162 წლის ახლო); ხოლო სპასპეტის ამირახორის პოსტზე გიორგი III-ეს მის ნაცვლად დაუნიშნავს თორის ერისთავთ-ერისთავი (რომელსაც ისტორიკოსი ასე მოიხსენებს: „დიდი და სახელგანთქმული მოლაშქრეს“<sup>3</sup>; 1162 წელს იგი იცავდა ანისს, როგორც სპასპეტი).

ეს თანდათან გადაცემა გიორგი III-ის მიერ სავაზირო პოსტებისა (რო-

<sup>1</sup> იხ. სტეფანოს ორბელიანი, ისტორია, 1861 წ., გვ. 281.

<sup>2</sup> იხ. ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 9.

<sup>3</sup> იხ. იქვე, გვ. 13.

მელიც ორბელიანებს ეჭირათ 1145 წლიდან — 1160-იან წლებამდე, ამის ბაგრატიონებისათვის, აბულეთისძეთათვის და თორელთათვის ჩანს იმითაც იყო ნაკარნახევი, რომ ამით საზღვარი დაედვა ორბელიანთა განსაკუთრებული აღზევებისათვის. გიორგი III-ის მეფობის ბოლო პერიოდში 1160-იანი წლებიდან 1177 წლამდე, ორბელიანებს სავაზირო პოსტებიდან უჭირავთ ამირსპასალარის პოსტი (ივანე ორბელიანს); ამას გარდა ორბელიანებს უჭირავთ თანამდებობანი ქართლის ერისთავთ-ერისთავისა (ლიპარიტ ორბელიანს), და ორბეთის სამხრეთ-ქართლის ერისთავთ-ერისთავისა (ივანე ორბელიანს). ამრიგად ორბელიანნი მაინც უძლიერეს გვარეულობად რჩებიან სხვა მთავარ ფეოდალურ გვარეულობათა შორის.

ჩვენ აქამდე ვეხებოდით ოთხ გვარეულობას — ორბელიანთა, პერეთის ბაგრატიონთა, აბულეთისძეთა და თორელთა გვარებს.

რაც შეეხება დანარჩენ ძველ გვარებს, — დადიანთა, ვარდანისძეთა და არიშინთა, მათი მდგომარეობა სავაზიროში არ შეცვლილა. მხოლოდ არიშინის გარდაცვალების შემდეგ, რადგან არიშინთა გვარში შეწყვეტილა მამრობითი შტო, არიშინის აღვილს სავაზიროში დაიპყერ მისი მემკვიდრე (მდედრობითი ხაზით) ერისთავთ-ერისთავი ვარდანისძე II გაგელი).

ამრიგად, ამ მეორე ხანაში, 1145 წლიდან — 1177 წლამდე, ვაზირის პოსტები ეჭირაფ შემდეგ გვარეულობებს:

ამირსპასალარი:	ორბელიანი 1145—1155 წ.
	↓
	აბულეთისძე 1155/6 წ.
	↓
	ორბელიანი 1156—1177 წ.
მანდატურთ-უხუცესი:	ორბელიანი 1145—1163 წ.
	↓
	პერეთის ბაგრატიონი 1163—1177 წ.
მეჭურჭლეთ-უხუცესი:	არიშინი 1105/15—1150/60 წ.
	↓
	ვარდანისძე II, მემკვიდრე არიშინისა, 1150/60—1177 წ.
მსახურთ-უხუცესი:	დადიანი 1140/50—1180/3.
ჩუხჩარბი:	ვარდანისძე I (სვანთ-ერისთავ/გურიელი) 1140/50—1183/3 წ.
მეჩინიზეთ-უხუცესი:	აბულეთისძე 1160-იანი წ. — 1177 წ.
ამირაპორი:	ორბელიანი (1162 წლამდე).
	↓
	თორელი 1162—1177 წ.

მხარეების მიხედვით ეს გვარეულობანი ასე ნაწილდება:

ქართლი: 1. ორბელიანნი; 2. აბულეთისძენი.

პერეთ-ვახეთი: 3. პერეთის ბაგრატიონნი; 4. არიშინი;

ზემო-ქართლი (მესხეთის მხარენი): 5. თორელნი;

ლიხთ-მერეთი: 6. დადიანი; 7. ვარდანისძენი.

მესამე ხანა. სავაზირო რეფორმა.

მესამე ხანა მოიცავს შედარებით მოკლე პერიოდს, ექვს წელს (1178 — 1184), მაგრამ ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა.

1177 წელს, როგორც ცნობილია, მოხდა დიდი აჯანყება დემნა უფლისწულისა, რომელმაც შეარყია სასელმწიფო.

ამ აჯანყებაში მონაწილეობა მიიღეს თვით მთავრობის წევრებმაც. უმრავლესობამ, შვილი ვაზირიდან — ხუთმა ვაზირმა.

აჯანყების ორგანიზატორი იყო ამირსპასალარი ივანე ორბელიანი, რომელსაც მხარს უჭერდნენ ქართლისა, სამცხე-ჯავახეთისა და ანის-ღვინის მხარეთა გავლენიანი წრეები.

აჯანყებაში დიდი მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ასათ გრიგოლის ძე ჰერეთის ბაგრატიონმა, ჰერეთის ერისთავთ-ერისთავმა; მან ბრძოლის ველზე გამოიყვანა არა მარტო ჰერეთის ლაშქარი, არამედ მოკავშირე კავკასიის მთიელები.

აჯანყების მონაწილე იყო აგრეთვე მესამე ვაზირი, მეჭურჭლეთ-უნუცესი ივანე ვარდანისძე II (გაგელი), რომელიც ჰერეთის ლაშქართან ერთად მოქმედებდა.

საევაზიროს მეოთხე წევრი ქავთარ ივანეს ძე აბულეთისძე წარგზავნილი იყო აჯანყებულთა მიერ უცხოეთში (ქართლის ერისთავთ-ერისთავ ლიპარიტ ორბელიანთან და ანანია ღვინელთან ერთად).

მეხუთე ვაზირი, თორელი [კახა], აგრეთვე ემხრობოდა აჯანყებას, მაგრამ შემდეგ ჩამოშორდა (ისევე როგორც ჩამოშორდნენ ჯაყელნი, ანელნი და მხარგრძელები).

ამრიგად, გიორგი III-ის მხარეზე დარჩა ორი ვაზირი: კონსტანტინე დადიანი, მსახურთ-უხუცესი, და ვარდან ვარდანისძე (I), ჩუხჩარხი.

მაგრამ მეორე ვაზირზე, ვარდან ვარდანისძე I-ზე, მიიწვი იყო მიყენებული, რამდენადაც იმავე გვარეულობის მეორე შტოს წარმომადგენელი (მეჭურჭლეთ-უხუცესი ივანე ვარდანისძე II გაგელი) აჯანყების მონაწილე იყო. ცხადია, ამით იყო გამოწვეული, რომ უფრო გვიან, იმის საპატიო მომიზეზებით, რომ ვარდან ვარდანისძე ღრმად მოხუცებულია, იგი გაანთავისუფლეს ვაზირის თანამდებობიდან. რომ აქ მხოლოდ მომიზეზება იყო, ჩანს იმის მიხედვით, რომ გიორგი III-ემ ვარდან ვარდანისძის აღდილას არ დანიშნა არც მისი ვაჟი მარუშიან ვარდანისძე, არც სხვა ვინმე ვარდანისძეთა გვარიდან; არამედ სულ სხვა გვარეულობის წარმომადგენელი (მხოლოდ გვიან, თამარის ხანაში, ვარდან ვარდანისძე რეაბილიტირებულ იქნა და მისი შვილი მარუშიანი დანიშნა თავის მამის აღდილას, იმავე ვაზირის პოსტზე).

ამრიგად, ძველი ვაზირებიდან მხოლოდ მსახურთ-უხუცესი კონსტანტინე დადიანი ითვლებოდა მტკიცე მომხრედ გიორგი III-ისა, მისი ერთგულება უოველგვარი ეჭვის გარეშე იყო დაყენებული.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, მთავარი ორგანიზატორი აჯანყებისა ამირსპასალარი ივანე ორბელიანი დასჯილ იქმნა. ორბელიანთა გვარი ამის შემდეგ დაემხო; აჯანყებულთა მიერ უცხოეთში წარგზავნილი ქართლის ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ ორბელიანი აღარ დაბრუნებულა საქართველოში, იგი ექსიორობაში დარჩა (მხოლოდ ბევრად გვიან, მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში, მისი შვილი ივანე ორბელიანი ჩამობრუნდა საქართველოში, შეწყალებულ იქმნა და მას ისევ დაუბრუნეს ორბეთის საერისთავო).

რა ბედი ეწია აჯანყების მეორე მონაწილეს ასათ გრიგოლის ძე ჰერეთის ბაგრატიონს, არა ჩანს. ხოლო ჰერეთის ბაგრატიონთა გვარი ამის შემდეგ ჩამომცრობილა (დროებით, თამარის მეფობამდე). ჰერეთის ბაგრატიონები რჩებიან მფლობელებად მხოლოდ თავის ძველ ძირითად სამფლობელოში, აღმოსავლეთ ჰერეთში, ხოლო სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა ისევ გადარსდნენ მეორე მეტოქე გვარზე — კოლონკელისძეებზე. ჰერეთის ბაგრატიონთა გვარი ამას გარდა ჩამოერთვა ვაზირობა.

ვაზირობა ჩამოერთვა აგრეთვე აჯანყების მონაწილე სხვა გვარებს, ვარ-

დანიძე/გაგელთა გვარს, და თორელთა გვარს, თუმცა თორელი ადრევე შორდა აჯანყებულთა დასს.

აღზევებულ იქმნა ერთგულად დარჩენილი ოდიშის ერისთავთ-ერისთავების დადინების გვარი. გარდა ძირითადი სამფლობელოსი დასავლეთ საქართველოში (ოდიშის საერისთავო), მათ მიიღეს სამფლობელოდ აღმოსავლეთ საქართველოში — ორბეთის საერისთავო და სამხრეთ ქართლის კენის საერისთავო.

ქეყნის დაშვიდების შემდეგ, 1178 წლიდან, გიორგი III-ემ ჩაატარა რეფორმა სავაზიროსი.

გიორგი III შეეცადა რადიკალურად შეეცვალა მიღებული წესი ვაზირთა დანიშვნისა.

ამ ხანამდე მიღებული იყო, რომ ვაზირნი, როგორც წესი დანიშნულიყო მხოლოდ დიდი საერისთავოების მეთაურთაგან, ერისთავთ-ერისთავების წრიდან. ამ წესის გამო ვაზირთა თანამდებობა თითქმის სამეგვიდრედ იქცა ერისთავთ-ერისთავთა ცალკეულ გვარებში.

გიორგი III-ემ გაბედულად დაარღვია ეს წესი. მან სავაზიროში შეიყვანა ყველა წრის წარმომადგენლები, როგორც დიდებულნი, ისე სხვადასხვა მსახურეულნი პირნი, ერთ შემთხვევაში თვით უბრალო აზნაურის ვასალი.

აქვე ვათავსებთ ნუსხას, სადაც წარმოდგენილია შედარება სავაზიროს შედგენილობისა ორი პერიოდის მანძილზე:

- I. სავაზირო 1177 წლამდე (გიორგი III-ის რეფორმამდე);
- II. სავაზირო 1178—1184 წლებში (გიორგი III-ის რეფორმის შემდეგ).

სატარძველოს სახელმწიფოს სავაზიროს ცვლილება

1178—1184/5 წლებში

- შედარება სავაზიროს შედგენილობისა ორი პერიოდის მანძილზე:
- I. სავაზირო 1177 წლამდე (გიორგი III-ის რეფორმამდე).
- II. სავაზირო 1178—1184/5 წლებში (გიორგი III-ის რეფორმის შემდეგ).

სავაზირო 1177 წლამდე  
(გიორგი III-ის რეფორმამდე)

სავაზირო 1178—1184/5 წლებში  
(გიორგი III-ის რეფორმის შემდეგ)

მწიგნობართ-  
უხუცესნი:

- 1. იოვანე (ქობულაძე)  
მწიგნობართ-უხუცესი 1145—  
1177 წ.

- 1. ანტონ<sup>გ</sup> გლანიზთავისძე  
კუონდიდელი;  
მწიგნობართ-უხუცესი 1178—  
1184/5 წ.

ამირ-  
სპასალარნი:

- 2. ივანე ხუმბატის ძე ორბელიანი  
ერისთავთ-ერისთავი ორბეთისა  
და სამხრეთ ქართლისა;  
ამირსპასალარი 1145—1155 წ.;  
1156—1177 წ.

- 2. კუხაბაი  
(მსახურეული)  
შეთავსებით: ამირსპალარი და  
მანდატურთ-უხუცესი  
1178—1184/5 წ.

მანდატურთ-  
უხუცესნი:

- 3. გრიგოლ II (ასათ I-ის ძე)  
მერთის ბაგრატიონი  
ერისთავთ-ერისთავი მერთისა;  
მანდატურთ-უხუცესი 1163—  
1177 წ.

- |                                  |   |   |
|----------------------------------|---|---|
| <p>მეკურბულეთ-<br/>უბუცესნი:</p> | <p>4. რუსთავის ერისთავთ-ერისთა-<br/>ვის ა რ ი შ ი ა ნ ის მეშვეიდრე:<br/>ივანე ვარდანის ძე II,<br/>ერისთავთ-ერისთავი;<br/>მეკურბულეთ-უბუცესი 1150 60—<br/>1177 წ.</p>                            | <p>3. ურულუ-არსლაჲნი, <del>შენიშნული</del> II<br/>კორიდეჲსი კოპოტისა<br/>ერისთავთ-ერისთავი ჭანეთის<br/>კორიდეთის თემისა;<br/>მეკურბულეთ-უბუცესი 1178<br/>1184/5 წ.</p>  |
| <p>მსახურთ-<br/>უბუცესნი:</p>    | <p>5. კონსტანტინე დადიანი<br/>ერისთავთ-ერისთავი ოდიშისა;<br/>მსახურთ-უბუცესი 1140/50—<br/>1180/3 წ.</p>   | <p>4. კონსტანტინე დადიანი<br/>ერისთავთ-ერისთავი ოდიშისა,<br/>ორბეთისა და სამხრეთ ქართ-<br/>ლის კაენის მხარისა;<br/>მსახურთ-უბუცესი 1140/50 —<br/>1180/3 წ.<br/>↓<br/>5. აფრიდიანი<br/>(მსახურეული)<br/>მსახურთ-უბუცესი 1180/3—<br/>1184/5 წ.</p>                              |
| <p>ჩუხარხნი:</p>                 | <p>6. ვარდან ვარდანისძე<br/>ერისთავთ-ერისთავი,<br/>სენათ-ერისთავ/აფრიდიელი;<br/>ჩუხარხი 1140/50—1180/3 წ.</p>   | <p>6. ვარდან ვარდანისძე<br/>ერისთავთ-ერისთავი<br/>სენათ-ერისთავ/აფრიდიელი;<br/>ჩუხარხი 1140/50—1180/3 წ.<br/>↓<br/>7. ვარდან კონსტანტინეს ძე და-<br/>დიანი<br/>ერისთავთ-ერისთავი ოდიშისა,<br/>ორბეთისა და სამხრეთ ქართლის<br/>კაენის თემისა;<br/>ჩუხარხი 1180/3—1184/5 წ.</p> |
| <p>მეჯინიბეთ-<br/>უბუცესნი:</p>  | <p>7. ჭავთარ ივანეს ძე (ახულეთისძე)<br/>ერისთავთ-ერისთავი ქართლის<br/>თემთა;<br/>მეჯინიბეთ-უბუცესი<br/>1160-იანი წ.—1177 წ.</p>   | <p>8. ჭიანჭრა<br/>ერისთავთ-ერისთავი ჭერეთის<br/>მხარის მანჯის თემისა;<br/>მეჯინიბეთ-უბუცესი<br/>1178—1184/5 წ.</p>  |
| <p>ამირახორნი:</p>               | <p>8. ლიპარიტ სუმბატის ძე ორბელი<br/>ერისთავთ-ერისთავი ქართლისა;<br/>ამირახორი 1156—1163 წ.<br/>↓<br/>9. კახა თორელი<br/>ერისთავთ-ერისთავი თორი—<br/>ჯავახეთისა;<br/>ამირახორი 1163—1177 წ.</p> | <p>9. ივანე...<br/>(მსახურეული)<br/>ამირახორი 1178—1184/5 წ.</p>  |

ძველი ვაზირებიდან გიორგი III-ის მიერ ახლად შედგენილ მთავრობაში, როგორც მოხსენებული გვექონდა, დატოვებულ იქმნა მხოლოდ ორი ვაზირი: კონსტანტინე დადიანი — მსახურთ-უბუცესი, და ვარდან ვარდანისძე (I) — ჩუხარხი.

შემდეგ ვარდან ვარდანისძე, როგორც აღენიშნეთ, განთავისუფლებულ იქმნა ვაზირის პოსტიდან; ამის შემდეგ ვარდანისძეთა გვარის წარმომადგენელნი აღარ არიან სავაზიროში.

ახალი სავაზირო, იმისდა მიხედვით, თუ რა წრეებს ეკუთვნოდნენ ვაზირნი, სამ ჯგუფად განიყოფება.



პირველ ჯგუფს წარმოადგენს ერთადერთი გვარეულობა დალიანი (კონსტანტინე დალიანი 1140/50—1180/3 წ., შემდეგ მისი ვაჟი ვარდან დალიანი 1180/3—1184/5 წ.). ერისთავთ-ერისთავთა დალიანთა გვარი, რომელიც წარმოადგენილი იყო წინა სავაზიროებში, არის ერთადერთი გვარეულობა, მეთაური დიდი საერისთავოსი (სამხარეო ერთეულისი), რომელთაგან, ადრე არსებული წესის თანახმად, ინიშნებოდნენ ვაზირნი

მეორე ჯგუფის წარმომადგენელი არიან:

1. **ჭიაბერი** (მეჭინიბეთ-უხუცესი), ერისთავი ჰერეთის მხარის მანავის თემისა, ერისთავთ-ერისთავის ტიტულით;

2. **ყუთლუ-არსლან ჭაყელი-კორიდელი** (მეჭურჭლეთ-უხუცესი), ერისთავი ქანეთის კორიდეთის თემისა, ერისთავთ-ერისთავის ტიტულით.

ამ მეორე ჯგუფის წარმომადგენელი თუმცა გათანასწორებულნი იყვნენ რანგით ერისთავთ-ერისთავებთან, მაგრამ არ იყვნენ მეთაური სამხარეო მნიშვნელობის დიდი საერისთავოებისა (ასე, ჭიაბერთა სახელო, მანავის თემის საერისთავო, შედიოდა სრულიად ჰერეთის დიდ საერისთავოში (საერისთავთ-საერისთავოში), როგორც მისი ერთი შემადგენელი ნაწილი; ხოლო ჭაყელ-კორიდელთა სახელო, კორიდეთის თემის საერისთავო, ქანეთის ადმინისტრაციული ერთეულის ნაწილი იყო).

მესამე ჯგუფს წარმოადგენდნენ მსახურეული პირნი, სამი ვაზირი:

1. **ყუბასარი** — ამირსპასალარი და მანდატურთ-უხუცესი, იყო ყვიჩაყთა გვარდიის მეთაური. იგი ქართველი იყო აღზრდით და განათლებით (ყუბასარი სამეფო კარზე იყო აღზრდილი), მაგრამ შთამომავლობით ნაყვიჩაყარი იყო. ისტორიკოსის სიტყვით ყუბასარი იყო „კარგი მოყმე და ჭაბუკი“ და მას „სამსახური“ მიუძღოდა ქვეყნის წინაშე, მაგრამ შთამომავლობით იგი არ ეკუთვნოდა საქართველოს მაღალ არისტოკრატის, დიდგვარიან დიდებულთა წრეს.

2. **აფრიდონი** — მსახურთ-უხუცესი, უბრალო აზნაურის ვასალი ყოფილა (ისტორიკოსი მას უწოდებს „აზნაურის ყმას“).

3. **ივანე** — მეჭინიბეთ-უხუცესი. „ისტორია-აზმანში“ იგი მოიხსენება მართო სახელით, ისევე როგორც აფრიდონი (მსახურთ-უხუცესი); ვინ იყო იგი, ამის შესახებ ცნობები არ მოღწეულა; ირკვევა მხოლოდ, რომ იგი, ისევე როგორც აფრიდონი, „მსახურეული“ იყო, არა დიდგვარიანთა წრიდან. შემდგომ პერიოდში, თამარის მეფობის დასაწყისში, როდესაც ადგენილ იქმნა ვაზირთა დანიშვნის ძველი წესი, ივანე აგრეთვე გამოყვანილ იქმნა სავაზიროს შემადგენლობიდან (ისევე, როგორც აფრიდონი და სხვანი, „არა წესისაებრ“ დანიშნულნი); ივანე მეჭინიბეთ-უხუცესის ადგილას აღდგენილ იქმნა თორელთა გვარის წარმომადგენელი, რომელ გვარსაც ეძირა ეს პოსტი გიორგი III-ის რეფორმამდე.

დასასრულ, დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ გიორგი III-ის მიერ შედგენილ ახალ მთავრობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფიგურაა ყუთლუ-არსლან ჭაყელი-კორიდელი, რომლის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი.

**მეთხე ხანა (1184/5—1191 წლები)—რესტავრაცია.**

1184 წელს გარდაიცვალა გიორგი III. ახალგაზრდა თამარის მეფობის პირველ წელს სხვადასხვა მიმართულებების საზოგადოებრივმა მოძრაობამ იჩინა თავი.

ერთი წრე, — დიდებულთა უმაღლესი წრე, — მოითხოვდა ძველი ვითარებების აღდგენას. ჩვენ უკვე მოყვანილი გვქონდა თამარის პირველი ისტორი-

კოსის („ისტორია-აზმათა“ ავტორის) ცნობა დიდებულთა მიერ დასდებისა და შეფისადმი წარდგენილი მოთხოვნის შესახებ; ისტორიკოსის სიტყვით:

„დიდებულთა ვიეთმე ხელისუფალთა ყვეს ფიცი, ესრეთ, ვითარმედ: „ალარ ვეგებით ძუელთა ხელისუფალთა და განმგებელთა საქმისათა ფარმანსა ქუეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცილნი და უნატოდ გაძეულნი ვართ, და გუარიაინნი და მსახურეულნი სახლნი უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უხმართაგან“<sup>1</sup>.

მეორე ჯგუფი, ასევე დიდებულთა წრე, მაგრამ პროგრესული მიმართულებისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ყუთლუ-არსლანი, მოითხოვდა პარლამენტური სახის წყობილების შემოღებას საქართველოში. იმავე თანამედროვე ისტორიკოსის ცნობით, ყუთლუ-არსლანმა:

„ითხოვა კარავი დადგამდ ველსა ისნისასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა:

„დასხდომილთა მუნ შიგა, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა. წყალობისა და შერისხვანი, ვაკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს, მეფესა და დედოფალსა; მაშინდა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩუენი“<sup>2</sup>.

ყუთლუ-არსლანის მოძრაობა დამარცხდა. მაგრამ მისმა მოძღვრებამ მაინც მოიტანა შედეგი. მეფის კართან შეიქმნა დიდი დარბაზი, რომელშიაც შედიოდნენ „შეიღთავე სამეფოთა“ წარმომადგენელნი, დიდებულთა წრიდან; ყველა მნიშვნელოვანი საქმეები სახელმწიფოსი წყდებოდა ამ დიდი დარბაზის „თანადგომითა და ერთნებაობითა“.

1184—5 წლებში სავაზიროს საკითხი განხილულა დიდ დარბაზში, და როგორც გადმოგვცემს ისტორიკოსი<sup>3</sup>, „თანადგომითა და ერთნებაობითა შეიღთავე სამეფოთა დიდებულთა“, თამარს დაუმტკიცებია ახალი სავაზირო.

სავაზიროს შედგენილობა შემდეგი იყო:

1. მწიგნობართ-უხუცესი: მიქაელ შირიანის ძე, ქართლისა კათალიკოზი და ჰყონდიდელი (მას შემდეგ შესცვლის ამ პოსტზე ანტონი გლონისთავისძე ჰყონდიდელი).
2. ამირსპასალარი: სარგის მხარგრძელი, ერისთავთ-ერისთავი სამხრეთ ქართლისა (ლორის მხარისა);
3. მანდატურთ-უხუცესი: კიაბერი, ერისთავთ-ერისთავი პერეთის მხარის მანავის თემისა.
4. მექურჭლეთ-უხუცესი: ივანე ვარდანისძე II/გაგელი, ერისთავთ-ერისთავი (მემკვიდრე რუსთავის ერისთავთ-ერისთავის არიშინისა).
5. მსახურთ-უხუცესი: ვარდან დადიანი, ერისთავთ-ერისთავი ოდიშისა, ორბეთისა და სამხრეთ ქართლის კაენის მხარისა.
6. სპასპეტი ჩუხჩარხი: მარუშაინი ვარდანისძე, ერისთავთ-ერისთავი, სვანთ-ერისთავი/გურჯიელი.
7. სპასპეტი მეჯინიბეთ-უხუცესი: ... (ცნობა არ შენახულა).
8. სპასპეტი ამირახორი: გამრეკელი თორელი, ერისთავთ-ერისთავი თორი-ჯავახეთისა.

არსებითად დამტკიცება ამ სავაზიროსი რესტრუქციას წარმოადგენდა; რესტრუქციას არა მარტო იმის გამო, რომ სავაზიროში შევიდა მხოლოდ დი-

<sup>1</sup> იხ. ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 30.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 30—32.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 32—33 (იხ. ზემოთ, „მნათობი“, № 3, გვ. 141).



დებულთა უმაღლესი წრის წარმომადგენელნი ერისთავთ-ერისთავნი, ეს რუს სრული რესტავრაცია: აქ აღდგენილ იქმნენ უფლებებში ყველა ის ვავარები, რომელთაგან ინიშნებოდნენ ვაზირნი გიორგი III-ის რეფორმამდე. ვამონაკლისის წარმოადგენდა მხოლოდ ორი გვარი, — ორბელიანნი და პერეთის ბაგრატიონნი, რომლებიც იყვნენ მთავარი მეთაურნი დემნას აჯანყებისა; მაგრამ ამ ორი გვარის ნაცვლად სავაზიროში შეყვანილ იქმნენ ვაზირნი იმავე მხარეებიდან, როგორც ამ გვართა შემცვლელნი.

იმისათვის, რათა ნათელი გახდეს, რომ ეს იყო სრული რესტავრაცია, ჩვენ აქ შევიდარებთ სავაზიროს შედგენილობას სამი პერიოდის მანძილზე:

- I. სავაზირო 1177 წლამდე (გიორგი III-ის რეფორმამდე);
- II. სავაზირო 1178—1184 წლებში (გიორგი III-ის რეფორმის ხანა);
- III. სავაზირო 1184/5 წლიდან (როდესაც მოხდა რესტავრაცია სავაზიროს აღრინდელი სახეობისა, რომელიც არსებობდა 1177 წლამდე, გიორგი III-ის რეფორმამდე).

ა. ამირსპასალარი.

**I პერიოდი** (1177 წლამდე, გიორგი III-ის რეფორმამდე):

ამირსპასალარად არის, 1145 წლიდან — ვიდრე 1177 წლამდე, **ივანე ორბელიანი**, ერისთავთ-ერისთავი ორბეთისა და სამხრეთ ქართლისა (ლორეს მხარისა). 1177 წელს მეთაურობს დემნას აჯანყებას.

**II პერიოდი** (1178—1184 წლები, გიორგი III-ის რეფორმის ხანა):

ამირსპასალარად არის **ყუბახარი**, რომელსაც ერთდროულად უჭირავს ამირსპასალარის და მანდატურთ-უხუცესის პოსტები.

**III პერიოდი** (1184/5 წლიდან, რესტავრაცია სავაზიროს აღრინდელი სახეობისა):

ამირსპასალარად დამტკიცებულ იქმნა **სარგის მხარგრძელი**, ერისთავთ-ერისთავი ლორეს მხარისა. მხარგრძელნი არიან მეშვიდრე და შემცვლელი ორბელიანთა; მათ სამკვიდროდ მიიღეს ორბელიანთა სამფლობელო სამხრეთ ქართლში (ლორეს მხარეში) და სამფლობელოსთან ერთად მიიღეს ვაზირის — ამირსპასალარის თანამდებობა.

ბ. მანდატურთ-უხუცესი.

**I პერიოდი** (1177 წლამდე, რეფორმამდე):

მანდატურთ-უხუცესად არის **გრიგოლ II პერეთის ბაგრატიონი**, ერისთავთ-ერისთავი პერეთისა (1163—1177 წ.). 1177 წელს, ორბელიანებთან ერთად, მეთაურობს დემნას აჯანყებას.

**II პერიოდი** (1178—1184 წ., გიორგი III-ის რეფორმის ხანა):

მანდატურთ-უხუცესად არის **ყუბახარი**, რომელსაც ერთდროულად უჭირავს მანდატურთ-უხუცესისა და ამირსპასალარის პოსტები.

**III პერიოდი** (1184/5 წ., რესტავრაცია):

მანდატურთ-უხუცესად დადგენილ იქმნა **ქიაბერი**, ერისთავთ-ერისთავი პერეთის მხარის მანავის საერისთავო (მანაველი).

ქიაბერი, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ეკუთვნოდა პერეთის დიდგვარიან დიდებულთა იმ ოთხ მთავარ გვარეულობას, რომელნიც იყვნენ „თავნი პერეთისანი“. პერეთის ბაგრატიონნი, კოლონკელისძენი, მანაველი (ქიაბერის გვარეულობა) და წირქვალელნი-გლონისთავისძენი (იხ. გვ. 127—129).



როგორც გადმოგვცემს თამარის პირველი ისტორიკოსი „ისტორია-აზმანთა“ ავტორი, ქი ა ბ ე რ ი იყო გაზრდილი თვით მეფის—გეორგი III-ისა. დემნას აჯანყების დროს, 1177 წელს, ქიაბერი იყო მხედართმთავარი მთავრობის ერთგულად დარჩომილი ლაშქრისა, რომელმაც დაამარცხა განდგომილი გრიგოლ II ასათის ძე, ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი ჰერეთის მხარისა; ქიაბერმა აღადგინა 1177 წელს ცენტრალური მთავრობის ხელისუფლება ჰერეთის მხარეში.

1184/5 წელს, როდესაც მოხდა რესტავრაცია სავაზიროს აღრინდელი სახეობისა, რომელიც არსებობდა 1177 წლამდე, ქიაბერმა შესცვალა ჰერეთის ბაგრატიონნი: როგორც ჰერეთის მხარის დიდგვარიან დიდებულთა წარმომადგენელმა მან დაიმკვიდრა ვაზირის მანდატურთ-უხუცესის თანამდებობა, რომელიც 1177 წლამდე ჰერეთის ბაგრატიონებს ეკურათ.

### ვ. მ ე ქ უ რ ქ ლ ე თ-უ ხ უ ც ე ს ი.

#### I პერიოდი (1177 წლამდე, რეფორმამდე):

გიორგი III-ის მეფობის პირველ პერიოდში მექურქლეთ-უხუცესი არის არიშინი, რომლის გვარეულობა ძველი მფლობელია რუსთავისა (არიშისა).

1150/60 წლებში შემწყვდარა არიშინის სახლის მამრობითი ხაზი; მისი მემკვიდრე ხდება (მდედრობითი ხაზით) ერისთავთ-ერისთავი ივანე ვარდანისძე (II), რომელიც შიღებს არიშინის სავაზირო თანამდებობას — მექურქლეთ-უხუცესობას. ივანე ვარდანისძეს უჭირავს მექურქლეთ-უხუცესის პოსტი 1150/60-იანი წლებიდან 1177 წლამდე.

#### II პერიოდი (1178—1184 წ., გიორგი III-ის რეფორმის ხანა):

მექურქლეთ-უხუცესად დადგენილ იქმნა ყუთლუ-არსლანი ჭაყული-კორიდელი (1178—1184/5 წ.).

#### III პერიოდი (1184/5 წ., რესტავრაცია).

1184/5 წელს ისევ აღდგენილ იქმნა მდგომარეობა, რომელიც არსებობდა 1177 წლამდე: მექურქლეთ-უხუცესად ისევ დაინიშნა არიშინის მემკვიდრე ვარდანისძეთა გვარიდან — ერისთავთ-ერისთავი კახაბერ ვარდანისძე (II), რომელსაც უჭირავს ეს სავაზირო პოსტი მექურქლეთ-უხუცესისა 1184/5—1190 წლების მანძილზე.

### დ. მ ს ა ხ რ თ-უ ხ უ ც ე ს ი.

#### I პერიოდი (1177 წლამდე, რეფორმამდე):

1140/50-იანი წლებიდან ვიდრე 1177 წლამდე მსახურთ-უხუცესად არის კონსტანტინე დადიანი, ერისთავთ-ერისთავი ოდიშისა.

#### II პერიოდი (1178—1184 წ., გიორგი III-ის რეფორმის ხანა):

პირველ წლებში მსახურთ-უხუცესის პოსტი ისევ უჭირავს კონსტანტინე დადიანს, მაგრამ შემდეგ, ღრმა მოხუცების ვაჟი, იგი საპატოო საჭით, განთავისუფლებულ იქმნა 1180/3 წლებში. მის ადგილას დაინიშნა აფრიდონი, „მსახურეული“ პირი, მდაბიოთა წრიდან („ახნაურის ყმა“ — ისტორიკოსის სიტყვით); ხოლო კონსტანტინე დადიანის ვაჟი, ვარდან დადიანი 1180/3 წლებში დაინიშნა არა მსახურთ-უხუცესად, არამედ მეორე სავაზირო თანამდებობაზე, ჩუხჩარხის პოსტზე.

#### III პერიოდი (1184/5 წ., რესტავრაცია).

1184/5 წელს მსახურთ-უხუცესად ინიშნება კონსტანტინე დადიანის ვაჟი, ვარდან დადიანი, რომელსაც, როგორც გადმოგვცემს თამარის პირველი ისტორიკოსი („ისტორია-აზმანთა“ ავტორი) — „დასდევს პატივი მამისა მათისა“.

ე. სპასპეტი — ვაზირი ჩუხჩარხი.

**I პერიოდი (1177 წლამდე, რეფორმამდე):**

სპასპეტი ჩუხჩარხის პოსტი ხანგრძლივი დროის მანძილზე, 1140/50-იანი წლებიდან — 1177 წლამდე ეჭირა ერისთავთ-ერისთავს ვარდან ვარდანისძეს (I), სვანეთ-ერისთავ/გურიელს.

**II პერიოდი (1178—1184 წ., გიორგი III-ის რეფორმის ხანა):**

ვარდან ვარდანისძე, ღრმა მოხუცების გამო, საპატიო სახით განთავიხუფლებულ იქმნა თანამდებობიდან და იგი შესცვალა ჩუხჩარხის პოსტზე ვარდან დადიანმა (ამრიგად ვარდანისძეთა გვარის ორივე შტო გამოყვანილ იქმნა სავაზიროს შემადგენლობიდან).

**III პერიოდი (1184/5 წ., რესტავრაცია).**

1184/5 წელს ჩუხჩარხის პოსტზე ინიშნება ვარდან ვარდანისძის ვაჟი მარუშთან ვარდანისძე I (სვანთ-ერისთავი/გურიელი), რომელსაც, როგორც ვაღმოგვეცემს იგივე ისტორიკოსი („ისტორია-აზმათა“ ავტორი), — „დასდევს პატივი მამისა მათისა“; ამრიგად, ამ შემთხვევაშიაც რესტავრირებულ იქმნა მდგომარეობა, რაც 1177 წლამდე არსებობდა.

ვ. სპასპეტი-ვაზირი ამირახორი.

**I პერიოდი (1177 წლამდე, რეფორმამდე):**

ამირახორი 1162-1177 წლებში არის ერისთავთ-ერისთავი თორი-ჯავახეთისა კახა თორელი.

**II პერიოდი (1178—1184 წ., გიორგი III-ის რეფორმის ხანა):**

ამირახორად ინიშნება ივანე (გვარი მოხსენებული არაა). იგი, როგორც ირკვევა, არაა დიდებულთა წრის წარმომადგენელი.

**III პერიოდი (1184/5 წ., რესტავრაცია):**

1184/5 წელს ამირახორად ისევ ინიშნება თორელთა გვარეულობის წარმომადგენელი, ერისთავთ-ერისთავი გამრეველი თორელი. ამრიგად, ამ შემთხვევაშიაც აღდგენილი იქმნა მდგომარეობა, რაც 1177 წლამდე არსებობდა.

წარმოდგენილი მიმოხილვის შემდეგ ამრიგად ცხადი ხდება, რომ დამტკიცება სახელმწიფო დარბაზის მიერ ახალი სავაზიროსი 1184/5 წელს, ეს იყო ნამდვილი რესტავრაცია, იგი აღადგენდა იმ ვითარებას, რაც 1177 წლამდე არსებობდა.

**V, VI, VII და VIII ხანა.**

თამარის მეფობის პირველ პერიოდში, 1191 წელს, ერთხელ კიდევ (და უკანასკნელად) მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები სავაზიროს შედგენილობაში. როგორც ცნობილია, 1191 წელს დიდებულთა ერთმა ჯგუფმა მოაწყო ამოხება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ორმა ვაზირმა: ვაზირმა მეჭურჭლეთუხუცესმა აბულასან იობისძემ (რომელიც იყო მეთაური შეთქმულებისა) და ვაზირმა მსახურთ-უხუცესმა ვარდან დადიანმა. ამბოხების ჩაქრობისა და წესრიგის დამყარების შემდეგ ორივე ვაზირი გადაყენებულ იქმნა.

კერძოდ აბულასან იობისძეს, შეთქმულების მეთაურს, ჩამოერთვა როგორც ვაზირის თანამდებობა, ასევე ჩამოერთვა აგრეთვე ერისთავთ-ერისთავობა რუსთავის მხარისა. ამის შემდეგ, 1192/3 წელს, თანამდებობანი რუსთა-

ვის მხარის ერისთავთ-ერისთავისა და ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესისა წაღაცა პერეთის ბაგრატიონს ასათ II გრიგოლის ძეს.

ამ დროიდან, 1192—3 წლიდან მოკიდებული, ეს თანამდებობანი რუსთავის ერისთავთ-ერისთავისა და ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესისა პერეთის ბაგრატიონთა გვარში დამკვიდრდა.

დაწვრილებით ამ საგანზე, თუ როდის და რა ვითარებაში მიიღეს პერეთის ბაგრატიონებმა რუსთავის ერისთავთ-ერისთავობა და მასთან ერთად ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის პოსტი, საუბარი გვაქვს შემდეგ თავში და იქ ამაზე სიტყვას აღარ გაავრცელებთ.

ჩვენ ამით დავამთავრებთ ამ მიმოხილვას საკითხისას, თუ რა სახის ძირითადი ცვლილებანი მოხდა სავაზიროს შედგენილობაში მე-12 საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული, რა პერიოდში რომელ გვარებს ეჭირათ ვაზიროთა პოსტები, და რასთან იყო დაკავშირებული ზოგიერთი გვარების აღზევება და ჩამოშორება.

1191 წლის შემდეგ ისეთი რადიკალური ხასიათის ცვლილებებს სავაზიროს შედგენილობაში, როგორსაც ჩვენ ვხედავთ მე-12 საუკუნის მანძილზე, ადგილი აღარ ჰქონია. მოხდა სტაბილიზაცია სახელმწიფოებრივი წყობისა, განმტკიცება სახელმწიფოებრივი ტრადიციებისა. მომდევნო პერიოდებში, მე-12 საუკუნის დასასრულიდან (1191 წლიდან) მოკიდებული ვიდრე მე-14 საუკუნის დასასრულამდე არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ სავაზიროს ცვლილებანი დაკავშირებული ყოფილიყოს დიდებულთა ჯგუფების შეთქმულებასა და ამბოხებასთან, რასაც სამჯერ ჰქონდა ადგილი მე-12 საუკუნეში, — 1145, 1177 და 1191 წლებში.

როგორც მოხსენებული გვქონდა, მე-12 საუკუნის დასასრულიდან (1191 წლიდან) ვიდრე მე-14 საუკუნის დასასრულამდე სავაზიროს ისტორია, ისტორიული პერიოდების შესაბამისად, შემდეგ ხანებად ნაწილდება:

**V ხანა:** 1191—1125 წლები (თამარის მეფობის მეორე პერიოდი, გიორგი-ლაშას მეფობა და რუსუდანის მეფობის დასაწყისი, -- ვიდრე 1225 წლამდე, ხვარაზმელთა შემოსევამდე);

**VI ხანა:** 1225—1259 წლები (რუსუდანის, დავით VI-ის და დავით VII-ის მეფობა, ვიდრე სამეფოს ორად განყოფამდე);

**VII ხანა:** 1259—1329 წლები (სამეფოს ორად განყოფის ხანა);

**VIII ხანა:** 1329—1393 წლები (სამეფოს გაერთიანების ხანა).

#### IV.

### შოთა რუსთველის ჰინაოზის აზოხსნა

#### 1.

#### რუსთავი პირაითისა

#### შოთა რუსთველის მხარე

ისევე, როგორც ძველს საბერძნეთში სხვადასხვა ქალაქები იჩემებდნენ პატრიუს, რომ იგი არის საშობლო ჰომიროსისა, ასევე საქართველოში ორი რუსთავი იჩემებდა პატრიუს, რომ იგი არის მხარე შოთა რუსთველისა. ესენია — სამცხე-ჯავახეთის რუსთავი, და პერეთის რუსთავი.

ტრადიცია ჰბადებს სიყვარულს. ჩვენ ვესიყვარულებით წმინდა სახელებს. ჩვენ ყველანი შეჩვეული ვიყავით გვიანდელი დროის ტრადიციას, რომ შოთა რუსთველის საშობლო არის სამცხე-ჯავახეთის რუსთავი. და როდესაც ჩვენ,

რუსთველიანას პრობლემებზე მუშაობის დროს, პირველად დავრწმუნდით, რომ რუსთველის მხარე — ეს არის ძველი რუსთავი ჰერეთისა (რუსთავი თბილისისა), ჩვენ ეს თითქოს გვეუცხოვა კიდევ. ალბათ თქვენც ამასვე განიცდით პირველად, ჩემო ძვირფასო მკითხველო.

ხოლო ქვეშარტება კიდევ ახალი სიყვარულით აღგვაკესბა.

ჩვენი საშობლოს მშენებმა მესხეთი დიდების შარავანდედით არის მოსილი, როგორც ქვეყანა გიორგი მერჩულესი, მთაწმიდელებისა, ჩვენი კულტურის დიდ მოღვაწეთა მთელი პლეადისა.

ხოლო ამიერიდან ჩვენი სიყვარული ახალი საქართველოს მშენებებისადმი, თბილისის რუსთავისადმი, კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ რუსთავი თბილისისა, და მასთან ერთად ძველი ჰერეთის მხარე, სამხრეთი და აღმოსავლეთი კახეთი, თბილისის რუსთავიდან — საინგილომდე (მოვაგონებთ მკითხველს, რომ საინგილოში დღემდე არსებობს შოთას სახელთან დაკავშირებული პუნქტი — შოთა ვარაი), არის მხარე შოთა რუსთველისა.

რომ შოთას მხარე არის თბილისის მეზობლად მდებარე რუსთავი ჰერეთისა, ეს ჩვენ ცხად-ვყავით რუსთველიანაში.

ხოლო ამჟამად ძველ საბუთებს ემატება ერთი ახალი საბუთი, სახელდობრ ჩვენება, რომ შოთა რუსთველი, მოხუცების ეამს, ყოფილა საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მეჭურჭლეთ-უზუცესი. ხოლო მეჭურჭლეთ-უზუცესის თანამდებობა მე-12 საუკუნესა და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში დაკავშირებული იყო ჰერეთის რუსთავის სამფლობელოსთან. მეჭურჭლეთ-უზუცესნი იყვნენ ჰერეთის რუსთავის ერისთავთ-ერისთავნი, რუსთველნი.

2

**რუსთველის ძველი ისტორიიდან**

გავეცნოთ თბილისის რუსთავის ისტორიას.

თბილისის რუსთავი (რუსთავი ჰერეთისა) საქართველოს უძველეს ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის.

ისტორიული ცნობები რუსთავის შესახებ ანტიკურ ხანამდე აღწევს.

ჩვენ აქ მოკლედ აღვნიშნავთ რუსთავისა და რუსთავის მხარის ისტორიის მთავარ მომენტებს მე-4 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე მე-12 საუკუნემდე.

**IV—V საუკუნეები.**

მე-4 საუკუნის დასაწყისში საისტორიო წყაროებში მოიხსენება ქალაქი რუსთავი, და რუსთავის საერისთავო, რომლის ცენტრიც ქალაქი რუსთავი იყო.

აქ საკვირაო აღვნიშნოთ, რომ ანტიკური ხანის დასასრულს და ადრეულ საშუალო საუკუნეებში, მე-4 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე მე-8 საუკუნის მეორე ნახევარამდე კახეთის ქვეყნები სამ სამხარეულო ერთეულად განიყოფებოდა: კახეთი, კუხეთი და ჰერეთი. მათი ადმინისტრაციული საზღვრები მე-4—8 საუკუნეებში სხვა იყო, ვიდრე მომდევნო ეპოქაში. მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდა კახეთის და ჰერეთის ფეოდალური სამეფოები.

ამ ადრინდელ ეპოქაში, მე-4—8 საუკუნეებში, რუსთავი შედიოდა კახეთის იმ სამხარეო ერთეულში, რომელსაც კუხეთის ქვეყანა ერქვა; კუხეთის ქვეყანა განიყოფებოდა ორ საერისთავოდ: საერისთავო რუსთავისა და საერისთავო უჯარმისა.

რუსთავის საერისთავო მე-4 და მე-5 საუკუნეებში საუფლისწულო თავოს წარმოადგენდა.

ლეონტი მროველი ცნობით რუსთავის საერისთავო ეს იყო საუფლისწულო პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის უფროსი ძის რევის შთამომავალთა. ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ მე-4 საუკუნის 30-იან წლებში მირიანის მემკვიდრემ ბაკურ მეფემ „მოიყვანა ძმისწულნი მისნი (ძენი რევისანი), და მისცა კუხეთი, და დასხნა რუსთავს ერისთავად“<sup>1</sup>.

საისტორიო წყაროების ჩვენებანი გვაძლევს საშუალებას გავითვალისწინოთ ტერიტორიული საზღვრები რუსთავის საერისთავოსი მე-4—5 საუკუნეებში. ტერიტორია რუსთავის საერისთავოსი ამ დროს იგივე ყოფილა, როგორც მე-12—14 საუკუნეებში: სამხრეთის მხრიდან მისი საზღვარი გასდევდა დავით-გარეჯის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე უდაბნოებზე და აღებოდა მდინარე მტკვრის აღმოსავლეთ მოსაბრუნს (სადაც მტკვარს მეორე მხრიდან მოერთიან მდინარენი — თავუში და აღისტევი); ჩრდილოეთის მხრით საზღვარი აღწევდა ჟინვანის ზონამდე; დასავლეთის მხრივ საზღვარი გასდევდა ჭერ არაგვს, შემდეგ თბილისის თემის აღმოსავლეთ ზონას, შემდეგ მტკვარს; აღმოსავლეთის მხრით რუსთავის საერისთავოს საზღვარი იყო წყალთაგამყოფი ქედი იორსა და მტკვარ-არაგვს შორის<sup>2</sup>.

ზუსტად ამავე ტერიტორიას მოიცავდა მომდევნო საუკუნეებში აგრეთვე რუსთავის საეპისკოპოსო.

ამრიგად, რუსთავის საერისთავოს, ზემოთ მოხსენებულ საზღვრებში, ხანგრძლივი ისტორიული ტრადიცია ჰქონია.

ქალაქ რუსთავისა და მისი მხარის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-4 საუკუნის 50-იანი/60-იანი წლები. ამ დროს რუსთავის საერისთავოში გაუყვანილთ „რუ“ (არხი) და საფუძველი დაუდგიათ იმ დიდი საირიგაციო სისტემისათვის რუსთავის ველების მოსარწყავად, რომელიც მოქმედებდა შემდეგ საუკუნეთა მანძილზე.

უძველესი ქართული მატიაზე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ამის შესახებ გადმოგვცემს, რომ საქართველოს მეფემ „რუასთავისა რუა გამოიღო, და ეკლესიისა საფუძველი დადგა“<sup>3</sup>. ამავე ცნობას იმეორებს მეორე ძველ-ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი, რომელიც აგრეთვე აღნიშნავს, რომ საქართველოს მეფემ „გამოიღო რუის თავი და აღაშენა ეკლესია“<sup>4</sup>.

რამდენადაც მატიაზეებში ამის შემდეგ მოთხრობილია 366 წლის ამბავი (პიტიაშის მოსვლა ტფილისად ქალაქად), ეს დიდი მშენებლობა რუსთავში, „რუასთავის რუასა გამოღება“ და რუსთავის ეკლესიის აგება ამაზე აღრე. 350-იან/360-იან წლებში მომხდარა.

მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ვახტანგ გორგასალის დროს საქართველოს საკათალიკოზო დაარსდა, კახეთ-პერეთის ქვეყნებში ხუთი საეპისკოპოსო კათედრა შეიქმნა. მათ შორის იყო საეპისკოპოსო კათედრა რუსთავისა<sup>5</sup>.

<sup>1</sup> იხ. ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 131.

<sup>2</sup> ამ წყალთა-გამყოფი ქედის დასავლეთით მდებარეობდა საერისთავო რუსთავისა, აღმოსავლეთით — უჯარმისა.

<sup>3</sup> იხ. მოქცევაჲ ქართლისაჲ, ვ. თაყაიშვილის გამოცემა, OP, გვ. 720.

<sup>4</sup> იხ. ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 137.

<sup>5</sup> იხ. ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 159).

რუსთავეის ეპისკოპოსს ხელი უწერია 506 წლის საეკლესიო კრების შედეგად მებზე.

როგორც აღნიშნული გვქონდა, რუსთავეის საერისთავო საუფლისწულო საერისთავოს წარმოადგენდა, აქ მე-4 საუკუნის 30-იანი წლებიდან ერისთავეზად იყვნენ პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის ძის რევის შთამომავალი. მათი მფლობელობა რუსთავეში გაგრძელებულა მე-5 საუკუნის მეორე ნახევარამდე. ვახტანგ გორგასალის დრომდე. ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი გადმოგვცემს რუსთავეის ერისთავთა შესახებ: „მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევისა, მირიანისვე ძისა და აქუნდა მათ კუხეთი და ცხოვნდებოდეს რუსთავეს ციხე-ქალაქსა“<sup>1</sup>. მაგრამ ისინი ამ დროს, ისტორიკოსის სიტყვით, „შემცირებულნი“ ყოფილან და მათი მფლობელობა რუსთავეში დასრულებულა მე-5 საუკუნის ბოლოს.

**VI საუკუნის დასაწყისიდან — VIII საუკუნის მეორე ნახევარამდე**

მას შემდეგ, რაც მე-5—6 საუკუნეთა მიჯნაზე რუსთავეის საერისთავოში დასრულდა მფლობელობა უფლისწულთა, მირიან მეფის ძის რევის შთამომავალთა, რუსთავეის საერისთავოს ხელისუფალნი მე-6 საუკუნის დასაწყისიდან არიან ადგილობრივი ერისთავნი, რომელთაც ეწოდებათ „რუსთველნი“<sup>2</sup>.

რუსთველთა მმართველობის დროს მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში რუსთავეის საერისთავოს ტერიტორიაზე გაშენდა განთქმული გარეჯის მონასტერი, დაარსებული დავით გარეჯელის მიერ.

დავით გარეჯელის ცხოვრების აღწერილობაში მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში მოიხსენება რუსთველი (რუსთავეის მხარის მფლობელი) ბუბაქარი. მე-5—6 საუკუნეებში საქართველოში, ქრისტიანობის გვერდით, როგორც ცნობილია, ფართო გავრცელება ჰქონდა მაზდეიანობას. ბუბაქარ რუსთველი მაზდეიანი ყოფილა და იგი ქრისტიანობაზე მოუქცევია დავით გარეჯელს.

ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში (აგრეთვე ჰიმნოგრაფიული პოეზიის ტექსტებში) მოთხრობილია, რომ ბუბაქარ რუსთველი, როდესაც იგი ჯერ კიდევ მაზდეიანი იყო, შეხვდა ნადირობის დროს დავით გარეჯელს და განიზაზხა დავითის მოკვლა; მაგრამ ვითომც ამ დროს მოხდა სასწაული, ბუბაქარმა ვერ შესძლო ხმლის მოქნევა, მას გაუშვეს მარჯვენა ხელი; ჰიმნოგრაფი წერს:

„[მაზდეიანი] იგი რუსთველი...  
მოვიდა შენდა გულისწყრომით მკინვარედ,—  
... მსწრაფლ აღმოიღო მახვილი ცემაღ შენთვის  
და მყის შეჰხმა მას ხელი მისი მარჯვენა“<sup>3</sup>.

ჰაგიოგრაფის სიტყვით, დავით გარეჯელა განკურნებს რუსთველს, ქრისტიანობაზე მოაქცევს და ნათელს სცემს მას. რუსთველი ზღვდა დავით გარეჯელს თანამოღვაწე, იგი ახლო მონაწილეობას ღებულობს გარეჯის მონასტრის მშენებლობაში.

მას შემდეგ რუსთველნი დავით-გარეჯის საეანის კტიტორებად ითვლებოდნენ.

მე-6 საუკუნიდან მოკიდებული, როგორც ცნობილია, გრძელდებოდა დიდი მშენებლობა გარეჯის მხარეში, საუკუნეთა მანძილზე აქ დაარსდა თორმეტი მონასტერი, რომლებიც საშუალ საუკუნეთა ქართული კულტურისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრებად იქცნენ.

<sup>1</sup> იხ. იქვე, გვ. 198—199.

<sup>2</sup> იხ. ზელნაწერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტისა A—126, გვ. 17a.

<sup>3</sup> იხ. დავით გარეჯელის ცხოვრება (ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, 1955 წ., ილ. აბულაძის გამოცემა), გვ. 174—175.

„გარეჯის ათორშეტნი მონასტერი“, რომლებიც ცენტრალურ დებოდენ დავით გარეჯელის სავანის გარშემო, ისეთივე მნიშვნელობის სამონასტრო ცენტრები იყო, როგორც „ქლარჯეთის ათორშეტნი მონასტერი“, რომელთაც პირველად საფუძველი იმავე ხანაში, მე-5—6 საუკუნეებში ჩაეყარა, და რომელთა განახლება და გაფართოება მომდევნო პერიოდს, გრიგოლ ხანძთელისა და მის თანამოღვაწეთა ხანას ეკუთვნის<sup>1</sup>.

უფრო გვიან ეპოქაში, XII—XIV საუკუნეებში, გარეჯის ათორშეტნი მონასტერი და ქლარჯეთის ათორშეტნი მონასტერი მოიხსენიებიან ქართული განათლების დიდი ცენტრის „ხალი ათონის“ — გელათის გვერდით, რაც მჩვენებულებაა, რომ გარეჯისა და ქლარჯეთის ძველ ცენტრებს ამ დროსაც არ დაუკარგავთ აღრინდელი მნიშვნელობა.

რუსთავის საერისთავოს შემდგომი ხანის ისტორიიდან აღსანიშნავია, რომ მე-8 საუკუნის 40-იან/50-იან წლებში, არჩილ მეფის დროს, რუსთავის საერისთავო, და მასთან ერთად საერისთავონი შულავერისა (ქვემო ქართლში) და არტანისა (ზემო ქართლში) გადასულა აღარნასე ბაგრატიონის უზენაესი ხელისუფლების ქვეშ. ჭუანჭავის მატიანეში მოთხრობილია, რომ არჩილ მეფემ მისცა „სამკვიდროდ“ აღარნასე ბაგრატიონს — „რუსთავი, შულავერი და არტაანი“<sup>2</sup>.

### VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან — XII საუკუნის დასაწყისამდე

მე-8 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-9 საუკუნის დასაწყისში, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა საშულა-საუკუნეთა საქართველოს აღრინდელი ფეოდალური სამეფოები: აფხაზეთისა (დასავლეთ საქართველოსი), ქართლისა (ქართლ-მესხეთისა, ცენტრით ზემოქართლში, არტანუჯში), კახეთისა და ჰერეთისა.

მათ შორის ჰერეთის სამეფო VIII საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. მის სათავეში არის ჰერეთის ბაგრატიონთა დინასტია.

ეკრძოდ რუსთავის საერისთავო, მისი ძირითადი ტერიტორია, შევიდა ჰერეთის სამეფოში, სახელდობრ ძველი რუსთავის საერისთავოს შემდეგი ნაწილები:

1. საკუთრივ რუსთავის თემი მთლიანად (გარეჯის მონასტერთა ტერიტორიებით);

2. კანტონი გაეახანი, რომელიც მდებარეობდა ქალაქ რუსთავის ჩრდილოეთით და მოიცავდა ლოწობანის (ლოჭინის-უბნის) ზონას თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით (მდინარე ლოჭინის ხეობის სექტორი)<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. პ. ინგოროვა, ვიოტი მერჩულე, გვ. 340—361.

<sup>2</sup> იხ. კარის ვარიება, გვ. 17.

<sup>3</sup> იხ. ჭუანჭავი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 243 (შეადარეთ ქართლის ცხოვრების კრებულის ძველ-ქართული თარგმანი, ილ. აბულაძის გამოცემა, 1953 წ., გვ. 199).

<sup>4</sup> გაეახანი წარმოადგენდა ციხეს და იყო ძველი ცენტრი ლოჭინის ხეობის კანტონისა (გაეახანი მოიხსენება ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 254, 264). უფრო გვიან, მე-10 საუკუნის 40-იან წლებში ამავე ლოჭინის ხეობის კანტონში გაშენდა ციხე ლოწობანი (იგივე ლოჭობანი, ალკინის-სუბანი), — იხ. მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 265, 268, 269 (იხ. აგრეთვე ვიოტი 11-ის მატიანე, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 316). მეორე სახეობა ამ ციხის სახელწოდებისა არის „ლოწობანი“, საიდანაც მომდინარეობს გვიანდელი სახელი ლოჭინის ხევისა — „ოშანის ხევი“ (იხ. ვახუშტი, აწერა სამეფოსა საქართველოსაჲ, 1941, გვ. 51, 86, 95).

გაეახანი და ლოწობანი მოიხსენიებიან აგრეთვე XIV საუკუნის საისტორიო ძეგლში „ძველი ერისთავთა“ (მ. მესხიას გამოცემა, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, 30, გვ. 6).

ამ პუნქტების — გაეახისა და ლოწობანის ლოკალიზაციის შესახებ იხ. რუსთაველი (პ. ინგოროვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1963 წ., გვ. 101—102).



რაც შეეხება რუსთავის ძველი საერისთავოს ჩრდილოეთ ნაწილს, იგი შევიდა პირველმა იმპერატორმა ნიკოლოზ I-მ და შემდგომში კონსტანტინე II-მ.

- ა. გარდაბანი (მარტყოფის ზონა);
- ბ. ხერკი (საგერამოს ზონა);
- გ. ქინვანი.

რუსთავის საერისთავო ზემოთ-აღნიშნულ საზღვრებში (ე. ი. საკუთრივ რუსთავის თემი და კანტონი გავანის) რჩება ჰერეთის სამეფოს ტერიტორიის ფარგლებში მე-8 საუკუნის დასასრულიდან ვიდრე მე-10 საუკუნის პირველ მეოთხედამდე (920 წლამდე).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ქალაქი რუსთავი მე-8—12 საუკუნეებში ცნობილი იყო ორმაგი სახელწოდებით: რუსთავი და არიში.

ეს მეორე პარალელური სახელწოდება რუსთავისა — არიში დამოწმებულია ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლებში, რომელსაც ეწოდება „მატიანე ქართლისაჲ“ და რომელიც მე-11 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის<sup>1</sup>.

ესევე პარალელური სახელწოდება არიში დამოწმებულია აგრეთვე ქართლის ცხოვრების კრებულის ძველ-სომხურ თარგმანში, რომელიც მე-12 საუკუნეშია შესრულებული, და სადაც შესაფარდად რუსთავისა იხმარება სახელწოდება არიში (—არიშა—რიშა) შემდეგი სამი ძველ-ქართული საისტორიო ძეგლების ტექსტში: ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა“ (VIII ს.), „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ (IX ს.), ჭუანჭერი „წიგნი ქართველთა ცხოვრებისა“ (IX—X ს.)<sup>2</sup>.

აღსანიშნავია, რომ ეს პარალელური სახელწოდება რუსთავისა — არიში მოღწეულა ილით მე-19—20 საუკუნეებში. რუსთავის ზონის (გარდაბანის რაიონის და სამხრეთ-ქართლის (ბოლნის-ღმინის-მარნეულის რაიონის თურქულ-ენოვანი მოსახლეობა რუსთავს ღღემდე ეძახის „არიშა კალა“ ანუ „რიშა-კალა“, ე. ი. „არიშა-ციხე“, ანუ „რიშა-ციხე“. მე-19 საუკუნის კავკასიის სამხედრო შტაბის ხუთთვერსიან რეკავიდაც რუსთავის ციხე-ქალაქის ნანგრევები ასეა აღნიშნული: „разн. кр. Риша-кала“.

აქ საჭიროა ცალკე შეეჩერდეთ აგრეთვე რუსთავის მხარის ერისთავთა ვინაობაზე მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიდრე მე-12 საუკუნის დასაწყისამდე.

რუსთავის მხარის ერისთავნი აღნიშნული პერიოდის მანძილზე ეკუთვნიან არიშიანთა (ანუ, რაც იგივეა, არიშისძეთა გვარეულობას).

რუსთავის ერისთავთა ეს საგვარეულო სახელწოდება არიშიანი (იგივე არიშისძე) დაკავშირებულია რუსთავის სახელწოდებასთან — არიში.

ეს ფაქტი, რომ ერისთავთა საგვარეულო სახელწოდება რეზიდენციის სახელწოდებასთან არის დაკავშირებული, მოულოდნელს არას შეიცავს, ამისი მაგალითი ჩვენ სხვადასხვა ამავე ეპოქის ერისთავთა გვარებში.

ასე, როგორც აღნიშნული გვიქონდა, ოდიშის ერისთავთა ძველი გვარეულობა დადიანი, რომელი გვიჩინებდა ფორმით გვხვდება „დადიანი“ და „დადიან-ბედიანი“, — დაკავშირებულია საერისთავო რეზიდენციების სახელებთან: დადის-წყალზე მდებარე რეზიდენციის სახელწოდებას „დადის ციხე“ უკავშირდება საგვარეულო სახელწოდება „დადიანი“; ხოლო მეორე რეზიდენციის, ცი-

<sup>1</sup> იხ. მატიანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 264.

<sup>2</sup> იხ. ქართლის ცხოვრების კრებულის ძველ-ქართული თარგმანი, ილ. აბულაძის გამოცემა, ტექსტები: ლეონტი მროველი, გვ. 12, 25, 131, 135; ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, გვ. 182; ჭუანჭერი, გვ. 199.



ბე-ქალაქის სახელწოდებას „ბედია“ უკავშირდება საგვარეულო სახელწოდება „ბედიანი“ (აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ეს მეორე სახელწოდება „ბედიანი“ ჩვენ გვხვდება დადიანთა გვარეულობაში არა მხოლოდ როგორც საგვარეულო წოდება, არამედ როგორც საკუთარი სახელიც)<sup>1</sup>.

ან-და ავიღოთ მეორე მაგალითი. სახელწოდება საშუალ საუკუნეთა ცნობილი ქართული ფეოდალური გვარეულობისა, სამხრეთ ქართლის მხარეთა ერისთავებისა, — „ორბელიანი“, დაკავშირებულია სახელწოდებასთან „ორბეთი“ resp. „ორბის ციხე“.

ზემოთ აღნიშნული მაგალითების ანალოგიას წარმოადგენს რუსთავის ერისთავთა საგვარეულო სახელწოდება. ისევე როგორც დაკავშირებული არიან რეზიდენციის სახელი „დადის ციხე“ და საგვარეულო წოდება „დადიანი“, რეზიდენციის სახელი „ბედია“ და საგვარეულო წოდება „ბედიანი“, რეზიდენციის სახელი „ორბეთი“ („ორბის ციხე“) და საგვარეულო წოდება „ორბელიანი“, ასევე დაკავშირებულია რეზიდენციის სახელი არიში და საგვარეულო წოდება არიშიანი.

ხოლო ანალოგია კიდევ უფრო შორს მიდის. ისევე როგორც დადიან-ბედიანთა გვარში სახელწოდება „ბედიანი“ ჩვენ გვხვდება არა მხოლოდ როგორც საგვარეულო წოდება, არამედ აგრეთვე როგორც საკუთარი სახელი, ასევე არიშიანთა გვარში სახელწოდება „არიშიანი“ ჩვენ გვხვდება არა მხოლოდ როგორც საგვარეულო წოდება, არამედ აგრეთვე როგორც საკუთარი სახელი.

რაც შეეხება არიშიანთა გვარეულობის სახელწოდების ორგვარ პარალელურ სახეობას — „არიშიანი“ და „არიშიძე“ ასეთი პარალელუმი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ძველ-ქართულ ონომასტიკაში. პარალელური ფორმები „არიშიანი“ და „არიშიძე“ ისევე კანონზომიერია ძველ-ქართულში, როგორც პარალელური ფორმები ერთი და იმავე ძველ-ქართული გვარებისა — „მარუშიანი“ და „მარუშიძე“, „ქობულიანი“ და „ქობულიძე“ და სხვანი. (ასევე შევფარდებთან ერთუროს დღემდე შენახული გვარები: ასათიანი და ასათიძე, ყორულიანი და ყორულიძე და სხვანი).

როგორც ზემოთ გვქონდა მოხსენებული, რუსთავის საერისთავო შედის ჰერეთის სამეფოს საზღვრებში ორ საუკუნეზე მეტი ხანი, მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვიდრე მე-10 საუკუნის პირველ მეოთხედამდე, 920 წლამდე.

920 წელს რუსთავის საერისთავო ჰერეთიდან შემოიერთა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) და შიდა ქართლის გაერთიანებულმა სამეფომ.

ძველ-ქართული საისტორიო ძეგლი „მატიანე ქართლისაჲ“ გადმოგვცემს, რომ ვეკინში დადებული ზავის შედეგად ჰერეთის მეფემ ადარნასე პატრიკმა 920 წელს აფხაზეთისა და შიდა ქართლის გაერთიანებული ქვეყნების მეფეს კონსტანტინე III-ეს „მოსცა — აარიში და გავაზნი“<sup>2</sup>. აფხაზეთისა და შიდა ქართლის გაერთიანებულ სამეფოს ამ დროს შემოუერთებია როგორც საკუთრივ რუსთავის თემი (=არიშის თემი), ისე რუსთავის ჩრდილოეთით მდებარე კანტონი გავაზნი.

რუსთავის თემი ამის შემდეგ რჩება გაერთიანებულ აფხაზეთის და ქართლის სამეფოს საზღვრებში საუკუნე ნახევარი, ვიდრე 1073 წლამდე; ხოლო რუსთავის ჩრდილოეთით მდებარე კანტონი გავაზნი 930/40-იან

<sup>1</sup> იხ. ზევი, გვ. 131, შენიშვნა.

<sup>2</sup> პარალელური სახეობანი გვარისა „მარუშიანი“ და „მარუშიძე“ X საუკუნეში იხ. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 272, 273, 275 და გომარაიის წარწერა (ე. თაყაიშვილის გამოცემა, AЭ, IV, გვ. 23).

<sup>3</sup> იხ. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 264.



წლებში კახეთის სამეფომ შეიერთა. 940-იან წლებში კახეთის მეფემ ფადლა II კვირიკეს ძემ გავაზთა კანტონში ააგო ციხე ლოწობანი<sup>1</sup>, რომელიც ამჟამად მდებარეობს დღე ხშირად მოიხსენება მატჩანეებში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ როგორც რუსთავის თემში (არიშის თემში), ისე გავაზ-ლოწობანთა კანტონში (მას შემდეგ რაც ეს უკანასკნელი შეიერთა კახეთის სამეფომ) მფლობელებად რჩებიან არიშიანთა (არიშისძეთა) გვარეულობა. ასე, მატჩანეში 955 წელს აღნიშნულია, რომ „ლოწობანი ჰქონდეს ივანე არიშისძესა“, ხოლო „ციხე მარანისა [იმავე გავაზ-ლოწობანის კანტონში] ჰქონდა ხახუა არიშისძესვე, ძმასა ივანესა“.<sup>2</sup>

საკუთრივ რუსთავის თემში, იმავე მე-10 საუკუნეში, და ამის წინარე ხანაში, მე-8—9 საუკუნეებში, წარმოებს მშენებლობა გარეჯის მონასტერთა ჯგუფისა. მე-9 საუკუნეში აქ მოღვაწეობს და მშენებლობას აწარმოებს ილარიონ ქართველი<sup>3</sup> (რომელიც შემდეგ დასავლეთში გაემგზავრება, მოღვაწეობს პალესტინასა, საბერძნეთში და რომში, და რომლის მოწაფეებმა კონსტანტინეპოლის სანახებში დააარსეს ჰრომანას ქართველთა მონასტერი).

მე-10 საუკუნის მეორე ნახევარში რუსთავის ერისთავნი აწარმოებენ მშენებლობას გარეჯის მონასტერში. გარეჯის მონასტრის მხატვრობაში დატულია მშენებელის ფრესკა, შესრულებული 975 წელს.

მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში, 1073 წელს, რუსთავის საერისთავო, რომელიც ამ დრომდე, როგორც მოვიხსენეთ, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) და ქართლის გავრთიანებულ სამეფოში შედიოდა, შეიერთა აღსართან I-მა, რომელიც იყო მეთაური კახეთისა და დასავლეთ ჰერეთის გაერთიანებული სამეფოსი, „ჰერთა და კახთა მეფე“<sup>4</sup>. ამის შემდეგ რუსთავის საერისთავო რჩება ჰერთა და კახთა სამეფოს საზღვრებში მე-12 საუკუნის დასაწყისამდე, 1104 წლამდე.

3

რუსთავის საერისთავო XII საუკუნის დასაწყისში.

არიშიანი, ერისთავთ-ერისთავი რუსთავის მხარისა და მეჭურჭლეთ-უზუცესი.

ახალი პერიოდი რუსთავის მხარის ისტორიაში იხსნება მე-12 საუკუნის დასაწყისიდან. ეს ის დროა, როდესაც დავით აღმაშენებელი შეუდგა საქართველოს მხარეთა შემოკრებას ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში.

1104 წელს შემოერთებულ იქმნა „ჰერთა და კახთა“ გაერთიანებული სამეფო, რომელიც როგორც მოხსენებულნი გვექონდა, კახეთსა და ჰერეთის დასავლეთ ნაწილს მოიცავდა, და რომლის სათავეში იდგა კვირიკეთა დინასტია.

ჰერეთ-კახეთის საქართველოსთან შემოერთების საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს ჰერეთ-კახეთის პატრიოტებმა, რომლებიც თანაუგრძნობდნენ დავით აღმაშენებელის გაერთიანების პოლიტიკას. ამ პატრიოტების ჯგუფის მოთავე ყოფილა ჰერეთის დიდებული არიშიანი, ერისთავთ-ერისთავი რუსთავისა.

<sup>1</sup> იხ. იქვე, გვ. 265.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 266.

<sup>3</sup> იხ. ცხოვრება დავით გარეჯელისა, საქართველოს სამოთხე, 1182 წ. გვ. 280, ცხოვრება ილარიონ ქართველისა, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი, 1901 წ. გვ. 72—73, 78—83.

<sup>4</sup> იხ. ვიოროვი II-ის მატჩანე, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 316.



დროს არის დაწერილი მეტაფრასი „ცხოვრება და მოქალაქეობა დაეფუძვნა ჩელისა“, რომელიც რუსთავის მხარის ადრინდელ ისტორიის ეხება. ინიციატორი ამ ძეგლის აღწერისა ყოფილა „დიდი მოძღუარი“ და „სულთა მწყემსი“ ონოფრე გარეჯელი, რომელიც დაახლოვებული პირი ყოფილა არიშინისა<sup>1</sup>.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ სავაზიროს ინსტიტუტი, იმ საბით, როგორადაც იგი არსებობდა მე-12—14 საუკუნეთა მანძილზე, დავით აღმაშენებლის დროს ჩამოყალიბდა.

სავაზიროში დავითს ვაზირად მეჭურჭლეთ-უხუცესად შეუყვანია არიშინი, ქვეყნის წინაშე დამსახურებული მოღვაწე, დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის თანამოაზრე და თანამდგომი.

არიშინი, როგორც ირკვევა, პირველი მეჭურჭლეთ-უხუცესი იყო დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი სავაზიროსი. ამის შემდეგ ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის სახელა უკავშირდება რუსთავის ერისთავთ-ერისთავის სახელს.

4.

**არიშინის მემკვიდრე:**

**ვარდანისძეთა სახლი და იობის-ძეთა სახლი**

1150/60 წლებში შემწყდარა მამრობითი შტო არიშინის გვარისა, რომელიც მემკვიდრეობითი მფლობელი იყო რუსთავის მხარისა.

მომდევნო მესამედი საუკუნის მანძილზე, 1150/60 წლებიდან ვიდრე 1191 წლამდე მის ადგილს დაიკვირენ მისნი მემკვიდრენი (მღვდრობითი ხაზით), „არიშინისა ადგილსა მსხლომნი“: ვარდანისძენი II და აბულასან იობის-ძე.

ა.

**ვაზირნი მეჭურჭლეთ-უხუცესნი**

(მემკვიდრენი არიშინისა):

1. ივანე ვარდანისძე II 1150/60—1177 წ.
2. კახაბერ ვარდანისძე II 1184/5—1191 წ.

**ვარდანისძეთა გვარი** — დიდი ფეოდალური გვარეულობა იყო საშუალო საუკუნეთა საქართველოში. ვარდანისძენი მე-12—14 საუკუნეებში იყვნენ ერისთავთ-ერისთავნი სვანეთისა და გურიისა.

მე-12 საუკუნის პირველ ნახევარში ვარდანისძეთა სახლი დანათესავებია არიშინთა სახლს ქალის შტოს ხაზით, — ვარდანისძეთა სახლში სძლად მოუყვანიათ არიშინის მემკვიდრე ქალი. ეს დასტურდება შემდეგის მიხედვით. როგორც ცნობილია, საშუალო საუკუნეებში, გვარების დანათესავების გამო საგვარეულო სახელები ერთი ფეოდალური გვარისა გადადიოდა მეორე გვარში. არიშინის გვართან დანათესავების გამო ქალის შტოს ხაზით, ვარდანისძეთა გვარში გადმოსულა საგვარეულო სახელი „არიშინი“, იგი ვარდანისძეთა გვარშიც საგვარეულო სახელად ქცეულა. ასე, ამ სახელს „არიშინი“ ატარებს ვარდანისძეთა გვარის მე-13 საუკუნის მოღვაწე არიშინი ვარდანისძე. იგი იყო ვაზირი მსახურთუხუცესი დასავლეთ საქართველოს სამეფო კარისა

<sup>1</sup> იხ. ცხოვრება და მოქალაქეობა დავით გარეჯელისა, მ. საბინინის გამოცემა, საქართველოს სამოთხე, გვ. 266 (ონოფრე გარეჯელი მოიხსენება საბერძნეთის ათონის ქართული სავანის აღაპებში; ონოფრე გარეჯელს ათონზე ზეტანია შეწირულებანი არიშინისა და მისთა მახლობელთა. იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1674 წლის ხელნაწერი, აღაპებით, გვ. 253—4 (აღაპი № 143), გვ. 229 (აღაპი № 54).

მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში. არიშოიანი ვარდანისძე მხოლოდსენება იერუსალიმის ჭვარის ქართული სავანის სამონასტრო მცვენიშნის მისამხელზე დანიშნულია ალაპი ახალი წლის თარიღზე. მოგვყავს მისი ტექსტი:

„1 იანვარი.

„ქ. ამასვე დღესა ალაპი სუანთ ერისთავისა ვარდანისძისა მსახურთ-უხუცებისა არიშოინისა. მოგვუცა ათას-ხუთასი თეთრი, მას ეამსა, ოდეს ჭუარის-მონასტერი სპარსთა დამპირვით ჰქონდა და ძმანი მეტოქს შიგან ვიყვენით. დიდად ნუგეშინის გეცა“<sup>1</sup>.

(ჭვარის მონასტრის ეს „ატყეობა“ ვეთუენის 1274—1305 წლებს. ამის მიხედვით ირყვევა, რომ არიშოიანი ვარდანისძე მე-13 საუკუნის მეორე ნახევრის შოღვაწია).

მას შემდეგ, რაც 1150/1160 წლებში არიშოინის სახლში მამრობითი ხაზი შეწყვეტილა, ვარდანისძეთა გვარს, როგორც არიშოინის მემკვიდრეს ქალის შტოს ხაზით, მიუღია მემკვიდრეობით:

ა. ნაწილი რუსთავის სამფლობელოსი, სახელდობრ გავის სანაპირო თემი (რომელიც სამხრეთის მხრიდან ევკროდა რუსთავის საერისთავოს და აღმინის-ტრაკიულად მასთან იყო დაკავშირებულ ო).

ბ. ვარდანისძეებზე გადასულა არიშოინის საევაზირო თანამდებობა მეჭურჭლეთ-უხუცესობა.

მას შემდეგ, რაც ვარდანისძეთა გვარმა მიიღო ახალი სამფლობელო (რუსთავის საერისთავოს სამხრეთი სანაპირო თემი — გავი) და ახალი საევაზირო ხელი (მეჭურჭლეთ-უხუცესობა) ვარდანისძეთა გვარი ორ შტოდ გაყოფილა:

**ვარდანისძენი I**, — პირველი, ძირითადი შტო: სუანთ-ერისთავ/გურიელნი. ამ შტოიდან მე-12 საუკუნეში ინიშნებიან ვაზირნი — სპასპეტი ჩუხჩარი.

**ვარდანისძენი II**, — მეორე შტო: ვარდანისძე-გაგელნი. ამ მეორე შტოიდან მე-12 საუკუნეში ინიშნებიან ვაზირნი მეჭურჭლეთ-უხუცესნი.

ვარდანისძეთა გვარის მეორე შტოიდან (რომლებზედაც გადავიდა არიშოინის მემკვიდრეობა) ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა ეჭირა ორ პირს:

**ივანე ვარდანისძე II**, მეჭურჭლეთ-უხუცესი 1150/60—1177 წ.

↓  
**კახაბერ ვარდანისძე II**, ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი 1184/5—1190 წ.  
წინა თავში („ცვლილებანი საევაზიროში XII—XIV საუკუნეთა მანძილზე“) ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ამ პირთა შესახებ.

ივანე ვარდანისძე II-ემ, რომელსაც ეჭირა ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის პოსტი 1150/60—1177 წლებში, როგორც მოხსენებულნი გვქონდა, მონაწილეობა მიიღო, საევაზიროს მთელ რიგ სხვა წევრებთან ერთად, დემნას აჯანყებაში 1177 წელს; ამის გამო იგი გადაყენებულ იქმნა ვაზირობიდან, ვაზირობა ჩამოერთვა ვარდანისძეთა გვარს. ივანე ვარდანისძის ნაცვლად ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის პოსტზე დაინიშნა ყუთლუ-არსლან ჯაყელი, რომელსაც უჭირავს მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა 1178 წლიდან 1184—5 წლამდე.

ხოლო 1184-5 წელს, როგორც მოხსენებულნი გვქონდა, მოხდა რესტავრაცია, ძველი გვარეულობანი ისევ აღდგენილ იქმნა თავის უფლებებში. ამ დროს ვარდანისძეთა გვარს ისევ დაუბრუნდა ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა.

<sup>1</sup> ი. ხ. აღანი ჭვარის მონასტრისანი, წ. შარის გამოცემა, გვ. 37 (ალაპი № 143).

დებობა; მეკურტლეთ-უხუცესის პოსტზე დაინიშნა კახაბერ ვარდანისძე, რომელიც უკირავს ეს თანამდებობა 1184/5 წლიდან 1190 წლამდე.

ბ.

აბულასან იობისძე

„არიშიანისა ადგილსა მჭდომი“

ერისთავთ-ერისთავი რუსთავისა, მეკურტლეთ-უხუცესი  
(1190—1191 წ.)

არიშიანის სახლის მემკვიდრე — ქალის შტოს ხაზით, ვარდა ვარდანისძეთა, არის ცნობილი ისტორიული მოღვაწე მე-12 საუკუნის მეორე ნახევრისა აბულასანი, „ძე კეთილ-ნათესავისა იობისი“.

სინამდვილეში აბულასანი იობის-ძე არის პირველი, პირდაპირი მემკვიდრე არიშიანის სახლისა. მასზედ გადასულა არიშიანის სამფლობელოს ძირითადი ნაწილი, საკუთრივ რუსთავის საერისთავო (რომელშიაც შედიოდა თემები: თვით რუსთავი და უინჯანი — „შვიდნი მთელუნნი“). ხოლო ვარდანისძეებზე, როგორც აღვნიშნეთ, გადავიდა საერისთავოს სამხრეთი სანაპირო გაგის თემი, (რომლის ცენტრი იყო ძველი განთქმული ციხე-სიმაგრე გაგი).

რაც შეეხება არიშიანის სავაზირო თანამდებობას, მეკურტლეთ-უხუცესის ხელს, მთავრობას მეკურტლეთ-უხუცესობა, როგორც ვნახეთ, დაუმტკიცებია ვარდანისძეებისათვის, რამდენადაც ვარდანისძეთა გვარი ერთი ყველაზე წარჩინებული იყო ფეოდალურ გვარეულობათა შორის (ვარდანისძეთა განმგებლობაში იყო ორი დიდი საერისთავო დასავლეთ საქართველოსი, — სვანეთი და გურია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მათ განმგებლობაში გადავიდა ისეთი მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, როგორიც გაგი იყო).

უფრო გვიან, ვარდანისძეთა შემდეგ, ვაზირის მეკურტლეთ-უხუცესის თანამდებობა მიიღო აბულასან იობის-ძემ, როგორც „არიშიანისა ადგილსა მჭდომსა“. მაგრამ ამაზე ადრეც აბულასან იობის-ძეს კავშირი ჰქონია მეკურტლეთ-უხუცესის სახელოსთან; აბულასანი, ვიდრე იგი მიიღებდა ვაზირის მეკურტლეთ-უხუცესის პოსტს, ყოფილა მეკურტლეთ-უხუცესის მოადგილე, „ნაცვალი მეკურტლეთ-უხუცესისა“.

ვინ იყო აბულასან იობის-ძე?

ამ საგანზე ჩვენ დაწვრილებით მოგვიხდება შევჩერდეთ, რადგან მისი ვინაობის შესახებ სრულიად მცდარი შეხედულებანი იყო წარმოდგენილი.

საისტორიო წყაროების შესწავლიდან ირკვევა, რომ აბულასანი, ვიდრე საგანმგებო მიიღებდა რუსთავის საერისთავოს, ყოფილა მემკვიდრე მფლობელი თბილისის თემისა, სახელდობრ ქართლის იმ ნაწილისა, რომელიც თბილისის ნასახებს მოიცავდა და რომელსაც ეწოდებოდა „ქართლისა საამირო“ ანუ „ქართლისა და ტფილისის საამირო“ (როგორც გაარკვია ივანე ჯავახიშვილმა, ადმინისტრაციული ერთეული „ქართლისა საამირო“ ანუ „ქართლისა და ტფილისის საამირო“ იყო ის ტერიტორია ქართლისა, რომელიც 1121 წლამდე, ე. ი. თბილისის განთავისუფლებამდე, თბილისის საამიროს საზღვრებში იყო მოქცეული; 1121 წლის შემდეგ იგი

ცალკე აღმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდა და არ შედიოდა ქართლის საერისთავო-საერისთავოში<sup>1</sup>.

აბულასანი თამარის მამის გიორგი III-ის მიერ დაწინაურებული პირი იყო და ამით აიხსნება ის დიდი გავლენა, რომელიც მას ჰქონდა თამარის მეფობის დასაწყისში. თამარის პირველი ისტორიკოსი, გადმოგვცემს რა აბულასანის სიტყვას, წარმოთქმულს სახელმწიფო დარბაზში 1184 წელს, როდესაც ირჩეოდა საკითხი თამარის მეუღლის მოწვევისა, ასე იწყებს მოთხრობას:

„გამო-ვინმე-ჩნდა მეტყველი, მკვიდრთაგან ტფილისისა, თავადი, და მეფეთ-მეფისაგან [გიორგი III-ისაგან] წყალობა ხელ-დასმული ამირად ქართლისა და ტფილისისა, სახელით აბულასანი, და მეტყუელმან თქუა...“<sup>2</sup>.

მეორე ადგილას ისტორიკოსი წერს აბულასან იობის-ძის შესახებ: „კეთილთა და ჰამოთა პატრონთაგან [გიორგი III-ისა და თამარისაგან] სრულწყლიანი (—ბედნიერ-ქმნილი)“<sup>3</sup>.

ისტორიკოსი აბულასანს, როგორც ვნახეთ, ასე მოიხსენებს: „მკვიდრი თბილისისა, თავადი“. ძველ-ქართულად „მკვიდრი“ ნიშნავს: „მემკვიდრე“, „მემკვიდრეობით მფლობელი“.

რომ „მკვიდრი“ ძველ ქართულად ნიშნავდა „მემკვიდრე“, „მემკვიდრეობით მფლობელი“, ამის ცხადსაყოფად მოგვყავს ერთი ადგილი ამავე ეპოქის, მე-12 საუკუნის დასაწყისის ქართულ ისტორიკოსის ბასილი ეზოსმძღვარის თხზულებიდან; ისტორიკოსის სიტყვით, თამარ მეფემ შემდეგი ანდერძი დაიბარა: „მკვიდრად საბლისა ჩემსა (საქართველოს სამეფოსა) დაგიტყუებ, რომელი მომცნა ღმერთმან შეილი ჩემი, გიორგი და რუსუდანი; ვგენი მოიხვეით ჩემ წილ, და შავით აღმოვიგონ დაცლებული ჩემი“ (იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 145).

ამრიგად აბულასან იობის-ძე თბილისის თემის „მკვიდრი“, მემკვიდრეობით მფლობელი ყოფილა.

რომ აბულასანი თბილისის თემის მემკვიდრეობით მფლობელი იყო, ამას ადასტურებს აგრეთვე ისიც, რომ აბულასან იობის-ძის საგვარეულო ეკლესია, საგვარეულო ნეკროპოლი (სამარხი, ანუ „საძვალე“), თბილისში მდებარეობს; ეს საგვარეულო ეკლესია არის, როგორც ირკვევა მოღწეული წარწერიდან, თბილისის „ლურჯი მონასტერი“.

აბულასან იობის-ძე, „მკვიდრი ტფილისისა“, თბილისის თემის მემკვიდრეობით მფლობელი, შემდეგ გამხდარა აგრეთვე მფლობელი რუსთავის საერისთავოსი, „არიშიანისა ადგილსა მჭდომში“; ეს მეორე სამფლობელო, რუსთავის საერისთავო, აბულასანმა მიიღო ნათესაობის გზით არიშიანის სახლთან, მდებარეობით შტოს ხაზით, ისევე როგორც მეორე გვარეულობამ — ვარდანის-ძეებმა.

როგორც ირკვევა, აბულასანი, დედის ხაზით, არიშიანის სახლის შვილი იყო, აბულასანის დედა არიშიანის ასული ყოფილა. ამიტომაც არის, მე-12 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი („ისტორია-აზმათა“ ავტორი) აბულასანს მოიხსენებს როგორც შთამომავალს რუსთავის უძველესი მფლობელის ბუბაქარისა, რომელიც მე-6 საუკუნეში ცხოვრობდა და რომელიც დავით გარეჯელის ცხოვრებაშია დასახელებული. (ისტორიკოსი აბულასანს მოიხსენებს იმავე ეპითეტებით, რომლითაც მოხსენებული ჰყავს რუსთავის მე-6 საუკუნის მფლობელი ბუბაქარი დავით გარეჯელის აგიოგრაფს. ამის შესახებ ქვემოთ).

<sup>1</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, III, ნაკვ. 1, გვ. 215.

<sup>2</sup> იხ. ისტორია-აზმათი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 36.

<sup>3</sup> იხ. იქვე, გვ. 48.



აბულასან იობისძის საგვარეულო ეკლესიაში თბილისში („ლურჯი ტერაზი“) დაკურთხა წარწერა, რომელშიაც მოიხსენება „ძე კეთილ ნათესავისა იობისი ერისთავთ-ერისთავი აბულასანი, „რუისთვისა და შვიდთა მთეულეთა (= შინვანის) პატრონი“. წარწერა ეკუთვნის აბულასანის ძმას, ქართლის მთავარეპისკოპოს ყოფილს ბასილის. წარწერა შესრულებულია მწიგნობრული ძველ-ქართულთ, რიტორიკული სტილით (ტექსტში ჩართულია იამბიკონური სტრიქონები). მოგვეყვას ტექსტი:

„ქ. ვინამთგან ჩემებრ ბრალეულთაგან — სარწმუნოებით კეთილ-კეთილნი, კეთილად ქმნულნი, —

ამისთვის მეცა, შვილი ჰუმარიტისა ემბაზისაჲ, გარნა სახელით ოდენ ჭრისტეანე, ხოლო საქმით ურჩი და ყოვლით უშიში ღმრთისა. ბრძანებთაჲ, უღირსა ბასილი, ქართლისა მთავარეპისკოპოს ყოფილი, ძე კეთილ-ნათესავისა იობისი,

უნდოთა ამათ მცირეთა ნივთთა მიერ,  
 გულსმოდგინებით მსასოებელი შენი,  
 ცეებრსა ამას გიკოზ საყდარ-სართულსა  
 სამსხემსა ამას კედარსა შინა,

ყოვლისა სოფლისა მომნადირებელსა სარწმუნოებასა ზედა მართალსა — ათორმეტ თავად აღრიცხულსა დასსა მოციქულთასა თანამოსაყდრეთ და სწორი ანდრია ხმევით!

ხოლო ვაშენე ნაცვალ-საგებლად ჩემთვის და საყვარელისა ძმისა ჩემისა — ერისთავთ-ერისთავისა, ქართლისა (ტფილისის თემისა) ამირთა-ამირისა, რუმსთვისა და შვიდთა მთეულეთა პატრონისა — აბულასანისათვის, და უპირმშოვისა ძმისა ჩემისა შვილისა დავითისათვის, ვიდრემდის დაუღვრომელსა ამას და წარმდინარესა სოფელსა შინა...“.

(შემდეგ ტექსტი დაზიანებულია)

„...მყუდროებით, მშვიდობით დაიცევ საძულეთა ამათ შინა...“.

(ხოლო აკლია)

წარწერა შესრულებულია არა უადრეს 1185 წლისა და არა უგვიანეს 1187 წლისა. აბულასანი, როგორც ეს შემდეგ იჩნება დადასტურებული, ამ დროს (1185—1187 წლებში) იყო „ნაცვალი მეჭურჭლეთ-უხუცესისა“.

ჩვენამდე მოღწეულა აგრეთვე მეორე წარწერა, — თვით აბულასანისა. წარწერა მოთავსებულია ანდრია მოციქულის ხატის ფრამენტზე. ანდრიას ეს ხატი მთავარი სალოცავი ხატი ყოფილა აბულასანის საგვარეულო ეკლესიისა, „ლურჯი მონასტრისა“ („ლურჯი მონასტერი“, როგორც ეს დასტურდება ბასილის ზემოთ მოყვანილი წარწერიდან, ანდრიას სახელზე იყო აგებული).

მოგვეყვას ეს მეორე წარწერა:

ქ. ჰოჲ ყოვლად წმიდაო მოციქულო ჭრისტეს ღმრთისაო ანდრია, შეიწირე [მცირე]დი ესე მსახურებანი ჩემგან, ერისთავთ-ერისთავისა და მეჭურჭლეთ-უხუცესისა აბულასანისაგან იობის-ძისა...

...[ვეცი]ხოთა შევკედე კუბოი ესე შენი [სალოცველად სულისა ჩემისა და ძმთა ჩემთა ბასილისათვის, ქართლისა მთავარეპისკოპოს ყოფილისა] და ელიასათვის...“.

აბულასანი ამ მეორე წარწერის შესრულების დროს უკვე ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი ყოფილა. წარწერა ეკუთვნის 1190—1191 წლებს.



ის გარემოება, რომ ოჯახის წევრთა შორის ერთი ერისთავთ-ერისთავი და ვაზირი იყო (აბულასანი), ხოლო მეორე მთავარეპისკოპოსი ქართლისა (ბასილი), მაჩვენებელია ამ სახლის განსაკუთრებული მაღალი მდგომარეობისა.

თუ რა დიდი წონითა და გავლენით სარგებლობდა აბულასანი სახელმწიფო დარბაზში, ჩანს იმ ცნობებიდან, რომელსაც გადმოგვცემს თამარის პირველი ისტორიკოსი.

აბულასანის ვინაობის შესახებ სპეციალურ ისტორიულ ლიტერატურაში, როგორც მოვიხსენეთ, ბევრი მცდარი შეხედულება იყო წარმოდგენილი.

კერძოდ ამ ბოლო დროს გამოქმეული იყო მოსაზრება, ვითომც აბულასან იობის-ძე თბილისის მოქალაქეთა, დიდვაჰართა წრის წარმომადგენელი იყო<sup>1</sup>. მაგრამ ეს მოსაზრება, რასაკვირველია, არ არის სწორი. აბულასან იობის-ძე, როგორც გამოირკვა, იყო ერისთავთ-ერისთავი და ვაზირი შვეტურქლეთ-უხუცესი. ხოლო ჩვენ უკვე გავიცანით, რა წრებიდან იყვნენ ერისთავთ-ერისთავნი, რა წრებიდან ინიშნებოდნენ ვაზირნი. ამ ეპოქაში, ფეოდალურ საზოგადოებაში გამბტკიცებული წოდებრივი ბარიერების არსებობის პირობებში, გამორიცხული იყო, რომ ერისთავთ-ერისთავნი და მით უფრო ვაზირნი დანიშნულიყო, არა ფეოდალთა, არა დიდებულთა, არამედ ვაჰართა წრიდან; იმ ეპოქაში, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, მე-12—14 საუკუნეებში, არ ყოფილა ამისი არც ერთი მაგალითი.

ხოლო სრულიად ფანტასტიკურია მოსაზრება, რომელიც წარმოადგინა აბულასანის ვინაობის შესახებ ისტორიკოსმა ს. ერემიანმა ერთ თავის ნარკვევში<sup>2</sup>. იგი წერს; „На основании некоторых данных устанавливается идентичность Абула-Асана с известным армянским феодалом, владельцем Махканаберда и Ахпата — Амир-Курдом Арцруни“.

არც ერთი საბუთი ამ მოსაზრების დამატკიცებლად პატრიკეულ მკვლევარს თავის ნარკვევში არ მოუპოვეს; და ასეთი საბუთი სინამდვილეში არც არსებობს, ეს არის მხოლოდ უბრალო ვარაუდი. ხოლო ეს ვარაუდი დამატრალურად ეწინააღმდეგება იმ ისტორიულ ფაქტებს, რაც ზემოთ იყო დადგენილი.

მკითხველმა გაითვალისწინოს შემდეგი:

1. ჯერ ერთი, სახელები ამ ორი პირისა სხვადასხვაა. ერთს ეწოდება აბულასანი, იგი ქართულია (მისი მამა არის ბასილი ქართლისა მთავარეპისკოპოსი, მართლმადიდებელი). ხოლო მეორეს ერქვა „ამირ-ქუდი“ (და არა აბულასანი არც ერთ წყაროში იგი აბულასანის სახელწოდებით არ მოიხსენება); სარწმუნოებით იგი არის გრიგორიანი (სომხურ საეკლესიო წარწერებში. იგი მოიხსენება ეპითეტებით, რაც აღსატურებს, რომ იგი მართლმორწმუნე გრიგორიანი იყო; იხ. ერემიანის ნარკვევი, გვ. 417).

2. ეს ორი პირი არც მათს სახელწოდებითა და გვარით არიან ერთნი. მართლმადიდებელს (ქართულს) აბულასანს ეწოდება „იობის-ძე“, „ძე კეთილ-ნათესავისა იობისი“ (იხ. ზემოთ-მოყვანილი წარწერები ლურჯი მონასტრისა და ანდრეას ხატისა). ამრიგად აბულასანის მამას რქმევია იობი და აქედან წარმომდგარა ამ სახლის საგვარეულო ზედწოდება „იობის-ძე“ (რაც ამ გვარში ჩვენ ვხვდებმა მომდევნო საუკუნეებშიაც).

ხოლო ამირ-ქუდრის მამას ერქვა ვაჰარამი; გვარად კი იგი იყო არწრუნი. მართლაც, რომ იტყვიან, საიდან სადაო, წმინდაო საბაო! ს. ერემიანი გრძობს რა, რომ სახელების სხვაობა არღვევს მის კონკეცციას, შენიშვნაში წერს შემდეგ: „В статье „Арцруниды Махканаберда“ мы указываем, что отец Абуласана — „благородный Ион“ идентичен с Вахрамом армянских источников. „Ион“, должно быть, казенное имя Вахрама, явление обычное для указанной эпохи“ (იხ. მისი ნარკვევი, გვ. 416). საოცარია ეს „должно быть“! ანუ ყველაფრის დაშვება შეიძლება. ხოლო საბუთი?

3. აბულასან იობის-ძე, როგორც გამოირკვა, იყო ერისთავთ-ერისთავი, მემკვიდრეობით მფლობელი თბილისის თემისა. ხოლო არწრუნი არასოდეს არ ყოფილან თბილისის თემის მემკვიდრეობით მფლობელი. უფრო მეტი: არწრუნი, იმ ეპოქაში, რომელიც ჩვენი განხილ-

<sup>1</sup> იხ. შ. მესხია.

<sup>2</sup> იხ. ს. ერემიანის ნარკვევი: „Юрий Боголюбский в армянских и грузинских источниках“ (Научные труды Арм. Г. У, XXIII, გვ. 389—421).

<sup>3</sup> რომ ეს საგვარეულო სახელწოდება „იობის-ძე“ შემდეგ საუკუნეებშიაც მიღებული იყო ამ გვარში, იხ. ამის შესახებ ქვემოთ.

<sup>4</sup> იხ. ს. ერემიანის ნარკვევი, გვ. 395.

ვის საგანს შეადგენს (მე-12 საუკუნესა და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში), საჭიროა იყენებდნენ ერისთავთ-ერისთავნი, ისინი არ იყენებდნენ არც თემის ერისთავები, არამედ მფლობელთა მანკაპერდის და ახმატის კანტონებისა, რომლებიც შეადგენდნენ კაიწონის თემის ნაწილს. აორწუნენ ამ დროს იყენებდნენ არა ერისთავთ-ერისთავნი, არამედ ვასალები ვერ ორბელიანთა (1177 წლამდე), შემდეგ მუთა კაიწონელისა (1178—1191 წ.), ხოლო შემდეგ მხარგრძელთა (1191 წლიდან მე-13 საუკუნის 60-იან წლებამდე)<sup>1</sup>.

4. აბულასან იოზის-ძე იყო საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მეპურქლეთ-უხუცესი; ხოლო მას შემდეგ, რაც გამოკლებულ იქმნა საეპისკოპოსოს პერსონალური შედგენილობა, დადგინდალად შეიძლება ჩაითვალოს, რომ საქართველოს სახელმწიფოს ვაზირად მეპურქლეთ-უხუცესად მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში არ ყოფილა ამირ-ქურდი არწრენი.

5. ს. ერემიანი სტილიზმს დაუახლოვებს ერთმანეთს აბულასან იოზის-ძე და ამირ-ქურდი არწრენი იმით, რომ ორივეს ძმის ბასილი ერქვათ, და ორივე იყო მოთავარებისკოპოსი. უცნაური საბუთიანობაა! ძმების სახელების იგივეობა რასაკვირველია არას ამტკიცებს. ხოლო სინამდვილეში ამ ორ ბასილის არაფერი აქვთ საერთო. ბასილი, ძმა აბულასან იოზის-ძისა, არის მართლმადიდებელი, იგი არის, როგორც ეს დასტურდება ლურჯი მონასტრის წარწერადან, ქართლისა მთავარეპისკოპოსის, რომლის რეზიდენცია იყო მცხეთის სამთავროს კათედრა. ხოლო ბასილი (ბარსელი), ძმა ამირ-ქურდი არწრენისა, არის გრიგორიანი, მოთავარებისკოპოსის ახმატისა — ლორეს მხარეში.

ამას გარდა აღსანიშნავია ქრონოლოგიური შეუსაბამობა, რომელიც აგრეთვე არღვევს ს. ერემიანის კონტრეპიკოსს.

ბასილი მოთავარებისკოპოსი, რომლის კათედრა იყო მცხეთის სამთავროს ტაძარი, 1185—1187 წლებში (რადროსაც ეკუთვნის „ლურჯი მონასტრის“ წარწერა) ღრმად მოხუცებული ყოფილა, იგი ამ დროს უკვე განთავისუფლებულა მღვდელმთავრობიდან, თბილისში (ძმის ოქაში) იმყოფება და მისი განკარგულებით უნდება „ლურჯი მონასტერი“. ხოლო ამირ-ქურდი არწრენის ძმის ბასილის (ბარსელი) ეპისკოპოსის მოთავარებისკოპოსის კათედრა 1188 წელს, და ჩანს შემდეგაც (რომ ბარსელი 1188 წელს ახმატში მკვიდრობს მოთავარებისკოპოსად, ეს დასტურდება თვით ს. ერემიანის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტადან; იხ. მისი ნარკვევი, გვ. 397).

საერთოდ არავითარი ეჭვი არაა, რომ ბასილი ქართლისა მოთავარებისკოპოსი ქართველია. ქართლის სამთავარებისკოპოსო, როგორც ცნობილია, იყო ქართლის საკათალიკოსოს ერთ-ერთი მოთავარი კათედრა (ქართლის მოთავარებისკოპოსის რეზიდენცია იყო, როგორც მოიხსენიებ, მცხეთის სამთავრო, რომელსაც „საეპისკოპოსო“ ერქვა).

აღნიშნავთ ამასთან, რომ ბასილი ქართლისა მოთავარებისკოპოსი ღრმად განათლებული აღამიანი ყოფილა, დიდად განსწავლული ძველ-ქართულ მწიგნობრობაში, რასაც გვიჩვენებს მისი ლურჯი მონასტრისეული წარწერა; იგი შესრულებულია შესანიშნავი ძველ-ქართულით, იმ დროინდელ მაღალ ლიტერატურულ დონეზე, წარწერაში შერათულია ლექსითი (იამბიკონური) სტრიქონები.

ჩვენ ამით დავასრულებთ საუბარს ს. ერემიანის ნარკვევის შესახებ. ამ ნარკვევში ამას გარდა არის მთელი რიგი მძიმე შეცდომები საქართველოს ისტორიის საკითხთა გამო, მაგრამ მათ შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

დასასრულ დაგვარჩენია აღვნიშნოთ, რომ ქართულ წყაროებში დაცული ჩვენებანი გვაძლევს საშუალებას დავზუსტოთ აბულასან იოზის-ძის გვარეულობის საკითხი. აბულასან იოზის-ძის გვარეულობა, როგორც ირკვევა, არის პირდაპირი წინაპარი თბილისის მკვიდრთა — გაბაანთა გვარისა.

ჯერ ერთი, აღსანიშნავია, რომ „ლურჯი მონასტერი“, სავაგარელო ეკლესია აბულასანისა, — ეს არის გაბაანთ სავაგარელო ეკლესია; თვით მე-19 საუკუნეში მას „გაბაანთ ეკლესია“ ეწოდებოდა<sup>2</sup>.

რომ გვარეულობა აბულასანისა (თბილისის თემის „მკვიდრი“ მფლობელისა) არის პირდაპირი წინაპარი გაბაანთა (ასევე თბილისის „მკვიდრთა“), ამას დასტურებს შემდეგი:

როგორც, ვნახეთ, აბულასანი წარწერებში ასე მოიხსენება: „იოზის-ძე“ (მეორე წარწერა), „ძე კვიციანი-ნათესავისა იოზისი“ (პირველი წარწერა). ეს ძველი სავაგარელო სახელწოდება „იოზის-ძე“, „იოზის ნათესავი“ დაცული იყო აგრეთვე გაბაანთ გვარში.

ჩვენამდე მოღწეულია დღიური მე-18 საუკუნის განთქმული ქართველი პოეტის ბესარიონ გაბაშვილისა (ბესიკისა), ავტოგრაფი პოეტისა.

<sup>1</sup> იხ. ზევით, „მნათობი“, № 3, გვ. 134—135.

<sup>2</sup> იხ. ე. თაყაიშვილი, *აშ*, IV, გვ. 45.

ეს დღიური, რომელიც ბესიკს სპარსეთში მოგზაურობის დროს უწერია (ბესიკი წაგანგებო მინდობილობით იყო გაგზავნილი სპარსეთში იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მიერ 1778 წელს), — ასე იწყება:

„ქ. მე იობის ნათესავი ვაბაონელიძე, ძე მოძღვრისა ზაქარია ყოვლად ღირსისა... ეცხოვრებდი იმერეთს, მახლობელ მყოფი სოლომონ ძლიერისა და განმანებებელისა მეფისა დავითიანისა... წარვივლინე ხსენებულისა ამის მეფისაგან ვრანად, შირაზს ქალაქად, ქარიშხამ ზანდისა თანა...“<sup>1</sup>.

ამრიგად ბესიკს ეს ავტოგრაფული ჩანაწერი აღასტურებს, რომ გვარეულობა ახლასანისა, „იობის-ძისა“ (თბილისის თემის „მკვიდრისა“, შემკვიდრებით მფლობელისა), არის ზირაძისა წინაპარი ვაბაონთა (ავრეთვე თბილისის თემის „მკვიდრთა“), რომლებიც მე-18 საუკუნემდე, ბესიკის დრომდე, როგორც ირკვევა, იმავე ძველ საგვარეულო სახელწოდებას ატარებდნენ.

## 5.

**რუსთავის მრისთავთ-მრისთავისა  
და მავზირის მავზარლეთ-უხუციანის თანაფეოდალნი  
გადაღის ახრეთის გაბრაბიონთა გაგრაულოვაჲს.**

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ 1177 წელს ჰერეთის ბაგრატიონმა გრიგოლ II-ემ, რომელსაც ამ დროს ეპყრა თანამდებობანი ჰერეთის ერისთავთ-ერისთავისა და ვაზირისა (მანდატურთ-უხუცესისა), მონაწილეობა მიიღო, მთელ რიგ სხვა ვაზირებთან ერთად, უფლისწულის დემნა ბაგრატიონის აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ, ჰერეთის ბაგრატიონთა გვარი ერთხანად ჩამომცრობილ იქმნა, ჰერეთის ბაგრატიონებს, როგორც მოხსენებული გვქონდა, ჩამოერთვა თანამდებობა ვაზირისა, ჩამოერთვა თანამდებობა ჰერეთის ერისთავთ-ერისთავისა და მათ მფლობელობაში დარჩა მხოლოდ აღმოსავლეთი ჰერეთი, ძირეული სამკვიდრო ჰერეთის ბაგრატიონთა.

აჯანყების დამარცხების შემდეგ, როგორც ვნახეთ, გიორგი III-ემ მოახდინა ძირეული რეფორმა საევაზიროსი. ამ ახალმა საევაზირომ, რომელიც ჩამოყალიბდა 1178 წელს, და რომლის გარეთ დარჩნენ აჯანყებაში მონაწილე დიდებულთა გვარეულობანი, იარსება ახალი შენადგენლობით თამარის მეფობის დასაწყისამდე, 1184/5 წლამდე.

ხოლო 1184/5 წელს შედგა ახალი საევაზირო, რაც სინამდვილეში რესტავრაციას წარმოადგენდა, ძირითადადში აღადგენდა იმ ვითარებას, რაც 1177 წლამდე არსებობდა.

ამ ახალ საევაზიროში, რომელიც 1184/5 წელს შედგა, შევიდნენ წარმომადგენელნი თვით იმ დიდებულთა გვარებისა, რომელთაც კავშირი ჰქონდა დემნას აჯანყებასთან.

ასე, თორელები და მხარგრძელები აჯანყების პირველ პერიოდში ემხრობოდნენ დემნას და მხოლოდ შემდეგ გადმოვიდნენ მთავრობის მხარეზე. რაც შეეხება გაგელ ვარდანიძეებს, ისინი ბოლომდე დარჩნენ დემნას ერთგულნი (ვაზირი ივანე ვარდანიძის ბრძოლის ველზე შეაყრეს).

მიუხედავად ამისა, 1184/5 წელს მოხდა ამ სამი გვარეულობის ძველს უფლებებში აღდგენა. საევაზიროს ექვსი წევრიდან (გარდა მწიგნობართ-უხუცესისა), სამი ვაზირი ახალ საევაზიროში ამ გვარეულობათაგან დაინიშნა: ამირ-

<sup>1</sup> ბესარიონ გაბაშვილის დღიური სპარსეთში მოგზაურობის დროისა ჩაწერილია ბესარიონ გაბაშვილის ხელით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერში H-1658. (ფოტო ბესარიონ გაბაშვილის ავტოგრაფისა გამოქვეყნებულია აღმოსავლეთის მიერ ბესიკის თხზულებათა სრულ კრებულში, 1932 წ., გვ. 187, 1962 წ., გვ. 231).

სპასალარი სარგის მხარგრძელი, ამირახორი გამრეკელი მართლმადიდებელი (რომელმაც შემდეგ ამირსპასალარის თანამდებობა მიიღო) და მეტეორულ-უხუცესი კახაბერ ვარდანისძე II (იხ. ვაზირთა სია: № № 26, 27, 28).

ძველ გვარეულობათაგან სავაზიროს გარეთ დარჩნენ ორბელიანნი, მაგრამ ამ გვარის წარმომადგენელი ამ დროს აღარ იყვნენ საქართველოში, ივანე ორბელიანი ექსორიობაში იმყოფებოდა. სავაზიროს გარეთ დარჩნენ აგრეთვე ჰერეთის ბაგრატიონნი; ჯერ ერთი იმის გამო, რომ ჰერეთის ბაგრატიონნი, ორბელიანებთან ერთად, მთავარი მონაწილენი იყვნენ დემნას აჯანყებისა; და ამას გარდა იმიტომაც, რომ ვაზირის მანდატურთ-უხუცესის პოსტი დაიჭირა იმავე ჰერეთის მხარის დიდებულთა წრის მეორე წარმომადგენელმა, — კიბერმა მანაველმა.

თამარის მეფობის დასაწყისში იწყება ჰერეთის ბაგრატიონთა გვარის ახალი ამალგა.

ჰერეთის ბაგრატიონმა ასათ II გრიგოლის ძემ (ეს უკვე იყო მეორე თაობა, იგი იყო შვილი დემნას აჯანყებაში მონაწილის გრიგოლ II-ისა), — დიდი სახელი და პატივი დაიმსახურა. ასათ გრიგოლის ძე, როგორც ირკვევა, დიდი გავლენით სარგებლობდა თამარის კარზე და ახლო მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში; მისი დიდი გავლენის მაჩვენებელია თუნდისიცი, რომ თვით ომის საკითხები მისი „წვევით“ წყდებოდა. ასე, თამარის პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ 1187 წელს —

„წვევითა ასათ გრიგოლის ძისათა დიდი და სახელოვანი ლაშქრობა გარდაიხადეს განძის ქუეშოთ ბალუყანამდის;

(ბალუყანი ქალაქია მტკვრის და არაქსის შესართავთან).

„შემდეგ [ილაშქრეს] ზემო კერძო რახისისა პირი მასისამდის [—არაქსის სანაპიროები არარატამდის]; მუნცა დიდთა ლაშქართა მოწვენასა შინა ისახელეს თავი ბუმბერაზთა ამის სამეფოსათა... და დიდი და დაჭირებული ომი გარდაიხადეს, და გააქციენეს, და შემოიჭყეს მუნითცა გამარჯვებულნი და აღვსებულნი სიხარულითა“<sup>1</sup>.

ეს იყო, როგორც მოვიხსენეთ, 1187 წელს, მესამე წელს თამარის მეფობისა. ხოლო 1191 წელს (თამარის მეფობის მეშვიდე წელს) ასათ გრიგოლის ძემ დიდი სამსახური გაუწია ქვეყანას, რის შემდეგაც ჰერეთის ბაგრატიონები აღდგენილ იქმნენ ძველ უფლებებში; 1191 წელს ჰერეთის ბაგრატიონებმა დაიმტკიცეს სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა; ხოლო 1192—3 წლებში მათ მიიღეს რუსთავის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობა, და მასთან ერთად ვაზირის (მეტეორულ-უხუცესის) პოსტი.

ჰერეთის ბაგრატიონთა აღდგენა ძველს უფლებებში შემდეგ ვითარებაში მოხდა.

თამარის ეპოქა ეს არის ქართული სახელმწიფოებრივობის დიდი აღზევებას ხანა.

მაგრამ პირველი წლები თამარის მეფობისა ზოგჯერ ბურუსითაც იყო მოხილი.

1184 წელს, როდესაც გარდაიცვალა გიორგი III, და თამარი ვახდა მე-

<sup>1</sup> იხ. ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 40.

თაური საქართველოსი, რომელიც ამ ეპოქაში უკვე დიდს ზოგად-კავშირურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, თამარი ამ დროს სრულიად ახალგაზრდა იყო, იგი ჯერ კიდევ არ იყო დაქორწინებული. მას შემდეგ, თამარის პირადი ცხოვრება ახალგაზრდობის წლებში ვერ მოეწყო ბედნიერად. გიორგი ბოგოლიუბსკი, პირველი ქმარი თამარისა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო დარბაზში მოიწვია თამარის მეუღლედ 1185 წელს, არ აღმოჩნდა ღირსეული და იმავე სახელმწიფო დარბაზში 1187 წელს (თამარის მეფობის მესამე წელს) იგი გააძევა საქართველოდან.

რამდენიმე წლის შემდეგ, ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც ფარულად მოქმედებდა თამარისა და თამარის გარშემო შემოკრებილ სახელმწიფო მოღვაწეთა დასის წინააღმდეგ, განიზრახა გიორგი ბოგოლიუბსკის საქართველოში დაბრუნება და ამ სახელმწიფო დასის დამხობა.

ამ შეთქმულ ფეოდალთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა აბულასან იობის-ძე. უნდა ითქვას, რომ აბულასანმა თავიდანვე დაუკავშირა თავისი ბედი გიორგი ბოგოლიუბსკის ბედს. როგორც ცნობილია, 1185 წელს, როდესაც სახელმწიფო დარბაზში ირჩეოდა საკითხი თამარის საქმროს მოწვევისა, აბულასანმა პირველმა წამოაყენა კანდიდატურა გიორგი ბოგოლიუბსკისა. ხოლო შემდეგ, როდესაც გიორგი საქართველოში ჩამოვიდა, აბულასანი გამხდარა გიორგისთან დაახლოებული დასის მთავარი წევრი. თუ რამდენად დაახლოებული პირი იყო აბულასანი გიორგისა ჩანს თუნდაც იმის მიხედვით, რომ აბულასანს 1185—1187 წლებში თავისი საგვარეულო ეკლესია თბილისში („ლურჯი მონასტერი“) უკურთხებია ანდრიას სახელზე, ხოლო მთავარი ფრთა საკურთხეველისა — გიორგის სახელზე, — ამით აბულასანმა განსაკუთრებული პატივი გამოსახა გიორგის მამის ანდრია ბოგოლიუბსკის და გიორგის მიმართ.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ გიორგის გაძევება საქართველოდან არ მოჰყოლია რაიმე რეპრესია მასთან დაახლოებულ პირთა მიმართ. ცხადია არავის მოსვლია ფიქრად, რომ ოდესმე შეიქმნებოდა შეთქმულთა ჯგუფი, რომელიც მიზნად დაისახავდა ექსორია-ქმნილის საქართველოში დაბრუნებას და თამარის დასის დამხობას.

ეკრძოდ აბულასანი ისევ მიღებული ყოფილა სამეფო კარზე და დიდის პატივით სარგებლობდა. 1185—1187 წლებში, გიორგის საქართველოში ყოფნის დროს, აბულასანი ჯერ კიდევ არ იყო ვაზირი („ლურჯი მონასტრის“ წარწერაში იგი ვაზირად არ მოიხსენება), არამედ მხოლოდ ვაზირის მოადგილე (როგორც ირკვევა — „ნაცვალი მეჭურჭლეთ-უხუცესისა“). ხოლო შემდეგ (როდესაც გარდაიცვალა ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი კახაბერ ვარდანისძე 1189/1190 წლებში), თამარს აბულასანი მეჭურჭლეთ-უხუცესად დაუნიშნავს (ლურჯი მონასტრის ანდრიას ხატის წარწერაში 1190—1191 წლებისა აბულასანი უკვე ვაზირად მეჭურჭლეთ-უხუცესად მოიხსენება).

ხოლო აბულასანს ამ დროს უკვე გაბმული ჰქონია შეთქმულების ქსელეები. ოღნავ აღრე, იმავე 1189/1190 წლებში, როდესაც აბულასანი ჯერ კიდევ არ იყო ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი, არამედ „ნაცვალი მეჭურჭლეთ-უხუცესისა“, მას კავშირი დაუმყარებია ექსორია-ქმნილ გიორგისთან და მათ გადაუწყვეტიათ აჯანყების მოწყობა.

შეხვედრა გიორგინსა და აბულასანისა მომხდარა კარნუ-ქალაქში (არზრუმში), სადაც აბულასანი მოციქულად ყოფილა გაგზავნილი. თამარის პირველი ისტორიკოსი („ისტორია-აზნათა“ ავტორი) ამის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

„მას ეამსა ნაცვალი მეჭურჭლეთ-უხუცესისა, სჯულითა ბარბაროზი და

ქცევითა ტარტაროზი, კეთილთა და ჰამოთა პატრონთაგან (გიორგი II-ის) დასაძინებლად თამარ მეფისაგან) სრულწყლიანი (გაბედნიერებულნი), საქმის მოციქულნი დასაძინებლად რაველინა (მეფემან თამარ) საქმისა რასათვისმე, და მას კარნუქალაქსა მისლვასა შინა შეიყარნეს გიორგი (ბოგოლიუბსკი) და იგი ერთად<sup>1</sup>.

რის გამო ჰყავს ისტორიკოსს აბულსანი (ნაცვალნი მკურებლეთ-უხუცესისა) მოხსენებულნი ამ სიტყვებით: „სკულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი?“ ისტორიკოსი, ბუნებრივია, აღშფოთებულნი აბულსანის შინა-გამცემლობით; ხოლო ეს გამოთქმა — „სკულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი“ ისტორიკოსს აღებულნი აქვს დავით გარეჯელის ცხოვრების ჰაგიოგრაფიული მოთხრობიდან. ისტორიკოსი აქ იმეორებს აბულსანის მიმართ ზუსტად იმავე სიტყვებს, რომელიც დავით გარეჯელის ცხოვრების ავტორს გამოთქმული აქვს აბულსანის შორეული წინაპარის, რუსთავეს მფლობელის ბუბაქარის მიმართ: აბულსანი, ისევე როგორც მისი წინაპარი არა-ქრისტიანი (მანდიანი) ბუბაქარი — „სკულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი“ იყო.

ჩვენ უკვე ვეჭონდა საუბარი იმის შესახებ, რომ დავით გარეჯელის ცხოვრების აღწერილობაში მოხსენებულია რუსთველი (რუსთავეს მფლობელი) ბუბაქარი. მე-5—6 საუკუნეებში საქართველოში, ქრისტიანობის გვერდით, როგორც ცნობილია, ფართო გავრცელება ჰქონდა მანდიანობა; ბუბაქარი მანდიანი უფილა და იგი მოუქცევია ქრისტიანობაზე დავით გარეჯელს.

როგორც აღვნიშნავდით, დავით გარეჯელის ცხოვრების აღწერილობაში მოთხრობილია, რომ ბუბაქარ რუსთველი, როდესაც იგი ჯერ კიდევ მანდიანი იყო, შეხვდა ნადირობის დროს დავით გარეჯელს და განიზრახა დავითის მოკლა; მაგრამ ვითომც ამ დროს მოხდა სასწაული, ბუბაქარმა ვერ შეძლო ხმაღის მოჭევა, მას გაუშვდა მარჯვენა ხელი. ჰაგიოგრაფის სიტყვით დავით გარეჯელი განკურნებს რუსთველს, ქრისტიანობაზე მოაქცევს და ნათელს სცემს მას; ამის შემდეგ რუსთველი ხდება დავით გარეჯელის თანამოღვაწე, იგი ახლო მონაწილეობას ეღებულებს გარეჯის მონასტრის მშენებლობაში.

ეს ეპიზოდი დიდს პოპულარობით სარგებლობდა ძველ-ქართულ მწერლობაში. იგი აღწერილია დავით გარეჯელის ცხოვრების მე-10 საუკუნისა და მე-12 საუკუნის ვერსიებში; აღწერილია იგი აგრეთვე პიმნოგრაფიული პოეზიის ძეგლებში; ეს ეპიზოდი ასახულია აგრეთვე ძველ-ქართულ მხატვრობაში (საფრესკო მხატვრობა გარეჯისა).

გერძოდ დავით გარეჯელის ცხოვრების მე-12 საუკუნის ვერსიაში, ეგრეთწოდებულ მეტაფრასში (რომელიც სწორედ იმავე პერიოდს ეკუთვნის, რომელზედაც აქ ვეაქვს საუბარი) ასეა აღწერილი შეხვედრა ბუბაქარისა (ამ დროს ჯერ კიდევ მანდიანისა) დავით გარეჯელთან ნადირობის დროს და ბუბაქარის შესიტყვება დავითთან:

„ხოლო ზევი იგი (ბუბაქარი),—[სკულითა] ბარბაროზი და უღროსდა მერმეცა სულითა [ბარბაროზი, ჰენესა ზედა მქლომარე, სილალით იტყოდა წმიდისა [დავით გარეჯელის] მიმართ: „ჰოა, საწყალიბელო ბერო...“<sup>2</sup>

ამრიგად ამავე ეპოქის მე-12 საუკუნის ისტორიკოსი თამარის ეპოქისა იმეორებს აბულსან რუსთველის (რუსთავეს მფლობელის) მიმართ დავით გარეჯელს მეტაფრასის ამ ტექსტს, რომელიც მანდიანს ბუბაქარ რუსთველს ეხება: აბულსანი, შინა-გამცემელი და ქვეყნის ლალაში გარეჯელი, ისევე როგორც მისი წინაპარი არა-ქრისტიანი (მანდიანი) ბუბაქარი — „სკულითა ბარბაროზი და ქცევითა ტარტაროზი“ იყო.

აბულსან იობის-ძეს ფართოდ გაუბამს შეთქმულების ქსელი დიდ ფეოდალთა შორის. შეთქმულებაში მონაწილეობა მიიღეს: დასავლეთ საქართველოდან ვარდან დადიანმა; ზემო-ქართლიდან (მესხეთის მხარეებიდან) — გუზან ტაოსკარელმა და ბოცო ჭაყელმა ბოცოსძემ; ქვემო ქართლიდან — ივანე ვარდანისძე II გაგელმა და მათა კაიწონელმა. ამას გარდა შეთქმულებს ჩინს კავშირიც ჰქონდათ გაბმული საღირ კოლონელისძესთან (რომელსაც ამ დროს პერეთის

<sup>1</sup> იხ. ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48.

<sup>2</sup> იხ. დავით გარეჯელის ცხოვრება, საქართველოს სამოთხე, 1882 წ. გვ. 278; ხელნაწერი

ერისთავთ-ერისთავის თანამდებობა ეჭირა), მაგრამ ამ უკანასკნელი მონაწილეობის მიღება იმ განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, რაც ამ დროს ჰერეთში შეიქმნა და რაზედაც ქვემოთ გვაქვს საუბარი.

შეთქმულებმა აჯანყება მოაწყვეს 1191 წელს. იგი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პირველ ხანებში, დროებით, შეთქმულებმა ერთგვარ წარმატებას მიიღწიეს. ვარდან დადიანისა, გუზან ტაოსკარელისა და ბოცო ჯაყელის მიერ გამოყვანილმა ლაშქარმა მოაღწია გორამდე და ჯავახეთამდე. სამხრეთ-ქართლში აჯანყებულებმა დაიჭირეს ქართლის სომხითი ივანე ვარდანისძე-გაგელისა და მათა კაიწონელის მოთავეობით. ამრიგად თბილისს მოელოდა საფრთხე როგორც დასავლეთიდან (გორიდან და ჯავახეთიდან), ისე სამხრეთიდან (ქართლის სომხითიდან). მაგრამ აჯანყებაში ვერ მიიღო მონაწილეობა აღმოსავლეთის ფრთამ, — ვერც რუსთავის საერისთავომ, რომლის სათავეში იდგა შეთქმულების მთავარი ორგანიზატორი აბულასან იობისძე, და ვერც ჰერეთის საერისთავომ, რომლის მეთაური საღირ კოლონკელისძე, როგორც იტყვება, კავშირში იყო შეთქმულებთან. აუღიათ თუ არა გუშანი, რომ საღირ კოლონკელისძე შეთქმულთა მიმხრობას აპირებდა (შეთქმულებს უკვე დაქერილი ჰქონდათ ქართლის სომხითი, გაგის მხარე, რომელიც სამხრეთის მხრიდან ეკვროდა ჰერეთსა და რუსთავს), ჰერეთის ბაგრატიონს ასათ გრიგოლის ძეს მოუხდენია გადატრიალება ჰერეთში, გადაუყენებია ერისთავთ-ერისთავობიდან საღირ კოლონკელისძე და თვით აუღია ხელისუფლება. ცენტრალურ მთავრობას უცენია ეს გადატრიალება და ასათ გრიგოლის ძე დაუმტკიცებიათ სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავად, რა თანამდებობაზე ჰერეთის ბაგრატიონთა ძველ საგვარეულო კუთვნილებას წარმოადგენდა.

თი ამ დროს ეხება ცნობა თამარის პირველი ისტორიკოსისა, რომელიც გადმოგვცემს, რომ ასათ გრიგოლის ძემ ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა მიიღო გადატრიალების გზით — „ისტორია მლავერობით და მორვეით საღირ კოლონკელისძესა“ (იხ. ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34).

ეს უღელური ამბობება დიდი ფეოდალებისა (მათი უკანასკნელი ამბობება) ადრე და ადვილად იქნა ლიკვიდირებული.

შეთქმულების ყველა ზემოთდასახელებული მონაწილენი გადაყენებული იქმნენ თანამდებობიდან, ჩამოერთვათ სახელო და მათ ადგილას დაინიშნენ სახელმწიფოს ერთგულნი პირნი<sup>1</sup>.

ის გარემოება, რომ ჰერეთის ბაგრატიონებს 1191 წელს დაუბრუნეს სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავობა, ჯერ კიდევ არ იყო მათი სრული აღდგენა ყველა ძველ საგვარეულო უფლებებში. ჰერეთის ბაგრატიონები, 1178 წლამდე, გარდა იმისა, რომ იყვნენ სრულიად ჰერეთის ერისთავთ-ერისთავები, ამავე დროს ისინი იყვნენ ვაზირნი.

ვაზირობა ამის შემდეგ დაუბრუნდათ ჰერეთის ბაგრატიონებს უახლოეს ხანებში, 1191—3 წელს.

1191 წლის ფეოდალთა ამბობების მონაწილეთა შორის, ბუნებრივია, პირველ რიგში და უპირატესად დაისაჯა შეთქმულების ხელმძღვანელი აბულასან იობისძე. მას ჩამოერთვა რუსთავის საერისთავო და ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა.

რუსთავის საერისთავო ჯერ ორ თემად გაყვეს, — რუსთავისა და ყინვანისა („შვიდი მთეულეთა“); ხოლო ვინ უნდა დაენიშნათ ვაზირად მეჭურჭლეთ-უხუ-

<sup>1</sup> იხ. ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 48—45.

ცესად, ეს საკითხი ერთხანად ღიად დარჩა. პირველი კანდიდატი ვაზირის თანამდებობაზე ცხადია ჰერეთის ბაგრატიონები იყვნენ, რომელთაც „წესისაგებ სახლისა“ ეკუთვნოდათ ვაზირობა.

1191—1193 წელს ასათ გრიგოლის ძემ ჰერეთის ბაგრატიონმა გამოითხოვა („იაჯა“) თამარის სამეფო კარიდან საგანმგებოდ რუსთავის საერისთავო, და ამასთან ერთად ძველი დროიდანვე რუსთავის საერისთავოსთან დაკავშირებული ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა. სამეფო კარმა დააკმაყოფილა ასათის წარდგინება, მისი დამსახურების გამო. ხოლო რაც შეეხება საკუთრივ ჰერეთის საერისთავოს, იგი ასათს გადაუცია საგანმგებოდ თავის ძის გრიგოლისათვის (ასათი ამ დროს უკვე მოხუცებული იყო).

რუსთავის საერისთავო ნაწილი იყო ჰერეთის ძველი სამეფოსი და ცხადია ამაზე ეყარებოდა ჰერეთის ბაგრატიონთა პრეტენზიები რუსთავის მხარეზე. არჩიანი, მემკვიდრეობით მფლობელი რუსთავის (არჩის) მხარისა, ჰერეთის დიდებულნი იყვნენ, და მას შემდეგ, რაც არჩიანთა გვარი (მამრობითი შტო) შეწუდა მე-12 საუკუნის შუა წლებში, ჰერეთის ბაგრატიონები, როგორც ჰერეთის მეფეთა მემკვიდრენი, ბუნებრივია პრეტენზიას აცხადებდნენ რუსთავის მხარეზე.

თამარის პირველი ისტორიკოსი შემდეგს გადმოგვცემს რუსთავის საერისთავოს („არჩიანის ადგილის“) და მასთან დაკავშირებული მეჭურჭლეთ-უხუცესის სავაზირო თანამდებობის გადაცემის შესახებ ასათ გრიგოლის ძისათვის; ისტორიკოსი ჯერ აღნიშნავს, რომ ასათ გრიგოლის ძემ პირველად დაიმკვიდრა ჰერეთის ერისთავობა გადატრიალებებს ვხით; იგი წერს: „ჰერეთის ერისთავად [იყო] გრიგოლის ძე ასათ, რომელმან მისტაცა მძღავრობით და მორვეით საღირ კოლონკელისძეს“; და ისტორიკოსი იქვე უმატებს, რომ ასათ გრიგოლის ძემ — „მცირედ ჟამ ქონებასა შინა [ჰერეთის საერისთავოსა], იაჯა (ითხოვა) არჩიანისა ადგილსა (რუსთავის საერისთავოსა) დაჯდომა, — სასათაულითა (ვაზირის თანამდებობითა), და ხელთ უღვა შეიღსა მისსა გრიგოლს ჰერეთის ერისთავობა“<sup>1</sup>.

როგორც ეს ზევით ვეჭონდა დადგინილი, „სასათაულის“ მიღება, სავაზირო თანამდებობის მიღებას აღნიშნავდა, ამ შემთხვევაში ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესისა, რაც რუსთავის საერისთავოსთან იყო დაკავშირებული (იხ. ამ საგანზე დაწერილებით ზემოთ, გვ. 135—136).

მას შემდეგ, რაც ჰერეთის ბაგრატიონთა ხელში გაერთიანდა ორი დიდი საერისთავო, საკუთრივ ჰერეთისა და რუსთავისა, ხოლო ამასთან ერთად მათ მიიღეს სახელმწიფო ვაზირის „ხელი“, ჰერეთის ბაგრატიონთა გვარი ისევ იჭერს ერთ-ერთ პირველ ადგილს სახელმწიფოში.

6.

**ვაზირის მემკვიდრეთ-უხუცესნი**

1192/3 წლიდან — 1250 წლამდე:

მას შემდეგ, რაც 1192/3 წელს რუსთავის საერისთავო გადაეცა ჰერეთის ბაგრატიონთა მფლობელობაში, მომდევნო პერიოდში, 1192/3 წლიდან ვიდრე 1250 წლამდე, ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა ეჭირა ეჭვს პირს:

ამათგან პირველი ორი არის ჰერეთის ბაგრატიონი;

ამის შემდეგ სამი ვაზირი არის არა ჰერეთის ბაგრატიონთა გვარიდან,

<sup>1</sup> იხ. ისტორია-აზმანი, ქართლის ცხოვრება, III, გვ. 48—55.



არამედ სხვა გვარეულობათგან (თორის, კახეთის და სამცხე-ჯავახეთ-ერისთავნი);

ხოლო ამის შემდეგ შეიქმნა მექურჭლეთ-უხუცესი ისევ ინიშნება პერეთის ბაგრატიონთა გვარიდან.


მოგვეყვას სია ვაზირთა მექურჭლეთ-უხუცესთა 1192/3 წლიდან 1250 წლამდე.

### ვაზირთა მიჯნობლეთ-უხუცესნი

1102/3 წლიდან—1250 წლამდე

#### ჰერეთის ბაგრატიონნი

ერისთავთ-ერისთავნი ჰერეთისა და რუსთავისა.



3. შალვა თორელი  
ერისთავთ-ერისთავი  
თორი-ჯავახეთისა  
და დვინისა;

ა. მექურჭლეთ-უხუცესი  
1204/5 წ. (დროებით);  
ბ. მანდატურთ-უხუცესი  
1205—1210 წ.

4. ოვხე-უმა [პანკელი]  
ერისთავთ-ერისთავი  
კახეთისა;  
მექურჭლეთ-უხუცესი  
1205—1212 წ.

5. უვარუვარე-ივანე  
ჯაყელი-ციხისგვარელი,  
ერისთავთ-ერისთავი  
და სპასალარი სამცხისა;  
მექურჭლეთ-უხუცესი  
1212—1245 წ.

6. შოთა III (გრიგოლ III-ის ძე) ჰერეთის ბაგრატიონი  
ერისთავთ-ერისთავი ჰერეთისა და რუსთავისა (რუსთველი);  
მექურჭლეთ-უხუცესი 1245—1250 წ.

რით იყო გამოწვეული ეს მონაცვლეობა გვართა? რის გამო არის, რომ ჰერეთის ბაგრატიონების, ასათ III-ისა და გრიგოლ III-ის შემდეგ, მექურჭლეთ-უხუცესობა გადადის არა მათ მემკვიდრე შოთაზე, არამედ სხვა გვარებზე, და მხოლოდ შემდეგ, სიბერის ქამს მიიღებს შოთა, „წესისაებრ სახლისა“, ვაზირის მექურჭლეთ-უხუცესის თანამდებობას.

ვიდრე პასუხს გავცემდეთ ამ კითხვასზე, ჯერ განვიხილოთ, თუ ვინ იყო ის სამი ვაზირი, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ ჰერეთის ბაგრატიონთა გვარეულობას, და დავახუსტოთ მათი ვაზირობის თარიღები.

1. შალვა თორელი — არის გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე მე-12—13 საუკუნეთა, სახელგანთქმული რაინდი, რომელზედაც თანამედროვე ისტორიკოსი ამბობს — „არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“ (ეს ის შალვა თორელია, რომელმაც შამქორის ბრძოლიდან ტყვედ წამოიღო ხალიფას დროშა და მოართვა თამარს). შალვა თორელს 1205—1210 წლებში ეჭირა ვაზირის მანდატურთ-უხუცესის თანამდებობა (მანდატურთ-უხუცესობა მას მიუღია არა უგვიანეს 1205 წლისა, რადგან ბაქანის ომის დროს შალვა უკვე მანდატურთ-უხუცესად მოიხსენიება). ხოლო უფრო ადრე, ვიდრე შალვა დაინიშნებოდა მანდატურთ-უხუცესის პოსტზე,



იგი ყოფილა (ჩანს დროებით, მოკლე ხნის მანძილზე) მეჭურჭლეთ-უხუცესად დაახლოებით 1204/5 წლებში<sup>1</sup>. ამრიგად პერეთის ბაგრატიონებს სჭერიათ პოსტი მეჭურჭლეთ-უხუცესისა 1204 წლამდე (ამის მიხედვით გრიგოლ III-ის გარდაცვალების წელი არის 1204 წლის ახლო დრო).

2. **ოვსე-ყმა** მეჭურჭლეთ-უხუცესი მოიხსენება მეფეთა და ვაზირთა ბრძანებაში, რომელიც გაცემულია თამარისა და ლაშა-გიორგის სახელით 1207—1212 წლებს შორის, როდესაც ლაშა თანა-მეფე იყო თამარისა (ტექსტი ამ ბრძანებისა დაბეჭდილი გვექონდა ზემოთ, „მნათობი“, № 3, გვ. 144).

**ოვსე-ყმა** (როგორც ეს სავარაუდებელია ონომასტიკონის მიხედვით) ჩანს არის კახეთის ერისთავთ-ერისთავი<sup>2</sup>.

**ოვსე-ყმა**, რომელსაც შეუცვლია მეჭურჭლეთ-უხუცესის პოსტზე შალვა თორელი 1204/5 წელს და რომელიც თამარისა და ლაშა-გიორგის თანამეფობის დროინდელი მოღვაწეა, მეჭურჭლეთ-უხუცესად ყოფილა 1204/5—1212 წლების მანძილზე.

3. **ყვარყვარე-ივანე ციხისჯვარელი-ჩაყელი** მე-12—13 საუკუნეთა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეა. იგი დაბადებულა 1160 წლის ახლო. ჯერ კიდევ თამარის მეფობის პირველ პერიოდში მას სახელი მოუხვეჭია როგორც მხედართ-მთავარს. 1184—1191 წლებში ყვარყვარე არის სამცხის ციხისჯვარის თემის ერისთავი. ხოლო როდესაც 1191 წელს სამცხის ერისთავთ-ერისთავი და სპასალარი ბოცო ბოცოსძე გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდან, სამცხის ერისთავთ-ერისთავისა და სპასალარის ამ პასუხსაგებ პოსტზე დაინიშნა ყვარყვარე (სამცხის ერისთავთ-ერისთავი და სპასალარი იყო მონაპირე მთავარი და მხედართმთავარი საქართველოს ლაშქარის მოწინავე ფრთისა). თანამედროვე ისტორიკოსის სიტყვით ყვარყვარე იყო „დიდად გამარჯვებული და ერთგული მეფეთა“.

ყვარყვარე ერთ-ერთი ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწე იყო როგორც თამარის, ისე თამარის შემკვიდრების — გიორგი-ლაშას და რუსუდანის მეფობის დროს. ქამთა-ალმწერელის ცნობით გიორგი-ლაშას მეფობაში (1212—1222) ყვარყვარეს მეჭურჭლეთ-უხუცესის პოსტი უჭირავს<sup>3</sup>.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ ყვარყვარეს ოჯახი, მისი ვაჟები, ჩანს პირადად დაახლოებული ყოფილან ახალგაზრდა მეფესთან გიორგი-ლაშასთან. ასე, პირველ ბრძოლაში, რომელიც ვადაიზადა გიორგი-ლაშამ (1213 წ.), ლაშას თანამოსაჯრეთა შორის პირველად დასახლებულია „ყვარყვარე ჩაყელისა შვილი პირმშო“<sup>4</sup>.

ყვარყვარე მოიხსენება მეჭურჭლეთ-უხუცესად როგორც გიორგი-ლაშას, ისე რუსუდანის მეფობაში (ასე „ქამთა-ალმწერლობაში“ 1230-იან წლებში აღნიშნულია, რომ ყვარყვარე „პატივითა იყო მეჭურჭლეთ-უხუცესი და მთავარი ქუეყანასა სამცხისასა“; 1240-იან წლების დასაწყისში ასევე მოიხსენება „სამცხისა-სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუარყუარე“)<sup>5</sup>.

ყვარყვარე უკანასკნელად მოიხსენება 1245 წელს, რომლის ახლო იგი

<sup>1</sup> განაანის წარწერა. ვ. ცისკარიშვილის გამოცემა, კახეთის ეპიგრაფიკა, 1954, გვ. 96—101.

<sup>2</sup> შუად. სახელი **ოვსე-ყმა** და სახელი კახეთის ერისთავთ-ერისთავისა თამარის მეფობის პირველ პერიოდში: **ბაკურ-ყმა** (იხ. ისტორია-აზნა, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 34).

<sup>3</sup> იხ. ქამთა-ალმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 165.

<sup>4</sup> იხ. იქვე, გვ. 153.

<sup>5</sup> იხ. იქვე, გვ. 191, 195.

12. „მნათობი“, 74 4.

გარდაცვლილა. ამ დროს იგი ღრმად მოხუცებული იყო. დაახლოებით 85 წლისა.

განმარტობა

ამრიგად ირკვევა, რომ 1204 წლიდან ვიდრე 1245 წლამდე ვაზირნი მეჭურჭლეთ-უხუცესნი ყოფილან:

1. შალვა თორელი 1204/5 წ.
2. ოვსე-ყმა 1205—1212 წ.
3. ყვარყვარე ციხისჯვარედ-ჩაყელი 1212—1245 წ.

მაშასადამე შოთას შექმლო მიელო ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა 1245 წლიდან.

ხოლო რა დრომდე გაგრძელდა მისი ვაზრობა? როგორც ირკვევა 1250 წლამდე.

საქმე ის არის, რომ ამის შემდეგ, დაახლოებით 1250—1257 წლების მანძილზე, მეჭურჭლეთ-უხუცესად არის გამრეკელი II თორელი, ხოლო მას შესცვლის კახა II თორელი (1257—1270 წლების მანძილზე)!

ირკვევა ამრიგად, რომ შოთა მეჭურჭლეთ-უხუცესად იყო 1245—1250 წლებში. ამ დროს იგი ღრმა მოხუცებას იყო მიწვენილი.

როგორც ამ საგანზე დაწვრილებით გვაქვს საუბარი „რუსთველიანაში“, შოთა ჰერეთის ბაგრატიონი დაბადებულა 1166 წლის ახლო. ამრიგად, შოთა, როდესაც გაევაზირდა, 79 წლისა ყოფილა (1245 წელს); ხოლო გარდაცვლილა შოთა, როდესაც იგი 84 წელს ყოფილა მიწვენილი (1250 წელს).

ამავე თარიღს ზოგადად ეთანხმება აგრეთვე იერუსალიმის მასალები. იერუსალიმის ფრესკაზე შოთა რუსთველი მართლაც წარმოდგენილია ღრმად მოხუცებული.

უაღრესად საყურადღებოა აგრეთვე, რომ ძველ-ქართულ მწერლობაში დაცულია გადმოცემა, რომ შოთა რუსთველმა დიდ სიბერემდე მიაღწია; ამის შესახებ წერენ სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილი (მე-15—16 საუკ.) და თეიმურაზ I (მე-17 საუკ.). იხ. ამ საგანზე რუსთველიანი.

ამის შემდეგ გასარკვევი რჩება უკანასკნელი საკითხი: რის გამო იყო, რომ ჰერეთის ბაგრატიონების—ასათ III-ისა და გრიგოლ III-ის შემდეგ მეჭურჭლეთ-უხუცესობა მიიღო არა შოთამ, მათმა მემკვიდრემ, არამედ სხვა გვარეულობათა წარმომადგენლებმა, და მხოლოდ გვიან, სიბერის ეამს, მიიღებს შოთა, „წესისაებრ სახლისა“, ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობას.

აქ ჩვენ გვაქვს საოცარი დადასტურება ერთი ჰიპოთეზისა, რომელზედაც საუბარი გვაქვს რუსთველიანაში.

რუსთველიანაში ჩვენ გამოთქმული გვქონდა მოსაზრება, რომ შოთა, თმარის მეფობის მეორე პერიოდში, დევნილებაში იმყოფებოდა და რომ ვეფხისტყაოსანი, ნაწილობრივ, დევნილებაში უნდა იყვოს დაწერილი.

ეს დასტურდება, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის ლირიული გადახვევებიდან, სადაც პოეტი პირველი პირით გვესაუბრება.

მკითხველმა მოიგონოს, მაგალითად, ვეფხისტყაოსნის განთქმული სტროფი (951):

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა, **ერკონუსლი**  
ყოელი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა:

**სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა!**

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.“<sup>1</sup>

ეს სტროფი, რომლითაც იხსნება პოემის ერთი თავი, წარმოდგენს პოეტის ლირიულ აღსარებას. ამ სტროფს არა აქვს კავშირი პოემის ამზავთან, პოეტი აქ პირველის პირით გვესაუბრება. აქ ჩვენ გვესმის სულის ღაღადისი და სევდა უცხოეთში გადახვეწილი პოეტისა.

რუსთველიანაში, სადაც დაწვრილებით განხილული გვაქვს საკითხი, თუ რა ვითარებაში უნდა მომხდარიყო შოთას განშორება სამეფო კარიდან და მისი უცხოეთში გადახვეწა; გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ ეს უნდა მომხდარიყო თამარის მეფობის მეორე პერიოდში, როდესაც გაძლიერდა კლერიკალური რეაქცია, ე. ი. მე-13 საუკუნის პირველ ათეულში.

ამას ზუსტად ემთხვევა ის თარიღები, რაც ზემოთ იყო დადგენილი.

პერეთის ბაგრატიონი გრიგოლ III (მამა შოთასი), როგორც ირკვევა ზემოთ წარმოდგენილი სინქრონიზმებიდან, გარდაცვლილა 1204 წლის ახლო. ბოლო 1204 წლის შემდეგ ვაზირის მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა გადასულა არა შოთაზე, რომელსაც, „წესისაებრ სახლისა“ უნდა მიეღო ვაზირის თანამდებობა, არამედ სხვა გვარზე. რას უნდა გამოეწვია ეს? ზემოთ წარმოდგენილი ისტორიული მიმოხილვის შემდეგ ცხადია, რომ საეკლესიო ჩამორთმევა გვარეულობისათვის და სხვა გვარისათვის გადაცემა იმდენად დიდი მოვლენა იყო, რომ ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო გარეშე რაიმე განსაკუთრებული მიზეზისა. ეს განაგები ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შოთა მართლაც განშორებული იყო სამეფო კარს და დევნილებაში იმყოფებოდა.

ხოლო როდის უნდა მომხდარიყო შოთას „შეწყალება“ და მისი დაბრუნება სამეფო კარზე. ეს უნდა მომხდარიყო, როგორც აღვნიშნავდით რუსთველიანაში, ლაშა-გიორგის მეფობაში (1212—1222), როდესაც ისევ გაძლიერდა ჰუმანისტური მოძრაობა, რომელსაც მფარველობას უწყევდა გიორგი-ლაშა.

შემდგომი პერიოდი შოთა პერეთის ბაგრატიონის (რუსთველის) ცხოვრებისა — ცნობილია. მე-13 საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში, როდესაც საქართველოს საბელმწიფომ კატასტროფა განიცადა ჯერ მონგოლთაგან დევნილი ზვარაზმელების შემოსევის გამო, ბოლო შემდეგ თვით მონგოლთა ურდოების შემოსევის შედეგად, შოთა მოუწოდებიათ სახელმწიფო საქმეთა ხელმძღვანელობისათვის. როგორც ეს ირკვევა მონგოლთა ხანის ქამათა-აღმწერელის ცნობებიდან, შოთა არის იმ დიდ ქართველ მოღვაწეთა პლეადაში, რომლებიც ღირსეულად ხელმძღვანელობენ ქვეყანას მნებეღობის ამ ხანაში.

ლაშა-გიორგის მეფობაში (1212—1222), როდესაც მომხდარა შოთას დაბრუნება სამეფო კარზე, და აგრეთვე მომდევნო პერიოდში, რუსუდანის მეფობაში და უმეფობის ხანაში, სახელმწიფო ვაზირის პოსტი უკვე ეჭირა გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს ყვარყვარე-ივანე ციხისჯვარელ-ჯაყელს; იგი ვაზირად იყო, როგორც გამორკვეული გვჭონდა, 1212—1245 წლების მანძილზე. ხოლო როდესაც გარდაიცვალა ყვარყვარე-ივანე (1245 წლის ახლო), მეჭურჭ-

<sup>1</sup> ვეფხისტყაოსნის ხელნაწერში S—282<sup>ა</sup> ეს სტროფი ასეა წარმოდგენილი:  
„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას მაბრუნებ, რა ზნე გჭირსა:  
ყოელი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა:

**სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა!.**

წყითხვა პირველი ტაქისა — „რას მაბრუნებ“, ჩანს, პირველია, რადგან ამას ეთანხმება მეორე ტაქის ტექსტი: „ყოელი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!.

ლეთ-უხუცესის თანამდებობა, რომელიც ადრე ჰერეთის ბაგრატიონებს ეძღვნათ, გადავიდა, მიღებული წესის თანახმად, „წესისაებრ სახლისაჲსა მისსაზე“ შოთა არის ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობაზე 1245—1250 წლები.

7.

### ვაზირნი მუჰამადთ-შაჰხენი

1250 წლიდან — XV საუკუნის დასაწყისამდე

გადავდივარ განხილვაზე შემდგომი პერიოდისა, რომელიც მოიცავს ხანას 1250 წლიდან — XV საუკუნის დასაწყისამდე.

ეს მეორე პერიოდი არ წარმოადგენს უშუალო ინტერესს ჩვენი საკითხისათვის, რამდენადაც იგი შოთას შემდგომ ხანას ეკუთვნის; მაგრამ მისი მიმოხილვა მიანიც საჭიროა სურათის სისრულისათვის, რათა მთლიანი წარმოდგენა გვქონდეს, თუ რა წრეებიდან იხიშნებოდნენ ვაზირნი მეჭურჭლეთ-უხუცესნი მთელი ისტორიის მანძილზე.

1250 წლიდან მოკიდებული ვიდრე მე-15 საუკუნის დასაწყისამდე, საუკუნე ნახევრის მანძილზე მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობაზე ინიშნებიან ზემო-ქართლის (მესხეთის ქვეყნების) ერისთავთ-ერისთავნი, სახელდობრ:

ა) 1250—1270 წლებში: **თორელნი**, ერისთავთ-ერისთავნი თორი — ჭავჭავეთისა;

ბ) 1270—1302 წლებში: **ჭაყელნი** — **ციხისჭვარელნი**, ერისთავთ-ერისთავნი (მთავარნი) და **სპასალარნი** სამცხისა;

[ბ) 1302—1380-იანი წლები: ცნობები არ შენახულა].

ღ) 1380/90-იანი წლებიდან — მე-15 საუკუნის დასაწყისამდე: **ფანახკერტელნი**, ერისთავთ-ერისთავნი ტაოსი (შავშეთ-კლარჯეთ-ტაოთა).

მოგვეყავს ვაზირთა სია 1250 წლიდან—მე-15 საუკუნის დასაწყისამდე.

#### ა. თორელნი (1250—1270 წ.).

ვაზირნი იყვნენ:

1. **გამრეკელი II თორელი**, ერისთავთ-ერისთავი თორი-ჭავჭავეთისა;

მეჭურჭლეთ-უხუცესი 1250—1257 წ.

2. **კახა II თორელი**, ერისთავთ-ერისთავი თორი-ჭავჭავეთისა;

მეჭურჭლეთ-უხუცესი 1257—1270 წ.

პირველი ვაზირი, გამრეკელი II, დიდი მოღვაწეა; მის დროს თორი-ჭავჭავეთის ერისთავთ-ერისთავნი იწარჩუნებენ იმ მაღალ მდგომარეობას, რომელსაც ამ გეარმა მიაღწია შალვა დიდი თორელის დროს. თორელთა სახლის დიდი პოლიტიკური წონისა ამ ეპოქაში მაჩვენებელია კერძოდ ის გარემოება, რომ გამრეკელი II 1242—1248 წლებში დანიშნული იყო მხედართმთავრად ზემო-ქართლის სადროშოსი, რომელშიაც შედიოდა როგორც თორი-ჭავჭავეთი, ისე სამცხის სასპასალარო და ტაოს საერისთავო, ვიდრე არზრუმამდე<sup>1</sup>.

კახა II შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანი ფიგურაა.

1260/1270-იანი წლებიდან იწყება თორის სახლის თანდათან ჩამოშლისათვის (განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს მეფემ სადუნ ათაბაგი დანიშნა ქალაქ კარის (ყარისს) განმგებლად; ამ დროს კარის მიმდგომი ქვეყანა, რომელიც შალვა თორელის მემკვიდრეთა სამფლობელოს შეადგენდა, სადუნ-ათაბაგის მფლობელობაში გადავიდა)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. ეამთა-აღწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 208.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 273.



ბ. ჯაყელი-ციხისჯვარელი (1270—1302 წ.).

1268 წლიდან სამცხის ერისთავთ-ერისთავნი (სასპალარნი) ჯაყელი-ციხისჯვარელი ნახევრად დამოუკიდებელი მთავრები ხდებიან სამცხის სასპალაროსი; საქართველოს ცენტრალურ მთავრობას, რათა გააძლიერონ კავშირი ამ მხარესთან, სავაზიროში, როგორც წესი, შეჰყავს სამცხის მთავართა სახლის წარმომადგენელი. 1270-იანი წლებიდან მოკიდებული ვიდრე 1302 წლამდე სამცხის მთავართა სახლიდან ინიშნებიან ვაზირნი მეჭურჭლეთ-უხუცესნი.

მოგვყავს სია ვაზირთა 1268—1302 წლების მანძილზე:

3. სარგის I ჯაყელი-ციხისჯვარელი.

- ა. ერისთავთ-ერისთავი სამცხისა (სასპალაროსი) 1245—1268 წ.
- ბ. მთავარი სამცხისა (სასპალაროსი) 1268—1284 წ.
- გ. მეჭურჭლეთ-უხუცესი 1270—1281 წ.
- დ. ათაბაგი 1281—1284 წ.

4. ბექა I ჯაყელი-ციხისჯვარელი, კანონმდებელი.

- ა. მთავარი სამცხისა (სასპალაროსი) 1284—1309 წ.
- ბ. მეჭურჭლეთ-უხუცესი 1281—1302 წ.
- გ. მანდატურთ-უხუცესი 1302—1309 წ.

გ. ფანასკერტელი (XV ს.)

1302 წლამდე, როგორც აღვნიშნეთ, ვაზირნი მეჭურჭლეთ-უხუცესნი ინიშნებიან სამცხის მთავართა — ჯაყელ-ციხისჯვარელთა გვარიდან.

ხოლო მე-14 საუკუნეში, 1302 წლიდან მოკიდებული, ამ გვარიდან ინიშნებიან ჯერ მანდატურთ-უხუცესნი, ხოლო შემდეგ ამირსპასალარნი და ათაბაგნი.

რაც შეეხება ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობას, იგი მე-14 საუკუნეში გადასულა ფანასკერტელთა გვარზე, რომლებიც იყვნენ ერისთავთ-ერისთავნი ტაოსი (შავშეთ-კლარჯეთ-ტაოთა). ფანასკერტელი თავისი მდგომარეობით მეორე გვარი იყო ზემოქართლის მხარეებში სამცხის მთავართა ჯაყელ-ციხისჯვარელთა შემდეგ (სწორედ ამ დროს, 1302 წლის ახლო, ფანასკერტელი დაუნათესავდნენ სამეფო სახლს; ტაოს ერისთავთ-ერისთავმა თაყა ფანასკერტელმა შეირთო დიმიტრი თაყადადებულის ასული რუსუდანი).

თუ ვინ იყვნენ სახელდობრ მეჭურჭლეთ-უხუცესნი 1302 წლიდან 1380-იან წლებამდე წყაროებში პირდაპირი ცნობები არ შენახულა. წყაროებში მოხსენებულია მხოლოდ ერთი პირი ფანასკერტელთა გვარისა, რომელსაც ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესი პოსტი ეჭირა:

5. ზაზა ფანასკერტელი.

ერისთავთ-ერისთავი ტაოსი (შავშეთ-კლარჯეთ-ტაოთა);  
მეჭურჭლეთ-უხუცესი 1380/1390—1410-იანი წლები.

ჩვენ დავამთავრეთ განხილვა საკითხისა, თუ ვინ იყვნენ ვაზირნი მეჭურჭლეთ-უხუცესნი მე-12 საუკუნის დასაწყისიდან მე-15 საუკუნის დასაწყისამდე. საერთო სურათის გასათვალისწინებლად გადავხედოთ მთლიან სიას.

პირველ პერიოდში, მე-12 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე 1250 წლამდე

საუკუნე ნახევრის მანძილზე, საქართველოს სახელმწიფოს ვაზირნი მეჭურჭლეთ-უხუცესნი უმთავრესად იყვნენ პერეთის რუსთავეის მფლობელნი; ვაზირის მეჭურჭლეთ-უხუცესის თანამდებობა ამ პერიოდში დაკავშირებულია უპირატესად პერეთის რუსთავეის ერისთავთ-ერისთავის თანამდებობასთან. ამის მიხედვით ამ პირველ პერიოდს შესაძლოა ვუწოდოთ პერეთის რუსთავეის პერიოდი.

მეორე პერიოდს, 1250 წლიდან ვიდრე მე-15 საუკუნის დასაწყისამდე, აგრეთვე საუკუნე-ნახევრის მანძილზე, შესაძლოა დავარქვათ შემოქართლის პერიოდი. მეჭურჭლეთ-უხუცესნი ამ პერიოდში ინიშნებიან შემოქართლის გვარეულობათაგან: ჭერთორელნი, ერისთავთ-ერისთავნი თორი-ჭაფახეთისა; შემდეგ ჭაყელნი-ციხისჭვარელნი, მთავარნი სამცხისა; შემდეგ ფანასკერტელნი, ერისთავთ-ერისთავნი ტაოსი.

მოგვეავს აქ მთლიანი სია ვაზირთა მეჭურჭლეთ-უხუცესთა პირველი პერიოდის მანძილზე, 1105/1115 წლებიდან—1250 წლამდე.

პირველი პერიოდი: 1105/15—1250 წ.

(პირამთის რუსთავეის პერიოდი)

#### A. არიშანი და მისი შემკვიდრენი:

1. არიშანი, ერისთავთ-ერისთავი რუსთავეისა, 1105/15—1150/60 წ.

(არიშანის შემკვიდრე):

2. ივანე ვარდანისძე II, ერისთავთ-ერისთავი, 1150/60—1177 წ.

[A<sup>1</sup>. ვარდანავალი ხანი: 1178—1184/5 წ.  
ვაზირი, დანიშნული გიორგი III-ის მიერ, დემნას აჩანყების შემდეგ, 1178 წელს, საეპიროს რეფორმის დროს.]

3. უფთლუ-არსლან ჩაეელი-კორიდელი,  
ერისთავთ-ერისთავი კორიდეტის თემისა, 1178—1184/5 წ.

(არიშანის შემკვიდრე):

1. კახაბერ ვარდანისძე II, ერისთავთ-ერისთავი, 1184/5—1190 წ.

(არიშანის შემკვიდრე, „არიშანისა იდგისა მჯღოში“):

5. აბულახან იოზისძე, ერისთავთ-ერისთავი რუსთავეისა, 1190—1191 წ.

#### B. პერეთის ბაგრატიონნი:

6. ასათ III (გრიგოლის ძე), პერეთის ბაგრატიონი,  
ერისთავთ-ერისთავი პერეთისა და რუსთავეისა, 1192/3—1195/1200 წ.

7. გრიგოლ III (ასათ III-ის ძე) პერეთის ბაგრატიონი,  
ერისთავთ-ერისთავი პერეთისა და რუსთავეისა, 1195/1200—1204 წ.

[B<sup>1</sup>. ვარდანავალი ხანი: 1204—1245 წ.];

8. შალვა თორელი, ერისთავთ-ერისთავი თორი-ჭაფახეთისა, 1204/5 წ.

9. ოვსე-უშა [პანკელი], ერისთავთ-ერისთავი კახეთისა, 1205—1212 წწ.

10. უვარუვარე-ივანე ჩაეელი-ციხისჭვარელი  
ერისთავთ-ერისთავი და სპასალარი სამცხისა 1212—1245 წ.

11. შოთა III (გრიგოლ III-ის ძე) პერეთის ბაგრატიონი,  
ერისთავთ-ერისთავი პერეთისა და რუსთავეისა (რუსთველი), 1245—1250 წ.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი ამ პირველ პერიოდს მე-12 საუკუნის დასაწყისიდან — მე-13 საუკუნის შუა წლებამდე რუსთაველის პერიოდი ვუწოდოთ. ამ პერიოდის მანძილზე 11 ვაზირიდან შვიდი ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი დაკავშირებული არიან პერეთის რუსთავის მხარესთან; ესენი არიან: არიშინი, ერისთავთ-ერისთავი რუსთავისა(1); არიშინის მეგვიდრენი (2, 4, 5); პერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავნი რუსთავისა და სრულიად პერეთისა (6, 7, 11).

დანარჩენი ოთხი ვაზირი დანიშნულა გარდამავალ პერიოდებში.

9.

მიოხილვის შედეგები.

შოთა რუსთველის ბიოგრაფიის მთავარი ფაქტები და თარიღები

ჩვენ განვიხილეთ შოთა რუსთველის ვინაობის პრობლემა ყველა ასპექტში. გამოკვლევის შედეგად ამრიგად სრულის ზედმიწევნით დადასტურდა, რომ შოთა რუსთველი, ავტორი ვეფხის-ტყაოსნისა, რომელიც მოხუცების ეპოს (1240-იან წლებში) ყოფილა საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი, არის ცნობილი ისტორიული მოღვაწე მე-12—13 საუკუნეთა შოთა პერეთის ბაგრატიონი (1166—1250), ერისთავთ-ერისთავი პერეთისა და რუსთავისა, რუსთველი, რომელიც 1245—1250 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფოს ვაზირი მეჭურჭლეთ-უხუცესი.

როგორც ეს დადგენილი გვაქვს რუსთველიანაში (და როგორც ეს დასტურდება ენეანის სიგელიდან თამარის ეპოქისა) — შოთა პერეთის ბაგრატიონი, ვიდრე იგი მიიღებდა სრულიად პერეთის ერისთავთ-ერისთავობას (მისი მამის გრიგოლის გაოდაცვლების შემდეგ), ჯერ ყოფილა განმგებელი რუსთავის მხარისა, საიდანაც შოთას მიუღია ზედწოდება რუსთველი.

მოგვყავს აქ მთავარი ფაქტები და თარიღები შოთა რუსთველის (პერეთის ბაგრატიონის) ბიოგრაფიისა, რაც დადგენილი გვაქვს რუსთველიანაში.

ა. შოთა დაიბადა 1166 წლის ახლო.

ბ. 1191 წელს შოთას ჩვენ ვხვდებით მეფის თამარის კარზე.

1191 წელს, როგორც აღნიშნავს თამარის პირველი ისტორიკოსი „ისტორია-ახმათა“ ავტორი, სამეფო კარზე „დალოცეს“ და გადასცეს ლენები, სახელმწიფოს სხვა დიდებულებთან ერთად, პერეთის ბაგრატიონებს — გრიგოლის ძეთა“ (შოთას და მის მამს ტბელი გრიგოლის ძეს).

გ. 1190-იან წლებში (არა უგვიანეს 1196 წლისა) დაწერილი ყოფილა შოთას არ მოღწეული პოემა იოსებ მშვენიერზე („იოსებ და ასანეთ“).

ცნობა შოთას ამ არ მოღწეული პოემის შესახებ დაცულია ძველ-ქართული პოეტური ძეგლის „იოსებ-ზილიხანიანის“ პირველი ვერსიის პროლოგში (იხ. ამ საკანზე დაწერილებით რუსთველიანაში).

დ. შოთას მეორე თხზულება „ქებანი“, რომელიც აგრეთვე არ მოღწეულა ჩვენ დრომდე, მოხსენებული აქვს თვით შოთას ვეფხის-ტყაოსნის პროლოგში. „ქებანი“ შოთას გამოქვეყნებული ჰქონია ვეფხის-ტყაოსანზე ადრე, 1190-იან წლებში (არა უადრეს 1196 წლისა).

ე. პოემა ვეფხის-ტყაოსანი დაწერილია მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე, არა უადრეს 1196 წლისა და არა უგვიანეს 1207 წლისა.

ვ. შოთა, მეთაური ქართული ჰუმანიზმისა, დიდი საზოგადო მოღვაწე ყოფილა.

კერძოდ მე-13 საუკუნის მეორე მეოთხედში, როდესაც საქართველოს სა-



ხელმწიფოს დიდი პოლიტიკური კატასტროფა დაატყდა — მონგოლთა მძლავრი ბელაბის დამყარების ეამს, შოთას ჩვენ ვხედავთ როგორც ერთ-ერთ მთავარ ხელმძღვანელსა და მონაწილეს ყველა მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტის დროს.

ასე, ისტორიკოსი ქამთა-ალმწერელი მოგვითხრობს, რომ მე-13 საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს, როცა აღმოსავლეთი საქართველო დაიპყრეს მონგოლებმა, სახელმწიფო თათბირზე გადაწყდა დაზავება და მოლაპარაკების გამართვა მონგოლებთან; მოლაპარაკების წარმოება დაუვალელებიან შოთასათვის და მასთან ერთად სამეფო კარის სამი ვაზირისათვის.

ამის შემდეგ, იმავე ისტორიკოსის ცნობით, შოთამ და სხვა ქართველმა მთავრებმა წაიყვანეს მონგოლთა ურდოში საქართველოს მემკვიდრე უფლისწული დავით რუსუდანის ძე, რათა გამოეთხოვათ მონგოლებისაგან დავითის საქართველოს მეფედ დამტკიცება.

1245 წლის ახლო ხანებში, შოთა, ცოტნე დადიანთან ერთად, იყო მონაწილე და ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი კოხტის-თავის კრებისა, რომელიც მოიწვიეს ქართველმა პატრიოტებმა მონგოლთა საწინააღმდეგო აჯანყების მოსაწყობად. ცნობილია, რომ თათბირის მონაწილე მთავრები, მათ შორის მოხუცი შოთა, შეიპყრეს მონგოლებმა, მისცეს ისინი ველურსა და დამამცირებელს სატანჯველს, მთელი დღეები გაძრკვილნი და მხრებ-შეკრულნი ეპყრათ ისინი მოედანზე აუტანელ სიცხეში, მაგრამ ვერც სატანჯველითა და ვერც სიკვდილის მუქარით ვერ შესძლეს შეთქმულთა გატეხა. — ძველი საქართველოს ისტორიის ამ პეროიკულ ამბავს, ცხადია, კარგად იცნობს მკითხველი და აქ ამაზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

ისტორიკოსი ქამთა-ალმწერელი შოთას მოიხსენებს 1245 წელს საქართველოს მთავართა შორის, რომელნიც შეეგებნენ უფლისწულ დავითს, გიორგილას ძეს, როდესაც იგი ტყვეობიდან დაბრუნდა რუმის სასულტნოდან.

ზ. 1245 წლის ახლო, როდესაც გარდაიცვალა მეჭურჭლეთ-უხუცესი ყვარყვარე-ივანე ციხისჯვარელ-ჯაყელი, მთავართა კრებას (რომელიც ამ პერიოდში, უმეფობის დროს, ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს) შოთა დაუდგენია საქართველოს სახელმწიფოს ვაზირად მეჭურჭლეთ-უხუცესად. „წესისაებრ სახლისა“ — გარდაცვლილა შოთა 1250 წლის ახლოს, ღრმად მოხუცებული, როდესაც იგი 84 წელს ყოფილა მიწვენილი.

შოთას უცხოვრია იმდენივე, რამდენიც გოეთეს, ვოლტერს, ლევ ტოლსტოის.

ასეთია შოთას ბიოგრაფიის მთავარი ფაქტები და თარიღები.

ამრიგად, ახლო წლებში, 1966 წელს, სრულდება რვაასი წელი შოთას დაბადებიდან.

(გაგრძელება იქნება).



ახალი სათავგადასავლო მოთხრობა\*

ჩვენი სათავგადასავლო ლიტერატურა მოწოდებულია მკითხველებს ჩაუნერგოს ადამიანის შემოქმედებითი უნარის ძლიერება, ასწავლოს მამაცობა, სიმარჯვე, კეთილშობილება და საგმირო საქმეებისადმი მისწრაფება. სწორედ ამ თვისებებით განსხვავდება საბჭოთა სათავგადასავლო ლიტერატურა დასავლეთის უხდალბური დეტექტივებისაგან, რომლებიც მომშამავ ზემოქმედებას ახდენენ მკითხველებზე.

ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით, დიდი სამშელო ომის შემდეგ, განვითარდა ეს ეანრი. ამ ბოლო წლებში კი პირდაპირ მოხლევაება ნაირნაირი სათავგადასავლო წიგნებისა. რასაკვირველია, ვერ კიდევ ბევრია იაფფასიანი მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები. ედებთან, ის ავტორები, რომელთაც ჰგონიათ, რომ სათავგადასავლო რომანის დასაწერად მხოლოდ დასლართული ამბავია საკმარისი. მსოფლიოს სათავგადასავლო ლიტერატურის კლასიკურ ფონდში მხოლოდ მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებები შევიდა და შვეია. არაფერი არ არის ეულ სათავგადასავლო წიგნის დაწერაზე ადვილი. ამისათვის საკმარისია სისხლის სამართლის პომელიმე საქმის, ან ჯამშის შეპყრობაზე მოხსენებითი ბარათის ოდნავი გადამშევაება. მაგრამ სინამდვილეში სათავგადასავლო წიგნის დაწერაც ისევე ძნელია, როგორც, საერთოდ ყველა კარგი წიგნისა. „ჩვეულებრივი“ პროზაიკოსისათვის საკირო თვისებების ვარდა, სათავგადასავლო ეანრში მომშევე მწერალს აუცილებლად უნდა გააჩნდეს მთელი რიგი სხვა სპეციფიკური თავისებურებანიც, რომელთა ჩამოთვლაც შორს წავიყვანდა.

ამ მცირე, მაგრამ ჩვენი აზრით, აუცილებელი შესავლის შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ლიტერატურა არ არის მდიდარი სათავგადასავლო ეანრის ნაწარმოებებით. თითო-ორიოლა წიგნი, რა თქმა უნდა, ამინდს ვერ შექ-

მნის. მართალია, არც ტრადიციო გეჰონდა, მაგრამ დღესაც მხოლოდ ერთი მწერალი გვეყავს, რომელიც სისტემატურად მუშაობს ამ საინტერესო ეანრში. ეს არის ორდე დგებუაქე.

თითქმის ორმოც წელს აყო მიღწეული ო. დგებუაქე, როცა მისი პირველი წიგნი „დამანაშაენი“ გამოიცა დიდი სამშელო ომის დროს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მან ცხოვრების რთული და საინტერესო ვხა განვლო. მრავალი წლის განმავლობაში დატოვილი მდიდარი ფაქტიური მასალა, მახელი აზროვნება და მწერლის დაჯირეებული თვალი მისი შემოქმედების საძირკველია. ო. დგებუაქემ შესანიშნავად შეისისხლბორცა ერთი უდავო კეშმარიტება — მწერალმა უნდა სწეროს იმაზე, რააც საფეველიანად იცნობს.

„დამანაშაენს“ მოჰყვა „უენობი მეგობარი“, „მეორედ დაბადება“, „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, „ჩაძირული თოლია“ და ა. ჩვენს წინ არის ო. დგებუაქის ახალი წიგნი „განთიადის დედოფალი“.

ზედმეტი იქნებოდა ამ ნაწარმოების მოკლე შინაარსის ვადმოცემა, მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ამ ერეული მოთხრობის პირველი ნაწილია „ლეთისმშობლის პოტაცება“ — სიონის ეკლესიიდან 1934 წელს გატაცებული ხატის ჭებნის ისტორია, მეორე ნაწილი კი საკუთრივ „განთიადის დედოფალი“ ხატის გამტაცებელთა და მათი „შეფის“ იგარ ტამანოვის თავგადასავალს ვადმოგვეცემს.

ისევე, როგორც ცხოვრებაში მხატვრულ ნაწარმოებშიაც ადამიანები პერსონაჟები სწყვეტენ ყველაფერს. დასამახსოვრებლად, რელიეფურად და ცხოვრებისეული ბუნებრივობით გამოკვეთილი გმირები ყოველი პროზაული ნაწარმოების გამარჯვების საწინდარია. „განთიადის დედოფალი“ სულ ათიოდე გმირი მოქმედობს (არ ვთვლით ტამანოვის ავტობიოგრაფიაში მოხსენებულ პერსონაჟებს). როგორც საერთოდ ყოველ პროზაულ და, განსაკუთრებით, სათავგადასავლო ეანრის ნაწარმოებში,

\* ორდე დგებუაქე — განთიადის დედოფალი, „საბჭოთა მწერალი“, 1962.

ინიცი ეყოფიან დადებით და უარყოფით გმირებად, სართოდ, სტეციფიკის გამო, სათავგადასავლო ლიტერატურაში ასეთი დაყოფა უფრო მეკეთრია, შექმნილია უფრო ძლიერი, თავისი გმირების შინაგანი თუ გარეგნული პორტრეტის ხატვისას, ო. დგებულის აზრი მილიანად ემთხვევა ჩვენს აზრს: ცხოვრებაში არ არსებობენ აბსოლუტურად დადებითი და აბსოლუტურად უარყოფითი ადამიანები, არც მსოფლიოს კლასიკურ ლიტერატურაში არსებობენ ასეთი გმირები. ბევრი მწერალი თავის უარყოფით გმირს გარეგნულადაც მახინჯს ხატავს, ხოლო დადებითს ფრთაშესმულ ანგელოზად, რა თქმა უნდა, ეს არაა სწორი.

ო. დგებულის წიგნში უსასტიკესი ბოროტმოქმედნი „ბარონი“ იგორ ტამანოვი და ბოშა ბორის საიდოვი გარეგნულად საუცხოო ვაჟაკები არიან, მაგრამ სული აჭულ ქვეყნულზე ბნელი და ხელი — ქალაქზე დაუნდობელი.

„განთიადის დედოფლის“ წაკითხვის შემდეგ დაგამახსოვრდება აგრეთვე სამეგრეოს სამარტოველოს უფროსის სერგეი სტასის და განსაკუთრებით რაბა შინდიაშვილის სახეები, ავტორი მათ ხატავს მეტად დამაყურებლად და ბუნებრივად, წვდება მათ შინაგან სამყაროს და აბრჭვებს სხვადასხვა ყალბის ადამიანების რთულ ფსიქოლოგიური ნიუანსების გადმოცემას. კოლორიტულია ო. დგებულის არა მარტო მთავარი გმირები, არამედ სულ მცირე, ეპიზოდური პერსონაჟებიც. თითქმის არც ერთი სქემატური სახე არ არის ამ ნაწარმოებში, დაწვებულ პერსონაჟის გარეგნული აღწერით და დამთავრებულ მხის ხასიათით. ტრავის ხატვისას ავტორს აქვს ერთგვარი კინემატოგრაფიული ხელვა. ამ შემთხვევაში აქ უნდა დავსახელოთ: უბრალო მონაზონი ანტისა, ენაწყლიანი კონდუქტორი, მთიელი ოჩიურია...

ამვე დროს მწერალი ღრმად ხსნის უარყოფითი გმირების ფსიქოლოგიურ სამყაროს, ამხელს მათი გაუაჯარების საზოგადოებრივ თუ პირადულ მიზეზებს.

„განთიადის დედოფლის“ სიუჟეტურ განვითარებასა და კომპოზიციურ შეკრულობაზე სიტყვის აღარ ვაგაგრძელებთ, ეინაიდან სათავგადასავლო ტანრის ნაწარმოებისათვის სწორედ ესაა უმთავრესი მამოძრავებელ ღერძთავანი. ამბავი ყოველ პირობულ (და არა მარტო პირობულ) ნაწარმოებს სჭირდება, მაგრამ სათავგადასავლო ნაწარმოების სიუჟეტი დახლართული და დამინტერესებელი უნდა იყოს. ო. დგებულის წიგნს კი, სანამ ბოლომდე არ ჩაათავებთ, ვერ მოეშვებით.

ო. დგებულებს კარგად ამჩნევს და თავის მონებრობაში მშვენივრად იყენებს ცხოვრებისეულ დეტალებს, რომლებიც მერ ლაზათს აძლევს ნაწარმოებს.

ავტორი ხშირად იყენებს ზედტყუარულ ენაზე სულ მოსწრებულ თქმებს, ტყუილმღებულ ტყუილ ქარღვიანობასა და ელფერის აძლევს ნაწარმოების მხატვრულ სიკვილს. საილუსტრაციოდ: „ნადირობიდან დაბრუნებული რომელი მონადირე იტყვის უარს გარკაზე, თუ ვეზოში მგლის ახალ კვალს წააწყდება?“

შედარებებიც ორიგინალური და ხატოვანი აქვს მწერალს. აა, ორიოდვე მაგალითი: „ჩვენი პროფესიის კაცს შვილად არ შეუძლია ასეთი ამბის მოსმენა. ამ დროს ის იმ გულფიცხ ბედურს ემსგავსება, რომელსაც ცხენებმა ჩაუჭროლეს, მაგრამ თვითონ ლაგამის უბეში სატუჩე და მხედრის ღონიერი მკლავები აკავეს.“ „წამითი თვალის დახტვა და კბილები ისე გააკრატუნა, თითქმის ეკლდოდან დაქანგული ლურსმანი ამოაქრესო.“

პეიზაჟების ხატვისას კი მეტად ძუნწობს ავტორი, თუმცა არც ამ მოთხრობის სიუჟეტი მოითხოვდა ამანცდამანც ბუნების ფართო ტილოების შექმნას.

ო. დგებულის ენა სახოვანია და ლაკონური. არ უყვარს თხრობის ვაკუინტრება და ერთისა და იმვეს ლეჟვა. სიტყვიერი მასალის მხრივ „განთიადის დედოფალი“ ნაშეილად წინ გადადგმული მხაჩია მის ადრინდელ ნაწარმოებებთან შედარებით. მწერალი მტკიცედ მისდევს ტრადიციულ ქართულ პროზის პრინციპებს.

ჩვენ აქ აღიარებთ ვაშობთ ამ მოთხრობაში აღწერილ საგამომივებლო საქმის ტექნიკის პროფესიულ დეტალებზე, ძიების სპეციფიკურ მხარეებზე. ეს ო. დგებულისათვის ანბანური ამბავია და ამ მხრივ იგი არ შეცდებოდა.

გვიდა, დაასრულ, მივეთითოთ ზოგიერთ ენობრივ და ფაქტობრივ შეცდომაზე. ჩვენი აზრით, არასწორია გამოთქმა „საამო აღნაგობა“ (გვ. 5, 136, 154); წიგნის ფინალში ტურხელს ხან ლაღო მჭვია და ხან თეიმურაზი (ეს, რა თქმა უნდა, ლაფსუსია!) (გვ. 239-244); რამდენადაც ვიცით, დიდი თავალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გენერალსიმეისი არ ყოფილა (გვ. 145). ქართულად იწერება „ქოქოსი“, „თავრიზი“, „პოლტავა“ და არა „კოკოსი“ (გვ. 141), „ტეირიზი“ (143), „პალტავა“ (186).

საბუთა დეტექტიური ლიტერატურის მიზანია ბოროტმოქმედებათა ლაკვიდაციის ჩვენება, ამ ტანრის ნაწარმოებებმა უნდა ასახონ არა მარტო დანაშაულის გახსნა, არამედ მკითხველს ჩაუდგინონ სიმთვლილი ყოველი ბოროტმოქმედებისადმი და მათი გადმონამოების ყოველგვარი გამოვლინებისადმი.

სწორედ ამ კეთილშობილურ საქმეს ეძღვნება ო. დგებულის ახალი წიგნი „განთიადის დედოფალი“.

ოთარ ჩიჯავაძის „ჟან ვალონის რეისი“ \**საქართველოში  
ზნეზლიქოთქა*

ჩვენი დროის მწერლის არსებითი და მაღალი მოვალეობა მკითხველს განაცდევინოს თავისი გმირის ტყველი და სიხარული, გმირების გულწრფელი განწყობით აცხოვროს იგი. ამიტომაც, მთავარი და მნიშვნელოვანი როლი მთავრად იმას ეკისრება, თუ რამდენადა აქვს მწერალს განცდილი ის, რაზეც წერს, რამდენად ახლოებულია ის სიტუაციებზე, მოვლენებზე, რომელთაც აღწერს იგი თავის ნაწარმოებებში.

ოთარ ჩიჯავაძე საქმით ხანს მკითხველზე უცხოეთში. მას განუცდიდა და უცხოეთია თავისი გმირების ცხოვრებით და ამიტომაც მკითხველს არ ეჩვენება ნაძალადევი და გამოგონილი ის სახეები და კონფლიქტები, რომლებიც მისი მოთხრობების წიგნში — „ჟან ვალონის რეისი“ აღწერილი.

„ჟან ვალონის რეისი“ მწერალმა გვიჩვენა ადამიანის ბედი ბურჟუაზიულ სამყაროში. საშინელებითაა აღსავსე ეს ვალონის ცხოვრება. მას, როგორც ადამიანს, არაფერს აქცევს ყურადღებას, გარდა მისავეთ უბრალო და მშრომელი ადამიანებისა — შეზღავდებებისა. ამ მოთხრობაში აშკარადაა ნახვასმული ის გარემოება, რომ ბურჟუაზიული სამყაროსათვის ადამიანი ძალიან ადვილად შეიძლება. მხოლოდ მისავეთ უბრალო ადამიანებში ჰპოვებს ეს ვალონი თანაგრძნობას ამ დიდი განსაცდელისა და სულიერი დაძაბულობის ეპის, რომელიც თავს დაატყდება ოლივიას ძებნისას. ეს ვალონი კეთილი გულის, გამტანი და ერთგული ადამიანი, მან ათასობით კოლომეტრი გაიარა საფრანგეთიდან აშერიკამდე და ბევრი გაქურდება გადაიტანა, რათა მოენახა თავისი საცოფო ოლივია. და აი ფინალი — მან იპოვა ოლივია, მაგრამ იპოვა იქ, სადაც კეთილშობილი და პატიოსანი ადამიანისათვის ერთობ დამამკრებელია ყოფნა, ე. წ. კუნი-აილინგში, ნიუ-იორკის ვარსკვლავისა და ღრუბლის მოყვარულთა ცენტრში. საბრალო ჰალს, რომელიც უსახლკაროდ დარბა (უფულობის გამო იგი სახლიდან გამოაგდეს) სპორტისათვის მიუყვია ხელი. თუ კი შეიძლება ამის სპორტი ეწოდოს: საბანაო კოსტუმში გამოწყობილი ულამაზესი ქალიშვილები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ეინ უფრო მეტ ხანს ვახლებს ყინულზე ამქდარბი. რაღაც ვროშების გულისთვის ამ ქალიშვილებს საათობით უხდებთ ყინულზე ჭდომა. ოლივიასა და ეს ვალონის სახეები მეტად ტიპურია თანამედროვე დისაქლეთის ყოფისათვის. აი, ამიტომ აღვლევს მკითხველს ოლივიას სიკვდილი. სწორედ მაშინ, როცა მან იპოვა ეს ვალონი.

ოთარ ჩიჯავაძემ შესალო მკითხველის დაინტერესება პერსონაჟთა ხასიათების გამოკვეთით. თანამედროვე ბურჟუაზიული ცხოვრებისათვის ერთ-ერთი სპეციფიკური და უმთავრესი დამახასიათებელი თვისებათაგანაა წინააღმდეგობა საზოგადოებასა და პიროვნებას შორის. ამ მხრივ ოთ. ჩიჯავაძის მოთხრობა „ოლივიუშთან“. ვფიქრობ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია წიგნში.

აქ კარგად არის ასახული თანამედროვე საფრანგეთის ორი ფენის წარმომადგენელთა ცხოვრება: ერთი მხრით, ბიზნესმენ-განგსტერის — ბარკონეს და, მეორეს მხრით, ევრნალისტი — დავით ბუნტუერისა.

ბუნტუერი პატიოსანი და კეთილსინდისიერი ევრნალისტია. მისი სურვილია წეროს სიმართლე, მაგრამ კაპიტალისტურ სამყაროში სიმართლის წერა და თქმა წარმოუდგენელია. აქ სიმართლე ხალხისათვის უცხო ხილია, და როდესაც ბუნტუერი ახელს ბარკონეს ბნელ საქმეებს, ეს უქანსკელი ყოველნაირად ცდილობს ფიზიკურად გაანადგუროს ბუნტუერი. ამ კრიტიკულ მომენტში ბუნტუერი სულ მარტო რჩენა, მას დამკვეთი რედაქტორიც კი ირბინდ უცქერის. დავით ბუნტუერი მარტო რჩება არა მხოლოდ ფიზიკურად, იგი დიდ სულიერ სიმარტოვესაც განიცდის. ამ სიმარტოვის მიზეზი ისიცაა, რომ იგი მიატოვა არღებამ — ემიგრანტმა ქართველმა ქალიშვილმა, რომელიც ბუნტუერს უყვარდა და ცხოვრების ძნელ წუთებში თავისად სთვლიდა. ბარკონეს მეგობრებმა არღება წაართვეს ბუნტუერს და ერთ დროს წესიერა და პატიოსანი ქალიშვილი სამედიოში მოხვდებოდა. ხოლო თვით ბუნტუერი, ძლიერი ფსიქიკური აღზნების ეპის, მოკლავს ბარკონეს მეგობრებს, ახლა თვით ბარკონეს დაესხმის თავს, მაგრამ მას დაასწრებენ და მოკლავთ.

მკითხველები ინტერესით წაიკითხავენ ამ მოთხრობას. აქ საინტერესოდ არის ვაღმოკვეთილი თანამედროვე საფრანგეთის ცხოვრება. მოთხრობაში ასახული სიტუაციები და კონფლიქტები დამაყრებელია, ნათლად წარმოგვისახავს უცხო გარემოში მოხვედრილი ადამიანის ბედი.

მოთხრობაში „ცის ნაჭერი“ გაკრიტიკებულია ის ადამიანები, რომლებიც იჩენენ უკიდურეს სიხარბეს, არაადამიანურობას და სხადიან ყოველგვარ სულმადლობას. კერძოდ, ამ შემთხვევაში ნაწარმოების გმირებს სურთ ჩოგორში ხელში ჩაიგდონ კათოლიკე მამილი მემკვიდრეობა. მამილას კი სიცოცხლეშივე უფიქრია თავის „მომავალზე! და იმის ნაცვლად, რომ მემკვიდრეობა მახლობლებისათვის დაეტოვებინა, ზეცაში ნაკვეთი უყიდა. ამით ავტორი კიდევ უფრო

ოთარ ჩიჯავაძე, ჟან ვალონის რეისი, „საბუთო მწერალი“, 1962 წ.

მადრ სატირულ ფერებში აღწერს ბურჟუაზი-  
ულ სინამდვილეს და მის ჰეიკერთა „ორიგინალ-  
ურ“ მისწრაფებებს.

ომი ზოგჯერ ხალხის სულიერი სიძლიერის  
გამოცდა უფროა, ვიდრე ფიზიკურისა. მხოლოდ  
ძლიერი ნებისყოფისა და სულის ადამიანებს  
შეუწყვეთ უნარი ამ კრიტიკული და სახედისწე-  
რო მომენტში. შეინარჩუნონ სამშობლოს სიყვარ-  
ული და ერთგულება. ამ თეზისადმი მიძღვნი-  
ლი ოთარ ჩიჯავაძის მოთხრობა „შე მას არ ვიცი-  
ნობ“. ეს არის მოთხრობა ერთ პატარა და უბრა-  
ლო ადამიანზე, რომლისთვისაც გერმანელების  
მიერ დაპყრობილი და განადგურებული საფრან-  
გეთი მეთრეხაიხსოვანი საქმეა. სამშობლოს ამ  
დიდი განსაცდელის ქაშს მას მხოლოდ ის აწუ-  
ხებს, რომ ხელმოკლეობას განიცდის და ვამოსა-  
ვალს გერმანელებთან სამსახურში ზედაც.

გერმანელების მიერ ოკუპირებულ საფრან-  
გეთში ემილ ფერესათვის ომი ჯერ არც კი  
დაწყებული აის მშვიდად და წყნარად მუშაობს.  
პატარა სიამოვნებას ვერის ზოლზე ის, რომ  
ზოგჯერ კუბოს გაყეთება უხდება გერმანელები-  
სათვის. ამასი იგი დიდ გამაზრველოს იღებს,  
რაც სავსებით აკმაყოფილებს მის სულიერ  
მოთხოვნებს, და ეს მაშინ, როცა შიფ-  
ლი ფრანგი ხალხი ძალას და ენერჯიას  
არ იშურებს, რათა საფრანგული შეუტყუის გერ-  
მანელთა პატარობას საფრანგეთში. ემილ ფე-  
რესათვის ომი მაშინ იწყება, როცა ვესტაპო-  
ვლებმა მისი ვაჟი დააპატიმრეს, რომელიც თურ-  
მე საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის  
მონაწილეა, ამით კარგად არის გახსნილი ემილ  
ფერეს ზისიათი, ხაზი ესმება მის შესავტორულ  
ენტიკტს.

მამა-შვილის სახით მოთხრობაში გამოყვანი-

ლია ომის დროინდელი საფრანგეთის კულტურ-  
ული და დამახასიათებელ მახასიათებლებს  
დაეად იმისა, რომ ემილ ფერე გერმანელებთან  
მსახურობს, იგი არ არის სამშობლოს მიწაღა-  
ტი, იგი უფრო ერთი მესაკუთრელი ერთი  
გაბაცებული ერთი პატარა ადამიანია, რომელიც  
ძალიან გვიან ერყვევა ცხოვრებისეულ მოკლე-  
ნებაში, და როცა გაერყვევა, თავისებური რეაქ-  
ციით გამოხატავს მას. მან სილა გააწა მიცვა-  
ლებულს, კუბოში შოლ გერმანელ ოფიცერ-  
მიულერს. ეს საქმეოლ საგულისხმო დეტალია  
ძალიან უნდა ვძულდეს ვინზე, რომ შენი დამო-  
კიდებულება მისდამი ასეთი აქტიუ გამოხატო.

ეგტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან  
კარგად აღწერა მოთხრობის უკანასკნელ ეპი-  
ზოდში ემილ ფერეს სულიერი მდგომარეობა-  
თემატიკის ერთ რეალში ერთიანდება ო. ჩი-  
ჯავაძის ორი მოთხრობა: „ეს მოხდა აფრიკაში“  
და ზეიგენის კბილი“. ამ ორ ნაწარმოებში  
მოთხრობილია თანამედროვე აფრიკის მდგომე-  
რეობა. გამოშვებულია კოლონიზატორთა მხე-  
ცური ბუნება, რომლებიც არ ინდობენ ადგი-  
ლობრივ მცხოვრებთ და ყველა საშუალებებით  
უნამუსოდ ძარცვავენ მათ. ავტორი ამავე დროს  
გვიჩვენებს, რომ კოლონილისტების უღელში  
მოხვედრილ ხალხს პროგრესული ფრანგი ადამ-  
იანების სახით ჰყავთ თანამგრძნობები ერთე-  
ნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ოთარ ჩიჯავაძეს ბევრი უმოგზაურია და უნა-  
ხავს. მას შეუძლია ჩვენი კომოსველისათვის შე-  
ქმნას ბევრი საინტერესო ნაწარმოები დასავ-  
ლეთის უოფაზე, მის ადამიანებზე, ამის წინაპი-  
რობას მისი „უან ვალონის რეისი“ წარმოად-  
გენს.

ზუკამ ბათიუაზილი;

### მოთხრობები ლიტერატურულ აღმოჩენებზე \*

თანამედროვენი ვერ ამჩნევდნენ, სათანადოდ  
ვერ აღვასებდნენ ზოგიერთი დიდი მნიშვნელო-  
ბის ფაქტსა და მოვლენას, რომელიც მათ თვა-  
ლიან, მათ გვერდით ხდებოდა. ამის შედეგად  
გამოჩენილი მწერლების ბიოგრაფიები, მათ შე-  
მოქმედებასთან დაკავშირებული მრავალი საი-  
ნტერესო დეტალი განვიღებთ დრომ საადრე-  
ლოების ბურჟსში გახსნია და დღეს ჩვენ არც  
კი ვიცით, თუ ვინ იყო ჰომეროსი, შექსპირი,  
რუსთაველი...

ლიტერატურათმცოდნეები, ლიტერატურის  
ისტორიკოსები დაუღალავ და საინტერესო მუ-  
შაობას ეწევიან, რათა აღმოაჩინონ, ნათელი

მოაფინონ წარსულის იმ ლიტერატურულ მოე-  
ლენებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო  
ბნელით არის მოცული. ეს ფრიად საჭირო საქ-  
მეა. ეს კარგად ჩანს, თუნდაც პოეტ-აკადემი-  
კოს ირაკლი აბაშიძის „პალესტინის დღიური-  
დან“, რომელიც დიდი გაბაცებითაა აღწერი-  
ლი ჯვარის მონასტერში უყვდავი შოთას სუ-  
რათის აღმოჩენის ამალეღვებეი ამბავი.

ისეთ ნაწარმოებთა რიცხეს, რომლებშიაც  
სხვა და სხვა ლიტერატურული ფაქტების აღ-  
მოჩენაზეა ლაპარაკი, ეყუთენის მ. ლერმონ-  
ტოვის ცხოვრებისა და შემოქმედების ერთ-ერთ  
თი გამოჩენილ მკვლევარის ირაკლი ანდრონი-  
კაშვილის წიგნიც — „ლიტერატურათმცოდნის  
მოთხრობები“.

ირ. ანდრონიკაშვილი მრავალი წლის მანძი-

\* ირაკლი ანდრონიკაშვილი, ლიტერატურათ-  
მცოდნის მოთხრობები, „ნაკადული“ 1962.



ლზე ნაყოფიერი კვლევითი მუშაობის შედეგად არაერთი „თეორი ლეკა“ გააქრო ლერმონტოვის ბიოგრაფიაში. ამბზე მეტყველებენ მისი წიგნები: „ლერმონტოვი, ახალი მივინა“, „ლერმონტოვი“, „სტავროს მონაპოვარი“ და სხვ.

საბრტყნობა კრებულში შეტანილია ოთხი მოთხრობა: „პორტრეტი“, „გამოცანა ნ. თ. ი.“, „წარწერა ნახატის ქვეშ“, „ლერმონტოვის თანამემამულე“.

უპირველესად ყოვლისა, მისასაღებელია, რომ ამ კრებულთი შეთხვეულ საშუალება ეძლევა მ. ი. ლერმონტოვის ბიოგრაფიის ზოგიერთ დეტალთან ერთად, გააცნოს მათი აღმოჩენის საინტერესო ისტორია და ლიტერატურული კვლევის შეთოდება.

ბ. ანდრონიკაშვილის წიგნი იხსნება მოთხრობით „პორტრეტი“. მასში ოსტატურადაა ნაამბობი ერთ-ერთი ძველი პორტრეტის აღმოჩენისა და მისი ლერმონტოვისეულობის დადგენის მომზადება ისტორია.

ამ პორტრეტის აღმოჩენის მიზეზი საქალაქიდან შემთხვევით გადმოვარდნილი ფოტოგრაფიის მიერ ოდესღაც გადაღებული, გაუვითლებული სურათი ვახდა. სხვა აღმანი გულგრილად ჩაივლიდა ფოტოგრაფიული ახლის გვერდით, მაგრამ ირ. ანდრონიკაშვილისთვის ეს გახდა დაუცხარებელი კვლევაძიების დასაწყისი.

ირ. ანდრონიკაშვილი ამ მოთხრობაში ავეიწერს არა მარტო იმ სიძნელებს, რომლებიც მას შეხვდა უცნობი მხატვრის მიერ ნატურადან შესრულებული ლერმონტოვის პორტრეტის მოძებნისას, არამედ იმ საბჭოთა აღმანიებზეც, რომლებზეც მხურვალე დახმარება გაუწიეს მას. პორტრეტი ნაპოვნია, მაგრამ ამით კვლევა არ დამთავრებულა. ახლა მთავარია იმის დამტკიცება, რომ ამ სურათზე ნამდვილად ლერმონტოვია დახატული, ვერც რენტგენის, ვერც ულტრაიისფერი და ულტრაწითელი სხივების საშუალებით სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. მისი მკვლევარს პორტრეტი კრიმინალისტურ ლაბორატორიაში შიპქეს მასზე გამოსახული ახალგაზრდა ოფიცრის პიროვნების დასადგენად.

მოსკოვლი კრიმინალისტები თავისი ზუსტი მეთოდების გამოყენებით, რუსული კრიმინალისტის ფუძემდებლის პროფესორ ს. მ. პოტაპოვის ხელმძღვანელობით საბოლოოდ აღგენენ, რომ სურათზე ლერმონტოვია გამოსახული.

მოთხრობაში, რომელსაც ჰქვია „გამოცანა ნ. თ. ი.“, ლერმონტოვის ბიოგრაფიის ერთ-ერთი საინტერესო მომენტია დადგენილი. გამოკვლეულია, თუ ვის მიუძღვნა ლერმონტოვმა 30 ლექსი, რომელსაც მარტილ-მარტო უცნობი ქალის ინიციალები ჰქონდა სათაურად. ამ ლე-

ქსის დაწერიდან საუკუნეზე მეტს (1838-1841) ლერმონტოვის თანამედროვეთაგან მხოლოდ ერთ-ერთი რაინი დარჩა ცოცხალი. თითქოს უკვალოდ წამალა ყველაფერი, მაგრამ ირ. ანდრონიკაშვილი დიდი გულმოდინებით სწავლობს, იკვლევს ყოველს, თითქოს უმნიშვნელო ფაქტსაც კი, დაკავშირებულს ლერმონტოვის ცხოვრების ამ პერიოდთან. ასე გასინჯეთ, ვაგანოვის სასაფლაოზე დამარხულთა სივსაც კი ათვალერებს. საიდუმლოებას თანდათან ვხვდება ფარდა, აღმოჩენას აღმოჩენა მოსდევს. ირკვევა, რომ ლერმონტოვი უიმედოდ იყო შეყვარებული ნატალია თედორეს ასულ ივანოვზე. სწორედ მას უძღვნა ლერმონტოვმა 30 ლექსი და 1831 წელს დაწერილი ღამა „უცნაური აღმანი“, რომლის მთავარი გმირია ნატალია თედორეს ასული. ლერმონტოვმა მხოლოდ ვეარის შესვალა. ივანოვს მაგიერ იგი ზაგორსკინადა გამოყვანილი.

ირ. ანდრონიკაშვილი ამბუდ არ შეჩერებულა. მან გამოკვლია, თუ ვისზედ იყო გათხოვილი ივანოვა და აღმოაჩინა მისი პორტრეტი.

მოთხრობის ქართულ თარგმანს თან ერთვის თეიმურაზ ქანგულაშვილის მიერ გადმოქართულებული ლერმონტოვის ლექსები.

როგორც ცნობლია, ლერმონტოვი ფერწერის უტყუარი ნიჭითაც იყო დაქირდოვებული. კავასიაში ყოფნისას მრავალი ჩანახატი გააკეთა ნატურიდან. მაგრამ აქამდე უცნობი იყო, სახელდობრ, რა არის გამოსახული ლერმონტოვის ამ ნახატებსა და ტილოებზე, სად და რომელ ადგილებშია შესრულებული. ირ. ანდრონიკაშვილია მინახა იმ ციხის ნანგრევები, რომლებიც დასაბუ დაღმა პოეტმა და რომელსაც აქვს წარწერა „ნანგრევი არაგვის პირას საქართველოში“. მკვლევარმა დაადგინა, რომ ეს ნახატი გაკეთებულა „დემონისთავის“ მანამდე ვიდრე თვით პოემა დაწერებოდა მთლიანად. ამ აღმოჩენის ისტორიაა მოთხრობილი „წარწერაში ნახატის ქვეშ“. მოთხრობაში მოტანილია ადგილები „დემონის“ ქართული თარგმანიდან, შესრულებული რევაზ თვარაძის მიერ.

წიგნის უკანასკნელი მოთხრობა „ლერმონტოვის თანამემამულე“ დიდ რუს პოეტს ისე წარმოგიდგენს, როგორც ზენს თანამედროვეს. სამოყდაათი წლის კოლმურზე — უარულის მონაყოლი დათვიწყარა შთაბეჭდილებას სტოვებს. ირ. ანდრონიკაშვილი წერს: „არასოდეს, არსად არ შეხვედრია და არ მომისმენია ასეთი ექსკურსიის მძლოლისათვის ლერმონტოვზე იგი ცოცხლად, ისე დაწერილებით და მართლად ქვევობა, რომ მოგეგვენებოდათ, მივლინებით ყოფილა იმ ეპოქაში და სულ ახლახან დაბრუნებულაო. მაგრამ ამასთან ერთად იგი არ ტყებოდა მხოლოდ წარსულის ცოდნით, არ ცოცხლობდა იმით, არა ლერმონტოვი

მის მონაყოლში თითქოს ამოწვეულია იმ ეპოქიდან, მოახლოებულია ჩვენთან, თითქოს ამ დარაჯის გვერდით დგას და „როგორც ცოცხალი, ცოცხალს ელაპარაკება!“

ამრიგად, ირ. ანდრონიკაშვილის, როგორც ლიტერატურათმცოდნის კვლევა-ძიებებს შედეგად ჩვენ გვაქვს ლერმონტოვის კიდევ ერთი აქამდე უცნობი პორტრეტი, გაშიფრულია, თუ ვისდამია მიძღვნილი მ. ი. ლერმონტოვის 30 უსათაურო ლექსი და აღმოჩენილია ამ ლექსების აღტანების — ნატალია თევდორეს ასული ივანოვას მშვენიერი პორტრეტი და ვინ მოსთელის, კიდევ რამდენი რამ.

წიგნი „ლიტერატურათმცოდნის მოთხრობები“. რომელშიც დამატებულია გადმოცემული მუცნობრული კვლევის ძნელი, მაგარმ წარმტატი გზა, კიდევ ერთხელ მეტყველებს ირ. ანდრონიკაშვილის მრავალმხრივ ნიჭზე, მის მეცნიერულ აღმოჩენებს, მაღალ მხატვრულ გემოვნებაზე და ისტატობაზე.

რამდენიმე სიტყვით წიგნის გაფორმებაზე. ჩვენ ხელთ გვაქვს „დღეგისის“ მიერ 1958 წელს ჩუსულად გამოცემული იგივე წიგნი.

დ. ქუხიანი

### მარგალიტების მაკიველი\*

ვახტანგ კოტეტიშვილი იყო ქართული ფოლკლორის ერთერთი დიდი გულშემოტკიცარი. დღეცხრამელა ერთუზიანობით კრფდა ხალხურ შემოქმედების ნამუშებს და მეცნიერულ ანალიზს უკეთებდა თუთველ ტექსტს.

„რამდენიც უნდა იმეზო მასალის შეკრებაზე, ამ მასალის ნაწილებს გამოკვლევასზე, შრომა მიიწე დაუმთავრებელი რჩება. გარანტია არა გვაქვს, რომ მასალა არ დაგრჩა შეკრებულა, ანდა რომელიმე წერილშიან შეუძნეველი, რასაც შეიძლება ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს“. ასეთი მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით სწავლობდა იგი თითოეული ფოლკლორული ნიმუშის წარმოშობის ისტორიას, მის იდეურ არსს, სოციალურ საფუძველს თუ ფორმის თავისებურებას.

უოველ სტრატონის ეტეობა სათუთი, მხატვრული ხელი.

ვახტანგ კოტეტიშვილს, იდეური ნაზის ლოცური განვითარების გზით, შეგნებულად უცხელი ერთ კრებულში გადმოეცა ქართული ხალხური პოეტური ტრადიციის მაღალი მხატვრული თვისება. ლირიული და ლირიულ-ეპიკური თანრების რიტმული, მელოდირი და საერთოდ ინტონაციური მრავალფეროვნება.

სავაგაციო, საქორწილო, სატრფიალო თუ სამგლოვიარო ხასიათის ლექსები შერჩეულია ერთნაირი გულისკუთითა და გემოვნებით.

სტრატონის იდეური მთლიანობის, მისი იგებობის პრინციპის შესახებ ვახტანგ კოტეტიშვილი წერს: „წინამდებარე შრომის ძირითადი ფონდი უშუალოდ შეკრებილი მასალა არის, ჩაწერილი ან პირდაპირ ჩემს მიერ მოწყობილი ექსპედიციების დროს ან ყეროდ, ან ჩემი დავალებით ჩემი სტუდენტებისა თუ ადგილობრივი პირთა მიერ. ზოგიერთ შემთხვევაში მიემართებ ადრინდელ ჩანაწერებს თუ დაბეჭდილ მასალას, რომ ხარვეზი შემეფსო, რამელიც წიგნის შინაგანი მთლიანობას ხელს უშლიდა. წიგნის შინაგანი მთლიანობა კი იმაში მდგომარეობს, რომ აღებული ფარული მავისტრალი: ადამიანის ცხოვრება მაღალეზიდან სიკვდილამდე და ლექსებიც ამ მავისტრალს მისდევნა“.

თუთველი ლექსი შერჩეულია საგანგებოდ. დიდი გულისკუთით, ამტომაც სტოეებს ეს კრებული კარგ შთაბეჭდილებას. მასში სათლად ჩანს ჩვენი ხალხური პოეზიის მაღალი მხატვრული დონე, ფორმის ნაირსახეობა, მხატვრული იდეების განზოგადოების პრინციპი, ქართული ხალხის ფილოსოფიური აზროვნება, ინტელექტუალური და ემოციური ხატვის უნარი. ერთი შეხედვით თითქოს არც ჩანს ვახტანგ კოტეტიშვილის ხელი ამ კრებულში, თუ მხედ-

\* ვახტანგ კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, „საბჭოთა მწერალი“, 1961.

ველობაში არ მივიღებთ მის შესავალ წიგნებს, ზოლოში დართულ ექსკურსებს და წმინდა შემკრებლობით მუშაობას. კრებულის „ფართული მთავრობის“ სწორად და ლოგიკურად წარმართვა არ არის უბრალო ტექნიკური საქმე, მექანიკურად აგების მეთოდი. სწორედ აქ გამოვლენა ვახტანგ კობეტიშვილმა ნამდვილი შემოქმედებით აღლო, ორიგინალური გააზრების უნარი და ქართული ხალხთა პოეზიის იდეური არსის ცოდნა.

ვახტანგ კობეტიშვილი, როგორც კრებულის რედაქტორი ელენე ვიჩხაძე აღნიშნავს, ბევრს შეწაობდა ზოგიერთ ტექსტს დახვეწაზე. ელენე ვიჩხაძე ერთად და საინტერესოდ მიმოიხილავს მის მოღვაწეობას ქართული ფოლკლორისტიკის დარგში, ყურადღებას ამახვილებს მისი გამოკვლევების სიხუხუტეზე და ჰენციურად სიღრმეზე. იგი ვახტანგ კობეტიშვილს წარმოგიდგენს, როგორც ფართო დიპლომატიურ-დღევანდელიის მკვლევარს, რომელიც თავისებური შემოქმედებით მეთოდით უღვაწობდა ფოლკლორული მეცნიერების თუ შემკრებლობით მუშაობის ყოველ საკითხს.

აქვე მოთხრობილი ვახტანგ კობეტიშვილის ორგანიზატორულ როლზე ქართული ფოლკლორის შეკრებისა და შესწავლის საქმეში, ამტკაცებს შეუძლებელია სიყვარულითა და მოკრძალებით არ განიმსჯელო საერთოდ ქართული ეკლტერისა და კერძოდ ჩვენი ერთგული ხალხური შემოქმედების დაუღალავი მომავლისა და მუდამ მგზნებელ მოტივების ვახტანგ კობეტიშვილისადმი.

მის გამოკვლევებს ამწვენებს მეცნიერული ანალიზი და მღვდლურ ემოციური ტონი, რომაც მკითხველამდე ღაღად და შთამბეჭდავად მიიქცხ მცნიერული აზრი. მის ყოველ სტრიქონს პოეტური პათოსი, მთრთოლვარე ხელი ატყვია. ვახტანგ კობეტიშვილი წარმოუდგენელა დამწერებელ, აუღვდნებელ პოხაში. იგი მუდამ დრტვიანავს, შფოთავს, ებიებს, შინაგანი სამყაროს უდიდესეს წერტილამდე განიცდის და დღღი ზიჯხადით გადმოგვიცემს ისტორიულ ფაქტს. იქ სადაც უშეაღლო თვითონ მსყლობს გასაოცარი მგზნებარება და შემოქმედებითი აზრით შთავგონებელი მოღვწენრობა ეტყობა. იგი მასალის ჰედანტურ ანალიზს არ ეზღდვს და არ იფარვლება, პოეტური განწყობისა და მართალი მეცნიერული აღღოს შერწყმით ქმნის დამოუკიდებელ ნაწარმოებს. ზოგჯერ, რომელიმე კარგ ხალხურ ლექსზე მისი მსყლობა ამ ლექსის სტრიქონებზე უფრო მონიხებულად იკითხება. კვლავის პოეტური მეთოდი მას ხელს არ უშლის მეცნიერულ დასკვნაში. საკითხის დამაწერებელ ანალიზში თუ ფაქტების განუწყვტებელ განხილვაში. იგი გაბედული პოპოთეზისტი და კონკრეტული ფაქტის პრინციპული, ენერგიული ანალიტიკოსია.

კრებულის შესავალ წიგნში ვახტანგ კობეტიშვილმა მისთვის ჩვეული სტილით ვახტანგ ქართული ხალხური შემოქმედების შემოხილვები თვისება, მისი სრულყოფილი მხატვრული დონე, ზოგადსაკოებრო იდეების სფერო და ქართული ხალხის აზროვნების თვითყოფილი ხასიათი. პატრიოტული სულისკეთებით დასვა საკითხი — ქართული ფოლკლორული ნიმუშების შეკრების აუცილებლობისა და განიხილა იგი, როგორც ჰემარიტად ეროვნული საქმე. „ახალ ეპოქისთან ერთად ახალი აღმშენი მოღის, რომელაც ურმუდს აღარ აძღვრებს, „ხანყრულოს“ აღარ დაბამს, „ხამაისს“ აღარ გააცოტლებს, რადგან სოციალური ფუნქცია აღარ აქვთ. აღარც „ხანყლებსა“ და „სისხლის აღებს“ რომანტიკა იზოვივნებს, რადგან ახალი ურთიერთობა იღვამს ფებს და გეშინდელა მტრები ღღეს მძებნად იფიცებან ერთი კლასობრივი ემბლემის ქვეშ, ახალი სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად. ძველი უნდა წაიღეს, მაგრამ მისი კვალი არ უნდა დეკარგოთ, რადგან უმისოდ ახლის გაგება შეუძლებელი იქნება“ ვ. კობეტიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ფოლკლორის საერთო მნიშვნელობაზე და დამაწერებელი აზრებებებში უარყოფს ზოგიერთ მეცნიერულად დაუხაბუთებელ აზრს; მაგალითად: ფოლკლორის ლიტერატურას სფეროდან გათიშვას და მისი წმინდა ეთნოგრაფიულ ოქასში გაერთიანებას, ხალხური პოეზიის „მადლი“ კლასებში წარმოშობას და სხვ. კრებულის ბოლოს დართულ ექსკურსებში ყოველი საკითხი, თვითველი დებოლა განხილულა ფართო მლანში, კონკრეტული ზოგადთან კავშირში, ზოგადი კონკრეტულთან მიმართებაში. იგი შედარებით მეთოდით მისდევს პარალელებს და მაგალითებს. სხვა ერების, სხვა ეპოქების ფოლკლორულ ტექსტებს განიხილავს ავტორი და რა თქმა უნდა, ქართული ფოლკლორული ნიმუშების სოციალური, იდეურ-მხატვრული მორიგების დასადგენად, მათი წარმოშობის ისტორიის ცხადსაკუფად და თვითველი უბრალო მხატვრული ელემენტის ფუნქციის ასახნულად. „ჩვენს მესტერებებს თუ მეწონგერებებს, მომღღერებს, როგორც ბერძენ აუღებს, პოეზიანსულ ტრუბადურებს, გერმანელ მინეზინგერებს, ჩრდილოელ სკალდებს, სლავურ ზიანებს, სპარსულ ამღლებს, ჰინდურ ჰმარათებს და სხვ. მტკიცე ფარშება ჰქონდათ შემეშავებელი, ურმოლისოღაც ღღესი ევრ იღვწებან“. ზოგად შესავალს მოსდევს ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშების კონკრეტული ანალიზი. ვახტანგ კობეტიშვილი სათაურდიან იწვეებს განმარტებებს და ბოლო სტრიქონამდე ასაბუთებს შინაარსის, ფორმის საერთო ხასიათს და კლასიკული სიტყვის თუ გამოთქმის არსს.



## ახალი წიგნები

### გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

- კონსტანტინე ლორთქიფანიძე — მწეანე ლილი. რედ. ც. ჭაფარიძე, გვ. 226, ფასი 29 კაბ.
- ვიქტორ მიუგო — საბრალონი. ორ ტომად. ტომი I, თარგ. ფრანგულიდან ივანე შაქავეარიანი. რედ. ე. გოგოლაშვილი, გვ. 904, ფასი 1 მ. 70 კაბ.
- ვიქტორ მიუგო — პარიზის ლეთისწიბრის ტაძარი. თარგ. ფრანგულიდან შალვა პაპუაშვილისა. რედ. ე. გოგოლაშვილი, გვ. 590, ფასი 1 მ. 15 კაბ.
- ელაუჯა მაღრაძე — შეველე (დათა შაქელაძე). რედ. ვ. ჭავჭავაძე, გვ. 225, ფასი 50 კაბ.
- ზურაბ კუხიანიძე — ბროწეულების ცეცხლი. რედ. ე. ჭავჭავაძე, გვ. 106, ფასი 18 კაბ.
- ნოდარ დუმბაძე — მე. ბებია, ილიკო და ილარიონი. რედ. ი. ხოშტარია, გვ. 192, ფასი 41 კაბ.
- ილია ხოშტარია — ასე ვფიქრობდი. რედ. შ. ამისელაშვილი, გვ. 53, ფასი 10 კაბ.
- გიორგი ციციშვილი — ქართული საბჭოთა დამატურგია. ნაწ. პირველი. რედ. ბ. მირცხულავა, გვ. 590, ფასი 1 მან. 50 კაბ.
- სანდრო ეული-ქუჩიძე — თხზულებანი ორ ტომად. ტომი I, რედ. ვ. ბობოხიძე, გვ. 326, ფასი 96 კაბ.

### გამომცემლობა „ნაბადული“

- ნიკოლოზ ხარათაშვილი — ღირთია. რედ. რ. ორჭონიკიძე, გვ. 71, ფასი 10 კაბ.
- აფექტი იხაკიაიანი — აბუ ლალა-შაირი. თარგ. რევაზ თვარაძისა. რედ. არჩ. დავითიანი, გვ. 41, ფასი 5 კაბ.
- ზ. ტაყელაუნი — ორჯერ ორი ოთხია. თარგ. ნათელა ლორთქიფანიძისა. რედ. შ. შაველიანი, გვ. 29, ფასი 5 კაბ.
- დ. ფურმანოვი — ჩაბაევი. თარგ. შალვა აფხაიძისა. რედ. ნ. ლორთქიფანიძე, გვ. 296, ფასი 65 კაბ.
- ე. აბრეშოვა — სვეტლანა. თარგ. ე. გოგოლაშვილისა, რედ. ნ. ჩირაძე, გვ. 303, ფასი 61 კაბ.
- გივი თევზაძე — თეთრი ღამეები. რედ. თ. ჭილაძე, გვ. 69, ფასი 10 კაბ.
- მ. თომაძე და ვლ. ჭოჭუა — ქართული საბავშვო წიგნი (ბიბლიოგრაფია). რედ. ი. გრიშაშვილი, გვ. 174, ფასი 37 კაბ.
- ქანი როდარი — ქელსონინო ცრუთა ქვეყანაში — თარგ. გივი კიკილაშვილისა. რედ. ჯ. ბაქრაძე, გვ. 154, ფასი 23 კაბ.
- უილამ თევერტი — ამოების ბაზარი. უგმირო რომანი. წიგნი პირველი. თარგ. ინგლისურიდან ალ. გამყრელიძისა. რედ. დ. ელიოზიშვილი, გვ. 490, ფასი 1 მან.

### რედაქციისაზარ

ქრუნალ „მნათობის“ რედაქციას პოეტ ტ. ტაბიძის შეუღლებ ნინომ წარმოუდგინა ტ. ტაბიძის ხელით დაწერილი ორი ლექსი. ეს ლექსები პოეტის ავტორგრაფის მიხედვითა და ნ. ტაბიძის შენიშვნებით გამოქვეყნდა ქრუნალ „მნათობის“ 1963 წ. № 3-ში.

როგორც გამოიჩინა, „მნათობში“ გამოქვეყნებული პირველი ლექსი ყოფილა პ. იაშვილის ექსპრომტი. პ. იაშვილს წვეულებად ჰქონდა ლექსების ექსპრომტად გამოთქმა. მისი ექსპრომტების ჩანაწერები დავიკრეფს მისმა მეგობრებმა, მათ შორის ტ. ტაბიძემაც. „მნათობში“ დაბეჭდილი პირველი ლექსი ყოფილა პ. იაშვილისა და იგი ჩაუწერია ტ. ტაბიძეს.

ეს ჩანაწერი აღმოჩნდა ტ. ტაბიძის ხელით დაწერილ სხვა ავტორგრაფებთან ერთად მის ოჯახში და შეეღობით მიჩნეულ უჭნა ტ. ტაბიძის გამოუქვეყნებელ ლექსად.

6 47/54  
ფანის 80 ქვე.



ИНДЕКС

76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„**М Н А Т О Б ი**“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА და ხელოვნება“